Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
Faculty of Humanities.
Department of Folklore

KHVTISO MAMISIMEDISHVILI

CHECHEN AND INGUSH NART LEGENDS

Research, texts and comments

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number SP-19-123]

Tbilisi
2020

Джавахишвили Иванэ цIарах йолчу
Тбилисски пачхьалкхан университетан.
Гуманитарни Iилманийн факультет.
Фольклористикин кафедра

ХВТИСО МАМИСИМЕДИШВИЛИ

Нохчийн а, гIалгIайн а наьртхойх лаьцна дийцарш

Талламаш а, тексташ а, комментареш а

Тбилиси
2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ფოლკლორისტიკის კათედრა

ხვთისო მამისიმედიშვილი

ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები ნართებზე

გამოკვლევა, ტექსტები და კომენტარები

თბილისი
2020

ნართების ეპოსი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორული შემოქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია. არსებობს ამ ეპოსის აფხაზური, ჩერქეზული, ყარაჩაულ-ბალყარული, ოსური, ინგუშური და ჩეჩნური ვერსიები. ეპოსის მთავარი გმირები, ნართების სახელწოდებით, მითიური მეომრები, ფოლკლორული პერსონაჟები არიან. ნართების ეპოსში გამითიურებულია მეომრული საზოგადოების ტრადიციული ყოფა და წარსულში მომხდარი ისტორიული მოვლენები.

წიგნი ქართულ ენაზე ჩეჩნური და ინგუშური ნართული თქმულებების პირველ აკადემიურ გამოცემას წარმოადგენს. თქმულებებს თან ახლავს ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა, შენიშვნები და კომენტარები.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისა და ფოლკლორული შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი SP-19-123]

რედაქტორი: **ნუგზარ ანთელავა**
რეცენზენტი: **როსტომ ფარეულიძე**

დიზაინი და დაკაბადონება: **კახა მახარაშვილი**

© ხ. მამისიმედიშვილი, 2020
ISBN 978-9941-9675-6-6

გამომცემლობა სამშობლო
თბილისი, რობაქიძის 7; მობ.: 551 95 31 90



წინათქმა

საქართველოში ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მუდამ მაღალ დონეზე იდგა მთარგმნელობითი საქმიანობა. ბერძნულ, სპარსულ და არაბულ სამყაროში შექმნილი მნიშვნელოვანი რელიგიური თუ ლიტერატურული ნაწარმოებები, უძველესი დროიდან მოყოლებული, ქართულ ენაზე ითარგმნებოდა. XIX საუკუნიდან დაიწყო დასავლური კულტურის შედევრების ქართულ ენაზე თარგმნა. საბჭოთა პერიოდში ქართულ ენაზე ითარგმნა მეზობელი ხალხების ლიტერატურული და ფოლკლორული შემოქმედება.

მართალია, ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ქართველ მთიელთა ტრადიციულ ყოფასთან უაღრესად დიდ სიახლოვეს ავლენს ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები ნართებზე, მაგრამ ფოლკლორული შემოქმედების ეს შესანიშნავი ნიმუშები, თუ ცალკეულ ხალხურ ტექსტებს არ ჩავთვლით, ქართულ ენაზე დღემდე არ გამოცემულა. ამ გარემოებას, რა თქმა უნდა, თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, რომ ჩეჩნური და ინგუშური ხალხური ტექსტების ჩაწერა და პუბლიკაცია დაიწყო გვიან, XIX საუკუნის II ნახევრიდან. მეორეც, ჩეჩნური და ინგუშური ფოლკლორის შეკრებასა და პუბლიკაციას საბჭოთა პერიოდში სერიოზული პრობლემები შეექმნა, რადგან ჩეჩენ და ინგუშ ხალხებს ცხოვრება ნახევრად საომარ ვითარებაში უხდებოდათ. 1944 წელს სსრ კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ჩეჩნები და ინგუშები სასტიკად დასაჯეს. ისინი შუა აზიისა და ყაზახეთის სტეპებში გადაასახლეს, სადაც მათ მკაცრი რეჟიმის პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. გადასახლებას მოჰყვა დიდი ადამიანური მსხვერპლი, აუნაზღაურებელი მატერიალური ზარალი, სულიერი ტკივილი. საბჭო-

თა ტოტალიტარიზმის პირობებში ადვილი არ იქნებოდა ხელისუფლებისაგან დევნილი ხალხის ფოლკლორული შემოქმედების თარგმნა და მისი ერთ წიგნად გამოცემა. ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები თითქმის გაქრა მკვლევარ-კავკასიოლოგთა შრომებიდან და მას მხოლოდ რამდენიმე სიტყვით თუ ახსენებდნენ. სიტუაცია არ შეცვლილა ჩეჩენი და ინგუში ხალხების სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. მართალია, საბჭოური პროპაგანდა ბევრს წერდა თვალუწვდენელ იმპერიაში მცხოვრები ხალხების ძმობისა და მეგობრობის შესახებ, მაგრამ რეალურად ბევრი არაფერი კეთდებოდა ჩეჩენი და ინგუში ხალხების ფოლკლორული შემოქმედების შესასწავლად, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იმ პერიოდში ხალხური ტექსტების გამოვლენისა და მოძიების უფრო ხელსაყრელი პირობები არსებობდა.

ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების ქართულ ენაზე თარგმნის მიზანი იყო, ერთი მხრივ, ჩეჩენი და ინგუში ხალხების ამ მნიშვნელოვანი ფოლკლორული ძეგლის ქართველი მკითხველისთვის გაცნობა და, მეორე მხრივ, ისეთი მონოგრაფიული გამოკვლევის შექმნა, რომელშიც განხილული იქნებოდა ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები მეზობელი კავკასიელი ხალხების ფოლკლორული შემოქმედების კონტექსტში. აღნიშნულ საკითხზე მონოგრაფიული ნაშრომის შექმნის აუცილებლობა განაპირობა იმანაც, რომ დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში არ განხილულა ქართულ-ნახური კულტურული ურთიერთობის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების ნათესაობა ქართულ ფოლკლორთან; ჩეჩნურ და ინგუშურ ხალხურ ტექსტებში დადასტურებული მითოლოგემების, სიუჟეტებისა და მოტივების სიღრმისეული მსგავსება და პარალელიზმი ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან; შუა საუკუნეების ქართული კულტურის ელემენტების ასახვა ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში.

სამწუხაროდ, რუსულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა თანამედროვე ქართულ ჰუმანიტარულ კვლევებს ნაკლებად ან თითქმის არ იცნობს. ასევე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ნართების ეპოსის თანამედროვე მკვლევარებს უფრო პრესტიჟულად მიაჩნიათ პარა-

ლელების გავლება ძველბერძნულ, შუმერულ-აქადურ და ხეთურ-ხურიტულ მითებთან, ვიდრე გენეტიკური კავშირების დადგენა შუა საუკუნეების ქართულ კულტურასთან. ამდენად, აღნიშნული გამოცემის ერთ-ერთ მიზანს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების, კერძოდ კი - ორი მონათესავე ხალხის - ჩეჩნებისა და ინგუშების - მითო-ეპიკურ შემოქმედებასა და ქართულ ზეპირსიტყვიერებას შორის გენეტიკური კავშირების დადგენა, მითო-პოეტური და სიუჟეტური პარალელიზმების გამოვლენა წარმოადგენს.

ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების ქართული თარგმანი შეჯერებულია დედანთან, თუმცა ზოგიერთი ხალხური ტექსტის ჩეჩნური და ინგუშური დედანი არ აღმოჩნდა, რადგან ხალხური სიტყვიერების შემკრებლებმა თქმულებების ნაწილი თავის დროზე უშუალოდ რუსულ ენაზე ჩაიწერეს. თარგმნის დროს გამოვიყენე შემდეგი კრებულები და გამოცემები: ССКГ, вып. 1, Тифлис, 1868; ССКГ, вып. IV, Тифлис, 1870; ССКГ, вып. V, Тифлис, 1871. ССКГ, вып. VI, 1872; ССКГ, вып. VIII, Тифлис, 1875; СМОМПК, вып. XXII, Тифлис, 1897; ЭО, Москва, №1, 1901; ЗКОИРГО, кн. 22. Вып. 4.,Тифлис, 1902; Далгат 1972; Дахкильгов 2012; Нохчийн фольклор, т. III, 2015 და სხვ. ტექსტებზე მუშაობის პროცესში გავითვალისწინე ჩეჩენ და ინგუშ სპეციალისტთა მიერ შესრულებული ნართული თქმულებების რუსული თარგმანი, გავიზიარე ამა თუ იმ ტერმინის, ფრაზისა თუ ცალკეული ეპიზოდის სხვა ენაზე გადათარგმნის გამოცდილება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქართული თარგმანი ბევრად უფრო ახლოს დგას დედანთან, ვიდრე შესაბამისი რუსული ტექსტი, რადგან ქართული ენა გრამატიკული, ფონეტიკური და ლექსიკური თვალსაზრისით უფრო სრულად ასახავს და გადმოსცემს ჩეჩნური და ინგუშური ენების ბუნებას, მათ ტერმინოლოგიას, მონაცემებსა და შესაძლებლობებს.

ჩეჩნეთისა და ღილღოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრებთა მეტყველება რადგან ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება, თქმულებებში ერთი და იმავე პერსონაჟის საკუთარი სახელი განსხვავებული ვარიანტებით არის წარმოდგენილი. მაგალითად, ნართული გადმოცემების მთავარ პერსონაჟს ჰქვია სესქათ სოლსა, სოსქათ

სოლსა, სიქსოლსა და სოსქათ სოლსანი. აგრეთვე, სხვადსხვა ვარიანტად გვხვდება ინგუშური თქმულებების მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პერსონაჟის სახელი: ბოთოყო შირთყა, ბათიგა შითყა, ბოთოყო შერთუყო, ბათიგ შერთყა და სხვ. საკუთარი სახელი ქართულ თარგმანში ყველაგან იმ სახით გადმოვიტანე, როგორც მას მთხრობელი ახსენებს და ორიგინალის ენაზე დედანში არის დაბეჭდილი. თუმცა წარმომავლობის სახელს, რომელიც ჩეჩნურ და ინგუშურ ტექსტებში საკუთარი სახელის განსაზღვრებად არის წარმოდგენილი (სესქა სოლსა, სოსქა სოლსა), დავუმატე-თ სუფიქსი, რადგან ქართულ ტრადიციაში (კერძოდ, ჩეჩნეთისა და ღილღოს მოსაზღვრე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თემებში) იგი სწორედ ამ სახით გვხვდება, მაგ., მარტია-თ გიორგი, უნცრუა-თ აპარეკა, ხირჩლა-თ ლეგუა, ბათირა-თ იმედა და სხვ. თარგმანში ამ პრინციპით შემოვიტანე ქართული ენისათვის დამახასიათებელი უფრო ბუნებრივი ფორმები: კინდა-თ შოა, ბოთოყო-თ შირთყა, სესქა-თ სოლსა, ხამჩი-თ ფათარაზი და სხვ.

ინგუშური ხალხური ტექსტების ცნობილმა ჩამწერმა ჩ. ახრიევმა საკუთარ სახელთა სხვადასხვა ფორმით წარმოდგენასთან დაკავშირებით გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება: „ტექსტებში ზოგიერთი ღილღური თქმულების გმირის საკუთარი სახელი სხვადასხვა ფორმით გამოვაქვეყნე. ასე, მაგალითად, ერთ ადგილას გვხვდება ბარქიმ, მეორე ადგილას - ბარქუმ. იგივე შეიძლება ითქვას სახელზე ბათოყო შერთუყო, ან შურთუყო და შირთგა. ერთი და იმავე სახელის ამგვარი ვარიანტები განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ტექსტები ჩავიწერე სხვადასხვა ადგილებში, როგორც მთიანეთში, ისე ბარში. მთაში ამბობენ - ბარქუმ, ხოლო ბარში - ბარქიმ. ასევე, მთიანეთში გავრცელებულია საკუთარი სახელის ფორმა სოსქა, ბარში - სესქა. მთიანეთში მცხოვრები ღილღველების მეტყველებაში მკაფიოდ ისმის „ო“ და „უ“ ხმოვნები, ხოლო ბარის მეტყველებაში ეს ბგერები გარდაიქმნება „ი“ და „იო“ დიფთონგებად. კითხვა: რომელი მეტყველება არის უფრო სუფთა - ბარის თუ მთის? ნაზრანელები თავიანთ მეტყველებას უფრო წმინდად მიიჩნევენ, ისინი მთიელთა კილოს დასცინიან. მაგრამ, რა თქმა უნდა, მთიელთა მეტყველება

არის უფრო სუფთა და თვითმყოფადი. ის დაცული იყო გარეშე ენობრივი გავლენებისგან. აგრეთვე, არ იქნება ზედმეტი თუ შევნიშნავ: ინგუშები ჯერ მამის სახელს წარმოთქვამენ, ხოლო შემდეგ შვილის სახელს. ასე, მაგალითად, სოსქათ სოლსა. აქ პირველ ადგილზე დგას სოსქა, შემდეგ მისი შვილის სახელი - სოლსა. იგივე შეიძლება ითქვას ბოთოყოთ შერთუყოზე. თხრობის დროს ღილღველები წარმოთქვამენ ორივეს, როგორც მამის, ასევე შვილის სახელს“ (Ахриев 1875: 31-32).

ქართულ თარგმანში ზოგიერთი გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება უფრო ახლოს დგას თქმულების ჩეჩნურ და ინგუშურ დედანთან, ვიდრე შესაბამის რუსულ ტექსტში. მაგალითად, «Ачамаза-боарз» (აჩამაზ ბოარზ) ქართულად ვთარგმნე როგორც „აჩამაზის ბორცვი“. რუსულ ტექსტში მისი სახელწოდება არის «Ачамза-курган». „ღალღაი ლოამან ხა“ რუსულ ენაზე გადათარგმნეს როგორც «Ингушский Лоаман Ха», რომლის ქართული შესატყვისი უფრო ახლოს დგას დედანთან - „ღილღველი ლოამან ხა“.

მეზობელი ქართველები ჩეჩნებსა და ინგუშებს იცნობდნენ საერთო ეთნონიმით - ქისტი. ეს სახელწოდება პოსტსაბჭოთა პერიოდში მხოლოდ პანკისელმა ქისტებმა შეინარჩუნეს. დასანანია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართულ ენაში რუსული ენის გავლენით საბოლოოდ დამკვიდრდა ეთნონიმები ჩეჩენი და ინგუში, თუმცა ჩეჩნების თვითსახელწოდება არის „ნოხჩუო“, ხოლო ინგუშებისა „ღალღაი“. მიმაჩნია, რომ ქართულ ენაში უნდა აღდგეს ისტორიული ეთნონიმები. ქართველები ინგუშებს ღილღველებს უწოდებდნენ. დავით გურამიშვილი „დავითიანში“ ახსენებს ეთნონიმ „ღლიღვს“. გვხვდება გვარი ღლიღვაშვილი, რომლის წარმომავლობა სიტყვა „ღლიღვიდან“ ეჭვგარეშეა. ვაჟა-ფშაველასა და გაბრიელ ჯაბუშანურის ნაწარმოებებში ხშირად გვხვდება ეთნონიმი „ღილღველი“, რომელიც, სამწუხაროდ, კარგა ხანია დაივიწყა ქართულმა ენამ და მის ნაცვლად დაამკვიდრდა სიტყვა „ინგუში“. ვცდილობდი, როგორც თქმულებების თარგმანში, ისე მონოგრაფიაში ინგუშეთის ნაცვლად გამომეყენებინა სიტყვა „ღილღო“, ინგუშის ნაცვლად - ღილღველი და ინგუშურის ნაცვლად - ღილღური.

წიგნი შედგება ოთხი ნაწილისგან: იგი იწყება ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების მონოგრაფიული გამოკვლევით, რომელსაც მოსდევს ქართულ ენაზე თარგმნილი ინგუშური და ჩეჩნური თქმულებები. წიგნის შემდეგი ნაწილი ეთმობა შენიშვნებსა და კომენტარებს. ყოველ თქმულებას აქვს თავისი ნომერი, რათა მკითხველს გაუადვილდეს თითოეულ ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების მოძებნა. საჭიროდ ჩავთვალე თარგმანის კომენტარებში მიმეთითებინა ცნობები თითოეული ტექსტის მთხრობელის ვინაობისა და ასაკის შესახებ, ასევე, ინფორმაცია ჩამწერის, ჩაწერის დროისა და ადგილის შესახებ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები ნართებზე სრულიად ავთენტური ხალხური ტექსტებია. მკითხველს საშუალება ექნება შენიშვნებსა და კომენტარებში გაეცნოს განმარტებებს ჩეჩენთა და ინგუშთა ტრადიციული ყოფის ამსახველი ცალკეული სახელწოდებების შესახებ, რომლებიც მრავლად გვხვდება თქმულებებში. წიგნის ბოლო ნაწილი დათმობილი აქვს საძიებლებს, რომელიც მკითხველს, ასევე, გაუადვილებს თქმულებებში ასახული მდიდარი ონომასტიკური, ტოპონიმური, მითოლოგიური და საკულტო-რელიგიური სახელწოდებების მოძებნას. საძიებლებში შევიტანე, ასევე, საბრძოლო იარაღის, ადამიანთა წარმომავლობისა და საგვარეულოს აღმნიშვნელი სახელები.

ნაშრომში ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები განვიხილე კვლევის კომპარატიული მეთოდის გამოყენებით. მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმე კავკასიის ხალხთა თქმულებებისთვის დამახასიათებელი მითოლოგიური სიმბოლოების ანალიზსა და მათ იდენტიფიკაციას. ტექსტები გააანალიზებულია როგორც კავკასიის სხვა ხალხების საგმირო ეპოსებთან, ისე ქართულ კულტურასთან კავშირში, რადგან ნახურ საზოგადოებებში ფოლკლორული სიუჟეტები გმირებზე ყალიბდებოდა საუკუნეების მანძილზე მეზობელი ხალხების გარემოცვაში, თავისი ნასესხობებითა და დანაკარგებით.

დასასრულ, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ქისტ მეგობრებს, რომლებიც ამ 20-25 წლის წინ ქისტებით დასახლებულ სოფლებში სამეცნიერო ექსპედიციების დროს მეხმარებოდნენ ადგილობრივი

ტრადიციული კულტურის შესწავლაში. პანკისის ხეობაში შეძენილი ცოდნა და გამოცდილება დამეხმარა უფრო ღრმად ჩავწვდომოდი ჩეჩენი და ინგუში ხალხების ფოლკლორული შემოქმედების ძირებს, მათ თქმულებებში გადმოცემული საიდუმლო ელემენტების რეალურ საზრისს.

მიმაჩნია, რომ ქართულ ენაზე ჩეჩნური და ინგუშური თქმულებებისა და მათ შესახებ მონოგრაფიული ნაშრომის გამოცემა მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენს ცოდნას მეზობელი ხალხების მხატვრული შემოქმედების, ტრადიციული ყოფის, ზნეობრივ-მორალური ფასეულობებისა და, ზოგადად, სულიერი კულტურის შესახებ.



ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების სტრუქტურა, თემატიკა და ქრონოტოპი

ნართების ეპოსის სხვა ნაციონალური ვერსიების მსგავსად, ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების ძირითად თემას ბრძოლა, გმირობა და თარეში წარმოადგენს. ტექსტებში აისახა მეომრული საზოგადოების ცხოვრების ძირითადი პრინციპები, ყოველდღიური საქმიანობა, ტრადიციული ყოფა და ზნე-ჩვეულებები. მართალია, ეპოსის ძირითადი სიუჟეტური ხაზი მოიცავს ნადავლის ხელში ჩასაგდებად გამართულ სასტიკ ბრძოლებს, ცალკეული გმირების აღზევებასა და დაცემას, მაგრამ თქმულებებში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პერსონაჟთა მეგობრობას, ურთიერთპატივისცემას, ჩადენილი ცოდვისა და დანაშაულის გამო გულწრფელ სინანულს. ეპოსი იცნობს ნართ-ორსთხოელების ტრაგიკულ აღსასრულს.

ნართი გმირების თავგადასავალში უხვად არის ჩართული ტრადიციული ელემენტები: გმირის სასწაულებრივი შობა, საიდუმლო ინიციაციები, ურთიერთობა ზებუნებრივ და დემონურ ძალებთან, საოჯახო ყოფა, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა, გვარებსა და თეიფებს შორის დაპირისპირება. უაღრესად მდიდარია ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების ეპიკური სამყარო. მასში გვხვდება როგორც ადგილობრივ ნიადაგზე გადამუშავებული საყოველთაოდ ცნობილი სიუჟეტები, ისე სრულიად ორიგინალური თემები და მოტივები, რომელშიც „ჟონავს“ ჩეჩენი და ინგუში ხალხების მითოსური წარსული და ნაციონალური თვისებები. ვ. მილერის აზრით, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეპოსებში სიუჟეტების სიმდიდრეს რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. ერთი მხრივ, სამხრეთიდან, საქართველოს გავლით, იქ ზეპირი გზით, ქართული კულტურის გარდა, ვრცელდებოდა სპარსული და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ხალხთა ეპიკური სიუჟეტები, მეორე მხრივ, მთის ხალხების ფოლკლორულ შემოქმედებაზე გავლენას ახდენდა სტეპის მომთაბარე ტომების: ჰუნების, ბულგარების, ხაზარების, ყივჩაღებისა და ნოღაელების - ზეპირსიტყვიერება (Миллер 1891: 16).

ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში ნართები წარმოდგენილი არიან ორმაგი სახელწოდებით: ნართ-ორხუსთოელები, ნართ-ორსთხოელები, ნართ-ერსთხოელები. ჟ. დიუმეზილის აზრით, ინგუშურ და ჩეჩნურ თქმულებებში მეომრების საერთო სახელწოდება „ორხუსთოელი“, „ორსთხოელი“, ერსთხოელი“ (*Orxustoy*) უნდა მომდინარეობდეს ოსური თქმულებების „ახსართაგებიდან“ (Дюмезиль 1976: 184). როგორც ცნობილია, ოსურ ეპოსში ნართები იყოფიან სამ გვარად: ახსართაგები, ალაგათები და ბორათები. ოსური ეპოსის ყველაზე ძლევამოსილი ნართი გმირები: ურუზმაგი, ხამიცი, სოსლანი და ბათრაძი სწორედ ახსართაგებს ეკუთვნიან. სიტყვა „ორსთხუოს“ («*орсmхо*») ახსართაგიდან წარმომავლობას მხარი დაუჭირა ზოგიერთმა ისეთმა მეცნიერმა, რომელიც საერთოდ უარყოფდა ინგუშური ნართების ეპოსის არსებობას. აღსანიშნავია, რომ ინგუშურ და ჩეჩნურ თქმულებებში არ ჩანს ოსური ეპოსისთვის დამახასიათებელი სამი გვარი. მათი თქმულებების გმირები ხსენდებიან საერთო სახელწოდებით - ნართ-ორსთხოელები.

ჩ. ახრიევს, ინგუშური თქმულებების პირველ შემკრებსა და მკვლევარს, ნართები და ორსთხოელები ურთიერთსაპირისპირო თვისებების მქონე გმირებად მიაჩნდა (Ахриев 1870: 2). ი. დახკილგოვი საერთოდ უარყოფდა სიტყვა „ორსთხუოს“ ახსართაგიდან წარმომავლობას და მიიჩნევდა, რომ „ნართი“ უნდა ყოფილიყო ინგუშური თქმულებების მთავარი გმირების ეპიკური სახელწოდება, ხოლო „ორსთხუო“ - მათი ეთნიკური სახელწოდება, რადგან, მკვლევრის აზრით, ორსთხოელები იყვნენ ინგუშების ერთ-ერთი ტომის წარმომადგენლები (Дахкильгов 2012: 399).

ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების მთავარი პერსონაჟები ნართ-ორსთხოელები, ან როგორც ისინი სხვა ვარიანტებში იწოდებიან, ორხუსთოელები, მრავალი ნიშნით ჰგვანან ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ნართული თქმულებების სხვა პერონაჟებს. მაგალითად, სესქათ სოლსას ეპიკურ ორეულს აფხაზურ ეპოსში ჰქვია სასრიყვა, ოსურ ეპოსში - სოსლანი, ადიღურში - სოსრიყო. თავისი ორეული დაეძებნება ბოთოყო შირთყას ოსურ თქმულებებში სირდონის სახით, ხამჩით ფათარაზის ორეული ოსურ ეპოსში არის ბათრაძი და

აფხაზურ ეპოსში ცვიცვი. სელი სათას ოსური თქმულებების სათანასთან და აფხაზური ეპოსის პერსონაჟ სათანეი-გვაშასთან დაეძებნება პარალელები. ინგუშურ და ჩეჩნურ თქმულებებს ცალკეული სიუჟეტური პარალელები დაეძებნებათ დაღესტნურ ხალხურ ტექსტებთან, განსაკუთრებით ყუმუხურ და ხუნძურ გადმოცემებთან (Халидова 1985: 30). ნართების ეპოსის მთავარი გმირი არის მოთარეშე რაზმის წინამძღოლი, რომელიც შორეულ სამხედრო რეიდებს აწყობს სხვადასხვა კუთხეში, რათა წამოასხას ტყვეები, გამორეკოს ცხენების რემა და ცხვრის ფარები. ნართების ეპოსის სხვადასხვა ვერსიებს შორის არაერთი საერთო მოტივი და სიუჟეტური პარალელიზმი იძებნება. ყველა ვერსიაში გვხვდება საერთო ადგილები და, როგორც ვ. აბაევი იტყოდა, „საერთო ეპიკური ინვენტარი“ (აბაევი 1988: 25). ვ. აბაევი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ნართების ეპოსის გავრცელებას მხოლოდ ამ ხალხების ურთიერთკავშირით კი არ ხსნის, არამედ თვითონ ნართების ეპოსის ხასიათით, რომლის ცალკეული სიუჟეტები და მოტივები მაშინ ჩამოყალიბდა, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ნაციონალური იდენტობა, რაც აადვილებდა ძველ საზოგადოებებში სულიერ ფასეულობათა გაცვლას (Абаев 1945: 8) ერთი სიტყვით, ვ. აბაევი თავის ნაშრომში მიუთითებს „არა ცალკეული მოტივებისა და სიუჟეტების მსგავსებაზე, არამედ ეპიკური ინვენტარის საერთო საფუძველზე. მთავარი გმირების იგივეობაზე, გმირთა საერთო სახელწოდებებზე“ (აბაევი 1988: 25). თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნართების ეპოსის ყველა ეროვნულ ვერსიაში ძირითადი სიუჟეტები და მოტივები, მთელი რიგი არქეტიპები და უნივერსალური მითოლოგიური ელემენტები ადგილობრივ ნიადაგზე გადამუშავდა. ჩვენამდე მოღწეული თქმულებები მკვეთრად გამოხატულ ნაციონალურ ნიშნებს ატარებს. ჟ. დიუმეზილი ნართულ თქმულებებში სკვითურ-სარმატულ ელემენტებსა და ალანური ტრადიციის გავლენზე მიუთითებდა. შეიძლება ასეც არის, მაგრამ არ შეიძლება ირანულენოვანი ხალხები კავკასიის სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ნართული თქმულებების ერთადერთ „ავტორად“ მივიჩნიოთ.

ნართოლოგიაში მკვლევარები არცთუ იშვიათად ძირითად ყურადღებას ნაციონალური ვერსიების ასაკსა და სიძველეზე ამახვილებდნენ. მათ შრომებში ხშირად გვხვდება ნართების ეპოსის არქაულობის დასამტკიცებლად გამოთქმული ფრაზები: „ეს ისეთი არქაული მოტივია“, „ეს ისეთი არქაული სიუჟეტია“, ან „ეს ისეთი არქაული სახეა“ და ა. შ. ნართების ეპოსის სიძველის დამტკიცება, ვფიქრობ, ნართოლოგიურ კვლევებში არ უნდა იყოს არსებითი. ეპოსის შექმნის ზუსტ თარიღს ვერაფრით დავადგენთ, რადგან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზეპირ, არადოკუმენტურ შემოქმედებასთან. ფოლკლორულ შემოქმედებას ახასიათებს აქრონულობა. ნართული თქმულებების ჩაწერა დაიწყო ძალიან გვიან, XIX საუკუნის II ნახევრიდან, მაშინ, როცა ნართების ეპოსის ჩამოყალიბებიდან უკვე საკმაოდ დიდი დრო იყო გასული[1]. თქმულებებში, მართალია, ერთმანეთის გვერდით ვხვდებით ძველსა და ახალს, მაგრამ მათ საერთო ტრადიცია აერთიანებთ. უფრო მნიშვნელოვანია ნართების ეპოსის საზრისისა და მსოფლმხედველობრივი საკითხების კვლევა, ვიდრე მისი შექმნისა და ჩამოყალიბების თარიღის დადგენა, რომელიც მუდამ სადავო და ბოლომდე აუხსნელი დარჩება.

ჩეჩნურმა და ინგუშურმა ეპოსებმა ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწია. შეიძლება ითქვას, რომ ეს თქმულებები ერთი დიდი ეპოსის მხოლოდ ნამსხვრევებს წარმოადგენს. ჩეჩნური და ინგუშური თქმულებებისთვის უცხოა ისეთივე გენეალოგიური ციკლიზაცია, როგორიც გვხვდება ნართების ეპოსის ოსურ ვერსიაში, რომელშიც გმირები ოთხ თანამიმდევრულ თაობას ქმნიან. ნართების ეპოსის ოსური ვერსიებისგან განსხვავებით, ჩეჩნურ ფოლკლორს არ შემოუნახავს ციკლები ცალკეულ პერსონაჟებზე. აფხაზური ეპოსის ნართი პერსონაჟებისგან განსხვავებით, ინგუშური თქმულებების ნართები არ არიან ძმები. ნათესაური კავშირი დასტურდება, ერთი მხრივ, სექათ სოლსასა და ბოთყი შირთყას და, მეორე მხრივ,

[1] ინგუშური ნართული თქმულებების პირველი ჩანაწერები ეკუთვნის ჩახრ ახრიევს და იბეჭდებოდა XIX საუკუნის 70-იანი წლებში, თბილისში, კრებულ ССКГ-ში (Сборник сведений о кавказских горцах), т. 3 (1870), т. 4 (1870), т. 6 (1871), т. 8 (1875).

სესქათ სოლსასა და სელი პირას შორის. ჩეჩნური ხალხური ტექსტებისგან განსხვავებით, ინგუშურ თქმულებებში ნართებს შორის იკვეთება გვაროვნული ურთიერთობის ისეთი სიუჟეტური ელემენტები, რომელიც გმირებზე თხრობას ერთიანი ეპოსის სახეს ანიჭებს. იგი მოგვითხრობს ნართ-ორსთხოელებზე, სესქათ სოლსას დაბადებიდან მათ აღსასრულამდე და მათ შესაძლო აღდგომამდე. ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები ნართებზე პროზაული ტექსტებია. რაც შეეხება ჩეჩნურ და ინგუშურ საგმირო-პოეტურ სიმღერებს, იგი ცნობილია „ილის“ სახელწოდებით და სრულიად სხვა ჟანრს განეკუთვნება.

ნართების ეპოსის ჩეჩნურ და ინგუშურ ვერსიებში აისახა ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული ყოფა, კოლექტიური მსოფლმხედველობა, წეს-ჩვეულებები და ზნეობრივი ფასეულობები. ეპოსი გარკვეულწილად გვაცნობს მისი შემქმნელი ხალხის უძველეს რწმენასა და რელიგიურ წარმოდგენებს. უნივერსალური მითოლოგემები, ე. წ. „საერთაშორისო“ სიუჟეტები და მოტივები თქმულებებში დაკავშირებულია ეპოსის შემქმნელი ხალხის ნაციონალურ იდენტობასა და ისტორიულ გარემოსთან. ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში გვხვდება როგორც გაზღაპრებული, ისე ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო სიუჟეტები, სადაც სრულიად რეალურ გარემოში მოქმედებენ ეპოსის პერსონაჟები. მისი გმირები ხშირად კონკრეტული პირები არიან, თავიანთი საკუთარი სახელებითა და ეთნიკური მახასიათებლებით. თუმცა მათ გვერდით მონაწილეობენ ზებუნებრივი და ნახევრად დემონური არსებებიც. ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში გვხვდება სიუჟეტები ნადირთპატრონისა და მონადირის ურთიერთობის თემაზე. ჩეჩნური თქმულებები იცნობენ ჰუნ საგს, რომელიც მეგრული გადმოცემების ოჩოკოჩის მსგავს მითოლოგიურ არსებას წარმოადგენს (მეგრული ტექსტები 1991: 376). ჰუნ საგ ჩეჩნურ ენაზე და ოჩოკოჩი მეგრულად სიტყვასიტყვით ნიშნავს ტყის კაცს. ისინი უღრან ტყეში ცხოვრობენ და მათ გამუდმებული კონფლიქტი აქვთ მონადირეებთან; ორივე მათგანს მკერდზე აქვს ბასრპირიანი ვეებერთელა ნაჯახისებური თუ რქისებრი წანაზარდი, რომლითაც მოწინააღმდეგეს ამარცხებენ. როგორც ქართულ, ისე ჩეჩნურ თქმულებებში მონაწილეობენ ნადირთ მწყემსები, რომლე-

ბიც გარეული ცხოველების უხილავი პატრონები არიან. ისინი დახოცილი და შეჭმული ნადირის ძვლებს ერთად შეაგროვებენ და მოკლულის ტყავში გამოახვევენ, კომბალს დახკრავენ და ნადირს აცოცხლებენ. ამ მოტივზეა აგებული ჩეჩნური თქმულება „გოლიათი გრძნეული ქალები“ და ვაჟა-ფშაველას პოემა „ხის ბეჭი“.

ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში აისახა ჩეჩებისა და ინგუშების წეს-ჩვეულებები, სამართალი, რჯული, ქცევის ნორმები, უფროსუმცროსობა, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა, ცოლქმრობა, თარეში, საბრძოლო ეტიკეტი, სტუმარმასპინძლობა, ურთიერთობა მეზობლებთან. უ. დალგათის[2] აზრით, „ნართების ეპოსის ჩეჩნურ და ინგუშურ ვერსიებში გვხვდება უტყუარი ისტორიული ტოპონიმები: სალოცავების, მთების, ქედების, ხეობების, მდინარეებისა და სოფლების სახელწოდებები, რომლებიც ტიპურია ეპოსში ასახული გეოგრაფიული სივრცისთვის“ (Далгат 1972: 180). ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში ძირითადი მოქმედებები ხდება მდინარეების ასისა და არღუნის ხეობებში. მოქმედებათა საკრალურ ცენტრს ხშირად წეჲ-ლამის მთა და მისი შემოგარენი წარმოადგენს. ეპოსში ხსენდება კონკრეტული ისტორიული ტოპონიმები: აიგის ველი, აითი-მუოხქი, ამირ-ქუორთოშ, ალარო, ამარის წვერი, კვირიას მთა (კვირილამ), ბალთა, ბალთუმი, ბაშლამი, გალანჭოჟი, გური, დარიალი, დოქოი-ქორთი (დაქუეხი), დოშხაკლე, ეგი-ჴალა, ენგენოი, ერში, ეჴქი, ვარანდოი, ვედენო, ზანდაკ-აული, იალხოი-მოხქი, იჩქერია, კირა, ლარსი, მითხო, მცღეთა, ნაქისტი, ნაშხოი, ოხქარო, სალგი, სამი ჯვრის უღელტეხილი, ტყობა-ერდი, ღილღო, შატოი, ჩულხოი, წონტარო, წორის ხეობა, ხორაჩოი, ჯეირახი და სხვა მრავალი. ეპოსში გვხვდება ჰიდრონიმები: არმხი, არღუნი, ასა, თერგი, სუნჯა. მიუხედავად ამისა, ეპოსში ასახული გეოგრაფიული სივრცე არ არის ერთგვაროვანი. კონკრეტული ისტორიული ადგილების გარდა, ჩეჩნურ და ინგუ-

[2] უზდიათ ბაშირის ასული დალგათი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის ხალხთა ეპოსის საკითხებზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. 1972 წელს მოსკოვში გამომცემლობა „ნაუკამ“ რუსულ ენაზე გამოსცა უზდიათ დალგათის მიერ შედგენილი ჩეჩნური და ინგუშური საგმირო თქმულებები, სამეცნიერო გამოკვლევით, შენიშვნებითა და კომენტარებით.

შურ თქმულებებში მოქმედებათა ნაწილი ხდება გოლიათების ქვეყანაში, საიქიოში, აგრეთვე განუსაზღვრელ ზღაპრულ სამყაროში.

რაც შეეხება ეპოსში ასახულ დროს, ისიც არ არის ჰომოგენური. ეპოსში მითოლოგიურ დროს ზღაპრული დრო ენაცვლება. მასში გვხვდება მოგონება ოქროს საუკუნეზე. არაერთ თქმულებაში პერსონაჟთა ბედი ექსატოლოგიურ მომავალს უკავშირდება. თუმცა მთელ რიგ თქმულებებში მოქმედების დრო არ სცილდება შუა საუკუნეებს, როცა საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაცემის შემდეგ კავკასიის მთის ხალხებში ჩამოყალიბდა სამხედრო-მეომრული საზოგადოებები, რომელთა ძირითად საქმიანობას ბრძოლა და ნადავლის მოსაპოვებლად თარეში წარმოადგენდა. ნართების ეპოსის ჩეჩნურ და ინგუშურ ვერსიებში დადასტურებული ამბები, რასაკვირველია, ისტორიული მოვლენების თავისებურ, გამითიურებულ ანარეკლს წარმოადგენს. მაგრამ ეს ისტორიულობა ხალხურ ნაწარმოებში, მ. ელიადეს სიტყვებით, „მითოლოგიის გამანადგურებელ ზემოქმედებას ვერ უძლებს“ (ელიადე 2017: 69). ისტორიული მოვლენა ხალხის მეხსიერებაში, როგორც წესი, დიდხანს ვერ ჩერდება, ფორმას იცვლის და საერთო მითიურ არქეტიპულ მოდელს ესადაგება. ასეთ ვითარებას ვაწყდებით ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებშიც.

ჩეჩნები, ინგუშები და ქართველი მთიელები

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, რწმენა-წარმოდგენებში და, რაც მთავარია, ფოლკლორში, ვხვდებით ისეთ ელემენტებს, რომლებიც ქართული კულტურის გავლენაზე მიგვანიშნებს. როგორც ცნობილია, საქართველოს გავლენა მეზობელ ხალხებზე განსაკუთრებით ძლიერი იყო XI-XII საუკუნეებში, როცა კავკასიის პოლიტიკურ რუკაზე საქართველო ძლევამოსილ სახელმწიფოდ იყო წარმოდგენილი.

იმ დროს, როცა მიმდინარეობდა ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების შეკრება და ჩაწერა, XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, ვაინახების ყოველდღიური ცხოვრების სტილი დიდად არ განსხვავდებოდა მათი მეზობელი ქართველი მთიელების, კერძოდ, ხევსურების, მოხევეების, თუშებისა და ფშავლების ტრადიციული ყოფისგან. უნდა ვიფიქროთ, რომ ასე უნდა ყოფილიყო XVII-XVIII საუკუნეებშიც და უფრო ადრეც. მათ ფოლკლორში ასახული ზნეობრივ-მორალური ფასეულობები ქართველი მთიელების, ჩეჩნებისა და ინგუშების მენტალურ სიახლოვეს ადასტურებს.

როგორც წესი, ნაციონალური ეპოსის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ერთი საზოგადოების, ერთი ხალხის შიგნით არსებული ტრადიციული გარემო, არამედ მის ირგვლივ მიმდინარე კულტურული, პოლიტიკური და რელიგიური პროცესებიც. ნართების ეპოსის ჩეჩნურ და ინგუშურ ვერსიებში ძირითადი მოქმედებები ხდება ქართველი მთიელების მეზობლად, მდინარეების - არღუნისა და ასის ხეობებში. ქართველმა მთიელებმა, ჩეჩნებმა და ინგუშებმა ერთმანეთის მეზობლად ჩამოაყალიბეს ზეპირი კანონებისა და წეს-ადათების მეტად რთული, მაგრამ უაღრესად მწყობრი სისტემა, რომელსაც ეფუძნებოდა ხევსურული საყმოებისა და ნახური თეიფების ყოველდღიური ცხოვრება. ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით ყალიბდებოდა მეზობელი ხალხების რჯული, ზეპირი პრეცედენტული სამართალი, ქცევის ნორმები, საზოგადოებრივი მორალი. ასეთ ტრადიციულ გარემოში იქმნებოდა მსგავს მოტი-

ვებსა და სიუჟეტებზე დაფუძნებული ქართველ მთიელთა ანდრეზები და ნახური საგმირო თქმულებები ნართ-ორსთხოელებზე.

ჩეჩნები, ინგუშები და მათი მეზობელი ქართველი მთიელები XX საუკუნის შუაწლებამდე ტრადიციულ საზოგადოებებად ცხოვრობდნენ. არავინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა არქაულ ელემენტებზე დაფუძნებული მათი პატრიარქალური ცხოვრების წესი, რომ არა ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაცია. 1944 წელს საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით ჩეჩნები და ინგუშები შუა აზიაში გადაასახლეს, ხოლო 1952 წელს ხევსურებიც აყარეს მშობლიური მთებიდან და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სოფლებში ჩაასახლეს. დაცარიელდა არწივთა საბუდარივით კლდეზე აკრული ხევსურული სოფლები და ქისტური აულები. მშობლიურ კუთხეს მოწყვეტილ მთიელთა ფოლკლორულ შემოქმედებაში ამის შემდეგ მნიშვნელოვანი აღარაფერი შექმნილა. დაიწყო ტრადიციებისა და მთელი რიგი ფოლკლორული ჟანრების გაქრობის ხანა. ტრადიციულ ხალხურ ყოფას მოწყვეტილი ზეპირი ტექსტები თანდათან დავიწყებას მიეცა. საბედნიეროდ, ფოლკლორისტებმა წერილობით დააფიქსირეს და ჩანაწერების სახით შემოუნახეს მომავალ თაობებს კავკასიონის მიუვალ ხეობებში მოსმენილი სევდიანი საგმირო სიმღერები, რელიგიური თქმულებები და მითოლოგიური გადმოცემები.

ჩეჩნები და ინგუშები მონათესავე ხალხები არიან. მათი ენები გამოირჩევა განსაკუთრებული სიახლოვით. ჩეჩნები და ინგუშები ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ და, შესაბამისად, მათ ფოლკლორშიც ბევრ საერთოს ნახავს როგორც მკვლევარი, ისე რიგითი მკითხველი. აქედან გამომდინარე, ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების ერთ წიგნად გამოცემა გადავწყვიტე, რადგან, ჯერ ერთი, არსებობს ჩეჩნური და ინგუშური ეპიკური ტექსტების ერთ წიგნად დაბეჭდვის ტრადიცია. მეორე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ქართველი მთიელები ჩეჩნებსა და ინგუშებს ტრადიციულად ერთ ხალხად მოიაზრებდა, საერთო ეთნიკური სახელწოდებით „ქისტი“. ასეა, რადგან ქართველი მთიელები ჩეჩნებსა და ინგუშებს საერთო წარმომავლობის, წესჩეულებებისა და საერთო ადათების მქონე ერთ ხალხად მოიაზრებდა და არა იმიტომ, რომ ქართველები ვერ არჩევდნენ ინგუშსა და ჩე-

ჩენს. ქართველები ძალიან კარგად იცნობდნენ მეზობელი ინგუშებისა და ჩეჩნების აულებს, თეიფებსა და ხეობებს, თავიანთი კონკრეტული სახელწოდებებით. ფშავ-ხევსურული ბალადები ჩეჩენ და ინგუშ პერსონაჟებს მოიხსენიებს საკუთარი სახელებითა და ტოპონიმური სახელწოდებებით: ღილღველი, შავანელი, მითხოელი, მაისტელი, ტერელოელი, ხამხელი, ტერღელი, სახანოელი, და ა. შ. მაღალმთიანეთში მცხოვრებ ჩეჩნებსა და ინგუშებს თავიანთ ენაზე არ ჰქონდათ საერთოტომობრივი სახელწოდება. „ნოხჩუო“ და „ღალღაი“ მოგვიანებით გახდა ამ ხალხების ეთნიკური სახეწოდება. საერთო სახელწოდებით მათ მეზობელი ქართველები იცნობდნენ. შუა საუკუნეების ქართულ ისტორიულ წყაროებში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საგმირო ბალადებში, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასა და გაბრიელ ჯაბუშანურის შემოქმედებაში ჩეჩნები და ინგუშები ქისტების სახელწოდებით ხსენდებიან. ქართველი მთიელები XX საუკუნის ბოლომდე მათ, ფაქტობრივად, ამ ეთნონიმით იცნობდნენ.

ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ზოგიერთი მხარე (ღილღო, მითხო, მაისტი, თერეთეგო, ტერელო და ჰილდიჰარო) უშუალოდ ემეზობლებოდა ხევსურეთსა და, ნაწილობრივ, თუშეთს. ღილღველებს, მითხოელებს, მაისტელებს, ტერელოელებსა და ჰილდიჰაროელებს ქართველ მთიელებთან ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. არც თუ იშვიათად მათ შორის იყო დანათესავების, დაძმობილებისა და დამოყვრების შემთხვევები. სისხლის აღების თუ სხვა სახის კონფლიქტის ნიადაგზე არაერთმა ქართველმა მთიელმა დატოვა თავისი სამშობლო და სამუდამოდ ქისტების (ჩეჩნებისა და ინგუშების) აულებში დაიდო ბინა. არღუნის ხეობაში მცხოვრები ჩეჩნების არაერთი გვარის წარმომადგენელი მიუთითებდა თავის ქართულ წარმოშობაზე. ა. იპოლიტოვის ცნობით, ზუმსოის გვარის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ მათი წინაპარი არღუნის ხეობაში საქართველოდან მივიდა და იქ დასახლდა; საგვარეულო გადმოცემის მიხედვით, ქელოის გვარის წინაპარი თუში ყოფილა; ვარანდოები ჩეჩნეთში ხევსურეთიდან მისულან და ა. შ (Ипполитов 1868: 4). როგორც ე. კრუპნოვი აღნიშნავს, „მთიანი ინგუშეთის თითქმის ყოველ აულში მოვისმენთ

გადმოცემებს მეზობელ ქართველ ტომებთან ინგუშების ურთიერთობის შესახებ. მისი კვლევების თანახმად, ცნობილი ინგუშური გვარების - ევლოევებისა და ზაუროვების წინაპრები, რომლებიც ასის ხეობის მთიან აულებში ცხოვრობდნენ, ინგუშეთში საქართველოდან იყვნენ მისული. ხამხელი ბექბუზაროვების გვარს კი ხევსურული წარმომავლობა ჰქონია (Крупнов 1971: 49). ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თითქმის ყველა თემში ცხოვრობენ ჩეჩნეთიდან და ინგუშეთიდან ოდესღაც სხვადასხვა მიზეზით გადმოსახლებული მთიელები, რომლებმაც ირწმუნეს ადგილობრივი ჯვარხატები, ყმად გაეფიცნენ მფარველ წმინდანებს, მიიღეს ქართული გვარები, შეითვისეს ქართული ენა, ქართული წეს-ჩვეულებები, სამუდამოდ საქართველოში დამკვიდრდნენ და ქართველი ხალხის სისხლხორცეულ ნაწილად იქცნენ.

მართალია, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორულ შემოქმედებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების ქართულმა კულტურამ, მაგრამ ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების თანამედროვე მკვლევარები რატომღაც პარალელს ავლებენ რუსულ, სკანდინავიურ, ავსტრალიურ, პოლინეზიურ მითებთან, აგრეთვე ციმბირისა და ცენტრალური ამერიკის ხალხების ფოლკლორთან. მათ შრომებში საერთოდ ვერ შევხვდებით რაიმე პარალელს ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან, როცა ცნობილია, რომ ჩეჩნების, ინგუშებისა და მათი მეზობელი ქართველი მთიელების ფოლკლორული შემოქმედება ამ ხალხების მეზობლობასა და მჭიდრო ურთიერთობაში ყალიბდებოდა.

ქისტები და ქართველი მთიელები ერთმანეთს უცხოებად არასოდეს მიიჩნევდნენ. ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა ორ ხალხს შორის მაშინ დამყარდა, როცა საქართველოს გავლენით იქ ქრისტიანული რელიგია გავრცელდა. ჩრდილოეთ კავკასიის და მათ შორის შუა საუკუნეების ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ცნობილი მკვლევარი ე. კრუპნოვი წერს, რომ „იმ მწირი ისტორიული ცნობებიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთში და საერთოდ ცენტრალურ კავკასიაში ქრისტიანობა საქართველოდან შევიდა და იქ თანდათან გავრცელდა“ (Крупнов 1971:

195). ასის ხეობაში დღემდე შემორჩა ქრისტიანული ტაძრები და სამლოცველოები: თამიჟ-ერდი (მთავარანგელოზი, მფრინავი ანგელოზი), ამღალი-ერდა (ამაღლების სალოცავი), თხობა-ერდა (ღვთაების სალოცავი), მელერ-ერდა, გალ-ერდა და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატთა იერარქიის მსგავსად, ღილღოშიც დასტურდება ღვთისშვილთა მოძმეობის ინსტიტუტი. ღილღველების რწმენით, სალოცავები: ამღალი-ერდი, თამიჟ-ერდი და მეთ-წელი ერთმანეთის მოძმეები იყვნენ, უზენაესი ღმერთის - დელას შვილები (Далгат 2015: 108). 1886 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც აკად. ვ. მილერი ხელმძღვანელობდა, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მაღალმთიანეთში არაერთი ქრისტიანული ძეგლი აღნუსხა. ვ. მილერს მთიან ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ქრისტიანობის საქართველოდან გავრცელების უტყუარ დადასტურებად მიაჩნდა ჩეჩნური და ინგუშური ენის მონაცემები, რომლის მიხედვით, რელიგიურ კულტთან დაკავშირებული სახელწოდებები ქართული ენიდან იყო შესული. ცხადია, რომ, XI-XIII საუკუნეებში, საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ზეობის პერიოდში, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის სალოცავებში, ისევე როგორც მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში, ღვთისმსახურება ქართულ ენაზე აღევლინებოდა. ვს. მილერის ცნობით, 1886 წელს, როდესაც მან მთიან ჩეჩნეთსა და ინგუშეთში იმოგზაურა, ჯერ კიდევ ცოცხლობდა ქრისტიანული ტრადიციები. იგი წერს: „ის ადგილები, სადაც ოდესღაც ქრისტიანულ წმინდანებს ლოცულობდნენ, დღემდე სარგებლობს პატივისცემით, განსაკუთრებით მოხუცებსა და ქალებს შორის“ (Миллер 1888: 2). ჩ. ახრიევმა და ვს. მილერმა აღწერეს მთიანი ინგუშეთის გახალხურებული ქრისტიანული დღესასწაულები, რომლებსაც XIX საუკუნის 70-იან - 80-იან წლებში ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ აღნიშნავდა (Ахриев 1871: 317-332). „ელგიზებისა“ და „ერდებისადმი“ მათი თაყვანისცემა თითქმის არაფრით განსხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატთა დღესასწაულებისგან. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც და მთიან ინგუშეთშიც ყოველ

თემ-სოფელს თავისი მფარველი წმინდანი ჰყავდა, ხოლო ყოველ სალოცავს - თავისი მლოცველები; ორივეგან ხალხური რელიგიური დღესასწაულები ქრისტიანულ კალენდარს ეყრდნობოდა; დღესასწაულს კულტმსახური უძღვებოდა; ორივეგან წლის ყველაზე დიდი დღესასწაულები ზაფხულში ტარდებოდა; დღესასწაულისთვის ლუდს ადუღებდნენ და მფარველ წმინდანს მეძღვნეები ქადებს, სანთლებს, ცხვრებსა და მოზვრებს სწირავდნენ; ბევრ სალოცავში, როგორც ფშავ-ხევსურეთში, ისე ჩეჩნეთ-ინგუშეთში, ცალკეული გვარის წარმომადგენლებს საკუთარი ადგილი და ქვის სკამი ჰქონდა მოწყობილი. ორივეგან საკულტო რიტუალში იყენებდნენ ვერცხლისა და სპილენძის თასებს, აგრეთვე ზანზალაკებით დამშვენებულ საკულტო დროშებს; ორივეგან მფარველ წმინდანთა საბრძანისი მდებარეობდა როგორც სოფლის სიახლოვეს, ისე მაღალი მთების მწვერვალებზე. ვ. მილერის ცნობით, მთიან ინგუშეთში, მეცხალის საზოგადოებაში, მაღალ მთაზე აღმართული იყო სალოცავი, რომელსაც ინგუშები ამღალს უწოდებდნენ, სადაც დღესასწაულზე თეთრ სამოსელში გამოწყობილი უხუცესის წინამძღოლობით მლოცველები ადიოდნენ და საკულტო რიტუალებს მართავდნენ (Миллер 1888: 3). უნდა ვიფიქროთ, რომ სალოცავის სახელწოდება „ამღალ“ უნდა მომდინარეობდეს ქართული ქრისტიანული სახელწოდებიდან „ამაღლება“. როგორც ხევსურეთში, ისე მთიანი ინგუშეთის ყველა სოფელში, ან სოფლის სიახლოვეს იყო ადგილის დედა-ღვთისმშობლის სალოცავი, რომელსაც ღილღველები თიშუოლს უწოდებდნენ. სიტყვა თიშუოლი და მისი კულტი რომ ღვთისმშობლის თაყვანისცემიდან მომდინარეობს მდიდარი ლინგვისტური მასალის გამოყენებით მკაფიოდ წარმოაჩინა ცნობილმა ქართველმა ენათმეცნიერმა ალ. ჭინჭარაულმა (ჭინჭარაული 1979: 240). რუსულენოვანი სამეცნიერო წრეები აღნიშნულ შრომებსა და ქართული ენის მონაცემებს, რის მიხედვითაც იხსნება თიშუოლის ღვთისმშობლიდან წარმომავლობა, სამწუხაროდ, არ იცნობენ. შესაბამისად, მათ მცდარი დასკვნები გამოაქვთ და თიშუოლის ფრიგიულ წარმოშობაზე მიუთითებენ. ინგუშუ-

რი ეპოსის მკვლევარები მამრი ღვთაების ნიშნებს ეძებენ „სანიბა-ერდის“ კულტში (Халухаев… 2013: 98), რომელიც ქართულ ენზე სიტყვასიტყვით „სამების სალოცავს“ აღნიშნავს.

მთიან ჩეჩნეთსა და ინგუშეთში მოწყობილ 1886 წლის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ვს. მილერმა ჯვრის უამრავი გამოსახულება აღმოაჩინა, მათი უმრავლესობა ლითონისგან იყო დამზადებული, ნაწილიც - ქვაში გამოკვეთილი. ვს. მილერის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ასისა და არღუნის ხეობებში აღმართულ კოშკებზე გამოსახულმა ჯვრებმა. კოშკების ადგილმდებარეობა აშკარად მათ სტრატეგიულ დანიშნულებაზე მიუთითებდა. როგორც წესი, კოშკებს ისეთ ადგილებში აგებდნენ, საიდანაც მოსახერხებელი იყო სივრცის დაზვერვა და თვალთვალი. ჩეჩნეთისა და ინგუშეთის კოშკები, სტილური თვალსაზრისითა და მათზე გამოსახული ჯვრების მიხედვით, ვს. მილერმა ქართულ ტრადიციას დაუკავშირა. მისი აზრით, კოშკების მშენებლობის ხელოვნება მთიან ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ქართველ მშენებლებს უნდა შეეტანათ, რადგან ხაიბახისა (ჩეჩნეთი) და ღილღოს კოშკებზე გამოსახული ჯვრები, აშკარად მშენებელთა ქრისტიანულ აღმსარებლობაზე მიუთითებდა, რომლებიც ყველაზე მეტად ქართველი ოსტატები უნდა ყოფილიყვნენ (Миллер 1888: 40). ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მთიანეთში დღემდე შემონახული კოშკები ჩეჩენი და ინგუში ხალხების მატერიალური კულტურის უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლებია. კოშკები ჯვრების გამოსახულებით იმ ღილღველ და ჩეჩენ მშენებლებსაც შეიძლება აეგოთ, რომლებიც ქრისტიანულ რელიგიას აღიარებდნენ. მრავალსართულიანი კოშკების მშენებლობა კავკასიის თითქმის ყველა მაღალმთიან რეგიონში, მათ შორის სვანეთში, ისტორიულ დვალეთში, ხევსურეთში, თუშეთში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, ადგილობრივ ნიადაგზე გადამუშავდა და მან იმ კუთხეებისთვის დამახასიათებელი სახე მიიღო. ხევსურული გადმოცემების თანახმად, ქისტები საუკეთესო ციხეთმშენებლები იყვნენ. კოშკები და მისი მშენებლები ხშირად ხსენდებიან ჩეჩნურ და ინგუშურ სიმღერებში (ხანგოშვილი 2006: 96-107). XIX

საუკუნის II ნახევრის ჩეჩენი მკვლევარი უ. ლაუდაევი[3] კოშკების მშენებლების შესახებ აღნიშნავს: «Предание говорит, что они были керестанами, т. е. Христианами»[4] (Лаудаев 1872: 41). აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩეჩნეთსა და ინგუშეთში კოშკები ქრისტიანულ ეპოქაში აშენდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ადგილობრივი მოსახლეობა ქრისტიანობას აღიარებდა. ინგუშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები ცხადყოფენ, რომ IX-X საუკუნეებიდან ქართველი სასულიერო პირები და ხელისუფალნი იქ ინტენსიურად ავრცელებდნენ ქრისტეს რჯულს. ამის დასტურია ტყობა-ერდის ტაძარი, რომელიც ქართველ საეკლესიო და საერო მოღვაწეებს მთიან ინგუშეთში IX-X საუკუნეებში აღუმართავთ, ხოლო XIV-XV საუკუნეებში ხელახლა შეუკეთებიათ. ეკლესიის ქართულ წარმომავლობას ადასტურებს იქ აღმოჩენილი XI-XII საუკუნეების ფსალმუნი, აგრეთვე, ამავე ტაძრის კედლებზე ასომთავრული ქართულით შესრულებული ლიპიდარული წარწერები, რომლებშიც ხსენდებიან საქართველოს საეკლესიო მოღვაწენი: ეპისკოპოსი გიორგი (X ს.), კათალიკოსი არსენ II (955-980) და პატრიარქი მელქისედეკ I (XI ს. I ნახ.) (ღამბაშიძე 2008: 518). ღილღური ლეგენდის თანახმად, ტყობა-ერდის ეკლესიის მშენებლებს ტაძრის ასაშენებლად საჭირო ქვებიც საქართველოდან მოუტანიათ.

შუა საუკუნეების ქართული ისტორიული ქრონიკები მოგვითხრობენ ქართველი სასულიერო პირების მოღვაწეობაზე მთიან ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, ე. წ. „ნახჩების ქვეყანაში“. მაღალაშვილის სახარების XIV საუკუნის მინაწერის მიხედვით, გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს (1318-1346) საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ექვთიმე III-ს უმოგზაურია საქართველოს განაპირა მხარეში და სწვევია ადგილობრივ ეკლესიებსა და მონასტრებს. პატრიარქს მათ შო-

[3] უმალათ ლაუდაევი (1827-1899) - პირველი ჩეჩენი მკვლევარი, რუსეთის არმიის ოფიცერი, მონაწილეობდა 1848-1849 წწ უნგრეთის რევოლუციის ჩახშობაში, აგრეთვე, 1877-1879 წწ რუსეთ-თურქეთის ომში. მიღებული აქვს რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოები.

[4] გადმოცემა ამბობს, რომ ისინი იყვნენ ქერისტიები, ე. ი. ქრისტიანები (რუს.).

რის უმოგზაურია „ნახჩეს ხალხებში“ და ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად, მისი განკარგულებით, ყველა ეკლესიასა და მონასტერში დაუგზავნიათ სახარება. „გალი-ერდის სალოცავის ჭურჭელზე XVII-XVIII საუკუნეების ქართული წარწერები ქრისტიანულ საქართველოსთან ინგუშების უფრო გვიანდელ კავშირზეც მიუთითებს“ (Крупнов 1971: 74).

2016 წლის ზაფხულში ჩეჩნეთის მაღალმთიანეთში, კერძოდ მითხოს (ჩეჩნ. მელხისტი) ნასოფლარ წაჲ-ფვჲედაში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს საკულტო თასები ძველი ქართული (ასომთავრული) წარწერებით (Мамаев... 2016: 333-336). ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მთიან სოფლებში შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამლოცველოებთან არტეფაქტებს ასომთავრული ქართული წარწერებით გასულ საუკუნეში მეცნიერებმა არაერთხელ მიაკვლიეს. ჩეჩენ არქეოლოგებს იმედი აქვთ, რომ წაჲ-ფვჲედაში[5] ქართულ-ნახური კულტურული ურთიერთობის ამსახველი არტეფაქტები შეიძლება მომავალშიც გამოვლინდეს.

გაზეთ „Кавказ“-ის[6] 1849 წლის მე-3 ნომერში (15 იანვარი, 1849წ.) პოსვიტსკის ფსევდონიმით დაიბეჭდა წერილი „ეკლესია სოფელ ხულში, ქისტებთან“ (Церков в деревне Хули, у кистов). სოფელი ხული მთიან ინგუშეთში, ჯეირახის ხეობაში მდებარეობს. საგაზეთო წერილის მიხედვით, ცხადი ხდება, რომ ამ სოფლის მოსახლეობა XIX საუკუნის შუა წლებში ჯერ კიდევ ეკლესიური იყო და ჯერ კიდევ იცავდა ქრისტიანულ წეს-ადათებს (Посвытский 1849: 10). წერილის ავტორის ცნობით, სოფელ ხულის მცხოვრებლები, ასაკისა და სქესის განურჩევლად, ქრისტიანულ დღესასწაულზე ეკლესიაში მიდიოდნენ და იქ შემდეგი სიტყვებით ლოცულობდნენ: „მოგვეც წყალო-

---

[5] წაჲ-ფხჲედა: ნასოფლარი მითხოში, საკულტო ცენტრი შუა საუკუნეების სალოცავებითა და მიცვალებულთა აკლდამებით. მას მკვდართა ქალაქსაც უწოდებენ. სიტყვა „წაჲ“, წეჲ-ს ჩეჩნურ და ინგუშურ ენებში აქვს მრავალი მნიშვნელობა, მათ შორის: „წმინდა“, „წმინდანი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღილღოში (ინგუშეთში) გვხვდება მთის სახელწოდება: „წეჲ-ლამ“ - წმინდა მთა, მთაწმინდა.

[6] გაზეთი „Кавказъ“ - რუსულენოვანი გაზეთი, რომელიც 1846-1918 წლებში გამოდიოდა თბილისში. მასში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა პუბლიკაციებს კავკასიის ხალხთა ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის საკითხებზე.

ბა, უფალო და წმინდა ერდავ, დაგვეხმარე მეთწიელასთან ერთად, პურის უხვი მოსავალი მოგვეცი, პირუტყვი გაგვიმრავლე, მტრისა და შფოთისგან დაგვიცავი!“ (Посвытский 1849: 10).

ლოცვის აღვლენის შემდეგ ეკლესიასთან მსხვერპლშეწირვა იმართებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხულელები ბავშვის დაბადებას ქრისტიანულად აღნიშნავდნენ და მიცვალებულსაც ქრისტიანულ ტრადიციასთან შერწყმული წეს-ადათებით კრძალავდნენ, სტატიის ავტორს ისინი ქრისტიანებად მაინც არ მიაჩნია და წერს: „ხულელები თებერვალსა და მარტში ისევე მარხულობენ, როგორც ქრისტიანები. სამარხვო საჭმელი შედგებოდა მცენარეული და არა ცხოველური საკვებისგან (Посвытский 1849: 10). წერილის ავტორის აზრით, მათი მარხვა წარმოადგენდა უტყუარ მტკიცებულებას, რომ ხულელები ოდესღაც ქრისტიანები იყვნენ, თუმცა მარხვის დაწყების ზუსტი თარიღი განსაზღვრული არ ჰქონიათ.

ამანდ ფონ შვაიგერ-ლერხენფელდის (1846-1910) ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ჩეჩნები XIX საუკუნეში ჯერ კიდევ იცავდნენ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს. იგი წერს: „მდინარე სუნჯასთან მდებარე ძველ ეკლესიასთან, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ქართველმა მეფემ, თამარმა ააშენა, ჩეჩნები წელიწადში ორჯერ (აღდგომასა და სამების დღესასწაულზე) რელიგიურ რიტუალს მართავენ, რათა მფარველ წმინდანს მსხვერპლი შესწირონ. ისინი მსხვერპლად ცხვრებსა და კურატებს სწირავენ. საკლავის სისხლს ეკლესიის კედლებს აპკურებენ, თავებს კი კედლებზე აჭედებენ“ (Schweiger-Lerchenfeld 1887: 343).

ინგუშური თქმულებები „სესქათ სოლსა და გორჟაი“, „როგორ გაჭრა ბეთარმა მდინარე ასის კალაპოტი“ და სხვები გვიდასტურებენ, რომ ჩეჩნები და ინგუშები ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებთან შერწყმულ რიტუალებს აღავლენდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ რაც მთიან ჩეჩნეთ-ინგუშეთის ეკლესიებსა და ჯვარ-სალოცავებში შეწყდა ქრისტიანული ღვთისმსახურება, ჩეჩნები და ინგუშები საზღვრისპირა სოფლებიდან ხევსურეთის ჯვარ-ხატებში - ანატორის, ხახმატისა და სანების ჯვარში - მიდიოდნენ სალოცავად და მსხვერპლის შესაწი-

რად. ჯვარიონი ქისტ მეხვეწურს განსაკუთრებული პატივისცემით ეგებებოდა. როგორც ქადაგი საღირა იტყოდა, „ქისტების მაღებულივ ბაჩაყურაივ[7] ერჩივავ ანატორის ჯვარსავ, ჩვენ საკლავსავ, აისრ მიღებულებ ჰყავდავ ქისტებივ ანატორის ჯვარსავ“ (თსუფა №29865).

ხევსურული ანდრეზები მოგვითხრობენ საკრალურ ისტორიებს: ჯვრის დროშით, თას-განძითა და ჯვარიონის თანხლებით ხევსური ხუცესების მოგზაურობას მთიანი ჩეჩნეთის მაღალმთიან და მიუვალ აულებში, სადაც ისინი ძველი ქისტური სახლების ბანზე[8] კულტმსახურებას აღავლენდნენ, ნათლავდნენ და აკურთხებდნენ საცხოვრებელ სახლებს, ამწყალობნებდნენ შეწირულ ძღვენს, მფარველი წმინდანის სახელზე კრეფდნენ ბეგარას. „ჩემ პაპა გიგიაიც შატილის ხუცეს იყვასავ, მიჰყავდასთ ქისტეთჩიავ და სახლის ბანებზედავ ახუცვინებდესავ.“ – 1995 წელს შატილში მიამბო მზექალა აბაის ასულმა ჭინჭარაულმა (დაბად. 1918 წ). მისივე ცნობით, ქისტებს თავიანთი ხუცესიც ჰყოლიათ, სახელგანთქმული ბახაგა, რომელსაც ხევსური ხუცესების მსგავსად მფარველი წმინდანი მტრედის აღით ხელზე და მხარზე მოუდიოდა (მამისიმედიშვილი 1997: 21). „ბახაგა ანატორის ჯვარჩიავ ხუცობდის: - ანაქორინ წა წეიმ ბარა! - გწყალობდასთ ანატორის ჯვარივ!“ - მიამბობდა შატილში მზექალა აბაის ასული ჭინჭარაული (ანდრეზები 2009: 102).

მთიან ჩეჩნეთში მოსახლეობის ყოველდღიური ყოფისა და რელიგიური აღმსარებლობის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ა. ზისერმანი, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის მმართველის მოადგილე, რომელმაც 1848 წლის ივლისში მაისტში იმოგზაურა და შეხვდა ამ საზოგადოების თავკაცს ჯოყოლა მაისტელს[9]. ჯოყოლამ მეფის არმიის ოფიცერს მთის ტრადიციის შესაბამისად,

---

[7] ბაჩაყურა: რიტუალური ქადა, რომელსაც მთიელი ჩეჩნები სადღესასწაულოდ აცხობდნენ.

[8] ხევსურული ტრადიციის მიხედვით, ბანი ითვლება საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ ყველაზე წმინდა და სუფთა ადგილად, რადგან როდესაც ჯვარიონს ოჯახის დასალოცად იწვევდნენ, ჯვრის დროშებსა და თას-განძს ბანზე განალაგებდნენ და რამდენიმე ხუცესი კულტმსახურებას იქ ერთდროულად აღავლენდა.

[9] ჯოყოლა მაისტელი მაშინ 30 წლის იყო, ხოლო არნოლდ ზისერმანი, მეფის არმიის ოფიცერი - 24 წლის.

გულთბილად უმასპინძლა. ის სტუმარს დიდხანს უყვებოდა მიურიდების მოთხოვნებზე, რომლებიც ისლამის განმტკიცებას ავალდებულებდნენ. მასპინძელმა ზისერმანს სიამაყით უამბო იმის შესახებ, თუ როგორ დაიცვეს მამაცმა მაისტელებმა თავიანთი დამოუკიდებლობა და განდევნეს ჩეჩნები, რომლებმაც შამილის ბრძანებით მათ სოფელს ალყა შემოარტყეს. ჯოყოლა მაისტელმა თავის სტუმარს არც ის დაუმალა, თუ მცირე რაზმებით როგორ დათარეშობდა ალაზნის ველზე, საიდანაც არაერთხელ მოუყვანია მაისტში კახელი ტყვეები (Зиссерман 1879: 198). ა. ზისერმანს მაისტში იმდენად პირქუში სანახაობა გადაეშალა, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ის თავის მემუარებში ყურადღებას ამახვილებს მაისტის ხეობის განსაკუთრებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებზე: „კავკასიის მთელი მაღალმთიანეთი, ყველა შესაძლო მიმართულებით, საკმარისად მომივლია, მაგრამ ასეთი მკაცრი გარემო და ბნელი ხეობა, როგორიც იყო მაისტი, თავისი სამი სოფლით, მე არსად მინახავს“ (Зиссерман 1879: 198). ა. ზისერმანმა მაისტში ქრისტიანული რელიგიის კვალსაც მიაგნო. ის წერს: „[მაისტში] ერთ აულს ჰქვია „წახილ-გოი“, რომელიც ითარგმნება როგორც „ჯვრის სოფელი“, აქ ოდესღაც უეჭველად ქრისტიანული სამლოცველო უნდა ყოფილიყო“ (Зиссерман 1879: 198). ღილღოში XIX საუკუნის ბოლომდე თითქმის ყველა სოფელს ჰქონდა თავისი ქრისტიანული სალოცავი. მ. წაროევას ცნობით, ღილღოში ქრისტიანულ ეკლესიებთან სკოლებიც არსებობდა, სადაც ღილღველ ბავშვებს ქართულ ენას ასწავლიდნენ. კავკასიის დაპყრობის შემდეგ რუსეთმა ღილღოს სკოლებში ქართული ენის სწავლება აკრძალა (Цароева а 2016: 136). რუსეთ-კავკასიის ომების პერიოდში ჩეჩნეთში ისლამი კიდევ უფრო გაძლიერდა, რომელსაც შამილის მიურიდები ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ.

გერმანელი მოგზაური გ. მერცბახერი, რომელმაც 1891-1892 წლებში კავკასიის მაღალმთიან რეგიონებში იმოგზაურა, ხევსურებსა და ჩეჩნებს შორის გახშირებულ კონფლიქტებს ჩეჩნეთის მაღალმთიან აულებში ისლამის გავრცელებითა და გაძლიერებით ხსნის

(Merzbacher 1901: 61). ისლამის გაძლიერებამ, მართალია, უარყოფითად იმოქმედა ქართველი მთიელების ურთიერთობაზე ჩეჩნებსა და ინგუშებთან, მაგრამ, გადმოცემების მიხედვით, მათ შორის გარკვეულწილად მაინც შენარჩუნდა მეგობრობა და კეთილმეზობლობა. ქართველი მთიელებისა და ქისტების არაერთ წეს-ჩვეულებასა და ხალხურ ადათს ჰქონდა მსგავსი სტრუქტურა, შინაარსი და საზრისი. ისინი ხშირად არაფრით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

ხალხური თქმულებები ტრადიციული საზოგადოების ყოფას აირეკლავს. შესაბამისად, ნართ-ორსთხოელების თემაზე შექმნილ თქმულებებში მკითხველი ჩეჩენი და ინგუში ხალხების ტრადიციული ყოფისა და ქრისტიანული კულტურის არაერთ ელემენტს შეხვდება. ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. ნართების ეპოსი, რომელმაც არაერთი თაობა გამოიარა, სრულად წარმოაჩენს ჩეჩენი და ინგუში ხალხების იდეალებს, ცხოვრების წესს, ზნეობრივ და მორალურ ფასეულობებს, მათ დაფარულ სულიერ და შემოქმედებით შესაძლებლობებს.

პერსონაჟები

ადგილობრივი გმირები და ნართ-ორსთხოელები

როგორც ვაინახების ტრადიციული ყოფის აღმწერლები მიუთითებენ, გვიან შუა საუკუნეებში ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ცალკეულ თეიფებსა და საზოგადოებებს შორის ადგილი ჰქონდა მტრობასა და საბრძოლო შეტაკებებს. ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ არა მხოლოდ მეზობელი თემები, არამედ კონკრეტული გვარებიც. მტრულად გაწყობილ ჯგუფებს შორის პერმანენტულ კონფლიქტებს გვიდასტურებენ ხალხური ეპიკური ტექსტებიც. ცალკეულ საზოგადოებებსა და გვარებს შორის მტრობა-დაპირისპირებას, ურთიერთთავდასხმებსა და შეხლა-შემოხლას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში.

ინგუშურ და ჩეჩნურ თქმულებებში პერსონაჟთა ერთი ნაწილი მიეკუთვნება ნართ-ორსთხოელებს, ხოლო მეორე ნაწილი - ადგილობრივ თეიფებს. თქმულებებში ძირითად კონფლიქტს ხშირად ადგილობრივ გმირებსა და ნართ-ორხუსთოელებს შორის დაპირისპირება წარმართავს. ამ დაპირისპირებაში ხან ერთი მხარე იმარჯვებს, ხან - მეორე. უფრო ხშირად კი წარმატებას აღწევენ და დადებით თვისებებს ავლენენ ადგილობრივი გმირები. ხალხური საგმირო ეპოსი ზოგადად ისეთ პერსონაჟებს წარმოგვიდგენს, რომლებიც იბრძვიან და გადიან გამოცდას. ისინი, მართალია, მუდამ ვერ იმარჯვებენ, მაგრამ თავიანთი საქციელით მსმენელს მაინც აღაფრთოვანებენ (Zumthor 1990: 96).

ნართ-ორხუსთოელთა მეომრული საზოგადოების წევრები არიან სესქათ სოლსა, ბოთოყო შირთყა, ხამჩით ფათარაზი, ორზმი, კინდათ შოა, თახშაყო და სხვ. ჩეჩნურ თქმულებებში ხსენდებიან უფრო მეტად უსახელო ნართ-ერსთხოელები, რომლებიც ძირითადად შვიდნი ძმანი არიან. ინგუშურ თქმულებებში ადგილობრივ გმირებს წარმოადგენენ ქოლოი კანთი, ოხქირ კანთი, ბარახოი კანთი, ეშქი, გორჟაი; ჩეჩნურ თქმულებებში - თინინ ვისუ, ღეზამათ ალი და სხვ. თქმულება-გადმოცემები ადგილობრივ გმირებს, ისევე როგორც ნართ-ორხუსთოელებს, მითოლოგიურ ნიშან-თვისებებს მიაწერენ, მაგრამ

ეს გარემოება მათ სულაც არ უკარგავთ მხატვრულ დამაჯერებლობას. როგორც ვ. ფ. ოტო აღნიშნავს, „მითს აინტერესებს არა მხოლოდ ცხოვრებისეული სინამდვილე, არამედ ადამიანის არსებობაეგზისტენცია, რომელიც ყოველივე რეალურს მოიცავს“ (Otto 1962: 240). თქმულებებში ე. წ. ადგილობრივ გმირებს ღილღური და ჩეჩნური ისტორიული გვარების მითიურ წინაპართა სტატუსიც ენიჭებათ, რაც მათ რეალურობას კიდევ უფრო აძლიერებს. ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, ისევე როგორც მათ მეზობელ ხევსურებში, ყველაზე მეტი პოპულარობით მამაცი, უშიშარი და მოშუღლარი მამაკაცები სარგებლობდნენ. ალ. ოჩიაურის ცნობით, „ასეთი ამაყი ახალგაზრდები ქალებსაც მოსწონდათ და საქებ ლექსებს ეუბნებოდნენ“ (ოჩიაური 2019: 11).

ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების პერსონაჟებს აქვთ როგორც ტრადიციული გმირისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ასევე საკუთარი ინდივიდუალური მახასიათებლები. მათ შორის ხალხურ ტექსტებში ყველაზე რელიეფურად სესქათ სოლსას სახე იხატება.

სესქათ სოლსა

ინგუშური ნართების ეპოსის მთავარი პერსონაჟი არის სესქათ სოლსა. ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა თქმულებებში მას უკავშირდება. სესქათ სოლსას თავგადასავალს, სხვა პერსონაჟებთან შედარებით, ეპოსი უფრო სრულად მოგვითხრობს. იგი გმირის ცხოვრების თითქმის ყველა ძირითად და გარდამტეხ მომენტს გადმოგვცემს, სესქათ სოლსას სასწაულებრივი ჩასახვიდან და შობიდან მოყოლებული, მის აღსასრულამდე. იგი გაივლის საგმირო ეპოსებისთვის დამახასიათებელ ძირითად ეპიზოდებს. ნართების ეპოსის სხვა ნაციონალურ ვერსიებში წარმოდგენილი მისი დანარჩენი ორეულების მსგავსად, სესქათ სოლსაც ქვაში ჩაისახა და მას ზრდიდა ნახევრად ზებუნებრივი ქალი - სიელა სათა.

სესქათ სოლსას თავგადასავალში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი არის მისი ინიციაცია. ნართების ეპოსის თითქმის ყველა ნაციონალურ ვერსიაში ინიციაციას მჭედელი უძღვება: აფხაზურ ეპ-

ოსში აინარ-იჟი აწრთობს სასრიყვას, ადიღურში - თლეფში, ყარაჩაულ ეპოსში ამ ფუნქციას მჭედელი დებეტა ითავსებს. ოსურ ვერსიაში ზეციური მჭედელი ქურდალაგონი ხელმძღვანელობს ნართების სხვადასხვა თაობის გმირების წრთობა-ინიციაციას. ის არქმევს სახელებს ახსარსა და ახსართაგს; მან მგლის რძეში აწრთო სოსლანი, ხოლო დამწვარი ურჩხულების ნაკვერჩხალში - ბათრაძი.

ინგუშურ ეპოსში სესქათ სოლსა ინიციაციას ჟოვ-ბეთარის სამჭედლოში გადის, სადაც ყმაწვილი სიელა სათამ მიიყვანა მჭედლობის ხელოვნების შესასწავლად. სესქათ სოლსამ სამჭედლოში განსაკუთრებული უნარები გამოავლინა. ის ერთი ხელით საბერველს ამუშავებდა, მეორე ხელით უროს ურტყამდა. ჟოვ-ბეთარი ამჩნევდა, რომ სესქათ სოლსა საღამოობით ქურაში ნაწრთობ რკინასავით წითლდებოდა. მდინარეში ბანაობისას კი, ვაჟი ისეთ სითბოს გამოსცემდა, რომ წყალი დუღილს იწყებდა. გამჭრიახმა და ჭკვიანმა მჭედელმა ვაჟს თვალთვალი დაუწყო და შენიშნა, რომ ვაჟი საიდუმლოდ გავარვარებულ ნახშირს მუჭით პირში იყრიდა, თანაც ისე, რომ მჭედელს არ შეემჩნია. იდუმალების მცოდნე ჟოვ-ბეთარმა სიელა სათას ურჩია: - „შენი ვაჟისგან ჯერ არნახული ნართი გაიზრდება. მას ფოლადის ტანი აქვს და ამიტომაც უვნებელი იქნება... შენი ბიჭი დაბადებულია ძლევამოსილ ნართად - ლაშქრობებისა და ბრძოლებისთვის. უკეთესია აქედან წაიყვანო“. სიელა სათას ჟოვ-ბეთარის რჩევა მოეწონა და სესქათ სოლსა ნართების რაზმს გადასცა. ამ დროიდან იწყება სესქათ სოლსას საგმირო თავგადასავალი, რადგან ის გახდა ნართ-ორხუსთოელთა რაზმის წინამძღოლი და, აქედან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვანი საგმირო ამბები მას მიეწერება.

სესქათ სოლსას ნართების ეპოსის ადრინდელ ვერსიებში ისეთივე მაღალი სტატუსი უნდა ჰქონოდა, როგორიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებში ხუცეს-მკადრეებს ენიჭებათ. სესქათ სოლსას ზებუნებრივ არსებებთან მეგობრობაზე ყველაზე მეტად მიუთითებს მისი საკრალური ურთიერთობა მტრედთან, რომელიც, როგორც სულიწმინდის ფრინველი და მფარველი ანგელოზი, გმირს „ხელზე და მხარზე მოუდიოდა“. ფშავ-ხევსურული ანდრეზების თანახმად, მტრედი ჯვრის რჩეულებს ღვთის ნებას უცხადებ-

და. სესქათ სოლსა ხუცეს-ხევისბერთა მსგავსად სიწმინდესთან იყო დაკავშირებული. ერთ ჩანაწერში ჩ. ახრიევი მიუთითებს, რომ „სოლსა იყო უაღრესად ჭკვიანი და წმინდა ადამიანი. ის დაიბადა არა ჩვეულებრივი ქალისგან, არამედ იშვა პირდაპირ ღმერთისგან“ (Ахриев 1875: 113). ბ. დალგათიც[10] წერდა, რომ ღვთაებრივი თვისებებით დაჯილდოებული სესქათ სოლსა, რომელიც ინგუშებს წმინდანად მიაჩნდათ, გადმოცემის თანახმად, ღმერთისგან წარმოიშვა და ღვთის შვილი იყო (Далгат 1901).

ი. დახკილგოვმა[11] სესქათ სოლსას „ღვთისშვილობა“ და გმირის ღვთაებრივი წარმომავლობა ქრისტიანულ საიდუმლოს - „ძე ღვთისას“ დაუკავშირა, რომელიც ინგუშური თქმულებების მთავარი პერსონაჟის სესქათ სოლსას არქეტიპად მიიჩნია. ი. დახკილგოვი ეძებდა საერთო ძირებს საკუთარ სახელებს - იესოსა და სესქათ სოლსას შორის, აგრეთვე პარალელურ სიუჟეტებს სახარებისეულ ტექსტებსა და ნართულ თქმულებებს შორის (Дахкильгов 2012: 504-505). მეცნიერს სესქათ სოლსას ღვთისშვილობის („ღმერთის შვილობის“) დასამტკიცებლად მოჰყავს ირიბი არგუმენტი ოსური ფოლკლორიდან, რომ ნართების ეპოსის მთავარი გმირი სოსლანი, ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, იყო ზეციური ვასთირჯის შვილი. განკაცებულ ძესთან სესქათ სოლსას დასაკავშირებლად, რა თქმა უნდა, ოსური ფოლკლორიდან ეპიზოდის მოხმობა არგუმენტად არ გამოდგება, რადგან ეპოსის გმირები ამა თუ იმ სახით ხშირად დაკავშირებული არიან ზეცის ბინადრებთან. მიმაჩნია, რომ ინგუშური ნართული თქმულებების მთავარი პერსონაჟის სესქათ სოლსას ღვთაებრივი

---

10 ბაშირ დალგათი (1870-1934) - დაღესტნელი მეცნიერი, კავკასიოლოგი, ჩეჩნური და ინგუშური ხალხური ტექსტების ერთ-ერთი პირველი შემკრები. ის იყო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეც. გასაბჭოების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რეგიონში მუშაობდა მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ცნობილი ფოლკლორისტის უზდიათ დალგათის მამა.

11 იბრაჰიმ დახკილგოვი (1937-2014) - ინგუში ფოლკლორისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ხელმძღვანელობდა ჩახ ახრიევის სახელობის ჰუმანიტარული დარგების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. ის მთელი ცხოვრების მანძილზე დაუღალავად კრებდა და იწერდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. 2012 წელს მან გამოსცა ინგუშური ნართების ეპოსი სამეცნიერო გამოკვლევით, შენიშვნებითა და კომენტარებით.

ბუნება და საკრალური ნიშნები ქართველი მთიელების ანდრეზული ტექსტებით შეიძლება აიხსნას. მართალია, XIX საუკუნის II ნახევარში, ტექსტების ჩაწერის დროს, უკვე დაწყებული იყო ინგუშური თქმულებების დემითიზაციის პროცესი, მაგრამ, მიმაჩნია, რომ სესქათ სოლსას ისეთივე საკრალური სტატუსი უნდა ჰქონოდა ინგუშების რწმენა-წარმოდგენებში, როგორი ფუნქციაც ჰქონდათ, ერთი მხრივ, ღვთისშვილებს და, მეორე მხრივ, კულტმსახურებს ფშავ-ხევსურთა საკრალურ ყოფაში. სესქათ სოლსას ინგუშურ თქმულებებში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატთა და მფარველ წმინდანთა მსგავსად, ერთი მხრივ, აქვს ღვთისშვილის, ღვთისნასახის, ღვთისგან მოვლენილის თვისებები, მეორე მხრივ, ის გვაგონებს იმ ხევსურ ხუცესებსა და მკადრეებს, რომლებიც, გადმოცემების მიხედვით, ღვთისშვილებსა და მფარველ წმინდანებს პირადად ელაპარაკებოდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზების მიხედვით, საბრძოლო რაზმს თემის წინამძღოლი და მთავარი კულტმსახური ხელმძღვანელობდა. მას უნდა ჰქონოდა საკრალური ნიშნები და თვისებები, რადგან ჯვრის მეომრებს მტრის წინააღმდეგ ის მფარველი წმინდანის დროშით უნდა გაძღოლოდა. ფშავ-ხევსურული ანდრეზები კულტმსახურებს განსაკუთრებულ უნარებს მიაწერენ. ისინი ისტორიულ დროში თითქოს ღვთისშვილთა მიერ ოდესღაც ჩადენილ გმირობებს იმეორებენ. ჯვრის მკადრე ხელმძღვანელობს არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის თემ-სოფლების დასაბეგრად ორგანიზებულ სამხედრო ექსპედიციებს, არამედ მონაწილეობას იღებს მისტიკურ ლაშქრობაში, რომელიც ღვთისშვილებმა მოაწყვეს ქაჯავეთში (ანდრეზები 2009: 41-45). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მკადრეებისა და თემის წინამძღოლის მსგავს თვისებებს ავლენს ინგუშური ნართული თქმულებების მთავარი პერსონაჟი სესქათ სოლსა. იგი, როგორც სასწაულებრივად შობილი და ნართების წინამძღოლი, ფლობს ზებუნებრივ ძალას და ჩადის არაერთ სასწაულს: მას შეუძლია მიცვალებულის გაცოცხლება და ბუნების სტიქიურ ძალებზე ზემოქმედება. სესქათ სოლსას სურვილის მიხედვით, მდინარე თერგში წყალი ხან იკლებს, ხან იმატებს; მის ცხენს შეუძლია მი-

წაზე ფლოქვის დაკვრით წყაროს აღმოცენება. სესქათ სოლსა მონაწილეობს კოსმოგონიურ ქმედებებში და სახეს უცვლის დედამიწის ლანდშაფტს. მან თავისი ხმლით შუაზე გააპო წელი-ლამის მთა. მას მიეწერება კულტურული გმირის თვისებები. ის არ არის ჩვეულებრივი მოკვდავი. სესქათ სოლსას ზებუნებრივ უნარებსა და არაჩვეულებრივ წარმოშობაზე ისიც მიუთითებს, რომ მასთან გარეული ცხოველები და ფრინველები მეგობრობენ. თქმულება „რატომ ამბობენ სიტყვა „გოვრაბერს“ მოგვითხრობს, თუ როგორ გაუმართა სესქათ სოლსამ მგელსა და შევარდენს წვეულება, რომლებიც მის ცხენს, ღოლგის, სირბილში გაეჯიბრნენ.

გამოქვაბულში გამომწყვდეულ სესქათ სოლსასთან არწივს საკვები მიაქვს, მტრედს - წყალი, ხოლო თაგვი საბელს გადაღრღნის, რომლითაც გმირი იყო შეკრული. სესქათ სოლსამ აღსასრულის წინ მტრედს კისერზე გამდნარი ოქრო წაუსვა და სამუდამო ნიშანი დაადო, რომელიც, თქმულების თანახმად, წმინდა ფრინველს დღემდე შემორჩა. სესქათ სოლსა თავისი საკრალური ნიშნებითა და თვისებებით ზებუნებრივ არსებებს უტოლდება.

სამოცდასამი მხედრის წინამძღოლი სესქათ სოლსა სხვა საკრალური ნიშნებითაც იქცევს ყურადღებას. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთი მფარველი წმინდანი არ ყოფილა „ნახორციევლარი“, ე. ი. არ ყოფილა მიწიერი, ადამიანური წარმომავლობის არსება და ციდან ნათლის სვეტის სახით ჩამოსულა, ზეციურ სამყაროს კი უხილავი ოქროს შიბით უკავშირდებოდა. ლაშარის მუხის ლექსში ნათქვამია:

„დიდი ვარ ლაშარის ჯვარი, ცას ვები ოქროს შიბითა,
ჴმელ გორზე მედგა ბერმუხა, ასაჴდომ იყო კიბითა“

(ანთოლოგია 2010: 15).

ერთ-ერთი ინგუშური თქმულების მიხედვით („სესქათ სოლსა და ბეთას ქალიშვილი ლირა“), სესქათ სოლსა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ღვთისშვილების მსგავსად, ღვთის ბრძანებით ციდან ოქროს შიბით ჩამოსულა (Дахкильгов 2012: 248-255). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებთან განსაკუთრებული სიახლოვით გამოირჩევა ღილღური გადმოცემების ერთი ციკლი, რო-

მელიც სესქათ სოლსასა და მტრედის ურთიერთობას ასახავს. ამ ციკლის თქმულებებს, რომელიც ქრისტიანულ მოტივებზეა აგებული, ქვემოთ კიდევ მივუბრუნდები. მანამდე კი მინდა აღვნიშნო, რომ ქრისტიანობამ ქართველი მთიელებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ხალხის ტრადიციულ ყოფასა და ფოლკლორულ შემოქმედებაში უაღრესად მისტიკური სახე მიიღო. მასში შენარჩუნდა ადრეული ქრისტიანობის ზოგიერთი არქაული ელემენტი, ზოგიც ხალხურმა მითოსურმა ცნობიერებამ თავის სტიქიაში მოაქცია.

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოებს მაღალი მთის მწვერვალებზე ჰქონდათ ღვთისშვილთა და მფარველ წმინდანთა სახელზე აგებული სამლოცველოები, ასევე ინგუშეთის მთიანეთში, ზოგალ-დუყის მთის მწვერვალზე აღმართული ყოფილა სესქათ სოლსას სახელობის სალოცავი, ე.წ. „ჲერდა“[12], რომელიც, ხალხური გადმოცემების მიხედვით, ღამე ნათელს გამოსცემდა (Дахкильгов 2012: 505). ზოგალ-დუყის მთაზე ღილღველები სესქათ სოლსას სახელობის სალოცავში საღვთოს იხდიდნენ: ლოცულობდნენ, მსხვერპლს სწირავდნენ და საერთო ტრაპეზს მართავდნენ.

როგორც ჩანს, ნართების ეპოსის ინგუშურ ვერსიაზე გავლენა მოახდინა როგორც ადგილობრივმა ტრადიციებმა, ასევე ფშავ-ხევსურულმა ანდრეზებმა, რადგან ეპიკურ თქმულებებში სესქათ სოლსა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ღვთისშვილთა მსგავს პერსონაჟად ჩამოყალიბდა. პარალელური სიუჟეტების ანალიზითა და ქართული მითოლოგიური გადმოცემების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სესქათ სოლსას წმინდა მხედრის ფუნქციებიც უნდა ჰქონოდა შეთვისებული. მით უფრო, რომ ინგუშურ თქმულებებში ნართ-ორსთხოელთა რაოდენობა არის სამოცდასამი, რომლიც წმინდა გიორგის ქართული ეპითეტის - სამას სამოცდასამის - ირიბ გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს.

[12] ი. დახკილგოვს თავის წიგნში „ინგუშური ნართული ეპოსი“ წარმოდგენილი აქვს ზოგალ-დუყის მთაზე აღმართული სესქათ სოლსას სალოცავის XIX საუკუნის ბოლოს გადაღებული ფოტო. მისივე ცნობით, სესქათ სოლსას „ჲერდა“ მიწისძვრას დაუნგრევია (Дахкильгов 2012: 489).

სესქათ სოლსამ უამრავი გმირობა ჩაიდინა. თუმცა ეპოსი მას ზოგჯერ სრულიად საპირისპირო თვისებებს მიაწერს. თქმულებებში სესქათ სოლსას ეპითეტი არის „ფოლადისგან ჩამოსხმული“ (хьийнача болатах вав), „სახელოვანი“, ის ფლობდა განსაკუთრებულ ძალღონეს. სესქათ სოლსა თავისი რაზმით მუდამ იბრძოდა და დათარეშობდა. დავლათიანობამ, გამორჩეულობამ, ფიზიკურმა ძალამ, ავტორიტეტმა სესქათ სოლსას გადაჭარბებული წარმოდგენა შეუქმნა საკუთარ თავზე, გმირი გაბუდაყების გზაზე დააყენა. იგი ძლია ქედმაღლობამ და ამპარტავნობამ, რის გამოც ის ზოგჯერ უსამართლოდ იქცეოდა, თავს ესხმოდა მშვიდობიან ადამიანებს და ცდილობდა სხვისი ქონების მიტაცებას. ბოლოს, როცა გმირი დარწმუნდა, რომ ქვეყანაზე ბარაქის გაქრობა და უბედურება ნართი გმირების ქვეყანაზე გაჩენას მოჰყვა, მან საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და ის ცოდვები იტვირთა, რომლებიც ნართ-ორსთხოელებმა ჩაიდინეს. სესქათ სოლსამ გამოქვაბულში საიდუმლო რიტუალი მოაწყო. მან სამოცდასამ ნართ-ორხუსთოელთან ერთად საერთო თასიდან გამდნარი სპილენძი შესვა და სიცოცხლე თვითმკვლელობით მოისწრაფა.

ბათიგ შირთყა

ინგუშური ნართების ეპოსის ერთ-ერთი ყველაზე მისტიკური პერსონაჟი არის ბათიგ შირთყა (ვარიანტებში – ბათოყო შერთუყო). ბათიგ შირთყა არ მონაწილეობს ნართების ლაშქრობებში, რის გამოც შეიძლება ნართები და ორხუსთოელები არც მიიჩნევენ მას თანასწორად. იგი თითქოს არც ეკუთვნის ნართებისა და ორხუსთოელების საზოგადოებას, თუმცა ბათიგ შირთყა ითვლება ორხუსთოელების ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების ირიბ მონაწილედ და მათ მრჩევლად. მას კრიტიკული სიტუაციიდან გამოჰყავდა ნართ-ორხუსთოელები, როცა ამის საჭიროება იქმნებოდა. ბათიგ შირთყას შეეძლო, როცა მოესურვებოდა, საიქიოში გამგზავრებულიყო და უკან დაბრუნებულიყო. ამიტომ თქმულებებში მისი ეპითეტი არის „Іэл маьлха уха Боткъий Ширткъа» (ელ მელხა უხა ბოთყი შირთყა) - თავისი ნებით საიქიოში მიმავალი და მზიან ქვეყანაზე დაბრუნებული

ბოთყი შირთყა). ეპოსის მიხედვით, საიქიო, სადაც ბათიგ შირთყას ხშირად უწევს მოგზაურობა, ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთს ჰქვია „იალსამალი“ და მეორეს - „ჟოჟაღათი“[13].

შირთყა (Ширткъа) ჩეჩნურ ენაზე ჰქვია სინდიოფალას. ის თითქოს ნახევრად ხტონური არსებაა, რომელიც დაკავშირებულია როგორც მიწისქვეშა სამყაროსთან, ისე მზიან ქვეყანასთან. ბოთყი შირთყამ იცის, რა ხდება მიწის ქვეშ და მიწის ზემოთ.

ბათიგ შირთყა, როგორც საიქიოში ნამყოფი კაცი, არის უაღრესად ჭკვიანი, მოხერხებული და ბრძენი ადამიანი. მას აქვს იუმორის გრძნობაც. ბათიგ შირთყას შეუძლია საიქიოში სხვა ნართი გმირების წაყვანა და უკან დაბრუნება. თქმულებები მოგვითხრობენ, თუ როგორ მოგზაურობდა ბათიგ შირთყა საიქიოში, ხოლო სხვა დროს, როგორ წარადგინა მიცვალებულთა სამეფოს მბრძანებელთან ხამჩით ფათარაზი. ის ფლობს გრძნეულის თვისებებს, რომელსაც ადამიანებისთვის სასიკეთოდ იყენებს. მაგალითად, ბათიგ შირთყას შეუძლია საიქიოდან გამოტანილი ძელაკით ბრმას თვალები აუხილოს და საპყარს სიარულის უნარი მიანიჭოს. ამ საშუალებით ბათიგ შირთყამ გოლიათი ვამპალებისგან დახეიბრებული მგზავრი განკურნა და მას პირვანდელი სახე დაუბრუნა. ბათიგ შირთყა არის უაღრესად კეთილი ადამიანი, რომელსაც სხვისი სიხარული ახარებს და სხვისი გაჭირვება ტანჯვას აყენებს. მან ადამიანებს საიქიოდან წისქვილი მოუტანა[14] და წყალზე პირველი წისქვილი გამართა. ბათიგ შირთყა მიდის საიქიოში ნართების შვიდი თაობის წინაპარ ნერთბისთან ჯადოსნური ხმლის სათხოვნელად. მას სესქათ სოლსასთან მოაქვს საიქიოდან წამოღებული იარაღი და სარმაქთან ბრძოლის შემდეგ კვლავ უბრუნებს ხმალს ნართების სახელოვან წინაპარს (Дахкильгов 2012: 248-255). ბათიგ შირთყას ჰქონდა კიდევ ერთი განსაკუთრებული უნარი: თუ მის სახელს ხმამაღლა წარმოთქვამდნენ, იგი მყისვე იქ გაჩნდებოდა და გაჭირვებულს დახმარებას აღმოუჩენდა.

---

13 ზეციური იერუსალიმისა და ჯოჯოხეთის აღმნიშვნელი სახელწოდებები - „იალსამალი“ და „ჟოჟაღათი“, როგორც ჩანს, ჩეჩნურ და ინგუშურ ენებში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ ქართული ენის გავლენით დამკვიდრდა.

14 ზოგიერთი ვერსიით, საიქიოდან წისქვილი სელი პირამ მოიტანა.

ბათიგ შირთყა სიმართლის თქმას არ უშინდება. ის ნართებს მუდამ სიმართლეს ეუბნება, რაც უნდა მიუღებელი და ძნელი მოსასმენი იყოს საზოგადოებისთვის მისი სიტყვები. ბათიგ შირთყამ სესქათ სოლსა პირისპირ ამხილა, რომ მისი თოფი ლულაში ჩაყრილი ფეტვის ფასი ღირდა, მის ცხენი - ერთი ძროხა, ხოლო თვითონ სესქათ სოლსას ფასი ერთი კარგი ძაღლის ღირებულებას არ აღემატებოდა. მართალია, სესქათ სოლსას ეწყინა ბათიგ შირთყას ნათქვამი, მაგრამ მოგვიანებით მისი სიტყვების სიმართლეში დარწმუნდა.

ბათიგ შირთყამ იცოდა, თუ რა მოხდებოდა მომავალში და მასთან რჩევის საკითხავად მისულ ნართებს მუდამ ბრძნულ დარიგებას აძლევდა, სწორ გზას უჩვენებდა. თქმულების მიხედვით, ბათიგ შირთყამ, როგორც საიქიოში მრავალჯერ ნამყოფმა კაცმა, ღილღველებში მიცვალებულის სახელზე ქელეხის გადახდის წესი დაამკვიდრა. ბათიგ შირთყა თქმულებებში იმავე ფუნქციას ითავსებს, რომელიც ქადაგ-მკითხავებს ჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტრადიციულ საზოგადოებებში. სათარეშოდ და სალაშქროდ წასვლის წინ ნართ-ორხუსთოელები რჩევას ბათიგ შირთყას ეკითხებოდნენ. იგი ფლობდა განსაკუთრებულ უნარს, აეხსნა უბედურებისა და წარუმატებლობის მიზეზი და გამოსავალიც მოეძებნა. ბათიგ შირთყამ უწინასწარმეტყველა სესქათ სოლსას საბედისწერო აღსასრულიც: - „სოსქათ სოლსა, მინდა იცოდე, რომ მოვა დრო, როცა შენ ღმერთს დაივიწყებ და უბედურებაც სწორედ მაშინ დაგატყდება“.

ოსურ ეპოსში ბათიგ შირთყას ორეული არის სირდონი. მართალია, სირდონი არ მოგზაურობს საიქიოში, მაგრამ მას სადღაც ხიდთან, მიწისქვეშა ლაბირინთში, მოწყობილი აქვს თავისი საცხოვრისი. მათ შორის არის ერთი დიდი განსხვავება. მართალია, ოსურ ეპოსში გვხვდება ეპიზოდები, როდესაც სირდონი ეხმარება ძლევამოსილ ნართებს და მათ კიდეც გადაარჩენს, მაგრამ მთლიანობაში სირდონი თავის ცოდნასა და გამოცდილებას ძირითადად ნართების დასაღუპად წარმართავს, ბათიგ შირთყა კი მხოლოდ თანამოძმეთა დასახმარებლად იღვწის.

ხამჩით ფათარაზი

ნართ-ორსთხოელთა საგმირო ეპოსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟი არის ფათარაზ ხამჩის ძე, ან იგივე ხამჩით ფათარაზი (ვარიანტ. ფეთარზა). მას ვხედავთ ნართ-ორსთხოელთა მიერ მოწყობილი ლაშქრობებისა და ძარცვა-გლეჯის მუდმივ მონაწილედ. ის არის უაღრესად სასტიკი მეომარი. საზღვარი არ ჰქონდა ფათარაზის მრისხანებას, როცა შავმა ნართმა, სახელად ოხლომ, ღამით მას საყვარელი ცხენი მოჰპარა. ფათარაზი ოხლოს მეომრებს, რომლებიც გზაზე გრძელი შიბივით გაჭიმულიყვნენ და მოსაკლავად მისდევდნენ, მოუტრიალდა და სათითაოდ თავები დააჭრა. შეშინებული ოხლო შეეცადა, რომ გაცეცხლებულ ფათარაზს როგორმე ხელიდან დასხლტომოდა, მაგრამ ამაოდ. ფათარაზმა ის შეიპყრო და საბლით ორ ულაყს გამოაბა, რომლებმაც ოხლო შუაზე გაგლიჯეს. ფათარაზმა მას იდაყვთან მარჯვენა მკლავი მოაჭრა, მისი ასეულობით ცხენი გამოირეკა და შინისკენ გამოსწია. თუმცა, საბოლოოდ, ფათარაზი ჰუბრისზე ამაღლდა. სხვა თქმულებებში მას სინანული იპყრობს და დადებით პერსონაჟად გვევლინება.

ხამჩით ფათარაზის ყველაზე დიდ გმირობად ზღვაურ ურჩხულთან შებრძოლება ითვლება, რომელსაც გმირი სათას დავალებით ცეცხლოვანი მახვილით ამარცხებს. ხამჩით ფათარაზისა და გველეშაპის ბრძოლა თქმულებაში ზღვისა და ხმელეთის დაპირისპირების სახეს ატარებს.

ხამჩით ფათარაზი ძლიერ შეწუხდა და სასოწარკვეთილებში ჩავარდა, როცა გაიგო, რომ მისი დაბადება გახდა ქვეყნად ბარაქისა და ოქროს ხანის გაქრობის მიზეზი. მან დაღუპვა გადაწყვიტა, რათა ადამიანთა მოდგმის წინაშე ცოდვა არ ეზიდა. ამ მიზნით მან სცადა თვითშეწირვა ცეცხლზე, მაგრამ უფრო გამოიწრთო, წყალში ჩააგდებინა თავი და უფრო განმტკიცდა. ამ ტექსტის მიხედვით, უძლიერესი ფათარაზი იდეალური გმირის თვისებებს ამჟღავნებს. ის მზად არის თავი გაწიროს ხალხის კეთილდღეობისათვის.

ბათიგ შირთყამ ხამჩით ფათარაზი მისივე თხოვნით საიქიოში წაიყვანა, სადაც საიქიოს გამგებელმა - ეშაპოსმა - საიქიოში დატო-

ვებაზე მას უარი განუცხადა. მაშინ ფათარაზის თხოვნის გამო ეშაპოსმა ქვეყანაზე სიძუნწის ერთი მესამედი მოხსნა. სანაცვლოდ მან გმირს საიქიოდან ცოცხალთა ქვეყანაში მზის ჩასვლამდე დაბრუნება უბრძანა. თქმულების მიხედვით, ფათარაზმა მზის ჩასვლას მოასწრო. ის ამ ქვეყნად მაშინ დაბრუნდა, როცა მთის მწვერვალებს ჯერ კიდევ მზის სხივები ანათებდა. ჩამავალი მზის სხივებს ღილღველები მას შემდეგ „ფათარაზის სხივებს“[15] უწოდებენ.

მოახაზი

მოახაზი არის ინგუშური თქმულებების ეპიზოდური პერსონაჟი. ის სულ ერთ-ორ თქმულებაში მონაწილეობს. მოახაზი არის ნართ თუოხისა და მზის ასულ მელხათ აზას ვაჟიშვილი. მოახაზმა ინიციაციის გავლის შემდეგ დაამარცხა ნართების უხუცესი წინამძღოლი და მისი ადგილი დაიკავა. ინიციაციის ეპიზოდი ნართების ეპოსის მთავარი გმირების თავგადასავალში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და გარდამტეხ მოვლენას წარმოადგენს. ინიციაცია რიტუალების მთელ წყებას შეიცავს, რომლის მიზანს, მ. ელიადეს აზრით, წარმოადგენს „ყმაწვილის გარდაქმნა ემბრიონად, რათა იგი შემდეგ ხელახლა იშვას. ინიციაცია არის მეორე შობა, რის შემდეგაც მოზარდი გარდაიქმნება სოციალურად პასუხისმგებელ და კულტურულად გაღვიძებულ პიროვნებად“ (Eliade 1963: 101). ამდენად, მოახაზის თავგადასავალში ინიციაციის რიტუალი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია.

---

[15] ინგუშების წარმოდგენით, ჩამავალი მზე თითქოს მთელი ღამის განმავლობაში თავის გზას მიცვალებულთა სამეფოში აგრძელებდა, ოღონდ მისკენ კეფით შებრუნებული, რის გამოც საიქიო, მიცვალებულთა სამყოფელი, იყო ცივი და პირქუში. თქმულების მიხედვით, ჩამავალი მზის ნათება, რომელსაც მოწითალო შეფერილობა აქვს, ხამჩით ფათარაზს დაუკავშირდა, რადგან ის ორი სამყაროს - სააქაოსა და საიქიოს - მიჯნაზე აღმჩნდა. ჩამავალ წითელ მზეს ქართულ ფოლკლორში ჰქვია მკვდრის მზე. როგორც ინგუშურ, ასევე ქართულ ფოლკლორულ ნაწარმოებებში სამი ფერი: თეთრი, წითელი და შავი - სამ სკნელს განასახიერებს. თეთრი ფერი - ზესკნელს, წითელი ფერი - შუასკნელს, შავი ფერი - ქვესკნელს. ქართულ და ინგუშურ ხალხურ ნაწარმოებებში გვხვდება შავი, თეთრი და წითელი მხედარი; ქართულ შელოცვებში - თეთრი, წითელი და შავი გველი; ამირანის ეპოსში - თეთრი, წითელი და შავი გველეშაპი.

მოახაზს ინიციაციის საიდუმლო საკუთარმა დედამ, მზის ასულმა გაანდო.

მოახაზის შობა ძალიან ჰგავს ცვიცვისა (აფხაზური ეპოსი) და ბათრაძის (ოსური ეპოსი) დაბადებას. როცა მზის ასულმა მელხათ აზამ თუოხი მიატოვა, მუცელი გაიჭრა, იქიდან მზესავით ლამაზი ვაჟი ამოიყავანა და მამას დაუტოვა. ვაჟს მოახაზი დაარქვეს. სხვა ვერსიებისგან განსხვავებით, ინგუშური თქმულებების პერსონაჟები თვითონ გადიან ინიციაციას და მათ წრთობაში მჭედელი უშუალო მონაწილეობას არ იღებს. მოახაზი რომ ნართების წინამძღოლი გახდეს, ის ჯიქის თუ ლეოპარდის რძეში უნდა იწრთოს, სხვანაირად ვაჟი ნართების მოხუც ბელადს, სახელად ნერთბის, ვერ დაამარცხებს. დედის რჩევით, მოხაზმა „ჭადრისგან კოცონი დაანთო, რომელიც ცას სწვდებოდა. სანამ ხეები იწვოდა, მოახაზი მთაში წავიდა და ჯიქების მონაწველი რძით მთელი კასრი გაავსო. ის ერთი დღე და ღამე გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე იწვა. მთელი მისი სხეული გაწითლდა, როგორც სპილენძი. ნაკვერჩხლებიდან მოახაზი პირდაპირ ჯიქის რძით სავსე კასრში ჩაწვა, რომელშიც მან სამი დღე და ღამე გაატარა, რის შემდეგაც ვაჟმა თავის სხეულში უჩვეულო სითბო და ძალა იგრძნო. ის ფოლადოვანი გახდა. ახლა მას უკვე აღარაფერი ეკარებოდა: არც ხმალი, არც ხანჯალი“ (Дахкильгов 2012: 269). მართალია, ფოლადოვანმა მოახაზმა ადვილად დაამარცხა მოხუცი ნერთბი და ნართების წინამძღოლი გახდა, მაგრამ მას დარჩა სხეულზე უწრთობი ადგილი. ინიციაციის შედეგად მთავარი გმირის სხეულზე დატოვებული საბედისწერო კვალი ნართების ეპოსის თითქმის ყველა ნაციონალურ ვერსიაში გვხვდება. მას, როგორც გმირის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას, ძველი ეპოსებიც იცნობენ. მრავალ ეპიკურ გმირს აქვს სხეულზე საიდუმლო ადგილი, რომლის გათქმას გმირის გარდაუვალი სიკვდილი მოსდევს. ქართულ თქმულებებში ვახტანგ მეფის სუსტი ადგილი არის იღლია, ელინურ თქმულებებში - აქილევსის ქუსლი, ოსურ ეპოსში - სოსლანის მუხლები და ბათრაძის უწრთობი ნაწლავი, აფხაზურ ეპოსში სასრიყვას მარჯვე-

ნა მუხლი, ინგუშურ თქმულებაში მოახაზს ინიციაციის გავლის შემდეგ დარჩა უწრთობი ადგილი. როცა ის წრთობის დროს ნაკვერჩხლებზე იწვა, თვალები დახუჭული ჰქონდა, რის გამოც მას ისეთივე სუსტი თვალები დარჩა, როგორიც ჩვეულებრივ, უწრთობ ადამიანს ჰქონდა. ერთხელ, როდესაც ნართები მტერს ებრძოდნენ, მოახაზს ისარი თვალში მოხვდა და ამ ჭრილობით გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ ინგუშური თქმულებების პერსონაჟ მოახაზს, სხვა გმირებისაგან განსხვავებით, ნართების ეპოსის სხვა ნაციონალური ვერსიების პერსონაჟებთან თავისი ორეული არ მოეძებნება, თუ არ ჩავთვლით მის შობას, რომელიც ჰგავს ცვიცვის დაბადების ეპიზოდს აფხაზური ეპოსიდან. სხვა მხრივ თვალსაჩინოა ინგუშური თქმულებების მთავარ მოქმედ გმირთა პარალელიზმი ნართების ეპოსის სხვა ნაციონალური ვერსიების პერსონაჟებთან.

ნართი პერსონაჟების ორეულები უფრო მკაფიოდ შეიძლება ამ სახით წარმოვიდგინოთ:

ინგუშური	**ოსური**	**ადიღური**	**აფხაზური**	**ყარაჩაულ-ბალყარული**
სესქათ სოლსა	სოსლანი	სოსრუყო	სასრიყვა	სოსრუყა
ხამჩი	ხამიცი	ჰიმიშჩ	ხმიში (კუნი)	ხმიჩი
ხამჩით ფათარაზი	ბათრაძი		ცვიცვი	ბათირას
ორზმი	ურუზმაგი	უაზირმესი		იორიუზმექი
ბოთოყოთ შირთყა	სირდონი	ბათეყუ		შირდან
ჟოვ-ბეთარი	ქურდალაგონი	თლეფში	აინარ-იჟი	დებეთა
	არახძავი	ფში ბადნოყო		რაჩიყაუ
კინდით შოა	საუაი	შაუეი		ყარაშაუაი
აჩამზა	აცამაზი	აშემეზი		აჩიმეზი
ნესარი	ნასირან-ალდარი	ნასრენი		ნასრანი

მართალია, ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების პერსონაჟთა თავგადასავალი ღრმა მითოსური პლასტებით არის შეძერწილი, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ისინი მაინც ვაინახების ტრადიციულ საზოგადოებებში მცხოვრები ადამიანების თვისებებს ატარებენ. პერსონაჟთა ქცევის ნორმებს, მორალსა და ზნეობრივ ფასეულობებს უმეტესად ჩეჩნებისა და ინგუშების სამხედრო-მეომრულ თემებში მოქმედი წეს-ადათები განსაზღვრავენ.



საიდუმლო ნიშნები სხეულზე და ნაწილიანი პერსონაჟები

ქართველი მთიელების, კერძოდ, ფშაველ-ხევსურებისა და, აგრეთვე, ჩრდილოეთ კავკასიის მთის ხალხების ფოლკლორში გმირის ზებუნებრივი გარეგნობის გამოხატვის უაღრესად მისტიკური ფორმები დასტურდება. ხალხური ტექსტები ადამიანის სხეულზე საიდუმლო ნიშნების არსებობაზე მოგვითხრობენ. ხევსურული, ჩეჩნური და ინგუშური მითოლოგიური ნარატივების თანახმად, საიდუმლო ნიშნები, რომლებიც ადამიანის სხეულზე სინათლეს გამოსცემს, მისი მფლობელის დავლათიანობასა და ღვთისაგან ნაწილიანობაზე მიუთითებს. სხეულზე გამოსახულ ნიშნებს ჰქონდათ ჯვრის, მზისა და მთვარის გამოსახულება. იმათ, ვისაც სხეულზე საიდუმლო ნიშნები ჰქონდათ, ხალხური ტრადიცია ღვთისაგან ნაწილიანს უწოდებდა, რადგან რჩეულებს ეს გამოსახულებები ზეციური არსებებისგან დაბადებისთანავე დაჰყვათ, როგორც დავლათიანობისა და იღბლიანობის ნიშანი. ხახმატელ აბულეთზე, რომელმაც ველკეთილზე მოთარეშე ქურდები განდევნა, ხალხურ ლექსში ნათქვამია:

„სასამართლოჩი წარდგება ე ღვთისგან ნაწილიანი,
რა რიგა შამობრუნდება მარცხენა მხარზე ჯვრიანი“

(შანიძე 1931: 92).

როგორც ხალხური ლექსიდან ირკვევა, ხახმატელი აბულეთი ნაწილიანი იყო, რადგან მას მარცხენა მხარზე ჯვარი ჰქონდა გამოსახული, რომელიც მტერზე ამარჯვებინებდა.

„ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა სხეულზე ვერ ვხედავთ ასტრალურ და რელიგიურ ნიშნებს, თუმცა პოემის ავტორი თავისი გმირების რჩეულობის აღსანიშნავად, როგორც მხატვრულ საშუალებას, ხშირად იყენებს მზისა და მთვარის მეტაფორას. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები არათუ ჰგვანან მზესა და მთვარეს, არამედ მზესავით ანათებენ.

უფლის რჩეული ადამიანების სულიერ და გარეგნულ ბრწყინვალებას არაერთგზის ვხვდებით ქრისტიანულ ლიტერატურაში. გიორგი მერჩულე ჯავახეთის კრების მონაწილეთა წინაშე გრიგოლ ხანძთელს ღვთაებრივი დიდებულებითა და ბრწყინვალებით წარმოგვიდგენს: „და მეყსეულად იხილეს წმიდაი იგი მომავალი კარაულითა შორის კრებულსა მას მამათასა საკჳრველად ხილვითა. რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი, რომელ ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაჲ. ხოლო თავსა მისსა კუკული იხილვებოდა, ვითაცა გჳირგჳინი სამეუფოჲ პატიოსანთა თვალთა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმკული“ (მერჩულე 1989: 586).

ხალხურ ტრადიციაში ბეჭებს შორის მზისა და მთვარის ნიშნები, ზოგადად სხეულზე ასტრალური გამოსახულებები, ღვთაებრივ მოვლენად და გმირის რჩეულობის ნიშნად ითვლებოდა. ხალხური პოეზია ქართველ ბაგრატოვან მეფეთა რჩეულობას სხეულზე გამოხატული ღვთაებრივი ნიშნებით წარმოგვიდგენს. აღსანიშნავია მეფეთა შესამოსელზე ასტრალური სიმბოლოების გამოსახვა, რომელიც მეფობის ზეციურ წარმომავლობაზე მიანიშნებს. ხალხს მიაჩნდა, რომ ბაგრატიონებს ჰქონდათ ე. წ. „ნაწილი“, სხეულზე გამორჩეულობისა და ღვთისაგან იღბლიანობის ნიშანი, რასაც კრისტოფორო დე კასტელის ცნობაც აკონკრეტებს. ცნობისმოყვარე მისიონერს, რომელიც იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ს მკურნალობდა, ერთხელ მისთვის უკითხავს, ჰქონდა თუ არა მას ბეჭზე ჯვრის ნიშანი, „რასაც ამ სამეფოებში საჯაროდ აცხადებდნენ“ (კასტელი 1977). თუმცა მეფეს ამის შესახებ არაფერი უთქვამს, რადგან, როგორც ჩანს, მან იცოდა, რომ ადამიანის სხეულზე ამ ნიშნების არსებობა სხვებისთვის სამუდამოდ საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო.

ნაწილი რჩეულებს უმეტესად მკერდსა და ბეჭებზე აჩნდებოდათ. თუმცა ხალხური ტექსტების მიხედვით, საიდუმლო ნიშნებს ვხვდებით სხეულის სხვა ნაწილზეც. ხევსური მთხრობელი ასე განმარტავს ნაწილს: ნაწილი ნიშანია, რომელიც მზე-მთვარესავით ზოგს ბეჭზე, ზოგს - მხარზე და ზოგსაც გულმკერდზე აჩნდება. ის შუქს გამოსცემს და ანათებს. ნაწილს არავის აჩვენებდნენ, რადგან მისი

დანახვა არ შეიძლებოდა. თუ სხეულზე ვინმე ნაწილს შენიშნავდა, მისი მფლობელი დაიღუპებოდა (თსუფა №31 311).

ღვთაებრივ ნიშანს სხეულზე, როგორც რჩეულობისა და დავლათიანობის საკრალურ სიმბოლოს, პირველ რიგში მეფეები, კულტმსახურები და გამოჩენილი გმირები ატარებდნენ. ერთი ხევსურული საგმირო ლექსის მიხედვით, ნაწილიანი ყოფილა ზურაბ არაგვის ერისთავიც. ლექსი „წერონი“ როშკის გორზე ზურაბ ერისთავის მოსვლას საკრალური სიმბოლოებით წარმოგვიდგენს: „როშკის გორ ზურაბ ჩამოჯდა, შუქნ ჩამუტივნა მზისანი“ (შანიძე 1931:3). ხევსურულ პოეზიას უაღრესად მაღალი შეხედულება აქვს ზურაბ ერისთავის უნარებსა და შესაძლებლობებზე. ერთ-ერთ ლექსში ლირიკული გმირი სასტიკ ერისთავს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„ზურაბ, თან გახლავს ლაშქარი, რაც ხან კი დაიბადეო,
ისპაჰანამდე გაითქვი, ყეენთან გაიზარდეო,
სადაც კი წახველ საომრად, სუყველგან გაიმარჯვეო“

(სიხარულიძე 1961: 396).

თრუსოს ხეობაშიც ზურაბ ერისთავის დავლათმა იმარჯვა, როცა ხევსურებმა არ მიიღეს გახუა ხეთეშაურის რჩევა, ნადიმის წინ ხმლები შეიხსნეს და ზურაბმა ისინი ღალატით დახოცა. ხალხური პოეზია ხევსურების მარცხს სწორედ ზურაბის დავლათს მიაწერს: „ხევსურებმ არ დაიჯერეს, ზურაბის ეტლი ღრევდაო“ (შანიძე 1931:7), ან „არ დაუჯერეს ხევსურთა, ზურაბის დავლათ ღრევდისა“ (სიხარულიძე 1961: 385).

ხევსურული ზეპირსიტყვიერება კიდევ ერთ ნაწილიან გმირს - მამუკა ქალუნდაურს – იცნობს, რომელიც თავისი დავლათით წინ აღუდგა ზურაბ ერისთავის აგრესიას: „თან მაჰყვეს ქალუნდაურსა, მამუკას, შუქნი მზისანი“ (შანიძე 1931:4). ბესარიონ გაბურის ცნობით, „მამუკა ქალუნდაურ ნაწილიან ყოფილას: როსაც სალაშქროდ სად გეემართებოდ, წინ მასკვლავივით თუ გაუძღვებოდ სვეტი ან შუქი“ (გაბუური 1924:159).

ორივე გმირს, ზურაბ არაგვის ერისთავსაც და მამუკა ქალუნდაურსაც, როგორც ნაწილიანობისა და რჩეულობის ნიშანი, თან მზის შუქი დაჰყვებოდათ. ხან ერთის დავლათი იმარჯვებდა და ხან - მეორისა. ფოლკლორული ნაწარმოებების მიხედვით, უნდა ვიფიქროთ,

რომ არაგვის ერისთავმა დავლათი მას შემდეგ დაკარგა, რაც ლაშარის მუხა და ხმალას ალვის ხე მოაჭრევინა, რასაც შედეგად მოჰყვა დაშრეტილი და უდავლათოდ დარჩენილი ერისთავის ღალატით მოკვდინება. მეორე მხრივ კი, ზურაბ ერისთავმა თრუსოში 63 ხევსური ღალატით დაახოცვინა. აქედან გამომდინარე, თვითონაც ღალატის მსხვერპლი გახდა.

სხეულზე გამოსახული ასტრალური ნიშნები გმირს ზებუნებრივ ძალას ანიჭებს და მტერზე გამარჯვებაში ეხმარება. აბაძეხურ ნართულ თქმულებაში „საუსურუყისა და ალბეჯის ორთაბრძოლა“[16] გმირის სხეულზე ღვთაებრივი ნიშნის ფუნქციას მზესავით მანათობელი თილისმა ასრულებს. გულთმისანი რაშის რჩევით სათანაიმ საუსურუყს მკერდზე მანათობელი თილისმა მიამაგრა, ხოლო ზემოდან ჩასაცმელად ახალი სამოსელი შეუკერა, რათა საიდუმლო ნიშანი არივის დაენახა და ავი თვალი არ მოხვედროდა. შუადღისას, როცა საუსურუყმა სობერ-ვაშხის მთის ძირას მოწინააღმდეგე, უცხომხრელი ნართი ალბეჯის ვაჟი დაინახა, ზედა სამოსელი გადაიხსნა და მისმა თილისმამ, როგორც მზემ, მკერდიდან გამოანათა. თილისმის ნათებისაგან დაბრმავებული მეტოქის ცხენი ყალყზე შედგა და მხედარი ძირს გადმოაგდო, რომელსაც საუსურუყმა თავი მოაჭრა (Дьячков-Тарасов 1902: 34). თქმულების მთელი საზრისი ის არის, რომ საუსურუყი მკერდზე საიდუმლოდ მიმაგრებული მზესავით მანათობელი თილისმის გარეშე ვერ შეძლებდა გამარჯვებას, რადგან მან პირველ ცდაზე ალბეჯის ვაჟისგან სრული მარცხი იწვნია.

ნაწილის მფლობელი ვაჟიც შეიძლებოდა ყოფილიყო და ქალიც. ნაწილი, ანუ ღვთაებრივი ნიშანი სხეულზე, როგორც რჩეულობა, მის მფლობელს, ერთი მხრივ, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებდა და, მეორე მხრივ, უაღრესად დიდ განსაცდელსა და ხიფათს უმზადებდა, რადგან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციაში საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის გამორჩეულობა ჯვრის მხრიდან „უფრო ტვირთი იყო და საკმაოდ მძიმეც, ვიდრე - პრივილეგია“ (კიკნაძე 2016: 132).

[16] აბაძეხურ თქმულებებში მთავარ გმირს ჰქვია საუსურუყი (შდრ. აფხაზური - სასრიყვა, ყაბარდოული - სოსრიყო, ოსური - სოზირიყო, სოსლანი და ა. შ.).

ნაწილიანის სხეულზე საიდუმლო ნიშნების არსებობა დაქორწინებამდე მხოლოდ ერთადერთ ადამიანს, დედას, შეეძლო სცოდნოდა. ხოლო საიდუმლო ნიშნების გამხელა გმირის გარდაუვალ სიკვდილს იწვევდა. ხევსური მთხრობელის გადმოცემით, „ნაწილიან, სანამ დაოჯახდების, მთხილად უნდ იყვას. ტანჩიავ რაღაც ნიშან გამაჩნდების, ან თავზე, ან, მკერდჩი ან ბეჭებჩი. ღამე თურმე სინათლეს გამოუშვებსავ. მარტუამ დედამ იცის, ნაწილიან ასავ დ' უნდ გაუმთხილდას, არავინ არ უნდ დაინახას. ქალიც შაიძლებ იყვას ნაწილიან... ნაწილ კარგ არ ასავ, თუ დაუნახავ ვინმემავ და თუ ნაწილ არავინ დაუნახავ და დაოჯახდავ, საშიშ აღარ ასავ“ (თსუფა №31 330).

ამ ტიპის მითოლოგიური ნარატივები უმეტესად უდროოდ გარდაცვლილ და განსაკუთრებული უნარებით დაჯილდოებულ ადამიანებს უკავშირდება. მათ დაღუპვას ხალხი ნაწილის დაკარგვასა და დავლათის გაქრობას მიაწერს. მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, ნაწილს მის მფლობელს ავი თვალი აკარგვინებდა, ხოლო დავლათს - ჰუბრისი, საკუთარ შესაძლებლობებზე გადაჭარბებული წარმოდგენა.

დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში არ გამოთქმულა თვალსაზრისი, რომ ხევსურეთის მეზობელ ღილღოსა და ჩეჩნეთის მთიანეთში ნაწილიან და დავლათიან გმირებზე არსებობდა იმავე ტიპის გადმოცემები, როგორიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. XIX საუკუნეში მთიანი ჩეჩნეთიდან კახეთში ჩამოსახლებულ ქისტებს დღემდე შემორჩათ რწმენა-წარმოდგენები ნაწილიან ადამიანებთან დაკავშირებით: „ჩემი მეზობლის გარდაცვლილ ძმაზე ყვებოდნენ, რომ მას თურმე სხეულზე მანათობელი ნიშნები ჰქონდა. ვაჟის დედა მუდამ ცდილობდა, რომ არავის დაენახა ეს ნიშნები და ამ მიზნით შვილს განსაკუთრებულ შესამოსელს აცმევდა. ერთხელაც, როცა ბიჭი 12 წლის ყოფილა, ალაზანზე საბანაოდ გაპარულა. ტანსაცმელი რომ გაუხდია, იქ მყოფებს ის საიდუმლო ნიშნები დაუნახავთ და ბიჭი იმავე საღამოს გარდაცვლილა“.[17] ამ ტიპის გადმოცემები ნიშნიან ადამიანებზე, რომლის საიდუმლოც მხოლოდ დედამ იც-

[17] ტექსტი მომაწოდა ს. ბორძიკაშვილმა (თსუ მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი, 2019 წლის 24 მაისი).

ოდა და მას უცხო, გარეშე თვალი თუ დაინახავდა, ნაწილის მფლობელი დაიღუპებოდა, - გავრცელებულია პანკისელ ქისტებშიც.

საიდუმლო ნიშნების გამხელა რომ გმირის გარდაუვალ სიკვდილს იწვევდა, მკაფიოდ ჩანს ინგუშურ ნართულ თქმულებაში „სესქათ სოლსა და ვამპალი“. ვამპალმა, გოლიათური აღნაგობის მამაკაცმა, რომელსაც ბეჭებზე მზისა და მთვარის გამოსახულება ჰქონდა, სესქათ სოლსას სთხოვა, არ ეკითხა ამ ნიშნების საიდუმლო, რადგან ის უეჭველად დაიღუპებოდა (Дахкильгов 2012: 99). საიდუმლო ნიშნები გმირის უსაფრთხოებას იცავდა და მტერთან გამარჯვებას უზრუნველყოფდა. ნაწილიანის სხეულს არც ხმალი ჭრიდა და არც ტყვია ეკარებოდა. ინგუშურ თქმულებაში გოლიათური აღნაგობის მამაკაცს, როგორც კი მან სასტიკ ორთაბრძოლაში საშიში მოწინააღმდეგე დაამარცხა და უსულოდ ძირს დასცა, ბეჭებშუა თავისი ძლევამოსილების საიდუმლო ნიშნები - მზე და მთვარე - გამოესახა. საიდუმლო ნიშნები ვამპალს მტრისაგან იცავდა და მას გამარჯვება მოუპოვა. მაგრამ ეს უსაფრთხოება არ არის მუდმივი. თუ ნაწილის საიდუმლო გამჟღავნდა, გმირი დაკარგავს მინიჭებულ ძალას. მართლაც, როცა სესქათ სოლსამ ვამპალს ამ ნიშნების საიდუმლო ჰკითხა, ის მაშინვე დაიღუპა.

ქართულ საგმირო ეპოსში გმირის რჩეულობის ნიშნად გვხვდება ოქროს კბილი, რომელსაც ამირანი ატარებდა. დევის ქალი ცდილობს ვაჟს ოქროს კბილი დაუნახოს, რათა მასში ამირანი ამოიცნოს (ამირანიანი 2019: 62). უნდა ვიფიქროთ, რომ დევის ქალს ოქროს კბილის დანახვით ამირანის მხოლოდ ამოცნობა კი არა, თავისი ავი თვალით მისი დაღუპვაც სურდა. მსგავს ეპიკურ ელემენტს ვხვდებით ოსურ ეპოსში: „ხამიცს პირში ერთი კბილი არყიზისა ჰქონდა. ეს კბილი ისეთი საოცარი თვისებისა იყო, რომელ დედაკაცსაც უჩვენებდა, მის სურვილს უარს ვერ ეტყოდა“ (ნართები 1988: 260). ამირანის ოქროს კბილი და ხამიცის არყიზის კბილი ასტრალური სიმბოლიკის შემცველია. როგორც ოქრო უკავშირდება მზეს, ისე ხამიცის არყიზის კბილი დაკავშირებულია მთვარესთან. როცა საინაგ-ალდარმა თავისი ბასრი ხმალი ხამიცის არყიზის კბილს მოახვედრა, ასტყდა ხმალს ტკეჩი და ცას დაეკიდა. ეპოსის მიხედვით, მას შემდეგ გაჩნდა ცაზე

მთვარე. სავარაუდოდ, სწორედ არყიზის კბილი ინახავდა ხამიცის უძლეველობის საიდუმლოს. საინაგ-ალდარი მხოლოდ მაშინ ახერხებს ხამიცის მოკვლას, როცა თავისი ბასრი ხმალი მან ხამიცის სხეულის საიდუმლო ადგილს - არყიზის კბილს მოახვედრა.

საიდუმლო დაცული უნდა იყოს, რადგან საიდუმლოს გამჟღავნება მის მფლობელს ავად მოუტრიალდება. აქედან გამომდინარე, სხეულზე ზებუნებრივი ნიშნების გამოსახულება გარეშეთათვის უცნობი უნდა დარჩენილიყო. ხევსურულ ტრადიციაში უამრავი გადმოცემა არსებობს ავი თვალისგან ნაწილიანი ადამიანის დაღუპვის შესახებ. თვით თორღვა ძაგანიც, ერთი ვერსიით - ბაგრატოვანთა შთამომავალი და მეორე ვერსიით - პანკისის ერისთავი, მას შემდეგ დაიღუპა, როცა მის სხეულზე ღვთაებრივი ნიშნების არსებობის საიდუმლო განცხადდა. როცა ნაბანავები თორღვა მდინარე იორიდან ამოდიოდა, ვიღაცამ მის შიშველ სხეულზე საიდუმლო ნიშნები შენიშნა:

„იორში ამაიჩქვიფა, შორით ვინ უგა თვალიო,
დიდებულობა დაუთქვეს, ბეჭებს უნახეს ჯვარიო,
მარჯვნივ მზე წერებულიყვა, მარცხნისკე მთვარის ნალიო“

(შანიძე 1931: 16).

როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს, „უცხო თვალი, რომელიც ყოველთვის მტრულია, შენიშნავს თორღვას ბეჭებზე აღბეჭდილი ჯვრის, მზისა და მთვარის გამოსახულებებს - მისი ნაწილიანობის პიქტოგრაფიულ ნიშნებს, რომელთა არსებობა მის ტანზე სიკვდილამდე საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო (კიკნაძე 2016: 146). ღვთაებრივი ნიშნების საიდუმლოს გაცემამდე თორღვა ძლევამოსილი გმირი იყო. სხეულზე გამოსახული საიდუმლო ნიშნების გამჟღავნების შემდეგ, მალევე, თორღვა შვიდ წელიწადს ნაავადარი კაცის მიერ ნასროლი ისრით დაიღუპა[18].

ნაწილი, რჩეულის სხეულზე გამოსახულია მზისა და მთვარის ნიშნებით, რადგან მათ, როგორც ზებუნებრივ ასტრალურ ნიშნებს, ნათების უნარიც შესწევთ. ერთ-ერთი მთხრობელის ცნობით, „როცა ჩემ ძმა დაიძინებდავ, შევიდოდივ და გულაღმ თუ იწვავ, ჭერ განა-

[18] ნაწილიანობის პრობლემას ეხება ა. არაბულის სტატია „ბაგრატიონთა საგვარეულოს „ღვთისნებითობის“ თეორია და ხალხური სიტყვიერება“, www.georyal.ge

თებულ იყვავ მაღლადმდე და მთხილად შამავაფარებდივ საბანსავ, რო არცვის დაენახავ“ (თსუფა №31 330).

ავი თვალისგან იღუპება, ჩეჩნური თქმულების მიხედვით, იალხოიმოხქელი შვიდი ძმის ერთადერთი და.[19] ერთხელ წყაროზე ჩასულ ქალიშვილს მწყემსებმა ღვთაებრივი ნაწილი შენიშნეს. გაოცებულმა მწყემსებმა ჰკითხეს: „- ქალიშვილო, გვითხარი, თეთრად რა ანათებს, შენი კაბის ქსოვილი თუ შენი სხეულის ნაწილი?“ ჩეჩნური თქმულების მიხედვით, შვიდი ძმის ნაწილიანი და მწყემსების ავი თვალის გამო იმავე საღამოს გარდაიცვალა (Далгат 1972: 332-333).

იმ ტრადიციაში, სადაც ნაწილიანი ადამიანების არსებობა სწამდათ, მიაჩნდათ, რომ მის მფლობელს სიკვდილის შემდეგ გველი ნაწილს აცლიდა და ისაკუთრებდა. პარალელიზმი ამ თვალსაზრისით ნაწილიანი ადამიანების შესახებ ჩეჩნურ-ინგუშურ თქმულებებსა და ხევსურულ წარმოდგენებს შორის თვალსაჩინოა. ბოლო დროს ჩაწერილი ტექსტის მიხედვით, „თიანეთში ახალგაზრდა ბიჭი მომკვდარა და როცა საფლავთან დაუსვენებიათ, მისულა გველი. ორნი ძმანი ყოფილან, ხევსურები, და ძმას ძმისთვის დაუძახია: - არიქა, მოკალიო! და ის გველი მოუკლავთ. კიდევ, მეორე გველი მისულა და ვერ დაუსწვრიათ იმისთვის, იქ ცემულა, მიცვალებულის კუბოში, და მამას უთქვამს: - შე წყეულო, ცოტა ხანს მაინც მოგეცადა, მერე ხომ მაინც შენი საბუდარი გახდებოდაო. გველი თურმე არ შეარჩენს ნაწილს ადამიანს, რომ დამარხონ, მაინც თავისას გაიტანს. - ეგ არის გველის თვალიო, - იციან თქმა“ (თსუფა №31 330). ქართული გადმოცემების მიხედვით, გველი მიცვალებულს ნაწილს აცლის თუ იბრუნებს და მას მთვარის შუქზე ათამაშებს.

ამ ტიპის გადმოცემებში ძირითად მითოლოგიურ ელემენტებს მიცვალებული, გველი, ნაწილი და საფლავი წარმოადგენს. ინგუშურ თქმულებაში „ორშამარათ ერში და აკლდამის ჭრელი გველი“ ქალის ნაწილიანობისა და ღვთაებრივი სილამაზის გადმოსაცემად გვხვდება სტერეოტიპული გამოთქმა, რომელიც პანკისელი ქისტების მეტყველებამ დღემდე შემოინახა. თქმულების მიხედვით, ორშამარათ ერშის

[19] **შვიდი ძმის ერთადერთი და:** და-ძმების ამ რაოდენობით წარმოდგენა დამახასიათებელია ჩეჩნური, ინგუშური და ოსური თქმულებებისთვის.

საყვარელი ქალი „სილამაზისგან კვდებოდა“: „-хазалла ялла йоллуш йоI“. ამ გამოთქმას ჩეჩნები, ქისტები და ინგუშები მაშინ იყენებენ, როცა საუბრობენ გარდაცვლილ, ულამაზეს ქალზე, რომელსაც დიდი უბედურება დაატყდა და დაიღუპა. ორშამარათ ერშის საყვარელი ქალიც გარდაიცვალა. ის შეყვარებულთან ერთად, ერთ სუდარაში გახვეული, ერთ აკლდამაში დაკრძალეს[20]. ორშამარათ ერში ხედავს, რომ გარდაცვლილ სატრფოსთან გველი მიხოხავს. უნდა ვიფიქროთ, რომ, ისევე როგორც ქართულ ხალხურ ტექსტებში, აქაც გველი ქალთან ნაწილის დაუფლების მიზნით მისრიალდა. თქმულებას აქვს ზღაპრულ-მითოლოგიური ფინალი. საბოლოოდ, ორშამარათ ერში გველს კლავს, ნატვრისთვალს ისაკუთრებს და შეყვარებულ ქალს აცოცხლებს (Далгат 1972: 295-296). ერთი სიტყვით, ნატვრისთვალს აქვს ზებუნებრივი თვისება. მას შეუძლია მიცვალებულის გაცოცხლება. „ორშამარათ ერშისა და აკლდამის ჭრელი გველის“ პარალელურ ეპიზოდს ვხვდებით ოსურ ეპოსში. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, სოსლანის საცოლემ - ჩელეხსართაგის ასულმა ბედუხამ, როდესაც მამა გარდაცვლილი ნახა, აკლდამაში თავი მოიკლა. სოსლანი ძლიერ შეწუხდა და გადაწყვიტა საყვარელ ქალთან აკლდამაში სამი ღამე გაეთია. ერთხელაც დაინახა, აკლდამის ერთი კუთხიდან როგორ გამოსრიალდა გველი და ბედუხასკენ მიცოცდა. სოსლანმა გველი ხმლით შუაზე გააპო, რის შემდეგაც წინა ნაწილი სოროში სწრაფად შესრიალდა. ცოტა ხანში გველი ისევ გამოხოხდა, რომელსაც პირში ნატვრისთვალი უბრწყინავდა. გველმა ნატვრისთვალი გადაჭრილ ნახევარს გადაუსვა და ის ნაწილიც მაშინვე ზედ შეეხორცა. სოსლანმა, ეს რომ დაინახა, გველს კვლავ დაარტყა, ამჯერად თავში. მან მოკლა გველი და ნატვრისთვალი პირიდან გამოაცალა, რომელიც ბედუხას ჭრილობაზე მიუსვ-მოუსვა და იმწამსვე გააცოცხლა (Осетинские сказания 1948: 124). ოსურ გადმოცემაზე დაყრდნობით ლ. ჩიბიროვი ნატვრისთვალის სხვა ფუნქციაზეც მიუთითებს. მისი ცნობით, ოსები ნატვრისთვალით ავადმყოფებსაც მკურნალობდნენ. კულტმსახურები და ექიმბაშები ნატვრისთვალსა და ე. წ. „ეშმაკის ქვას“ შავ ქსოვილში გამოკვანძავდნენ და ავადმყოფს კისერზე ჰკიდებდნენ. მათი რწმენით,

[20] ამგვარ სიუჟეტებში ვ. პროპი ცოლის ქმართან ერთად დამარხვის ჩვეულების გამოძახილს ხედავს (Пропп 1955: 107).

ნატვრისთვალი სნეულს უეჭველად განკურნავდა. პრევენციის მიზნით ისინი ამ საგნების ტარებას ჯანმრთელ ადამიანებსაც ურჩევდნენ (Чибиров 2008:277). სავარაუდოდ, ის, რასაც შობიდანვე ფლობს ნაწილიანი და მის სხეულზე საიდუმლო ნიშნებით გამოიხატება, გველთან ის ძვირფას თვლად თუ ძვირფას ქვად იქცევა, რომელსაც ოსები ცქურაი ფარდიგს (Цыкурайы фæрдыг) უწოდებენ, ქართველები - ნატვრისთვალს, ინგუშები - დოშო ბურილგს (дошо бурилг – ოქროს ბურთულას) და ა. შ. მას ამ ხალხების ტრადიციაში ზებუნებრივი თვისებები მიეწერება.

სხეულზე საიდუმლო ნიშნებს ნადირიც ატარებს. მას თავისი ღვთაებრივი პატრონი ჰყავს, რომელსაც ნადირთმწყემსი ჰქვია. კავკასიის ხალხთა გადმოცემებში საიდუმლო ნიშნების მქონე ჯიხვსა და ირემს, როგორც ნადირთმწყემსის რჩეულ ცხოველს, ტყვია და ისარი არ ეკარება. საიდუმლო ნიშნების მქონე ირმისა და ჯიხვის სახით შეიძლება მონადირეს თავად ნადირთმწყემსიც მოევლონოს. ხევსურული გადმოცემის მიხედვით, მონადირე სინდაურისძემ ჯიხვების მთელი ხორო გაწყვიტა, მაგრამ მეთორმეტე ჯიხვს ვერაფერი ვეღარ მოუხერხა. მან მრავალი დღე სდია, მაგრამ დევნილი ჯიხვი ტყვიას არ იკარებდა, რადგან მას იცავდა ღვთაებრივი აღე - შუბლზე და ყელზე გამოსახული თეთრი ნიშანი (ბალიაური ... 1989: 115-116). ანალოგიურ ეპიზოდს ვხვდებით ოსურ ეპოსში. ურუზმაგმა ლელიანში ოქროსბეწვიანი ირემი დაინახა, რომელსაც მზის სხივები დასციმციმებდა. მშვილდი დაუმიზნა, მაგრამ ისრები მთლად დაუღავდა, ორლესულით გაუქანდა, მაგრამ ორლესული ხელიდან გაუსხლტა (ნართები 1988: 143). ოქრო ღვთაებრივი ლითონია. ოსურ ეპოსში ოქროს ბეწვი ირმის ღვთაებრივ ბუნებას გამოხატავს. ამ სახით სანადიროდ წასულ ურუზმაგსა და სოსლანს მზის ასული ეცხადება. მითოლოგიაში დადასტურებულია მზესა და ოქროს შორის სიღრმისეული იდენტობა (კიკნაძე 2016 ბ: 23). ოსურ ეპოსში ოქროსბეწვიანმა ირემმა სოსლანი სავხოხის მთაზე ერთ გამოქვაბულთან აიყვანა, სადაც თავის აღმზრდელებთან ერთად მზის ასული აცირუხსი ცხოვრობდა (ნართები 1988: 143). ამირანის ეპოსში გვხვდება მსგავსი სცენა, როცა ოქროსრქიანმა ირემმა გმირები ასევე მთაზე, ბროლის ქვით ნაგებ კოშკთან მიიყვანა.

ხევსურულ გადმოცემაში თვითონ ნადირთმწყემსი ეცხადება სინდაურისძეს ჯიხვის სახით, რომელიც რჩეულობის ნიშნად შუბლზე და ყელზე თეთრ ნიშანს ატარებდა. ყარაჩაულ-ბალყარულ ფოლკლორში კი გამოცდილ მონადირეს - ბიინოგერს ნადირთმწყემს აფსათის გამიჯნურებული ასული თეთრი ირმის სახით ევლინება, რათა ღალატის გამო მონადირე სასტიკად დასაჯოს (კავკასიის ფოლკლორი 2008: 945). ბიზანტიური ხალხური ეპოსის მიხედვით, დიგენის აკრიტასის ცხოვრება ფატალურად მთავრდება, რადგან მან მოკლა ირემი, რომელსაც რქებს შორის ჯვრის, ხოლო ბეჭებს შორის ღვთისმშობლის გამოსახულება აღმოაჩნდა (Дестунис 1883: 30). რჩეულ ნადირთან შეხვედრა, საიდუმლო ნიშნების ხილვა და ნადირის მოკვლა ნებისმიერ შემთხვევაში მონადირის დაღუპვას აახლოვებს.

სხეულზე გამოსახული ღვთაებრივი ნიშნების საიდუმლოდ შენახვის ხალხურ ტრადიციას თავისი არქეტიპი მოეპოვება სახარებაში. როცა ღამით, მთიდან ჩამოდიოდნენ, იესომ უთხრა თავის მოწაფეებს პეტრეს, იაკობსა და მის ძმას იოანეს, რომ ძე კაცისას მკვდრეთით აღდგომამდე არ გაემხილათ მისი ღვთაებრივი ბრწყინვალების საიდუმლო, რომელიც მოწაფეებმა მთაზე იხილეს: „ნუვის უთხრობთ ხილვასა ამას, ვიდრემდის ძე კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს“ (მათე 17: 9).

ხალხურ ტექსტებსა და მხატვრულ ლიტერატურაში პერსონაჟის სხეულზე საიდუმლო ნიშნები მათ რჩეულობას, ღვთაებრივ დიდებულებასა და ძალმოსილებას გამოხატავს. ნაწილიანი გმირები ღვთის რჩეულნი არიან და ისინი გარეგნული ბრწყინვალებით უფალს ემსგავსებიან. ასტრალური და რელიგიური ნიშნებით გამოხატული ბრწყინვალება საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო დაცული, როგორც განკაცებული ძის ღვთაებრივი ბუნება, რომელიც გამოაშკრავდა მთაზე, პეტრეს, იაკობისა და იოანეს წინაშე, ღამით, როცა „გაბრწყინდა მისი სახე, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ (მათე 17: 2). აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ნაწილიანობასთან დაკავშირებით საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, უძველეს ხალხურ წარმოდგენებთან, ხოლო, მეორე მხრივ, სახარებისეული ეპიზოდის ერთგვარ მითოლოგიურ ალუზიასთან, რომელიც ხალხურ ტრადიციაში ნაწილიანობის სახით ჩამოყალიბდა.

ჯაღოსნური საბრძოლო აღჭურვილობა და მისი ჯიპოლოგია

ჩეჩნური და ინგუშური საგმირო თქმულებების ცალკეული ეპიზოდები მოგვითხრობენ საბრძოლო იარაღზე, რომლებსაც პერსონაჟები ორთაბრძოლებსა და საომარ შეტაკებებში იყენებდნენ.

როგორც ხევსურეთში, ისე მაღალმთიან ჩეჩნეთ-ინგუშეთში საბრძოლო იარაღებს შორის განთქმული იყო ხმალი გორდა (ჩეჩნ. гIоьрда, „ღერდა“). ი. ასხაბოვის ცნობით, ჩეჩნები ასხვავებდნენ სამი სახის გორდას: „გორდა-ასელს“, „გორდა-მაჟარს“ და „გორდა ელმურზას“ (Асхабов 2001: 23). გადმოცემებიდან ირკვევა, რომ მთიან ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ისეთ გვარებს უცხოვრიათ, რომლებიც დახელოვნებული იყვნენ მჭედლობაში და იარაღის კეთების საიდუმლოს თაობიდან თაობას გადასცემდნენ. ი. ასხაბოვი ხმალ გორდას („ღერდა“) ჩეჩნურ წარმომავლობაზე მიუთითებს. ჩეჩენი მკვლევარი ხმლის სახელ „გორდას“ (ჩეჩნ. гIоьрда) თეიფ „ღერდალოის“ უკავშირებს, რომლის წარმომადგენლებიც იარაღის განთქმული ოსტატები უნდა ყოფილიყვნენ (Асхабов 2001: 22). ხანჯლების კეთებაში თავიანთი ოსტატობით განთქმული იყვნენ, აგრეთვე, მთიან ჩეჩნეთში სოფელ *დერღისა (ДаьргIа)* და *ჯულართის* მცხოვრებლები. მათ ოსტატობაზე ისიც მიუთითებს, რომ ამ სოფლებში დამზადებული ხანჯლები ხსენდება ჩეჩნებისა და ინგუშების ფოლკლორში: „ჯუღართა შელთა“ (ДжуьгIарта шаьлта) და „ჰენაფ შელთა“ (Хьенап шаьлта), სადაც „შელთა“ ჩეჩნურ ენაზე ჰქვია ხანჯალს, ხოლო „ჰენაფ“, სავარაუდოდ, უნდა იყოს ხანჯლების ოსტატის სახელი (Алироев 1994: 155).

ხმალ-ხანჯლისა და სხვა საბრძოლო აღჭურვილობის ჩეჩნურ-ინგუშური და ხევსურული სახელები არცთუ იშვიათად ერთმანეთს ემთხვევა, რაც გვაფიქრებინებს იმაზე, რომ ფშავ-ხევსურეთისა და ჩეჩნეთის მაღალმთიან სოფლებში არსებობდა სპეციალური კუსტარული სამჭედლოები, სადაც ქართველი და ქისტი ოსტატები იარაღს ამზადებდნენ და მჭედლობის საიდუმლოს ერთმანეთს უზიარ-

ებდნენ. იარაღის სახელგანთქმულ ოსტატებს შორის ყოფილა მწვავე კონკურენციის შემთხვევებიც, როცა ისინი მოსაკლავადაც არ ინდობდნენ ერთმანეთს. ჩეჩნეთის მაღალმთიან აულებში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით, „ბოიგუშსა და ერთ ნაშხოელ ოსტატს სანაძლეო დაუდიათ იმის გასარკვევად, თუ რომელი უფრო გამძლე ჯაჭვის პერანგს ამზადებდა. ამ მიზნით მათ თავიანთი ნაკეთობები ჩაუცვამთ და იქამდე უბრძოლიათ, სანამ ერთ ოსტატს მეორის აბჯარი ხმლით არ დაულეწავს. გამარჯვება ბოიგუშს რგებია, რადგან ხანგრძლივი ორთაბრძოლის შემდეგ მას მეტოქის ჯაჭვის პერანგი ხმლით გაუპია და მოწინააღმდეგე მოუკლავს“ (Великая, Виноградов…1990: 29).

ხმლების გარდა, ხევსურები, ჩეჩნები და ინგუშები ფარებს ერთი და იმავე ტექნოლოგიითა და მასალისგან ამზადებდნენ. ფარების გასაკეთებლად ოსტატები ხეს, რკინასა და ტყავს იყენებდნენ. ხევსურულ, ჩეჩნურ და ინგუშურ ფარებს ჰქონდათ ერთნაირი სტილი, ზომა და ფორმა (Асхабов 2001: 24). ხევსურულ ფარებზე ოსტატები ხშირად ჯვრებს გამოსახავდნენ. აღსანიშნავია, რომ ამანდ ფონ შვაიგერ-ლერხენფელდი თავის წიგნში „დუნაისა და კავკასიას შორის“, 349-ე გვერდზე წარმოადგენს ფოტოს, რომელზეც გამოსახულია ჩეჩენი მეომარი, ჯაჭვის პერანგითა და სრული საბრძოლო აღჭურვილობით. აღსანიშნავია, რომ ჩეჩენ მებრძოლს ხელში უჭირავს ფარი, ჯვრის გამოსახულებით, ზუსტად ისეთივე, როგორსაც ხევსური მეომრები ატარებდნენ (Schweiger-Lerchenfeld 1887: 349).

კავკასიის მაღალმთიან რეგიონებში იარაღი შემოჰქონდათ როგორც ევროპიდან, ისე აზიის ქვეყნებიდან. ხევსურული ხმლის ერთერთ სახეობას, რომელიც ევროპიდან შემოდიოდა, ერქვა ფრანგული. ჩეჩნურ ხალხურ ტექსტებში ხსენდება, აგრეთვე, ღაჟარული (ირანული) ხმლები. როგორც ქართულ, ისე ჩეჩნურ და ინგუშურ ტრადიციაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა დამასკური ხმლები.

ძველი ლეგენდები და ბალადები ისეთ ბასრ ხმლებზე მოგვითხრობენ, რომელიც ერთი მოქნევით ცხენს მხედრიანად ჭრიდა და ქვასაც ნაპერწკლებს აყრევინებდა.

კავკასიის ხალხთა საგმირო ეპოსებში ჩვეულებრივი საბრძოლო და თავდაცვითი აღჭურვილობის გვერდით წარმოდგენილია ჯადოსნური იარაღი, რომელსაც, როგორც ძვირფას განძს, დემონური არსებები იცავდნენ. ჯადოსნურ საბრძოლო აღჭურვილობას ეპოსის მთავარი გმირები დიდი ძალისხმევით მოიპოვებდნენ და მას მხოლოდ განსაკუთრებულ, გადამწყვეტ ბრძოლაში იყენებდნენ.

ერთი ინგუშური თქმულების მიხედვით, ზებუნებრივი თვისებების მქონე საბრძოლო აღჭურვილობას ფლობდა ნართების შვიდივე თაობის წინაპარი, სახელად ნერთბი. „როცა ის გოლიათ-ვამპალებთან ბრძოლაში დაიღუპა, ნერთბისთან ერთად მისი აბჯარ-იარაღიც დამარხეს. ნერთბის ხმალი არ იყო ჩვეულებრივი იარაღი, რადგან როცა მისი პატრონი ხმლის ქნევისგან იღლებოდა, იგი პატრონს ხელიდან უსხლტებოდა და ხმალი მტერს თვითონვე ანადგურებდა“ (Дахкильгов 2012: 248-255). სესქათ სოლსამ მთვარის ასული მხოლოდ ნერთბის აბჯარ-იარაღითა და ხმლით გამოიხსნა, რადგან სხვანაირად ის ცხრათავიან გველეშაპ-სარმაქს ვერ დაამარცხებდა, რომელიც მთვარის ასულის - ბეთა ლირას კოშკს იცავდა. ნერთბის საბრძოლო აღჭურვილობა საიქიოდან ბოთოყოთ შირთყამ გამოუტანა სესქათ სოლსას. საიქიოდან გამოტანილ ნივთს კი, ეს საომარი აღჭურვილობა იქნებოდა თუ სხვა დანიშნულების საგანი, განსაკუთრებული მაგიური ძალა მიეწერებოდა, მით უფრო, რომ მასზე წინაპარ ნერთბის დავლათი იყო გადასული და ამ მიზეზით მთელი საბრძოლო აღჭურვილობა ზებუნებრივ თვისებებს იძენდა.

ასეთ იარაღს, რომელსაც მითოლოგიურ არსებებთან ბრძოლის გამოცდილება ჰქონდა შეძენილი, როგორც ჯვარ-ხატის ძვირფას განძს, უეჭველად საიდუმლო ადგილზე ინახავდნენ, რათა შემთხვევითი ხელი არ შეხებოდა და მისი გაუწმინდურება, პროფანაცია არ მომხდარიყო. ჯადოსნური იარაღი, როგორც გრაალის თასი, რჩეულებს ელოდებოდა. საბრძოლო იარაღს განსაკუთრებულ ხარისხსა და ძალას სძენდა სწორედ ის გეოგრაფიული სივრცე, სადაც მას ინახავდნენ. როგორც ცნობილია, მიღმა სამყაროდან ადამიანთა რეალურ საცხოვრისში გამოტანილი ნივთები საკრალურ თვისებებს ატარებებდნენ. აქედან გამომდინარე, საიქიოდან გამოტანილი ნერ-

თბის აბჯარ-იარაღი გამოირჩევა მაგიური ძალით, ზებუნებრივი თვისებებითა და ერთგვარი საკრალიზმით.

სხვა შემთხვევაში ჯადოსნურ იარაღს, როგორც ძვირფას განძს, საიდუმლო სოროში გველი[21] დარაჯობს. ერთ ღილღურ თქმულებაში, გველი ადამის მოდგმასთან დასაბამიერ მტრობას ივიწყებს და საიდუმლო სამალავთან მიჰყავს ბორა აბაევი, რადგან ვაჟმა მანამდე გველი სიკვდილისგან იხსნა. მადლიერი გველი ბორა აბაევს ჩუქნის საკვირველ აბჯარს, ხოლო გმირის შთამომავლები მას, როგორც საკრალურ ნივთს, დიდი ხნის მანძილზე უფრთხილდებოდნენ და ინახავდნენ (Далгат 1972: 372-373).

გველი მჩუქებლის ფუნქციით ხშირად გვხვდება მითოლოგიურ თქმულებებსა და ჯადოსნურ ზღაპრებში. გველი მთავარ გმირს ჩუქნის განძს და ანიჭებს ცოცხალ არსებათა ენის ცოდნის უნარს. ქართული საგმირო ბალადების მიხედვით, დაძმობილებულმა გველეშაპმა სასწაულებრივი ჯაჭვის პერანგი უსახსოვრა თორღვა ძაგანს, რომელიც შობიდანვე ღვთისაგან მინიჭებული დავლათითა და საგვარეულო დიდებულებით იყო დაჯილდოებული[22]. გადმოცემის მიხედვით, „თორღვა სანადიროდ ყოფილა, ერთ ალაგას ყინულში ჩავარდნილა, იქ ვეშაპი წოლილა და იმას დასცემია... იმ ვეშაპს მიუცია ჯაჭვი – ბეგთარი, – ტანზე ჩასაცმელი. თურმე ისეთი თვისება ჰქონდა იმ ჯაჭვს, სადაც ხმალს დაარტყამდნენ, ან ტყვია და ისარი მოხვდებოდა, სულ იქ მიიხვეტებოდა თურმე და ვეღარაფერს აკლებდა იარაღი“ (შანიძე 1931: 351). თორღვას მითოსი კიდევ ერთხელ ადას-

[21] ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში გველი, როგორც მითიური ანტაგონისტი, აქტიურად მონაწილეობს. იგი ეპოსში სხვადასხვა ფუნქციით წარმოდგება. გველი, ერთი მხრივ, ცდილობს, რომ აკლდამაში დაკრძალულ ქალიშვილს ნაწილი აართვას, მეორე მხრივ კი, ის ფლობს ნატვრისთვალს, რომლითაც მიცვალებულის გაცოცხლება შეიძლება. სხვა შემთხვევაში გველი, როგორც ხთონური არსება, უპირისპირდება ფრინველს, როგორც ცის წარმომადგენელს. გველი ცდილობს კლდეზე ასვლას, რათა არწივს ბუდეში ბარტყები დაუჭამოს. მაგრამ მთავარი გმირი იხსნის ბარტყებს განსაცდელისგან და არწივის სახით საიმედო მოკავშირეს შეიძენს. გველისა და არწივის დაპირისპირების უძველესი დადასტურება გვხვდება ძვ. წ-ის II ათასწლეულის შუამდინარულ ლიტერატურაში (ეთანას მითოსი).

[22] ხალხური ტრადიცია თორღვას ერთ-ერთი ბაგრატიონის უკანონო შვილად აცხადებს.

ტურებს, რომ გმირის რჩეულობა ჯადოსნური იარაღის ფლობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა. ხევსურული ტექსტები მოგვითხრობენ, თუ როგორ გახდა თორღვა ძაგანი გველეშაპის ნაჩუქარი ჯაჭვის პერანგით უძლეველი, თუმცა ის გაბუდაყდა და დაკარგა ზებუნებრივი თვისებების მქონე აბჯარი, რომელმაც გმირს არაერთი წარმატება მოუტანა. სამანქანურო ჯაჭვის პერანგის დაკარგვას ხალხური ლექსი ლირიკულ და მთავარ გმირს შორის გამართული დიალოგის სახით წარმოგვიდგენს:

„ – ჯაჭვი რა უყავ, თორღვაო, ძმობილის ნაჩუქარიო?
– გავუშვი იალნოზედა, გაცურდა, როგორც წყალიო.
გამაუყენე მდევარი, ვერ მაუხელეს კვალიო“

(შანიძე 1931: 349).

ხალხურ ტექსტებში გველეშაპის ნაჩუქარ ჯაჭვის პერანგს ჰქვია სამანქანურო ჯაჭვი, რადგან, ჯერ ერთი, შეიძლება ის შექმნილი იყო რაღაც „ეშმაკის მანქანებით“ და ამ მიზეზით ის შეიცავს ჯადოსნურ თვისებას; მეორეც, ჯაჭვი უნდა ყოფილიყო გაწყობილი ოსტატურად ისე, რომ სადაც მას ისარი და ხმალი მოხვდებოდა, შეკუმშულიყო და მეომრის სხეული დაზიანებისგან დაეცვა. როგორც ჩანს, სწორედ ამ თვისების გამო ეწოდა ჯაჭვს „სამანქანურო“.

„ნიბელუნგების სიმღერაში“ ზიგფრიდსაც ჯადოსნურ მოსასხამს ჩუქნიან, მაგრამ ამ შემთხვევაში მჩუქებლის როლში გველეშაპის ნაცვლად მითიური არსებები - ჯუჯები გამოდიან. ზიგფრიდს მოპოვებულმა მოსასხამმა თორმეტი მეომრის ღონე შეჰმატა და უჩინარი გახადა. ჯადოსნური მოსასხამი ზიგფრიდს ბუმბერაზ კუპერთან ბრძოლაში ეხმარება (სიმღერა ნიბელუნგებზე 1982: 315).

ბესარიონ გაბურის გადმოცემით, ერეკლე მეფე ბრძოლაში მცურავ ჯაჭვს ატარებდა. იმ ადგილას, სადაც ტყვია მოხვდებოდა აბჯარი იკუმშებოდა, ტყვიას არ ატარებდა და იქვე ჯაჭვში რჩებოდა. ერთერთ ბრძოლაში ტყვიებისგან ჯაჭვი ისე დამძიმებულა, რომ ერეკლეს „ჩახქცევივ ცხენი: ცხენს ველარ გაუძლავ სიმძიმისად, შვიდ ფუთ ტყვია დაზდგომივ ერეკლეს ჯაჭვში“ (სიხარულიძე 1964: 58-59).

ოსურ ეპოსში ხსენდება ჯადოსნური აღჭურვილობა: სახელოვანი წინაპრის - ბიდასის თაყა, იგივე მუზარადი და ასევე წინაპარ ცე-

რექის ნაქონი ჯაჭვის პერანგი, რომლებსაც სოსლანი ატარებდა. თქმულების მიხედვით, თაყაც და ჯაჭვის პერანგიც ომის ხსენებაზე პატრონს თავსა და ტანზე თვითონ მოერგებოდა. ბიდასის თაყასა და ცერექის რვალში ვერც ისარი ატანდა და მათ ვერც ხმალი ჭრიდა. ჯადოსნურ აბჯარს გმირი მუდამ თან ატარებდა. ალაგათებთან გამართულ წვეულებაზე სოსლანმა უთხრა ხიზის ვაჟ ჩელეხსართაგს, თუ ცეკვაში აჯობებდა, თავის განთქმულ ცერექის ჯაჭვის პერანგს, ბიდასის თაყასა და ორლესულს დაუთმობდა (ნართები 1988: 129-130). მაგრამ სულ ეს არ არის. მეომარი ახართაგების მოდგმა მდიდარია სხვა სახის ჯადოსნური საბრძოლო აღჭურვილობებით. ოსური ეპოსის მიხედვით, წინაპართა საგანძურიდან ნართებს კიდევ შემორჩათ რკინის სკივრი, რომელიც ახსართაგების დიდი ხაძარის შიგნითა ოთახში ინახებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ხაძარის სიღრმე, სადაც საბრძოლო აღჭურვილობა ინახებოდა, საცავის საიდუმლო დანიშნულებაზე მიუთითებს, რადგან იარაღით სავსე სკივრი მხოლოდ მაშინ იღებოდა, როცა ბათრაძი მას საიდუმლო, ხატიაგურ[23] ენაზე მიმართავდა. სკივრში შენახული ჯაჭვის პერანგითა და ბასრი ორლესულით ბათრაძმა დაამარცხა შვიდთავა ფრთოსანი დევი ყანძარგისი (ნართები 1988: 249). ნართების დიდ ხაძარში შენახული საბრძოლო აღჭურვილობის ეპიზოდი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ასეთი იარაღი მხოლოდ რჩეულებს ელოდებოდა. ანგლო-საქსურ ეპოსებში საარაკო საგანძური, რომელშიც მოოჭვილი მუზარადები, აბჯრები, ხმლები და ჯაჭვის პერანგებიც მოიაზრება, მიუვალ კოშკში ინახებოდა და მას ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი იცავდა. „ბეოვულფის“ ეპოსის პერსონაჟი ვიგლაფი, როგორც ჯადოსნური იარაღის თვითმხილველი, ამბობს:

„ვნახე ყოველი, ვიყავი კოშკში,
სად დამალული იყო აბჯარი და განძეული,
შევცქეროდი ამ შემზარავ, ომგამოვლილ საგნებს ვუცქერდი“
(ბეოვულფი 1989: 156).

[23] ხატიაგური ენაში მ. ჩიქოვანის აზრით, მოიაზრება ხატის ენა, ჯვრის ენა, რომელსაც ფშავ-ხევსურეთში ხუცეს-ხევისბრები კულტმსახურების დროს იყენებდნენ.

ჯადოსნური საბრძოლო აღჭურვილობის მოტივს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ძველ მითოსებსა და შუა საუკუნეების საგმირო რომანებში. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ტარიელი ცხოვრობს იმ გამოქვაბულში, რომლის მეორმოცე ოთახშიც, საარაკო განძთან ერთად, სამი წყვილი საკვირველი აბჯარი ინახება. წინასწარმეტყველების თანახმად, სამივე აბჯარი ქაჯებთან ბრძოლას ელოდება (რუსთველი 1986: 427). ვეფხისტყავით შემოსილი ტარიელი, გველეშაპის წიაღიდან გამოსული გმირის მსგავსად, გამოქვაბულს შეცვლილი სულიერი მდგომარეობითა და ფიზიკური გარეგნობით ტოვებს. ქაჯეთის ციხის აღებისას ტარიელს ვეფხისტყავის ნაცვლად უკვე ჯადოსნური აბჯარი აცვია, რომელიც დიდი ხნის მანძილზე გამოქვაბულში ინახებოდა და ქაჯებთან მებრძოლ გმირს ელოდებოდა. „ვეფხისტყაოსნის“ რაინდებს ქაჯეთის ციხის გატეხაში დევების საგანძურში აღმოჩენილი ჯადოსნური აბჯარი დაეხმარათ. მითოსის მიხედვით, დემონური არსებები ფლობენ განსაკუთრებული თვისების მქონე იარაღს, რომელსაც გმირები დიდი ძალისხმევით მოიპოვებენ და საბედისწერო ბრძოლაში ამ აღჭურვილობით იმარჯვებენ. დევების გამოქვაბულში აღმოჩენილი საგანძურის ეპიზოდში „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მითოლოგიურ ტრადიციას ეყრდნობა. თორღვასაგან განსხვავებით, რომელსაც გველეშაპი ჩუქნის ჯაჭვის პერანგს, ტარიელმა ჯადოსნური აღჭურვილობა დევებთან ბრძოლით მოიპოვა.

ხალხურ ნაწარმოებში განსაკუთრებით პოპულარულია ჯადოსნური ხმლის მოტივი. ინგუშური თქმულების თანახმად, ხამჩით ფათარაზი ზღვაურ ურჩხულს იმ ჯადოსნური ხმლით ებრძვის, რომელიც დიდი ხნის მანძილზე შვიდი უზარმაზარი ლოდით ამოქოლილ გამოქვაბულში ინახებოდა (Дахкильгов 2012: 242-248).

სომხურ ეპოსში მჰერი უმცროსი თავისი ელვა-ხმლით აპობს კლდეს, რომელშიც გმირმა უნდა დაივანოს (Сасунские удальцы 2004: 83). აფხაზურ ეპოსში დევების დამარცხება ნართ ცვიცვს მხოლოდ სასწაულებრივი ხმლით შეუძლია. ცვიცვის ხმალი არ არის ჩვეულებრივი, რადგან ჯადოსნურ ხმალს დევებთან საომრად ჩუქნის თა-

ვისი იდუმალი დედა, აწანების ასული ზილხა, ქალი, რომელსაც ჰქონდა ზებუნებრივი თვისებები (აფხაზური ეპოსი 2007: 226).

ქართული გადმოცემა ერეკლეს ხმალს ჯადოსნურ თვისებას მიაწერს. ის პატრონს ტანზე თავისით შემოერტმებოდა. თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, „ერეკლემ ხმალი წინ დაიდვის და ისევ თავის-თავად შემოერტყისო“ (შანიძე 1931: 365). ერეკლეს ბასრ ხმალს მტრის ცხენიანად გაკვეთა შეეძლო. სოფელ შილდაში ჩაწერილი ხალხური ტექსტი მოგვითხრობს, რომ კოხტა ბელადს „დაუსვა ერეკლემ ხმალი და ოთხად გაჭრა ცხენი და კაცი“ (სიხარულიძე 1964: 61).

ჯადოსნური და საკრალური იარაღის ფლობა ბოროტების შავბნელ ძალებზე გამარჯვების აუცილებელი წინაპირობაა. ასეთია არტურ მეფის ჯადოსნური ხმალი ესკალიბური, რომლის მოპოვებაც მხოლოდ რჩეულ რაინდს შეუძლია. ლეგენდების მიხედვით, სწორედ ესკალიბურია ის ხმალი, რომლითაც გმირმა ანტიქრისტე უნდა დაამარცხოს.

ხალხური წარმოდგენების მიხედვით, ბოროტ და დემონურ ძალებზე გამარჯვება წარმოუდგენილია ჩვეულებრივი იარაღით. ზებუნებრივი თვისებებით გამოირჩევა ქართულ ეპოსში ამირანის ალმასის დანა, რომელიც გმირს დედის მუცლიდან დაჰყვა და რომლითაც ამირანმა შავი გველეშაპი გამოფატრა. ანგლოსაქსურ საგმირო ეპოსშიც ბეოვულფი „გოლიათთა ნაქონი“ ხმლით კლავს დემონურ არსებას, გველეშაპ გრენდელის დედას. ბეოვულფის ხმალი, რომლითაც გმირმა დემონური არსება განგმირა, არა მხოლოდ გოლიათების ნაქონია, არამედ - მათი გამოჭედილიც. მას უბრალო კაცი ადგილიდან ვერ დაძრავდა. ის იყო „ყოველთა მჯობი“, ყველაზე მძლავრი მახვილი, რომელიც გოლიათთა ჯადოთი იყო შელოცვილი. პოემის მიხედვით, „მისწვდა, იშიშვლა ბეოვულფმა გოლიათთა ნაქონი ხმალი, მილეწ-მოლეწა ის ჯაჭვები, მახვილს რომ ება, გააფთრებულმა და მრისხანემ, თავდავიწყებით მაღლა შემართა, დაჰკრა კისერზე, რაც შეეძლო, ძალა რაც კი შემორჩენოდა. ძვალი, რბილი ერთად გაჰკვეთა, ქვე-დაენარცხა გველეშაპის გრძნეული დედა, ბეოვულფმა

სისხლში ნაფერი ხმალი შესტყორცნა, ბეოვულფმა გამარჯვების ყიჟინა დასცა“ (ბეოვულფი 1989: 81-82).

მართალია, გულანშაროში ავთანდილი ჩვეულებრივი დანით განგმირავს ჭაშნაგირს, მაგრამ ავტორი ფატმანის დავალების შესასრულებლად მიმავალ რაინდს ზებუნებრივი თვისებებითა და საკრალური იარაღით წარმოგვიდგენს (მამისიმედიშვილი 2017: 25). პოეტი წერს:

„რა ესე ესმა ავთნდილს ლაღსა, ბუნება ზე-არსა,
ადგა და ლახტი აიღო, რა ტურფა რამე მხნე არსა!

(რუსთაველი 1986: 356).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიურ გადმოცემებსა და საკულტო ტექსტებში მფარველ ღვთისშვილს - იახსარს მუდამ მიეწერება ეპითეტი „ლაღი“, რომელიც ღვთისშვილის შინაგან ბუნება-ხასიათს გადმოგვცემს, ხოლო ლახტი წარმოადგენს საბრძოლო იარაღს, რომლითაც იახსარი დევებს ებრძოდა. დევებთან მებრძოლმა იახსარმა ლახტით როშკის კლდე ორად „გაანაფოტა“. სწორედ ამ ატრიბუტებით („ლაღი“, „ლახტი“) მოიხსენიებს ჯვარხატთა სადიდებლებში ხევისბერი მფარველ წმინდანს: „გაუმარჯოს ლაღ იახსარსა, ლახტიან-მათრახიანსა, დევებთან მეომარსა“ (სადიდებლები 1998: 119). იახსრის შეუცვლელი ეპითეტი არის „ლაღი“ და მისი იარაღი არის ლახტი. ჭაშნაგირის მოსაკლავად მიმავალ ავთანდილს ავტორი ისეთივე თვისებებით („ლაღი“, „ბუნება ზეარსა“) გვიხატავს, როგორიც მითოსური ტრადიციით იახსარს მიეწერებოდა, რადგან ავთანდილის საქციელი სამართლიანია. მოცემულ ეპიზოდში პოეტი ავთანდილს იმ იარაღით („ლახტი“) წარმოგვიდგენს, რომელსაც დევებთან ბრძოლაში იახსარი იყენებდა.

ლეონტი მროველი „მეფეთა ცხოვრებაში“ არ აღწერს იმ ძვირფასეულობას, რომელიც საგანძურის სახით ფარნავაზს გამოქვაბულში დახვდა. „ვეფხისტყაოსნის“ ლოგიკითა და, ზოგადად, მითოლოგიური სცენარის მიხედვით, იმ საგანძურში, რომელსაც ფარნავაზმა გამოქვაბულში მიაკვლია, უეჭველად უნდა ყოფილიყო საუცხოო აბჯარ-იარაღიც, როგორც სამეფო ინსიგნია, რომლითაც ქვეყნის მომავალ მეფეს უნდა დაემარცხებინა აზო და შემოეხაზა „ნიკოფსიიდ-

ან დარუბანდამდე“ თავისი სამეფოს ისტორიული საზღვრები (მამისიმედიშვილი 2017: 26).

ჯადოსნური იარაღის მოტივი ფართოდ გავრცელდა ევროპისა და აზიის ხალხთა თქმულებებში. აზერბაიჯანული ეპოსი სასწაულებრივი ხმლის ზეციურ წარმომავლობაზე მიანიშნებს. ქოროღლის დასთანის აზერბაიჯანული ვერსიის მიხედვით, ალი ქიშიმ მჭედელს ციდან ჩამოვარდნილი ქვიდან ჯადოსნური „მისრი“ ხმალი დაამზადებინა, რომლითაც ქოროღლი ხანებს, ბეგებსა და ფაშებს ებრძოდა (ქოროღლი 2003: 18-19).

ჩეჩნები, ინგუშები და ქართველი მთიელები საუკეთესო ფოლადის ხმალს მისრულ ხმალს უწოდებდნენ. ჩეჩნურ თქმულებებში ხსენდება მისრული ფოლადის ხმლები, რომლებსაც ერქვა „მისარ ბოლათა თურ“ (Мисар болатан тур) (Асхабов 2001: 14). რადგან მისრეთი ძველ ქართულ წყაროებში ერქვა ეგვიპტეს, მოსალოდნელი იყო, რომ ამ სახეობის ხმლის პირები კავკასიაში ეგვიპტიდან, დამასკოდან და აღმოსავლეთის სხვა კუთხეებიდან შემოეტანათ.

საქართველო უძველესი დროიდან ცნობილი იყო მჭედლობითა და იარაღის წარმოებით. გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ზამბარასავით დრეკადი და ბასრი ხმლების გამოჭედვის საიდუმლო დამპყრობლებმა კავკასიიდან წაიღეს. ცნობილია, რომ XIV საუკუნის ბოლოს თემურ ლენგმა საუკეთესო ოსტატები საქართველოდან და სხვა დაპყრობილი ქვეყნებიდან შუა აზიაში წაასხა. სწორედ ამ მიზეზით, ჰ. უილკინსონი მიიჩნევს, რომ დამასკოსა და მჭედლობის სხვა ცენტრებში იარაღის კეთების ოსტატობა იმ პერიოდიდან დაეცა და მან სპარსეთსა და შუა აზიაში გადაინაცვლა (Wilkinson 1837: 187-193). თუმცა, სავარაუდოდ, ხმლების ჭედვის ხელოვნება მოგვიანებით კიდევ უფრო დაიხვეწა. საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხებში პოპულარული იყო „მისრული“ და „დამასკურის“ სახელით ცნობილი სატევრები. ზეპირი გადმოცემები ისეთ ცნობებსაც გვაწვდიან, რომლის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ „მისრული ხმლები“ ფშავშიც მზადდებოდა, რადგან ფშავში მჭედლობის, როგორც საიდუმლო პროფესიის ხელოვნებას, კონკრეტული გვარის - მისრიაშვილების წარმომადგენლები ფლობდნენ. ზოგიერთი გადმო-

ცემით, ისინი ხევსური ჯალაბაურების განაყრები იყვნენ, რომლებსაც, დ. ხიზანაშვილის ცნობით, არღუნის ხეობაზე, შატილის მახლობლად უცხოვრიათ (ხიზანაშვილი 2018: 62). მეორე ვერსიის თანახმად, მისრიაშვილების გვარი მომდინარეობს მითიური წინაპრის - მისრიას სახელიდან, რომელიც, იმის გამო, რომ დახელოვნებული ყოფილა მჭედლობასა და ჯადოსნური იარაღის კეთებაში, მისრეთიდან მოუყვანიათ. მისრია, თურმე, ისეთ ხმალს აკეთებდა, რომელსაც რგოლივით ახვევდა და თასმით კრავდა, ხოლო როდესაც თასმას გახსნიდა, ხმალიც თავისთავად იშლებოდა და ლარივით სწორდებოდა. გადმოცემა მისრიას ფშავში მოყვანას თამარ მეფეს მიაწერს. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს თამარს უნახავს ხმალიც და ხმლის პატრონიც. ოსტატისთვის „მისრია“ დაურქმევია, რადგან მისრეთელი ყოფილა და ფშავში მჭედლად გაუმწესებია (ხიზანაშვილი 2018: 67-68). ფშავში მისრიაშვილების სოციალურ სტატუსს XX საუკუნემდე სწორედ ეს ანდრეზი განსაზღვრავდა. რადგან, გადმოცემის მიხედვით, მისრია ფშავში თამარ მეფის მოყვანილად ითვლებოდა, მისრიას ჩამომავლობის ფშავლები ლამის ჩვენს დრომდე თამარ მეფის ხატის მსახურებად ითვლებოდნენ. ისინი „მოწმინდარობდნენ“, თამარ მეფის სალოცავს ემსახურებოდნენ. მისრიაშვილები, როგორც ხატის მჭედლები, სხვადასხვა სახეობის საბრძოლო იარაღსა და ჯვრის თას-განძს ამზადებდნენ.

ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მთიანეთში ხმლის პირების საწრთობად წყალსა და მარილთან ერთად, მგლის ან დათვის ქონსაც იყენებდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ასეთი ქონით ნაწრთობი იარაღი მგლის ან დათვის თვისებას იძენდა. ამდენად, ჩეჩნურ და ინგუშურ საგმირო სიმღერებში შემთხვევით არ არის ჩართული ფრაზები: „დათვივით მძვინვარე იარაღი“ (Чал дера герзанаш), „მგელივით იარაღი“ (Борз санна герз) (Алироев 1994: 156). ასეთ ხმლებს ხევსურეთში „გველისპირულს“, „დავითფერულსა“ და „მგლის სახიან გორდას“ უწოდებდნენ.

ერთ-ერთ ინგუშურ თქმულებაში გვხვდება ე.წ. „ოდისევსის მშვილდის“ მოტივი. ახალგაზრდა ჩერქეზი თავადის ქორწილში სასახლიდან მშვილდი გამოიტანეს. სტუმარი არ დარჩა ისეთი, რომელმაც

მისი მოზიდვა არ სცადა, მაგრამ ამაოდ, ეს ვერავინ შეძლო. ქორწილს ესწრებოდა ახალგაზრდა ჩერქეზი თავადის გარდაცვლილი მამის ღილღველი მეგობარი - მეხქა ასთბი. მართალია, ახალგაზრდები მოხუცს მშვილდს არ ანებებდნენ, მაგრამ დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მეხქა ასთბიმ მშვილდი მოზიდა, შემდეგ სტყორცნა ისარი და ნაფშვენებად აქცია ჭადარი, რომელიც ეზოს კუთხეში იზრდებოდა. ხალხი გაოცდა. - ეს ჩემი მშვილდია. - თქვა მეხქა ასთბიმ. - მე ის ოდესღაც ჩემს ჩერქეზ მეგობარს ვაჩუქე. მხოლოდ ჩვენ ორს შეგვეძლო ამ მშვილდის მოზიდვა (Далгат 1972: 370-372). ეს ეპიზოდი საგმირო თქმულებებში გმირის რეაბილიტაციას ისახავს მიზნად. ახალგაზრდა ჩერქეზმა თავადმა ამოიცნო მამის ძველი მეგობარი, რომელიც უმაქნის და უნიათო შვილებთან ცხოვრებას დაებერებინა. მეგობრის ვაჟმა მოხუცი დიდი პატივით მიიღო და თავადური ტანსაცმლით შემოსა.

ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში ჯადოსნური იარაღის მოტივი სრულ შესაბამისობაშია სხვა ხალხების მითოსურ ტრადიციებთან. ასეთი იარაღი, როგორც განძი, საიდუმლო ადგილზე - გამოქვაბულში, გველის სოროსა და საიქიოში - ინახებოდა, რადგან სამივე ადგილს მითოსურ ცნობიერებაში ერთი და იგივე სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. საიდუმლო იარაღს ჰყავდა თავისი მცველი და მას გველი, დევი, გველეშაპი ან მითიური წინაპარი იცავდა. ასეთ იარაღს, რომელიც მხოლოდ რჩეულებს ელოდებოდა, გმირი ძირითადად დემონურ-მითოლოგიური არსებების: ქაჯების, გოლიათ-ვამპალების, გველეშაპებისა და სხვა უძლეველი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდა. ჯადოსნური იარაღს კი, როგორც წესი, ბოროტების შავბნელ ძალებთან ბრძოლაში მუდამ წარმატება მოჰქონდა.

საოჯახო და საზოგადოებრივი ეჯიკეჯი

მდიდარი და მრავალფეროვანია ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების თემატიკა, მათში ასახული ტრადიციული გარემო, ცალკეულ ჯგუფებს შორის არსებული კონფლიქტებით, საზოგადოებრივი და საოჯახო ურთიერთობებით.

ნართ-ორსთხოელთა თემაზე შექმნილ თქმულებებში აისახა როგორც ჩეჩენი და ინგუში ხალხების წეს-ჩვეულებები და საოჯახო ყოფა, ისე მათი ტრადიციული ეტიკეტი. უ. დალგათის აზრით, ტრადიციულმა ყოფამ გავლენა მოახდინა ჩეჩნებისა და ინგუშების მსოფლმხედველობის, ზნეობრივი ფასეულობების, ქცევის წესებისა და მითორელიგიური წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე (Далгат 1972: 49).

არაერთი თქმულება მოგვითხრობს დადებული პირობისა და მიცემული სიტყვის შესრულებაზე, რომელიც მთის ხალხებში განსაკუთრებით ფასობდა. ერთ-ერთი ღილღური თქმულების მიხედვით, სესქათ სოლსა ძლიერ წუხდა, რადგან კბილის ტკივილის გამო პირობას არღვევდა და მეგობართან შეხვედრაზე ვეღარ მიდიოდა. მან იფიქრა, რომ კბილის ტკივილი საკმარისი მიზეზი არ იქნებოდა მეგობრის წინაშე პირობის დარღვევის ასახსნელად. ამიტომ მან თვალიც გამოითხარა, რათა მეგობართან თავის მართლებისთვის უფრო მეტი არგუმენტი ჰქონოდა. ირონიულად ჟღერს სესქათ სოლსას მეგობრის ნათქვამი: „დიდი ამბავი, თუ თვალი დაკარგე! აი, შენ თუ კბილი გეტკიებოდა, მოუსვლელობისთვის მაშინ უფრო მნიშვნელოვანი და საპატიო მიზეზი გექნებოდა“ (Дахкильгов 2012: 181).

სიტყვის გატეხასა და პირობის დარღვევას შეიძლებოდა უმართავი პროცესები მოჰყოლოდა. დაზარალებული სიტყვის გამტეხს უეჭველად დასჯიდა. ერთხელ სესქათ სოლსა და ეგი-ხალაში მცხოვრები ეშქი შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს სათარეშოდ და ნადავლის მოსაპოვებლად ერთად წავიდოდნენ. მაგრამ სესქათ სოლსამ სიტყვა გატეხა, ეშქის არ მოუცადა და დილაუთენია მარტოდმარტო წავიდა სათარეშოდ. პირობის დარღვევითა და სიტყვის გატეხით აღ-

შფოთებულმა ეშქიმ სესქათ სოლსას ქალიშვილს ჯერ წყალი მოსთხოვა, თუმცა წყალს პირი არ დააკარა. შეურაცხყოფილმა კაცმა პროტესტის ნიშნად წყლით სავსე ოქროს თასი ძირს დაანარცხა, შემდეგ კი ხელი მოჰკიდა სესქათ სოლსას ქალიშვილს, ცხენზე შემოისვა და სამაგიეროს გადახდის მიზნით გაიტაცა, თანაც შესძახა: - „სესქათ სოლსას ნადავლი, მე კი - ლამაზი ქალი!“ პირობის დარღვევის გამო ეშქიმ ასე იძია შური სესქათ სოლსაზე.

თქმულებების მიხედვით, ნართ-ორხუსთოელები უღირს ქმედებად მიიჩნევდნენ სხვის საკუთრებაზე გაუფრთხილებლად, მიპარვით დაცემას და ნადავლის მოპოვებას. ი. დახკილგოვის ცნობით, აღნიშნულ წესს ინგუშურ ენაზე ერქვა „კაი ფოს“ (кIай фос) – „თეთრი ნადავლი“, რაც გულისხმობდა ნადავლის ბრძოლით მოპოვებას და არა მიპარვითა და უღირსი საქციელით მის დაუფლებას (Дахкилгов 2012: 126). მოთარეშე რაზმის წევრები ჯერ წინასწარ აფრთხილებდნენ საქონლისა თუ ცხვრის პატრონს, რომ მის ფარაზე დაცემას აპირებდნენ. მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდებოდნენ, რომ საკუთრების პატრონს მიღებული ჰქონდა უსაფრთხოების ზომები, ისინი აწყობდნენ ფარაზე თავდასხმას. თარეშისა და ნადავლის მოსაპოვებლად ჩამოყალიბებული ეს წესი, რომელიც ოდნავ მაინც თუ ანეიტრალებს თანამედროვე მკითხველის თვალში ორხუსთოელების სასტიკ ყაჩაღობებს, ასახულია თქმულებაში „სესქათ სოლსა და გორჟაი“ (ССКГ 1875: 38-40).

ინგუშურ თქმულებებში დადასტურებულია ურვათის გადახდის არაერთი შემთხვევა. ტექსტები მოგვითხრობენ სასიძოს განსაკუთრებულ სიუხვეზე, როცა სასიმამრო ვეღარ ითვლიდა სასიძოს მიერ საურვათოდ გამორეკილ თეთრტუჩა ლურჯი ძროხების რაოდენობას, რომლებიც სიმსუქნისგან ძლივსღა დადიოდნენ (Дахкильгов 2012: 115-118). ნართების საზოგადოებაში, ისევე როგორც კავკასიელი მთიელების ცოცხალ ყოფაში მიღებული იყო საპატარძლოს აკვანში დანიშვნა. თქმულებების მიხედვით, უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა, თუ დანიშნულ საპატარძლოს სხვაზე გაათხოვებდნენ. ასეთ შემთხვევაში სასიძოს საკუთარი ღირსება უკვე იარაღით უნდა დაეცვა.

გათხოვილ ქალს განსაკუთრებული მოკრძალება მართებდა ქმრის, ქმრის ნათესავებისა და, განსაკუთრებით, დედამთილ-მამამთილის მიმართ. ერთ-ერთი ინგუშური თქმულების მიხედვით („ლორსა და სოლსა“), ადამიანის გამტაცებლებმა ღამით ახალგაზრდა ქალი საკუთარი ოჯახიდან ტყვედ წაიყვანეს. ქალმა ხმა არ ამოიღო, რათა დაღლილი ქმრისა და დედამთილისთვის ძილი არ დაეფრთხო და წესი არ დაერღვია[24]. დღეს ასეთი საქციელი თანამედროვეებმა შეიძლება სიბრიყვედ ჩათვალონ, მაგრამ, ცხადია, ტრადიციულ საზოგადოებაში გაზრდილმა ლორსას ცოლმა დახმარების სათხოვნელად ყვირილი არ ატეხა და არც შველა ითხოვა. ახალგაზრდა ქალმა წესის დარღვევას, სახელდობრ, მძინარე ქმრისა და დედამთილის შეწუხებას, ტყვეობა არჩია.

ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში აისახა, აგრეთვე, მთის ადგილობრივ საზოგადოებებში მოქმედი დაძმობილებისა და დადგაფიცვის წესები. თქმულებების მიხედვით, ჭკვიანი ქალები ხშირად აღნიშნულ წეს-ჩვეულებას საფრთხის თავიდან ასარიდებლად და თავიანთი ქმრების სიცოცხლის გადასარჩენად იყენებდნენ. სესქათ სოლსას ცოლმა, როცა შეიტყო, რომ უძლეველი ფჰაგალ-ბერე მის ქმარს ორთაბრძოლაში იწვევდა, მაშინვე ურემზე ცხვარი დასვა, ფჰაგალ-ბერეს ცოლთან მივიდა და დად გაეფიცა. ამ მოვლენის აღსანიშნავად სესქათ სოლსას ცოლმა ცხვარიც დააკვლევინა და საღვთოც გადაიხადა. ასე ჩაუშალეს ქალებმა თავიანთ ქმრებს ორთაბრძოლა, რადგან, წესის მიხედვით, დადნაფიცების ქმრებს ერთმანეთთან ბრძოლა ეკრძალებოდათ. გადმოცემების თანახმად, დადნაფიცები (ინგუშურ ენაზე - „*ნეშაშ*“) მხოლოდ გასათხოვარი ქალიშვი-

[24] ანალოგიური წესი მოქმედებდა ხევსურეთშიც. 2018 წელს თსუ სამეცნიერო-ფოლკლორულ ექსპედიციაში ყოფნის დროს სოფ. პანტიანში მცხოვრებმა 77 წლის მარო არაბულმა მიამბო: „შატილს მტერ შემოესიავ... ერთ ახალრძალ ყოფილ შატილს. მტრის შემოსევა გაუგავ, მისულ ქმართან, მაგრამ მას სძინებავ. დიაცს ვერ გაუღვიძებავ, დაძახება ახალრძლისგან სირცხვილ იყვასავ. ხელით შეხებიავ ეს ქალ და ქმარ გაუღვიძებავ. გაბრაზებულ ეს ვაჟივ, უთქვამ: - ასეთ უნამუსო რახელ ხარივ, რო გამაღვიძევ!“ უნიშნებავ ამ ქალს ქმრისად’ რო მდევარ წავიდავ, მტერ შამოგვესიავ. აუსხამ იარაღ ამ ბიჭსავ და წასულავ. მემრ მკვდარ მაუტანიათავ და დაუტირებავ ამ ცოლსავ: „მე მაგკალ, ძაღლმა, კუდიანმავ, მე გაგაღვიძე მძინარეივ...“ (თსუფა №31 314).

ლები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, რადგან ერთ-ერთი მათგანის გათხოვების შემთხვევაში დადნაფიცობის წეს-ჩვეულება თავის ძალას კარგავდა. თუმცა, ი. დახკილგოვის აზრით, ამ გარემოებას აღნიშნული თქმულება არ ეთანხმება (Дахкильгов 2012: 317). დადგაფიცვის წეს-ჩვეულება ამ კონკრეტულ თქმულებაში გამოყენებულია ერთადერთი მიზნით: კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად და მეომრებს შორის ორთაბრძოლის აღსაკვეთად.

ჩეჩნებსა და ინგუშებში, ისევე როგორც მათ მეზობელ მთის ხალხებში, სტუმარს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. ჩეჩნური და ინგუშური ხალხური ტექსტებიდან ირკვევა, რომ ადგილობრივი ადათის მიხედვით, სტუმარს რომ უხერხულობა არ ეგრძნო, მასპინძელი პირველივე დღეს სტუმრობის მიზეზს არ ეკითხებოდა, რადგან შეიძლება სტუმარი სისხლის ასაღებად ან სათარეშოდ მიდიოდა და არ სურდა თავისი მიზნის გამხელა. თქმულებაში „ნართი თუოხი და მელხათ აზა“ თუოხმა, როგორც მასპინძლის წესი იყო, სამტროდ მოსულ ინქარსა და მის მეომრებს არ გამოჰკითხა, თუ ვინ იყვნენ ისინი, ან რა მიზნით ესტუმრნენ. ბოროტი ინქარი მაშინ მივიდა ნართი თუოხის ოჯახში სტუმრად, როცა მასპინძელი სანადიროდ იყო წასული. ნართი თუოხი და მისი მეომრები ეზოში შევიდნენ და ქალს სტუმრებად წარუდგნენ. მელხათ აზა დაიბნა, რადგან არ ეგონა, თუ ისინი სახლში შევიდოდნენ, რადგან, როგორც წესი, თუ მამაკაცი სახლში არ იქნებოდა, იმ ოჯახში სტუმრად არ შედიოდნენ. მაგრამ, როგორც თქმულება მოგვითხრობს, თავად ინქარსა და მის მეომრებს, რომლებიც ხალხურ ტექსტში მტრულ და ბოროტ ძალას განასახიერებენ, ადათი არაფრად მიაჩნდათ.

ღილღური თქმულება „ფჰაგალ-ბერეს ცოლი და ნართ-ორსთხოელი“ მოგვითხრობს, თუ როგორ გამოიყენა ბოროტი მიზნებისთვის ერთ-ერთმა ორსთხოელმა სტუმარმასპინძლობის წმინდათაწმინდა ტრადიცია. ფჰაგალ-ბერეს ოჯახში სტუმრად მისულ ორსთხოელს, ისევე როგორც ნართ თუოხს, ავი განზრახვა ამოძრავებდა. მას სურდა დაუფლებოდა სახლში მარტოდმარტო დარჩენილ ფჰაგალ-ბერეს მშვენიერ ცოლს. წესის მიხედვით, ორსთხოელს სტუმრად მისვლის უფლება იქ არ ჰქონდა, რადგან მან იცოდა რომ, ოჯახის უფ-

როსი სახლიდან წასული იყო და შინ მამაკაცი არ იმყოფებოდა. რასაკვირველია, ქალს, წესის მიხედვით, უცხო მამაკაცი სტუმრად არ უნდა მიეღო, რადგან ქმარი შინ არ ჰყავდა. თუმცა ორსთხოელი უმწეო ქალს დაემუქრა: თუ სახლში არ შეუშვებდა, მთელ ქვეყანას მოსდებდა, რომ ფჰაგალ-ბერეს ოჯახში სტუმარს არ იღებდნენ და სტუმრად მისულს პატივს არ სცემდნენ. კავკასიის მთიელ ხალხებში, მათ შორის ჩეჩნებსა და ინგუშებში, ასეთი საყვედური დიდ სირცხვილად ითვლებოდა. თქმულება გმობს ორსთხოელის მოღალატურ საქციელს, რომელმაც ბოროტად ისარგებლა სტუმრის სტატუსით და ფჰაგალ-ბერეს ცოლი სახლიდან გაიტაცა. ავისმქმნელს სამაგიერო მიეზღო, უკეთურ ორსთხოელს ფჰაგალ-ბერე გზაში დაეწია, მოკლა, მისი მოჭრილი თავი ხურჯინში ჩაიდო და ცოლთან ერთად შინ გამარჯვებული დაბრუნდა.

ჩეჩნური და ინგუშური ადათის მიხედვით, სუფრასთან წარმოთქმული სტუმრის სიტყვა აუცილებლად უნდა შესრულებულიყო. ინგუშურ ხალხურ ტექსტებში სტუმრის სტატუსის მქონე პერსონაჟები ამ უფლებას ხშირად იყენებენ, ხან კეთილი, ხანაც ბოროტი მიზნებისთვის. „თუ ჩემს თხოვნას არ შეასრულებ, სუფრასთან არ დავჯდები და საჭმელს არ მივეკარები!“ - მიმართავს საქართველოს მეფე ბარახოი კანთს („საქართველოს მეფე და ბარახოი კანთის ცოლი“). ქართველი თავადის ვაჟთან სტუმრად მყოფი ნესარგი მასპინძელს ეუბნება: „თუ ჩემს თხოვნას არ დააკმაყოფილებ, ტრაპეზს არ მივიღებ“ („ვინ დასახლდა პირველად ნესარ-ქორთში“). ასევე სესქათ სოლსაც იყენებს სტუმრის უფლებას და კინდათ შოასთან სტუმრად მისული მასპინძელს მიმართავს: „კინდათ, შოა, დედაშენს თუ არ გაათავისუფლებ, საჭმელს არ მივეკარები“ („სესქათ სოლსა და კინდათ შოა“).

ერთი ინგუშური თქმულების თანახმად, რომელიც ორშთოხოელების გენეზისზე მოგვითხრობს, აუცილებელი იყო მოკლული დედის ძმის სისხლის აღება, მიუხედავად იმისა, რომ დედის ძმა სხვა გვარს მიეკუთვნებოდა. თქმულების პერსონაჟი ჩოფა, რომელსაც ტყის ქალი ჰყავდა ცოლად და ტყეში ცხოვრობდა, შიში იპყრობდა, რადგან ერთხელ მან თავისი ცოლის ძმა - ტყის კაცი - ერთი გასროლით მოკლა. ჩოფა ფრთხილობდა, რომ მის შვილს შური არ ეძია მოკლული დე-

დის ძმის გამო. შურისძიების შიშით მან ტყის ქალთან არათუ კავშირი გაწყვიტა, არამედ ტყეში სიარულისაც კი ეშინოდა. თუმცა ბოლოს შვილმა დედისძმის მოკვლის გამო შურისძიების მიზნით ჩოფა სასიკვდილოდ მაინც დაჭრა და გაძარცვა (ССКГ 1875: 27-28).

თქმულებებში დასტურდება კავკასიის მთის ხალხებში მოქმედი მეომრული კოდექსის დაცვის არაერთი ეპიზოდი. ორთაბრძოლის დროს მეომრები პირველი სროლის, ხმლის მოქნევისა და დარტყმის უფლებას მას უთმობდენ, ვისაც ორთაბრძოლაში იწვევდენ. მგზავრს სოფელში ცხენზე ამხედრებული გავლა ეკრძალებოდა. მტერთან საბრძოლველად მიმავალ ღეზამათ ალის ჭკვიანი დედა ასეთ დარიგებას აძლევს: „თუ სოფელზე სწრაფად გაივლი, მტერს დაეწევი, მაგრამ უკან ხელცარიელი დაბრუნდები, ლაჩრად ჩაგთვლიან. თუ სოფელზე ნელა გაივლი, ხალხი იტყვის: „ვერ დაეწია, რადგან არ ჩქარობდაო“ (Далгат 1972: 317).

ჩეჩნური თქმულების მიხედვით, თუ ვაჟიშვილი სალაშქროდ ან სამგზავროდ წასვლას დააპირებდა, ვალდებული იყო ნებართვა და დალოცვა-კურთხევა მამისგან მიეღო. სალაშქროდაც ის მამას უნდა აღეჭურვა. როცა ღეზამათ ალიმ თუალამ-ოღოსთან წასვლა დააპირა, ის მამასთან მივიდა და სამგზავროდ წასვლის ნებართვა გამოსთხოვა: „მცირედდასახლებულ მხარეში ერთი მეგობარი მყავს, სახელად თუოლამ-ოღო. მასთან წასვლის ნება მომეცი“ (Далгат 1972: 317). მამამ ვაჟი სამგზავროდ აღჭურვა და სახლიდან გაისტუმრა.

ინგუშურ ეპოსში, როგორც მითოლოგიური მოტივებით მდიდარ ნაწარმოებში, გვხვდება სიზმარი, რომელიც სიუჟეტის დინამიკასა და ეპიკურ თხრობას განუმეორებელ მხატვრულ ეფექტს ანიჭებს. სიზმრის სიუჟეტი თქმულებაში წარმოდგენილია მითოლოგიური სიმბოლოებით, რომლის ამხსნელიც, როგორც წესი, არის მთავარი გმირის ბრძენი და ჭკვიანი დედა. მთიელი ხალხის დამცველი და საყვარელი გმირი ლოამან ხა, ინგუშური თქმულების პერსონაჟი, თავისი სამდღიანი ქორწილის დასრულების შემდეგ ხედავს შემაძრწუნებელ სიზმარს: „მზიანი დღე შავმა ღრუბლებმა დაფარა, სოფლის ერთი მხარიდან შევარდნების ლაშქარი მოემართებოდა, მეორე მხრიდან - არწივების ჯარი მოდიოდა და მესამე მხარეს ყვავ-ყორნების რაზმი გროვდებოდა“. დაკვირვებული და გამჭრიახი დედა შვილს

ჯერ აფრთხილებს და ურჩევს, რომ სულიერად არ გატყდეს, არ დაეცეს, შემდეგ კი მას სიზმრის შინაარსს უხსნის: „შევარდნების ლაშქარი, რომელიც სიზმრად ნახე, სესქათ სოლსას რაზმია, არწივების ჯარი ნოღაელი თავადის მეომრები არიან, ყვავ-ყორნების გუნდი კი სოალოელთა ჯარია. ისინი ურიცხვი ლაშქრით შენთან საბრძოლველად მოემართებიან (Дахкильгов 2012: 157). მართლაც, როცა დილით, რიჟრაჟზე ხას ვაჟმა გაიღვიძა, დაინახა, რომ მისი სოფელი სამი სახის ჯარებით იყო გარშემორტყმული. ტრადიციულ საზოგადოებაში ადამიანებს სწამდათ, რომ მფარველი წმინდანები და მითოსური ხანის წინაპრები რჩეულებს ეცხადებოდნენ და უმჟღავნებდნენ მომავლისა და სხვადასხვა მოვლენების საიდუმლოს. მტრების თავდასხმა მოულოდნელი რომ არ ყოფილიყო, ლოამან ხამ ნახა წინასწარმეტყველური სიზმარი, რომელიც მოსალოდნელ საფრთხეზე აშკარა მინიშნებებს შეიცავდა. ლოამან ხას სიზმარში მთავარი გმირის მტრები სხვადასხვა სახის მტაცებელი ფრინველების გუნდით არის წარმოდგენილი.

თქმულებებში ჩართულია ბრძნული გამოთქმები, ანდაზები, წყევლის ფორმულები: „შეეშვი იოლ საქმეს და გააკეთე ის, რაც ძნელად მოსაგვარებელია“; „თავმოყვარე ნაგაზი თავისი პატრონის ეზოში არ მოკვდება“. ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების მიხედვით, წყევლა, როგორც უბედურება, უსამართლობის ჩამდენს უეჭველად მიეწევა. „არარაობად იქცეს შენი შთამომავლობა და დაჩიავდეს შენი გვარი!“ - ასე დაწყევლა მეხქა ასთბი სიკვდილის წინ ვერაგულად მოკლულმა კოშკის მშენებელმა (Далгат 1972: 370-372). თქმულების შემქმნელი და შემნახველი ხალხი არ იწონებს ასთბის საქციელს, რადგან მან, გასამრჯელო რომ არ მიეცა, ღალატით მოკლა კოშკის მშენებელი, რის გამოც, გადმოცემის მიხედვით, მეხქა ასთბის უსამართლოდ მოკლული მშენებლის წყევლამ უწია და მას დამსახურებული სასჯელი დაატყდა: მართლაც, არარაობად იქცა მეხქა ასთბის შთამომავლობა და დაჩიავდა მისი გვარი.

ღილღველები, მითხოელები და მაისტელები, ისევე როგორც მათი მეზობელი ხევსურები, ორთაბრძოლაში მოკლულ მტერს მარჯვენა მკლავს აჭრიდნენ. აღნიშნულ წეს-ჩვეულებას ინგუშები „წეთს“ უწოდებდნენ, რომელიც სესქათ სოლსამ აკრძალა. ინგუშურ თქმუ-

ლებაში „მარჯვენა მკლავის მოკვეთის წეს-ჩვეულება „წეთი“, სესქათ სოლსა მკლავის მოჭრას უღირს საქციელს უწოდებს, რადგან ამგვარი ქმედება, მისი აზრით, მიცვალებულს შეურაცხყოფდა და ადამიანის ღირსებას აბუჩად იგდებდა.

ნართების ეპოსის ნაციონალურ ვერსიებში ხშირად ხსენდება ადამიანის სკალპების, წვერისა და ტყავებისგან დამზადებული ქურქი, რომელსაც ნართი ძალგულოვნები ატარებდნენ. საკითხავია, რა დატვირთვა ჰქონდა ნართების საზოგადოებაში ადამიანის ტყავებისგან შეკერილ ქურქს? როგორც ჩანს, კავკასიელ მთიელ ხალხებს, მათ შორის ჩეჩნების, ინგუშებისა და ოსების წინაპრებს სწამდათ, ვინც მოწინააღმდეგის სკალპებისგან თუ თმა-წვერისგან გაკეთებულ ქურქს მოიხურავდა, მასზე გადავიდოდა მოკლული და გატყავებული მტრის ძალა. ვოლინელი მემატიანის ცნობით, ანალოგიური დანიშნულება ჰქონდა ვიკინგებისთვის მგლის ტყავის შესამოსელს. მათი რწმენით, მგლის ტყავებისგან შეკერილი ქურქიდან მეომრებზე მგლის სული გადადიოდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოწინააღმდეგის ტყავებისგან შეკერილ ქურქს ნართების საზოგადოებაში ერთგვარი მაგიური დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ინგუშური თქმულების მიხედვით, ნართმა ყოზაშმა ყველაზე ცნობილი და განთქმული მამაკაცების წვერ-ულვაშისგან თავისთვის ნაბადი მოათელვინა. მას, თქმულების მიხედვით, ჰქონდა მაგიური ძალა, რადგან ყოზაში, როცა ის საომრად მიდიოდა, მუდამ მამაკაცების წვერ-ულვაშისგან გაკეთებულ ქურქს იცვამდა (Дахкильгов 2012: 328-331). ჩეჩნური თქმულებებიც ადასტურენ ნართ-ერსთხოელებში ადამიანის ტყავებისგან შეკერილი ქურქის არსებობას. ერთ-ერთმა ნართ-ერსთხოელმა ჯერ მოკლა შვიდი ძმა და შვიდივეს ტყავი გააძრო, შემდეგ კი მათი ერთადერთი და მოიტაცა და უბრძანა, სანამ გაიღვიძებდა, დახოცილი ძმების ტყავებისგან მისთვის ქურქი შეეკერა. თუმცა ქალმა გამოსავალი მაინც იპოვა და, ჟერ-ბაბას რჩევით, ვერაგი ნართ-ერსთხოელი მამაც თინინ ვისუს მოაკვლევინა (Нохчийн фольклор, т. III, 2015: 95-99). ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში ადამიანის ტყავებისა და წვერ-ულვაშისგან დამზადებული ქურქის ტარებას დაკარგული აქვს თავდაპირველი რიტუალური მნიშვნელობა, რადგან მას, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ანტაგონისტი - თქმუ-

ლების ბოროტი პერსონაჟი ატარებს და, ამდენად, ეპოსი გმობს მათ საქციელს, ძალადობასა და სისასტიკეს. ერთი ინგუშური თქმულების მიხედვით, მშვენიერი ქალი ცდილობს ჩამოიცილოს საძულველი და ბოროტი ქმარი. ამ მიზნით მას ნაბდის მოსათელად საუკეთესო მამაკაცის სახიდან აგლეჯილი წვერის შეგროვებას ურჩევს. ცოლი დარწმუნებულია, რომ რომელიმე მამაცი მამაკაცი შეძლებს საკუთარი თავის დაცვას და მის ქედმაღალ და ამპარტავან ქმარს თავს გააგდებინებს.

ჩეჩნური და ინგუშური თქმულებებისგან განსხვავებით, ოსურ ეპოსში ადამიანის ტყავებისგან შეკერილ ქურქს პროტაგონისტი - ნართების უპირველესი გმირი - სოსლანი ატარებს. მკვლევრები (ვ. მილერი, ჟ. დიუმეზილი, ვ. აბაევი) ვარაუდობენ, რომ ნართების ეპოსში ადამიანის ტყავებისგან დამზადებული ქურქის ტარება სკვითური წეს-ჩვეულების გამოძახილია, რომლებიც მოკლული მტრის სკალპებისგან ლაბადებსა და ხელსახოცებს ამზადებდნენ (მამისიმედიშვილი 2015: 241-242).

ნართების ეპოსის ჩეჩნურ და ინგუშურ ვერსიებში ვეცნობით ცალკეული ოჯახების განადგურების სასტიკ ისტორიებს. ჩვენ წინაშე წარმოდგება პირქუში და დაუნდობელი სამყარო, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მკაცრი წეს-ადათებით. ეპოსი არაერთ სასტიკ ბრძოლას წარმოგვიდგენს, როცა გამარჯვებულები არ ინდობენ დამარცხებულებს, როცა შეუბრალებლად ჟლეტენ უკლებლივ ყველას: ბავშვებს, მოზარდებს, მამაკაცებს, მოხუცებს, ორსულ ქალებს, რათა, როგორც წყევლა, მტრის გვარში ერთი მემკვიდრეც არ დარჩენილიყო, რომ შემდეგ ისინი შურისძიებას არ გამოკიდებოდნენ. თუმცა, თქმულებების მიხედვით, უეჭველად გადარჩება სადღაც სტუმრად წასული ერთადერთი ორსული ქალი, რომლისგანაც დაიბადება მემკვიდრე, რომელიც გვარს გააგრძელებს და მომავალში დახოცილი ბიძების, და-ძმებისა და მამის სისხლს აიღებს.

ეპოსში მოწინააღმდეგე მხარეებს შორის დაგუბებულ მტრობასა და სიძულვილს წყევლისა და მიმართვის ფორმები კიდევ უფრო ამძაფრებს. ორთაბრძოლაში ჩაბმულ მთავარ გმირს მოწინააღმდეგე თავზარდამცემი სიტყვებით მიმართავს: „- ისე მშია, რომ მინდა

შეგჭამო, ისე ვიტანჯები წყურვილით, რომ მინდა შენი სისხლი დავლიო!“ (Дахкильгов 2012: 328-331).

თქმულებებში ადამიანებს შორის სასტიკი და დაუნდობელი ურთიერთობების ასახვას ჰქონდა თავისი რეალური ისტორიული და ეკონომიური საფუძველი. ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მაღალმთიანი აულების მწირი ნიადაგი მიწათმოქმედების განვითარების მეტ საშუალებას არ იძლეოდა. უსახსრობა და მატერიალური გაჭირვება მამაკაცებს აიძულებდათ შეექმნათ გასამხედროებული რაზმები და სარჩოს საშოვნელად ებრძოლათ.

ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების გაცნობისას თვალშისაცემი ხდება საზოგადოების უკიდურესი სიღარიბე. ადგილობრივი გმირებიც და ნართ-ორსთხოელებიც, არც თუ იშვიათად, მიუვალ ადგილებსა და გამოქვაბულებში ცხოვრობენ. ჩრდილოეთის სტეპებიდან მთის ხეობებში მომთაბარეთა შემოჭრის მუდმივი საფრთხე ადგილობრივ მოსახლეობას არ აძლევდა სრა-სასახლეების აგებისა და მატერიალური სიმდიდრის დაგროვების საშუალებას. შეიძლება ამ მიზეზით, ეპოსი უაღრესად უარყოფით კონტექსტში და ერთგვარი სიძულვილით წარმოგვიდგენს სტეპებში მცხოვრებ ნოღაელ თავადებს, როცა მათ გვერდით ჩერქეზი და ქართველი დიდებულები თქმულებებში დადებით თვისებებს ამჟღავნებენ და მეგობრობენ კიდეც ადგილობრივ გმირებთან. მტრობის, შიმშილის, სისასტიკისა და სიღარიბის საპირისპიროდ, ჩეჩნურ და ინგუშური თქმულებებში გვხვდება მოგონება ე. წ. „ოქროს ხანაზე“. გ. ხალუხაევი და ა. კუზნეცოვა ვარაუდობენ, რომ ოქროს საუკუნის მითოსი ძველი ბერძნული კულტურის გავლენით უნდა გაჩენილიყო კავკასიის ხალხთა ფოლკლორში (Халухаев... 2013: 19). ოქროს ხანა და სამოთხისებური ყოფა ქართულ მითოსში თამარ მეფის მმართველობას უკავშირდება. მისი ვარიანტები ფართოდ გავრცელდა ოსურ ზეპირსიტყვიერებაში და მეზობელი სხვა ხალხების ფოლკლორში. ჩეჩნური და ინგუშური გადმოცემები მოგვითხრობენ სამოთხისებურ წარსულზე, როცა ერთი მუჭა ფქვილითა და ერთი ნაჭერი ხორცით შვიდი თუ სამოცდასამი მეომრის დანაყრება შეიძლებოდა. მაგრამ მოხუცი დედაბრის სიტყვით, გამოჩნდნენ ნართები და გაქრა ბარაქა (Лаудаев

1872: 44). თქმულების მიხედვით, მამაზეციერმა ჩადენილი ცოდვების გამო ნართები საწყალი ხალხის დასასჯელად მოავლინა. დედაბერი წყევლას უთვლის ნართებს, რადგან ნართების გამოჩენის შემდეგ მათ მამულში უხვი მოსავალი აღარ მოდიოდა, ძროხა საკმარის რძეს ძველებურად აღარ იწველიდა.

ჩრდილოეთ კავკასიის მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ხალხები ისტორიულად მარცვლეული პროდუქტების დიდ დეფიციტს განიცდიდნენ. ამ გარემოებამ თავისი ასახვა ჰპოვა ხალხურ ეპოსებშიც. ჩეჩნურ და ინგუშურ ნართულ თქმულებებში გვხვდება ცნობები დიდი შიმშილობების შესახებ, როცა ნართებს მარცვლეული არ ყოფნიდათ და მათ, ზეპირი ტექსტების მიხედვით, ხან ჯადოსნური ლოდი კვებავდათ და ხანაც - საიქიოდან გამოტანილი წისქვილი, რომელიც მარცვლეულის გარეშე ფქვავდა და ნართებს პურით ამარაგებდა. მაგრამ როცა ნართ-ორსთხოელები გაბუდაყდნენ, ლოდმა მათი გამოკვება შეწყვიტა, ხოლო წისქვილმა - ფქვილით მომარაგება. ნართებმა შიმშილით დახოცვას, თვითმკვლელობა არჩიეს. ისინი ერთ დიდ გამოქვაბულში შეიკრიბნენ, საერთო თასიდან გამდნარი სპილენძი დალიეს და აღესრულნენ. თქმულების მიხედვით, არავინ უწყის ეს გამოქვაბული სად მდებარეობს, მაგრამ ხალხს სჯერა, რომ მოვა დრო, როცა სახეცვლილი ნართები კვლავ აღდგებიან, გამოქვაბულიდან გამოვლენ და ხალხს მტრისა და მავნე-მაცილისგან დაიცავენ.

მითიური მზეთუნახავი

ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებსა და თქმულებებში მთავარი გმირის საცოლის ზოგადი სახელწოდება - „მზეთუნახავი“ - ხალხურ მითოსურ მსოფლმხედველობას ემყარება. უძველეს ფოლკლორულ ნაწარმოებებში „მზე“ უნდა ყოფილიყო მეტაფორა მთავარი გმირისა, რადგან მას ჰქონდა მზიური ბუნება, სხეულზე გამოხატული ასტრალური ნიშნებით. უნდა ვიფიქროთ, რომ პროტაგონისტის საცოლის მითოსურ-მეტაფორული სახელწოდება „მზეთუნახავი“ მომდინარეობს სწორედ მთავარი გმირის მზიური ბუნებიდან. მთავარი გმირის საცოლე მზეთუნახავის სტატუსს იქამდე ინარჩუნებს, სანამ „მზის“ უნახავია, სანამ „მზეს“ შეეყრება, სანამ მთავარი გმირის ცოლი გახდება.

მზეთუნახავთან დაკავშირებით მსოფლიოს ხალხებში გავრცელებულია ისეთი მითოლოგიური მოდელიც, როცა მეფის ასულს ქალწულად დარჩენა სურს და არ თხოვდება, ან მას კოშკში გამოკეტავენ, რათა არ დაქორწინდეს და მემკვიდრე არ შეეძინოს, მაგრამ მზეთუნახავი ორივე შემთხვევში მზისაგან დაფეხმძიმდება და ვაჟი გაუჩნდება.

ქართულ და მსოფლიოს ხალხთა ჯადოსნურ ზღაპრებში მთავარი გმირის საცოლე არის მეფის ასული, პრინცესა (*Princesa, царевна*), ოსურ ზღაპრებში - ალდარის ასული. კავკასიის ხალხთა ეპიკურ თქმულებებში მეფის ასულის ნაცვლად მთავარი გმირის საცოლედ წარმოდგენილია ზებუნებრივ არსებათა ქალიშვილი, კერძოდ: მზისა და მთვარის ასული, ღრუბელთ ბატონისა თუ დარ-ავდრის გამგებლის ასული, ბალსაგის ასული, აირგების ასული. ბალსაგიც და აირგებიც ნახევრად ზებუნებრივი არსებები არიან.

მთავარი გმირის საცოლეს პირობითად შეიძლება ღვთაებრივი ან ზეციური ასული ვუწოდოთ, რადგან ის დაკავშირებულია ზეცის ბინადრებთან. მათ კავკასიის ხალხთა ეპოსებში აქვთ მსგავსი ნიშან-თვისებები: ისინი გამოირჩევიან ბრწყინვალე გარეგნობით, სხეულზე მზიური ნიშნებით. მზეთუნახავი ასხივებს სილამაზეს და ფლობს

განსაკუთრებულ უნარებს, იდუმალ სიბრძნეს, ცხოვრობს განცალკევებით. ქალიშვილი ეხმარება მის მოსატაცებლად საარაკო გმირობის ჩამდენ ვაჟს. მზეთუნახავი გმირს ცოლად მიჰყვება, ისინი ერთხანს ბედნიერად ცხოვრობენ, მაგრამ საბოლოოდ ქალი ან იღუპება, ან ბრუნდება იქ, საიდანაც წაიყვანეს, ან ეპოსში მისი კვალი სამუდამოდ იკარგება. ქალის დაღუპვა, გაუჩინარება ან დაბრუნება საიდუმლო სამშობლოში საბედისწერო გავლენას ახდენას მთავარი გმირის ცხოვრებაზე, რადგან ქალს თან მიჰყვება დავლათი და იღბალი, რომლითაც მან თავის დროზე ეპოსის მთავარი გმირი, თავისი საქმრო დააჯილდოვა. დავლათისგან გაძარცვული მთავარი გმირი იღუპება ან ამის შემდეგ ის ეპოსში მნიშვნელოვან ფიგურას აღარ წარმოადგენს. აღნიშნული მოდელი, რომელიც ქალის განსაკუთრებულ როლზე მიუთითებს, შეიძლება კავკასიის ხალხთა საგმირო ეპოსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად მივიჩნიოთ.

მითიური მზეთუნახავის მხატვრული სახის შესასწავლად მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების გარკვევა, როგორიც არის: მზეთუნახავის არაჩვეულებრივი წარმომავლობა; მზეთუნახავის საიდუმლო ადგილსამყოფელი; ზებუნებრივი ნიშნები მზეთუნახავის სხეულზე; მზეთუნახავის განმარტოების მიზეზები; მზეთუნახავის ღვთაებრივი და ზებუნებრივი უნარები; შურისმაძიებელი მზეთუნახავი და ადამიანთა საზოგადოებასთან მისი შეუთავსებლობა.

მზეთუნახავის საიდუმლო ადგილსამყოფელი

ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში მზეთუნახავის ფუნქციას რამდენიმე პერსონაჟი ასრულებს. მელხათ აზა არის მზის ასული, ბეთა ლირი - მთვარის ასული და სათა - დარ-ავდრის გამგებელ სიელას ასული. სამივე პერსონაჟი დაკავშირებულია ცის ბინადრებთან, ზეციურ ძალებთან. ძალგულოვანი მთავარი გმირების შობისაგან განსხვავებით, კავკასიის ხალხთა ეპიკური თქმულებები მზეთუნახავის დაბადებას სიუჟეტურად არ გადმოგვცემს. ძალიან ცოტა ვიცით მათი შობისა და ბავშვობის შესახებ და ისიც მხოლოდ ორიოდე პერსონაჟზე. ზებუნებრივი თვისებებისა და ღვთაებრივი უნარების მქონე მზეთუნახავის წარმომავლობა ხალხურ ტექსტებ-

ში გასაიდუმლოებულია. ოსური ეპოსიდან ვიცით, რომ სათანა მიცვალებულთა აკლდამაში დაიბადა ვასთირჯისა და გარდაცვლილ ძერასას შეუღლების შედეგად. ასევე, ქართული რომანტიკული ეპოსის „ეთერიანის“ მთელ რიგ ვარიანტებში დასტურდება მზეთუნახავის არაჩვეულებრივი, სასწაულებრივი შობის ეპიზოდი. ეთერი კაცის კანჭში ჩაისახა, თითქოს ისე, როგორც დიონისე ზევსის ბარძაყში. ეთერი ორბმა თუ არწივმა ხის კენწეროზე გამოზარდა. მესხეთ-ჯავახეთში ჩაწერილი ვარიანტის მიხედვით, მზეთუნახავის ძიძის როლში ფრინველის ნაცვლად ცხოველი გვევლინება. არწივის მოვალეობას ჯავახურ ვარიანტში დათვი ასრულებს, რომელიც უპატრონოდ დარჩენილ ბავშვს წაიყვანს და გაზრდის. როგორც მ. ჩიქოვანი აღნიშნავს „მითიური სამოსელი ფარავს ეთერის ბავშვობას, კერძოდ დაბადებისა და აღზრდის პირველ პერიოდს. არწივი - ხის კენწერო, დათვი - ტყე“ (ხალხური სიტყვიერება 1956: 20). უაღრესად მისტიკური მინიშნებები გვხვდება ყამარის ბავშვობაზე ქართულ ამირანიანში. ეპოსის მიხედვით, ყამარის აკვანს მშობლები გარეთ დგამდნენ, სახლში კი ნანას უმღეროდნენ. სახეზეა მზეთუნახავის არაჩვეულებრივი წარმომავლობა, რასაც მათი საიდუმლო ადგილსამყოფელი კიდევ უფრო აძლიერებს. ყველა მათგანი ცხოვრობს განმარტოებულ კოშკში, მიუვალ ადგილზე, ადამიანთა საცხოვრისიდან შორს. მზეთუნახავის მაღალ წარმომავლობას იცნობს ქართული ეპოსიც. ამირანიანის მიხედვით, ყამარი არის ღრუბელთ ბატონის ასული და მისი კოშკი შუაგულ ზღვაზე ციდან ჯაჭვით ჰკიდია[25]. არაჩვეულებრივია აირგების მზეთუნახავი ასულის სასახლე აფხაზურ ეპოსში, რომელიც ფრინველთა ძვლებისგან იყო აგებული და ყველაზე მაღალი მთის მწვერვალზე მდებარეობდა, სადაც ვერანაირი სულიერი ვერ ააღწევდა. მხოლოდ ქარი, მზის სხივი და ღრუბელი თუ ეწვეოდა (აფხაზური ეპოსი 2007: 209). ინგუშური თქმულებების პერსონაჟი ბეთა ლირა (სიტყვასიტყვით, მთვარის ნათება), ქვეყნიერების ბო-

[25] ვფიქრობ, შემთხვევითი დამთხვევა არ უნდა იყოს, რომ, ერთი მხრივ, ქართულ ეპოსში ყამარის მამა და, მეორე მხრივ, ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში მზეთუნახავ სათას მამა არის ღრუბელთ ბატონი.

ლოს, კლდეზე აღმართულ უზარმაზარ კოშკში ცხოვრობდა, რომლის წვერიც ცას სწვდებოდა. იმ კოშკში მუდამ ცეცხლი ენთო[26]. მთვარის ასულს როცა მოესურვებოდა, ცეცხლის ენებით ცაში ადიოდა, იქ ტრიალდებოდა და მერე ისევ უკან ბრუნდებოდა (Дахкильгов 2012: 248). ინგუშური ხალხური ტრადიციის მიხედვით, წელი-ლამის მთა მთელ ღილღოში ერთ-ერთ ყველაზე წმინდა ადგილს წარმოადგენდა, სადაც მზის ასული მელხათ აზა ცხოვრობდა. ჩეჩნურ და ინგუშურ ენებზე „წელი-ლამ“ სიტყვასიტყვით წმინდა მთას, მთაწმინდას აღნიშნავს, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას მფარველ წმინდანთა და ზეცის ბინადართა მიწიერ საბრძანისად მიაჩნდა. იგი ინგუშური მითოსის ერთგვარ „ოლიმპოს“ მთას წარმოადგენს. ინგუშური ნართული თქმულების თანახმად, მშვენიერი მელხათ აზა წელი-ლამის მთაზე აღმართულ კოშკში იზრდებოდა. კავკასიის ხალხთა თქმულებებში მზეთუნახავის საცხოვრებლად მაღალი მთის მწვერვალი შემთხვევით არ არის შერჩეული. როგორც ე. გაბლიანი მიუთითებს: „ფინიკიასა და საბერძნეთში ქალღმერთი ითვლებოდა სიმაღლეთა ღმერთად, მონადირეების მფარველად, მთებზე მობინადრედ, ცოლქმრობის და ზნეობის დამცველად, რომელსაც ქალის მსგავსად სახავდნენ. სვანეთშიც ამგვარივე წარმოდგენის არიან თავიანთ „დალად“ წოდებულ ქალღმერთზე, რასაც მშვენივრად გვიმტკიცებენ გადმოცემები მჭედელ დარჯელანზე, აგრეთვე, საფერხულო სიმღერები: „დალი კლდეში მშობიარობს“ და „ბეთქილი“ (გაბლიანი 1925: 37).

მაღალი მთის მწვერვალი და ციდან ჯაჭვით ჩამოკიდებული კოშკი, სადაც მზეთუნახავი ცხოვრობს, აგრეთვე, ცამდე ასული ცეცხლის ენა, რომლითაც მზეთუნახავი გადაადგილდება, ხალხურ თქმულებებში, ერთი მხრივ, ცისა და მიწის კავშირს განასახიერებს, მეორე მხრივ, მთავარი გმირის საცოლის ზეციურ წარმოშობასა და ღვთაებრივ სამყაროსთან მის იდუმალ კავშირზე მიუთითებს. ქართულ ხალხურ ზღაპრებში მთავარი გმირის საცოლეს მზეთუნახავი ჰქვია,

[26] „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, განმარტოებულ კოშკში, სადაც ნესტანი იზრდებოდა, მუდამ ენთო ცეცხლი, საიდანაც სურნელება იფრქვეოდა: „დღე და ღამე მუჯამრითა ეკმეოდის ალვა თლილი“.

რადგან ის შეიძლება იყოს „მზის უნახავიც“ და „მზისგან უნახავიც“. ეპოსებში მონაწილეობენ მითოლოგიური ელემენტებით გამდიდრებული და მხატვრულად გადამუშავებული ზღაპრული პერსონაჟები, რომლებსაც რეალურ გეოგრაფიულ სივრცეში უწევთ მოქმედება. ამიტომ მათ მითებსა და საგმირო ეპოსებში მეტი მხატვრული დამაჯერებლობა გააჩნიათ. ვ. ფ. ოტო მითოლოგიური ტექსტის სწორედ ამ თვისებაზე მიუთითებდა, როცა წერდა: „მითებს აქვთ საერთო ნიშანი, ასახონ საკვირველი, გონებისთვის მიუწვდომელი მოვლენები, როგორსაც ზღაპარი ასახავს, მაგრამ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მითები გვარწმუნებენ მათ ჭეშმარიტებაში, ხოლო ზღაპარს არა აქვს სინამდვილის პრეტენზია“ (Otto 1962: 240).

აფხაზურ ეპოსში ასი ნართი ძმის ერთადერთი და გუნდა მშვენიერიც მითიური მზეთუნახავის ნიშნებს ატარებს. ძმები მას, ზოგიერთი ვერსიით, ბროლის კოშკში აცხოვრებდნენ და ისე ზრდიდნენ, მიწაზე ფეხს არ აკარებინებდნენ. ქალიშვილი ვერც ცას ხედავდა და ვერც მიწას. ნართი ძმები თავიანთ დას ნადირის ტვინით კვებავდნენ და გუნდა მშვენიერმა სხვა საჭმელი როგორი იყო, არც იცოდა (აფხაზური ეპოსი 2007: 88). როგორც ჩანს, განმარტოებულ კოშკში გამოკეტილ მზეთუნახავს სხვადასხვა სახის აკრძალვები უნდა დაეცვა. ვ. პროპი ვარაუდობს, რომ აფხაზურმა ტრადიციამ, მზეთუნახავის კოშკში გამოკეტვის გარდა, კიდევ ორი აკრძალვა შემოგვინახა. მზეთუნახავს ეკრძალებოდა როგორც მიწასთან შეხება, ისე ჩვეულებრივი საკვების მიღება (Пропп 1986: 39). აქედან გამომდინარე, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბროლის კოშკი იყო ქალიშვილის საინიციაციო ადგილი, შეიძლება დავასკვნათ, რომ ძმები გუნდა მშვენიერს ისეთ საკვებს აძლევდნენ, რომელიც ხელს უწყობდა მის არსებაში განსაკუთრებული, ზებუნებრივი თვისებების ჩამოყალიბებას.

მითიური მზეთუნახავის ადგილსამყოფელი, ჯადოსნური კოშკის გარდა, შეიძლება იყოს ხე ან გამოქვაბული. ეთერს უღრან ტყეში, ერთ ხეზე ორბი თუ არწივი ზრდიდა (ხალხური სიტყვიერება 1954: 96). მიუვალ კლდეებში ცხოვრობს ნადირთმწყემსი დალი, სვანური სიმღერებისა და გადმოცემების პერსონაჟი. სწორედ გამოქვა-

ბული წარმოადგენს დალისა და მისი რჩეული მონადირის საიდუმლო შეხვედრის ადგილს. ხე, გამოქვაბული და მიუვალი კლდე, სადაც მითიური ქალწული ცხოვრობს, უფრო მეტ არქაიზმს გამოხატავს, ვიდრე განცალკევებით მდგარი კოშკი.

ოსურ ეპოსში რამდენიმე ღვთაებრივი ქალწული მონაწილეობს. ერთ-ერთი მათგანი არის მზის ასული აცირუხსი, რომელიც სავხოხის მთაზე ცხოვრობს. სავხოხის მთა ოსურ ნართების ეპოსში მოვლენათა საკრალურ ცენტრს განასახიერებს. აცირუხსი, როგორც მზის ასული, ოქროსბეწვიანი ირმის სახით ეცხადება სოსლანს და იგი აჰყავს სავხოხის მთაზე, იდუმალ გამოქვაბულში, რომელშიც შვიდსართულიანი კოშკი იყო აღმართული. საფარველდადებული კოშკი ღვთაებრივი ქალწულის საინიციაციო ადგილს წარმოადგენს. იქ მზის ასულს ქალურ სიბრძნეში შვიდი დევი წვრთნიდა და რასაც ისინი ასწავლიდნენ, არ უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი ცოდნა, რადგან, მ. ელიადეს სიტყვებით, „მოწიფულობაში გადასვლის ინიციაციურ რიტუალებში არსებითი როლი ენიჭებოდა საკრალურთან წვდომას“ (ელიადე 2018: 300). მეორე მხრივ, გამოქვაბული საიდუმლო საფარველით „მოსავს“ საინიციაციო კოშკს და მის რიტუალურ მნიშვნელობაზეც მიუთითებს. სოსლანი მაშინ აღმოჩნდება იდუმალ სასახლეში, როცა უკვე, შეიძლება ითქვას, დასრულებული იყო აცირუხსის საიდუმლო ცოდნაში წვრთნის პერიოდი. ასე რომ არ ყოფილიყო, აცირუხსის აღმზრდელები სოსლანთან ურვათის პირობებზე მოლაპარაკებას აღარ გამართავდნენ. ოსურ ეპოსში კიდევ ერთი პერსონაჟი, რომელიც მზეთუნახავის თვისებებით გამოირჩევა, არის შვიდი ძმის ერთადერთი და აქულა-მზეთუნახავი. მასთან დაკავშირებით საკრალური რიცხვის - „შვიდის“ - ხშირი ხსენება ქალიშვილის არაჩვეულებრივ წარმოშობაზე მიუთითებს. აქულა-მზეთუნახავმა თავის ძმებს ორ ზღვას შუა, შვიდი გზის შესაყარზე, რკინის კოშკი ააგებინა, ბინა იქ დაიდო და გარეთ არ გამოდიოდა. მას მამაკაცი თვალითაც არ ენახა (ნართები 1988: 245). ოსურ ეპოსში ყურადღებას იქცევს დონბეთირების ასულის - მშვენიერ ძერასასა და ბიცენთების ასულის - ბიცენონის სამშობლო, რომელიც ერთგვარ საიდუმლო სივრცეს წარმოადგენს, სადაც მთავარ გმირს მხოლოდ

განსაკუთრებულ ვითარებაში შეუძლია მოხვედრა. იგი, როგორც „სხვა ქვეყანა“, ხან წყალქვეშ და ხანაც მიწის ქვეშ მდებარეობს. ძერასა ჯერ ახსართაგის ცოლი იყო და მისგან ტყუპი ვაჟი - ურუზმაგი და ხამიცი შეეძინა, შემდეგ ის ერთხანს საკუთარ მამამთილზეც დააქორწინეს. ძერასას, ურთიერთობა ჰქონდა როგორც ჩვეულებრივ მოკვდავებთან, ისე ზეცის ბინადრებთანაც. გათაგისგან მას სირდონი გაუჩნდა, ხოლო ვასთირჯისგან - სანათა.

მითიური მზეთუნახავის ადგილსამყოფელს მუდამ მთის მწვერვალი, კოშკი და გამოქვაბული არ წარმოადგენს. ის შეიძლება იყოს ნებისმიერი საიდუმლო ადგილი. ძერასა, დონბეთირის ასული, ოსურ ეპოსში წყალქვეშ ცხოვრობს. ბიცენონი, დონბეთირების ნათესავი - მიწისქვეშ. ასევე მიწისქვეშ ცხოვრობს ინგუშური ეპოსის პერსონაჟი, ორზმით ორშმას საცოლე, რომელიც დაქორწინების შემდეგ ქმარს დავლათითა და იღბლით აღავსებდა.

საგმირო ეპოსში მზეთუნახავის ერთ-ერთ ფუნქციად მისი მოტაცება და კოშკიდან გამოხსნა ითვლება. მზეთუნახავი განსაკუთრებული ძალისხმევით უნდა მოიტაცოს მთავარმა გმირმა და მასზე იქორწინოს. თუმცა საცოლის მოტაცება მუდამ არ წარმოადგენს აუცილებლობას. მოტაცებას შეიძლება საიდუმლო ადგილიდან საცოლის გამოყვანა ჩაენაცვლოს.

აფხაზური ეპოსის მიხედვით, ნართი სასრიყვას ერთ-ერთ გმირობად სწორედ იმ მთაზე ასვლა ითვლება, სადაც აირგების ასული ცხოვრობდა. ინგუშური თქმულების მიხედვით კი, სესქათ სოლსას ბეთა ლირას მოსატაცებლად მფრინავი რაში და საიქიოდან გამოტანილი ბასრი ხმალი დასჭირდა. საცოლის მოსაპოვებლად მან განსაკუთრებული გმირობა ჩაიდინა: სესქათ სოლსამ ჯადოსნური ხმლით გველეშაპი სარმაქი დაამარცხა, რომელიც მთვარის ასულის კოშკს იცავდა. შემდეგ კი, მიუხედავად იმისა, რომ კოშკი მისი პატრონის ბრძანებაზე სულ უფრო და უფრო მაღლა, ცაში ადიოდა, სესქათ სოლსა მფრინავი რაშით კოშკში გამოკეტილ ბეთა ლირას მისწვდა, მანათობელი თითიდან ბეჭედი წააძრო და მისი ცოლად შერთვის უფლება მოიპოვა.

ღვთაებრივი ნიშნებით შემკული მზეთუნახავის ადგილსამყოფელი, როგორც საკრალური სივრცე, უმეტესად მთის მწვერვალს წარმოადგენს. ის მიუწვდომელია და ჩვეულებრივ მოკვდავს იქ ასვლა ეკრძალება. იმ სივრცეში, სადაც მზეთუნახავი ცხოვრობს, სხვა დროჟამი ტრიალებს, რომელიც თქმულებებში მარადიული გაზაფხულის ნიშნებს ატარებს. იქ თოვლი არ მოდის, ზამთარ-ზაფხულ ცა ლურჯად კრიალებს, უამრავი სურნელოვანი ყვავილი იშლება, ბალახი მწვანედ ხასხასებს, მზეთუნახავიც არ ბერდება, უკვდავების მადლითა და მარადიული მშვენიერებით ბრწყინავს[27]. სახეზეა მზეთუნახავის საცხოვრებელი სივრცის პარალელიზმი ქართულ ბრუტსაბძელას მითოსთან (სიხარულიძე 1961: 259-260). განსხვავება კი ის არის, რომ ბრუტსაბძელას მარადიული გაზაფხული კონკრეტულ ისტორიულ პირს - თამარ მეფეს უკავშირდება, მოქმედება ხდება კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში და თქმულება, ამასთანავე, სამყაროში აკრძალვის დარღვევის შედეგად წარმოქმნილ ეპოქალურ ცვლილებას ასახავს. თამარის მითოსისგან განსხვავებით, ხალხურ ეპოსებში მითიურ მზეთუნახავს ზღაპრულ დროსა და სივრცეში უწევს მოქმედება.

ზებუნებრივი ნიშნები მზეთუნახავის სხეულზე

აფხაზურ ეპოსში მთავარი პერსონაჟი, ნართების დედა - სათანეი-გვაშა „უმზეოდ ანათებს და უმთვაროდ კაშკაშებს“. ფოლკლორულ ტექსტებში ხშირად გვხვდება მანათობელი ნიშნებით ქალის მშვენიერების წარმოადგენა და მხატვრული გამოსახვის ამ ფორმამ ლიტერატურაშიც შეაღწია. „ვეფხისტყაოსანში“ ნესტან-დარეჯანის სილამაზე და მისი სხეულიდან გამომკრთალი შუქი მნახველს თვალს სჭრის და აბრმავებს, ხოლო ღამით გულანშაროდან მომავალმა ნესტან-დარეჯანმა როშაქი და მისი მონები საგონებელში ჩაყარა. მეფის ასული ისეთ შუქს გამოსცემდა, რომ ქაჯებს ქალიშვილი ხან მზე ეგონათ, ხან მთვარე და ხანაც ცისკრის ვარსკვლავი. როგორც მ.

[27] ერთი ქართული ზღაპრის მიხედვით, იმ სივრცეში შეაღწევს უკვდავების მაძიებელი ჭაბუკი, თუმცა ზღაპრის იდეოლოგიით „მიწა თავისას თხოულობს“. ვაჟი მშობლიურ სოფელს უბრუნდება.

ჩიქოვანი აღნიშნავს, „ეთერის ციური გარეგნობის წინაშე ქედს იხრიდა ბუნება“ (ხალხური სიტყვიერება: 1956: 20).

სვანურ სიმღერებსა და გადმოცემებში დალის ღვთაებრივ ბუნებას მისი ოქროსფერი თმა ადასტურებს. როცა მჭედელ დარჯელანის ცოლი მძინარე დალის გამოქვაბულში ოქროს ნაწნავს შეაჭრის, ნადირთმწყემსი ჩვეულებრივი მოკვდავი ქალი ხდება და იღუპება, რადგან იგი კარგავს ზებუნებრივ ძალას, რომელიც მის თმაში იყო განივთებული (ამირანიანი 2019: 424). მეგრული გადმოცემების მიხედვით კი, რძეში განბანენ მძინარე ტყაშმაფას თმებს, რათა იგი ახალი სასიცოცხლო ძალებითა და ღვთაებრივი უნარებით აღივსოს (მეგრული ტექსტები 1991: 363). სვანურ და მეგრულ თქმულებებში ოქრო და რძე ქალის ღვთაებრივი და მზიური ბუნების რელევანტურია.

ერთ-ერთი ინგუშური თქმულება მთვარის ასულის სილამაზეს ისეთი სიტყვებითა და მხატვრული სახეებით წარმოგვიდგენს, რომელიც ხევსურების, ჩეჩნებისა და ინგუშების ცოცხალ მეტყველებას დღემდე შემორჩა, როგორც ქალის მშვენიერების შესაფასებლად გამიზნული ერთ-ერთი სტერეოტიპული გამოთქმა. სახელდობრ, ღილღველი მთხრობელი სესქათ სოლსას საცოლის - ბეთა ლირას - გარეგნულ სილამაზეს ასეთი დინამიკური მახასიათებლით წარმოგვიდგენს: „ღმერთს მასზე უფრო მშვენიერი არაფერი შეუქმნია. როცა ქალიშვილი წყალს სვამდა, ჩანდა მის ყელში წყალი როგორ გადადიოდა“ (Дахкильгов 2012: 248). ზუსტად ამ ფორმით ქალიშვილის სილამაზის გამოხატვას იცნობს ხევსურული ტრადიცია. 2009 წელს სოფელ გამარჯვებაში ბაცალიგოელმა ხევსურმა გელა არაბულმა ჩვენთან[28] საუბარში ერთ-ერთი ქალიშვილის სილამაზე, რომელიც ახალგაზრდობაში ჰყავდა ნანახი, ამ სიტყვებით გადმოსცა: „როცა ის წყალს სვემდ, ვხედევდ წყალ ყელჩი რაჴელ გადასდიოდ.“ ინგუშურ ენაზე ეს სიტყვები ასე ჟღერს: «Цо хий

[28] 2009 წლის მაისში სოფელ გამარჯვებაში ნოდარ არდოტელის ოჯახში ვიმყოფებოდი ზურაბ კიკნაძესა და ტრისტან მახაურთან ერთად, სადაც ვესაუბრეთ გელა არაბულს.

молача хана, цун къамарга чу гуш хул из хий миштa керч» (Дахкильгов 2012: 248).

ინგუშური თქმულების მიხედვით, ღვთაებრივი სილამაზით ბრწყინავდა ნართი თუოხის საცოლე - მელხათ აზა: „მისი შუბლიდან თითქოს მზე ასხივებდა, ხოლო მხრებს შორის მთვარე ანათებდა. მთელი მისი სხეული სინათლეს გამოსცემდა“[29] (Дахкильгов 2012: 256).

მზესთან არის შედარებული ქალიშვილის გარეგნობა ქართულ ეპოსშიც. ეთერიანის სოფელ ვეჯინში ჩაწერილი ვარიანტის მიხედვით, „ქალი დღითიდღე იზრდებოდა, ისეთი ლამაზი იყო, ისეთი ლამაზი, რომ იმაზე მშვენიერი ამომავალი მზეც არ იქნებოდა“ (ხალხური სიტყვიერება 1954:96). მხატვრული თვალსაზრისით ქართული ფოლკლორული შემოქმედების შედევრს წარმოადგენს ეთერის პორტრეტი, რომელსაც, ვეჯინური ვარიანტის მიხედვით, მურმანი აღწერს. აბესალომთან საუბარში მურმანი ეთერის სილამაზეს პლასტიკური პოეტური სახეებით, დახვეწილი ეპითეტებითა და მეტაფორებით გადმოსცემს:

„წელი - წვრილი, ბეჭი - ფართე, თეძოს ძვალი დაბალია.
შუბლი - ბრტყელი, წარბი - წვრილი, საფეთქელი მწყაზარია.
ცხვირი - სტვირი, კბილი - მძივი, ბაგე ხახვის ფოთოლია“

(ხალხური სიტყვიერება: 1956: 99).

უ. დალგათი ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში ქალის გარეგნობის გამოხატვის სხვა არქაულ ფორმებზეც მიუთითებს. ინგუშურ ნართულ თქმულებაში მშვენიერი ალბიქა თავის სილამაზეს თანამედროვე მკითხველისთვის სრულიად გაუგებარი ფრაზეოლოგიზმებითა და იდიომატური გამოთქმებით გადმოგვცემს:

„ТIахьежача ерста а йолаш, юхь тIехь хоза а йолаш,
тIехь ашкахьа баламаш тIа юхатайса ши тIар а болаш“

(Далгат 2015: 593).

ალბიქას სიტყვები ქართულ ენაზე მიახლოებით შეიძლება ასე გავიგოთ: „მე ვარ ქალი გათქვირებული ტანითა და ლამაზი სახით,

[29] “მისი შუბლიდან თითქოს მზე ასხივებდა, ხოლო მხრებს შორის მთვარე ანათებდა“ ინგუშურ ენაზე ასე წარმოითქმის: «Хеталора хьаь юкъе цун малх боагаш санна, пхандарашта юкъе бутт къегаш санна».

ძუძუები მხრებზე მაქვს გადაკიდული.“ ამ სახით ქალის გარეგნობის წარმოდგენა ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ უაღრესად არქაულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც, ნახური ტრადიციის გარდა, სხვა ხალხთა ფოლკლორშიც დასტურდება. ნოღაელთა მითებში ასეთ მდედრულ არსებას ალბასტი ჰქვია. თქმულებების მიხედვით, ალბასტს იმდენად დიდი ძუძუები ჰქონდა, რომ მათ ზურგზე გადაიდებდა ხოლმე. ქ. სიხარულიძე მას გამოკვეთილი დედობის ნიშნად მიიჩნევს (სიხარულიძე 2006: 170).

ზებუნებრივ გარეგნობას ფლობს ბიცენთების ასული ბიცენონი ოსურ ეპოსში. ბიცენონი იყო მაქცია. როგორც დონბეთირების შთამომავალი, ის დღისით ბაყაყის ტყავში (ზოგიერთი ვარიანტით, კუს ბაკანში) იჯდა, ღამით კი მზეთუნახავი ხდებოდა. ბიცენონი ფლობდა ქალღმერთის თვისებებს, ბარაქის მინიჭების უნარს: რასაც ხელს შეახებდა, ის აღარ გამოილეოდა. იგივე შეიძლება ითქვას ძერასაზე - დონბეთირების ასულზე, რომელმაც მტრედის სახე მიიღო და ღამით ნართების ბაღიდან ოქროს ვაშლი მოიპარა. მიცვალებულთა აკლდამაში სწორედ გარდაცვლილმა ძერასამ შვა ძლევამოსილი ნართების მომავალი დედა და დიდებული დიასახლისი სათანა.

კავკასიის ხალხთა ეპოსებში მზეთუნახავი ფლობს თავისი საიდუმლო წარმომავლობისა და ღვთაებრივი ძალმოსილების დამადასტურებელ ნიშნებს. ღვთაებრივი ნიშნები მისი მფლობელის არაჩვეულებრივ წარმოშობაზე მიუთითებს. ნართების ეპოსის აფხაზურ ვერსიაში აირგების ასულს აქვს მანათობელი ნეკი, რომლითაც სასრიყვას ღამით გზას უნათებდა. აფხაზური ეპოსის პერსონაჟი აირგების ასული და ინგუშური ეპოსის მელხათ აზა ერთმანეთს მრავალი ნიშნით ჰგვანან. ნათლის სვეტით ისინი თავიანთ ქმრებს დაბრკოლების დაძლევაში ეხმარებიან. როდესაც თუოხი ბოროტ ნართს - ინქარს ებრძოდა, თუოხის დასახმარებლად მელხათ აზამ თავისი შუბლი მოიშიშვლა და მზის სხივები მტრისაკენ მიმართა, რომელმაც ინქარი დააბრმავა და თუოხი მტრისათვის უხილავი გახადა. მელხათ აზა დაკავშირებულია ღვთაებრივ არსებებთან, რადგან ის „წელი-ლამის“ წმინდა მთაზე ცხოვრობდა - მფარველ წმინდანთა და ზეცის ბინადართა მიწიერ საბრძანისში.

განმარტოების მიზეზები

კავკასიის ხალხთა ეპოსების მიხედვით, ღვთაებრივ ასულს, სანამ ეპიკური გმირი მოიტაცებდა და ცოლად შეირთავდა, თითქმის მუდამ განმარტოებულ კოშკში ვხედავთ. ჩეჩნურ თქმულბებში, როგორც ჩანს, სწორედ ამ მიზეზით, მისი ეპითეტი არის „მიწაზე ჩამოუსვლელი“. მზეთუნახავი მთაზე ან მთის მწვერვალზე ცხოვრობს, რადგან გათხოვებამდე არ შეიძლებოდა მისი ღვთაებრივი ნიშნების საიდუმლოს გამჟღავნება. ხევსურული გადმოცემებიდან ასევე ვიცით, რომ ნაწილიანი ადამიანი უეჭველად დაიღუპებოდა, თუ ვინმე მის მოშიშვლებულ სხეულზე საიდუმლო ნიშანს შეამჩნევდა. ასევე ცნობილია, რომ მას განსაკუთრებული საფრთხილე დაქორწინებამდე მართებდა. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ განმარტოებული კოშკი მზეთუნახავის ღვთაებრივი ნიშნების საიდუმლოს ინახავდა. ვ. პროპიც მზეთუნახავის კოშკში გამოკეტვის ერთ-ერთ მიზეზად ავი თვალის მიმართ შიშს მიიჩნევდა (Пропп 1986: 39).

მკვლევარები მზეთუნახავის კოშკში გამოკეტვის სხვა მიზეზებზეც მიუთითებენ. ის განმარტოებულია საზოგადოებისგან ინიციაციის გავლის მიზნით, ან იზოლირებულია, რათა არ დაფეხმძიმდეს და ბავშვი არ დაბადოს. მითოლოგიური მოდელის თანახმად, მზეთუნახავს მზეს უმალავენ, მაგრამ ის მაინც მზისგან დაფეხმძიმდება; ბერძნულ-რომაული მითოლოგიური ტრადიციის თანახმად, ქალიშვილს კოშკში გამოკეტავენ, რადგან არსებობს წინასწარმეტყველება, რომლის თანახმად, მზეთუნახავი შობს ვაჟს, რომელიც მამას ან პაპას სამეფო ტახტიდან ჩამოაგდებს და თვითონ გამეფდება; მზეთუნახავს კოშკში გამოკეტავენ, აგრეთვე, ბავშვობის ასაკიდან მოწიფულობის ასაკში რიტუალური გადასვლის მიზნით. ერთი სიტყვით, გოგონა ასაკობრივი ცვლილების ზღვარზე შედის განმარტოებულ კოშკში და იქიდან ის მოწიფული გამოდის, ან გმირი მოიტაცებს. იმ დროს უკვე დასრულებულია, ზ. კიკნაძის სიტყვებით, „გოგონას ფიზიკური მომწიფებისა და ქალურ სიბრძნეში“ წვრთნის პერიოდი და ქალიშვილი გმირს ხალისით მიჰყვება (კიკნაძე 2001: 26-27).

განმარტოებულ კოშკში ქალიშვილის რიტუალური გამომწყვდევის ელემენტებს ვხვდებით აფხაზურ, ოსურ, ინგუშურ და ქართულ ეპოსებში. აფხაზური ეპოსის მიხედვით, სასრიყვა მაშინ მიადგა მთის მწვერვალზე აღმართულ სასახლეს, როცა აირგების ასულს მის წასაყვანად მისული ვაჟი დაესიზმრა. გამოფხიზლებული ქალი სასრიყვას მიმართავს: „-შენი ვარ, წამიყვანე ახლავე!“ (აფხაზური ეპოსი 1987: 215). ანალოგიურ ვითარებას ასახავს ამირანის ეპოსი, როცა ღრუბელთ ბატონის ასული გმირს მოტაცებაში ეხმარება. მზეთუნახავის მოტაცების მითოლოგემა ძველია. მისი უძველესი დადასტურება გვხვდება ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. „ვეფხისტყაოსანშიც“ ვხვდებით განმარტოებულ კოშკში გამოკეტილ მზეთუნახავს, რომელიც გმირს მოტაცებაში ეხმარება.

კავკასიის ხალხთა ეპოსებში მთავარი გმირის საცოლეს მუდამ აქვს ზებუნებრივი წარმომავლობა და საკრალური ადგილსამყოფელი:

მზეთუნახავი	წარმომავლობა	ადგილსამყოფელი	ეპოსი
მელხათ აზა	მზის ასული	წელი ლოამის მთა (მთაწმინდა)	ინგუშური ეპოსი
ბეთა ლირი	მთვარის ასული	ქვეყნიერების ბოლოს კლდეზე აგებული ცამდე მაღალი კოშკი.	ინგუშური ეპოსი
ორზმით ორშმას ცოლი		მიწისქვეშ	ინგუშური ეპოსი
სიელა სათა	დარ-ავდრის გამგებელ სიელას ასული	ბაშლამის მთა (მყინვარწვერი)	ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები
ყამარი	ღრუბელთ ბატონის ასული	ციდან ზღვაზე ჯაჭვით ჩამოკიდებული კოშკი	ქართული ეპოსი
სასრიყვას ცოლი	აირგების ასული	ყველაზე მაღალი მთის მწვერვალი	აფხაზური ეპოსი
ძერასა	დონბეთიირის ასული	წყალქვეშ	ოსური ეპოსი
აცირუხსი	მზის ასული	სავხოხის მთა	ოსური ეპოსი
აქულა-მზეთუნახავი	შვიდი ძმის ერთადერთი და	ორ ზღვას შუა, შვიდი გზის შესაყარზე, რკინის კოშკი.	ოსური ეპოსი
ბიცენონი	ბიცენთების ასული	მიწის ქვეშ	ოსური ეპოსი

კავკასიის ხალხთა ეპოსებში ქალის მრავალფუნქციური სახე იკვეთება. ის გამოირჩევა არა მხოლოდ ღვთაებრივი სილამაზით, არამედ განსაკუთრებული სიბრძნით, ზებუნებრივი უნარებითა და თვი-

სებებით. ინგუშური თქმულების მიხედვით, „სელა სათას ჰქონდა წინასაწარმეტყველების უნარი. მას შეეძლო ცაში ასვლა და კვლავ მიწაზე დაბრუნება. თუ მოისურვებდა, მას საიქიოში შესვლაც შეეძლო“ (Дахкильгов 2012: 248). ნართების ეპოსის სხვა ნაციონალურ ვერსიებშიც სათანა (სათანეი, სათანეი-გვაშა) ფლობს ღვთაებრივ უნარებს.

ყარაჩაულ-ბალყარული ეპოსის მიხედვით, სათანაის სხეული სინათლის შუქს გამოსცემს, რადგან ის მზისა და მთვარის ასულია. დემონ ემეგენთან შეხვედრისას სხივმოსილი სათანაი საკუთარ სახეს გამოაჩენს და თავისი შუქით ბოროტ არსებას დააბრმავებს, რომელსაც მისი შეპყრობა სურდა (Нарты 1994: 306-307). მართალია, ოსურ ეპოსში სათანა, როგორც წესი, არ მონაწილეობს ნიხასის სხდომებსა და მამაკაცთა სხვა თავყრილობებში, მაგრამ ნართები სწორედ მისი რჩევით აღწევენ წარმატებას. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას სოსლანსა (ოსური ეპოსი) და სასრიყვაზე (აფხაზური ეპოსი). მათი თითქმის ყველა საბრძოლო წარმატების წყარო არის სათანა.

შურისმაძიებელი ასული

კავკასიის ხალხთა ეპოსებში ღვთაებრივი ასულის შურისმაძიებელი სახეც იკვეთება. მკაცრი და სასტიკი თვისებებით წარმოსდგება ბალსაგის მრისხანე ასული ოსურ ეპოსში და დალი სვანურ სამონადირეო-ეპიკურ სიმღერებში.

ოსური ეპოსის მიხედვით, ზეციური ქალწული სოსლანს ნადირობის დროს გაეცნო, როგორც ბალსაგის ქალიშვილი (ზოგიერთი ვარიანტით - მზის ასული). ნადირობისას ჯერ ირმის სახით მოვლენილი და შემდეგ უცხო ფრინველად გარდასახული ქალწული ნადირთღვთაების ყველა ნიშან-თვისებას ატარებს. ამ სახით ქართულ მითებში მონადირეს ნადირთმწყემსი დალი ეცხადება. ის რჩეულ მონადირეს სასიყვარულო ურთიერთობას სთავაზობს და მას, შესაბამისად, ან სიკეთესა და დიდებას მოუტანს, ან დაღუპავს (მამისიმედიშვილი 2015: 267). სამეგრელოსა და სვანეთში გავრცელებული ზეპირი ტექსტების მიხედვით, რჩეულ მონადირეებს საიდუმლო სასიყვარულო ურთიერთობა აქვთ ნადირთპატრონებთან. რჩეული მონადირეები დალისა და ტყაში მაფას საიდუმლო საყვარლები არიან.

საიდუმლოს გათქმას ან ქალღვთაების სიყვარულის უარყოფას მუდამ მოსდევს ნადირთმწყემსის რისხვა და მონადირის დაღუპვა. საიდუმლო სამყოფელში გამოკეტილი მზეთუნახავი, რომელიც ღუპავს მისი ხელის სათხოვნელად მისულ სასიძოს, ხშირად გვხვდება საზღაპრო ეპოსში.

რ. ცანავა ნადირთპატრონ დალისა და ძველბერძნულ კირკეს მხატვრულ სახეებს შედარებითი მითოლოგიის კონტექსტში განიხილავს და მათ შორის რამდენიმე მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ მსგავსებაზე მიუთითებს: 1. ორივე ქალღმერთი ცხოვრობს ადამიანებისგან იზოლირებულად; 2. ისინი ინტიმურ კავშირს ამყარებენ გამორჩეულ მამაკაცებთან და ამ კავშირის შედეგად იბადებიან სახელოვანი ვაჟები. 3. კირკეცა და დალიც იღუპებიან (ცანავა 1982: 130). ეს მოდელი შეიძლება გაფართოვდეს, რადგან კავკასიის ხალხთა ეპოსებში ყველა ქალწული თუ ღვთაებრივი ასული განმარტოებულ კოშკში ცხოვრობს, ყველა მათგანი სახელოვან გმირზე ქორწინდება. მართალია, მათ შორის ყველა არ ტოვებს ნაშიერს, მაგრამ თუ დატოვებს, ის უეჭველად გმირი გაიზრდება. რაც შეეხება მესამე მოდელს, კავკასიის ხალხთა ეპოსებში განსხვავებულ ვითარებას ვხედავთ. იღუპება სვანური თქმულებების დალი და აფხაზური ეპოსის პერსონაჟი აირგების ასული. სხვები ან ტოვებენ ადამიანთა საზოგადოებას და ბრუნდებიან ისევ იქ, საიდანაც ისინი მოიყვანეს, ან მათი კვალი თქმულებებში საერთოდ იკარგება.

მართებულად მიუთითებენ გ. ხალუხაევი და ა. კუზნეცოვა, რომ ინგუშურ ეპოსში ქალი პერსონაჟები მოკლებული არიან დემონიზმს (Халухаев… 2013: 79), თუმცა ერთ-ერთ ინგუშურ თქმულებაში სესქათ სოლსას ქალიშვილი მედეას მსგავსად მოქმედებს. ის ეხმარება თავის საქმროს და მის მეგობრებს, არა მხოლოდ მოტაცებაში, არამედ მონაწილეობას იღებს შეთქმულებაში საკუთარი მამის წინააღმდეგ. ქალიშვილმა ჯერ იელის ყვავილისაგან დამზადებული შარბათით დაათრო სესქათ სოლსა, რომ დაეძინებინა. ხოლო შემდეგ ჩაძინებული მამა გამტაცებლებს საკუთარი თმებისგან გაკეთებული საბლით გააკოჭვინა. ის გაჰყვა თავის საქმროს და მის მეგობრებს, მამა კი მარტოდმარტო, უმწეო მდგომარეობაში მიატოვა.

ადამიანთა საზოგადოებასთან შეუთავსებლობა

კავკასიის ხალხთა ეპოსების მიხედვით, ღვთაებრივი ასული ადამიანთა საზოგადოებაშიც არ არის ბედნიერი. ადამიანებთან მზეთუნახავის ურთიერთობას არ შეიძლება ჰქონდეს ბედნიერი დასასრული. რაც უნდა სახელმოხვეჭილი იყოს გმირი, მისი და ღვთაებრივი ასულის ქორწინება არ იქნება ბედნიერების მომტანი. ასეთია ნართების ეპოსის სხვადასხვა ნაციონალური ვერსიების იდეოლოგია და საზრისი. აფხაზური ეპოსის მიხედვით, აირგების ასულს და სასრიყვას ყველა შვილი დაეღუპათ და მემკვიდრე არ დარჩათ. არ ვიცით აირგების ასულის სახელიც, რადგან მას ტაბუ ადევს.

ოსური ეპოსის მიხედვით, ნართების საზოგადოებაში საფრთხე ემუქრება ბიცენთების ასულ ბიცენონს, რომლის ღვთაებრივ სილამაზეს ბაყაყის ტყავი (სხვა ვერსიის მიხედვით - კუს ბაკანი) იფარავს. უმაღლესი არსება საზოგადოებას უმდაბლესი სახით ეჩვენება. უნდა ვიფიქროთ, რომ საკუთარ სხეულზე გამოხატულ ღვთაებრივ ნიშნებს ის ბაყაყის ტყავით იცავს და იფარავს, რათა ავმა თვალმა არ დაინახოს. ბაყაყის ტყავს ბიცენონი ღამით იხსნის და ქმრის წინაშე ღვთაებრივი სილამაზით წარსდგება: „მისი ბრწყინვალებით მზეს სინათლე ემატებოდა, დედამიწას - მშვენება“, - მოგვითხრობს ეპოსი (ნართები 1988: 209). მას შემდეგ, რაც სირდონმა ბიცენონის სილამაზის საიდუმლო შეიტყო, ანუ მისმა ავმა თვალმა დაინახა მზეთუნახავის ღვთაებრივი სილამაზე, ქალმა ნართების საზოგადოება დატოვა. წასვლის წინ კი ნაყოფი, რომელსაც ის მუცლით ატარებდა, ქმარს ზურგში ჩაბერა და მის სხეულში გადაიტანა. პარალელურ სიუჟეტებს ვხვდებით აფხაზურ და ინგუშურ ეპოსებში. აფხაზური ეპოსის მიხედვით, აწანების ასული ზილხა და ინგუშური ეპოსიდან მელხათ აზა ტოვებენ ნართების საზოგადოებას, რადგან ისინი იქ, ადამიანთა შორის ბედნიერებას ვერ პოულობენ. წასვლის წინ ღვთაებრივი ასულები თავიანთი ხელით იჭრიან მუცელს, ამოჰყავთ ბავშვი და გასაზრდელად ნართებს უტოვებენ. ასეთივე თავგადასავალი აქვს ორზმით ორშმას ცოლს ინგუშურ ეპოსში, რომელმაც მუცელი გაიჭრა და ბავშვი მამას დაუტოვა. თვითონ კი მიატოვა ადამიან-

თა საცხოვრისი და მიწისქვეშ იმ თავდაპირველ საიდუმლო ადგილს მიაშურა, სადაც წინათ ცხოვრობდა, სანამ ორზმით ორშმას ცოლად გაჰყვებოდა. არავითარი ეჭვი არ არსებობს იმისა, რომ ამ სახით დაბადებული ბავშვი გმირი გაიზრდება.

ინგუშურ თქმულებაში მზის ასული მელხათ აზა შორდება ნართ თუოხს და სინანულით ამბობს: „ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გამაფრთხილეს, რომ ადამიანებთან არანაირი ურთიერთობა არ მქონოდა. ასე დაემართება ყველას, ვინც რჩევას არაფრად აგდებს, ადამიანს ცოლად არ უნდა გავყოლოდი“ (Дахкильгов 2012: 267). ეპოსი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ ვინ მოუწოდებდა მელხათ აზას ადამიანებთან ურთიერთობაში სიფრთხილისკენ. ეს საიდუმლოა. ეპოსის მიხედვით, ციდან ოქროს კიბე ჩამოეშვა და მელხათ აზა კიბით მაღლა, ცაში ავიდა. მალე კიბეც და ქალიც გაუჩინარდნენ (Дахкильгов 2012: 267).

ღვთაებრივი უნარებით შემკული ზოგიერთი ქალი პერსონაჟი კავკასიის ხალხთა ეპოსებში თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს. ასეთია ეთერი ქართულ და აირგების ასული აფხაზურ ეპოსში. ერთსაც და მეორესაც აქვს არაჩვეულებრივი წარმოშობა. ეთერი ტყეში ისე იზრდება, როგორც მზეთუნახავი - განმარტოებულ კოშკში. თუმცა მას ადამიანის ნაცვლად არწივი ან ორბი ზრდის, რომლებიც ეპოსში ზეციურ სამყაროს განასახიერებენ. მართალია, ეთერი უფლისწულს სამეფო სასახლეში მიჰყავს და მასზე ქორწინდება, მაგრამ ქალი არ არის ადამიანთა საზოგადოებაში ბედნიერი, რადგან ეშმაკის ჩარევით მას მოაჯადოებენ, ქორწილის დღეს ხელუკუღმა ფეტვს შეაყრიან, რომელიც ჯადოს განასახიერებს, მკბენარს დაახვევენ და ნეფეს დააშორებენ (ხალხური სიტყვიერება 1954: 96). ქართული რომანტიკული ეპოსი მთავარ მოქმედ პირთა დაღუპვით მთავრდება.

ტრაგიკულად ასრულებს თავის სიცოცხლეს აირგების ასული აფხაზურ ეპოსში. მას შემდეგ, რაც მისმა ოთხმოცდაცხრამეტმა მაზლმა გაიგო აირგების ასულის მანათობელი ნეკის საიდუმლო, იგი მალევე იღუპება. მან ყუბინას ტალღებში თვითმკვლელობით დაასრუ-

ლა სიცოცხლე. აფხაზურ ეპოსში, ქართული „ეთერიანის“ მსგავსად, შურმა და გაუტანლობამ სძლია სიყვარულსა და სათნოებას. მოქმედ პირთა ბედნიერებამ კი სხვა სამეფოში გადაინაცვლა, სადაც ბოროტებას ხელი აღარ მიუწვდება და „ეშმაკს აღარ ძალუძს შეღწევა“ (კიკნაძე 2001: 80).

„ამირანიანში“ ზებუნებრივი თვისებებით ორი ქალი-პერსონაჟი წარმოსდგება - დალი და ყამარი. მართალია, დალის ადამიანთა საზოგადოებასთან არა აქვს კავშირი და ის მიუვალ კლდეებში ცხოვრობს, მაგრამ უცნობ მონადირესთან სასიყვარულო ურთიერთობა მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. თქმულების სვანური ვარიანტის მიხედვით, საიდუმლო განცხადდა და მონადირის გრძნეულმა ცოლმა მძინარე დალის ოქროს ნაწნავები შეაჭრა, რაც ქალღვთაების დაღუპვის მიზეზი უნდა გამხდარიყო (ჩიქოვანი 1947: 356). რაც შეეხება ყამარს, ის ყველა იმ თვისებას ფლობს, რომელიც კავკასიის ხალხთა ეპოსებში მთავარი გმირის საცოლეს ახასიათებს. საბოლოოდ, ყამარის მოტაცების შემდეგ, „ამირანიანში“ ქალის კვალი საერთოდ იკარგება, ისევე როგორც აქულა მზეთუნახავი და აცირუხსი აღარ ჩანან ოსურ ეპოსში, ან მელხათ აზა - ინგუშური თქმულებების ფინალში. ეს გარემოება კავაკასიის ხალხთა საგმირო ეპოსების ერთერთ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ.

კავკასიის ხალხთა ეპიკურ თქმულებებში ზებუნებრივი თვისებებით შემკული მითიური მზეთუნახავი, რომელიც ერთხანს ადამიანთა საზოგადოებაში ცხოვრობს და მთავარ გმირს წარმატების მიღწევასა და გამარჯვების მოპოვებაში ეხმარება, ხან იღუპება (ბედუხა -ოსურ ეპოსში, აირგების ასული - აფხაზურ ეპოსში), ხან ბრუნდება იქ, საიდანაც მოიყვანეს (აწანების ასული ზილხა - აფხაზურ ეპოსში, ბიცენონი - ოსურ ეპოსში, ორზმით ორშმას ცოლი და მალხათაზა - ინგუშურ ეპოსში) და ხანაც მისი კვალი საერთოდ იკარგება (აცირუხსი - ოსურ ეპოსში, ყამარი - ქართულ ეპოსში). კავკასიის ხალხთა ეპოსებსა და ეპიკურ თქმულებებში იკვეთება ასევე შურისმაძიებელი ასულის სახე (დალი - სვანურ სიმღერებში, ბალსაგის ას-

ული - ოსურ ეპოსში, აფსათის ასული - ყარაჩაულ-ბალყარულ სიმღერებში). ღვთაებრივ ასულსა და მთავარ გმირს შორის კონფლიქტს წარმოშობს სასიყვარულო ურთიერთობა, რომელიც ერთგულებასა და საიდუმლოს დაცვას მოითხოვს. მთავარი გმირის უპასუხო სიყვარულისა (სოსლანი - ოსურ ეპოსში) და ღალატის გამო (ბეთქილი - სვანურ სიმღერებში, ბიინოგერო - ყარაჩაულ-ბალყარულ სიმღერებში) ეს ურთიერთობა ტრაგიკულად მთავრდება და მთავარი გმირი იღუპება.

ცოლის წართმევის მოტივი

კავკასიის ხალხთა ეპოსებში მზეთუნახავი, რომელზეც მთავარი გმირი ქორწინდება, ღრმა არქაიკითა და მდიდარი მითოლოგიური ბიოგრაფიით გამოირჩევა. მითოსური მზეთუნახავის გარდა, ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში მონაწილეობს არაერთი ჩვეულებრივი ადამიანური თვისებით შემკული ქალი-პერსონაჟი. ტექსტები ამ ქალების ვინაობას კონკრეტულ მამაკაცებზე მათი კუთვნილების მიხედვით, კერძოდ კი, თავიანთი ქმრების საკუთარი სახელებით წარმოგვიდგენს და თქმულებებში მათ ჰქვიათ სესქათ სოლსას ცოლი, ოხქარ კანთის ცოლი, ბარახოი კანთის ცოლი, ფჰაგალ-ბერეს ცოლი, ნოურის ცოლები, ნოურზე შეყვარებული ნოღაელ მირზას ცოლი და სხვ. როგორც ირკვევა, წინა პლანზე ქალების სწორედ ეს „ცოლობის ფუნქცია“ არის წამოწეული და თქმულებებში უმეტესად მათი საკუთარი სახელებიც კი არ გვხვდება, რომლებიც ერთგვარად ტაბუირებულია, რადგან, უნდა ვიფიქროთ, რომ მთხრობელები მათი საკუთარი სახელებით მოხსენიებას ერიდებოდნენ. ამ პერსონაჟთა ფიზიკურ აღნაგობასა და სილამაზეს ეპოსი უფრო რეალისტურად გადმოგვცემს, ვიდრე ზებუნებრივი უნარებითა და სრულყოფილი მშვენიერებით შემკული მითოსური მზეთუნახავის გარეგნობას. მათი ქცევა, მოქმედება და სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობა ჩეჩენთა და ინგუშთა ტრადიციული ყოფის ელემენტებს ეფუძნება. ისინი თქმულებებში დადებით როლს ასრულებენ და გამოირჩევიან თავ-

მდაბლობით, სათნოებით, წინდახედულებით, მოხერხებულობით, გამჭრიახი გონებით, სიბრძნითა და ერთგულებით, ანუ ისეთი თვისებებით, როგორიც მოეთხოვებოდა ქალს ტრადიციულ საზოგადოებაში. ამ პერსონაჟებთან დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების მიხედვით, სანამ ის მთავარი გმირის ცოლი გახდება, სულ სხვა მამაკაცს ეკუთვნის და სულ სხვა მამაკაცს უწევს ცოლობას, რომლის ქმარსაც მთავარი გმირი ორთაბრძოლით ან მოლაპარაკებით ართმევს ქალს და თვითონ ირთავს ცოლად. ზოგჯერ გმირი მაშინ მიდის მოწინააღმდეგესთან ცოლის წასართმევად, როცა იცის, რომ ქალის ქმარი შინ არ არის, სახლში არ იმყოფება.

ცოლის წართმევის მოტივი გამოკვეთილად არის წარმოდგენილი ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების შემდეგ სიუჟეტებში:

სესქათ სოლსა მიდის სოფელ ოხქაროში, რათა ოხქარ კანთს ცოლი წაართვას.

ერთი ორსთხოელი მივიდა ფჰაგალ-ბერეს სახლში, როცა ის შინ არ იყო, რათა მისი უმშვენიერესი ცოლი მოეტაცა.

ჩეჩნური თქმულების მიხედვით, ნოურმა ყაბარდოელ ძმაკაცს ღალატით მოაკვლევინა ღოჟაყი, რათა მისი რჩეული ხელში ჩაეგდო და თქმულებაში ასეც ხდება.

შავი ნართების წინამძღოლი ინქარი მაშინ მივიდა მელხათ აზას მოსატაცებლად, როცა მისი ქმარი თუოხი შინ არ იყო. ის ჯადოსნობითა და ძალის გამოყენებით ცდილობს ხელში ჩაიგდოს ნართი თუოხის მშვენიერი ცოლი.

საქართველოს მეფეს მოეწონება ღილღველი ბარახოი კანთის ცოლი და გარკვეული შეთანხმების შემდეგ ქალს ცოლად შეირთავს.

როგორც ინგუშურ თქმულებათა სიუჟეტების შესწავლიდან ირკვევა, სხვისი ცოლის ხელში ჩაგდების მოტივზეა აგებული თქმულება, რომელიც ღილღველი ჭაბუკის ბარახოი კანთისა და საქართველოს მეფის ურთიერთობას ასახავს. ინგუშური თქმულების თანახ-

მად, საქართველოს მეფემ ხელში ჩაიგდო ბარახოი კანთის მშვენიერი ცოლი და საქართველოში წაიყვანა[30].

თქმულებების მიხედვით, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ცოლის წართმევა იმდენად საყოველთაო ყოფილა, რომ ქალები პრევენციის ზომებს თვითონვე მიმართავდნენ და თავის დასაცავად კავკასიის ხალხებში უხსოვარი დროიდან გავრცელებულ ძუძუმტეობის ტრადიციას იყენებდნენ[31]. თავიანთი ქმრებისთვის საფრთხის არიდებისა და ძალადობისგან თავდაცვის მიზნით, მეძუძური დედები საკუთარი მკერდიდან გამონაწველი რძითა და სხვადასხვა ტკბილეულობით საიდუმლოდ ფაფას ამზადებდნენ და მათი ცოლად წაყვანის მოსურნე მამაკაცებს საჭმელად სთავაზობდნენ. თუ კაცი იმ რძისგან მომზადებულ ფაფას შეჭამდა, ქალი მისი გატაცების მოსურნე მამაკაცის დედამძუძე ხდებოდა, რომლის შერთვა, ადათის მიხედვით, კაცს აღარ შეეძლო.

მამაკაცის მიერ სხვისთვის ცოლის წართმევა და მისი ცოლად შერთვა ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში მაინცდამაინც დაგმობილი არ არის, პირიქით, ზოგიერთ ეპიზოდში ასეთი საქციელი ვაჟკაცობად არის მიჩნეული და აღიარებული. ცოლებს სტაცებენ ერ-

---

30 აღნიშნული თქმულება შესაბამისობაშია თამარისა და ლაშა გიორგის მითოსთან. ინგუშური თქმულების მიხედვით, ბარახოი კანთის ცოლი უცხო მამაკაცისგან დაფეხმძიმდა. როცა ქალს ბავშვი ეყოლა, მსახურებს უბრძანა, რომ ახალშობილი ტყეში გადაეგდოთ. ერთხელ ერთმა მონადირემ დაინახა, რომ ბავშვს ძუ მგელი ძუძუს აწოვებდა. მონადირემ მგელს ბავშვი წაართვა და ბარახოი კანთის ცოლს მიუყვანა. ქალმა ღილღოში ქმართან დაბრუნება ვეღარ გაბედა და სამუდამოდ საქართველოში დარჩა. თქმულება არ მოგვითხრობს, ბავშვს რა ბედი ეწია (Далгат 1972: 363-365). თამარის მითოსის თანახმად, თამარს სურდა მარადქალწულად დარჩენა, მაგრამ, რადგან სამეფოს ტახტის მემკვიდრე სჭირდებოდა, ის მზის სხივისგან დაორსულდა. ბავშვი რომ დაიბადა, თამარმა ახალშობილი გამდელს მთაში გაატანა. იქ ბავშვს ირემი მოევლინა პატრონად. ერთხელაც თამარი სანადიროდ წავიდა. მონადირეებმა ირემი დაინახეს, ის იყო უნდა ესროლათ, რომ ირემზე ამოკრული ბავშვი შეამჩნიეს. ეს ამბავი მონადირეებმა თამარს აცნობეს. თამარმა ბავშვის ცოცხლად მიყვანის ბრძანება გასცა. თამარმა სასახლეში წამოიყვანა თავისი შვილი და ასე გაიზარდა ლაშა გიორგი (სიხარულიძე 1961: 236).

31 ძუძუმტეობის წეს-ჩვეულების უძველესი დადასტურება გვხვდება იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ (V საუკუნის II ნახევარი). ნაწარმოებში ხსენდება ვარსქენ პიტიახშის ძუძუმტე.

თმანეთს არა მხოლოდ ჩვეულებრივი ადამიანები და ნართები, არამედ გოლიათი ვამპალებიც. ერთხელ სესქათ სოლსამ მდინარე ასის ზემოთ ნახა ვამპალი, რომელსაც მუხლებს შორის ხმალი ეჭირა და როგორც კი დასაძინებლად თავს ჩამოაკანტურებდა, ხმლის წვერს შუბლს არტყამდა. თავისი საქციელის მიზეზი ვამპალმა სესქათ სოლსას ასე აუხსნა: -„ ამ გზაზე ერთმა ვამპალმა უნდა გაიაროს. მან ჩემი ცოლი მოიტაცა და ახლა თან მიჰყავს. ვფხიზლობ, რადგან, თუ ჩავიძინებ, ის შეუმჩნევლად გაივლის. როგორც კი თვლემა მომერევა და თავს ჩამოვაკანტურებ, ბასრი ხმლის წვერს შუბლს დავარტყამ და გამოვფხიზლდები“ (Дахкильгов 2012: 99-101). თქმულება მოგვითხრობს ამ ქვეყნად დარჩენილი ორი უკანასკნელი გოლიათის სასტიკი ბრძოლის შესახებ. როცა ვამპალები ერთმანეთს ებრძოდნენ, გოლიათი ვამპალი ქალი შორიახლოს იჯდა და არხეინად მატყლს ართავდა, რადგან დარწმუნებული იყო, ერთ-ერთი გოლიათი მაინც დარჩებოდა ცოცხალი, რომელიც ცოლად წაიყვანდა და მას პატრონობას გაუწევდა. თქმულების იდეოლოგიით, ცოლის წართმევა რომ უღირსი საქციელი არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ სესქათ სოლსა ორთაბრძოლაში გამარჯვებული ვამპალის დაღუპვასაც ცდილობს, რათა ქალი მას დარჩეს. მაგრამ ასე არ ხდება. მართალია, მან უკანასკნელი ვამპალიც დაღუპა, მაგრამ ცხენის უნაგირის ტახტაზე შემდგარი სესქათ სოლსა ვამპალ ქალს საქამრემდეც ვერ მისწვდა. ნართების უძლეველი წინამძღოლი მიხვდა, რომ ქალი-ვამპალი მას ცოლად არ შეეფერებოდა. სესქათ სოლსა ადგილზევე დარჩა, ხოლო დაქვრივებული ქალი თავის უბედურ ხვედრზე გოდებდა და თან ასის ხეობას სათავისკენ მიუყვებოდა (Дахкильгов 2012: 99-101).

ცოლის წართმევის მოტივს ვხვდებით ქართულ ხალხურ ბალადაში „შემომეყარა ყივჩაღი“. ბალადის მიხედვით, ქართველი მოყმე ცოლთან ერთად სიდედრთან მიდიოდა. მუხრანის ბოლოს ქართველ კაცს ყივჩაღი შემოეყარა. ყივჩაღმა მას პური, ხორცი და ღვინო მოსთხოვა. ქართველმა მოყმემ მას თავთუხის პური, ხოხბის ხორცი და ბადაგის ღვინო მიართვა. ყივჩაღმა ბოლოს ცოლიც მოსთხოვა. მან ქალს ხელი მოხვია, აკოცა და ნაწნავებით მოზიდა. ქართველმა კაცმა ვეღარ მოითმინა და ორთაბრძოლა გაჩაღდა. ბრძოლაში ორივე

დაიღუპა, ქალი კი ძმასთან თუ „სხვასთან“ წავიდა. ცოლის ძალით წართმევა რომ უცხო იყო ქართული ტრადიციისთვის, იქიდან ჩანს, რომ ქართველი მოყმისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ყივჩაღის საქციელი. ყივჩაღი ტექსტში ჩვეულებრივი მოძალადეა. ბალადა მკაცრად გმობს ყივჩაღის საქციელს და აცხადებს:

„არ იყო ღირსი მოშორდა ცქერას ნათელის მზისასა“.

ცოლის წართმევის მოტივი დასტურდება ქართულ რომანტიკულ ეპოსში. თუმცა, საგმირო თქმულებებისგან განსხვავებით, „ეთერიანში“ მურმანი ქალის ხელში ჩასაგდებად ფიზიკურ ძალას არ იყენებს. ის მაგიურ ზემოქმედებას ახდენს აბესალომზე, რომელიც უარს ამბობს ჯვარდაწერილ ცოლზე და მას მურმანს უბოძებს.

ნართების ეპოსის ჩეჩნურ და ინგუშურ ვერსიებში მხოლოდ ერთ ან ორ ტექსტს თუ მოვძებნით, რომლებშიც ისლამის შედეგად დამკვიდრებული მრავალცოლიანობა დასტურდება. ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში ვხვდებით მონოგამიურ ოჯახებს. ამდენად, ცოტა არ იყოს, გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ, თქმულებების უმრავლესობა ადგილობრივი საზოგადოებების ტრადიციულ ყოფაში ცოლის წართმევას უღირს ქმედებად არ მიიჩნევს. ირღვევა მეათე მცნება, რომელიც ბრძანებს: „არა გული გითქუმიდეს ცოლისათვის მოყუსისა შენისა“ (გამოსლვ. 20: 17). სავარაუდოდ, ეს უკეთური ჩვევა მეზობელ მთის ხალხებში გვიან უნდა დამკვიდრებულიყო, კერძოდ, შუა საუკუნეების ბოლოს, XVII-XVIII საუკუნეებში, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და საქართველოს სამეფოს პოლიტიკური გავლენა შესუსტდა და მთელი ქვეყანა ქაოსმა და ომებმა მოიცვა[32]. თუმცა არის გამონაკლისიც. არქაული მოტივებით მდიდარი თქმულება - „ნართი თუოხი და მზის ასული აზა“ -

[32] ის ვითარება, რომელსაც XVIII საუკუნის ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი თავის ნაწარმოებში აღწერს, დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ ქართლ-კახეთისათვის, არამედ მთლიანად კავკასიისთვის:

„შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა, მწირისა“

(გურამიშვილი 2013: სტრ. 154).

გმობს ძალის გამოყენებით სხვისთვის ცოლის წართმევას. ბოთყი შირთყა მკაცრად აფრთხილებს ინქარს, რომელიც ცდილობს თუოხს მშვენიერი ცოლი წაართვას და ეუბნება: - „გულში უმსგავსი განზრახვა ჩაგიდვია... ეს ხუმრობა არ არის - სხვისი ცოლის წაყვანა, თანაც სახელგანთქმული ნართის ცოლის მოტაცება. ბინძური საქმე მოგიფიქრებია“. აღნიშნული თქმულება ადგილობრივი ტრადიციული საზოგადოებების განსხვავებულ მორალურ-ზნეობრივ ფასეულობებს წარმოგვიდგენს და იგი, ვფიქრობ, უფრო არქაულ ვითარებას ასახავს.

საკრალური სიმბოლოები და ქრისტიანული კულტურის ელემენტები

ქართული ქრისტიანული კულტურა არასოდეს ყოფილა ჩაკეტილი და იზოლირებული მეზობელი კავკასიელი ხალხების მიმართ. კულტურულ ღირებულებათა სესხება გაცილებით ინტენსიური იყო ისლამის გავრცელებამდე, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორში ადგილობრივ ნიადაგზე მუშავდებოდა ქრისტიანული მოტივები და სიუჟეტები, უნივერსალური მითოლოგემები, ასევე ქართული ენის საშუალებით ჩრდილეთ კავკასიის ხალხებში მკვიდრდებოდა საღვთისმსახურო ტერმინოლოგია და ქრისტიანული ლექსიკა. კავკასიელი მთიელები ერთმანეთის სალოცავებსა და საკულტო ტაძრებში იკრიბებოდნენ, განიხილავდნენ რჯულსა და ქრისტიანულ დღესასწაულებს ერთად ზეიმობდნენ.

ჩეჩენმა მეცნიერმა ა. სულეიმანოვმა ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მაღალმთიან რაიონებში ათეულობით ქრისტიანული ტოპონიმი გამოავლინა, რომლებიც ჯვარს უკავშირდება და ქრისტიანობის გავრცელების შედეგად იმ გეოგრაფიულ სივრცეს დაუკავშირდა, სადაც ჩეჩნები და ინგუშები უძველესი დროიდანვე მოსახლეობდნენ. ამ ტიპის ტოპონიმებია: „ЖІарие“ - ჯვართანა, „Гиерг-Аьргие“ - წმინდა გიორგის სალოცავი, „Тишуол Ін“ - ღვთისმშობლის ხეობა, „ЙордитІе“, „Юьрдано“ - მოსანათლი ადგილი, „МозгІара Іин“ - მღვდლის (მოძღვრის) ხეობა და სხვ. (Сулейманов 1978; Сулейманов 1998). ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მაღალმთიან რაიონებში ქრისტიანული ტოპონიმების არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ქრისტიანობა იქ ზედაპირული მოვლენა არ ყოფილა. ქრისტიანულმა რელიგიამ თავის დროზე, როგორც ჩანს, ღრმა კვალი დატოვა ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერებაზე და გავლენა მოახდინა მათ ყოფაზე. მიმაჩნია, რომ ყველა არგუმენტი არსებობს იმისათვის, რომ ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების ჩამოყალიბება იმ პერიოდს დაუკავშიროთ, როცა ქრისტიანული რელიგია და ქრისტიანული ტრადიცია

გავლენას ახდენდა ჩეჩენი და ინგუში ხალხების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ნართების ეპოსის ნაციონალური ვერსიები ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მთიან ნაწილში ისლამის გავრცელებამდე უნდა შექმნილიყო. ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში თითქმის არ გვხვდება მაჰმადიანური სახელები. ხალხურ ტექსტებში მათი ხვედრითი წილი არის უმნიშვნელო. თქმულებები თითქმის არ იცნობენ ისლამურ მოტივებსა და სიუჟეტებს. მათი კვალი ვაინახურ ეპოსში მხოლოდ ზედაპირულ ხასიათს ატარებს. ჩეჩნურ და ინგუშურ ხალხურ ტექსტებში ცალკეული ისლამური ელემენტების არსებობა მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით შეიძლება აიხსნას, რომ თქმულებების ჩაწერის პერიოდში ჩეჩენთა და ინგუშთა რწმენაში ისლამი თანდათან გაბატონებულ მდგომარეობას იკავებდა.

ხალხური ეპიკური ტექსტების უმრავლესობა ტიპოლოგიურ სიუჟეტებსა და მითოლოგიურ ალუზიებს ეყრდნობა. რეალურად მომხდარი მოვლენა ფოლკლორულ ნაწარმოებში არცთუ იშვიათად საერთო არქეტიპულ მოდელს ემორჩილება და ტექსტის სიუჟეტიც ხშირად ზოგად მითოლოგიურ სცენარს მიჰყვება. მიუხედავად ამისა, თქმულება-გადმოცემებში სხვადასხვა ეპოქისა და რელიგიური ფორმაციის ამსახველი მითოლოგიური სეგმენტები ზოგჯერ გვერდიგვერდ თანაარსებობენ. მიმაჩნია, რომ აუცილებელია ხალხური ნაწარმოების ცალკეული ელემენტებისა და მითოსური პლასტების ანალიზი, რადგან ისინი უძველეს მოვლენებს აირეკლავენ. მართალია, ეს პლასტები ერთმანეთშია გადაჯაჭვული და მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა ადვილი არ არის, მაგრამ ამ ელემენტების შესწავლა-დაჯგუფება ტექსტის შიდა შრეებისა და მისი მიკროსტრუქტურის გააზრების საშუალებას იძლევა. ჩვენამდე ზეპირი სახით მოღწეული ტექსტის ამგვარი კვლევა არქეტიპულ ინვარიანტთან მიახლოების საშუალებას იძლევა. ამ კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია მეზობელი ხალხების თქმულებებში ერთსა და იმავე რელიგიურ მრწამსთან დაკავშირებული მითოლოგიური წარმოდგენების კვლევა.

შუა საუკუნეებში საქართველოს მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული მისია დაეკისრა. ის გახდა ქრისტიანობის ფორპოსტი

კავკასიაში. სამწუხაროდ, თანამედროვე რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში საქართველოს კულტურულ-ისტორიული როლი სათანადოდ არ არის წარმოჩენილი. ზოგიერთ პუბლიკაციაში, რომელიც შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების სულიერ კულტურასა და რელიგიურ სიტუაციას ეხება, საქართველო არც არის ნახსენები.

მართალია, სვანეთსა და რაჭაში დადასტურებული ერთი-ორი ნარატივის გარდა, ქართული ფოლკლორი თითქმის არ იცნობს გადმოცემებს ნართ გმირებზე (Дзидзигури 1971), სამაგიეროდ, ნართების ეპოსის თითქმის ყველა ნაციონალურ (აფხაზურ, ჩერქეზულ, ოსურ, ინგუშურ და სხვ.) ვერსიაში იგრძნობა ქართული კულტურისა და ტრადიციული ყოფის გავლენა.

ქრისტიანული ელემენტები, ლექსიკა, ტერმინოლოგია და მითოლოგიური სიმბოლოები, რომლებიც ტრადიციულ ნიადაგზე გადამუშავდა და ადგილობრივ გარემოს მოერგო, კავკასიის ხალხთა ფოლკლორის ერთ-ერთ ყველაზე არქაულ ფენას განეკუთვნება.

ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებთან. ორივე მათგანი ტრადიციული საზოგადოების ყოველდღიური ყოფის უაღრესად მნიშვნელოვან და დამახასიათებელ ელემენტებს წარმოგვიდგენს. ისინი მოგვითხრობენ სხვადასხვა მოვლენის, ინსტიტუციის, ცალკეული საზოგადოებებისა და გვარების წარმოშობის შესახებ. როგორც ქართულ ანდრეზებში, ისე ჩეჩნურ და ინგუშურ ნართულ თქმულებებში მოქმედება ხშირად ხდება განსაზღვრულ სივრცეში, სრულიად რეალურ გეოგრაფიულ გარემოში.

ქართულ და ჩრდილოკავკასიურ ეპიკურ თქმულებებს შორის არის არსებითი, ფუნდამენტური განსხვავებაც. სამოცდასამი მეომრისგან შემდგარი ნართ-ორხუსთოელების რაზმის მიზანი იყო ნადავლის მოპოვება და ცხენების გამორეკვა. ძარცვისა და თარეშის თემა არსებითი[33] არ ყოფილა ქართული ეპიკური ტექსტებისთვის.

[33] თარეშის თემა გვხვდება ფშავ-ხევსურულ ბალადებში, რომლებიც სრულიად რეალურ ვითარებას ასახავენ. ბალადებისგან განსხვავებით, ანდრეზები უფრო მიღმა სამყაროში გამართულ მისტიკურ ბრძოლაზე მოგვითხრობენ, რომელშიც ღვთისშვილებთან ერთად ჯვრის მსახურიც მონაწილეობდა.

ორთაბრძოლა, მეკობრეობა, რბევა და თარეში, როგორც ერთ-ერთი მოტივი, ძირითადად ფშავ-ხევსურეთში შექმნილ საგმირო ბალადებში დამკვიდრდა.

ნართების ეპოსის ჩეჩნურ და ინგუშურ ვერსიებში ყურადღებას იქცევს ცალკეული საკრალური მოტივებისა და სიუჟეტების პარალელიზმი ქართულ ფოლკლორთან. ის საერთო ნიშანთა და მახასიათებელთა ერთობლიობას ემყარება. ამჟამად მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან პარალელებს განვიხილავ.

საგმირო მოტივების საკრალიზაცია: შუაზე გაპობილი ლოდი

ქართულ და ჩეჩნურ-ინგუშურ თქმულებებში გვხვდება მსგავს სიუჟეტებზე აგებული საგმირო ეპიზოდები. თუ ქართულ ანდრეზებში საგმირო ეპიზოდებს საკრალური დანიშნულება აქვს და მთლიანად მითოლოგიზებულია, ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში მსგავსი ეპიზოდები დაცლილია საკრალიზმისგან. თუმცა ქართულ ანდრეზებთან მათი შედარება მითოლოგიური სახეებისა და სიმბოლოების ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა. ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების ზოგიერთი საგმირო ეპიზოდის თავდაპირველი საკრალურ-რელიგიური მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს.

ლოდის შუაზე გაპობის მოტივი გვხვდება როგორც ჯვარ-ხატთა დაარსების ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში, ისე ნართების ეპოსის ჩეჩნურ და ინგუშურ ვერსიებში. ქართულ ანდრეზებში ეს ეპიზოდი მფარველი წმინდანებისა და დევ-კერპების ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც მიწა-წყლის მოპოვებასა და კულტის დაარსებას ისახავს მიზნად (კიკნაძე 2016 ა: 19-23). გადმოცემის მიხედვით, იახსრის ნასროლი ძლევამოსილი ლახტი მისგან დევნილ უკანასკნელ დევს ასცდა და კლდეს მოხვდა, რომელიც შუაზე გაიპო. შუაზე გაპობილი კლდე, როგორც გადმოცემული ამბის უტყუარი დადასტურება, დღემდე შემორჩა საქართველოს მთიანეთში, სოფელ როშკის მახლობლად. ასეთივე შუაზე გაპობილი ლოდი გვხვდება ჩეჩნეთის მთიანეთში, გალანჭოჟის მახლობლად, თუმსოი-ლამის მთაზე, რომელსაც ერთ-ერთი ნართული საგმირო თქმულება უკავშირდება.

მართალია, ჩეჩნურ ტექსტში დემითიზაციის პროცესი ბოლომდე არ არის მისული, მაგრამ მასში ლოდის შუაზე გაპობის მოტივი მოკლებულია ყოველგვარ საკრალიზმს და იგი იმ სიუჟეტს შეერწყა, რომელიც ნართების წინამძღოლის სესქათ სოლსას გმირობის შესახებ მოგვითხრობს. იმ ქვას, რომელიც სიდიდით კოშკს აღემატება, სესქათ სოლსამ თავისი ხმალი დაარტყა. ჩეჩნურ თქმულებაში ლოდის ორად გაყოფის მიზეზი გახდა სესქათ სოლსას ცნობისმოყვარეობა. მას სურდა თავისი ბასრი ხმლის გამოცდა, თუ რამდენად მჭრელი იქნებოდა მისი მახვილი (Далгат 1972: 329). ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში კი მსგავსი ეპიზოდი დემონურ ძალებთან ბრძოლას, მიწაწყლის გამოხსნასა და ტერიტორიების მოპოვებას უკავშირდება (კიკნაძე 2016 ა: 24). ჩეჩნური თქმულებისგან განსხვავებით, ლოდისა თუ კლდის შუაზე გაპობა იახსრის მითოლოგიურ ლექსში მთლიანად მისტიფიცირებულია და ეს ეპიზოდი დევთან ბრძოლის კულმინაციას წარმოადგენს. საყმოს მფარველ წმინდანს ძალა ღმერთისგან აქვს მინიჭებული. ხალხური საფერხისო სიმღერა ღვთისშვილის პირით მოგვითხრობს კლდის ორად გაპობის ამბავს:

„ერთ ისეთ გაქცეულიყო, რომენიც ფალავანია,
როშკისგორ შამავეწიე, კლდეს მააფარა ტანია,
საგმირო შამავიმაღლე, ღმერთო, შენგან მაქვ ძალია!
კლდე ორად გავატეხიე, დევს გამოვთხარე თვალია“.

(ოჩიაური 1991: 46).

უფრო მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ქართულ ანდრეზებთან ინგუშური თქმულება, რომელიც კლდისა თუ მთის შუაზე გაპობის შესახებ მოგვითხრობს. ამ ეპიზოდს ინგუშურ გადმოცემაში ნამდვილად საკრალური დატვირთვა რომ უნდა ჰქონოდა, შუაზე გაპობილი მთის სახელწოდებაც მიუთითებს. ღილღურ ტექსტში მოქმედება წაჲ-ლამის მთაზე ხდება. წაჲ-ლამ ქართულ ენაზე სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც წმინდა მთა, მთაწმინდა. თქმულების მიხედვით, ქალიშვილის მოტაცებით აღშფოთებული სოსქათ სოლსა საშინელმა რისხვამ და შურისძიების გრძნობამ შეიპყრო. სიბრაზისგან გააფთრებულმა მხედარმა თავისი უზარმაზარი ფოლადის მახვილით წაჲ-ლამის კლდოვანი მწვერვალი შუაზე გააპო. „იმ დროიდან წაჲ-ლამის მთა ფრიალო და წვეტიან ჭიუხად გადაიქცა. ეს სოსქათ

სოლსას ნართული ხმლის ნაკვალევია. კარგ ამინდში იქ ამომავალი და ჩამავალი მზის სხივები სისხლისფრად ანათებს“ (Дахкильгов 2012: 109-112).

კლდისა და ლოდის შუაზე გაპობის მოტივი გავრცელებულია კავკასიის ხალხთა ეპიკურ ტექსტებში. იგი დასტურდება აბრსკილის აფხაზურ თქმულებაში (აფხაზური ფოლკლორი 2003: 42), დავით სასუნელის ეპოსში (სომხური ეპოსი 1939). ზოგან ეს ეპიზოდი საკრალური ელემენტებით არის გაძლიერებული, ზოგან კი, უბრალოდ, პერსონაჟის ფიზიკურ სიძლიერეს წარმოაჩენს. ამგვარი სასწაულების მოხდენა თითქმის მუდამ ხალხის წინამძღოლს მიეწერება და მისი არქეტიპი - ზღვისა თუ კლდის კვერთხით გაპობა - მრავლად გვხვდება ძველი ხალხების საკრალურ ისტორიებში. ბიბლიის მიხედვით, უფალი მიმართავს მოსეს: „კვერთხი აღმართე და ზღვას დააღირე, შუაზე გაიპობა იგი“ (გამოსვ. 14:16), „ხელში გეჭიროს კვერთხი... დაჰკარი კლდეს და გამოვა წყალი“ (გამოსვ. 17: 5-6).

ჩეჩნეთში, თუმსოი-ლამის მთაზე, ორად გაპობილი ქვის მახლობლად, არის კიდევ ერთი სხვა ლოდი, რომელზეც ცხენის ნალის მსგავსი ღრმული არის აღბეჭდილი. ჩეჩნური გადმოცემა ქვაზე ნალის ტვიფარის გაჩენას სოსქათ სოლსას ცხენს მიაწერს. ამბობენ, რომ იმ ქვას სოსქათ სოლსას ცხენმა ფლოქვი დაჰკრა, რომელიც ლოდზე სამუდამოდ აღიბეჭდა. ჩეჩნურ თქმულებაშიც დედამიწის ზედაპირზე გამოსახულ ამგვარ მითოლოგიურ ნიშნებს თავის დროზე საკრალური დატვირთვა უნდა ჰქონოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ზეპირმა ტექსტმა ჩვენამდე ხარვეზებით მოაღწია. ამას მაფიქრებინებს თუმსოჯ-ლამის ქვაზე სესქათ სოლსას ცხენის ფლოქვისგან დატოვებული ტვიფარი. მას რომ ჩეჩნები ოდესღაც სიწმინდედ მიიჩნევდნენ, ადასტურებს საფარველი, რომელიც მათ ტვიფარს დაადეს. გადმოცემის მიხედვით, ხალხმა ფლოქვის ანაბეჭდი მიწით დაფარა, რათა მას ადამიანის თვალი არ მოხვედროდა და ფეხი არ შეხებოდა (Далгат 1972: 329). კავკასიელი მთიელები ასე სათუთად და წმინდად ზებუნებრივ არსებათა ნაკვალევს ინახავენ. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ სოსქათ სოლსას კიდევ უფრო მაღალი საკრალური

სტატუსი უნდა ჰქონოდა ჩეჩნური თქმულებების თავდაპირველ ვერსიებში.

ჩეჩნების მეზობელი ერთ-ერთი თემის ხევსურები ყველაზე საიდუმლო ადგილზე ინახავენ ქურთემულს, რომელზეც, როგორც ამბობენ, წმინდა გიორგის ცხენის ნალი არის გამოსახული. ხევსურული ანდრეზების მიხედვით, ის ქურთემული გამოტანილი ყოფილა ქაჯავეთის სამჭედლოდან, რომელიც ზეცის ბინადრებმა წმინდა გიორგის მეთაურობით გატეხეს, ხოლო იქ, სამჭედლოს შუაგულში დადგმულ ქურთემულზე, მებრძოლმა ღვთისშვილმა თავისი ცხენის ნალი დაამჩნია (ანდრეზები 2009: 49). ანდრეზული ტრადიციის თანახმად, ქურთემულს, როგორც განსაკუთრებულ სიწმინდეს, ადამიანის თვალი რომ არ მოხვედროდა, ბინა ხახმატის ჯვრის ერთ-ერთ კვრივში მიუჩინეს.

ანდრეზული დევი ღილღურ თქმულებაში

ჩეჩნური გადმოცემების ერთი ნაწილი ტერიტორიების დაუფლების მიზნით ნართ-ერსთხოელებისა და ადგილობრივი გმირების ისეთივე დაპირისპირების შესახებ მოგვითხრობს, როგორიც ასახული არის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებში ღვთისშვილთა და დევ-კერპთა ბრძოლების შესახებ. ერთიც და მეორეც საგმირო მოტივებზეა აგებული. ღვთისშვილები და დევები, ნართ-ერსთხოელები და ადგილობრივი გმირები ერთმანეთს ქვებით ებრძვიან. მაგრამ მათ შორის არის არსებითი განსხვავებაც, რომელიც, ადრე არ უნდა ყოფილიყო: ფშავ-ხევსურულ გადმოცემებს, კერძოდ ღვთისშვილთა და დევ-კერპთა ბრძოლებს, ადგილობრივი მოსახლეობისთვის აქვს საკრალური ღირებულება, იგი მიჩნეულია ნამდვილ ამბად, როცა ჩეჩნურმა თქმულებებმა მხოლოდ საგმირო-სათავგადასავლო შინაარსი შეინარჩუნეს. ნართების ეპოსის ინგუშურ ვერსიებში უფრო პოპულარულია გადმოცემები ციკლოპის ტიპის გოლიათებზე, ვამპალებსა და ვამპალოჟებზე. ოსური ეპოსის მსგავსად, ინგუშური თქმულებებიც მდიდარია ე. წ. პოლიფემის მოტივზე

აგებული მძაფრი სუჟეტებით. ინგუშური ეპოსის გმირები ებრძვიან ვამპალებს[34] - ცალთვალა კაციჭამია გოლიათებს. დიდი უბედურებისა და ჭირსახდელის ფასად მხოლოდ ერთადერთი პერსონაჟი დააღწევს თავს განსაცდელს და სამშვიდობოს გამოვა ვამპალთა ქვეყნიდან. ამ ციკლის თქმულებებს საფუძვლად უდევთ შეგონება: მჯობნის მჯობი არ დაილევა.

თქმულებები პოლიფემის მსგავს ცალთვალა გოლიათებზე[35] ნართების ეპოსში ძველი ზღაპრული სიუჟეტების ხელახალი გადამუშავების შთაბეჭდილებას ტოვებს. სიუჟეტების ამგვარი ნასესხობა და ხელახალი გადამუშავება ზოგადად დამახასიათებელია ეპოსებისთვის. მკვლევართა აზრით, „ოდისეაც“ ცალკეული ეპიკური თქმულებებისგან შედგება, რომლებიც ჰომეროსმა ერთი მიზნით დააკავშირა ერთმანეთთან (Grimm 2018: 27).

დევი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიური გადმოცემების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტიური პერსონაჟი, ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში თითქმის არ გვხვდება, რადგან მათ ფოლკლორში საგმირო მოტივები და მითოლოგიური სიუჟეტები ნართი გმირების ირგვლივ დაკრისტალდა. თუმცა მთლად ასე არ არის. დევებისა და გმირების დაპირისპირების თემამ, როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხური ეპიკური ტრადიციიდან ღილღურ თქმულებებში მაინც შეაღწია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ინგუშური თქმულება „როგორ გაჭრა ბეთარმა მდინარე ასის კალაპოტი“. ხალხურ ტექსტში ადგილს, სადაც ძირითადი მოქმედება ხდება, ჰქვია „ღალღაი კოაშკე“. ასე იწოდება პატარა ველი მდინარე ასის ზემო წელზე. ი. დახკილგოვის ცნობით, „ღალღაი კოაშკე“ უნდა გავიგოთ, როგორც „ღილღური ეზო“ (Дахкильгов 2012: 185). ვფიქრობ, სახელწოდება ქართული ენის მონაცემებით პირდაპირი მნიშვნელობით უნდა აიხსნას. „ღალღაი კოაშკე“ არის იგივე - „ღილღური კოშ-

[34] ჩეჩნურ და ინგუშურ ენებში „ვამპალი“ გოლიათის აღმნიშვნელი სახელია.

[35] იხ. ინგუშური ტექსტი „თქმულება გოლიათ ვამპოლოჟებზე“. ბაშირ დალგათმა 1892 წელს ჩაიწერა მთიან ინგუშეთში სალოცავ მეთ-წელის ხევისბერ განჟა ქელიგოვისგან. პირველად დაიბეჭდა: ЭО, М., 1901. №1. ст. 43.

კები“. თქმულებაში მონაწილეობენ დევები, რომლებსაც ინგუშურ ტექსტში ქართული ენის აშკარა გავლენით ჰქვია „დოვი“. „დოვებს“ ღილღური კოშკების მახლობლად უცხოვრიათ და თურმე ღილღველებს გამუდმებით ავიწროვებდნენ. „დოვები“, როგორც წესი, მართალია, ტანად გოლიათები იყვნენ, მაგრამ მათ ჭკუა ნაკლები ჰქონიათ. ასეთივე თვისებებითა და უნარებით წარმოგვიდგენს დევებს ფშავ-ხევსურული მითოსი. ასის ხეობაში, ღილღოში, სოფელ დოშხაკლეს მახლობლად, მიუთითებენ ციკლოპურ წყობაზე, რომელიც უაღრესად დიდი ქვებისგან არის აგებული. მათ აშენებას ადგილობრივი მოსახლეობა დევებს მიაწერს, რომლებსაც იქ ნართების გამოჩენამდე უცხოვრიათ (Дахкильгов 2012: 467).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზების მსგავსად, დევი ინგუშურ თქმულებებშიც არის ადამიანის ანტაგონისტი არსება. როგორც ზ. კიკნაძე მიუთითებს, „დევები არიან წინარე მოსახლეობის რელიქტები, რომელთა ფიზიკური ძალა ანაქრონიზმია ახალ ვითარებაში“ (კიკნაძე 2008: 109). დევები მშვიდობიან ოჯახებს აწიოკებენ და, ისევე როგორც ფშაურ გადმოცემებში, ქალ-რძალზე ძალადობენ. დევებს ინგუშურ თქმულებაში თავისი ვაჟკაცობითა და სიმამაცით სახელგანთქმული ნართ-ორსთხოელი ბეთარი დაუპირისპირდა. მან არ აპატია „დოვებს“ ქალ-რძალზე ძალადობა, ღილღველ მჭედლებს კოშკისხელა გუთანი გამოაჭედვინა, დევები შიგ შეაბა და წეი-ლამის მთაზე გადაატარა. დევების გაკვალულ თხრილში ხი ნანამ მდინარე ასა გაუშვა, რომელიც მანამდე საქართველოში მიედინებოდა (Дахкильгов 2012: 185). თქმულება მოგვითხრობს როგორ წარმოიშვა მდინარე ასის კალაპოტი. ქართულ გადმოცემებში, რომლებიც მდინარეების ალაზნისა და ივრის წარმოშობის შესახებ მოგვითხრობენ, მონაწილეობს გველეშაპი. კალაპოტი თავისი სხეულით ქართულ გადმოცემაში გველეშაპს გაჰყავს (ხალხური სიბრძნე 1964: 246-247). ინგუშურ თქმულებაში მდინარის კალაპოტი დევებმა მჭედლების გაკეთებული გუთნით გაკვალეს. ხალხურ თქმულებაში გველეშაპის დევით ჩანაცვლება არცთუ იშვიათია. თვით „ვეფხისტყაოსანშიც“ შოთა რუსთველი გამოქვაბულში გადამალული განძის მცველად გველეშაპის ნაცვლად დევებს წარმოადგენს

(მამისიმედიშვილი 2017: 24). ხოლო ამირანიანის სვანურ ვერსიაში მთავარი გმირის შთანმთქმელი არის არა გველეშაპი, არამედ - დევი (ჩიქოვანი 1947: 359).

როგორც ქართულ, ისე ღილღურ ტრადიციაში დევები ადამიანების მიმართ მტრულად განწყობილი გოლიათები არიან, რომლებსაც გმირები და ღვთისშვილები ამარცხებენ. ინგუშური თქმულების მიხედვით, ბეთარმა დევები ზღვისაკენ გარეკა, რომლებიც მის ტალღებში ჩაიკარგნენ. ქართველ მთიელთა ანდრეზის მიხედვით, უკანასკნელი დევი ლაღმა იახსარმა ასევე წყალში, კერძოდ აბუდელაურის ტბაში მოკლა. ღილღური გადმოცემა „როგორ გაჭრა ბეთარმა მდინარე ასის კალაპოტი“ სიუჟეტურად სწორედ იმ ტიპის ქართულ ანდრეზებს ენათესავება, რომლებიც ტერიტორიების მოსაპოვებლად დევებისა და ღვთისშვილების დაპირისპირების შესახებ მოგვითხრობენ. ბეთარიც და ღვთისშვილებიც დევებს ამარცხებენ. დევების დამარცხებას, ანდრეზების მიხედვით, მოჰყვა საყმოებისა და კულტმსახურების დაარსება. იმის აღსანიშნავად, რომ დევების გაყვანილ კალაპოტში ხი-ნანამ (წყლის დედამ) მდინარე ასა გაუშვა, ბეთირმაც ერთგვარი კულტმსახურება დააწესა. ღილღური თქმულების თანახმად, „ყოველწლიურად, ადრეულ გაზაფხულზე, ბეთარი ხი ნანას ერთ ცხვარს მსხვერპლად სწირავდა. ის ცხვარს კლავდა და მდინარე ასას ატანდა. გავიდა ხანი. ბეთარი გარდაიცვალა და რადგან ხი ნანას მსხვერპლს აღარავინ სწირავდა, მდინარე ასა გაჯავრდა და მას შემდეგ ამღვრეული სულ მუდამ ღრიალით მიედინება. ამბობენ, რომ ასა მხოლოდ მაშინ მშვიდდება, როცა ის წელიწადში ერთხელ ერთ ადამიანს თავის მღვრიე ტალღებში დაახრჩობსო. (Дахкильгов 2012: 182-185). როგორც ინგუშური თქმულების ფინალიდან ირკვევა, დევების დამარცხებას ახალი კულტის დაარსება უნდა მოჰყოლოდა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა მსხვერპლშეწირვას მართავდა და კულტმსახურებას აღავლენდა. გადმოცემის თანახმად, ღილღველები ბუნების აღორძინების საგაზაფხულო დღესასწაულებს მართავდნენ, რომელიც მოგვიანებით დაიაკრგა. აქედან გამომდინარე, სახეზეა პარალელიზმი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიურ გადმოცემებთან. აღნიშნული

თქმულების გარდა, ამის საფუძველს გვაძლევს ღილღური გადმოცემების საკრალური სამყარო. მასში არაერთგზის ხსენდება წმინდა მთა „წეჲ-ლამ“ (სიტვასიტყვ. მთაწმინდა), ხევისბერი (წეჲსაგ), სამი წმინდა ხარი, რომლებსაც თავისი პარალელები დაეძებნებათ ქართულ მითოლოგიურ სიუჟეტებსა და ქრისტიანულ სიმბოლოებთან.

დევები, ნართები და ქვები

ერთი მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და, მეორე მხრივ, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ჩაწერილი მითოლოგიური გადმოცემებიდან ჩემი ყურადღება მიიპყრო უზარმაზარ ქვებთან დაკავშირებულმა სიუჟეტებმა. ამ ქვების უმეტესობა, რომლებზეც ანდრეზები მოგვითხრობენ, და, გარდა ამისა, რეალურად გვხვდება თანამედროვე ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე, წარმოადგენს უფორმო, ბუნებრივ საგნებს. მათზე, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ფარულ ნიშანს, თითმის არ გვხვდება არანაირი წარწერა. მართალია, მათ ჩვეულებრივი ქვებისგანაც ხშირად ვერაფრით გავარჩევთ, მაგრამ მაინც არ შეიძლება ისინი უმნიშვნელო საგნებად მივიჩნიოთ, რადგან ის ქვები, რომლებსაც, ერთი მხრივ, ფშავ-ხევსურული ანდრეზები და, მეორე მხრივ, ჩეჩნურ-ინგუშური მითოლოგიური ტექსტები ახსენებენ, კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილებში, მიწის ზედაპირზე რეალურად არსებობენ. იმ ქვებს ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი საკრალური ისტორიის ნაწილად მიიჩნევს. მათზე გამოსახულია მითოსურ არსებათა ბრძოლის ნაკვალევი, დევისა თუ ნართ-ერსთხოელის ნათითურები, ნასაბლარი, ღვთისშვილის მიერ მოქნეული ლახტის ანაბეჭდი. თქმულებებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დემონური პერსონაჟების მიერ სწორედ ამ ქვებისთვის ბრძოლას, მათ წართმევას, გატაცებას, მოპარვას, შუაზე გაპობას, აგრეთვე, მითოსურ არსებათა ასპარეზობას დიდ მანძილზე ქვების სროლაში. როგორც მ. ელიადე აღნიშნავს, ტრადიციული საზოგადოების თვალთახედვით, „ნებისმიერი, ყველაზე ჩვეულებრივი ქვაც კი შეიძლება „ძვირფას ქვად“ იქცეს. სიმბოლური ფორმის ან წარმოშობის მიხედვით შეიძლება იგი მაგიური ან რელიგიური ძა-

ლით გაიჟღინთოს... თუ ის ოდესღაც რაიმე თეოფანიის ნაწილი გახდა, ან კიდევ რაიმე მსხვერპლშეწირვის ან რომელიმე წმინდა ფიცის რიტუალის დროს გამოიყენეს“ (ელიადე 2017: 22). ამის მაგალითად მკვლევარს „ბეთელის ქვა“ მოჰყავს, რომელიც იაკობმა სასთუმლად გამოიყენა: „აღდგა იაკობ განთიად და აღიღო ლოდი იგი, რომელ ედვა სასთუნალად. და აღმართა იგი ძეგლად და დაასხა ზეთი თავსა ზედა მას ლოდისასა. ...თქვა: ლოდი ესე, რომელ აღვდგი ძეგლად. იყოს სახლად ღმრთისა ჩემისა“ (დაბ. 28:18-22). მ. ელიადეს სიტყვებით, „მრავალ ქვათაგან მხოლოდ ერთი ხდება საკრალური“. ზებუნებრივ არსებათა ჩარევის შედეგად ის სიმბოლურ დანიშნულებას შეიძენს, ჰიეროფანიად წარმოჩინდება და რაიმე მითოსური საგმირო საქმის მოსაგონრად იქცევა (ელიადე 2017: 21).

იმ ფშავ-ხევსურულ გადმოცემებში, რომლებიც ე.წ. „მითოლოგიურ ქვებზე“ მოგვითხრობენ, ერთმანეთს უპირისპირდებიან ღვთისშვილები და დევები, ხოლო ჩეჩნურ-ინგუშურ თქმულებებში ადგილობრივი გმირები და ნართ-ერსთხოელები. ერთი სიტყვით, ეს ქვები, რომლებიც ანდრეზებში გადმოცემულ ამბებს „ანამდვილებენ“, შეიძლება საკრალური ისტორიის „არტეფაქტებად“ მივიჩნიოთ.

დევები და გოლიათები მრავალი ფოლკლორული ჟანრის ნაწარმოების პერსონაჟები არიან. ისინი მონაწილეობენ საზღაპრო, მითოლოგიურ და საგმირო ეპოსებში. თუმცა დევები იმ ფუნქციით, რა სახითაც ისინი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიურ გადმოცემებში გვხვდებიან, პარალელები მხოლოდ ნართ-ერსთხოელთა თქმულებებთან დაეძებნებათ, კონკრეტულად კი იმ ჩეჩნურ ხალხურ ტექსტებთან, რომლებშიც ნართ-ერსთხოელები წარმოდგენილი არიან როგორც მოძალადენი, რომლებიც ფლობენ სხვადასხვა სახის საიდუმლოს, სიმდიდრეს, აგრეთვე მიწა-წყალს, ციხე-სიმაგრეებს და მას თმობენ სისხლისმღვრელი ბრძოლებისა თუ სპორტული ასპარეზობების შემდეგ.

ამ ტიპის როგორც ქართულ, ისე ჩეჩნურ თქმულებებს აქვთ მითოლოგიური შინაარსი და, ამდენად, ერთსაც და მეორესაც ადგილობრივ საზოგადოებაში ჰქონდა სინამდვილის პრეტენზია. ორივე მათგანში აისახა იმ კონკრეტული გეოგრაფიული ადგილების სა-

ხელები, სადაც გაიმართა შეჯიბრი, ბრძოლა თუ შერკინება, ერთი მხრივ, ღვთისშვილებსა და დევ-კერპებს და, მეორე მხრივ, ნართ-ერსთხოელებსა და ადგილობრივ გმირებს შორის. თქმულებები ინახავენ ცნობებს იმ ადგილთა შესახებ, სადაც ცხოვრობდნენ დევები და ნართ-ერსთხოელები.

ფშავ-ხევსურული და გუდამაყრული გადმოცემების მიხედვით, დევებს უცხოვრიათ ხოშარაში, გამხვეურთკარში, თხილიანაში, კართანაში, მიგრიაულთას, ციხეთგორს, როშკისგორზე, ბაკურხევში, საკერპოში, უკანახოსა და ბიჩინდარალაში, აგრეთვე ივრის ხეობაში - იხინჭაში, ქუშხევსა და ხაშარში.

ჩეჩნური თქმულებების მიხედვით, ნართ-ერსთხოელებს სამოსახლოები ჰქონიათ ე. წ. დიდ ჩეჩნეთში, მდინარე თერგის გადმოღმა, კერძოდ, იალხოი-მოხქში, ნაშხოიში, ნოჟაი-იურთში, ენგელ-აულში, არღუნისა და ასის ხეობებში.

ფშავ-ხევსურული გადმოცემების პერსონაჟ დევებს თავიანთი ორეულები მოეპოვებათ ჩეჩნური თქმულებების ნართ-ერსთხოელებთან. დევებსაც და ნართ-ერსთხოელებსაც ჰყოლიათ თავიანთი მეფეები, რომელთა პატრონობა შემოიფარგლება ერთი კონკრეტული ადგილით. ფშაური გადმოცემების მიხედვით, მუზა ყოფილა დევების მეფე, რომელიც ციხეთგორზე ცხოვრობდა. ივრის ხეობაშიც ჰყოლიათ დევებს თავიანთი მეფე. ჩეჩნური თქმულებები მოგვითხრობენ ნართ-ერსთხოელთა მეფე (*паччахь*) ნაურაზზე. ფშაურ გადმოცემებში დევები და ჩეჩნურ თქმულებებში ნართ-ერსთხოელები ხსენდებიან საკუთარი სახელებით. დევებს ჰქვიათ *ავთანდილი, მუზა, ბეღელა, მუსა, ვერხველა*, ნართ-ერსთხოელებს - *ნაურაზი, ღალა, ღერა*. დევები და ნართები, მართალია, ადამიანებივით ცხოვრობენ, მაგრამ თქმულებებში ისინი განსხვავებული საწყისისა და ფორმაციის პერონაჟებად გვევლინებიან. დევები, ნართებისგან განსხვავებით, უფრო მეტ დემონურ ნიშან-თვისებებს ატარებენ. თუმცა მათ, ორივეს, აქვთ საერთოც: ამ ტიპის თქმულებებში დევები და ნართები ფლობენ ადამიანებზე მეტ ფიზიკურ ძალას და ისინი მტრულად არიან განწყობილი ადგილობრივ მცხოვრებლებთან.

ასპარეზობა ქვების სროლაში

ზ. ჯაპუა აფხაზურ ეპოსში ქვასთან დაკავშირებულ რამდენიმე ფუნქციურ-თემატურ ერთეულზე ამახვილებს ყურადღებას (Джапуа 2017: 47), რომელთაგან, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ქვიდან გმირის დაბადება, ქვით (ლოდით) გმირის დაღუპვა და ქვებით მოწინააღმდეგესთან ბრძოლა.

ისტორიულ საქართველოში სხვადასხვა სპორტულ ასპარეზობებს შორის ასახელებენ შეჯიბრს ქვების სროლაში. დ. ბებუთოვის ცნობით, XIX საუკუნის შუა წლებამდე ძველი თბილისის უბნებს შორის იმართებოდა ე. წ. სალდასტის კრივი, რომელშიც მონაწილეობა თვითონაც მიუღია (Бебутов 1867). იგი წარმოადგენდა ერთგვარ შეჯიბრს შურდულით ქვების სროლაში. ბრძოლა, როგორც ჩანს, ზოგჯერ მონაწილის დასახიჩრებითა და დაღუპვითაც მთავრდებოდა. ეს სასტიკი და დაუნდობელი ასპარეზობა მეფისნაცვალ ბარიატინსკის აუკრძალავს (გრიშაშვილი 1927: 36) .

ქართულ ხალხურ ყოფაში დამკვიდრებულ სხვა სპორტულ შეჯიბრებათა შორის (ფარიკაობა, მხედრობა) თ. ოჩიაური ასახელებს ასპარეზობას ქვის შორ მანძილზე სროლაში. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, „დევებისა და კოპალას ქვის სროლაში შეჯიბრი და ღვთის კარზე ღვთისშვილთა მიერ სიმძიმის აწევის მომენტი, ეთნოგრაფიული სინამდვილიდან აღებული ფაქტია“ (ოჩიაური 1967: 42).

ისევე, როგორც ნებისმიერი სახის სპორტული ასპარეზობა, ქვების შორ მაძილზე სროლაც ფიზიკური ძალ-ღონის დემონსტრირებას ისახავს მიზნად. ფშავ-ხევსურულ და ჩეჩნურ-ინგუშურ თქმულებებში ქვების სროლა და სიმძიმის აწევა გართობის ხასიათს არ ატარებს. დაპირისპირება ორ ძალას შორის მიმდინარეობს ტერიტორიების მოპოვების მიზნით. გამარჯვებული იკავებს დამარცხებულის მიწა-წყალს. ბრძოლის დაწყებამდე, ფშაური გადმოცემების მიხედვით, დევები და ღვთისშვილები ერთმანეთს ძალის გამოცდაში ეჯიბრებიან. გამხვეურთკარში ცხრა დევი ვერ ეწეოდა კარისთავზე დასადებ უზარმაზარ ქვას. იახსარმა კი „გადიკვართა კალთები, მოავლო ხელი ქვას და მარტომ შეაგდო კარისთავზე“. ანდრეზის მიხედვით, „შეშინდნენ დევები და გაიქცნენ. იახსარმა კარისთავიც იმ-

ათ ესროლა და გამხვეურთკარს დევებს სახლიც დაუნგრია“ (ოჩიაური 1991: 42).

სხვა თქმულების მიხედვით, კოპალა და დევები ერთმანეთს ირემთკალოდან ციხეთგორისკენ ქვების სროლაში გაეჯიბრნენ. გამარჯვება კოპალას დარჩა. მართალია, დევებმა გაქცევა დააპირეს, მაგრამ კოპალა ლახტით დაერია დევებს და გაჟლიტა. ციხეთგორზე მათ ნაბინავარს კი თვითონ კოპალა დაეპატრონა (ოჩიაური 1991: 43). გადმოცემის მიხედვით, შეიძლება ეს შეჯიბრი კოპალას მარცხითაც დასრულებულიყო, რომ კვირიას კოპალას გასროლილი ქვისთვის მათრახი არ შემოეკრა და შორს გადაგდებაში არ დახმარებოდა. იმ ქვას, რომელმაც კოპალას გამარჯვება მოუტანა, ქაჯები დახვევიან, მისი უკან გადმოწევა სდომებიათ, მაგრამ ვერაფერს გამხდარან, თუმცა, როგორც ამბობენ, ქვას ბრძოლის ნაკვალევი ახლაც ამჩნევია. კოპალასა და დევების ნასროლი ქვები, როგორც დემონურ არსებებზე ღვთისშვილთა ძლევამოსილი გამარჯვების უტყუარი დადსტურება, დღემდე იქ, ბაშოს გორთან, მაღალი გალავნით არის შემოღობილი.

ზ. კიკნაძის აზრით, „იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთელი ეს ბრძოლა, რომელიც დევ-კერპებთან არის გამართული ადამიანთა დასახსნელად, საღვთო ომია, რომელიც ახალი რჯულის, მხსნელი რელიგიის დამყარებით უნდა დაგვირგვინდეს“ (კიკნაძე 2016 ა: 19). ღვთისშვილთა და დევ-კერპთა ბრძოლას მითოლოგიური სცენარი უდევს საფუძვლად, რომლის თანახმად კერპები ნადგურდებიან და იმსხვრევიან, ხოლო მათ ადგილზე ჯვარი აღიმართება.

ზოგიერთი ადგილი, სადაც, ანდრეზების მიხედვით, კოპალასა და დევებს შორის სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა, მოფენილია სხვადასხვა სიდიდის ქვებით. ხალხი მათ დევების საფლავის ქვებად მიიჩნევს. ალ. ოჩიაურის ცნობით, „კართანას დევების საფლავები ისევაც არის. მიგრიაულთის გზა რომ ჩამოვა, გზის პირზე, ისეთი ქვები ჩანს მათ საფლავებზე, რომ ცხრა-ათი კაცი ვერ დაძრავს“ (ოჩიაური 1991: 98).

ფშავში გავრცელებულ ანდრეზებში რამდენჯერმე იკვეთება უკანასკნელი დევის მოტივი, რომელსაც საბოლოოდ მაინც ამარცხებს

გამარჯვებული ღვთისშვილი, ან ჩეჩნური თქმულებების დამარცხებული უკანასკნელი ნართ-ერსთხოელივით, ის უგზო-უკვლოდ გადაიხვეწება. თუმცა მათი არსებობის არგუმენტად თქმულებები მოგვითხრობენ დევებისა და ნართების მიერ მიწის ზედაპირზე დატოვებულ ქვებზე. ფშაური ანდრეზის თანახმად, როცა წმინდა გიორგიმ ხოშარაში დევები დახოცა, „ერთი დევი გაექცა, ავიდა სოფლის პირდაპირ მთაზე, რომელსაც ართაჯურის გორი ჰქვია, და იქიდან ესროლა წმინდა გიორგის ქვა. ვერ მოარტყა კი, მაგრამ იქვე ახლოს მიწაში დაეფლო“ (ოჩიაური 1991: 98).

განსაკუთრებული ზომის ქვების შორს მანძილზე სროლით დემონური პერსონაჟი ცდილობს, ერთი მხრივ, მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენებას, მეორე მხრივ, საკუთარი ძალ-ღონის დემონსტრირებას. ასე მოქმედებენ დევები ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში და ნართები ჩეჩნურ-ინგუშურ თქმულებებში.

შორ მანძილზე ლოდების სროლასთან დაკავშირებული გადმოცემები მთელ კავკასიაში ყოფილა გავრცელებული. ამ ტიპის მეგრულ თქმულებაში ტრადიციული პერსონაჟები - არამხუტუ და ოჩოკოჩი - მონაწილეობენ. არამხუტუმ ლაკადაში[36] ქალწულების მოსატაცებლად გადმოსულ ოჩოკოჩს ყვირაშგვალის მთიდან ლოდი ესროლა. არამხუტუს ნასროლი ლოდი ოჩოკოჩს მოხვედრია და სიკვდილის პირას მიუყვანია, მაგრამ მას ძალ-ღონე მაინც მოუკრებია და უზარმაზარი ლოდი არამხუტუსთვის უსვრია. ლოდს მისთვის მკლავი მოუგლეჯია. მოგლეჯილი ხელი არამხუტუს ტობავარჩხილში დაუბანია და ამის შემდეგ ტობავარჩხილი წმინდა ტბად გადაქცეულა, რადგან მას არამხუტუს ღვთაებრივი სისხლი შერევია. ის ლოდი, რომელიც ოჩოკოჩმა არამხუტუს ესროლა, ახლაც გდია ყვირაშგვალის მთასთან და მას ქუაოცანცალაიას ეძახიან, რადგან ის ხელის შეხებისას ქანაობს, თუმცა არ გორდება (თსუფა №31 427).[37] სვანური გადმოცემა დევისგან ნასროლი ორი ქვის შესახებ მოგ-

[36] ლაკადა: მთიანი სამეგრელო

[37] ეს თქმულება 2019 წლის 27 მაისს ჩავიწერე თსუ ისტორიის მიმართულების III კურსის სტუდენტ ნიკოლოზ ქარდავასგან (22 წლის), მცხოვრები წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში. ეს გადმოცემა მას მოუსმენია სოფლებში: ობუჯში, ქიაჩსა და ჯგალში.

ვითხრობს, რომლის მიხედვით, ერთი მათგანი მთად გადაქცეულა, ხოლო მეორე მათგანი მდინარეში ჩავარდნილა და ხალხს, ბოროტ ძალაზე გამარჯვების ნიშნად, მასზე კოშკი აუგია.

ჰომეროსის პოემაში მრავალნაცადი ოდისევსისგან თვალდაშრეტილმა ციკლოპმა პოლიფემემ ჯერ უზარმაზარ კლდეს წაატეხა თავი და ზღვისკენ გატყორცნა, სადაც ბერძნების ხომალდი ეგულებოდა, ხოლო შემდეგ ელინელ გმირებს შურისძიების მიზნით უზარმაზარი ლოდი ესროლა (ჰომეროსი 1975: 155). ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში გოლიათები ორთაბრძოლის დროს უზარმაზარ კლდეებს ამსხვრევენ და ერთმანეთს ესვრიან.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში განსხვავებული ფორმის უზარმაზარი ქვების შესახებ შესაბამისი შინაარსის ანდრეზები მოგვითხრობენ. ისინი, პირველ რიგში, გოლიათური აღნაგობის დევკერპთა არსებობას ანამდვილებენ. გუდამაყარში, სოფელ მაქართაში, მიუთითებენ ჯამის ფორმის უზარმაზარ ქვებზე, რომლებზეც, გადმოცემის თანახმად, დევები საჭმელს შეექცეოდნენ. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ ქვებს დევის პინებს უწოდებენ (ანდრეზები 2009: 304). როგორც წესი, გეოგრაფიული გარემო, დედამიწის რელიეფი, მიწის ზედაპირზე დარჩენილი განსაკუთრებული ზომისა და უცნაური ფორმის ნივთები მითოლოგიური შინაარსის ტექსტებში მოწოდებულია საკრალური წარსულის, როგორც ეჭვშეუტანელი სინამდვილის გასამყარებლად.

ბრძოლა წმინდა ქვების დაუფლების მიზნით

ანდრეზების ერთი ჯგუფის მიხედვით, საყმოს მფარველ ძალებსა და დემონურ არსებებს შორის ბრძოლა წმინდა ქვის, როგორც საკრალური ნივთის, ხელში ჩაგდების მიზნით იმართება. დევს უნდა, რომ დაეპატრონოს ეკლესიის ტრაპეზის ქვას, ან, თუნდაც, სალოცავიდან დაგორებულ ლოდს. მთიულური თქმულება, რომელიც ქ. ბურჯანაძეს 1946 წელს მეჯილაურში ჩაუწერია, მოგვითხრობს: „მთავარანგელოზიდან დაგორებულა ქვაჲ და დევს მოუტაცნია. მთავარანგელოზი გამოსდექია და ეს ქვა უნდოდა წაერთმია. ეს ქვა შირიმის ქვა ყოფილა. მემრე ეს ქვა წაურთმევია მთავარანგელოზსა. გზაზე

რომ მოდიოდა და ამ ქვას სადაც დაჲდებდა დასასვენებლად, იქა ეკლესია შენდებოდა“ (თსუფა 1946: №4986).

როგორც ირკვევა, ქვის სროლის თუ ქვის აწევის მოტივის გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებში ხშირად გვხვდება წმინდა ქვის მოტაცების, როგორც სიწმინდის დაუფლების მოტივი. ანდრეზის მიხედვით, ციხეთგორის სამლოცველოდან ერთ დევს ტრაპეზის ქვა მოუპარავს, (ოჩიაური 1991: 43) სხვა ვერსიით კი, დევს, სახელად *მუსას*, ციხეთგორიდან კოპალას ქვის სკამი, ე. ი. „საბრძანებელი“ წაუღია. როგორც ჩანს, დევს უნდა, რომ მოიპაროს ტრაპეზის ქვა ან ქვის სკამი და ამით მოშალოს საზოგადოების საკულტო ცხოვრება, დაამხოს ღვთისშვილის მბრძანებლობა და საყმო კვლავ დევების მორჩილებას დაუბრუნოს. მაგრამ ასე არ ხდება. დევს კოპალა წამოსწევია, უსვრია ლახტი და მოუკლავს. ალ. ოჩიაურის ცნობით, „ქვას დევის ნახელარი და ნასაბლარი ახლაც ატყვია“ (ოჩიაური 1991: 97). ერთი დევი კი, სახელად *ავთანდილი*, რომელიც კოპალას ლახტით მოუკლავს, გამოქანებულა და არაგვში ჩავარდნილა. ის ქვად ქცეულა და, როგორც ამბობენ, ახლაც არაგვში გდია. ადგილობრივი ფშავლები იმ ადგილს ახლაც *ავთანდილის საქანს* უწოდებენ. სხვა ვერსიით კი, კოპალა დასდევნებია იმ დევს, რომელსაც არაგვის დასაგუბებლად ქვა მიჰქონდა. ღვთისშვილს ლახტი უსვრია და დევი მოუკლავს. იმ ქვას დღესაც კოპალას ქვას უწოდებენ და ფშავლები იქ საკულტო დღესასწაულებს მართავენ. აღსანიშნავია, რომ ყველგან, მთელ „ნადევარ ტერიტორიაზე“ (ზ. კიკნაძის ტერმინით): ავისგორზე, ციხეთგორს, ირემთკალოზე და სხვაგან, სადაც დევებსა და ღვთისშვილებს შორის ბრძოლა გაიმართა - სალოცავი დაარსდა.

მითოლოგიური ქვების საკრალური საზრისი

ჩეჩნური თქმულებების მიხედვით, ნართ-ერსთხოელები არ არიან ჩეჩნების წინაპრები, თუმცა მათ, ისევე როგორც ფშაურ გადმოცემებში დევებსა და ადამიანებს, ერთმანეთის მეზობლად უცხოვრიათ. ჩეჩნები ნართ-ერსთხოელებს ებრძვიან მიწა-წყლის გამოსახსნელად, ტერიტორიების დაუფლების მიზნით. როგორც აღვნიშნე,

ქართული ანდრეზების თანახმად, დევებსა და ღვთისშვილებს შორის ბრძოლაც ამავე მოტივით იმართება.

ჩეჩნური გადმოცემის მიხედვით, ნართ-ერსთხოელ *ღალას* საკმაოდ მოზრდილი ქვა მთაზე, სამი კილომეტრის სიმაღლეზე აუტანია, შემდეგ შორი მანძილიდან უსვრია და მიწაში ჩაუგდია (Далгат 1972: 340). თქმულებიდან არ ჩანს, რა მოტივით აიტანა ღალამ მთაზე უზარმაზარი ლოდი. შეიძლება იგი ტერიტორიების დაუფლების მიზნით ადგილობრივი მოსახლეობისა და ნართ-ერსთხოელების შეჯიბრს ასახავდეს ძალის გამოცდაში. იმ ადგილს კი, სადაც, გადმოცემის მიხედვით, ნართ-ერსთხოელ ღალას უცხოვრია და უზარმაზარი ლოდი მიწაში ჩაუდგამს, *„ღალას ქვას“* უწოდებენ.

ადგილობრივი მცხოვრებლები ასეთ ლოდებს ზოგჯერ საფლავის ქვებად მიიჩნევენ და მასთან დაკავშირებულ გადმოცემებს ყვებიან. ჩეჩნური თქმულების მიხედვით, იალხოიმოხქელ შვიდ ძმას ერთი მზეთუნახავი და ჰყოლია, რომელიც ავი თვალის შეხედვისგან გარდაცვლილა. ძმებს მის საფლავზე უზარმაზარი ქვის სვეტი აღუმართავთ, რომელიც იმდენად მძიმე ყოფილა, რომ ადგილიდან ცხრა უღელი ხარ-კამეჩიც ვერ დაძრავდა. უმცროს ძმას კი ის ქვის სვეტი მხარზე გაუდვია, მდინარე გუმსიდან საფლავზე აუტანია და ერთი დარტყმით მიწაში ჩაუგდია. როგორც ამბობენ, საფლავზე ახლაც დგას ქვის სვეტი, რომელზეც მკაფიოდ ეტყობა უმცროსი ძმის ნათითურები (Далгат 1972: 332).

მდ. ასის ნაპირზე, აიგის ველზე გდია უზარმაზარი ლოდი, რომელიც, თქმულების მიხედვით, განრისხებულ *ნართ ვადალს* უსვრია. კოპალას ქვის მსგავსად, ამ ქვასაც ეტყობა ბრძოლის კვალი, ამ შემთხვევაში ნართი გოლიათის ნათითურები. მთხრობელები მიუთითებენ აგრეთვე *ქუსქუზის ქვაზე,* რომელიც ერთ-ერთი ნართის სახელს ატარებს. სოფელ გალაითისა და ზამანიურთის მახლობლად ყრია დიდი ქვები, რომლებიც, როგორც ამბობენ, ნართ-ერსთხოელებს მოუტანიათ (Далгат 1972: 288). თუმცა, გადმოცემა არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ იმ ადგილის მითიურმა მცხოვრებლებმა რა მიზნით მიიტანეს იქ ლოდები. გალაითისა და ზამანიურთის

მახლობლად მიმოფანტული ქვები ნართ-ერსთხოელთა განსაკუთრებულ ფიზიკურ ძალ-ღონეს ადასტურებენ.

ჩეჩნეთში სოფელ ზანდაკს ერთი მომცრო ქედი გადმოჰყურებს, რომელსაც ჩეჩნები ოვ-მუოხქს უწოდებენ. იქვე მოედინება მდინარე არხსი. ამარის მთის ძირას ორი განსაკუთრებული სიდიდის ქვა გდია, რომლებიც ადგილობრივ მცხოვრებლებს ნართ-ერსთხოელთა წისქვილის ქვებად მიაჩნიათ. ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ ის უნდა ყოფილიყო ხელსაფქვავი. თუმცა ეს ქვები, იმდენად დიდია, რომ შესაძლებელია ცხენზე ამხედრებულმა კაცმა გარშემო შემოუაროს (Далгат 1972: 288).

ჯეირახისა და დარიალის ხეობების სიახლოვეს, მდინარე თერგის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე ყრია უზარმაზარი ქვები, რომლებიც, გადმოცემის მიხედვით, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ქოლოი კანთსა და ორხუსთოელებს უსვრიათ საკუთარი ძალ-ღონის გამოსაცდელად. ეს სიუჟეტი ქვების სროლაში კოპალასა და დევების მშვიდობიან ასპარეზობას გვახსენებს. ღილღოს ერთ-ერთი მთის მწვერვალზე ერთმანეთზე დევს სამი უზარმაზარი ქვა, რომლებიც, ასევე ღილღური თქმულების მიხედვით, საკუთარი ძალის შესამოწმებლად დაქორწინების შემდეგ ქოლოი კანთს აუტანია. ანდრეზის თანახმად, ის ქვები მას შემდეგ ხელუხლებლად აწყვია მაღალი მთის მწვერვალზე და ვერც ვეღარავის გაუბედავს ქოლოი კანთზე თავდასხმა (Далгат 1972: 313-314).

ჩეჩნური და ღილღური თქმულებები ნართ-ერსთხოელებს (ორხუსთოელებს) ერთგვაროვნად არ გვიხატავენ. ხალხური ტექსტების ერთი ნაწილი მათ მოძალადე და ბოროტ პერსონაჟებად წარმოგვიდგენს, თუმცა სესქათ სოლსა, ფათარაზი და ბოთოყოთ შირთგა ხალხური ეპიკური თქმულებების დადებითი გმირები არიან. უფრო მეტიც, ღილღველები სესქათ სოლსას წმინდანად მიიჩნევდნენ.

ჩეჩნეთსა და ღილღოში იმ ქვებთან, რომლებზეც ვაინახური თქმულებები მოგვითხრობენ და ზოგიერთ მათგანზე ჯვრებია გამოსახული, იქ, უწინ, ისლამის დამკვიდრებამდე (და მერეც), ისეთივე მრავალფეროვანი და მითოლოგიური ელემენტებით მდიდარი

რიტუალები იმართებოდა, როგორიც მფარველი ღვთისშვილის გამარჯვების აღსანიშნავად დღემდე ტარდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სახელდობრ, ირემთ კალოზე, ციხეთგორს, ბაშოს გორზე, იხინჭას, კოპალას ქვასთან და სხვა ადგილებში. როგორც ვიცით, მთიან ჩეჩნეთში ქრისტიანული წეს-ჩვეულებები და მასთან დაკავშირებული ფოლკლორული ტექსტები თანდათან დავიწყებას მიეცა. რაც შემორჩა, იმ გადმოცემებშიც საკრალური სიუჟეტები სეკულარული შინაარსით შეივსო. მთიან ჩეჩნეთში, მდინარე არღუნის ნაპირზე უხსოვარი დროიდან აღმართულ ქვა-ჯვარს ხალხმა სამიჯნურო შინაარსის თქმულება დაუკავშირა. თითქოს იმ ადგილას ერთ მშვენიერ გოგონას ადიდებულმა არღუნმა სატრფო მოსტაცა. სატრფოს დაკარგვით სულშეძრულ გოგონას უფლისთვის უთხოვია: - გამაქვავეო! ის მაშინვე გაქვავებულა. რადგან გოგონა ხელებგაშლილი მდგარა, მას ჯვრის ფორმა მიუღია (Мифы и легенды 2004).

განსაკუთრებით დიდი ზომის საკულტო დანიშნულების ქვები გვხვდება ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში, სადაც ოდესღაც მამაცი უბიხები ცხოვრობდნენ. მდინარე კუდეპსთას ხეობაში ამ ქვებთან უბიხები, სავარაუდოდ, საკულტო რიტუალებს მართავდნენ. ერთ-ერთ ასეთ ქვაზე გამოკვეთილია ორი სავარძელი, რომლებზეც ალბათ კულტის მსახურები სხდებოდნენ (Воронов 1979: 47). მკვლევარები მას საკულტო ქვად მიიჩნევენ. მართალია, უბიხებში კუდეპსთას ქვის შესახებ გადმოცემა არ შემორჩა, მაგრამ, მკვლევართა აზრით, ამ ქვის საკულტო-რიტუალური დანიშნულება ეჭვს არ იწვევს და უბიხები იქ, როგორც ჩანს, თავიანთ მფარველ წმინდანებს მსხვერპლს სწირავდნენ.

ამრიგად, თქმულებები დევებისა და ნართების მითიური თავგადასავლების ნივთიერ გამოხატულებად წარმოგვიდგენს განსაკუთრებული ზომის ქვებს, რომლებიც, ერთი მხრივ, დევებისა და ღვთისშვილების და, მეორე მხრივ, ვაინახურ თქმულებებში ადგილობრივი მცხოვრებლებისა და ნართების დაპირისპირებას გვიდასტურებენ. ეს ანდრეზები ისტორიული მოვლენების გამითიურების შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო და ისინი ერთი კულტურისა და ფორმა-

ციის მეორე კულტურასა და ფორმაციაზე გამარჯვებას უნდა გადმოგვცემდეს.

ამ ტიპის როგორც ქართული, ისე ჩეჩნურ-ინგუშური ხალხური ტექსტები განეკუთვნება სოციოგონიურ მითებს. დევებთან და ნართ-ერსთხოელებთან დაპირისპირება მსგავს სიუჟეტებზეა აგებული. ყველა მათგანი მტრულ ძალებზე გამარჯვებითა და ახალი საზოგადოების დაარსებით მთავრდება.

რადგან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქვებთან დაკავშირებულ გადმოცემებს აქვთ საკრალური მნიშვნელობა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავის დროზე მათ ჩეჩნურ-ინგუშურ გადმოცემებშიც ასეთივე დატვირთვა უნდა ჰქონოდა. მაგრამ ვაინახურ თქმულებებში ეს სიუჟეტები და მოტივები დესაკრალიზებულია. იმ ქვებთან კი, რომლებიც ადგილობრივი გმირებისა და ნართ-ერსთხოელების ბრძოლა-დაპირისპირებას ასახავს, არანაირი რიტუალი არ იმართება. ტექსტების ჩაწერის დროს საკრალურ სფეროსთან ამ ქვების კავშირი, როგორც ჩანს, მთხრობელებს უკვე დავიწყებული ჰქონდათ.

გველეშაპი საიქმაქი, ეშაპი, ეშაპოსი

ინგუშური ნართული თქმულებების მიხედვით, საიქიოს კარს იცავს მითოლოგიური ურჩხული ეშაპი (← ვეშაპი). ეშაპს ნართების ეპოსის ინგუშური ვერსიები ქართული ენიდან შესული სახელწოდებით იცნობს, რომელიც აშკარად ძველ ვითარებას ასახავს, რადგან აგიოგრაფიული მწერლობის ძველ ქართულ ტექსტებსა და „ვეფხისტყაოსანში“ გველეშაპი სწორედ „ვეშაპის“ სახელწოდებით ხსენდება. „მზე ვეშაპსა დაებნელა“. - აცხადებს რუსთაველი. რაც შეეხება აფხაზური ზღაპრებისა და აფხაზური ნართული თქმულებების პერსონაჟ აგულშაპს (ზუხბა 1988: 248), ეს სახელი მას ქართული კომპოზიტის „გველეშაპის“ გავლენით დაერქვა. შეიძლება აფხაზური ფოლკლორი ამ პერსონაჟს უფრო ძველი სახელწოდებითაც იცნობდა, მაგრამ მოგვიანებით, როგორც ჩანს, ის „აგულშაპმა“ შეცვალა.

ქართულ გველ-ვეშაპს მკვლევარები ავესტის სპარსული კომპოზიტის აჟი-ვიშაპას თარგმანად მიიჩნევენ: აჟი - გველი; ვიშაპა, ვეშაპი - ურჩხულის (დრაკონის) სახელი (კიკნაძე 2016, ბ: 229).

ნართების ეპოსის ჩეჩნური და ინგუშური ვერსიები გველეშაპის რამდენიმე განსხვავებულ სახეს წარმოგვიდგენს. გველეშაპის ერთი ტიპი, რომელიც გვხვდება როგორც ჩეჩნურ, ისე ინგუშურ თქმულებებში, დაკავშირებულია წყალთან და ზოგჯერ მას თავისი სხეულით მდინარის კალაპოტიც გაჰყავს. თქმულების ზოგიერთ ვარიანტში ის ზღაპრული თვისებით გამოჩნდება. რაც შეეხება საიქიოს კარის მცველ ეშაპს, მას აშკარად გროტესკული იერი დაჰკრავს. ეშაპი საიქიოს კართან მისულ გმირებს უცინის, გამოჯავრებაც შეუძლია და საჩუქარზეც თანხმდება. ის ზის ელში (საიქიოში) შემავალ სპილენძის ჭიშკართან და ნებართვის გარეშე არც შიგნით და არც გარეთ არავის უშვებს. ეშაპი ერთპიროვნულად წყვეტს, თუ ვინ შეუშვას მიცვალებულთა სამეფოში და ვინ გამოუშვას იქიდან, საიდანაც გამოსვლა კიდევ უფრო ძნელია. ეშაპს თვითონაც არ შეუძლია მიცვალებულთა სამეფოში შესვლა. მას მხოლოდ საიქიოს კარის დარაჯობა ავალია. ეშაპს აქვს უზარმაზარი ტანი, ცხრა თვალი, ცხრა ფეხი

და ცხრა ხელი, გრძელ ბეწვზე კი აუარებელი მკბენარი ახვევია. სესქათ სოლსამ ეშაპს თავისი უზარმაზარი ხმალი მოუქნია, მაგრამ მის ტანზე ერთი ბეწვიც ვერ გაჭრა. ინგუშური თქმულებების „ეშაპი“ გამოირჩევა ადამიანის მსგავსი თვისებებით: მას შეუძლია სიცილი, სიხარულის გამოხატვა და ადამიანურ ენაზე საუბარი. ეშაპს ძალიან გაუხარდა, როცა გმირებმა საიქიოდან სავარცხელი მიუტანეს. მან მთელი ძალ-ღონე მოიკრიფა და გააფთრებით დაიწყო ვარცხნა. სიხარულისგან ის ექსტაზში ჩავარდა და სიცილისაგან იგუდებოდა, ხოლო მუშტისხელა ტილები, მიწაზე ხმაურით ეცემოდნენ, თითქოს ქვები ყოფილიყვნენ“ (Дахкильгов 2012: 68-80). გ. ხალუხაევისა და ა. კუზნეცოვას აზრით, მოცემულ ეპიზოდში სავარცხლის მაგიას სიტყვის მაგია ენაცვლება, რადგან სავარცხელი თქმულებაში ტყედ უკვე აღარ იქცევა, თუმცა უკან, ცოცხალთა ქვეყანაში გმირების დასაბრუნებლად ის ერთგვარ „საშვის“ ფუნქციას ასრულებს (Халухаев… 2013: 78).

ინგუშური ეპოსი ეშაპს ტიპურ ხტონურ არსებად წარმოგვიდგენს. ერთ-ერთი თქმულება მოგვითხრობს ჯენთელგის მეთაურობით ნართების ჩასვლას მიწისქვეშ, ეშაპთან, სადაც სამოცდასამი მიცვალებულის ძვლები ეყარა. როგორც ჩანს, ეშაპის სისხლი მაგიურ თვისებას ფლობს, რადგან ჯენთელგმა ეშაპის სისხლი მიცვალებულთა ძვლებს ასხურა და ყველანი გააცოცხლა, შემდეგ კი მათი რაზმის მეთაური გახდა.

ჩეჩნური, სახელდობრ, ხორაჩოული თქმულების მიხედვით, მდინარე სუნჯის კალაპოტის შექმნა გველეშაპს უკავშირდება. შვიდ ხორაჩოელ ძმას ერთ ადგილზე უზარმაზარი გველეშაპი შემოხვდა, რომელიც ხალხსა და პირუტყვს ანადგურებდა. მამაც ძმებს გველეშაპის არ შეშინებიათ და ურჩხულს უშიშრად შეებრძოლნენ. ისინი დიდხანს იბრძოდნენ და ძმებმა გველეშაპი უკუაქციეს. ხორაჩოელმა ძმებმა მტერს თავი არ დაანებეს და ბოლომდე მიჰყვნენ. გველეშაპი მიდიოდა და ისინი მისდევდნენ. სადაც გველეშაპი მიცურავდა, მისი ტანის სიმძიმისაგან მიწა იზნიქებოდა და მის ნაკვალევზე ღრმა კალაპოტი იქმნებოდა, რომელშიც ახლა მდინარე სუნჯა მიედინება (Далгат 1972: 344-345). ამ ტიპის ქართულ თქმულებებში შვიდი ძმის

ფუნქციას უძველესი მითოლოგიური არქეტიპი - ხარი - ასრულებს. გველეშაპს ხარი ებრძვის. დამარცხებული გველეშაპი უკუიქცევა და, სხვადასხვა ვარიანტების მიხედვით, წარმოქმნის მდინარე ივრისა და ალაზნის კალაპოტებს. გველეშაპთან მებრძოლ ხარს, როგორც ხმელეთისა და მიწათმოქმედების არქაულ სიმბოლოს, ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები არ იცნობენ.

ინგუშურ თქმულებებში მითოლოგიურ გველეშაპს აქვს საკუთარი სახელიც - სარმაქი. ის დრაკონის ყველა ნიშან-თვისებას ატარებს და ისიც ძირითადად წყალს უკავშირდება, რადგან წყალში ცხოვრობს. უ. დალგათის ცნობით, ინგუშეთში, სოფელ ნესირ-ქორთის მახლობლად, განიერ კალაპოტში მიედინება მდინარე ნესარი, რომლის სიახლოვესაც ერთ მოზრდილ ჭაობზე მიუთითებენ[38]. ამბობენ, რომ უწინ იქ ტბა ყოფილა, რომელშიც გველეშაპი (სარმაქი) ბუდობდა. ერთხელ ციდან ღრუბლები ტბამდე დაშვებულან, სარმაქი შეუპყრიათ და წაუყვანიათ, თუმცა სარმაქი დასხლტომიათ, ის ისევ წაუყვანიათ, კვლავ გასხლტომიათ, მესამედ შეუპყრიათ, წაუყვანიათ და მას შემდეგ სარმაქიც მეტად აღარ გამოჩენილა. იმ დროიდან მოყოლებული, ამბობენ, რომ ის ტბა თითქოს სულ უფრო და უფრო შრება (Далгат 1972: 438). რადგან გველეშაპი წყლის სტიქიას უკავშირდება, ტბიდან მისი მიშორება, ტბის დაშრობას იწვევს. ანალოგიურ სიტუაციას ვხვდებით ერწოს დაარსების ქართულ თქმულებაში. ხარი უკუაქცევს ტბაში დაბუდებულ გველეშაპს, რომელსაც წყალიც თან გაჰყვება. ნატბევარ ადგილზე კი ხალხი დასახლდება და სოფელი გაშენდება.

სარმაქთან დაკავშირებით ზოგიერთი ისეთი ელემენტი იკვეთება, რის მიხედვითაც, ის მსგავსებას ამჟღავნებს ანგლოსაქსური ეპოსის პერსონაჟ გრენდელის დედასთან. გრენდელის დედა უძველეს ევროპულ პოემაში გველეშაპის მსგავს ურჩხულად არის წარმოდგენილი, რომელიც ტბაში ბინადრობს და ღამ-ღამობით სამეფო სასახლეს აწიოკებს. სართალიც, ინგუშური თქმულებების მიხედვით, ღამ-ღამობით ვეშაპად იქცეოდა და ხალხს მუსრს ავლებდა (Дахкильгов 2012: 47-54).

[38] ჭაობში მცხოვრებ გველეშაპს იცნობს ანგლოსაქსური ეპოსი „ბეოვულფი“.

სხვა ინგუშურ თქმულებაში, რომელიც ზღვისა და ხმელეთის დაპირისპირების თემაზეა აგებული, ზღვაურ ურჩხულს სესა ჰქვია და ის ზღვის ბინადარია, თუმცა მას ზღვის ნაპირზე ამოსვლაც შეუძლია. ზღვაურ ურჩხულს წელს ზემოთ ადამიანის ტანი ჰქონდა და წელს ქვემოთ - გველეშაპის ტანი. ასევე მას ჰქონდა დიდი თვალები და სამართებელივით ბასრი ბრჭყალები. გველეშაპი ფლობდა აურაცხელ განძს, რომელიც წყლის ფსკერზე ინახებოდა. ზღვაური ურჩხული, თქმულების მიხედვით, ფეთარზამ ჯადოსნური ხმლით განგმირა (Дахкильгов 2012: 242-248).

გველეშაპის მიერ დედამიწის რელიეფზე დატოვებული კვალი ტოპონიმებშიც აისახება. ბაშლამის მთას, იგივე მყინვარწვერს, ჩეჩნები სხვა სახელწოდებითაც იცნობენ. მას ჰქვია „სერმაქ ბიჟინა ქუორთა“ – „გველეშაპის ნაწოლი მწვერვალი“, რომელიც მითოლოგემას წარმოადგენს და იგი თავის თავში შეკუმშული სახით რაღაც მითოლოგიურ ამბავს ინახავს. შეიძლება ამ სახელწოდების საიდუმლო მოხეური თქმულებით აიხსნას, რომლის მიხედვით, მთის ფერდობზე მიჯაჭვული ამირანის შესაჭმელად მყინვარის მწვერვალიდან გველაშაპი გადმოსულა. მაგრამ მყისვე წმინდა გიორგი გაჩენილა და გველეშაპისთვის უთქვამს: „- შეჩერდი, ამირანი ცოდვების მოსანანიებლად დავაბი და არა შენს გასაძღომადო. მანდვე გაქვავდიო“. ამ სიტყვებით გველეშაპი იქვე გაქვავებულა (მაკალათია 1934: 242). რადგან ორივე სახელწოდება - ჩეჩნური „გველეშაპის ნაწოლი მწვერვალი“ („სერმაქ ბიჟინა ქუორთა“) და მოხეური მთადქცეული გველეშაპი - ერთსა და იმავე მთას - მყინვარწვერს უკავშირდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ ერთი და იგივე მითოლოგიური წარმოდგენა უდევთ საფუძვლად.

ერთი ინგუშური თქმულების მიხედვით, სარმაქი წყალში წევს და მწყურვალ სოსქათ სოლსას მოწამლვას ცდილობს, თუმცა ამ უკანასკნელს მტრედი იხსნის დაღუპვისგან. ზოგიერთ თქმულებაში სარმაქი ტბას არის შემოხვეული და, როგორც ჩანს, წყალს იცავს. სარმაქი რომ მცველის ფუნქციასაც ითავსებს, ჩანს ინგუშური თქმულებიდან „სესქათ სოლსა და მთვარის ასული ლირი“, რომლის თანახმად, ცხრათავიანი სარმაქი იცავს ქვეყნის დასალიერში კოშკში გა-

მოკეტილ მთვარის ასულს. სესქათ სოლსამ ჯერ სარმაქი უნდა მოკლას და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს ის ბეთა ლირის კოშკიდან გამოხსნას. შეიძლება ითქვას, რომ სესქათ სოლსა, როგორც საგმირო ეპოსის მთავარი გმირი, არის გველეშაპთან მებრძოლი.

სხვა თქმულებაში კი, ნართი ფათარაზი, მზის ასულის - მელხათ აზას თხოვნით, კლავს გველეშაპს და ათავისუფლებს სარმაქისაგან გადაყლაპულ მზეს. ერთ-ერთ ინგუშურ თქმულებაში სარმაქს, ისევე როგორც ჯადოსნურ ზღაპრებში ხდება, ორსახოვნება მიეწერება: ღამით ის გველეშაპის სახეს ატარებს, დღისით კი ანთროპომორფული სახით, ადამიანის გარეგნობით ჩნდება. როგორც ირკვევა, ნართების ეპოსის ჩეჩნური და ინგუშური ვერსიები გველეშაპთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, იცნობს უნივერსალური მითის ნაირსახეობებს, მეორე მხრივ, იყენებს ქართული კულტურის ელემენტებს, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ხალხურ სიტყვიერებაში ადგილობრივ ნიადაგზე გადამუშავდა.

წმინდა გიორგი, დეკდა და სამოცდასამი მეომარი

ინგუშური თქმულებების მიხედვით, ნართ-ორსთხოელების მოთარეშე რაზმი 63 მეომრისგან შედგებოდა. ეს გარემოება მხოლოდ ინგუშური თქმულებების თავისებურებად არ უნდა მივიჩნიოთ, რადგან ხევსურულ საგმირო სიმღერებშიც გვხვდება მინიშნება 63 მეომრისაგან შემდგარ სამხედრო რაზმზე. ერთ-ერთ ლექსში ზურაბ ერისთავის ღალატით აღშფოთებული ხევსური მელექსე ირემას მიმართავს:

„ირემავ, რად გიხაროდა ხევსურთა თრუსოს ზიანი,
კიდევაც დავრჩით ხევსურეთს სამოცდასამი ხმლიანი“

(სიხარულიძე 1961: 391).

საბრძოლო რაზმის რიცხობრივი რაოდენობა 63 უნდა მომდინარეობდეს ქართულ ტრადიციაში დამკვიდრებული საკრალური რაოდენობის აღმნიშვნელი სიმრავლიდან - 363, რომელიც სიტყვა სამის სამჯერ გამეორებით წმინდა გიორგის სახელობის სალოცავების საკრალურ რიცხვს გამოხატავს. ქართველ და სხვა კავკასიელ მთიელებში წმინდა გიორგის მიეწერება მამაკაცთა, მგზავრთა და მეომართა მფარველობა, რადგან, ტროპარის მიხედვით, წმინდა გიორგი არის მებრძოლი წმინდანი, ტყვეთა განმათავისუფლებელი და ლაშქრის წინამძღოლი: „ტყვეთა განმათავისუფლებელო და გლახაკთა ხელის-აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო და მეფეთა უძლეველო წინამბრძოლო, ღუაწლით შემოსილო, ქრისტეს დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.“ მებრძოლი წმინდანის მეომრული თვისებები ცნობილია აგრეთვე წმინდა გიორგის აგიოგრაფიიდან და იკონოგრაფიიდან. რადგან ნართები სულ მუდამ მგზავრობაში იყვნენ და მტრებს ებრძოდნენ, თქმულებებში მათი რაზმის რაოდენობა - სამოცდასამი უნდა მომდინარეობდეს ქართულ ტრადიციაში წმინდა გიორგის სალოცავების სიმრავლის გამომხატველი რიცხვიდან ***სამ***ას ***სამ***ოცდა***სამ***ი.

წმინდა გიორგის კულტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცნობები არის დაცული ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ენებსა და ფოლკლორში. ჩერქეზულ თქმულებებში მას ჰქვია *აუშჯერჯი*, ოსურ ტრადიციაში - *ვასთირჯი*. ა. სულეიმანოვის აზრით, მთიანი ჩეჩნეთისა და ინგუშეთის იმ ტოპონიმებში, რომელთა ფუძეშიც არის *ჯერდა* (Ерда) და *გერგა* (Гьерга), წმინდა გიორგის სახელი იკითხება. მკვლევარმა სიტყვათა შეპირისპირებით, ტოპონიმთა შედარებითი ანალიზითა და მრავალრიცხოვანი მაგალითების მოხმობით დაადგინა, რომ საკუთარ სახელ „გიორგის“ ჩეჩნურ და ინგუშურ ენებზე შეესაბამება ფორმები: *ჯერდა*[39] (*ჯერთიე), ჟერდიე, გერგა.* მკვლევარი აღნიშნავს, რომ ვაინახები ამავე ტერმინებით მოიხსენიებენ ჯვარს, სალოცავს, მფარველ წმინდანს, *ჟარ* (жIар) ფორმასთან ერთად, რომელიც ქართული ჯვარიდან მომდინარეობს. გიორგობას ვაინახურ ენებზე ჰქვია „ჯორთოჯ“. მაგრამ, როგორც ჩანს, *„ჯორთოჯ“ „ერთინად“* ტრანსფორმირდა. *„ერთინა ქუორთა“* ჰქვია მწვერვალს ჩეჩნეთში, სოფელ წჯენ-ვედენოს პირდაპირ. *„ერთინა“* ახლო მნიშვნელობის სხვადასხვა ვარიანტებად გვხვდება ვაინახურ ენებსა და ტოპონიმებში, როგორიც არის: *ერთინა, ჯორთოჯ, ჯერდა, გერგა, ერდი, ჯურდა, ჯურდინ, ჟერდა* და სხვ. ყველა ეს სახელი მომდინარეობს წმინდა გიორგის სახელიდან, რომელსაც განსაკუთრებით ეთაყვანებოდნენ მთიან ჩეჩნეთში. ა. სულეიმანოვის ცნობით, მაისტელები და მითხოელები, როცა გიორგობის დღესასწაულზე ხევსურეთის სალოცავებში მიდიოდნენ, ამბობდნენ: *„ერთინა ღო ვაი“*, – „გიორგობაზე წავიდეთ“ (Сулейманов 1997: 276). სოფელ გიორგიწმინდას (გიორწმინდას), რომელიც შატილის მახლობლად მდებარეობს, ვაინახები *ჯერდიეშთის* უწოდებენ, ისევე როგორც გიორგიწმინდის წყალს - *ჯერდიე ხის* (Сулейманов 1997: 648). ინგუშური სალოცავების სახელწოდება ორი კომპონენტისგან შედგება. „ერდას“ წინ უძღვის სიტყვა, რომელიც უმეტესად სალოცავის ადგილმდებარეობაზე მიუთითებს: *გალ-ერდი, მაღა-ერდი* (Геаль-Ерды, МIагIа-Ерды) და სხვ. იგი ნაწარ-

[39] ჯერდი (← გიორგი) - როგორც ჩანს, ეს ფორმა გ ბგერის პალატარიზაციით გაჩნდა. მსგავსი ფონეტიკური პროცესი გვხვება უნგრულ ენაში, დიორდი ← გიორგი (Дьёрдьи ←György).

მოებია იმგვარად, როგორც ქართველი მთიელების სალოცავის სახელწოდებები: ხახმატის ჯვარი, გუდანის ჯვარი, არდოტის ჯვარი, ან ხახმატის წმინდა გიორგი, წყაროსთავის წმინდა გიორგი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ერდას“ ეტიმოლოგია ნახური ენის მონაცემებით არ იხსნება და ამიტომ მკვლევარები მას უკავშირებენ ხან შუმერული ქალაქის - *ერიდუს* სახელწოდებას, ხან - ურარტულ ღვთაება *„არდას“* (Акиева 2016: 171). თუმცა ასე არ არის, რადგან ინგუშურ ხალხურ შემოქმედებას შუმერულ და ურარტულ კულტურებთან არანაირი უწყვეტი ისტორიული ტრადიცია არ აკავშირებს.

ინგუშეთის სალოცავებისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატების იერარქია ერთსა და იმავე მოდელს ეფუძნება. ინგუშეთის მთიანეთში იყო როგორც მთელი კუთხის, ისე ერთი კონკრეტული თემის, ხეობის, სოფლისა და გვარის სალოცავი ჲერდა. ეჭვგარეშეა, რომ ჲერდა მიღებულია გიორგისგან. კაბადოკიელი მოწამე იმდენად პოპულარული მფარველი წმინდანი ყოფილა მთიან ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, რომ მისი სახელი *„ჲერდი“ („ჲერდი“)* სალოცავის, მფარველი წმინდანის, ეკლესიისა და წმინდა ადგილის აღმნიშვნელ ზოგად სახელად ჩამოყალიბდა.

მგრეჟის სიმბოლიკა და მისი საზრისი ინგუშურ თქმულებებში

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიურ გადმოცემებში, ისე ნართების ეპოსის ჩეჩნურ და ინგუშურ ვერსიებში, დასტურდება წმინდა ფრინველთან დაკავშირებული მსგავსი სიუჟეტები. ანდრეზების მიხედვით, ღვთისშვილს, სალოცავ ჯვარხატს, მადლი, წყალობა, ხვავი და ბარაქა მოაქვს საყმოსთვის. ღილღურ თქმულებაში იმავე ფუნქციას დოვლათის ფრინველი ითავსებს. ღილღური თქმულება მოგვითხრობს, რომ მთიან ინგუშეთში, მეცხალის შახერში, ერთხელ დოვლათის ფრინველმა ბუდე გაიკეთა და ამის შემდეგ იქ უხვი მოსავალი მოდიოდა. მდინარე არმხის ორივე ნაპირზე უფრო ნოყიერი ბალახი იზრდებოდა, სადაც პირუტყვის ურიცხვი ჯოგები ბალახობდნენ. ერთხელ იმ ადამიანებმა, რომლებიც ბოროტების ჩადენას არ თაკილობდნენ, დოვლათის ფრინველს ბუდე დაუნგრიეს და ღილღოდან განდევნეს (Далгат 1972: 331).

წმინდა ფრინველთან დაკავშირებულ ღილღურ თქმულებას ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებთან არაერთი მოტივი აახლოვებს. ინგუშურ თქმულებაში დოვლათის ფრინველი თავისი მოქმედებით, ბუდის კეთებით, მიწაზე ფრთის შემოკვრითა და ბარაქის მინიჭებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზების მტრედს გვაგონებს, რომელიც მფარველ წმინდანს განასახიერებს. მტრედი ასეთივე ქმედებით, მიწაზე „კოჭის მოკიდებით“, ჯვრის მიწიერ საბრძანისს აფუძნებს. ქართულ ანდრეზებში ურჩი ყმების მიერ მტრედის დევნის მოტივს ინგუშურ თქმულებაში დოვლათის ფრინველის ბუდის დანგრევა ენაცვლება. მტრედის დევნა თუ ბუდის დანგრევა ორივე გადმოცემაში ისჯება. გუდამაყრულ ანდრეზში მფარველი წმინდანი ანადგურებს თავის ურჩ ყმას მირიანეულსა და მის ოჯახს. ინგუშურ თქმულებაში კი დოვლათის ფრინველი გაურბის ბუდის დამანგრეველებს, „კოჭს სხვა ადგილზე იკიდებს“ და თან მიაქვს მთელი კუთხის ბარაქა. გადმოცემის მიხედვით, დოვლათის ფრინველს მთიანი ინგუშეთი დაუტოვებია და იქიდან ბალთაში გაფრენილა, მი-

წას თავისი ფრთებით შეხებია და მისთვის განსაკუთრებული ბარაქა დაუმადლებია. ამის შემდეგ დოვლათის ფრინველი ჯერ ლარსში მისულა და ბოლოს ბუდე საქართველოში გაუკეთებია (Далгат 1972: 331). იმ დროიდან მოყოლებული ინგუშები საქართველოს მდიდარ და ნაყოფიერ მხარედ მიიჩნევენ, რადგან დოვლათის ფრინველმა ბუდე საქართველოში გაიკეთა და მთელი ბარაქა მას დააბერტყა.

მტრედს საკრალური თვისებები მიეწერება ოსურ თქმულებებსა და ოსურ რიტუალურ სიმღერებში (Мамисимедишвили 2014: 75-81).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებში მტრედი არის წმინდა ფრინველი და ჯვარ-ხატის ნიშანი, რომელიც ჯვრის მსახურებსა და რჩეულ მკადრეებს „ხელზე მოუდიოდათ“. მას კვრივი ადგილისა თუ ჯვრის საიდუმლო საგანძურის სანახავად მკადრე შორეულ მოგზაურობაში მიჰყავდა. ის უჩვენებდა თავის მკადრეს, სად და როგორ უნდა აღმართულიყო მფარველი წმინდანის მიწიერი საბრძანისი.

ინგუშური ნართების ეპოსის მიხედვით, მტრედი მხოლოდ ერთადერთ პერსონაჟს - სესქათ სოლსას „მოუდიოდა“ და დაჰყვებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გარემოება გმირის რჩეულობაზე მიუთითებს. სესქათ სოლსა, როგორც ნართ-ორსთხოელების წინამძღოლი და ეპოსის მთავარი გმირი, არ არის ჩვეულებრივი ადამიანი. სესქათ სოლსა მტრედს უკან ისევე მიჰყვება, როგორც მტრედის სახით გაფრენილ ჯვარს მისდევდნენ ხუცესები თუ მკადრეები ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში.

ქართულ მითოლოგიაში მტრედი მფარველ წმინდანს განასახიერებს. თურმან მონადირეს, რომელსაც სალოცავი ჯვარი შარვნიდან მტრედის სახით გამოჰყოლია, თურმე მთელი გზა არ შორდებოდა და ბოლოს სოფლის სიახლოვეს დამკვიდრებულა (ანდრეზები 2009: 93). იმ ადგილას როშკისა და ქმოსტის მცხოვრებლები დიდგორის ჯვარს ლოცულობენ. სხვა ანდრეზით, ანატორის ჯვრის მკადრეს „ბახაგას მტრედ აფრინდებოდის მხარზე, მტრედ კიდეთას ავლებდის... ბახაგას მტრედ ჯვრის დროშით ქისტეთჩი მიჰყოლებავ“ (ანდრეზები 2009: 102). სანების ჯვარმა თავისი გამძღო ბაჭუაისძე ორ დასტურთან ერთად ღილღოს დასაბეგრავად წაიყვა-

ნა. ჯვარი მათ ღილღომდე მტრედის სახით წინ მიუძღვოდათ (ანდრეზები 2009: 83).

ქართული და ინგუშური თქმულებები თავისი იდეოლოგიითა და საზრისით იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ ზოგჯერ შინაარსობრივადაც ავსებენ ერთმანეთს. მთიულური გადმოცემის მიხედვით, მიდელაურების ყველაზე უმცროსს - მეცხრე ძმას - ხატის ტყეში მტრედი დაუჭრია. ის ნადირობიდან ხელცარიელი დაბრუნებულა და სახლში მისულს საბედისწერო მინიშნება უნახავს: იარაღი ბოძზე სამჯერ დაუკიდია და სამჯერვე ჩამოვარდნილა, მამას უკითხავს:

„–სად იყავ, შვილო, დღეს სად იარეო? სად რა ნახეო და“... – რადგან არაფერი მოუტანია.

„–ბეგოთ ხატის ტყეში ვიყავი და მტრედს ვესროლე, ფრთაში დავჭერი და წავიდა ისიო“.

„– გაგიწყრა ღმერთიო, - ბეგოთ საღვთო დაგიჭრიაო...“

(ანდრეზები 2009: 247).

დაჭრილი, ფრთამოტეხილი მტრედის მოტივს იცნობს ინგუშური ეპოსიც. ერთხელ სესქათ სოლსა ტყეში რომ დაეხეტებოდა, მტრედი დაუნახავს, რომელსაც ფრთა ჰქონია მოტეხილი. სესქათ სოლსას მტრედი აუყვანია და მთელი თვე უვლიდა, ეფერებოდა, აჭმევდა და ასმევდა, სანამ მტრედს ჭრილობა არ მოუშუშა და ფრთა არ მოურჩინა. ამის შემდეგ მტრედი ისე შესჩვევია, რომ სესქათ სოლსა აღარ მიუტოვებია, მას ხელზე მოუდიოდა და მასთან ერთად მოგზაურობდა (Далгат 1972: 336-337). მთიულურ ანდრეზში მიდელაური იმდენად გაბუდაყდა, რომ მან ხატის ტყეში ნადირობა გაბედა. როგორც ჩანს, მონადირეს ჰუბრისმა გონება დაუბინდა, რადგან მან მტრედში მფარველი ანგელოზი - ბეგოთ საღვთო ვეღარ ამოიცნო. ვაჟმა ესროლა და მტრედის აღით გამოცხადებული ხატი ფრთაში დაჭრა. ინგუშური თქმულება თითქოს მთიულური ანდრეზის სიუჟეტს აგრძელებს. სესქათ სოლსამ ფრთაში დაჭრილი მტრედი ტყეში იპოვა და მას მზრუნველობას არ აკლებდა, თან დაატარებდა და იფქლით კვებავდა, სანამ სულ არ განკურნა. ღილღურ ტექსტშიც მოქმედება თითქოს ხატის ტყეში ხდება, რადგან თქმულების ინგუშურ დედანში

მტრედს ჰქვია „ჰუნ ჯოჯ“ (ტყის მტრედი). ხატის ტყის სიახლოვეს სესქათ სოლსა ხორბალს თესავდა და პურის მარცვლებით მტრედებს კვებავდა. თქმულებაში მტრედი, ხორბალი და წყალი საკრალურ დატვირთვას იძენს. ერთ ხევსურულ ანდრეზში იგივე საკრალური ფუნქციები პერსონაჟთა შორის სხვაგვარად ნაწილდება. მტრედს კი არ კვებავენ, არამედ მტრედები კვებავენ იფქლის მარცვლებით ბეთლემის საიდუმლო გამოქვაბულში ოქროს აკვანში მწოლარე ყმას (ოჩიაური 1967: 191).

მტრედი ინგუშურ თქმულებებში ხშირად წყალთან დაკავშირებულ ეპიზოდებში ჩნდება, რაც შემთხვევით არ უნდა ხდებოდეს, რადგან მტრედი სულიწმინდის ფრინველია და ის, როგორც წმინდა ფრინველი, პირველ რიგში, მდინარე იორდანეზე მომხდარ სასწაულს დაუკავშირდა, როდესაც ცა გაიხსნა და მაცხოვარზე სულიწმინდა მტრედის სახით გადმოვიდა: „და მეყსეულად აღმოსლვასა მისსა მიერ წყლით იხილნა ცანი განხმულნი და სული ღმრთისაჲ გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მის ზედა“ (მარკოზი, 1:10). ინგუშურ ნართულ თქმულებებში მტრედი თავის რჩეულ გმირს, სესქათ სოლსას ან წყაროს უჩვენებს ან მასთან წყალი მიაქვს ნისკარტით:

„ერთხელაც, - მოგვითხრობს ინგუშური თქმულება, - სესქათ სოლსა და მტრედი უწყლო ადგილზე მიდიოდნენ, მხედარს ძლიერ მოსწყურდა და მტრედს ჰკითხა:

– არის სადმე ახლოს წყალი?

მტრედმა ღუღუნით რამდენიმე წრე გააკეთა, თითქოს სესქათ სოლსას პასუხობდა, - ჩემთან წამოდიო. მტრედი გაფრინდა და სესქათ სოლსა უკან მიჰყვა. ის ერთი კლდის ძირას მიფრინდა, საიდანაც წყალი გადმოდიოდა (Дахкильгов 2012: 369-371).

ინგუშური თქმულებების მიხედვით, მტრედი იცავს თავის რჩეულს და ერთ ეპიზოდში მას სიკვდილისგანაც კი იხსნის. ინგუშური თქმულება „რატომ იქნა მოვლენილი გადამდები სენი“, მოგვითხრობს, თუ როგორ ცდილობდა მტრედი სესქათ სოლსას გადარჩენას. მტრედმა დაინახა, რომ კლდის თავზე გველი იწვა და წყალში შხამს ურევდა. გმირი რომ გადაერჩინა, მტრედმა სესქათ სოლსას წყაროსაკენ მიმავალი გზა გადაუღობა და თავისი ფრთებით კლდიდან გადმოსუ-

ლი წყალი აქეთ-იქით მიშხეფ-მოშხეფა, რათა გმირს მოწამლული წყალი არ დაელია. მსგავსი სიუჟეტი დასტურდება არაბულ ფოლკლორში. შაჰრაზადი „ათას ერთ ღამეში“ მეფე შაჰრიარს უყვება „სინდბად მეფის ამბავს“. თქმულების მიხედვით, განრისხებულმა სინდბად მეფემ ხმალი მოუქნია საყვარელ შევარდენს და ფრთები დააყრევინა, რადგან შევარდენმა ფრთებით სამჯერ გადააბრუნა ოქროს თასი, რომელშიც უდაბნოს სიცხეში მოწყურებული მეფე ხიდან ჩამოსული წყლის შეგროვებას ცდილობდა. აღმოჩნდა, რომ თასში ხიდან ჩამოსული გველის შხამი გროვდებოდა. ფრინველი მოკვდა, სინდბად მეფე კი დარდსა და მწუხარებას მიეცა, რადგან მან თავისი საყვარელი შევარდენი მოკლა, რომელმაც იგი სიკვდილისგან იხსნა (ათას ერთი ღამე 1969: 52). ინგუშურ თქმულებაში სესქათ სოლსა თავის გადამრჩენელ მტრედს ერთი დარტყმით კლავს, მაგრამ, არაბული ზღაპრისგან განსხვავებით, სესქათ სოლსა ჯადოსნური საშუალებით აცოცხლებს ფრინველს და ამბავი გრძელდება, რომელიც კონტამინაციაშია სხვა სიუჟეტთან. უდაბნოში მწყურვალი გმირის გადარჩენის მოტივი, შესაძლოა, კავკასიის ხალხთა ზეპირსიტყვიერ რეპერტუარში აღმოსავლური ფოლკლორიდან შემოვიდა, რომელშიც ცენტრალური ადგილი ფრინველისა და გველის დაპრისპირებას უკავია. ინგუშურ თქმულებაში, ქრისტიანული რელიგიის გავლენით, შევარდენს სულიწმინდის ფრინველი - მტრედი ენაცვლება. ეს გარემოება ინგუშურ ხალხურ ტექსტს საკრალიზმით აღავსებს.

მართალია, სესქათ სოლსას ბოლოს ადამიანურმა სისუსტემ - ჰუბრისმა სძლია და ამის გამო ის დანარჩენ ორსთხოელებთან ერთად აღესრულა, მაგრამ ერთგულმა მტრედმა მომაკვდავი გმირი მაინც არ მიატოვა და უკანასკნელი თხოვნა შეუსრულა. მტრედმა სესქათ სოლსას ნისკარტით ერთი წვეთი წყალი მიუტანა და მას ამქვეყნიურ ყოფასთან განშორებაში დაეხმარა. წმინდა ფრინველმა ამ ერთი მაცოცხლებელი წვეთით გმირი აცხონა და მარადიულ სიწმინდესთან აზიარა.

რადგან მტრედი სესქათ სოლსას განუყრელი წმინდა ფრინველია, უნდა ვიფიქროთ, რომ მას ძალა მფარველი წმინდანისგან ჰქონ-

და მინიჭებული, რომელიც გმირს მტრედის სახით დაჰყვებოდა და ხელზე მოუდიოდა.

ზოგიერთი მეცნიერი ინგუშურ ეპოსში მტრედს ტოტემურ ფრინველად მიიჩნევს. ასე არ უნდა იყოს, რადგან ის სულიწმინდის ფრინველია. ნართების ეპოსის ინგუშურ ვერსიაში მტრედი რომ ნამდვილად წმინდა და ღვთაებრივი ფრინველია, ამაზე არაერთი ნიშანი მიუთითებს. სესქათ სოლსას მტრედის ერთ-ერთი ატრიბუტი არის ოქრო. ინგუშურ ეპოსში მტრედი და ოქრო ერთად შემთხვევით არ გვხვდება. ღილღოს მახლობლად, იქვე, გერგეტის კლდეში, ბერების გადმოცემითა და ხალხური ტრადიციით, ოქროს მტრედები დაფრინავდნენ (Бакрадзе 1875: 111). ოქრო ღვთაებრივი ლითონია, რომელიც მითოსში საგნის ან მოვლენის მეფურ და ღვთაებრივ ბუნებას გამოხატავს. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ სესქათ სოლსამ აღსასრულის წინ მტრედს ოქროსფერი ძაფი შეაბა და ისურვა, მტრედისთვის „სოლსას მტრედი“ დაერქმიათ, ხოლო კისერზე, სადაც მტრედს ოქროსფერი ძაფი შეაბა, ოქროს ბუმბული ამოსვლოდა. თქმულების მიხედვით, სესქათ სოლსას სურვილი ასრულდა: ვაინახური ტრადიციის მიხედვით, ხალხი მტრედს „სოლსას მტრედს“ უწოდებს და მტრედს კისერზე, სადაც სესქათ სოლსამ ოქროსფერი ძაფი შეაბა, ოქროს ბუმბული ეზრდება. სხვა ვერსიით, აღსასრულის წინ სესქათ სოლსამ თასიდან გამდნარი ოქრო დალია, შემდეგ თასში თითები ჩააწო, მტრედს კისერზე და მკერდზე ოქრო წაუსვა და თქვა: - დაე, დღეიდან ხალხმა „სესქათ სოლსას მტრედი“ დაგიძახოს (Дахкильгов 2012: 371-373). ინგუშურ თქმულებებში ოქრო მტრედს დაუკავშირდა, რადგან ის ღვთაებრივ ლითონს წარმოადგენს და მას საკრალური თვისება გააჩნია. გადმოცემის თანახმად, მას შემდეგ, რაც სესქათ სოლსა აღესრულა, მტრედი თავისი ღუღუნით გმირს გამუდმებით ეძახის: *„სოსქ-სოლსა, სოსქათ სოლსა“*[40].

[40] ნართების ეპოსის აფხაზურ ვერსიაში მტრედს ესქატოლოგიური დატვირთვა ენიჭება. მტრედს მანამდე შერჩება სასრიყვას სისხლით მოთხვრილი ფეხები, სანამ კაცთა მოდგმა შურითა და ბოროტებით იქნება აღვსილი. ხოლო როცა სამყარი შეიცვლება, როცა ამქვეყნად სიკეთე, სიყვარული და სათნოება დამყარდება, მტრედს ფეხები კვლავ თეთრი და უფერული გაუხდებათ.

მტრედის გამოსახულებები გვხვდება უძველესი პერიოდის ქრისტიანულ კატაკომბებში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო თასებზე[41], ასევე ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტრადიციულ სალოცავებში. ი დახკილგოვი აღნიშნავს, რომ მეთ-წელის სალოცავში რიტუალის აღვლენის დროს ღილღველი ხევისბრები მტრედის გამოსახულების მქონე თასებს იყენებდნენ (Дахкильгов 2012: 508). რიტუალურ თასებს მტრედი სულიწმინდის მადლით აღავსებს.

ფშავ-ხევსურულ და ინგუშურ თქმულებებში მტრედს ერთი და იგივე მითოსური დატვირთვა გააჩნია. ის, როგორც ღვთაებრივი ძალა და ზებუნებრივი სიწმინდის გამომხატველი არსება, რჩეულებთან ჩნდება. მტრედს პერსონაჟთა საქმიანობა ყოველდღიური ცხოვრებიდან სხვა განზომილებაში - საკრალურ სფეროში გადაჰყავს.



[41] ამ ტიპის თასებს, ძველი ქართული (ასომთავრული) წარწერებით, არქეოლოგებმა ჩეჩნეთის მაღალმთიანეთში, კერძოდ მითხოს (ჩეჩნ. მელხისტი) ნასოფლარ წაი-ფჯედაში, 2016 წლის ზაფხულშიც მიაკვლიეს (Мамаев... 2016: 333-336).

სამებასთან დაკავშირებული ფოლკლორული მოტივები

შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული კულტურის გავლენის არაერთ დამადასტურებელ ელემენტს ვხვდებით ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში. მაგრამ სოციოკულტურული გავლენის ამსახველი მთელი ეს ვერბალური მასალა ხალხური ნაწარმოების შინაარსში, ფაქტობრივად, მითოლოგიური სახეებითა და სიმბოლოებით არის მისტიფიცირებული. ისლამის გავრცელების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორში არაერთი არქაული მოტივი და სიუჟეტი ახალი ელემენტებით შეივსო ან ტექსტიდან საერთოდ გაქრა. ახალ რელიგიურ რწმენას ქრისტიანულ ეპოქაში ჩამოყალიბებულ თქმულებებში რევიზია შეჰქონდა. ნაწარმოების სიუჟეტი ან განსხვავებული შინაარსით ივსებოდა ან ზოგად მითიურ მოდელს ემსგავსებოდა. თუმცა, რადგან ფოლკლორში ძირითადი ნიშნები ნაკლებად ცვალებადია, ზეპირსიტყვიერი ნაწარმოებების შედარებითი ანალიზით, ტექსტში გაბნეული არქეტიპების კვლევით, შესაძლებელი გახდა გვიანდელი ეპოქის დანაშრევების ქვეშ დამალული შინაარსის ამოკითხვა.

სამების კულტის დაარსების ელემენტები ინგუშურ მითოსში

ქართველი მთიელების, ოსებისა და ინგუშების ზეპირსიტყვიერებაში გვხვდება ცალკეული მოტივები და გახალხურებული წარმოდგენები ქრისტიანულ სამებაზე. სამების თაყვანისცემამ იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაში, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მის შესახებ, ფოლკლორული მოტივებისა და სიუჟეტების გარდა, გვხვდება ტოპონიმები, სამების სახელობის სამლოცველოები და ტაძრები.

სამების კულტის არსებობის დამადასტურებელი მითოსური ელემენტები იკვეთება ქოლოი კანთის ციკლის ინგუშურ თქმულებებში. ხალხური ტექსტის მიხედვით, ნართ-ორხუსთოელებმა ქუოლოი კანთი ღალატით შეიპყრეს და ცხვრის ფარასთან ერთად ტყვედ წა-

იყვანეს. დასახმარებლად წასული ქოლოი კანთის ძმები ორხუსთოელებს ჯეირახისა და დარიალის ხეობებს შორის დაეწივნენ. თქმულების მიხედვით, ღმერთმა სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად დაპირისპირებულ მხარეებს შორის თერგის კალაპოტი შექმნა. მარჯვენა სანაპიროზე დარჩნენ ქოლოი კანთი და მისი ძმები, ხოლო მარცხენა სანაპიროზე აღმოჩნდნენ ორხუსთოელები. იმ დღიდან თერგი ახალ კალაპოტში მიედინება და ის წყალუხვ მდინარედ გადაიქცა. ნართული თქმულების მიხედვით, როგორც ქოლოი კანთი და მისი ძმები, ასევე ორხუსთოელები ზებუნებრივი სასწაულის მხილველნი გახდნენ, ამგვარი განსაცდელის გადალახვის შემდეგ კი, როგორც წესი, ადამიანის ცხოვრებაში დიდი გარდატეხა ხდება. მნიშვნელოვან ძვრებს ვხედავთ ქოლოი კანთის ცხოვრებაშიც. ის თქმულებაში თითქოს ახალი კულტის დამფუძნებლად მოგვევლინა, რადგან მომხდარი სასწაულის შემდეგ ქოლოი კანთი მთის მწვერვალზე ავიდა და მასზე სამი უზარმაზარი ქვა[42] აღმართა (Ахриев, 1870: 311-313). თქმულების სხვა ვარიანტის მიხედვით, ქოლოი კანთს აინტერებდა, რა ძალა შემორჩა ქალთან ურთიერთობის შემდეგ, რომელიც ვაჟს ორხუსთოელებმა ღალატით გამოქვაბულში მიუგზავნეს. ძალის შესამოწმებლად მან მთის მწვერვალზე უზარმაზარი ქვა აიტანა და თქვა, რომ მას წინანდელი ძალის მხოლოდ ნახევარიღა შერჩენოდა. შემდეგ ქოლოი კანთმა შედარებით მომცრო ლოდი აიტანა და პირველს დაადგა, ხოლო ბოლოს, მესამე ქვა ორივეს ზემოდან თავზე სვეტად დაადგა და საზეიმოდ წარმოთქვა: „დაე, მომავალმა თაობებმა იცოდნენ, რომ ეს ქვები ქოლოი კანთმა აღმართა“ (Далгат, 1972: 316). თქმულების ორივე ვარიანტის მიხედვით, ქოლოი კანთმა ამ საქციელით თავისი ფიზიკური ძალა შეამოწმა. მაგრამ ტექსტის არქეტიპულ ვარიანტში მას სხვა დატვირთვა და ფუნქცია უნდა ჰქონოდა. მიმაჩნია, რომ მთის მწვერვალზე სამი ქვის ვერტიკალურად აღმართვის მოტივი ტექსტის თავდაპირველ ვარიანტში ძალის შე-

[42] ეს ქვები დაახლოებით 5-6 მეტრი სიმაღლის კოშკის კონფიგურაციას ქმნიდა. ჩ. ახრიევის ცნობით, მეორე და მესამე ქვებს შორის მოჩანდა პატარა ქვები, რომლებსაც თითქოს საყრდენი ფუნქცია ჰქონოდათ. ადგილობრივ მოსახლეობას სწამდა, რომ მთის მწვერვალზე აღმართული სამი ქვა იქ ადამიანის ხელით იყო ატანილი და დადგმული.

მოწმება არ უნდა ყოფილიყო და ამას თავისი ახსნა აქვს. თქმულება „ქოლოი კანთი და სესქათ სოლსა“, რომელიც პირველად ჩ. ახრიევმა ჩაიწერა და 1870 წელს რუსულ ენაზე დაბეჭდა, საგმირო ხასიათის ფოლკლორული ნაწარმოებია. მაგრამ ტექსტში, საგმირო მოტივების გარდა, გვხვდება საკრალური ელემენტებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ თქმულების „საკრალური ინვენტარი“ ჩაწერის მომენტში უკვე დეფორმირებული იყო, რადგან XIX საუკუნეში ვაინახური საზოგადოებების კულტურულ-რელიგიურ ყოფაში ფუნდამენტური ცვლილებები ხდებოდა. გახალხურებული ქრისტიანული წეს-ჩვეულებების ადგილს ჩეჩენთა და ინგუშთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ისლამი იკავებდა. რელიგიურმა და, შესაბამისად, კულტურულ-იდეოლოგიურმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინა ადგილობრივი მოსახლეობის ფოლკლორულ რეპერტუალზეც. ტექსტის ვარიანტებს ემჩნევა მთხრობელის დაბნეულობა, რომელიც თქმულების ზოგიერთ საკრალურ მოტივს სხვა ელემენტით ანაცვლებს, რადგან ძველ რელიგიასთან, რომელიც საზოგადოების ყოფაში არქაიზმის სახით შემორჩა, ხდება კოლექტივის გაუცხოება. უფრო მეტი კონკრეტული მაგალითის მოყვანა რთულია, რადგან ჩვენ საქმე გვაქვს ზეპირ, არადოკუმენტურ შემოქმედებასთან. მითოეპიკური მეხსიერების შესუსტების შედეგად თქმულებაში „ქოლოი კანთი და სესქათ სოლსა“ მთის მწვერვალზე სალოცავის აღმართვის მოტივს ძალის შემოწმების მოტივი ჩაენაცვლა.

ჩეჩნურ და ინგუშურ ნართულ თქმულებათა ციკლის ერთ-ერთი თავისებურება ისიც არის, რომ იგი ტრადიციული საზოგადოების ყოველდღიური ყოფის უაღრესად მნიშვნელოვან და დამახასიათებელ ელემენტებს წარმოგვიდგენს. ის მოგვითხრობს სხვადასხვა მოვლენის, ინსტიტუციის, ცალკეული საზოგადოებებისა და გვარების წარმოშობაზე. სხვა ნაციონალური ვერსიებისგან განსხვავებით, ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში მოქმედება ხშირად ხდება განსაზღვრულ სივრცეში, სრულიად რეალურ გეოგრაფიულ გარემოში. თქმულებებში მრავლად გვხვდება კონკრეტული ტოპონიმები.

ღვთაებრივ გამოცხადებას, ხილვას, წინასწარმეტყველურ სიზმრებს, სხვადასხვა მითოსისა და რელიგიური მოძღვრების მიხედვით, მოსდევს გარდამტეხი ცვლილება ადამიანის ცხოვრებაში. ამ-

გვარი ცვლილების მოწმენი ვხდებით ინგუშურ თქმულებაში. ქოლოი კანთი, ეს განდეგილი და ასკეტი მწყემსი, თქმულების ფინალში თითქოს ახალი სოციალური სტატუსით გვევლინება. მთის მწვერვალზე სამი ლოდის სვეტად აღმართვა რელიგიური კულტის, სავარაუდოდ, სამების სახელობის სალოცავის დაარსებას უნდა აღნიშნავდეს. ის სამი ლოდი, რომლებიც ქოლოი კანთმა წმინდა მთაზე სვეტად აღმართა, ისეთივე ნიშანია ცისა და მიწის კავშირისა, როგორიც იაკობის სასთუმლის ლოდი ან სიზმარში ნანახი კიბე. „ადგა დილაადრიანად იაკობი, აიღო ლოდი სასთუმლად რომ ედო, აღმართა სვეტად და ზედ ზეთი დაღვარა“ (დაბ. 28: 12-18). ზ. კიკნაძის აზრით, „ასეთი გამოცდილება შეიძლება მხოლოდ მამამთავარს ჰქონოდა, ისეთ კაცს, რომელიც აფუძნებს არა მხოლოდ ახალ შთამამავლობას, არამედ რელიგიას“ (კიკნაძე, 1989: 38).

ბიბლიური იაკობის მიერ ლოდის სალოცავ სვეტად აღმართვის ერთგვარ პარადიგმას ვხვდებით ქოლოი კანთის ინგუშურ თქმულებაში. ქოლოი კანთის წმინდა მთაზე ასვლა დამატებით რელიგიურ დატვირთვას იძენს, რადგან მოქმედება ხდება საზოგადოებაში, სადაც, მ. ელიადეს სიტყვებით, „ჯერ კიდევ ცოცხლობენ მითები, სადაც ისინი ადამიანის ყველა ქცევასა და მოქმედებას ასაბუთებენ და ამართლებენ“ (ელიადე 2009: 9). ქოლოი კანთს სამი ლოდი მთაზე სააასპარეზოდ, ძალის გამოსაცდელად და გასართობად არ აუტანია, რადგან მთის მწვერვალზე, როგორც წმინდა ადგილზე, ჩეჩნებსა და ინგუშებს, ქართველი მთიელების მსგავსად, სალოცავები ჰქონდათ აღმართული და იქ კულტმსახურებას აღავლენდნენ. ჩეჩნეთსა და ინგუშეთში მთების საკრალურ და რიტუალურ მნიშვნელობაზე მათი სახელწოდებებიც მიუთითებს: ჯარ ლოამ (ჯვრის მთა), წეჲ-ლამ (წმინდა მთა), ერდი ქუორთ (წვერის სალოცავი), კვირი ლამ (კვირიას მთა), ლამ თიშუოლ (მთის ღვთისმშობელი), წეჲ ჰუნ (წმინდა ტყე), თიშუოლ ქუორთა (ღვთისმშობლის მწვერვალი)[43] და სხვ. (Сулейманов, 1978: 10). ინგუშური ფოლკლორის ცნობილი მკვლევარი ი. დახკილგოვიც არ უარყოფდა, რომ მთის მწვერვალზე ქოლოი კანთის მიერ

[43] ტოპონიმები ჩეჩნური და ინგუშური ენებიდან ქართულად სიტყვასიტყვით ვთარგმნე აჰმედ სულეიმანოვის წიგნიდან (ხ. მ.).

აღმართული ქვები თაყვანისცემის ობიექტი უნდა ყოფილიყო და მას მეცნიერი ნაყოფიერებისა და გამრავლების კულტთან აკავშირებდა (Дахкильгов, 2012: 296). წმინდა მთაზე სამი ლოდის აღმართვით ქოლოი კანთი ბიბლიურ სამსონსაც გვაგონებს: „შუაღამემდე ეძინა სამსონს. შუაღამით ადგა, მოხვია ხელი ქალაქის კარსა და ორივე ბჭეს, ურდულიანად მოგლიჯა, მხარზე გაიდო და მთის წვერზე აიტანა ხებრონს გადაღმა“ (მსაჯ. 16: 3).

გამოქვაბულში ცხოვრება, ცხვრის ფარა, გრძნეული თხა და განსაკუთრებული ფიზიკური ძალ-ღონე, რომელსაც ფლობს ქოლოი კანთი, გმირს, ერთი შეხედვით, ელინ პოლიფემთანაც აახლოებს. გ. ხალუხაევისა და ა. კუზნეცოვას აზრით, „ქოლოი კანთი, მართალია, ადგილობრივი გმირია, მაგრამ ის პოლიფემივით გამოქვაბულში ცხოვრობს და მესაქონლეობას მისდევს. თუმცა, პოლიფემისგან განსხვავებით, ქოლოი კანთი არ არის ცალთვალა და არ შეექცევა შემწვარ ადამიანებს (Халухаев… 2013: 92).

ინგუშურ თქმულებაში ქოლოი კანთი მხოლოდ ფიზიკური სიძლიერით არ გამოირჩევა, რომელსაც შეუძლია გადააადგილოს გამოქვაბულის შესასვლელი ლოდი, რასაც სამოცდასამი ნართ-ორხუსთოელიც ვერ ახერხებს. იგი არის სტუმართმოყვარე, კეთილი და მიმნდობი ადამიანი, ასევე - უშიშარი მწყემსი, რადგან სრულიად უცხო მხარეში ცხვრის ფარა მარტოდმარტო მიჰყავს საძოვარზე. ქოლოი კანთი ყურადღებას იქცევს, როგორც შრომისმოყვარე და ჭკვიანი მეურნე. ქოლოი კანთი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გამოირჩევა ასკეტიზმით. ის განდეგილი ბერივით გამოქვაბულში განმარტოებით ცხოვრობს. როგორც ასკეტი, ქოლოი კანთი არის, ასევე, ქალის „უნდაური“ და პირველ ორ ღამეს ახლოს არ ეკარება მასთან, გამოქვაბულში, შესაცდენად შეგზავნილ ქალს[44]. მ. წაროევა ქოლოი კანთს ღილღველ ენქიდუს უწოდებს. მისი აზრით, ქოლოი კანთი, როგორც მწყემსი, მეორე გმირის - მონადირე და მეომარ სესქათ სოლსას სრულ ანტიპოდს წარმოადგენს (Цароева 2017: 57). სესქათ

[44] ზოგიერთ ვარიანტში ქოლოი კანთის გამოქვაბულში ვაჟის შესაცდენად შეგზავნილი ქალი არის სესქათ სოლსას და. ამ ვარიანტის მიხედვით, სესქათ სოლსა თავისი დის დახმარებით ცდილობს ქოლოი კანთის დატყვევებას და მისი რამდენიმეათასიანი ცხვრის ფარის ხელში ჩაგდებას.

სოლსას დის მისვლა ქოლოი კანთის გამოქვაბულში და მათი შეხვედრა ტიპოლოგიურად, ერთი მხრივ, ენქიდუსა და შამხათის ურთიერთობას მოგვაგონებს, - როგორც ამას მ. წაროევა აღნიშნავს და, მეორე მხრივ, სესქათ სოლსასა და ქოლოი კანთს შორის კონფლიქტი მკვლევარს საშუალებას აძლევს მიუთითოს პარალელიზმზე ენქიდუსთან და გილგამეშთან (Цароева б 2016: 305-306). ქოლოი კანთის შეპყრობის ეპიზოდი ყველაზე მეტად სამსონის ბიბლიურ ამბავს ენათესავება. ბოთოყო შირთყას რჩევით ქოლოი კანთს სესქათ სოლსამ გამოქვაბულში თავისი და მიუგზავნა. ქალთან ურთიერთობის შემდეგ ქოლოი კანთმა ძალა დაკარგა და სესქათ სოლსამ, ნართ-ორხუსთოელებთან ერთად, ადვილად მოახერხა ასკეტი მწყემსის შეპყრობა. სამსონის შეპყრობის ეპიზოდშიც ქალი მონაწილეობს, ფილისტიმელებისგან მიგზავნილი დალილა, რომელმაც ვაჟს მისი უძლეველობის საიდუმლო დასტყუა, რის შემდეგაც სამსონი ფილისტიმელებმა შეიპყრეს და თვალები დასთხარეს (მსაჯ. 5-21).

ბიბლიური სამსონისგან განსხვავებით, ქოლოი კანთმა შეძლო მტერს ხელიდან დასხლტომოდა. მან ნართ-ორხუსთოელების მიერ დაკლული თხის ძვლისგან ჯადოსნური სალამური გააკეთა და სევდიანი მელოდიით ახლობლებს თავისი განსაცდელი შეატყობინა. ამ მელოდიის ხსოვნა ინგუშურმა ფოლკლორმა დღემდე შემოინახა. ჯადოსნური სალამურის მოტივი გვხვდება ქართულ ხალხურ ზღაპარში „წიქარა“. ერთგული ხარი ობოლ ბიჭს სალხინო და საჭირვარამო სალამურს ჩუქნის. ქართულ ზღაპარში განსაცდელში ჩავარდნილი ობოლი ბიჭი, ქოლოი კანთის მსგავსად, სალამურით მოუხმობს თავის მხსნელს.

შუამდინარული ეპოსისა და ბიბლიური თქმულებების პერსონაჟებთან არაერთი პარალელის გარდა, ქოლოი კანთის თავგადასავალი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებთან გენეტიკური სიახლოვით გამოირჩევა, რადგან ქოლოი კანთი, თავისი სოციალური სტატუსითა და პირადი თვისებებით, კვრივი ადგილის აღმომჩენი და სალოცავის დამაარსებელი ხდება. ზნეობრივი სიწმინდე, მწყემსობა, განდეგილობა, ასკეტიზმი, აკრძალვის დაცვა - ქოლოი კანთს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატთა

მკადრეებთან აახლოებს. სწორედ ამ თვისებების წყალობით შეუძლია ადამიანს ცვლილებები შეიტანოს ტრადიციული საზოგადოების ცხოვრებაში და, როგორც იტყვიან, „კულტის დასაბამთან“ აღმოჩნდეს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულმა რელიგიურმა და სოციალურმა ინსტიტუტებმა გავლენა მოახდინეს მეზობელი ხალხების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. სწორედ ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას ხევსურულ და ინგუშურ თქმულებებში საკულტო-რიტუალური და საკრალური ელემენტების მსგავსება.

წმინდა მხედარი სამი ჯვრის უღელტეხილზე

ქოლოი კანთის ინგუშური თქმულება იმ ტიპის ფოლკლორულ ნაწარმოებს მიეკუთვნება, რომლიდანაც სრულფასოვნად შევიცნობთ არქაული და ტრადიციული საზოგადოების ადამიანს. მთის მწვერვალზე სამი გიგანტური ქვის აღმართვა რომ ქოლოი კანთის საკრალურ საქმიანობას უნდა უკავშირდებოდეს, ამაზე ტექსტის სხვა ეპიზოდებიც მიგვანიშნებენ, რომელებიც ჰიეროფანიის აშკარა ნიშნებს შეიცავენ. თქმულების მიხედვით, ქოლოი კანთის დასახსნელად მისმა ძმებმა სამი ჯვრის უღელტეხილი (*„ჶო ჯარ დაღაჩე“*)[45] გადაიარეს, რომელიც მთიან ინგუშეთში ასისა და ჯეირახის ხეობებს ერთმანეთთან აკავშირებს. სამი ჯვრის უღელტეხილი წეჲ-ლამის[46] მთასთან მდებარეობს, რომელიც, ინგუშების რწმენით, წარმოადგენდა მფარველი წმინდანების მიწიერ საბრძანისს. უღელტეხილი დიდ სიმაღლეზე მდებარეობს. მიწაში ვერტიკალურად ჩაგდებული საკმაო სიდიდის სამი მოგრძო ქვა ჯვრის გამოსახულებებით იმ ადგილის განსაკუთრებულ სიწმინდეზე მიუთითებს. უნდა ვიფიქროთ, რომ სამი ჯვრის უღელტეხილზე ოდესღაც სამების სახელობის სალოცავი, ან მისი ნიში უნდა ყოფილიყო აღმართული. ასეთი გეოგრაფიული სივრცე, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზებში კვრივის სახელწოდებით არის ცნობილი,

[45] სამი ჯვრის უღელტეხილს („ჶო ჯარ დაღაჩეს“) საბჭოთა პერიოდში უწოდეს „შკოლნი პერევალი“. საბჭოთა პერიოდში საავტომობილო გზები შეგნებულად გაჰყავდათ წმინდა ადგილებზე.

[46] წეჲ-ლამ: ქართულ ენაზე სიტყვასიტყვით წმინდა მთა, მთაწმინდა.

ქმნის ზებუნებრივი სიწმინდის გამოჩენის საუკეთესო პირობას. ქოლოი კანთის დასახსნელად წასულ ძმებს სამი ჯვრის უღელტეხილზე დიდი სასწაული ელოდათ. თქმულების მიხედვით, „ქოლოი კანთის ძმებს, როცა ისინი ცხენებს მიაჭენებდნენ, იმ ადგილას, სადაც სამი ჯვარია აღმართული, წმინდა მხედარი შემოხვდათ“ (Далгат, 1972: 316). უცნობ მხედარს თქმულება ისეთივე ზებუნებრივი თვისებებს მიაწერს, როგორი ძალაც აქვთ პერსონიფიცირებულ მფარველ წმინდანებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გადმოცემებში. ინგუშური თქმულების მიხედვით, წმინდა მხედარს, რომელიც სამი ჯვრის უღელტეხილზე ქოლოი კანთის ძმებს შეხვდა, ბუნების სტიქიურ ძალებზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია. ის, როგორც წმინდანი, არის შუამავალი ღმერთსა და ადამიანებს შორის. მან იცოდა, რომ თუკი ქოლოი კანთის ძმები ორხუსთოელებს დაეწევოდნენ, გარდაუვალი სისხლისღვრა ატყდებოდა. ამიტომ წმინდა მხედარმა მთელი ღამე ლოცვაში გაატარა: „ღმერთო, დაე, ქოლოი კანთი და მისი ცხვრის ფარის ნახევარი თერგს გამოღმა დარჩეს, ხოლო სესქათ სოლსა, მისი მეომრები და დანარჩენი ცხვრის ფარა - თერგს გაღმა. მათ შორის კი გაჩნდეს დიდი მდინარე, რომლის გადალახვას ამიერიდან ვერცერთი ადამიანი ვეღარ შეძლებს“[47]. იმ დღიდან, - გვეუბნება თქმულება, - ამ ლოცვის შემდეგ, თერგი ისეთი წყალუხვი მდინარე გახდა, რომ ვეღარავინ შეძლებდა მასზე გადასვლას (Далгат, 1972: 316). ტექსტის ეს ეპიზოდი მთლიანად მითოლოგიურ სცენარს ემორჩილება. გადმოცემა წმინდა მხედარს ბუნების ძალებზე ზემოქმედებასა და მდინარის კალაპოტის შეცვლას მიაწერს. ნართ-ორხუსთოელები, ქოლოი კანთი და მისი ძმები ზებუნებრივი მოვლენის უშუალო მხილველნი გახდნენ. თქმულების ორივე ვარიანტს აქვს გამოკვეთილი მითოლოგიური სიუჟეტი, რადგან, რაც თქმულების ფინალში ხდება - მდინარის კალაპოტის შეცვლა და თერგის წყალუხვ მდინარედ გადაქცევა - ზებუნებრივ არსებათა ქმედებების შედეგია, რომელიც, ტექსტის იდეოლოგიიდან გამომ-

[47] ქოლოი კანთის თქმულების ამ ვარიანტის ინგუშური ტექსტი 1928 წელს აულ ბარახში ჰადის ბარახოევისგან ჩაიწერა დ. მალსაგოვმა.

დინარე, მიჩნეულია აბსოლუტურ სიმართლედ და საკრალურ ამბად. რაც შეეხება სამი ჯვრის უღელტეხილს *(„ჴო ჯარ დალაჩე“)*[48], სადაც თქმულების ძირითადი მოქმედება ხდება, ის უნდა გავიგოთ როგორც სამების უღელტეხილი. მ. წაროევას ცნობით, სამი ჯვრის უღელტეხილზე ინგუშები მრავალფეროვან რელიგიურ რიტუალებს მართავდნენ. ისინი იქ თიშუოლის (ღვთისმშობლის) დღესასწაულსაც ზეიმობდნენ, მფარველ წმინდანს მსხვერპლს სწირავდნენ, ანთებდნენ სანთლებს და საერთო ტრაპეზს მართავდნენ. სამი ჯვრის უღელტეხილზე ღილღოდან და მისი მეზობელი კუთხეებიდან უხუცესები იკრიბებოდნენ და რჯულ-სამართლის წესებს განიხილავდნენ (Цароева а 2016: 134). ღილღოში სამების კულტის გავრცელებას, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო ინგუშეთის მეზობლად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სამების სახელობის სალოცავების (გერგეტის სამება, ცროლის სანება) განსაკუთრებულმა პოპულარობამ, რომელთა გავლენა ღილღოზე და მთიან ჩეჩნეთზეც ვრცელდებოდა.

ა. სულეიმანოვმა გამოთქვა თვალსაზრისი, რომ ყველა იმ ჩეჩნურ ტოპონიმში, რომელთა ფუძეშიც გვხვდება „ჴო“, „ჴოც“, „ჴე“ (ე. ი. სამი) მორფემა და აქვთ სამის სემანტიკა, იმალება ქრისტიანული სამების სახელწოდება. ხოლო იმ ადგილებში, სადაც ეს ტიპონიმები დასტურდება, შორეულ წარსულში სამების (ჴენე, Кхоьне) სადიდებლად ეკლესიები და ტაძრები ყოფილა აღმართული. მთიან ჩეჩნეთში, ჰილდიხაროს საზოგადოებაში, დანგრეული აულის ფოჟა-ფჰის მახლობლად ულამაზეს მაღლობს ჰქვია „ჴელგე“ (кхоьлге), რომელიც სიტყვასიტყვით სამებას აღნიშნავს. ა. სულეიმანოვის ცნობით, ჩეჩნურმა ენამ ბოლო დრომდე შემოინახა გამოთქმა: „დელა წე ჴოც იუ“ (Делан цIе кхоъ ю), რომელშიც სამსახოვანი ღმერთი მოიაზრება (Сулейманов 1997: 7). უშუალოდ ქართული სახელწოდებით დამკვიდრდა ინგუშურ ტრადიციაში ერთ-ერთი სალოცავის სახელწო-

[48] სამი ჯვრის უღელტეხილზე ვერტიკალურად სამი ქვა იყო აღმართული, რომლებზეც ჯვრები იყო გამოსახული. ინგუში ხალხის ისტორიის ეს მნიშვნელოვანი ძეგლი 1985 წელს გაანადგურეს.

დება „სანიბა-ერდა“, რომელიც სიტყვასიტყვით „სამების სალოცავს“ აღნიშნავს.

ნართ-ორხუსთოელები „სანიბაში“

ქოლოი კანთის ინგუშურ თქმულებაში კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ტოპონიმი იქცევს ყურადღებას. ტექსტის მიხედვით, მას შემდეგ, რაც სასწაული მოხდა და ღვთის ნებით, სისხლის-ღვრის თავიდან ასაცილებლად, თერგმა მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთს დააშორა, *„ორხუსთოელები სანაბისკენ გაეშურნენ“* (Ахриев, 1870: 311-313). თქმულება არ მოგვითხრობს, თუ რა მოტივით გაემართნენ ორხუსთოელები „სანაბისკენ“. უნდა ვიფიქროთ, რომ სასწაულის მხილველი ორხუსთოელები იქ სამების მოსალოცად წავიდნენ, რადგან „სანაბა“ მომდინარეობს ქართული სიტყვიდან სამება. ჩრდილოეთ ოსეთში გვხვდება რამდენიმე ტოპონიმი სანიბას სახელწოდებით: ზემო სანიბა, ქვემო სანიბა, ძველი სანიბა და მთის სანიბა. უ. დალგათი ორხუსთოელებს სანიბის ხეობის მცხოვრებლებად მიიჩნევს, საიდანაც ისინი ქოლოი კანთს ასის ხეობაში მუხანათურად თავს დაესხნენ. მისი აზრით, ორხუსთოელები ჩრდილოეთ ოსეთის სოფელ სანიბაში ცხოვრობდნენ, რადგან, თქმულების მიხედვით, ისინი კონფლიქტის დასრულების შემდეგ „სანაბისკენ გაეშურნენ“ (Далгат, 1972: 426). ოსი მეცნიერი ი. გაგლოითი ასევე მიიჩნევს, რომ ნართ-ორსთხოელები ჯეირახისა და ასის ხეობებში ჩრდილოეთ ოსეთის სანიბის ხეობიდან იყვნენ მისულები (Гаглоити, 1989: 135). ბ. კალოევის ცნობით, სოფელ სანიბაში ზოგიერთ მიწისზედა აკლდამას ადგილობრივი მოსახლეობა ინგუშების კუთვნილებად მიიჩნევს (Калоев, 1989: 151). ი. დახკილგოვის აზრით, ორხუსთოელები ჩრდილოეთ ოსეთის *„სანაბისკენ* გაეშურნენ“, რადგან იქ ოდესღაც ინგუშების სალოცავი *„სანიბა-ერდა“* მდებარეობდა (Дахкильгов, 2012: 296).

ღილღოში, მის მახლობელ საქართველოს მთიანეთსა და ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში გვხვდება სამების რამდენიმე სალოცავი: გერგეტის სამება, გუდანის „სანე“, ხევსურეთის ცროლის „სანება“, გუროს სანება და ოსეთის „სანიბა“. რ. თოფჩიშვილის ცნობით, სანი-

ბის ეკლესია ყოფილა თრუსოს ხეობის სოფელ შუატიუსშიც (თოფჩიშვილი 2019: 48). აღნიშნულ რეგიონში სამების სახელობის სალოცავების პოპულარობა აიხსნება, ერთი მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის ქრისტიანული აღმსარებლობით, მეორე მხრივ, გერგეტის სამების გავლენით, რომელის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: [არს] „მყინვარის კალთასა ზედა, მონასტერი სამებისა, გუმბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაც ესვენა ნინოს ჯვარი, შვენიერნაშენი, შვენიერ ადგილას“ (ვახუშტი 1973: 357).

ინგუშური თქმულების მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ თერგის სანაპიროზე მომხდარი სასწაულის მხილველი ორხუსთოელები სანიბის მოსალოცად გაეშურნენ.

იმ ვითარებაში, როცა, ქართული წყაროების გარდა, თითქმის არ მოგვეპოვება სხვა ავტორიტეტული ცნობები შუა საუკუნეების ჩრდილოეთ კავკასიაში რელიგიური სიტუაციის შესახებ, აღნიშნულ ინგუშურ თქმულებაში დადასტურებულ ქრისტიანულ ტოპონიმებს, აგრეთვე ცნობებს იქ საკულტო ცენტრების არსებობისა და პერსონაჟთა რელიგიური აღმსარებლობის შესახებ უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ცხადია, ორხუსთოელები, თქმულების მიხედვით, იმ რეგიონში სამების სახელობის რომელიმე ქრისტიანული ტაძრის მოსალოცად გაეშურნენ. როგორც ი. დახკილგოვი ფიქრობს, ორხუსთოელები ჩრდილოეთ ოსეთის „სანიბისკენ“ უნდა წასულიყვნენ, რადგან სალოცავის აღმნიშვნელი ქართული სიტყვა, ინგუშურ და ოსურ ტრადიციაში ტოპონიმადაც დამკვიდრდა.

ოსურ ხალხურ ტექსტებში რიცხვი „სამის“ პოპულარობა და ხშირი გამოყენება ოსურ ტრადიციულ საზოგადოებებში სამების განსაკუთრებულ როლზე მიუთითებს. ნართების ეპოსის ოსური ვერსიის მიხედვით, ღმერთმა ბათრაძის დასატირებლად ციდან სამი ცრემლი ჩამოაგდო. სადაც სამი ცრემლი დაეცა, იქ სამი ტაძარი აღიმართა (ნართები, 1988: 272). მართალია, ბათრაძის დაკრძალვის ტექსტი სამი სალოცავის: რექომის, მიქალგაბირთასა და თარანჯელოზის - დაარსებაზე მოგვითხრობს, მაგრამ თქმულების შინაარსი და იდეოლოგია აშკარად ქრისტიანული სამებით არის შთაგონებული.

სამების სახელობის სალოცავი, ისტორიული დვალეთის გარდა, გვხვდება ჩრდილოეთ ოსეთის სხვა ხეობებშიც. ქრისტიანული ტაძ-

რები და სამლოცველოები ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველმა მისიონერებმა უძველეს პერიოდში დააარსეს. ალაგირის ხეობაში ადგილობრივი მოსახლეობა სანიბას[49] გაზაფხულზე დღესასწაულობდა, რომლის მოსალოცად არა მარტო ახლომდებარე სამი სოფლის: არხონის, ლუარისა და დოიყაუს - მოსახლეობა[50] მიდიოდა, არამედ ჩრდილოეთ ოსეთის შორეული ადგილებიდანაც დღესასწაულს მრავალი მახვეწარი და მლოცველი ესწრებოდა. ზარდავარანის (зæрдæвæрæн) მომდევნო კვირის შაბათს, სულიწმინდის მოფენის დღესასწაულის წინა საღამოს, თაგაურის ხეობის სოფელ სანიბაში იმართებოდა ქარდაგხასანი (кардагхассан), სიტყვასიტყვით, სახლში ბალახის მიტანის დღესასწაული. ჩრდილოეთ ოსეთის სხვა ადგილებში სანიბას ივლისში, პეტრეპავლობის დღესასწაულის შემდეგ, თიბვის დაწყების წინ, აღნიშნავდნენ. სანიბას სადიდებლად მლოცველები მსხვერპლშეწირვას მართავდნენ, ევედრებოდნენ პურეულის უხვ მოსავალს, თიბვის მშვიდობიანად ჩამთავრებას, ნაწველ-ნადღვების ბარაქას, ავადმყოფის გამოჯანმრთელებას. რიტუალის მონაწილეთა სიმრავლით გამოირჩეოდა დღესასწაული, რომელიც ტარდებოდა ცეკვისა და სიმღერის თანხლებით.

საქართველოს მეფეები და სასულიერო პირები უძველესი პერიოდიდან მოყოლებული მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში, მათ შორის ოსეთის ხეობებსა და ინგუშეთში, დაუღალავად ავრცელებდნენ ქრისტიანობას, აშენებდნენ ეკლესიებსა და მონასტრებს, რომლებიც XIX საუკუნეში უკვე ნანგრევების სახით გამოიყურებოდა. ოსები მათ ძუარებს (ძუარი ← ჯვარი) უწოდებდნენ, ინგუშები კი - ერდებსა და ელგუცებს (Мамисимедишвили 2014: 417-431).

შემონახულია არაერთი ისტორიული დოკუმენტი, სიგელ-გუჯარი, რომლის თანახმად, სოფელ სანიბას ქართველი მეფეების მიერ დანიშნული ალდარები განაგებდნენ. ერთგული სამსახურის სანაცვლოდ ქართლის მეფეები მათ ჯამაგირს უნიშნავდნენ (Гутнов, 2004).

---

[49] სამწუხაროდ, თანამედროვე რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველთვის არ არის მითითებული, რომ ოსურ ტრადიციაში სალოცავისა და ადგილის სახელწოდება „სანიბა“ მომდინარეობს ქართული სიტყვიდან „სამება“.

[50] აქედან მომდინარეობს სანიბას ეპითეტი: „ართა ყაუ სანიბა“ (ოს. Арта хъау Саниба), სამი სოფლის მფარველი სანიბა.

მძიმე პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, ჩრდილოეთ კავკასიის ქრისტიანულ ტაძრებზე საქართველოს მეფეები მაინც ზრუნავდნენ. თვით გვიან შუა საუკუნეებშიც კი, ქართლ-კახეთის მეფეებს, როცა მათ ქვეყნის მართვა ირანის ხელისუფლების მხრიდან მუდმივი დევნისა და ზედამხედველობის პირობებში უხდებოდათ, ჩრდილოეთ კავკასიის ქრისტიანულ სიწმინდეებზე ზრუნვა არ შეუწყვეტიათ. ქართლ-კახეთის მეფეებმა ისტორიულ დვალეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში არაერთ ტაძარსა და ძუარს შეაბეს ზარი (მამისიმედიშვილი, 2015: 21). 1683 წელს არჩილ მეფემ ძივღისის ძუარისადმი თავისი მოძმეობა ზარის შეწირვით გამოხატა, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს: „მე, მეფე არჩილმა, მოგიძღვენი ესე ზარი ძიბღისის[51] ჯვარს: ღმერთმა ინებოს, რომ მის ხმაზე მოდიოდნენ ოსები სამების სადიდებლად!“ (Мамиев 2010).

სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია სხვა ისეთ წერილობით წყაროს, რომელიც ქართველი მეფეების ძუარებთან საკრალური ურთიერთობის დამატებით დეტალებზე მოგვითხრობდა. თუმცა შეწირული ზარები ქართველ მეფეთა ძუარებთან მოძმეობის მკაფიო დასტურია, რომელიც ვახტანგ გორგასლის, თამარისა და ლაშა გიორგის ეპოქებიდან იღებს სათავეს. ადგილობრივი მოსახლეობის კონსოლიდაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა ქართველ მეფეთა მიერ წმინდა სალოცავისთვის შეწირული ზარების ხმას, რომელიც კავკასიელ მთიელ ხალხებს, როგორც სამების მადიდებელ ყმებსა და ქართლის მეფის ქვეშევრდომებს, „ერთ შესაკრებელში“ უხმობდა.

ცროლის სამების ჯვარი და ღილღველები

1870 წლის 10 ოქტომბერს დაწერილ პუბლიკაციაში ჩ. ახრიევი აღნიშნავდა, რომ, მართალია, ინგუშებში შენარჩუნებული იყო სამების რწმენა და მთიელი ინგუშები მას ფიცულობდნენ, მაგრამ მათ უკვე აღარ შეეძლოთ აეხსნათ, რას წარმოადგენდა სამსახოვანი ღმერთი (Ахриев, 1871: 318).

[51] ძიბღისის: უნდა იყოს ძივღისის.

უნდა ვიფიქროთ, რომ სამების სახელობის სალოცავები ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებში, კერძოდ, ოსებსა და ინგუშებში, უძველეს პერიოდში დაარსდა, როცა კავკასიის მაღალმთიანეთში ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს თაოსნობით ქრისტიანობა ვრცელდებოდა. ცენტრალური კავკასიის მთიელებში სამების ასეთ პოპულარობას, ბუნებრივია, ხელი შეუწყო ხევის უმთავრესმა სიწმინდემ გერგეტის სამებამ, სადაც, საეკლესიო ტრადიციის თანახმად, ანდრია პირველწოდებულს ჯვარი აღუმართავს (სანიკიძე, 1975: 93), ხოლო ძნელბედობის ჟამს იქ წმინდა ნინოს ჯვარი ინახებოდა. გერგეტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მითოლოგიური ტრადიციაც აღიარებს. გადმოცემის მიხედვით, მორიგე ღმერთმა ღვთისშვილები ზეციდან მიწაზე რომ მოავლინა, თავდაპირველად გერგეტში, „სიწმინდეთა შესაკრებელსა და სახიზარში“ დააბინავა.

ხევსურული ანდრეზი მოგვითხრობს, თუ როგორ ეფინებოდა ქვეყნიერებას სამების სიწმინდე. ხევსურეთის სამებაც „სრუ პირველად გერგეტით ყოფილა მოსული და ცროლის წვერს დაარსებული“ (ანდრეზები 2009: 76). ხუცესები მას მრავალი ეპითეტით მოიხსენიებენ და ადიდებენ: „ცროლისწვერ წმინდაო სანებაო, ყინვრისლოგინიანო, ნისლის კოტორში გახვეულო“ (ანდრეზები, 2009: 76), ან „დიდება-დ’ გამარჯვება შენდა, სანებავ, მფრინავო ანგელოზო, ცროლის წვერისავ!“ (სადიდებლები, 1998: 51). ქართველი მთიელების, კერძოდ ხევსურების, მითო-რელიგიურ გადმოცემებსა და ჯვარ-ხატთა სადიდებლებში სამება მფრინავ ანგელოზად არის წარმოდგენილი. ზ. კიკნაძის აზრით, ის ჯვარი, რომელიც ფრენით მოვიდა ცროლის წვერზე, ისტორიულ ხანაშიც განაგრძობს ფრენას. ჯვრის მოგზაურობა ადგილ-ადგილ, „კოჭის მოკიდებით“, დაკავშირებულია საყმოს ტერიტორიის წმინდაყოფასთან, რაც იმავდროულად არის მისგან ამ ტერიტორიის დაუფლება (კიკნაძე, 2016 ა: 47-48).

აღსანიშნავია, რომ ხევსურების მეზობლად ასის ხეობაში მცხოვრები ღილღველების ერთ-ერთი სალოცავი ამავე ეპითეტით მოიხსენიება: „მფრინავი“, „ფრთოსანი“ ანგელოზი, ინგუშურ ენაზე - „თამიჟერდა“ (Тамыж-ерда).

ხევსურეთში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის მაღალ მთაზე, ცროლის წვერზე დაბრძანებულ სანებას ქედის ორივე მხარეს ლოცულობდნენ: გორშეღმის ხეობაში - წინხადუელები და უკანხადუელები, ხოლო არხოტის მხარეს - კალოთანლები. მართალია, არხოტის მხარეს სამების ჯვრის ნიში სოფელ კალოთანასთან[52] მდებარეობდა, მაგრამ ამინდის გამოთხოვის რიტუალის დროს არხოტის სამი სოფლის - ჭიმღის, ახიელისა და ამღის მოსახლეობა სამების ჯვარს სტუმრობდა. ისინი ყოველწლიურად მორიგეობით სამების ჯვარს ჭირნახულის სამხვეწროს სწირავდნენ. მათი რწმენით, „სანებას ყველაფრის გაკეთება შეეძლო, რადგან ის ყველაზე უფროსი იყო“ (ოჩიაური 1988: 146). აღნიშნული რიტუალიდან ირკვევა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მფარველ წმინდანთა იერარქიაში სამების განსაკუთრებულ როლს აღიარებდა. სანების ყმებად ითვლებოდნენ ცროლის მთის აღმოსავლეთით, სოფ. გუროს მცხოვრებლებიც. გუროს სანება ადგილობრივი თემის მთავარი სალოცავი იყო და მას ცროლის სანების მოძმეს უწოდებდნენ. შ. ნაკაიძე სანების ჯვარს ფართო განფენის არეალის მქონე სალოცავს უწოდებს (ნაკაიძე 2016). სამების ხატს თუშეთშიც ლოცულობდნენ. წოვათის შუაში ერთ ადგილს სანების გორი ჰქვია, რომლის ძირშიც აღმართული არის სანების სახელობის სალოცავი. გ. ბოჭორიძის ცნობით, წოვები სანებას მკათათვეში დღესასწაულობდნენ და დღეობას დადალობას უწოდებდნენ (ბოჭორიძე 1993: 295). გ. ხორნაულს ფშავში დაფიქსირებული აქვს ტოპონიმი „სანების გორი, რომელიც ვაკისოფლის აღმოსავლეთით, ხევს გაღმა, ნასოფლარ ჭიდალის თავზე მდებარეობს (ხორნაული 2015: 300). ხევსურეთის უმთავრესი რელიგიური ცენტრის გუდანის ჯვრის სამთო სალოცავი „სანე“ სამების სახელზე უნდა იყოს დაარსებული. იგი უძველეს ვითარებას უნდა ასახავდეს, რადგან დროთა ვითარებაში მაწარმოებელი სუფიქსი „ება“ (სამ-ება → სან-ება → სანე) ამ სიტყვას ჩამოშორებია და სალოცავს „სანე“ დარქმევია.

[52] კალოთანა 1900-1901 წლებში მოსახლეობისგან დაცლილა. ადგილობრივი ქიბიშაურები კალოთანიდან კახეთში, ს. ქისტაურის თავზე, ასხაბარში, ჩამოსახლებულან და იქ გადმოუტანიათ თავიანთი სალოცავის - ცროლის წვერის წმინდა სანების ნიში.

ანდრეზების მიხედვით, ცროლის სანებას, ხევსურეთის ამ ერთერთ უდიდეს სიწმინდეს, ღილღოს ორ სოფელში, ხამხასა და ნეთხიჩოში, ბოლო დრომდე[53] ლოცულობდნენ და ადგილობრივი მცხოვრებლები შესაწირავს სწირავდნენ. როგორც ჩანს, სიტუაცია მოგვიანებით შეცვლილა და, ალბათ, მთიან ინგუშეთში ისლამის მომძლავრების შემდეგ ნეთხიჩოელებსა და ხამხელებს სამების ჯვრის ლოცვა და მსხვერპლის შეწირვა შეუწყვეტიათ. ანდრეზი გვიჩვენებს, რომ ისლამის ღილღოში გავრცელება უმტკივნეულოდ არ მომხდარა და სანების ჯვარი ღილღოს ორ სოფელში ე. წ. „სტატუს-კვოს“ შენარჩუნებას მაინც ცდილობდა. „სანების“ ჯვრის ბრძანებით, სამი კულტმსახური ხევსურეთიდან საკულტო დროშით ღილღოში ბეგრის ასაღებად წასულა. ხევსურული ტექსტი ღილღველებისა და სანების ჯვრის ურთიერთობას მითოლოგიური სიუჟეტითა და სიმბოლოებით გადმოგვცემს. ანდრეზი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი მოგვითხრობს სანების ჯვრის მშვიდობიან მოგზაურობას ღილღოში, ღილღველების მიერ სანების თაყვანისცემასა და სანების ჯვრის დროშით ბეგრის აკრიფას. ანდრეზში სანების ჯვარი ტრადიციული საკრალური ნიშნით - მტრედის აღით არის წარმოდგენილი, რომელიც ჯვრის მკადრეს ხელზე მოუდიოდა, ხოლო ღილღოში ადგილობრივ მლოცველს მისი გამოჩენა შიშის ზარს სცემდა: „გაწყრ სანების ჯვარი დ’ კიდობანჩიით ამახტა, მაღლა დაჯდ. ღილღვლებმ რო ნახეს, შაშინდესა დ’ მუჯლმაყრით სთხოვეს პატივება“ (ანდრეზები 2009: 82). ანდრეზი, ტრადიციული საზოგადოების თვალთახედვით, სრულიად რეალურ ვითარებას ასახავს. როგორც ჩანს, ღილღველებისთვის უცხო არ ყოფილა სანების ჯვარიონის[54] გამოჩენა, რადგან ხუცესი ბაჭუაისძე ჯვრის დროშისა და ორი დასტურის თანხლებით

[53] სავარაუდოდ XIX საუკუნის ბოლომდე.

[54] ჯვარიონი: ჯვარის, სალოცავის მსახურების საერთო სახელწოდება. ჯვარიონში შედიოდა ხუცესი, დასტური, მეგანძური. როგორც სანების ჯვრის ხუცესმა ბეწიწურ არაბულმა მიამბო (2018 წ. თეთრიწყლები), ოჯახები სახლის გასანათლად რამდენიმე სალოცავის ჯვარიონს (ჯვრის დროშებითა და თას-განძით) ერთდროულად იწვევდნენ. რიტუალი სახლის ბანზე ტარდებოდა და მოწვეული ხუცესები, თავ-თავიანთი სალოცავების საკულტო დროშების ზარების წკრიალით, სალოცავ-სავედრებლებს, სადიდებლებსა და ხუცობა-კურთხევანს ერთდროულად აღავლენდნენ, ამწყალობნებდნენ შესაწირს.

ღილღოს სოფლებს სრულიად უშიშრად სტუმრობდა (მამისიმედიშვილი 2009: 105). სანების ჯვარი ამგვარი ლაშქრობა-მოგზაურობით თავისი საყმოს გეოგრაფიულ საზღვრებს აფართოებდა და ზრდიდა მფარველობის ქვეშ მყოფი ყმების რაოდენობას. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, სანების ჯვარიონი კავკასიონის ქედს გადაღმა ხეობების არცთუ იშვიათი სტუმარი იქნებოდა.

ანდრეზის მეორე ნაწილი გადმოგვცემს კავკასიონის ქედს გადაღმა და ქედს გადმოღმა სამების მადლისა და სიწმინდის მოფენას, გეოგრაფიული სივრცის საკრალიზებას, სამების სახელობის საკულტო ცენტრებისა და სალოცავების აღმოცენებას ღილღოდან მოყოლებული - უკან ჴადუმდე დამთავრებული (ანდრეზები 2009: 76).

თავის მკადრეზე გამწყრალი სანების ჯვარი კულტმსახურს აღარ მიჰკარებია, ღილღოდან გამოფრენილა და არხოტში, კალოთანას დამჯდარა. იმ ადგილას სანების ჯვრის სალოცავი ნიში დაუარსებიათ. სანება იქიდანაც გაფრენილა, ჯერ შიტუს და მერე ცროლისწვერს დამჯდარა, სადაც *„სრუ წინწინ იყვ დაარსებულ.“* ჯვარი იქიდან ჴორიელს, წინჴადუს და მაჭეხის მუხის ნერგზე მოსულა, სადაც სანების სალოცავი ნიში აღუმართავთ და „ბარის სანება“ დაურქმევიათ. *„აიქით წასულ, საჯანგეს ტყეში შავიდ“*, სადაც კვრივი აშენდა და ხუცესის მეტი იქ ვერავინ მიდიოდა. *სულ ბოლოს სანების ჯვარი უკანხადუსთან, ზაის, დაარსებულა, სადაც არის მისი მიწიერი საბრძანისი, ჭერო-ბელელი, დარბაზი, საზარე, საჯარე და საქვაბე* (ანდრეზები 2009: 76).

ანდრეზი მითოლოგიური სიმბოლოებით გადმოგვცემს სანების ჯვრის სალოცავების დაარსებას კავკასიონის ქედის გადაღმა და გადმოღმა მდებარე სოფლებში, ღილღოდან უკანჴადუმდე. ანდრეზი, ცროლისწვერის გარდა, კიდევ შვიდ ადგილს ასახელებს, სადაც სანების სალოცავი აღიმართა, მისი სახელობის დღეობები და კულტი დაწესდა, ესენია: კალოთანა, შიტუ[55], ცროლისწვერი[56],

[55] შიტუ: საზაფხულო სამთო ადგილი. კალოთანლები და ამღელები იქ ათენგენობის დღესასწაულზე სანების ნიშთან ლოცულობდნენ.

[56] ცროლისწვერი: ცროლის მთა, მდებარეობს კავკასიონის მთავარ ქედზე, ხევსურეთის არაგვის, ასისა და არღუნის სათავეებში, კალოთანის უღელტეხილის აღმოსავლეთით. სიმაღლე - 3441 მ.

ჴორიელი[57], წინჴადუ, მაჭეხის მუხის ნერგი (ბარის სანება), საჯანგის ტყე[58] და ზაი. ანდრეზში ასახული გეოგრაფიული სივრცე, კონკრეტული ტოპონიმები და ცოცხალი საკულტმსახურო რიტუალი, რომელიც გორშეღმის ხეობაში დღემდე შემორჩა, გადმოცემას უტყუარი სინამდვილის პრეტენზიით ავსებს.

ისლამის გაძლიერების შემდეგ მთიანი ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან ზოგიერთი გვარის წარმომადგენელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს, მათ შორის ხევსურეთს შეეხიზნა და იქ განაგრძო ჯვარ-ხატთა ტრადიციული სამსახური. სანების ჯვართან ვაინახების საკრალური ურთიერთობა მთიან ჩეჩნეთ-ინგუშეთში ახალი რელიგიის გაბატონების შემდეგაც გაგრძელდა. ვაინახებისა და ჯვარ-ხატების ურთიერთობის რეალურ ისტორიებს ხევსურული ანდრეზი ფოლკლორული სახე-სიმბოლოებითა და მითოლოგიური სცენარის მიხედვით წარმოგვიდგენს, რადგან, როგორც მ. ელიადე აღნიშნავს, *„ზოგჯერ რაიმე ამბავი და მოვლენა გასაოცრად სწრაფად იქცევა ხოლმე მითად“* (ელიადე 2017: 71).

ხევსურული ანდრეზის თანახმად, ცროლის სანებამ მითხოელ მჭედელს, გვარად ხაიაურს, და მის შთამომავლებს სანების ჯვრის მსახურება დააკისრა. ჯვრის სამსახური კი, როგორც წესი, მხოლოდ რჩეულებს უხმობდა, რომლებსაც ღვთაებრივი გამოცხადებისა და საინიციაციო რიტუალების გავლის შემდეგ მფარველი წმინდანის საიდუმლო სამსახური ევალებოდათ, მათ შორის რჩეულებს ხუცობის უფლებაც ეძლეოდათ.

სანების ჯვრის ბრძანებით მითხოდან (მთიანი ჩეჩნეთიდან), კერძოდ სოფელ არლიდან, ჴადუში მჭედელი მოუყვანიათ, გვარად ხაიაური. მას ჯვრის კუთვნილი ქვაბი უნდა შეეკეთებინა, რადგან *„ჴევსურეთ ამის გაკეთება აღარვის შაზძლებივ, აღარვინ ყოფილ მჭედელ“* (ანდრეზები 2009: 85-86). მჭედლობა ტრადიციულ საზოგადოებაში მამაკაცთა საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მისტიკურ სფეროს წარმოადგენდა. მითხოელმა მჭედელმა სანების ქვაბი შეაკეთა, მას გასამრჯელოც მისცეს, რაც ეკუთვნოდა და შინისკენ მშვიდობიანად

[57] ჴორიელი: ადგილი ცროლის მთის მახლობლად.
[58] საჯანგის ტყე: ადგილი უკანჴადუში, კვრივი.

გაისტუმრეს. მაგრამ მჭედელი გზაში დაბრმავებულა და გზა ვეღარ გაუგრძელებია. ეს ამბავი რომ გაუგიათ, ხადუელები წასულან და მჭედელი კვლავ ხადუში მოუყვანიათ. სანებას ქადაგის პირით უთქვამს: *„თუ გულს ამაირეცხავ, რო აღარ წახოლავ, მაშინ აგეხილებავ თვალთავ. თუ არა და, ეგეთა უნდა იყვავ. შენის თვალების იმედ ნუღარ გაქვავ“*. მჭედელ ხაიაურს ჯერ ვერ გაუბედავს ხადუში დარჩენა. შემდეგ სანების ჯვარს კვლავ გამოუცხადებია ქადაგის პირით: *„მამულსაც მე მივსცემავ, ოღონდ აქ დარჩესავ“* (ანდრეზები 2009: 85). მაშინ მჭედელი დაჰყოლია სანების ჯვრის ნებას, დარჩენილა ხადუში და თვალის ჩინიც დაბრუნებია. მისთვის ჯვრის სიახლოვეს მიუციათ მამული. იმ ადგილს ერქვა ზაი და მჭედლის შთამომავლები ატარებენ გვარად ზაიელს. ზაიელები, მოყოლებული იმ მჭედლიდან, იყვნენ ჯვარის მსახურნი და ხადუელებს სანების ჯვართან შუამავლობდნენ. ყველა საჯვარო საქმეს, თას-განძის შენახვას, რჯულის წესების მიღებას, მოსისხლეების შერიგებას ხადუში ზაიელები უძღვებოდნენ. *„ჯვარის შიშით ზაიელთ ჴმას ვერაად ვინ გასცემს.“* - მოგვითხრობს ანდრეზი.

რასაკვირველია, ხაიაურ-ზაიელთა ხუცობა გამონაკლისი არ იქნებოდა ხევსურეთის ჯვარ-ხატთა მსახურების ისტორიაში. მითხოს, ღილღოს, მაისტისა და ტერელოს სალოცავებს არაერთი გამორჩეული და ერთგული კულტმსახური ეყოლებოდა, რომელთა შესახებ სამწუხაროდ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. გადმოცემების მიხედვით, მთიელი ჩეჩნებისა და ინგუშების ხევსურეთის ჯვარ-სალოცავებთან საკრალური ურთიერთობის სამი სახე იკვეთება. ჯვრის ბრძანებით ქისტეთიდან მოსული ხუცესის რჩეულ მსახურად დანიშვნა ურთიერთობის ყველაზე მაღალ და საპატიო სახედ შეიძლება მივიჩნიოთ. საკრალური ურთიერთობის არანაკლებ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ხევსურეთის ჯვარ-ხატებში ქისტი მლოცველის მეზღვნედ მოსვლა. მთიან ჩეჩნეთ-ინგუშეთში ისლამის გავრცელების შემდეგ ისინი მოსალოცად და მსხვერპლის შესაწირად ძირითადად ანატორისა და ხახმატის ჯვრებს სტუმრობდნენ, რომლებიც ამ მიზეზით „რჯულიან-ურჯულოთა“ სალოცავებად იწოდებოდნენ. იყო კიდევ ღილღველების, მითხოელებისა და მაისტე-

ლების ჯვარ-სალოცავებთან ურთიერთობის მესამე სახე, როცა ხევსურეთის ჯვარ-ხატებში რელიგიურ დღესასწაულებს ქისტები უბრალოდ სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ. ანდრეზების მიხედვით, ხევსურეთის სალოცავებში სტუმრად მოსული ღილღველები, თავიანთი სოციალური სტატუსის განურჩევლად, ჯვარში ქცევის წესების საუკეთესო ცოდნას ავლენდნენ. მათ იცოდნენ, რომ ჯვრის კვრივში შებიჯება და მისი დალახვა ყველას სასტიკად ეკრძალებოდა, ხოლო გამოუვალ სიტუაციაში კვრივს შეფარებული ადამიანი, მას რა დანაშაულიც არ უნდა ჰქონოდა, ხელშეუხებელი იქნებოდა.

უკან ჴადუს სანების ჯვართან ღილღველების ურთიერთობის უაღრესად მნიშვნელოვან დეტალებზე მოგვითხრობს ანდრეზი, რომელიც გვხვდება ალ. ოჩიაურის ჩანაწერებში, კერძოდ ბუდე ხევსურეთის რელიგიური დღესასწაულების აღწერაში. თვითონ გადმოცემას აქვს მძაფრი სათავგადასავლო სიუჟეტი და დატვირთულია მდიდარი ყოფითი და მითორელიგიური მოტივებით. ანდრეზში ძირითადი მოქმედება ხდება ხევსურეთში, სანების ჯვრის ერთ-ერთ კვრივში - საჯანგის ტყეში.

ერთხელ ღილღოს სოფელ ნეთხიდან[59] ბაცალიგოში საქურდაოდ წამოსული ფარეშა და ბერდა ხევსურებს დაუნახავთ. ნეთხა ის სოფელი იყო, რომელიც სანების ჯვარს ბეგარას უხდიდა. სანების ჯვართან დაკავშირებით ქისტებმა იცოდნენ, რომ თუ ხევსურ მდევარს უკანხადუს მახლობლად საჯანგის ტყეში შეასწრებდნენ, იქ სანების ჯვრის ნიში იყო და ხევსურები სალოცავის შიშით ხატის ტყეში ვეღარ შევიდოდნენ. ქისტებს მოუხერხებიათ საჯანგის ტყეში შესვლა და მიმალვა, თუმცა შეტაკება მაინც მომხდარა და ბლომად სისხლიც დაღვრილა. ფარეშა, რომელიც ერთადერთი ყოფილა მათ შორის, ვინც შეტაკების დროს ცოცხალი გადარჩენილა და შინ, ღილღოშიც მშვიდობით დაბრუნებულა, მოგვიანებით უკანხადუელებისთვის უთქვამს: „–იქაო, კოშკთან, ერთი ქვა იყო და იმას გამოვსწიეო, შიგ ჯვარი გამოჩნდა, რომელიც მოძრაობდაო. ამოვიღე სამი მანეთი ფული, შევსწირე და ჯვარს დახმარება ვთხოვეო. საფარველი დამდო სანების ჯვარმა და ხევსურები ვეღარ მხედავდნენო. წამოსვლაშიაც ხევ-

[59] ნეთხი, იგივე ნეთხიჩო.

სურებს გვერდზე გამოვუარე, ვერ დამინახეს და ამნაირად სანების ჯვარმა მიხსნაო“ (ანდრეზები 2009: 77-78). ფარეშა, როგორც ტრადიციული ადამიანი, განსაცდელის დაძლევას ჯვრის ძალას მიაწერს. „ამის შემდეგ ყოველ წელს ფარეშა წელგამოვლილ ცხვარს კლავდა სანების ჯვარისათვის.“ – მოგვითხრობს ანდრეზი.

როგორც ჩანს, ფარეშას მონათხრობმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა სანების ჯვრის ხევსურ ყმებზე, რომლებმაც ეს დრამატული ისტორია მომავალ თაობებს ანდრეზის სახით შემოუნახეს.

ქართველი მთიელების საკულტო ცენტრებთან ვაინახების ურთიერთობა ცალმხრივი არ ყოფილა. მთიან ინგუშეთში, ტყობა-ერდის ეკლესიაში, სადაც მეხქ-ჴელი (ქვეყნის სათათბირო) იკრიბებოდა, გ. ღამბაშიძის აზრით, სამართლებრივი, საშინაო და საგარეო საკითხების მოსაგვარებლად, ადგილობრივ უხუცესებთან ერთად, „რჯულის კაცები“ მეზობელი საქართველოდანაც ესწრებოდნენ (Гамбашидзе 2003: 353). ტყობა-ერდის ანალოგიური საბჭოები საქართველოს მთიანეთის არაერთ საკულტო ცენტრთან არსებობდა: გერგეტის სამებაში, ლაშარის ჯვარში, გუდანის ჯვარში, სადაც ანდრეზული ცოდნით დაჯილდოებული და ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ადამიანები ღვთისმსახურების წესებს, რჯულს, ადათსა და სამართალს განიხილავდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში სამების სახელობის ტაძრებისა და ქართული სახელწოდების ტოპონიმების („სანიბა“) არსებობა ქართული ქრისტიანული კულტურის გავლენაზე მიუთითებს.

ცალკეული გამითიურებული ელემენტები ქრისტიანული სამების შესახებ, ხევსურული ანდრეზების გარდა, დასტურდება ინგუშურ და ოსურ თქმულებებშიც. ზეპირი გადმოცემებიდან ირკვევა, რომ ქართველი მთიელები და მათი მეზობლები მფარველ წმინდანთა იერარქიაში სამების განსაკუთრებულ როლს აღიარებდნენ. თუმცა ხალხურმა მითოპოეტურმა შემოქმედებამ ქრისტიანული წარმოდგენები სამების შესახებ მითოლოგიურ ყალიბში მოაქცია, კერძოდ, ქოლოი კანთის ინგუშური თქმულება ქრისტიანულ მოტივებს მითოლოგიური სახე-სიმბოლოებით წარმოგვიდგენს, რომელთა შორის მთის მწვერვალზე სამი ლოდის ვერტიკალურად აღმართვა, სავარაუდოდ, ქრისტიანული კულტის დაწესებაზე, სამების სალოცავის დაარსებაზე მიუთითებს.

ესქატოლოგიური მოტივები

გამოქვაბული და თასი

კავკასიის ხალხთა თქმულებებში დასტურდება ესქატოლოგიური მოტივები, რომლებიც ბოლო ჟამის მისტიკურ მოვლენებზე მოგვითხრობენ. კლდეზე მიჯაჭვული და გამოქვაბულში გამოკეტილი გმირები თავიანთ გათავისუფლებასა და, ზოგადად, სამყაროს ხსნას სწორედ ესქატოლოგიურ მომავალს უკავშირებენ. ესქატოლოგიურ მოტივებზე აგებულ ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში ყურადღებას იქცევს საერთო მითოლოგიური სიმბოლოები, რომელთა შორის აღსანიშნავია მთის მწვერვალი, გამოქვაბული, საკრალური თასი, მტრედი და მამალი.

იმ დროს, როცა ნართულ თქმულებათა სხვა პერსონაჟები ფლობდნენ კოშკებსა და ციხე-დარბაზებს, ინგუშური ეპოსის მთავარი გმირის - სესქათ სოლსას ერთადერთ საცხოვრებელს გამოქვაბული წარმოადგენდა. ვფიქრობ, შემთხვევით არ უნდა იყოს გამოქვაბული ეპოსის მთავარი გმარის სამყოფელი. სესქათ სოლსა ცხოვრობს გამოქვაბულში და ბოლოს თავის სიცოცხლეს სამოცდასამ ნართ-ორსთხოელთან ერთად ზოგალ-დუყის გამოქვაბულში ასრულებს.

ცნობილია, რომ ქრისტიანი ასკეტები თავიანთ წმინდა საყუდლად ხშირად გამოქვაბულს ირჩევდნენ, რადგან, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, გამოქვაბული იქცა „სულიერი შუაგულისა და საინიციაციო ტაძრების სიმბოლოდ“ (რ. გენონი). ქართველ მთიელთა მითოლოგიურ ტრადიციაში გამოქვაბული მიჩნეულია წმინდა ადგილად. ანდრეზული ტრადიციით, გერგეტის გამოქვაბულში, ღვთისშვილთა და ანგელოზურ არსებათა სამყოფელში, მხოლოდ რჩეულებს შეეძლოთ მოხვედრა.

ინგუშური ნართების ეპოსის ზოგიერთ ფინალურ ვერსიაში მოქმედება გამოქვაბულში ხდება, რომელიც ნართ-ორსთხოელების დაღუპვის ეპიზოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ცნობილია, რომ უძველესი პერიოდის ქრისტიანები გამოქვაბულში იკრი-

ბებოდნენ და მასში აღავლენდნენ ლიტურგიას. გამოქვაბული, როგორც ქრისტიანი ბერების წმინდა სავანე გვხვდება ქართულ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში, კერძოდ ასურელი მამების ცხოვრებაში, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის ცხოვრებაში. გამოქვაბულში გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი წლები ბერმა ხვედიოსმა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით. ასევე ცნობილია აგიოგრაფიული ლიტერატურიდან პარეხელი[60] ბერების ისტორიები. ღრმა არქაული სიმბოლიკის შემცველია სესქათ სოლსას წინამძღოლობით სამოცდასამი ორსთხოელის, ერთი მეომრული საზოგადოების წევრების, უკანასკნელი შეკრება გამოქვაბულში, მათი თათბირი და თასის ჩამოტარება. გამოქვაბულში ნართ-ორსთხოელთა აღსასრული რომ ადრეული ქრისტიანული ტრადიციის გამოძახილია, ი. დახკილგოვიც მიუთითებს (Дахкильгов 2012: 577). მკვლევარს პარალელები მოჰყავს შვიდი ეფესელი ყმაწვილის ცხოვრებიდან, რომლებსაც ოქლონის მთის გამოქვაბულში ღვთის ნებით მიეძინათ „ტკბილითა სიკუდილითა“, ვიდრე მათ ქრისტიანობის აღიარებისთვის გამძვინვარებული იმპერატორი დეკიუსი (249-251 წწ) დასჯიდათ. აგიოგრაფის ცნობით, როცა უსჯულო ხელისუფალმა ნეტართა ადგილსამყოფელი გაიგო, ბრძანა, მღვიმის შესასვლელი ქვებით ამოექოლათ, რომ ყმაწვილები შიგ შიმშილითა და წყურვილით ამომწყდარიყვნენ. შვიდი ეფესელი ყრმის აგიოგრაფია სასწაულით მთავრდება, რადგან დაახლოებით ორასი წლის შემდეგ ისინი კვლავ აღდგნენ და გამოქვაბულიდან გამოვიდნენ (წმინდანთა ცხოვრება 2001: 67). მსგავსება ამ ორ ტექსტს შორის ის არის, რომ ორივე მათგანში მოქმედება ხდება გამოქვაბულში, ერთგან ოქლონის მთის, ხოლო მეორეგან ზოგალ-დუყის მთის გამოქვაბულში. ორივე ტექსტში მოქმედი პირები მეომრები არიან. ორივე ტექსტს აახლოებს ესქატოლოგიური მოლოდინი, რომ დადგება ჟამი, როცა თავისით გაიღება კარი, მეომრები საბოლოოდ აღდგებიან და გამოქვაბულიდან გამოვლენ. თუმცა გმირების გამოქვაბულში შესვლისა და აღსასრულის მოტივაცია აგიოგრაფიულ ნაწარმოებსა და ხალხურ თქმულებაში ერთმანეთისგან განსხვავდება.

[60] პარეხი ძველ ქართულ ტექსტებში აღნიშნავს კლდეს, მღვიმეს, გამოქვაბულს.

თქმულებაში, რომელიც სესქათ სოლსასა და ნართ-ორსთხოელების აღსასრულზე მოგვითხრობს, ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ქრისტიანული სიმბოლო - რიტუალური თასი.

თასი, რომელიც ინგუშური ეპოსის ფინალურ ნაწილში გამოჩნდება და ნართ-ორსთხოელებს უპყრიათ ხელში, გვაგონებს ოსური თქმულებების ვაცამონგას. თასი ალაგათების დიდ ხაძარში ინახებოდა და ნართებს ის დიდ შეკრებებსა და დღესასწაულებზე ისე გამოჰქონდათ, როგორც ხევსური ხუცესები გამოაბრძანებდნენ ხოლმე სახუცო კოჭობს ჯვარ-ხატთა დღესასწაულებზე. მითოსი იცნობს არაერთ თქმულებას, რომელიც რიტუალური თასის ზეციურ წარმომავლობაზე მოგვითხრობს. ასეთია გრაალის თასი. მას საფარველი ადევს, მაგრამ პერიოდულად ჩნდება. ყველა ამ საკრალური თასის არქეტიპს ხშირად ის ბარძიმი განასახიერებს, საიდანაც საიდუმლო სერობაზე მაცხოვარმა თავისი მოწაფეები რიგრიგობით აზიარა. ნართ-ორსთხოელთა შეკრება გამოქვაბულში საიდუმლო რიტუალის ნიშნებს შეიცავს, რადგან სასმელს ისინი ერთი თასიდან რიგ-რიგობით სვამენ, რომელიც გამოქვაბულში ჩამოტარდება და ამით ისინი თავიანთ ერთიანობას ადასტურებენ.

ეს ეპიზოდი საიდუმლო სერობის სახარებისეული ეპიზოდის ერთგვარ პარადიგმას წარმოადგენს, რომელიც მითოსურმა სტიქიამ ეპიკურ სიუჟეტად გარდაქმნა. მ. ელიადე ამგვარ რელიგიურ ქცევას მითიურ აზროვნებას უკავშირებს, რადგან, მისი აზრით, ხსნა სამაგალითო დრამისა და მოძღვრებით გაცხადებული უზენაესი მოდელის მიბაძვით მიიღწევა (ელიადე 2009: 147).

ინგუშურ თქმულებაში ნართ-ორსთხოელთა აღსასრული უამრავ კითხვას ბადებს. ნართებმა მაინცდამაინც გამდნარი სპილენძით რატომ მოისწრაფეს სიცოცხლე? ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში გამდნარი სპილენძი ნართი გმირების ეპიკურ სასმელს წარმოადგენს, რომელსაც ზოგიერთ ვარიანტში განსაკუთრებული თვისებები მიეწერება. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ გამდნარი სპილენძის მოტივი თქმულებაში მოგვიანებით, ისლამის გავლენით სხვა სასმელს ჩაენაცვლა. ყურანის 44-ე სურის თანახმად, ჯოჯოხეთის ხის - ზაქუმის ნაყოფი, რომელიც ცოდვილთა საკვები იქნება, მათ სტო-

მაქში გამდნარი სპილენძივით ადუღდება, ისე როგორც მდუღარე წყალი თუხთუხებს.[61] თუმცა არ ვიცით, ეპოსის თავდაპირველ ვარიანტებში იყო თუ არა ნართი გმირების სასმელი ნამდვილად გამდნარი სპილენძი, რომლითაც მათ თავი დაიღუპეს. „საიდან, როგორ და რატომ გაჩნდა სპილენძი ინგუშურ ეპოსში, პასუხი არ არის“. - წერს ი. დახკილგოვი (Дахкильгов 2012: 512). ნართების ეპოსის ზოგიერთ ვარიანტში სპილენძის ნაცვლად ხსენდება „ჩაა“, რომელსაც არავინ იცის, როგორი შემადგენლობა ჰქონდა. მისი საიდუმლო დიდი ხანია დაიკარგა. ზოგიერთი მეცნიერი საიდუმლო სასმლის ახსნას ინგუშურ ენაზე სიტყვა „სპილენძის“ ეტიმოლოგიაში ეძებს. ინგუშურ ენაზე სპილენძს ჰქვია „წასტა“ (цIаста). ფ. აქიევა სიტყვა „წასტას“ ორ კომპონენტად ყოფს, რომლის პირველ ნაწილს („წა“ - цIа) შეიძლება, მართლაც, ჰქონდეს საკრალური სემანტიკა, რადგან იგი აღნიშნავს სისხლს, წითელს, ცეცხლს, სახლს, სახელს, წმინდას. „წიუ“, „წოუ“ წარმოადგენს მფარველი წმინდანის ზოგად სახელს. „წენა საგ“ აღნიშნავს წმინდა კაცს, ხევისბერს (Акиев 2017: 92). სპილენძს ინგუშები ძვირფას ლითონად მიიჩნევდნენ და სპილენძისგან დამზადებულ ნივთებს თავიანთ ქალიშვილებს მზითევში ატანდნენ.

ვერცხლის, როგორც ძვირფასი ლითონის, სასმელში შერევა და მისი რიტუალური მიზნით გამოყენება ცნობილი იყო ჩეჩნებისა და ინგუშების მეზობელი ხევსურებისთვის. ძმადგაფიცვის რიტუალის დროს ხუცესი სასმლით სავსე თასში ვერცხლს ურევდა. სანამ დაილოცებოდა, ის სასმელში ვერცხლს ჩააფხეკდა, შემდეგ წარმოთქვამდა საკულტო ლოცვას და თასს დაძმობილებულებს გადასცემდა, რომლებიც ვერცხლგარეულ სასმელს სამ-სამჯერ მოსვამდნენ, ერთმანეთს შეასმევდნენ და ადღეგრძელებდნენ (ოჩიაური 1980: 33). ძმადგაფიცვის რიტუალს ხევსურები „ფიცვერცხლის ჭამას“ უწოდებდნენ[62]. „ფიცვერცხლის ჭამით“ დაძმობილების მითოსური არქე-

[61] „Wahrlich, der Baum des Zaqqum ist die Speise des Sünders. Wie geschmolzenes Kupfer wird er in (ihren) Bäuchen brodeln, wie das Brodeln kochenden Wassers“ (Der Koran 1991: 44: 43-45), (გერმ.).

[62] ძმადგაფიცვის რიტუალს 1994 წლის ივნისში დავესწარი ხევსურეთის სოფელ არდოტში. ხუცესმა ხვთისო არდოტელმა ვერცხლი ჩააფხიკა სასმელში, აანთო სანთელი და წარმოთქვა საკულტო ტექსტი. შემდეგ ვერცხლგარეული სასმელი მან დაძმობილებულებს შეასვა.

ტიპი ზოგალ-დუყის გამოქვაბულში გამართულ მისტერიაშიც არის საძიებელი. საიდუმლო სერობის ალუზიად მივიჩნევთ თუ ხევსურული ძმადგაფიცვის რიტუალის ერთგვარ რემინისცენციად, სულ ერთია, რადგან სამოცდასამი ნართ-ორსთხოელის მიერ ერთი თასიდან საიდუმლო სასმლის დალევა შეიცავს საკრალურ და რიტუალურ ელემენტებს.

ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებში სამოცდასამი ნართ-ორსთხოელის მიერ გამდნარი სპილენძის რიტუალური დალევა თავის ახსნას უძველეს ზოროასტრულ ესქატოლოგიაში პოულობს, რომლის თანახმად, ყოველი ადამიანი პასუხს აგებს ჩადენილ ცოდვაზე და განსაცდელს გამდნარი ლითონის ნაკადში გადაიტანს, რომელიც მართლებს თბილ რძესავით მოეჩვენებათ, ხოლო ცოდვილებისთვის ის, ჭეშმარიტად, გამდნარი ლითონი აღმოჩნდება (Рак 1998: 385). გამდნარ ლითონს, როგორც მაზდეანურ რელიგიაში, ისე ინგუშურ თქმულებებში, ერთგვარი ორდალის ფუნქცია აკისრია. ზოროასტრული მოძღვრების თანახმად, როცა დადგება განკითხვის დღე, გამდნარი ლითონით ქვეყნიერებაზე ბოროტება აღმოიფხვრება. გამდნარი ლითონი ადამიანში მოსპობს ცოდვებს და მისგან გაათავისუფლებს, მაგრამ თუ ადამიანის არსება სრულად მოიცვა ცოდვამ, მაშინ გამდნარი ლითონი მას ცოდვასთან ერთად მთლიანად გაანადგურებს. ზოროასტრული მოძღვრება გვამცნობს, რომ ადამიანები იმავე ადგილზე აღდგებიან მკვდრეთით, სადაც დაიხოცნენ (Рак 1998: 384). გამოქვაბული არის საფლავის და ხელახალი დაბადების ადგილი. ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების მიხედვით, ნართ-ორსთხოელებს აღსასრული გამოქვაბულში დაუდგათ და გამოქვაბულშივე აღდგებიან. ისინი, ტექსტების თანახმად, არა მხოლოდ აღდგებიან და გამოქვაბულიდან გამოვლენ, არამედ ქვეყანას ხსნასა და ბედნიერებასაც მოუტანენ.

ზოროასტრიზმი, რომელიც სიკეთისა და ბოროტების ხანგრძლივ დაპირისპირებას წარმოადგენს, აცხადებს, რომ ბოროტებასა და სიბნელეზე საბოლოოდ სინათლე და სიკეთე გაიმარჯვებს. აჰრიმანი და დევები განადგურდებიან, სამყარო „გამდნარი ლითონის ნაკადით“ განიწმინდება და რაც ე. წ. „გადანაწილების“ პერიოდში გადარჩება,

ის მარადიულ სიცოცხლეს მოიპოვებს, მიცვალებულები კი ახალი უხრწნელი სხეულით შეიმოსებიან. ინგუშური ეპოსის ფინალური ეპიზოდების საზრისი შესაბამისობაშია ზოროასტრულ ესქატოლოგიასთან, რადგან გამდნარი სპილენძი მოსპობს ნართ-ორსთხოელთა ცოდვებს, რათა სამოცდასამი გმირი ცხოვრებას ცოდვებისგან გაწმენდილი და გათავისუფლებული დაუბრუნდეს.

ჩეჩნური და ინგუშური თქმულებები მდიდარია ესქატოლოგიური მოტივებით, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას იმ ხალხურ ტექსტებზე, რომლებიც ნართ-ორსთხოელთა აღსასრულზე მოგვითხრობენ. სიკვდილის წინ სესქათ სოლსა გამოქვაბულში სამოცდასამ ნართს მიმართავს: „დაე, დაიხშოს და დაიქოლოს გამოქვაბული. ხოლო ჩვენ, ნართები, აქ ვიქნებით, სანამ მგელს ბეწვი არ გასცვივა და ვეშაპად არ იქცევა. როგორც კი ეს ნათქვამი აღსრულდება, გამოქვაბულის კარიც გაიღება და აღვდგებით!“ (Дахкильгов 2012: 376). თქმულების ერთ-ერთი ვარიანტის ბოლოს, მთხრობელი დასძენს, რომ „არავინ იცის ეს გამოქვაბული სად მდებარეობს, მაგრამ ამბობენ: როცა იმ მგელს ბეწვი სრულად გასცვივდება, ნართები აღდგებიან, გამოქვაბულიდან გამოვლენ და ხალხს მტრისგან დაიცავენ“ (Дахкильгов 2012: 376). ნართების ეპოსის ინგუშურ ვერსიაში ვხვდებით სამყაროს განახლების მითორიტუალურ სცენარს. ნართების გაჩენამდე სამყარო უხვი და ბარაქიანი იყო, რაც ინახავს ბუნდოვან ხსოვნას სამოთხისებურ ყოფაზე. ნართების გაჩენას ამ ქვეყნად სიმწირე და უნაყოფობა მოჰყვა. ნართ-ორსთხოელებმა ამ მიზეზით თავები დაიხოცეს. მაგრამ მოვა დრო, როცა ისინი კვლავ აღსდგებიან და ქვეყნიერებას ახლა ბარაქას, სიკეთესა და ბედნიერებას მოუტანენ. ეპოსის ფინალში გატარებულია აზრი, რომ კატასტროფას კვლავ სამყაროს აღდგენა მოჰყვება. სახეზეა გამოქვაბულში გამოკეტილი ნართ-ორსთხოელების პარალელიზმი კავკასიის ხალხთა სხვა ეპიკურ გმირებთან: ამირანთან, აბრსკილთან, მჰერ-უმცროსთან და სხვებთან, რომელთა თავდახსნა და გამოქვაბულიდან სამზეოზე გამოსვლაც ესქატოლოგიურ პერსპექტივას, სამყაროს ფერისცვალებას უკავშირდება.

მთის მწვერვალი, დაულეველი პური და მამალი ესქატოლოგიურ კონტექსტში

ხორაჩოული თქმულების - „ერთე ემილი და მისი შვიდი ვაჟის“ - პერსონაჟები ცხვარი და მამალი მოხუც ქალთან ერთად მთელ ქვეყნიერებას უვლიან. მათ ესქატოლოგიური მოლოდინი ამოძრავებთ. თქმულების მიხედვით, ისინი უფლის მეორედ მოსვლას შეესწრებიან, რადგან ერთხელ ისე, რომ მათ არ იცოდნენ, უკვდავების წყალი დალიეს. ერთე-ემილი განაწყენებულმა შვიდმა ვაჟმა უკვდავების წყლის გახარჯვის გამო მიატოვა.

შვიდი ძმის ჯვრიანი კოშკი დღემდე დგას ჩეჩნურ აულ ხორაჩოში. თქმულების მიხედვით, ძმებს ერთხელ სადღაც უკვდავების წყალი უშოვიათ და თავიანთ საცხოვრებელ კოშკში დაუმალავთ, თვითონ კი, უკვდავების წყალი რომ გაენაწილებინათ, ხალხის მოსაყვანად წასულან, რათა ყველანი ერთად უფლის მეორედ მოსვლას დახვედროდნენ. ვაჟების მოსვლამდე, მათ დედას - ერთე-ემილს, ამ წყლით ტანსაცმელი გაურეცხავს, თუმცა მანამდე უკვდავების წყალი ცოტა მოუსვამს და ნარეცხი წყალი კოშკის ეზოში დაუღვრია, რომელიც ცხვარსა და მამალს დაულევიათ. ერთე-ემილმა, ცხვარმა და მამალმა ამ წყლის დალევით უკვდავება მოიპოვეს. გადმოცემის თანახმად, ერთე-ემილი დღესაც ცოცხალია. ის დადის მთელ დუნიაზე და ყველგან თავის დაკარგულ შვიდ ვაჟს დაეძებს. მამალი და ცხვარი კი უკან მიჰყვებიან და საბრალო დედაბერს მიაცილებენ (Далгат 1972: 344-345). ჯერ კიდევ 1855 წელს კ. სამოილოვი წერდა: „ჩეჩნური თქმულებები არცთუ იშვიათად ინახავენ ბუნდოვან მოგონებებს ქრისტიანობის შესახებ“ (Самойлов 1855: 66). ჩეჩნურ თქმულებაში „ერთე ემილი და მისი შვიდი ვაჟი“ ესქატოლოგიური სიმბოლოების გამოყენება და უფლის მეორედ მოსვლის ხსენება ტექსტის ქრისტიანულ წარმომავლობაზე მიუთითებს.

თქმულება „ერთე ემილი და მისი შვიდი ვაჟი“, სახელწოდებით «Хорачоевское сказание», პირველად 1895 წელს ნ. სემიონოვმა სანკტ-პეტერბურგში დაბეჭდა კრებულში «Туземцы Северо-восточного Кавказа» (გვ. 115). ამ ჩეჩნურ თქმულებაში, რომელიც

ბოლო ჟამის მოლოდინს ასახავს, მამლისა და ცხვრის გამოჩენა არ არის შემთხვევითი. მამალი ღამით ადამიანებს ჩვეულებრივ სინათლისა და განთიადის მოახლოებას ამცნობს. მამალი, ასევე, წარმოადგენს ცხოვრების მარადიული აღორძინებისა და მკვდრეთით აღდგომის სიმბოლოს. სწორედ ამ მნიშვნელობით გვხვდება ის საფლავის ქვებსა თუ უძველეს საკულტო ძეგლებზე. აღსანიშნავია, რომ მითოლოგიურ გადმოცემებში მამალი ზოგჯერ მზისა და ზეციური ცეცხლის ზოომორფულ ტრანსფორმაციად მოიაზრება. ზოროასტრული მოძღვრების თანახმად, თუ ანგრო მაინუმ შექმნა წყვდიადი, ღამე და სიკვდილი, აჰურა მაზდამ შექმნა დღე, ხარი და მამალი. წინა აზიის უძველეს ცივილიზაციებში, კერძოდ, ზოროასტრიზმსა და ქართულ ტრადიციაშიც, მამალი სამსხვერპლო ფრინველად ითვლებოდა. წითელ მამალს განსაკუთრებული ადგილი ეკავა ბატონების რიტუალში.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ნაყოფიერების, სიუხვისა და სასურველი ამინდის გამოხმობის მიზნით ზეცის ბინადრებს მსხვერპლად მამალსაც სწირავდნენ. ჯ. რუხაძის მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, გურიაში ელიაობის დღეს ოჯახის უფროსი ბებერ მამალს ნიშანს ადებდა და იმავე წელს მოსავლის აღების დროს „ყანის თავზე“ სწირავდა. მკვლევრის აზრით, „აღნიშნულ რიტუალში მამლის, როგორც მზის ფრინველის მსხვერპლად შეწირვის ფაქტი ფრინველისა და მიწის კავშირზე მიუთითებდა, რომელსაც სიმბოლურად დედამიწის აღორძინება უნდა გამოეწვია“ (რუხაძე 1999: 100).

მამლის ცეცხლოვან ბუნებას კარგად ასახავს აფხაზური ტრადიცია. აფხაზური გადმოცემების მიხედვით, მამალი, როგორც საკულტო ფრინველი, დაკავშირებული იყო მჭედლობასთან. პ. ჭარაიას ცნობით, მლოცველები ყოველ წელიწადს, სამჭედლოს სალოცავის დღეს, ე. ი. ახალწლის წინა ღამეს, მიდიოდნენ მჭედელთან და მჭედლობის მფარველ შაშუს (შაშვს) მამალს მსხვერპლად სწირავდნენ (გიორგიძე 2011: 94). ცოტა განსხვავებულ ვითარებას ასახავს აფხაზური ნართების ეპოსი, რომელიც მამალს ქაჯისა თუ კუდიანი დედაბრის სატრანსპორტო საშუალებად წარმოგვიდგენს. ეპოსი მას მჭედლობის მფარველ შაშუს მამალს უწოდებს:

„უეცრად ქაჯი დედაბერი შემოეყარათ,
შემომჯდარიყო შაშუს მამალზე.“

ნ. ანთელავას აზრით, ის გარემოება, რომ „აფხაზური ფოლკლორის დემონური პერსონაჟების სატრანსპორტო საშუალებას „შაშვის მამალი“ წარმოადგენს, მიანიშნებს ღვთაების ამბივალენტურ ბუნებაზე“ (ანთელავა 2006: 90).

მართალია, იმ მამალს, რომელზეც ქაჯი დედაბერია შემომჯდარი, აფხაზური დედანი „შაშუს მამალს“ უწოდებს, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ის, უნდა იყოს არა შაშუს მამალი, არამედ შავი მამალი, რომელსაც კუდიანები შავი მაგიისთვის იყენებდნენ. აქედან გამომდინარე, ქაჯი დედაბრის მამლის აფხაზურ სახელწოდებას („შაშუ“ ← „შავი“) შეიძლება ქართული ტრადიციიდან შესული შავი ფერის აღმნიშვნელი სიტყვა ედოს საფუძვლად. მით უფრო, რომ აფხაზური ეპოსის მოცემულ ეპიზოდში ქაჯი დედაბრის ატრიბუტებად ეკალი და გველი ხსენდება, რომელთა მაგიური დანიშნულებაც ეჭვს არ იწვევს. შავ მამალზე ამხედრებულ კუდიან დედაბერს, რომელმაც ბოროტ ძმებს სასრიყვას სხეულის სუსტი ადგილის საიდუმლო გაანდო, ეპოსი ტრადიციული ატრიბუტებით წარმოგვიდგენს:

„ფეხები ეკლის ავჟანდაში ჰქონდა გაყრილი
და ხელში ეპყრა მათრახივით გველი წითელი.
მოაჭენებდა მამალს ქარივით,
თან აცეცებდა თვალებს გარშემო...“

(აფხაზური ეპოსი 2007: 273).

მამალი ხშირად ხსენდება შელოცვებში, განსაკუთრებით წყევლა-დაშინებისა და გამოდევნის ფორმულებში. ხევსურული შელოცვის ტექსტში ნათქვამია: „გამაე, თორემ გამაგიყვან შავი ძაღლის ყმუილითა, შავი მამლის ყივილითა, შავი გველის წივილითა“ (შელოცვები 1994: 138).

ხალხური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, თუ შავი მამალი სიკვდილსა და ბოროტებას განასახიერებს და მას კუდიანები თავიანთი ბოროტი საქმეების ჩასადენად იყენებდნენ, ჩვეულებრივი მამალი, პირიქით, დემონური და უწმინდური ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. მზესავით ყოვ-

ლისმხედველი მამალი მითოლოგიაში სიფხიზლესთან ასოცირდება. მამალი იცავს ჩეჩნური თქმულების ერთე-ემილს მავნე ძალებისგან და მან, როგორც ესქატოლოგიურმა ფრინველმა, დაკარგული ვაჟების დედას თავისი ყივილით ახალი ჟამის დაწყება უნდა აცნობოს.

მამალს აქვს მეომრული თვისებები და მისი გამოჩენა საგმირო ეპოსში არ არის შემთხვევითი. ძველად მამალს, როგორც გამარჯვების სიმბოლოს, მებრძოლები საომარ ფარებზე გამოსახავდნენ. ხალხის რწმენით, მამლის ყივილი ღამით ბოროტ ძალებს აფრთხობდა. ერთი ქართული ხალხური ლექსი მამლის სახეს ღრმა რელიგიური კუთხითა და სახარებისეული ალუზიებით წარმოგვიდგენს:

„სამჯერ იყივლა მამალმა, სამჯერ სახელი ღვთისაო,
ჯერ გათენება არ არის, ხმა მოდის ზარებისაო.“

ხალხური ლექსის მიხედვით, განთიადისას ზარების ხმა, მამლის სამჯერ დაყივლება და უფლის სახელის სამგზის ხსენება სოფელს ზეციური ლიტურგიის დაწყებაზე მიანიშნებს. ძველ ქართულ ტექსტებში მამალს ჰქვია ქათამი. სახარებაში მამალს მაცხოვარიც ახსენებს. საიდუმლო სერობაზე იესომ პეტრე გააფრთხილა, რომ სანამ მამალი იყივლებდა, ის სამჯერ უარყოფდა თავის მოძღვარს: „გეტყჳ შენ, პეტრე: „არღა ეყივლოს ქათამსა დღეს, ვიდრემდე სამგზის უვარ-მყო, ვითარცა არა მიცი მე“ (ლუკა 22: 34). მოციქულ პეტრეს ეპიზოდში მამალი ადამიანური სისუსტისა და სინანულის ილუსტრირებას ახდენს. ამის გარდა, მამალმა იმ დილით თავისი ყივილით ქვეყნიერებას ბიბლიური წინასწარმეტყველებისა და საიდუმლოს აღსრულების ჟამის დადგომა აუწყა.

ხალხური ესქატოლოგია რწმენა-წარმოდგენების რთულ სისტემას მოიცავს. ხორაჩოულ თქმულებაში არა მხოლოდ მამალი, არამედ ერთე-ემილის უკვდავი ცხვარიც ესქატოლოგიურ ჟამსა და განკითხვის დღეს ელოდება, როცა მართლები უფლის მარჯვნივ დაიკავებენ კუთვნილ ადგილს. ხორაჩოული გადმოცემა ერთადერთი არ არის ნახურ ფოლკლორში, რომელშიც ესქატოლოგიური მოტივები გვხვდება. მას მნიშვნელოვანი პარალელები დაეძებნება ღილღურ თქმულებასთან „ქარბუქის დედა - დარძა-ნენი“, რომელიც ასევე მდიდარია მითოლოგიური სიმბოლოებით. ორივე ტექსტი XIX საუკუნის

90-იან წლებში არის ჩაწერილი. „ქარბუქის დედა - დარძა-ნენი“ 1891 წელს ბაშირ დალგათს ჩაუწერია აულ ფალხანში სალოცავ მეთ-წელის ყოფილი ხევისბრის - განჟა ქელიგოვისგან (Далгат 1901: 35-85). ერთე-ემილის ორეულს ღილღურ თქმულებაში ჰქვია დარძა-ნენი (Дардза-наьнильг). ერთე-ემილის მსგავსად, მასაც შვიდი ვაჟი ჰყოლია, რომლებმაც ასევე მიატოვეს თავიანთი დედა და ცაში ამაღლდნენ. ღილღური თქმულების თანახმად, ისინი მხოლოდ ღამით ჩნდებიან, ერთ ჯგუფად მბრწყინავი შვიდი ვარსკვლავის, დიდი დათვის თანავარსკვლავედის სახით, რომელსაც ინგუშურ ენაზე „დარძა-ყონგაშ“ (ქარბუქის შვილები) ჰქვია. თქმულების ინგუშური ვერსიები ბუნდოვნად მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ რა მიზეზით მიატოვა შვიდმა ვაჟმა დედა, ან როგორ მოიპოვა ქალმა უკვდავება. თვითონ დედა, დარძა-ნენი, ზის ბაშლამის ანუ მყინვარის თოვლიან მწვერვლაზე, სადაც მას მუდამ სამი მუგუზალი უნთია. თქმულება არც იმის საიდუმლოს გვიმხელს, თუ რა მიზნით ან რა მიზეზით იმყოფება დარძა-ნენი მყინვარწვერზე. ოსური თქმულების მიხედვით, უმშვენიერესმა შვიდმა დამ ღმერთს შესთხოვა, რომ მათთვის ბინა ცაში მიეცა, რათა ადამიანებს ისინი ყოველღამე დაენახათ და არასოდეს დაევიწყათ. ამდენად, თუ ინგუშური გადმოცემის მიხედვით დიდი დათვის თანავარსკვლავედს შვიდი ძმა წარმოადგენს, ოსურ თქმულებაში მათ შვიდი და ენაცვლება (ოსური ზღაპრები 2019: 18), ამ ტიპის თქმულებების მიხედვით, ციური სხეულები ადამიანების წინაპრები იყვნენ, შემდეგ, რაღაც მიზეზით ისინი განაწყენდნენ, მათ აღარ ინდომეს ადამიანად ყოფნა და სხვა არსებებად გადაიქცნენ.

თქმულების სხვა ჩეჩნური ვარიანტის მიხედვით, სესქათ სოლსასგან დევნილი ორი ქალიშვილი, დედასთან ერთად, თავს აფარებდა დაქუეხის თუ დაქოი-ქორთის მწვერვალს, საიდანაც ზოგჯერ მამლის ყივილი ისმოდა. მამლის ყივილს თქმულების ამ ჩეჩნურ ვერსიაშიც ესქატოლოგიური დატვირთვა ენიჭება. აქედან გამომდინარე, სრულიად გასაზიარებელია უ. დალგათის თვალსაზრისი, რომელიც მიიჩნევს, რომ დაქუეხის მთაზე ორ ქალიშვილთან მცხოვრებ დედას მითოსური პარალელები დაეძებნება როგორც მამალთან და ცხვარ-

თან ერთად მოხეტიალე „უკვდავ დედასთან“, ისე მყინვარწვერზე დაბინავებულ დარძა-ნენისთან (Далгат 1972: 438).

ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების პერსონაჟები: ერთე-ემილი და დარძა-ნენი - თითქოს ბოლო ჟამის დაწყებას ელოდებიან. დარძა-ნენს მუდამ უნთია ცეცხლი, მუდამ აქვს დაულეველი პური და ცხვრის ბარკალი, რომელსაც პურის ჭამის დროს რამდენიც აკლდება, შემდეგ იმდენივე ემატება. ფშაური გადმოცემაც დაულეველ პურს მაღალი მთის მწვერვალს უკავშირებს, სადაც ბერებს ზამთარ-ზაფხულ განდეგილად უცხოვრიათ. ჭიჩოს მთაწმინდის ანდრეზში, რომელსაც ზ. კიკნაძე დაკარგული ანდრეზის ფრაგმენტს უწოდებს, ნათქვამია, რომ „ერთ ხევისბერს მთაწმინდაზე ერთი ნაჭერი პურის ამარა გამოუზამთრებია: რამდენსაც მოსტეხდა ამ პურს ნაჭერს, იმდენივე ემატებოდა“ (კიკნაძე 2016 ბ: 115). ამბობენ, ჭიჩოს მწვერვალზე „სამლოცველოს ხეები და ფიცრები ისევ არისო. ფიცრებიც და ხეებიც ისეთი წითელია, როგორც ცხვართ სისხლიო“ (ბარდაველიძე 1974: 179). მთაწმინდის ანდრეზში ცხვრის ირიბად ხსენება და მისი სტილურ-მხატვრულ საშუალებად გამოყენება ერთგვარ ალუზიას ქმნის ღილღურ თქმულებასთან „ქარბუქის დედა - დარძა-ნენი“. ქარბუქი დაცემული წუთისოფლის სიმბოლოა, რომელმაც მარადიული გაზაფხული და სამოთხისებური ყოფა შეცვალა. ღილღური თქმულების მიხედვით, დარძა-ნენს მყინვარის თოვლიან მწვერვალზე ჯადოსნური წრე ჰქონდა შემოხაზული, რომლის გადალახვა არცერთ მოკვდავს არ შეეძლო. ხოლო მას, ვინც გაბედავდა და წრეს გადალახავდა, დარძა-ნენი ყინულებში ჩაკარგავდა და გააქრობდა. დარძა-ნენი არავის უნახავს, მაგრამ ბევრს გაუგონია მისი მამლისებრი საშინელი ყივილი, რომლითაც ქალი იმ მგზავრებს აფრთხობდა, რომლებიც მყინვარზე ასვლასა და ჯადოსნურ წრესთან მიახლოებას გაბედავდნენ“ (Дахкильгов 2012: 38). დარძა-ნენის მამალი, თქმულების მიხედვით, იცავს მთის მწვერვალს, როგორც წმინდა ადგილს, რომლის დალახვაც, ისევე როგორც ძველი აღთქმის ტრადიციაში, ჩვეულებრივ მოკვდავს ეკრძალება: „მოერიდეთ მთაზე ასვლას და ნუ მიეკარებით მის კალთებს. ვინც კი მთას მიეკარება, ვერ გადაურჩება სიკვდილს“ (გამოსვლ. 19: 12).

მყინვარწვერის გარდა, მამალს ვხედავთ იალბუზის მწვერვალზეც, ოსური გადმოცემის მიხედვით, იქ თოვლი არ მოდიოდა, რადგან თამარ მეფეს შეპყრობილი ჰყავდა ცისკრის ვარსკვლავი, რომელიც მამალს ჩააბარა. ოსურ თქმულებაში მამალი, როგორც დროჟამის მომყვანი ფრინვალი, დაკავშირებულია ცისკრის ვარსკვლავთან. მითოსში მამალი და ცისკრის ვარსკვლავი ერთმანეთს ენაცვლება. როდესაც თამარი გურჯისტანის მოსანახულებლად ბარში ჩასულა, მამალს ცისკრის ვარსკვლავი გაუშვია. ამის შემდეგ დიდი თოვლი მოსულა. თამარს დაუწყევლია იალბუზი: „შენი წვერი სულ გათეთრებული იყოსო“. მამალი კი, როგორც თქმულება მოგვითხრობს, „აქამომდე იმყოფება იალბუზის წვეროზე და დილის რიჟრაჟზე, ამოვა თუ არა ცისკარი, სამჯერ დაიყივლებს ხოლმე, მის ყივილს ბანს აძლევენ სხვა მამლებიც“ (ლიახველი 1885: 11).

ინგილოურ თქმულებაში მამალს კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქცია ემატება. ზ. კიკნაძის აზრით, მან სამყაროს განკაცებული ძის აღდგომა თუ, სულამც, მისი მეორედ მოსვლა უნდა ამცნოს. ქურმუხის ეკლესიის ქვეშ, გამოქვაბულში, ხატებთან და წითელ მამალთან ერთად ზის დედა მარიამი. აღდგომის ღამეს გამოქვაბულის კარები იღება, გარეთ ოქროს მამალთან ერთად გამოდის მარიამი და ოქროს სავარცხლით თმას ივარცხნის. მამალი ყივის და მის ყივილს ბანს აძლევენ მახლობელი სოფლების მამლები (ედილი 1947: 57). გათენებისას მამალი კვლავ უბრუნდება გამოქვაბულს და კარიც კვლავ იხშობა, რადგან ზ. კიკნაძის აზრით, „არ დამდგარა უკანასკნელი ჟამი, სოფელი არ არის მომწიფებული იმისთვის, რომ მამალმა ახაროს მას საბოლოო ფერისცვალება“ (კიკნაძე 2016 ბ: 58).

კავკასიის სხვადასხვა ხალხის გადმოცემებშიც მამალი მარტო არ არის. მასთან ერთად ვხედავთ ხან დედა მარიამს, ხან თამარ მეფეს[63], ხან ერთე ემილსა და ხანაც დარძა-ნენს. რა არის ამ თქმულებების საზრისი? მამალს აღნიშნულ თქმულებაში ორმაგი ფუნქცია

[63] სვანური თქმულების მიხედვით, თამარ დედოფალი კი არ მომკვდარა, არამედ ანგელოზებთან სძინავს. როდესაც ხალხი შეწუხდება, მძინარე თამარი გაიღვიძებს და ქვეყნიერებას უბედურებისგან იხსნის (სიხარულიძე 1961: 277).

ენიჭება. ის, ერთი მხრივ, იცავს დარძა-ნენსა და მთის მწვერვალს ბოროტი ძალებისგან, მეორე მხრივ, კი მას ესქატოლოგიური მისია აკისრია. თქმულების საზრისიც ეს უნდა იყოს: როცა ამის დრო დადგება, მამალი ბაშლამის მწვერვალიდან გადმოდგება, საბოლოოდ დაიყივლებს და ქვეყნიერებას არა მხოლოდ გათენებას, არამედ ახალი დრო-ჟამის დაწყებას ამცნობს. დარძა-ნენიც მაშინ შეხვდება ზეცაში ამაღლებულ თავის შვიდ ვაჟს, ისევე როგორც ერთე-ემილი, რომელიც დღემდე დაკარგულ შვილებს დაეძებს. ამ ტიპის ჩეჩნურ და ინგუშურ თქმულებებს ქრისტიანული წარმომავლობა აქვთ და განკაცებული ძის საიდუმლო ისტორიამდე მივყავართ.

ტექსტები

ინგუშური თქმულებები ნართების შესახებ

1. სესქათ სოლსას შოგა

ერთი ქალიშვილი ძროხას წველიდა. იმ ადგილის მახლობლად ლურჯი ქვა იდო. ვაჟი, რომელსაც ეს ქალიშვილი უყვარდა, ქვასთან მივიდა. ქალიშვილის დანახვისთანავე ჭაბუკი მისი ნდომით აღეგზნო, შედეგად კი ქვაში სესქათ სოლსა ჩაისახა. ამის შესახებ შეიტყო წმინდა ქალმა სიელა სათამ[1]. მან ქვა გამოტეხა და იქიდან სესქათ სოლსა ამოიყვანა[2].

2. როგორ გაიმარჯვა სოსქათ სოლსამ სართალზე

სიელა სათა ხშირად დადიოდა წყაროზე, რომელიც წმინდა მთა წაი-ლამიდან მოედინებოდა. წყაროსთან ერთი დიდი ქვა ეგდო. სიელა სათა წყალს რომ აავსებდა, ხანდახან ქვაზე ჩამოჯდებოდა და ისვენებდა. ზოგჯერ ნაკადულიდან წყლის დედა - ხი ნანა - გამოდიოდა და ისინი დროს სასიამოვნო საუბარში ატარებდნენ.

სიელა სათა ძლიერ უყვარდა ჭაბუკ ნერთბის. მაგრამ ქალი მას ახლოსაც არ იკარებდა. ერთხელ ნერთბიმ იმ წყაროზე, სადაც სიელა სათა დადიოდა, თავისი ცხენი წყლის დასალევად მიიყვანა. ვაჟის დანახვაზე სიელა სათა ქვიდან წამოდგა და შინისაკენ გაეშურა. ნერთბი ქვასთან მივიდა, რომელიც, მიუხედავად ზამთრისა და სიცივისა, ჯერ კიდევ თბილი იყო. ქალის სურვილით ნერთბის სხეული უეცრად შეტოკდა, მისი ტანის შხეფები იმ ქვას მოხვდა. მართალია, ეს არავის დაუნახავს, მაგრამ მომხდარის გამო ნერთბის ძლიერ შერცხვა. მან ჩათვალა, რომ იქ აღარ დაედგომებოდა და სამუდამოდ გადაიხვეწა. ამის შემდეგ სიელა სათას ნერთბი აღარასოდეს უნახავს.

სიელა სათამ გააგრძელა წყაროზე სიარული და ხანდახან იმ ქვაზეც ჯდებოდა. მან შეამჩნია, რომ ქვა თანდათან იზრდებოდა.

სიელა სათამ ხი-ნანას ჰკითხა:

– არც არასოდეს მსმენია და არც სადმე მინახავს, რომ ქვა იზრდებოდეს. ეს ქვა კი დღითიდღე იზრდება. რაშია საქმე?

– ეგ ქვა შენ მაგივრად დაორსულდა. კიდევ სამი კვირა და ქვიდან საოცარი ვაჟი დაიბადება. იცოდე, მაგ ქვაში შენი შვილია. გაზარდე, არ ინანებ. - უთხრა ხი-ნანამ.

სიელა სათამ ერთი ხელით ეს ქვა წაიღო, მეორე ხელით დოქი, სიდიდით სამი კასრის ხელა, და შინისკენ გაეშურა. ამ დროიდან ის მუცელზე ბალიშს იდებდა და ყველას ფეხმძიმედ ეჩვენებოდა. ქვა კი დიდდებოდა და იბერებოდა. სამი კვირის შემდეგ შუაღამისას სიელა სათას მოულოდნელად გაეღვიძა. მთელი სახლი განათდა, ქვა მჭახე ხმით ორ ნაწილად გადატყდა და იქიდან საოცარი სილამაზის ვაჟი გამოჩნდა. ის შუქს ასხივებდა.

დასხდნენ ნართები განსასჯელად, სურდათ გაეგოთ, ვინ იყო ეს ბიჭი, ვისგან გაჩნდა, რადგან სიელა სათას ქმარი არ ჰყავდა. მაშინ სიელა სათამ კაცი გაგზავნა მოსამართლეებთან იმის სათქმელად, რომ ის საიდუმლოდ იყო დაქორწინებული კაცზე, სახელად სოსიზე, რომელიც მეზობელი სოფლის განაპირას ცხოვრობდა. სოსი იყო მარტოხელა, ხანშიშესული კაცი. სიელა სათამ წინდახედულობა გამოიჩინა, წინასწარ გააფრთხილა ის კაცი, სასამართლოზე რაც უნდა ეთქვა. სოსიმ სასამართლოზე დაადასტურა სიელა სათას სიტყვები და მას თავი დაანებეს.

ბიჭს კი დაუმკვიდრდა სახელად სოსქათ სოლსა. ის დღიდან დღემდე არაჩვეულებრივად სწრაფად იზრდებოდა, სოფლის ბავშვებს თამაშში გასაქანს არ აძლევდა, არ იცოდა ძალა სად წაეღო. ის ყველა თანატოლს ნაკელში აგორავებდა. სოფლელებმა დაიწყეს ჩივილი სიელა სათასთან, სამდურავს ეუბნებოდნენ მის გაუგონარ ვაჟზე და ბავშვის დაშოშმინებას სთხოვდნენ.

სოფლის განაპირას თავის სახელოსნოში ცხოვრობდა და მუშაობდა მჭედელი ჟოვ-ბეთარი.

სიელა სათა მჭედელთან მივიდა და სთხოვა:

– ჩემი ბიჭი სამჭედლოში მიიღე და მჭედლობა ასწავლე. ის ძლიერი ყმაწვილია და შეუძლია საბერველი ამუშავოს.

– ჩემი რა მიდის, იმუშავოს. - უპასუხა ჟოვ-ბეთარმა.

ვაჟს განსაკუთრებული ძალ-ღონე აღმოაჩნდა და მჭედელი მისი მუშაობით კმაყოფილი დარჩა. ბიჭი ერთი ხელით საბერველს ამუშავებდა, მეორე ხელით კი უროს ურტყამდა. საღამოობით ვაჟი ქურაში ნაწრთობ რკინასავით წითლდებოდა. სამუშაოს შემდეგ, საღამოობით, ის ჯერ მდინარეში ბანაობდა, მერე კი სახლში მიდიოდა. როცა

ბიჭი მდინარეში ბანაობდა, ისეთ სითბოს გამოსცემდა, რომ წყალი დუღილს იწყებდა. ჟოვ-ბიათარმა შენიშნა და ძლიერ გაოცდა. მან ბიჭს თვალთვალი დაუწყო. ერთხელაც, როცა მუშაობდა, მჭედელმა მას ალმაცერად გახედა და შეამჩნია, რომ ბიჭი გავარვარებულ ნახშირს პირში მუჭით იყრიდა, თანაც ისე, რომ მჭედელს არ დაენახა...

„ამაში საოცარი არაფერი არ არის, რომ ბიჭის სხეული ხურდება, ხოლო როცა ის ბანაობს, წყალი მდინარეში დუღდება.“ - გაიფიქრა თავისთვის მჭედელმა.

მჭედელი სიელა სათას შეხვდა და უთხრა:

– შენი ვაჟისგან ჯერ არნახული ნართი გაიზრდება. მას ფოლადის სხეული აქვს და ამიტომაც უვნებელი იქნება.

– საიდან იცი? - დაინტერესდა სიელა სათა.

მჭედელმა ყველაფერი უამბო, რაც სამჭედლოში დაინახა და უთხრა:

– მართალია, შენი ვაჟი ჩემთვის შეუცვლელი შეგირდია, მაგრამ ღმერთს იგი მჭედლად არ განუწესებია. შენი ბიჭი დაბადებულია ძლევამოსილ ნართად - ლაშქრობებისა და ბრძოლებისთვის. უკეთესი იქნება, თუ აქედან წაიყვან.

სიელა სათამ თავისი ვაჟი ნართების რაზმს გადასცა. როცა თითოეულ ნართს ნადავლიდან თითო წილი მიჰქონდა, სესქათ სოლსას ორი წილი ერგებოდა.

ერთხელ სესქათ სოლსა და ნართები რომელიღაც შორეულ ქვეყანაში წავიდნენ სალაშქროდ. იმ დროს ცხოვრობდა ცნობილი მეფე სართალი. მას ასევე ეძახდნენ მეფე სარმაქს, რაც აღნიშნავს მეფე-ურჩხულს. ის ორმაგ სახელს ატარებდა, რადგან დღისით ადამიანის სახე ჰქონდა, ხოლო ღამით გველეშაპი ხდებოდა და ადამიანებს ერჩოდა.

ერთხელაც, როცა სესქათ სოლსა შინ არ იყო, მეფე სართალი სიელა სათასთან მივიდა და ცოლობა სთხოვა. სიელა სათას ჰყავდა ქმარი, სახელად სოსი, რომელიც ერთი წლის წინ გარდაეცვალა. ადათის თანახმად, ქვრივი შეიძლებოდა ხელმეორედ გათხოვილიყო მხოლოდ ქმრის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ. ამიტომაც მეფე სართალი სიელა სათასთან წინადადებით მივიდა, ადათით დადგენილი დროის გასვლის შემდეგ ცოლად გაჰყოლოდა.

– მე უკვე მოზრდილი შვილი მყავს. ჩემს გათხოვებას აზრი აღარ აქვს. დამივიწყე და შენს გზაზე წადი. - უპასუხა სიელა სათამ.

– შენი ვაჟი წლობით კი არ იზრდებოდა, ერთბაშად გაიზარდა და შენც ჯერ კიდევ ახალაგაზრდა ხარ. მიზეზს ნუ ეძებ. შენთვის და შენი სოფლისთვის უკეთესი იქნება თუ ცოლად გამომყვები!

– რა შუაშია ჩემი სოფელი? - გაუკვირდა სიელა სათას.

– იმაში, რომ თუ ცოლად არ გამომყვები, ყველას გავანადგურებ, სოფელს მიწასთან გავასწორებ. - უპასუხა მან.

დრო რომ მოეგო, სიელა სათამ სთხოვა:

– სამი დღის ვადა მომეცი. ასეთი საქმეები სწრაფად არ გვარდება, ნათესავებს უნდა მოვეთათბირო.

– სამი დღის ვადას გაძლევ. ამის შემდეგ ცოლად გამომყვები და დედოფალი გახდები. თუ არ გამომყვები - ყველანი დაიღუპებით.

მეფე სართალი სიელა სათას დაემუქრა და წავიდა. სიელა სათამ კი საქვეყნოდ განაცხადა:

– მე ვფლობ აურაცხელ ოქროს, რომელსაც იმას მივცემ, ვინც საძულველ სართალს მომაშორებს.

მის მოწოდებაზე პასუხის გაცემა ვერავინ გაბედა. სოფლის მცხოვრებლებმა სართალი შორიდან რომ დაინახეს, თავიანთი სახლების კარები და ფანჯრები დაკეტეს.

ერთმა ბრუტიანმა დედაბერმა კი სიელა სათას უთხრა:

– შენი საკუთარი ვაჟიც ხომ ნართია. დაე, მეფე სართალს ის შეებრძოლოს.

– ამ სამ დღეში ის ვერ დაბრუნდება. თუნდაც მოვიდეს, განა შეძლებს ძლიერი მტრის დამარცხებას? - ტირილით მიუგო სიელა სათამ.

– ამ სამ დღეში ის უეჭველად დაბრუნდება, შეებრძოლება და სართალს ძირს დასცემს, - არწმუნებდა დედაბერი, - მაგრამ იცოდე, - უთხრა ქალმა, - შენი ვაჟი მის მოკვლას ვერ შეძლებს, სანამ მეფეს მარჯვენა თვალს არ გამოსთხრის, რადგან მასში მეფე სართალის სულია მოთავსებული.

წავიდა სიელა სათა თავის მამასთან, ომის, ჭექა-ქუხილისა და ელვის გამგებელ სიელასთან დახმარების სათხოვნელად.

სიელამ უპასუხა:

– უფლება არ მაქვს ადამიანთა საქმეებში ჩავერიო, მაგრამ რადგან შენ ჩემი ასული ხარ, უნდა დაგეხმარო. დაე, შენმა ვაჟმა სესქათ სოლსამ მტერი დაამარცხოს. როგორც კი სართალი თვალით ზეცას შეხედავს, ჩემს ისარს მარჯვენა თვალში ვტყორცნი და მის წყეულ სულს ბოლოს მოვუღებ.

მესამე დღეს სესქათ სოლსამ ცხენი მოაჭენა. ის სახლამდეც არ იყო მისული, როცა სოფელში დარხეულმა ხმებმა მის ყურამდეც მიაღწია, რომ მეფე სართალი მთელ სოფელს განადგურებით ემუქრებოდა.

– მეეჭვება, ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც ამას ბოროტი მეფე აპირებს. - გაიფიქრა სესქათ სოლსამ და სახლში შევიდა. სიელა სათა დაღონებული იჯდა და საპატარძლო ტანსაცმელს იკერავდა. მან გადაწყვიტა მეფე სართალს ცოლად გაჰყოლოდა, ვიდრე შვილისთვის სასიკვდილო საფრთხე შეექმნა.

– რას აკეთებ? - ჰკითხა ვაჟმა, თუმცა მიხვდა, დედა რასაც აკეთებდა.

– შენ უკვე გაიზარდე და ახლა გადავწყვიტე ცოლად მეფე სართალს გავყვე. არა მგონია წინააღმდეგი იყო.

– გაგონილი მქონდა, რომ ზოგიერთ დედაკაცს სიბერე ჭკუას აკარგვინებდა. მაგრამ ამ სიტყვების დღემდე არ მჯეროდა. ახლა კი დავრწმუნდი, რომ სიმართლეა. - აღშფოთებულმა მიუგო ვაჟმა, გამოსტაცა ხელიდან საკერავი, დაფხრიწა და ძირს დაყარა.

სესქათ სოლსამ მოძებნა სოფელში ის ბრუტიანი დედაბერი, მისცა ოქრო, გაგზავნა სართალთან და დააბარა: - „სიელა სათა ცოლად არ გამოგყვება და თუ არ გეშინია, სოფლის განაპირას სესქათ სოლსა საბრძოლველად გელოდება-თქო.

დედაბერმა ყველაფერი ზუსტად ისე გადასცა, როგორც სესქათ სოლსამ დააბარა. სართალი იმდენად აღშფოთდა, რომ კბილების კრაჭუნით პირიდან ნაპერწკლებს ყრიდა, ხოლო ცხენის აღვირი ისე მოსწია, რომ ცხენს ხახა გაუხია. ის ჭენებით მიადგა დანიშნულ ადგილს.

გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. ისინი ერთმანეთს ხმლებს მანამდე ურტყამდნენ, სანამ არ დაემსხვრათ. მერე მიწიდან ჭადრები ამოგლიჯეს და იმით იბრძოდნენ. ირგვლივ ჭადარი რომ აღარ დარჩა, კლდეებს სტაცეს ხელი. საბოლოოდ სესქათ სოლსამ იმარჯვა. მან სართალს დიდი კლდის ნატეხი ესროლა და მიწაზე დასცა.

ამ დროს დარ-ავდრის გამგებელი სიელა მათ ბრძოლას ზეციდან თვალს ადევნებდა. როგორც კი სართალი ძირს დაეცა და თვალი ზეცას მიაპყრო, სიელამ ისარი მარჯვენა თვალში სტყორცნა და სართალს ბინძური სული ამოხადა. ასე მოკვდა საძულველი მეფე სართალი, რომელიც ღამ-ღამობით ვეშაპად იქცეოდა და ხალხს მუსრს ავლებდა.

მრავალი გმირობა ჩაიდინა სესქათ სოლსამ. მრავალი თქმულება გამოითქვა სესქათ სოლსაზე და მის ბრძენ და გამჭრიახ დედაზე.

3. სოსქათ სოლსა და ბათიგათ შითყა

ნართებს ჰყავდათ ერთი წინამძღოლი-თამადა, სახელად სოსქა. ნართები მას ლამის ფადიშაჰად მიიჩნევდნენ. სოსქას ცოლი ერთი თავნება ქალი იყო. ერთხელ ცოლ-ქმარი წაკინკლავდა. განაწყენებული სოსქა სახლიდან მდინარეზე წავიდა და დიდ ქვაზე ჩამოჯდა. ცოტა ხნის შემდეგ, ცოლი რომ დაწყნარდა, მივიდა ქმართან, ზურგიდან მხრებზე ნაზად შეეხო და სთხოვა შინ დაბრუნება. სოსქა წამოდგა. უცებ იქვე, მათ თვალწინ, ქვა გასკდა და მის შიგნით ბიჭი გამოჩნდა. ცოლ-ქმარს შვილი არ ჰყავდა და ამიტომ ქალმა ბავშვი სიხარულით აიყვანა, მაგრამ ის იმდენად ცხელი იყო, რომ ქალს ხელები დაეწვა. ბიჭმა ქალს უთხრა:

– არ გამიშვა ხელიდან. როგორც ამიყვანე, ისევე ჩამაწვინე მდინარეში.

დაბანა ქალმა ბავშვი მდინარეში და მისი ტანი ფოლადოვანი გახდა.

მალე რაღაც ავადმყოფობით სოსქა გარდაიცვალა, ბავშვი კი რატომღაც მოულოდნელად ავად გახდა.

ბიჭმა უთხრა დედას:

– წადი სოფლის თავში ბილიკზე. იქ, მოშორებით, წყაროს დაინახავ. თუ იმ წყალს დავლევ, მოვრჩები. მაგრამ იცოდე, რომ წყაროს ვიღაც ბათიგა იცავს. ეცადე, რომ წყალი მოგცეს.

ქალი წავიდა წყაროზე. ბათიგა იჯდა იქვე და წყაროს იცავდა.

ქალმა მიმართა:

– ჩემი ვაჟი ავად არის და წყალს გთხოვს შენი წყაროდან. ფიქრობს, რომ ეს წყალი განკურნავს. მომეცი წყალი.

– ეს უბრალო წყარო არ გეგონოს, სამკურნალო წყალია და ასე ადვილად არ მოიპოვება. შენ ერთი წელი ჩემთან უნდა დარჩე. მხოლოდ ამის შემდეგ გაგატან წყალს.

ქალმა ბათიგასთან ერთი წელი გაატარა და მათ ვაჟი შეეძინათ.

ბათიგამ უთხრა ქალს:

– ეს ბიჭი არ არის ჩვეულებრივი. ის მრავალ უნარს ფლობს. ის იქნება შენი შვილი, ძმა და მეგობარი. აიღე წყალი და ვაჟიც წაიყვანე.

მივიდა ქალი სახლში, ერთ ხელში ბავშვი უჭირავს, მეორეში - წყლით სავსე დოქი. როგორც კი ხელში აყვანილმა ბავშვმა ოთახში სხვა ბიჭი დაინახა, წამოიძახა:

– გამარჯობა, სოსქათ სოლსა!

– მეც მოგესალმები, ბათიგათ შითყა! - უპასუხა სოსქათ სოლსამ.

ამ დრომდე ბიჭებს სახელი არ ერქვათ. მათ თვითონ დაარქვეს ერთმანეთს სახელები. სოსქათ სოლსამ დალია წყაროს წყალი და მაშინვე გამოჯანმრთელდა. გაიზარდნენ ბიჭები. სოსქათ სოლსა, თავისი მამის მსგავსად, ნართების წინამძღოლი გახდა. შირტყა უეცრად გაქრობისა და უეცრად გამოჩენის უნარს ფლობდა. ის თავისუფლად მიდიოდა ელში - მიწისქვეშა სამეფოში, ხოლო შემდეგ კვლავ ბრუნდებოდა ამ მზიან ქვეყანაზე.

სოსქათ სოლსას დედამ გაიგო, რომ ორსთხოელები თავს დასხმიან ნაზრანელებს, დაუმწყვდევიათ რომელიღაც სახლში და თურმე მათ დაწვას უპირებდნენ.

ქალი სასწრაფოდ შინ მივიდა და სოსქათ სოლსას უსაყვედურა:

– რას უზიხარ! ორსთხოელებს ნაზრანელები დაუტყვევებიათ და მათ დაწვას უპირებენ. სწრაფად წადი და მიეხმარე!

– როგორ წავალ, როცა არც ცხენი მყავს და არც იარაღი მაბადია.

თავის დროზე მამაშენმა შენზე იზრუნა. ჩვენი ბაღის განაპირას დიდი მიწისქვეშა დარბაზია. იქ შენი რაში გელოდება, იქვე ჩამოკიდებულია შენთვის გადანახული იარაღი.

გაწმინდა სოსქათ სოლსამ ის ადგილი. მიწისქვეშა დარბაზში დაინახა საოცარი რაში და სხვადასხვანაირი საუკეთესო იარაღი. ვაჟმა იარაღი აისხა, შეჯდა ცხენზე და ეზოში გამოვიდა.

დედამ ვაჟს გზა დაულოცა:

– როცა იმ ადგილას მიხვალ, კარიდან ნუ შეხვალ, ცხენით პირდაპირ გალავანს გადაევლე და მტრებს მეხივით დაეცი.

სოსქათ სოლსამ ცხენი გააჭენა, მივიდა და დიდი სახლი დაინახა, რომელშიც ორსთხოელებს ნაზრანელები ჰყავდათ დატყვევებული, ხოლო სახლს შემოვლებული ჰქონდა მაღალი გალავანი. და აი, მტრები მათ დაწვას აპირებდნენ.

ვაჟს არ დაუწყვია ჭიშკრის ძებნა, ის მაღალ გალავანს პირდაპირ თავისი რაშით გადაევლო. განცვიფრებული მტრები ადგილზე გაშეშდნენ.

სოსქათ სოლსამ მტრებს მეხივით დასჭექა:

– ვინც მაგარია, თავის ნებით გამოვიდეს, ვისაც ბრძოლა არ შეუძლია, ხელით გამოიტანეთ!

ამის თქმა იყო და ჭაბუკმა ეზოში ცხენის ჭენება და მტრის ჩეხვა დაიწყო. სოსქათ სოლსამ ზოგი დახოცა, ზოგმაც გაქცევით უშველა თავს. მან მტრები ერთიანად გაანადგურა და ნაზრანელები გაათავისუფლა.

როცა სოსქათ სოლსა დაბრუნდა, ნართებმა უთხრეს, რომ ხალხი მომრავლდა და საჭირო იყო საძოვრების დანაწილება. თითოეულ ნართს დიდი მინდვრის ხელში ჩაგდებაზე ეჭირა თვალი.

ბათიგათ შითყამ თქვა:

– მე, აიღე-დაიღე, სულ ერთი ცხენი მყავს და დიდი საძოვარი არ მჭირდება. კარგი იქნება, თუ მდინარესთან მინდვრის მცირე ნაკვეთს მომცემთ. ჩემთვის ეგეც საკმარისი იქნება.

ნართებმა სიხარულით დააკმაყოფილეს მისი თხოვნა. ცნობილია, რომ მდინარესთან საძოვარი უფრო ღალიანია. მალე ბათიგათ შითყას ცხენი ისე გასუქდა, რომ ხერხემალი აღარ ესინჯებოდა. სოსქათ სოლსას შეშურდა და ბიჭი გაგზავნა, რომ ბათიგათ შითყას ცხენისთვის ზედა ტუჩი მოეჭრა. საღამოს, ნართები ფხეგათში (საფიხვნოში) რომ ისხდნენ და საძოვრიდან დაბრუნებულ სოფლის ნახირს გასცქეროდნენ, მოულოდნელად სოსქათ სოლსამ ხმამაღალი სიცილი დაიწყო:

- შეხედეთ, შეხედეთ, ბათიგათ შითყას ცხენი იმდენად გასუქდა, რომ იცინის.

- რატომაც არ გაიცინებს, როცა ის თავის წინ მიმავალ უკუდო ცხენებს, როგორც უნიფხვო ქალებს ისე უყურებს! - მიუგო ბათიგათ შითყამ.

მხოლოდ მაშინღა შენიშნეს ნართებმა, რომ მათ ცხენებს კუდები არ ჰქონდათ. ასე დაემართათ, რადგან ბათიგათ შითყამ გაიგო, რომ მის ცხენს ტუჩი მოაჭრეს. ის მაშინვე წავიდა საძოვარზე და ნართების ყველა ცხენს კუდები დააჭრა.

სოსქათ სოლსა გაბრაზდა და ქარქაშიდან ხმალი ამოსწია. როცა ბათიგათ შითყამ დაინახა, რომ სიტუაციამ არცთუ სახუმარო მიმართულება მიიღო, მყისვე გაუჩინარდა.

4. სესქათ სოლსა და სელი პირა

სესქათ სოლსა და სელი პირა ძმები იყვნენ[1]. უფროსი ძმა, სესქათ სოლსა, ტანად ძლიერი იყო, ხოლო უმცროსი, სელი პირა, მართალია, ტანად სუსტი გაიზარდა, მაგრამ ეშმაკი და ჭკვიანი კაცის სახელი დაიმკვიდრა[2]. როცა მოისურვებდა, მას შეეძლო საიქიოში წასვლა და სამზეოზე კვლავ დაბრუნება[3]. ერთხელაც სელი პირა ელში (საიქიოში) წავიდა და იქიდან წყლის წისქვილით დაბრუნდა. მანამდე კი ნართები მარცვლეულს მხოლოდ ხელსაფქვავით ფქვავდნენ. საიქიოდან წამოღებული წისქვილი სელი პირამ მდინარეზე გამართა და მარცვლეულის ფქვა დაუწყო. ხალხი წისქვილის შესახებ, როგორც არნახულ სასწაულზე, გაოცებული ყვებოდა.

წისქვილის ამბავმა სესქათ სოლსას ყურამდეც მიაღწია. მან გადაწყვიტა ენახა ეს სასწაული. მივიდა, ნახა, მოეწონა და წისქვილის თავის ნაკადულზე გამართვა მოინდომა. იქიდან ორივე დოლაბი და ჩამჩი წამოიღო. გზაზე, როცა ეს ყველაფერი მოჰქონდა, ჩამოუვარდა ჩამჩის ღარი, საიდანაც მარცვლეული დოლაბის ქვეშ ცვიოდა. სესქათ სოლსამ წისქვილი მდინარესთან, თავისი სახლის მახლობლად გამართა, მაგრამ დაკარგული ღარის გამო მას მარცვლეულის მბრუნავ ხვრელში ხელით ჩაყრა უწევდა და დოლაბს ვეღარ შორდებოდა. მასთან სელი პირა მივიდა და უთხრა: მე შემიძლია გავაკეთო მარცვლეულის ღარი, რომ სულ დოლაბთან მუდამ ერთ ადგილზე არ იყო მიჯაჭვული. მაგრამ, სანაცვლოდ, დაფქვილი მარცვლეულიდან მომცემ ნახევარ წილს. სოლსა დაეთანხმა, რადგან მაშინ ისინი ჯერ კიდევ განუყრელი ძმები იყვნენ.

ერთხელ სესქათ სოლსამ გადაწყვიტა ძმასთან გაყრა და უთხრა:

– ახლა უნდა გავიყაროთ

– ხალხის თანდასწრებით გავიყაროთ თუ მათ გარეშე? კარგად ვიცი, რა წილსაც მარგუნებ. - უთხრა პირამ.

– რას მოგცემ? - ჰკითხა სესქათ სოლსამ.

შენ მომცემ ყველა თეთრთავა ლურჯ ძროხას, აგრეთვე, მთელი სოფლის ნაგვითა და ნეხვით გავსებულ მიწას, რომელიც სოფლის ბოლოში მდებარეობს.

– მან იცის, რომ გამოყოფილი მიწიდან მხოლოდ ცუდს მივცემ და სხვას ამიტომ არ მთხოვს, - გაიფიქრა სესქათ სოლსამ, - ცხადია, ასეთი ძროხები და ასეთი მიწა არავის გამოადგება.

სესქათ სოლსა ისე მოიქცა, როგორც ძმამ სთხოვა. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ სელი პირამ ეშმაკობით თავის ძმაზე უკეთესი წილი მიიღო.

5. გაცოცხლებული გოლიათი

ძველად იყო ერთი კაცი, სახელად სოლსა. ხალხი მაშინ მიწის ქვეშ, ქვებით გაწყობილ დიდ სარდაფებში ცხოვრობდა. ასეთი სარდაფები ზოგიერთ ადგილას დღემდე შემორჩა. სოლსა იყო მეტად ჭკვიანი და პატიოსანი კაცი. ის დაიბადა არა ჩვეულებრივი ქალისგან, არამედ პირდაპირ ღმერთისგან წარმოიშვა. ერთხელ სოლსა მი-

წისქვეშ მიდიოდა და გზაზე ადამიანის იმხელა მენჯის ძვალი დაინახა, რომ ცხენზე ამხედრებულმა სოლსამ ზედ ძვალზე გაიარა. სოლსა შეწუხდა, რადგან მან მიცვალებულს მყუდროება დაურღვია. ის ღმერთს შეევედრა, რომ აღედგინა ეს ადამიანი იმავე სახით, როგორიც წინათ იყო და ძვალს მათრახი გადაჰკრა. მაშინვე ძვლებისგან მთასავით ვეებერთელა ადამიანი წამოიმართა. მაგრამ ის ბრმა იყო და მზეს ვერ ხედავდა. სოლსა ღმერთს შეეხვეწა, რომ გოლიათს მისთვის არ ევნო.

– ვინ გამაცოცხლა? - ხმამაღლა წამოიძახა გოლიათმა.

– მე, სესქათ სოლსამ, გაგაცოცხლე.

– რატომ არ მომეცი მხედველობა?- იკითხა გოლიათმა.

სესქათ სოლსამ მიუგო:

– შენ რომ თვალის ჩინი გქონოდა, მთელ სამყაროს გადაჭამდი.

– ეს რა სამყაროა? - ჰკითხა გოლიათმა, - ადრე აქ მხოლოდ ტყე იყო.

– არ შეიძლება, რომ გიპასუხო. - უპასუხა სოსქათ სოლსამ, - მითხარი, წინათ რას ჭამდით?

პასუხის ნაცვლად გოლიათმა იქვე ხელი მოაფათურა, დიდი ქვა აიღო და დაუწყო ჭამა.

– ჩვენ ამას ვჭამდით, - თქვა გოლიათმა, - და კიდევ იმას, რაც ხელში მოგვხვდებოდა.

– ერთმანეთს როგორ ებრძოდით? - კვლავ ჰკითხა სესქათ სოლსამ.

მაშინ გოლიათმა მოგლიჯა ჭადარი, ხელებით სასწრაფოდ გასხიპა და სესქათ სოლსას ესროლა. თუმცა მან გვერდზე გადახტომა დროულად მოახერხა.

გოლიათმა, როცა ხე ისროლა, თავისთვის ჩაილაპარაკა:

– მე მოვკალი ეს ჭიანჭველა, რადგან მან მხედველობის გარეშე გამაღვიძა.

– როგორ მომკალი, როცა ცოცხალი ვარ? - შეეპასუხა სოსქათ სოლსა.

გოლიათმა პასუხად მიუგო:

– ჩვენს შემდეგ ჩვენზე ჭკვიანი მოდგმა გაჩენილა. ჩვენ გვრცხვენოდა სიკვდილისაგან თავის დახსნა და ერთმანეთი ჭადრებით ამოვხოცეთ.

– როგორ შეგეძლოთ ერთმანეთთან მამაცურად ბრძოლა, როცა თქვენ გქონდათ ისეთი ცუდი საკვები, როგორიც წეღან მაჩვენე, - ქვიშა, ქვა. - თქვა სესქათ სოლსამ.

გოლიათმა მას უთხრა:

– წადი, იარე ბოლომდე, იქ დგას ერთი არყის ხე, მის ძირში დევს ორი პური, აიღე და აქ მომიტანე.

სესქათ სოლსა წავიდა. როგორც გოლიათმა მიასწავლა, იპოვა პურები და მიუტანა. მაშინ გოლიათმა ჰკითხა:

– როგორ გგონია, ეს კარგი პურია?

– მე მგონია, რომ ეს კარგი პურია, - უპასუხა სესქათ სოლსამ, - ძალიან მშიოდა, მხოლოდ ერთი ლუკმა მოვკბიჩე და ახლა მაძღარი ვარ.

– ამ ორი პურით, - თქვა გოლიათმა, - შეგვეძლო ოთხი თვე გვემოგზაურა. თქვენ რით იკვებებით?

– ჩვენ პატარები ვართ, - უპასუხა სესქათ სოლსამ, - მაგრამ ასე მგონია, რომ ერთ ჯერზეც კი ცოტა იქნება ეს პურები დასანაყრებლად.

– არ ეღირება ცხოვრება ამ ქვეყანაზე, - თქვა გოლიათმა, - თუ თქვენ ერთ ჯერზეც არ გყოფნით იმდენი პური, რამდენიც ჩვენ ოთხი თვის მანძილზე გვჭირდებოდა. შენ გამაღვიძე, ახლა თვალის ჩინიც დამიბრუნე და თუ მხედველობა არ მექნება, მაშინ კვლავ ძვლად მაქციე.

სოსქათ სოლსამ გადაჰკრა მათრახი და გოლიათი კვლავ მენჯის ძვლად გადაიქცა.

6. სოსქათ სოლსა და ადამიანის თავის ქალა

ერთხელ სოსქათ სოლსა უდაბურ ველზე მიდიოდა. როცა შებინდდა, ღამის გასათევად ადგილის შეთვალიერება დაიწყო. იქვე, ახლოს, სოლსამ მრგვალი მთა დაინახა, გამოქვაბულით, რომელშიც ის ცხენზე ამხედრებული თავისუფლად შევიდა.

დილით, როცა ირიჟრაჟა, სოსქათ სოლსამ დაინახა, რომ გამოქვაბულს ჰქონდა ორი ერთნაირი შესასვლელი. გამოვიდა ის გამოქვაბულიდან და როცა ცოტა მანძილი გაიარა, დაინახა, რომ ეს იყო უზარმაზარი ადამიანის თავის ქალა. „ალბათ, როგორი დიდი იქნებოდა ის ადამიანი, ვისაც ის ეკუთვნოდა?“ - გაიფიქრა სოსქათ სოლსამ და უზენაესს სთხოვა გაეცოცხლებინა ეს ადამიანი, მაგრამ ისე, რომ მას ვერ ევლო და მხოლოდ ჯდომა შესძლებოდა. რასაც სოსქათ სოლსა ღმერთს სთხოვდა, მუდამ ყველაფერს უსრულებდა. ღმერთმა გააცოცხლა გოლიათი, რომელიც მთასავით წამოიმართა. მან თავის გარშემო ღრუბლებს შეუბერა და სულ მიმოფანტა.

სოსქათ სოლსა გოლიათს მიესალმა. იმან კი მისალმების შემდეგ ჰკითხა:

– ვინ გამაცოცხლა? რატომ არ შემიძლია წამოდგომა? ვინ წამართვა ფეხები?

– მე ვთხოვე ღმერთს, რომ ასე გაეცოცხლებინე. ჩვენ, ადამიანები, ზომით შენი თითის ტოლები ვართ. სიარული რომ შეგეძლოს, მოურიდებლად გაგვსრესდი, როგორც ჭიანჭველებს.

– აღნაგობით მეტად პატარები ხართ, მაგრამ მინდა თქვენი ძალა გამოვცადო. მესროლე ქვა. – სთხოვა გოლიათმა.

სტყორცნა სოსქათ სოლსამ ქვა და გოლიათს მუცელში მოახვედრა. გოლიათმა ვერაფერი იგრძნო. მან ირგვლივ ხელი მოაფათურა, მოსწყვიტა კლდეს ნატეხი და თქვა:

– ახლა მე გესვრი ქვას.

როგორც კი ისროლა, სოსქათ სოლსა სწრაფად ამოეფარა მეზობელ კლდეს.

– ხალხი გაფუჭდა, - თქვა გოლიათმა, - მამაცმა მეომარმა ვაჟკაცურად უნდა მიიღოს დარტყმა და მშიშარა დედაკაცივით არ უნდა დაიმალოს.

ამის შედეგ გოლიათმა ხელი მოუჭირა ქვას და დაფშვნა.

– ჩვენს დროში ქვასაც კი ცხიმი გასდიოდა, მთები სავსე იყო მრავალნაირი ნადირით, უხვი მოსავალი მოდიოდა. უფროსები უმცროსებზე ზრუნავდნენ, უმცროსები უფროსებს პატივს სცემდნენ. ხალხმა არ იცოდა მზაკვრობა, შური და ბოროტება. ყველაზე მეტად

პატიოსნება ფასობდა. მაგრამ უკვე მაშინაც ამბობდნენ, რომ მოვიდოდა დრო, როცა ხალხი დაკნინდებოდა, დაიწყებდა ფლიდობას, დაკარგავდა სინდისსა და სირცხვილის გრძნობას.

– დიახ, შენ მართალი ხარ! ჩვენთან ძლიერი სუსტს ჩაგრავს და ხალხს არ ეთაკილება ცუდი საქციელის ჩადენა.

– ეს არ არის ჩემი დრო. ტყუილუბრალოდ გამაცოცხლე. დამიბრუნე თავის ქალის წინანდელი სახე. არ მინდა ასეთ დროში ცხოვრება.

სოსქათ სოლსა კვლავ შეევედრა ღმერთს და სთხოვა გოლიათი ჩონჩხად ექცია. გოლიათმა კვლავ თავის ქალის სახე მიიღო.

7. საიქიოში გადაწყვეტილი კამათი

მომისმინე, მას შემდეგ მრვალმა წელმა და მრავალმა წყალმა ჩაიარა. ჩავლილი წყალი უკან აღარ მოიქცევა, გავლილი წლები აღარ დაბრუნდება. არავინ იცის, როდის მოხდა ეს ამბავი.

ამბობენ, რომ ოდესღაც ერთი ვაჟი ცხოვრობდა, სახელად ბეთარი. ერთი მოხუცი დედის მეტი ქვეყანაზე სხვა არავინ ჰყავდა. ბეთარი დედაზე ზრუნავდა და დედა-შვილი ტკბილად ცხოვრობდა. ბეთარს ჰქონდა ვრცელი ნახნავები და სათიბები. ის თავის ცხვარ-ძროხას მწყემსავდა და ასე შრომაში გადიოდა დღეები. ხოლო ღამით, როცა სიბნელე ჩამოწვებოდა, ის ფანდურზე უკრავდა და დედას ართობდა. მას სძულდა მზაკვრობა, უღირსი საქციელი და თავისი ალალი შრომით მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდა.

იმ დროს იყო ერთი კაცი, სახელად სესქათ სოლსა, რომელსაც ხალხი „ფოლადში ნაწრთობს“ უწოდებდა. მას ჰყავდა შეიარაღებული რაზმი და ცნობილი გახდა თავისი ძალითა და ვაჟკაცობით. სესქათ სოლსას სახელი მთელ დუნიაზე განითქვა, რადგან ის თავის მეომრებთან ერთად მუდამ იბრძოდა და თარეშობდა. ბეთარი და სესქათ სოლსა ერთმანეთს არ იცნობდნენ.

სესქათ სოლსა თარეშიდან გამარჯვებული ბრუნდებოდა. ის ძლევდა ნებისმიერ დაბრკოლებას, დღითიდღე საკუთარ ძალაში

რწმუნდებოდა. ერთხელ მან თავის შვიდარშინიან ყოვლისმცოდნე რაშს ჰკითხა:

– არის თუ არა ამ ქვეყანაზე ჩემზე ძლიერი და მამაცი ადამიანი?

ყოვლისმცოდნე და ყოველთვის სიმართლის მთქმელმა რაშმა მიუგო:

– სესქათ სოლსა, დიდი ხანია გიცნობ. ამ ქვეყნად ერთად ცოტა გზები როდი დაგვილახავს. ძალასა და ვაჟკაცობას საკმარისად ფლობ, მაგრამ საწყენად ნუ მიიღებ, ამ ქვეყნად არის ერთი ახალგაზრდა კაცი, სახელად ბეთარი. ვერ ვიტყვი, რომ ის შენ გჯობია, მაგრამ ძალითა და ვაჟკაცობით არ ჩამოგივარდება.

სესქათ სოლსამ იცოდა, რომ რაში არასოდეს ეტყოდა ტყუილს. ის ძლიერ დანაღვლიანდა, როცა უცნობ ვაჟზე შეიტყო, რომ, თუ ის ვერ აჯობებდა, პირველობას მაინც არ დაუთმობდა. მის სულს მწუხარება დაეუფლა და უცნობი ვაჟის მიმართ შური აღეძრა. სესქათ სოლსამ თავის რაშს ჰკითხა:

– ძველო მეგობარო, საიდან იცი ეს ამბავი?

რაშმა მშვიდად მიუგო:

– იმ ჭაბუკს ჰყავს ერთი რაში, რომელიც საუკეთესოდ იცნობს თავის პატრონს. მისგან გავიგე.

– წამოდი და ახლავე სასწრაფოდ იმ ბეთართან მიმიყვანე. გავიგებ, მართლაც ისეთია, როგორც შენ ამბობ?

მგზავრობამ შვიდ დღესა და შვიდ ღამეს გასტანა. ბოლოს ისინი ბეთართან მივიდნენ.

– სალამ ალეიქუმ! მიიღებ სტუმარს?

– ვა ალეიქუმ სალამ! მოხვედი მშვიდობით! ვისაც სტუმარი არ უყვარს, ის არც ღმერთს უყვარს. მობრძანდით!

ბეთარმა სტუმარი პატივისცემით მიიღო, რადგან მას ბევრი სმენოდა სესქათ სოლსას შესახებ. როცა ჭამეს და დალიეს, მასპინძელმა სტუმრის გასართობად ფანდურზე დაუკრა. სესქათ სოლსა მასთან სტუმრად სამ დღეს დარჩა, რათა ბეთარის კეთილ ქცევებში დარწმუნებულიყო. ბოლოს სოლსამ მასპინძელს თავისი სტუმრობის მიზანი გაანდო.

– ვინ არის უფრო ძლიერი და მამაცი ჩვენ შორის? - ჰკითხა სტუმარმა.

იკამათეს ხან ასე, ხან ისე, რჩევა ხალხსაც ჰკითხეს, მაგრამ ყველა თავისებურად პასუხობდა: ერთნი ამბობდნენ, რომ ბეთარი ჯობდა, მეორენი კი უპირატესობას სესქათ სოლსას ანიჭებდნენ. შეფიქრიანებულმა ვაჟკაცებმა არ იცოდნენ, როგორ გადაეწყვიტათ საკითხი.

და აი ამ დროს ბეთარის მოხუცმა დედამ მოიბოდიშა და ბიჭებს ურჩია:

– მიწის ქვეშ, იმქვეყნად არის ელდა[1], მიცვალებულთა გამგებელი, რომელიც გარდაცვლილ სულებს მფარველობს. მან იცის ყველაფერი, თუ რა ხდება იმქვეყნად და რა ხდება მზიან ქვეყანაში. მხოლოდ მისგან შეგიძლიათ გაიგოთ, თუ ვინ არის თქვენ შორის უფრო მამაცი და ღონიერი.

მოხუცმა მიასწავლა ბიჭებს, თუ როგორ უნდა მიეღწიათ ელდამდე, სადაც ცოცხალთაგან ჯერ არავინ მისულიყო. ვაჟები წავიდნენ მითითებული გზით: სესქათ სოლსა თავისი რაშით და ბეთარი თავისი ცხენით. ასე მიაღწიეს მათ თერგამდე, რომელიც მაშინ უფრო სწრაფი და წყალუხვი მოედინებოდა, ვიდრე დღეს არის. წვიმებისგან ის უფრო გაშავებულიყო, ქვებს ატრიალებდა, წყლის ღვარცოფი გამალებით მიქროდა და ყველაფერს დაღუპვით ემუქრებოდა. მდინარეზე გადასვლა შეუძლებელი ჩანდა.

ბეთარმა თქვა:

– აქ წყალი საშიშია, უმჯობესია ფონი მოვძებნოთ.

მაგრამ სესქათ სოლსას თავისი ვაჟკაცობის ჩვენება სურდა და ბეთარს მიუგო:

– გადავიდეთ, ეს სულაც არ არის საშიში.

ამ სიტყვების შემდეგ სესქათ სოლსამ გადაუჭირა ცხენს მათრახი და აბობოქრებული მდინარისკენ გადახტომა დაუპირა. მართალია, მან მათრახი გადაუჭირა და ისე შეჰყვირა, რომ ცხენმა ჩაიმუხლა კიდეც, მაგრამ რაში მაინც ფრუტუნებდა, ბორგავდა, აქეთ-იქით აწყდებოდა და წყალში მაინც არ შევიდა. ბეთარმა, სესქათ სოლსას რაშის ძრწოლა რომ დაინახა, თავის ტანდაბალ ცხენს მუხლები მსუ-

ბუქად მოუჭირა და მდინარეში მშვიდად შეიყვანა. ცხენმა ჯერ დაყნოსა, მიმოიხედა, ფონი შეარჩია, ხოლო შემდეგ წყნარად და თავდაჯერებულად მდინარის გადაცურვას შეუდგა. მას მიჰყვა სესქათ სოლსას ცხენიც. მაგრამ მდინარის შუაში, სადაც წყალი ღრმა და სწრაფი იყო, სესქათ სოლსას მძიმე ცხენი სწრაფმა ნაკადმა გაიტაცა.

მაშინ სესქათ სოლსამ თერგს თხოვნით მიმართა:

– შეამცირე შენი წყალი და ჩემს ოქროს ქამარს გაჩუქებ! - ამ სიტყვებზე ჭაბუკმა ხელმარჯვე ოსტატებისგან გაკეთებული ოქროს ქამარი წყალში გადააგდო. თერგი საჩუქრით კმაყოფილი დარჩა. მას უყვარდა ქამრით თამაში, მასთან ერთად ტალღებში ცურვა. თერგი დამშვიდდა და თავისი წყლები შეამცირა.

როგორც ხალხი ყვება. იმის შემდეგ თერგს წყალი მოემატა და დღეს ის არის უფრო მეტად წყალუხვი მდინარე. ვაჟებმა თერგი გადალახეს და გზა განაგრძეს; მათ გადაიარეს შვიდი მთა, შვიდი ზღვა და ბოლოს ქვეყნიერების ნაპირს მიაღწიეს. იქ მიწა მთლიანად ჩამოგლეჯილი იყო და ბიჭებს წასასვლელი აღარსად ჰქონდათ. როგორც ბეთარის მოხუცი დედა მოუყვათ, მათ დაინახეს ქვეყნიერების ნაპირიდან ქვემოთ ჩასასვლელი კიბე. ვაჟებმა თავიანთი ცხენები საძოვარზე გაუშვეს და ქვემოთ დაეშვნენ. წინ სესქათ სოლსა მიდიოდა, რომელსაც თავისი ვაჟკაცობის გამოვლენა სწყუროდა, მას ბეთარი მისდევდა, რომელსაც არ ჩვეოდა ზედმეტი სიამაყე.

ბევრი იარეს, მაგრამ გზას ბოლო არ უჩანდა. ქვემოთ მიმავალი შავი წყვილის გარდა, არც არაფერი მოჩანდა. ასე იარეს ბიჭებმა და საიქიოს კარს მიადგნენ. ელში შესასვლელ სპილენძის ჭიშკართან იჯდა ცხრათვალიანი, ცხრახელფეხიანი და ეშვებიანი, საშინელი ეშაპი. ის, უზარმაზარი ტანით, დათვივით მოჩანდა. მას გრძელ ბეწვზე მკბენარი ეხვეოდა და თავისივე ბრჭყალებით იფხანდა. არცერთ სულიერს ასეთი საშინელი არსება არც ძილში და არც ცხადში არასოდეს ენახა.

როცა ვაჟებმა თავიანთი მოსვლის მიზეზი განუცხადეს, ეშაპმა სიცილით მიუგო:

– დღემდე არ მინახავს ცოცხალი ადამიანი, რომელიც აქ შემოსვლას მოისურვებდა. ამ კარებში ჯერ ცოცხალი ადამიანი არ შესულა. მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ შეიძლება ადამიანი საიქიოში მოხვდეს. იქ შესული უკან ველარასოდეს დაბრუნდება. ამის გამო დამაყენეს აქ მცველად და მას შემდეგ პატიოსნად ვასრულებ ჩემს მოვალეობას. როცა თქვენ დაიხოცებით, აქ შემოსვლას თავისუფლად შეძლებთ.

– ადამიანის იერის არმქონე ეშაპო, თუ არ შეგვიშვებ, ხმლით ორად გაგაპობ! - უთხრა სესქათ სოლსამ და ხმალიც დააძრო.

ეშაპმა გაიცინა და ტაშისცემით გამოაჯავრა სესქათ სოლსას. თუ ეშაპი არ შეასრულებდა ნათქვამ სიტყვას და სესქათ სოლსა ქარქაშიდან ამოღებულ ხმალს არ დაარტყამდა - დიდი სირცხვილი იქნებოდა! ვაჟმა მთელი თავისი ძალ-ღონე მოიკრიფა და ეშაპს თავისი დიდი ხმალი მთელი ძალით მოუქნია. სესქათ სოლსას თითქოს ხმალი მაგარი ქვისთვის დაერტყა, ისეთი ხმა გამოსცა. ხმალი გადატყდა, რომელმაც ეშაპის სხეულზე თმის ერთი ბეწვიც კი ვერ გაჭრა.

ეს გასართობი რომ დაინახა, ეშაპი კიდევ უფრო გახალისდა და ბევრი იცინა.

– მე რომ სუსტი ვყოფილიყავი, აქ კი არ დამსვამდნენ. გმადლობ, ჩემო ბიჭო, შენ ჩემს ტანზე ერთი მწერი მოკალი, რომელიც მოსვენებას არ მაძლევდა.

ბეთარმა გაიფიქრა: „მართალია, ეს ეშაპია, მაგრამ ის მაინც ქალაჩუნაა“. ბეთარი მოტრიალდა მისკენ და უთხრა:

– თუ საიქიოში შეგვიშვებ, იქიდან კარგ საჩუქარს მოგართმევთ.

ეშაპი თავაზიანი გახდა, მაგრამ მაინც არ შეუშვა. ბეთარმა ყოყმანი რომ შეატყო, განაგრძო:

– მართლა, შეგვიშვი და როგორც შეგპირდით, კარგ რამეს გაჩუქებთ. შეხედე შენს თავს, შენ ისეთი სასიამოვნო და მიმზიდველი გარეგნობა გაქვს. არ შეგფერის ასეთ თვალტანადს, რომ თხოვნაზე უარი გვითხრა.

ეშაპს მუდამ იმას ეუბნებოდნენ, რომ ის უშნო და მახინჯი არსება იყო, როგორც სინამდვილეში გამოიყურებოდა. ეშაპს ეს ძალიან სწყინდა, რადგან მას თავისზე ლამაზი არავინ მიაჩნდა ქვეყნიერებ-

აზე. ბეთარის ეშმაკურმა სიტყვებმა ისე მოალბო ეშაპის გული, როგორც ერბო საწუღედ გამომშრალ ტყავს არბილებს ხოლმე.

გახარებულმა ეშაპმა უეცრად უთხრა:

– თქვენ დიდხანს იცოცხლეთ და წადით, გაიარეთ.

თქვა ეშაპმა და ოდნავ გვერდით გაიწია. ისინი სწრაფად შეცვივდნენ გამოღებულ კარებში. ეშაპმა თავისი მოულოდნელი გულჩვილობა მაშინვე ინანა, მაგრამ სინანული უკვე დაგვიანებული იყო.

საიქიოში ბნელოდა და ციოდა. ყველგან მიცვალებულთა სულები ირეოდნენ. უმრავლესობა მოსთქვამდა. მოხუცი დედების სულები მზიან ქვეყანაში დატოვებულ თავიანთ შვილებზე გოდებდნენ. ბავშვების სულები თავიანთ დედებსა და მამებს ნატრობდნენ. გაოცებული ბეთარი და სესქათ სოლსა ყურადღებით აკვირდებოდნენ ამ სულებს. მათ მხოლოდ სუდარა ემოსათ. სულები მზიან ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს ჰგავდნენ. უმრავლესობას მოხუცი კაცებისა და ქალების სულები შეადგენდნენ. ახალგაზრდების სულები ჰგავდნენ ჭირით დაავადებულ ადამიანებს, ზოგიერთები კი დასახიჩრებულ, ბრძოლაში დაღუპულ მეომრებს. მგზავრებმა გზა გააგრძელეს. მათთან მისვლა დაიწყეს სულებმა, რომლებიც სესქათ სოლსას წყევლიდნენ. ზოგს ხელი არ ჰქონდა, ზოგს - ფეხი, ზოგს - თავი, ზოგიც დაჭრილ-დაჩეხილი სხეულით მოდიოდა. მათ არ დავიწყებოდათ სესქათ სოლსას ჩადენილი საქციელი, რომელიც მან თავს დაატეხათ. ეს სულები სესქათ სოლსას ანგარიშის გასწორებით ემუქრებოდნენ, როცა ის სიკვდილის შემდეგ საიქიოში ჩავიდოდა. მგზავრებმა კვლავ იარეს, იარეს და ვაჟებთან ახლა ის სულები მივიდნენ, რომლებსაც თავიანთი სიცოცხლის პერიოდში ბეთარი დაეხმარა და სიკეთე გაუკეთა. ამის გამო ბეთარს ყველა მადლობას უხდიდა.

მიცვალებულთა სამყოფლის შუაში მათ დაინახეს ადამიანთა ძვლებით აგებული მაღალი კოშკი. იქ ცხოვრობდა ელდა, მიწისქვეშა სამყაროს გამგებელი, რომელიც გარდაცვლილებს ასამართლებდა. მართლებს ის იალსამალში აგზავნიდა, ცოდვილებს კი ჟოჟაღათში[2] ათავსებდა.

ელდას ძალიან გაუკვირდა, როცა თავის სამფლობელოში ცოცხალი ადამიანები დაინახა.

– რას დაეხეტებით მიწისქვეშა სამყაროში? აქ რამ მოგიყვანათ? თავისი სურვილით ჩემთან ჯერ არავინ მოსულა, პირიქით, აქედან ყველას გაქცევა სწადია!

– ვერ გაგვიგია, ვინ არის ჩვენ შორის უკეთესი. მხოლოდ შენ შეგიძლია ამ კითხვას უპასუხო.

მიწისქვეშა სამყაროს გამგებელი ღრმად ჩაფიქრდა და თქვა:

– ჩემზე უკეთესად არავინ იცის, რაც ხდება მთელ დუნიაზე. სიკვდილის შემდეგ ყველაფერი, ადამიანებისგან ჩადენილი, ჩემს სასამართლოში გაირჩევა. ვინ არის თქვენ შორის უკეთესი, ძნელია ამის თქმა, მაგრამ შევეცდები, რომ გიპასუხოთ. ჯერ მოგიყვებით ერთ ამბავს და თითოეულმა თქვენგანმა თავისი აზრი გამოთქვას.

ძველ დროში ორი მეგობარი ცხოვრობდა. ყველა იცნობდა მათ, როგორც ერთგულ და სანდო მეგობრებს. ერთ მათგანს შეუყვარდა ქალიშვილი, რომელიც დათანხმდა ვაჟისთვის დაეკავშირებინა თავისი ბედი. მეორესაც ეს ქალიშვილი შეუყვარდა, რომელმაც არ იცოდა, რომ იგი მის მეგობარს უყვარდა. ვაჟმა გაგზავნა მაჭანკლები და ქალის მშობლებისგან თანხმობა მიიღო. პირველმა არ იცოდა ამის შესახებ და, როგორც ხდება ხოლმე, საყვარელ ქალიშვილთან ტკბილი საუბარი მოისურვა. ქალიშვილმა ვაჟს თავისი მწუხარება გაანდო და უთხრა, რომ მასთან ერთად გასაქცევად მზად იყო. ეს ბიჭი, როცა სახლში ბრუნდებოდა, უდაბურ ადგილზე თავისი მამის მკვლელს შეხვდა. მისი მოსისხლე იყო დასუსტებული და მშიერი. ის წყურვილისაგან კვდებოდა და არ ჰქონდა არანაირი იარაღი. მითხარით, როგორ მოიქცეოდით ამ ვაჟის ადგილზე?

სესქათ სოლსამ თქვა:

– მე თუ მკითხავთ, მაგ ახალგაზრდის ადგილზე ქალს ცოლად წავიყვანდი, რადგან მან მეორე ბიჭზე ადრე შეიყვარა ის ქალიშვილი. ხოლო მოსისხლესთან ისე მოვიქცეოდი, როგორც საჭიროა. მნიშვნელობა არ აქვს, რა ვითარებაშიც უნდა ყოფილიყო, ის მაინც ჩემი მოსისხლე იქნებოდა. მას თუ იარაღი არ ექნებოდა, საბრძოლველად მე ჩემსას მივცემდი, ზედმეტ იარაღს.

ბეთარმა კი უპასუხა:

– არც ნოყიერი სადილისთვის და არც მხოლოდ სხვების დასანახად მეგობარი არ გვჭირდება. მეგობრობა დიდ საქმესა და უბედურებაში ვლინდება. ახალგაზრდა კაცს თავს დაატყდა ორი მძიმე განსაცდელი. ასე მგონია, რომ, რაც უნდა ძნელი ყოფილიყო, მე მაინც დავუტოვებდი გოგონას მასზე შეყვარებულ ამხანაგს, რადგან სწორედ ასე უნდა მოიქცეს ნამდვილი მეგობარი. ძნელია, გვერდი აუარო მოსისხლე მტერს, მაგრამ თუ ის შემხვდებოდა ასეთი საცოდავი სახით, მე მას არ მოვკლავდი, გავუნაწილებდი პურსა და მარილს. ნაკლებად სასახელო იქნება დაუცველი კაცის მოკვლა. მაგრამ სხვა სიტუაციაში აუცილებლად ავიღებ ჩემს ვალ სისხლს. რაც უფრო კარგად იცხოვრებს, მით უფრო გაუძნელდება მას სიცოცხლესთან განშორება!

როცა ორივეს საუბარი მოისმინა, ელდამ თქვა:

– შენ არ გეწყინოს, სესქათ სოლსა! თუ ვაჟკაცობას შენებურად განვსჯით, შენზე მამაცი არავინ არის. თქვენი პასუხებიდან როგორც გავიგე, კაი ყმის მოვალეობა ბეთარს უკეთ ესმის. ის არაერთ თვისებას შეიცავს. ვაჟკაცობა გონებითა და სიბრძნით ყალიბდება.

მაშინ მიხვდა სესქათ სოლსა, რომ ვაჟკაცობაში პირველობას ბეთარს უთმობდა.

– ახლა ვნახოთ, ვინ არის თქვენ შორის უფრო ღონიერი. - თქვა ელდამ.

მან თავს ზემოთ ასწია საკუთარი კვერთხი, მოიქნია და ნახევრამდე ჩაარჭო მაგარ და უზარმაზარ ქვაში, რომელიც მათ წინ ეგდო.

ელდამ თქვა:

– ვინც ამ კვერთხს ქვიდან ამოაძრობს, ის იქნება უფრო ძლიერი.

სესქათ სოლსამ გაიფიქრა: „ახლა მაინც ვაჩვენებ ჩემს ძალას, თორემ შევრცხვები“.

სესქათ სოლსა დარწმუნებული იყო საკუთარ გამარჯვებაში, რადგან მას სხეულში დიდი ძალა ჰქონდა.

– მე ამოვაძრობ ამ კვერთხს. - თქვა მან.

ბეთარი არ ჩქარობდა. სესქათ სოლსამ ჩასჭიდა ორივე ხელი კვერთხს და მთელი ძალით გამოსწია. მან ისე მაგრად მიაბჯინა ფე-

ხები ქვას, რომ ის სულ ღორღად აქცია. ჭაბუკმა მთელი თავისი ძალღონე გახარჯა, მაგრამ კვერთხი მაინც ვერ ამოაძრო. დაღლილობისგან ის ფეხზე ძლივსღა იდგა.

შემდეგ კვერთხთან ბეთარი მივიდა. მან ერთი ხელით მშვიდად ამოსწია კვერთხი ღორღიდან და მიცვალებულთა გამგებელს გაუწოდა.

ელდა მიხვდა, რატომაც არ მივიდა თავდაპირველად ბეთარი კვერთხის ამოსაღებად და თქვა:

– სესქათ სოლსა, შენ უდიდეს ძალას ფლობ. მაგრამ როცა ძალა ერთიანდება გონებასთან, ადამიანი უფრო ძლევამოსილი ხდება. ბეთარმა მოიგო სანაძლეო. მე აქამდე არ მისაუბრია მზიანი ქვეყნის ცოცხალ ადამიანებთან, თუმცა მათ ვასამართლებ თავიანთი მიწიერი საქციელისთვის. ასე განგსაჯეთ თქვენ. გინდათ კიდევ ჩემგან რამე?

ბეთარმა უპასუხა:

– გმადლობ ბრძნული სიტყვებისთვის. ჩვენ არ შეგვიძლია ბევრი რამე გთხოვოთ, მაგრამ გვაქვს კიდევ ერთი სათქმელი. ჩვენ ლამაზი სიტყვებით საიქიოს შემოსასვლელის მცველი ეშაპი მოვატყუეთ. მას საჩუქრის მიცემა აღვუთქვით. ახლა თქვენი დახმარება გვჭირდება. თქვენ გარდა, ვერავინ დაგვეხმარება აქედან გასვლაში.

– ამაზე ადვილი არაფერია, - თქვა საიქიოს გამგებელმა და ბეთარს ორი წყრთის ზომა დიდკბილა სავარცხელი გაუწოდა. - დიდი ხანია ეშაპს ტილები აწუხებენ, თუ მას ამ სავარცხელს აჩუქებთ, დიდ სიკეთეს გაუკეთებთ.

ვაჟებმა ელდას მადლობა გადაუხადეს და უკან გამობრუნდნენ. როგორც კი ისინი ეშაპმა დაინახა, მაშინვე კარებში ჩადგა და მგზავრებს ღიმილით ჰკითხა:

– ჩემო შვილებო, სად არის თქვენი შეპირებული საჩუქარი? ახლა აქედან გასვლა ადვილი არ გეგონოთ. ეს ბევრად უფრო რთული იქნება, ვიდრე აქ შემოსვლა იყო.

მაშინ ბეთარმა უთხრა:

– მადლობა, რომ შენი შვილები გვიწოდე. აი, ჩვენი საჩუქარიც. - და ბეთარმა ეშაპს სავარცხელი გაუწოდა.

ეშაპმა დასტაცა ხელი სავარცხელს, მოიკრიფა მთელი ძალ-ღონე და გააფთრებით დაიწყო ვარცხნა. სიხარულისგან ის ექსტაზში ჩავარდა და სიცილისგან იგუდებოდა, ხოლო მუშტისხელა ტილები, მიწაზე ხმაურით ეცემოდნენ, თითქოს ქვები ყოფილიყვნენ.

ბიჭებმა თავიანთვის ჩაილაპარაკეს, „ღმერთმა დაგვიფაროს შენი შვილობისაგანო“ და კარში გამოცვივდნენ. ისინი გზას დაადგნენ. კვლავ ავიდნენ კიბეზე, რომელიც სააქაოს საიქიოს წყვდიადისგან აშორებდა. სესქათ სოლსა და ბეთარი მზიან ქვეყანაზე ამოვიდნენ, შესხდნენ ცხენებზე და თავიანთი სახლებისკენ გასწიეს.

მართალია, ბეთარმა მოიგო სანაძლეო, მაგრამ სესქათ სოლსამ მასთან მეგობრობა მაინც გააგრძელა, შური კი ჩარჩა გულში. შემდეგ კი თავისი საოცრად ლამაზი და ბეთარს მიათხოვა და ურთიერთობა ნათესაობით განამტკიცა.

ბეთარი მზეთუნახავ ცოლთან ერთად ბედნიერად ცხოვრობდა. მათ შვილები ეყოლათ, შვილებს კიდევ შვილები ეყოლათ და მათმა მოდგმამ დღემდე მოაღწია. თუ სადმე დაინახავთ კეთილშობილ, ჭკვიან და მამაც ადამიანს, იცოდეთ, ის მათი შთამომავალია.

8. ჯენთელგი

იყო ერთი ნართი, სახელად ჯენთელგი. მას ჰყავდა ორი მეგობარი, რომლებმაც სახელი გაითქვეს ვაჟკაცობითა და სიმამაცით. ისინი სათარეშოდ ჯენთელგის წინამძღოლობით დადიოდნენ.

ერთხელ ნართები უცხო მხარეში აღმოჩნდნენ და არ იცოდნენ ღამე სად გაეთიათ. უცებ ხვრელი დაინახეს, შიგ ჩაიხედეს, მაგრამ იქ მხოლოდ სიბნელე მოჩანდა.

– მოდი, ჩავიდეთ და ღამე იქ გავათიოთ. - თქვა ჯენთელგმა.

– საშიშია ჩასვლა, ჩვენ ხომ არ ვიცით, იქ რა ხდება. - თქვეს ნართებმა.

– რა უნდა დამემართოს, მე ჩავდივარ. - თქვა ჯენთელგმა და ორმოში ჩაშვება დაიწყო. მას სხვებიც მიჰყვნენ. მიდიან, მიდიან და სინათლე დაინახეს. მივიდნენ და ეშაპს გადეყარნენ.

წამოდგა ეშაპი, დააკვესა თვალები და დააკრაჭუნა კბილები:

– აქ რა გინდათ, რაზე მოხვედით?

– მოხუცო ეშაპო, ჩვენ მოვედით, რათა შენი სისხლი დავლიოთ! - თამამად მიუგო ჯენთელგმა.

– თქვენ არ გეყოფათ ძალა ჩემი სისხლის დასაღვრელად. მე თვითონ ვსვამ თქვენნაირი ადამიანების სისხლს. - თქვა ეშაპმა და ზურგს უკან კარი გააღო.

მეგობრებმა სამოცდასამი თავი დაინახეს.

– ეს იმათი თავებია, რომელთა სისხლიც უკვე დავლიე. მათ შორის იყვნენ შენზე და შენს მეგობრებზე ძლიერი ვაჟკაცებიც. - თქვა ეშაპმა.

– გაგეხუმრეთ, როგორ უნდა დავღვაროთ შენი სისხლი. უკეთესი იქნება, თუ საჭმელსა და ღამის გასათევ ადგილს მოგვიმზადებ.

ეშაპმა ძროხა დაკლა, ხორცი ქვაბში მოხარშა, სტუმრებს ვახშამი მოუმზადა, გაუმასპინძლდა და შემდეგ დასაძინებლად დააწვინა.

მეგობრები დაწვნენ. ჯენთელგმა თავი მოიმძინარა, თან ფხიზლობდა. ბევრი დრო გავიდა თუ ცოტა დრო, რაღაც ხმაური შემოესმა. გამოაღო ჯენთელგმა კარები და რას ხედავს: ეშაპი ლესავს დანას და თან კბილებსაც ილესავს.

ჯენთელგმა წყნარად გააღვიძა მეგობრები. როცა მათ დაინახეს, რას აკეთებდა ეშაპი, შიშისაგან გაიტრუნნენ.

ეშაპი მათ მხარეს იყურება და ეკითხებათ:

– ვის სძინავს და ვის არ სძინავს?

– მე, ჯენთელგს, არ მძინავს.

– რატომ არ გძინავს, დაიძინე!

– არ მეძინება. ფაფა მინდა, რადგან დედაჩემი, სამი წლის ხარის მოხარშვის შემდეგ, ისეთივე დიდ ქვაბში ძილის წინ სუფთა რძით ფქვილისაგან ფაფას მიხარშავდა. – თქვა ჯენთელგმა.

ეშაპი უზარმაზარ ქვაბში რძიან ფაფას ხარშავს და თან ნიჩბით ურევს. ფაფა ძალიან გაცხელდა და დაიწყო ბუყბუყი. ეშაპი გავარვარებულ ქვაბთან იდგა და ურევდა. ჯენთელგი ზურგიდან წყნარად მიეპარა ეშაპს, ხელი ჰკრა და უზარმაზარ ქვაბში ჩააგდო.

ეშაპი ძლიერი დამწვრობისგან დაბრმავდა. ის ოთახში საშინელი ღრიალით დარბოდა. ჯენთელგმა იშიშვლა ხმალი და ეშაპი სულ ნაკუწებად აქცია.

ეშაპის სისხლი მან კარს იქით დახოცილ 63 მეომარს ასხურა და ყველანი გააცოცხლა.

ჯენთელგმა წამოიყვანა თავისი მშიშარა მეგობრები, ამ სამოცდასამ მეომარს კი სათავეში ჩაუდგა და მტრების წინააღმდეგ ბრძოლა განაგრძო.

9. ბეთარი და სასაფლაოს ღამის სტუმარი

თუ სოფელ სურხოხში შეივლით, გადადით პატარა მდინარე კენზე და ზემოთ აიხედეთ. იქ შეიძლება ყორღანი დაინახოთ, რომელიც დიდი ხანის წინ აღუმართავთ. მის შესახებ ერთ ამბავს ყვებიან.

ერთხელ ბეთარს, ახალგაზრდა კაცს ორსთხოელების ტომიდან, როცა ღამით სასაფლაოს მახლობლად მიდიოდა, შუა სასაფლაოდან ადამიანების საუბარი შემოესმა. მას კიდეც გაუკვირდა და კიდევაც შეკრთა. ბეთარი მიუახლოვდა და მათ საუბარს ყური მიუგდო. უეცრად ქალიშვილის ხმა შემოესმა. ქალიშვილი საფლავიდან წამოდგა, წავიდა გზაზე და სილამაზით თან შუქს ასხივებდა. ბეთარი ქალიშვილის სილამაზითა და მისი გრძელი ნაწნავებით ძლიერ მოიხიბლა. ვაჟმა დაუწყო გამოკითხვა, ვინ იყო, იქ რას აკეთებდა. გოგონა საუბარს თავს არიდებდა. მაშინ ბეთარმა ჰკითხა:

– მე მანამ არ ჩამოგეხსნები, სანამ არ გავიგებ, ვინ ხარ და აქ რატომ მოხვედი.

მაშინ ქალიშვილმა გაანდო:

– მე თავადის[1] ტყვე ვარ. მას ძმა გარდაეცვალა, რომელიც ამ სასაფლაოზეა დაკრძალული. თავადი ყოველ ღამით ძმის საფლავზე მგზავნის, რათა გავიგო, როგორ არის მისი ძმა იმ ქვეყნად. ღამით საფლავზე მოფრინდება ხოლმე დიდი ფრინველი[2], რომელიც ყველაფერს მიყვება. მე კი თავადს ვუყვები მის ნაამბობს. იქამდე უნდა ვიარო საფლავზე, სანამ ის ფრინველი ცოცხალი იქნება. მის გარდა, უფლება არ მაქვს ვინმეს ვეჩვენო.

ბეთარი ყოველ ღამეს სასაფლაოზე დადიოდა. მან არ იცოდა, რით დახმარებოდა ქალიშვილს. ბოლოს ის სასაფლაოზე მანამდე მივიდა, სანამ მზეთუნახავი გამოჩნდებოდა. ამ დროს მოფრინდა დიდი ფრინველი და საფლავის ბორცვზე შემოჯდა. ბეთარმა ფრინველი

აკუწა და ქალიშვილს დაელოდა. ქალიშვილი მოვიდა და ვაჟს ტირილით უთხრა, რომ თავადს მასზე დაქორწინება სურდა.

ბეთარმა უთხრა:

– წადი და უთხარი თავადს, რომ ახალგაზრდა კაცი, სახელად ბეთარი, მივა და შეებრძოლება. ისიც უთხარი, რომ მე ფრინველთან ახლოს არ მიგიშვი.

მივიდა ქალიშვილი თავადთან და სიტყვასიტყვით გადასცა, რაც ბეთარმა დააბარა. თავადს გაგონილი ჰქონდა ბეთარის სიმამაცის შესახებ. როგორც კი მზე ამოვიდა, ბეთარი თავადთან გამოცხადდა.

– შენთან ერთად არავინ არის? - ჰკითხა თავადმა.

– მე ერთიც საკმარისი ვარ. არავის დახმარება არ მჭირდება.- მიუგო ბეთარმა.

დაიწყეს ბრძოლა. ბეთარმა არა მარტო მოკლა თავადი, არამედ მთელი მისი რაზმიც გაანადგურა.

ბეთარი მივიდა ქალიშვილთან და თან წაიყვანა. როცა სასაფლაოს მახლობლად გაიარეს, მზეთუნახავმა მოკლული ფრინველი დაინახა და უთხრა ბეთარს:

– ჩემი გარდაცვალების დრო მოვიდა. – თქვა ქალიშვილმა ეს სიტყვები და მაშინვე სული დალია.

ბეთარმა ქალიშვილი იქვე დაკრძალა და მის საფლავზე ყორღანი აღმართა.

10. როგორ გაჩნდა ქელეხის გადახდის წესი

ცნობილია, რომ შერთუყომ ორხუსთოელები უბედურებისგან არაერთხელ იხსნა. შერთუყო გახდა მათი ყველა მნიშვნელოვანი წამოწყების მეთაური. ბათოყო შერთუყოს შეეძლო, აგრეთვე, ნებისმიერ დროს საიქიოში წასვლა და იქიდან კვლავ ამ ქვეყნად დაბრუნება.

ერთ ორხუსთოელს დედა გარდაეცვალა. ის ძალიან წუხდა გარდაცვლილ დედაზე.

– შენ თუ ასე ძლიერ გიყვარს დედა, - უთხრა ბათოყო შერთუყომ, - იცი, რით შეგიძლია სცე ნუგეში და ინუგეშო საკუთარი თავიც?

– რით? - ჰკითხა ორხუსთოელმა.

– შენი ნახირიდან დაკალი პირუტყვი და დაკლული საკლავი მისავალი იქნება შენი გარდაცვლილი დედისთვის.

– ბათოყო შერთუყო, სიმართლეს ამბობ? - ჰკითხა ორხუსთოელმა, რომელსაც მისი ნათქვამი თითქოს არ სჯეროდა.

– თუ არ გჯერა, გამომაყოლე იმქვეყნად სანდო ადამიანი, შენ კი აქ დაკალი საკლავი დედაშენის სანუგეშოდ.

ორხუსთოელი ასეც მოიქცა. მან დაკლა დედალ-მამალი და ისინი, ქადებით სავსე კალათასთან ერთად, ღარიბებს დაურიგა. ამავდროულად ბათოყო შერთუყო სანდო პირთან ერთად იმქვეყნად გაემგზავრა. მათ ბევრი იარეს თუ ცოტა, ბოლოს ერთი მთა დაინახეს. მთის ძირას ორხუსთოელის გარდაცვლილი დედა იჯდა, წვეროზე - დედალ-მამალი, მის გვერდით კი ქადებით სავსე კალათა იდო.

საიქიოდან დაბრუნებულმა ბათოყო შერთუყომ ორხუსთოელს უთხრა: ჩვენ ვნახეთ მთა, რომლის ძირშიც დედაშენი იჯდა, ზემოთ იდო დაკლული დედალი და დაკლული მამალი, მათ გვერდით კი ქადებით სავსე კალათა.

– არა, მე დედაჩემისთვის არაფერი დამიკლავს. - თქვა მათ გამოსაცდელად ორხუსთოელმა.

– არ ვიცით, - თქვეს ბათოყო შერთუყომ და მისმა ამხანაგმა, - საიქიოში ჩვენ მხოლოდ დედაშენი, მამალი და დედალი ვნახეთ.

ორხუსთოელი დარწმუნდა, რომ დაკლული ცხოველი გარდაცვლილს იმქვეყნად მისდიოდა. ამბობენ, რომ ამ დროიდან წარმოიშვა მიცვალებულისთვის ქელეხის გადახდის წესი.

11. ბათიგ შერთყა საიქიოში

ბათიგ შერთყაც იყო ნართი და სოსქათ სოლსას მეგობარი. ის ხშირად კვდებოდა და ისევ ცოცხლდებოდა, მიდიოდა საიქიოში და ბრუნდებოდა ამქვეყნად. ერთხელაც ის მოკვდა. მას ნართებმა სულის საცხონებლად ორი ქათამი და ერთი მამალი დაუკლეს. როცა ის ამქვეყნად დაბრუნდა, ნართებმა უთხრეს, რომ მისი სულის საოხად უამრავი ხარი და ცხვარი დახოცეს. ბათიგ შერთყამ უპასუხა, რომ იქ არაფერი უნახავს, ორი ქათმისა და ერთი მამლის გარდა. ამის შემდეგ ნართებმა მიცვალებულის სახელზე პირუტყვის დაკვლა და შე-

წირვა დაიწყეს, რადგან ირწმუნეს, რომ ის მისავალი იქნებოდა მათი გარდაცვლილებისთვის[1].

12. სოსქათ სოლსას ფასი

როგორც ახლა ჩვენ ვსხედვართ, ასე ისხდნენ ფხეგათში[1] სოსქათ სოლსა, ბათოყო შერთუყო და სხვა ორხუსთოელები. სოსქათ სოლსა თოფს წმენდდა.

– როგორ შეაფასებდი ჩემს თოფს? - ჰკითხა მან ბათოყო შერთუყოს.

– მას შევაფასებდი შენი თოფის ლულაში ჩაყრილი ფეტვის[2] ფასად!

სოსქათ სოლსას ძალიან ეწყინა და გაბრაზდა ბათოყო შერთუყოზე, რადგან მან ასე შეაფასა მისი თოფი.

– როგორ შეაფასებდი ჩემს ცხენს? - კვლავ ჰკითხა სოსქათ სოლსამ ბათოყო შერთუყოს.

– შენს ცხენს შევაფასებდი ერთ ძროხად. - უპასუხა ბათოყო შერთუყომ.

– ასე რატომ აფასებ, როცა მასში ერთ ტყვეს მაძლევდნენ! - შეეკამათა სოსქათ სოლსა.

– ახლავე აგიხსნი. შენს ცხენს ერთ ძროხად ვაფასებ, რადგან ძროხას აქვს ჯიქანი ოთხი ძუძუთი, რომლითაც ის ოთხ ადამიანს კვებავს.

– მე როგორ შემაფასებდი? - ჰკითხა სოსქათ სოლსამ ბათოყო შერთუყოს.

ბათოყო შერთუყოს რცხვენოდა, რომ ამ კითხვაზე ეპასუხა.

– ნუ გეშინია, შეგიძლია გულწრფელად მიპასუხო, არაფერს დაგიშავებ! - უთხრა სოსქათ სოლსამ.

– შენ კარგი ძაღლის ფასი ღირხარ. - თქვა ბათოყო შერთუყომ.

სოსქათ სოლსა გაბრაზდა ბათოყო შერთუყოზე, მაგრამ რადგან სიტყვა ჰქონდა მიცემული, რომ არაფერს დაუშავებდა, თავი დაანება და წავიდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ სოსქათ სოლსას გამგზავრება მოუწია. გზაში ის მწყემსებს გადააწყდა, რომლებიც ფარას აძოვებდნენ. მისი

ყურადღება ერთმა ძაღლმა მიიპყრო, რომელიც ფარას ჩამორჩენოდა. სოსქათ სოლსამ ჰკითხა მწყემსს, თუ რატომ არ აქცევდა იმ ძაღლს ყურადღებას.

– ის ბებერია. - მიუგო მწყემსმა.

სოსქათ სოლსა იმ ღამეს მწყემსებთან დარჩა. მათ, წესის თანახმად, სტუმარს ცხვარი დაუკლეს. სოსქათ სოლსას ძაღლი ეცოდებოდა და მას ვახშმიდან საკვები უწილადა.

ისეთი ბნელი ღამე დადგა, რომ კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა, მერე კი საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ღამით ფარას მგლებმა შეუტიეს. ბებერმა ძაღლმა მარტომ განდევნა მგლები, დანარჩენი ძაღლები კი დაიმალნენ.

მეორე დილით მწყემსებმა სამი მგელი მოკლული იპოვეს. მწყემსებმა დაიწყეს კამათი იმაზე, თუ მგლები რომელი ძაღლის დახოცილი იქნებოდნენ. სიმართლის გასარკვევად, სოსქათ სოლსამ მწყემსებს ურჩია, მგლები, როგორც ცოცხლები, ფეხზე დაეყენებინათ, ხოლო შემდეგ მათზე ძაღლები მიექსიათ. ასეც მოიქცნენ. ფეხზე აყუდებული მგლების დანახვაზე ფარის ყველა ძაღლი შეშინდა და გაიქცა, დახოცილ მგლებს მხოლოდ ერთი ბებერი ძაღლი დააცხრა. სოსქათ სოლსა გამოემშვიდობა მწყემსებს და მათ დაუწესა, რომ ბებერი ძაღლის ღირსება დაეფასებინათ.

სოსქათ სოლსას გაახსენდა საშინელი ღამე, გაახსენდა ბებერი ძაღლი, ფარას როგორ ერთგულად და ფხიზლად დარაჯობდა. ის კი ამ დროს არხეინად იწვა ნაბადზე და ტკბილად ეძინა. მან დააფასა ძაღლის უნარი. სოსქათ სოლსას გაახსენდა, ბათოყო შერთუყომ მას კარგი ძაღლის ფასი რომ დაადო და კმაყოფილი დარჩა.

13. ბოთყი შირთყას წინასწარმეტყველება

მოხერხებული ბოთყი შირთყა ხან მიწაზე დადიოდა, ხან მიწის ქვეშ იმალებოდა და იქ მოგზაურობდა, მერე კი ისევ ანაზდად გამოჩნდებოდა. სოსქათ სოლსა კი იყო მეტად გამოცდილი, არაჩვეულებრივად ძლიერი და მამაცი ვაჟკაცი. მისი ცხენიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული უნარებით: მას მთიდან მთაზე დაუბრკოლებლად გადახტომა შეეძლო.

წელი-ქორთის მთასთან, სადაც ოდესღაც სოსქათ სოლსა ცხენს აძოვებდა, არის უზარმაზარი მშვილდივით გაწოლილი ერთი ადგილი. იქ იზრდებოდა „შავი“ ბალახი, რომელიც სესქათ სოლსას ცხენს იმდენად უყვარდა, რომ მას ფესვებიანად ჭამდა. სოსქათ სოლსა თავის ცხენს მოხარშული მარცვლეულითაც კვებავდა. თვითონ ვაჟს სხეული მუხლზემოთ ფოლადის ჰქონდა. ის იყო ღილღველი და იმ ადგილს, სადაც სოსქათ სოლსა ცხოვრობდა, ერქვა მცღეთა[1].

ერთხელ სოსქათ სოლსამ დედამიწის სიღრმეში ჩამავალ ხვრელში ჩასძახა:

– გამოდი, ნადავლის მოსატანად წავიდეთ!

იქიდან ბოთყი შირთყა გამოძვრა და უთხრა:

– მე მოთარეშე არ გახლავარ. ჩემი საქმეა საიქიოში, მიცვალებულთა სამყოფელში ჩასვლა, სააქაოში დაბრუნება და შუამავლობა ამ ორ სამყაროს შორის. აგრეთვე, შემიძლია მომავლის წინასწარმეტყველება. თუ გინდა, გეტყვი, რა მოგივა ამ თარეშის დროს.

– არ მინდა, არ მითხრა! რაც უნდა მითხრა, სულ ერთია, მაინც წავალ ნადავლის მოსატანად. თუ ცუდ რამეს მიწინასწარმეტყველებ, შეიძლება ვიფრთხილო და ამით ჩემი მოგზაურობა უფრო წარუმატებელი გახდეს. როცა სათარეშოდ მივდივარ, მუდამ ასე ვამბობ: „ყველაფერი ისე იქნება, როგორც ღმერთმა დელამ გადაწყვიტა. დაე, მან მომცეს წყალობა, ხელი მომიმართოს და იღბალი მუდამ მომნახავს“.

– სოსქათ სოლსა, მინდა იცოდე, რომ მოვა დრო, როცა შენ ღმერთს დაივიწყებ და უბედურებაც სწორედ მაშინ დაგატყდება. - უთხრა ბოთყი შირთყამ, ჩაძვრა სოროში და მიწისქვეშეთში გაუჩინარდა.

14. სოსქათ სოლსა და ბათიგ შერთყა

როცა სოსქათ სოლსა კვდებოდა, მან ბათიგ შერთყა იხმო და ჰკითხა:

– რა ღირს ჩემი ცხენი, რომელიც, როცა ვბრაზობ, კოშკს გადაახტება ხოლმე?

– შენი ცხენი იმდენი ღირს, რა ფასიც აქვს მეწველ ძროხას, როცა არის გვალვა და ხალხი შიმშილობს. - უპასუხა ბათიგ შერთყამ.

– რა ღირს ჩემი ხმალი, რომლითაც კლდეებს შუაზე ვაპობ?

– შენი ხმალი იმდენი ღირს, რა ფასიც აქვს მოუსავლიან წელს ფეტვით გავსებულ თოფის ლულას.

– კარგი და, მე თვითონ რა ვღირვარ?

– მე შენ არ გაგათანაბრებ თვით უკანასკნელ ადამიანთანაც კი, რადგან შენ ღმერთს ებრძოდი.

– მსგავსი დაცინვა მე არასოდეს გადამიტანია. - თქვა სოსქათ სოლსამ და ხელი ხმლის ვადას წამოავლო.

– თუ ასეა, მე თვითონ არ დავრჩები ამ ქვეყნად. - თქვა ბათიგ შერთყამ და საიქიოში დაიმალა.

15. ორხუსთოელები და ბოთოყო შირთყა

სოსქათ სოლსამ დანარჩენ ორხუსთოელებთან ერთად მთიდან ბარში გადმოსახლება გადაწყვიტა. ორხუსთოელებმა ვერ შეძლეს ბოთოყო შირთყასთვის გვერდის ავლა და შესთავაზეს მათთან ერთად გადასახლებულიყო. ბოთოყო შირთყა გადასახლდა. ამასთანავე, მან ორხუსთოელებისგან ნებართვა მიიღო, რომ თავისი ერთადერთი ცხენი მხოლოდ გზის მახლობლად ეძოვებინა. ბოთოყო შირთყას ტანდაბალი ცხენი სამი თვის შემდეგ ისე გასუქდა, რომ ხერხემალი ხელით აღარ ესინჯებოდა. ორხუსთოელების ცხენები კი, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლად ძოვდნენ, არ იმატებდნენ და გამხდრები დარჩნენ. ორხუსთოელებს ბოთოყო შირთყასი შეშურდათ. შური იქამდე მივიდა, რომ ორხუსთოელებმა ბოთოყო შირთყას ცხენს ლაშები დააჭრეს. მისმა ვაჟმა, რომელიც ცხენის დასახედად მინდორში ხშირად დადიოდა, გაიგო, რომ ორხუსთოელებმა მათ ცხენს ტუჩები დააჭრეს. ბიჭმა ამის შესახებ მამას სასწრაფოდ შეატყობინა. ბოთოყო შირთყას დიდხანს აღარ უფიქრია, წავიდა მინდორში, სადაც ორხუსთოელების ცხენები ბალახობდნენ და მათ კუდები დააჭრა. საღამოს ის სახლში ისე დაბრუნდა, თითქოს არსადაც არ ყოფილიყოს. ბოთოყო შირთყა დაჯდა ფხეგათში და მინდვრიდან დაბრუნებულ ნახირს ათვალიერებდა.

– შეხედე, - უთხრეს ორხუსთოელებმა ბოთოყო შირთყას, - წინ შენი ცხენი მოდის და ვიღაცას უცინის.

– დიახ, - უპასუხა ბოთოყო შირთყამ, - ის იცინის მის უკან მომავალ თქვენს ცხენებზე, რომლებიც ნაწნავებდაჭრილ ქალიშვილებს დამსგავსებიან. ორხუსთოელები მიხვდნენ, რომ მათ ცხენებს ბოთოყო შირთყამ დააჭრა კუდები. გაბრაზებული ორხუსთოელები მას თავს დაესხნენ, მაგრამ ბოთოყო შირთყა ერთ წამში მიწისქვეშ გაუჩინარდა. ის საიქიოში გაემგზავრა[1].

ორხუსთოელები ბოთოყო შირთყას გარეშე დიდხანს ვერ ძლებდნენ. მათ ბოთოყო შირთყა იმქვეყნიდან გამოიძახეს, თუმცა გულის სიღრმეში ბოლმა ახრჩობდათ.

ერთხელ ორხუსთოელები, ბოთოყო შირთყა და მისი შვილი ქელეხში წავიდნენ. ბოთოყოს ვაჟი ქელეხში იმ ქვაბის ახლოს იდგა, რომელშიც ხაშლამა იხარშებოდა. ორხუსთოელებმა ბიჭს ხელი ჰკრეს, გავარვარებულ ქვაბში ჩააგდეს და თქვეს:

– ბოთოყოს ვაჟმა ვერ მოიცადა, სანამ ხორცი მოიხარშებოდა და ქვაბში ჩაძვრა.

ბოთოყო შირტყამ თავისი თვალით დაინახა, ორხუსთოელებმა მისი ვაჟი ქვაბში როგორ ჩააგდეს და საცოდავი ბიჭი იქ როგორ მოიხარშა. მაგრამ მან არაფერი შეიმჩნია, თითქოს ვერაფერი დაინახა, გულში კი დაიფიცა, რომ ამ საქციელისთვის ორხუსთოელებზე შურს სასტიკად იძიებდა.

გავიდა რამდენიმე ხანი. ბოთოყო ერთხელ მთაში სანადიროდ წავიდა. მან დიდხანს იარა და უეცრად გორბოჟის[2] ქოხს გადააწყდა. ბოთოყო შირთყა შევიდა ქოხში და დაინახა უზარმაზარი კუდიანი ქალი გორბოჟი. ბოთოყომ ჰკითხა, თუ სად იყვნენ მისი ვაჟები.

– ისინი საშოვარზე წავიდნენ და უკვე თვეზე მეტია არ გამოჩენილან. - მიუგო გორბოჟმა.

– მომისმინე, გორბოჟ, - უთხრა ბოთოყომ, - მე შენ ცამეტ კაცს მოგიყვან. შეგიძლია იმათ გაუსწორდე?

– მათ შორის სოსქათ სოლსა თუ იქნება, სიამოვნებით გავუსწორდები. - უპასუხა გორბოჟმა.

ბოთოყო შირთყა სიხარულით ცას ეწია, რომ ორხუსთოელებზე შვილის გამო შურისძიების საშუალება მიეცა. ნადირობიდან რომ დაბრუნდა, ის მივიდა სოსქათ სოლსასთან და უთხრა:

– მთაში კარგი სანადირო ვნახე. არ გინდა ხვალ სხვა ორხუსთოელებთან ერთად სანადიროდ წავიდეთ?

– ასეთ შემთხვევას არასოდეს ვუშვებ ხელიდან. ხვალ თორმეტ ორხუსთოელთან ერთად მთაში ვინადიროთ!

მეორე დღეს სოლსა და ბოთოყო შირთყა თორმეტი ორხუსთოელის თანხლებით მთაში წავიდნენ. ბოთოყომ ისინი გორბოჟის ქოხში მიიყვანა. როგორც კი ისინი ქოხის ზღურბლზე გამოჩნდნენ, გორბოჟმა თავისი ნაწნავიდან თმა გამოიძრო და სოლსა ორხუსთოელებთან ერთად გაკოჭა.

– ნუთუ ამ კუდიანს მთელი ქვეყნის წინაშე ჩემი შერცხვენა სწადია? - დაიყვირა სოსქათ სოლსამ და ისე ძლიერ გაიწია, რომ თმამ, რომლითაც შეკრული იყო, ძვლებამდე ჩაატანა. ამავდროულად გორბოჟმა თავის ბასრ დანას არხეინად ლესვა დაუწყო. ბოთოყო შირთყა კი თავის გაკოჭილ მტრებს კმაყოფილი უყურებდა.

საღამოს გორბოჟის ვაჟები ნადირობიდან დაბრუნდნენ და დედას უთხრეს:

– დედა, ვიარეთ, ვიარეთ, მაგრამ ვერაფერი მოვინადირეთ და შინ ხელცარიელი დავბრუნდით“.

– ეჰ, შვილებო, ამდენი ხანი იხეტიალეთ და შინ ცარიელი ხელებით მოხვედით. აი, ჩემთან კი დაუპატიჟებელი სტუმრები თავიანთი ფეხით მოვიდნენ. დალესეთ დანები. ეს ნადავლი ჩვენ მთელი თვე გვეყოფა.

ამ სიტყვებით გორბოჟი ეზოში გავიდა, რათა შვილებს მოლაპარაკებოდა, როგორ დაეკლათ სტუმრები, - სათითაოდ თუ ყველა ერთად.

როცა სოსქათ სოლსამ დაინახა, რომ საქმე სახუმაროდ აღარ იყო, ბოთოყო შირთყას ხვეწნა-მუდარა დაუწყო, რომ დაეხსნა ისინი, მიეცა მათთვის რჩევა და გადაერჩინა, როგორც ამას ორხუსთოელებისთვის ყველაზე მძიმე წუთებში მუდამ აკეთებდა. სოსქათ სოლსა სთხოვდა ბოთოყო შირთყას, გულიდან გადაეგდო ყველა ის წყენა, რომელიც მისთვის ორხუსთოელებს ოდესმე მიუყენებიათ. ბოთოყომ ვერ გაუძლო სოსქათ სოლსას ხვეწნა-მუდარას და როგორც ყოველთვის პატიობდა ორხუსთოელებს შეურაცხყოფას, ახლაც მათ

დიდსულოვნად აპატია საკუთარი ვაჟის სიკვდილი. მან მტკიცედ გადაწყვიტა ეხსნა ორხუსთოელები გარდაუვალი დაღუპვისგან.

აი, გამოჩნდა გორბოჟი ვაჟებთან ერთად და უნდა, რომ ყველა ორხუსთოელი დაკლას. ბოთოყო შირთყამ მას მიმართა და უთხრა:

– მომისმინე, გორბოჟ. ვიცი, რომ შენ ყველაზე ძლიერი ხარ და შენი სტუმრებიდან ცოცხალს არცერთს არ გაუშვებ. მაგრამ, სანამ ამ სტუმრებს შამფურზე ააგებ და შეწვავ, ამოხსენი ერთი გამოცანა, რომელიც ჩემი მათთან დავის მიზეზი გახდა. გამოცანა ასეთია: ერთ მთაზე ხარი იწვა. ის ისეთი დიდი იყო, რომ მთაზე წამოწოლილი ხარი ბარში ბალახს წიწკნიდა და წყალს სვამდა მდინარიდან, რომელიც მთის ძირში მიედინებოდა. ხარი ერთხელ არწივმა დაიჭირა და წაიღო. ამ ნადავლით არწივი თხის რქაზე დაჯდა, რომლის წვერქვეშაც მწყემსი იჯდა. თხის რქებზე მჯდარმა არწივმა თავისი ნადავლი შესანსლა. ნაჯიჯგნი ნაწილიდან ბეჭის ძვალი გაუვარდა და ჩაუვარდა თვალში მწყემსს, რომელიც თხის წვერის ქვეშ იჯდა. „ჩამხედე თვალში, - სთხოვდა ცოლს სამწყემსურიდან შინ დაბრუნებული მწყემსი, - დღეს იქ რაღაც ჩამივარდა“. ცოლმა ჩახედა თვალში და იქიდან ხარის ბეჭი ამოუღო.

– აი, ეს ბეჭის ძვალი იდო შენს თვალში. - თქვა ცოლმა და ბეჭი მიწაზე დააგდო. ამ ბეჭზე მოთავსდა აული, ცხრა ათასი მცხოვრებით. ეს აული ხშირად ირყეოდა, როგორც მიწისძვრის დროს ხდება. მცხოვრებლები ფიქრობდნენ, რომ მიწისქვეშეთის ღმერთი განურისხდათ და მას გულის მოსაგებად მსხვერპლს სწირავდნენ. მცხოვრებლებმა თანდათან შეამჩნიეს, რომ მათი აული მაშინ ზანზარებდა, როცა იქ მელია მოდიოდა. მათ მოკლეს ეს მელია და მას ტყავი გააძრეს, მაგრამ მხოლოდ ერთ მხარეს, რადგან მელიის მეორე გვერდზე გადაბრუნება მათ ვერ შეძლეს. ტყავის განაწილებისას აულის თითოეულ მაცხოვრებელს იმხელა ნაჭერი შეხვდა, რომ მისგან ყველამ ქურქი შეიკერა. იმ დროს, როცა ხალხი მელიის მეორე გვერდზე გადაბრუნებას ცდილობდა, აულში ერთმა ქალმა ვაჟი შობა. მშობიარობიდან სამი დღის შემდეგ ეს ქალი თუნგით მდინარეზე წავიდა. იქვე ახლოს ეგდო მოკლული მელია. ქალი მივიდა მელიასთან და ჩამჩის გრძელი სახელურით ის მეორე მხარეზე გადააბრუნა. მან მელიას დარჩენი-

ლი ტყავიც გააძრო და მისგან თავის ვაჟს ქურქი შეუკერა, მაგრამ სახელოებისთვის ტყავი დააკლდა.

გორბოჟ, ახლა გამოიცანი, ან, გინდა, შენმა ვაჟებმა გამოიცნონ, ვინ უფრო დიდი იყო აგებულებითა და ძალით: მთაზე წამოწოლილი ხარი, რომელიც ბარში ბალახს წიწკნიდა და მის ბეჭზე ცხრა ათასი მცხოვრებით აული გაშენდა; არწივი, რომელმაც წაიღო ეს უზარმაზარი ხარი; თხა, რომლის რქებზეც არწივმა თავისი ნადავლი შესანსლა; მწყემსი, რომელსაც ხარის ბეჭი მტვრად მოეჩვენა; მელია, რომელიც აულს აზანზარებდა და რომლის ნახევარი ტყავიც ქურქის შესაკერად აულის თითოეულ მაცხოვრებელს ეყო; ქალი, რომელმაც მელია ჩამჩით მეორე მხარეს გადააბრუნა თუ ბიჭი, რომელსაც მელიის ნახევარი ტყავი ქურქის შესაკერად არ გასწვდა?

გორბოჟმა და მისმა ვაჟებმა ბოთოყო შირთყას შეთავაზებული გამოცანის გარჩევა დაიწყეს. ერთი ამბობდა, რომ ყველაზე დიდი ხარი იყო, მეორის აზრით, არწივი, რომელმაც ეს ხარი წაიღო; მესამემ დაიჟინა, რომ თხა აღნაგობითა და ძალით ყველაზე დიდი იყო. დედასა შვილებს შორის ატყდა ფიცხელი ჩხუბი. ბოლოს მათ დანები აიღეს და ერთმანეთი დაჭრეს. მაშინ ბოთოყო შირთყამ ორხუსთოელებს ხელ-ფეხი გაუხსნა და მათთან ერთად შინისაკენ გაქუსლა. ამ დროიდან მოყოლებული ბოთოყო და ორხუსთოელები ძმურად და მეგობრულად ცხოვრობდნენ.

16. ბეთარი და ვამპალი

ერთხელ ბეთარმა ნადირობისას ტყეში თხა მოკლა, ჩამოჯდა დასასვენებლად და შეუდგა მოხრაკულის მომზადებას. უეცრად მიწა იძრა. გაოცებულმა ბეთარმა ცქერა დაიწყო და ტყიდან გამოსული ვამპალი დაინახა. ბეთარს გაქცევა უნდოდა, მაგრამ მიხვდა, რომ გაქცევა უაზრო იქნებოდა. გაიფიქრა, „რაც იქნება, იქნება“. ვამპალი დიდი ჭადრის სიმაღლე იქნებოდა. ბეთარი წამოდგა[1], სტუმარს მიესალმა და ვახშამზე მიიპატიჟა.

ვამპალმა ნუჟრიანი ხეებით ცეცხლი გააფიცხა, მთლიანი თხა ნაკვერჩხლებზე შემოდო და ბეთართან მუსაიფი გააბა:

– სანამ ვახშამი მომზადდება, ცოტა ვისაუბროთ. რადგანაც შენ ნართი ხარ, ალბათ იცნობ სესქათ სოლსას. მის შესახებ ათას რამეს ყვებიან. სინამდვილეში როგორი კაცია? მართლაც, სახელოვანი გმირია?

– ღმერთია მოწმე, ეს სიმართლეა, - უპასუხა ბეთარმა, - ის ძლიერი და მამაცი ნართია.

– მისი ვაჟკაცობა რაში გამოიხატება? - ჰკითხა ვამპალმა.

„უმჯობესი იქნება თუ ვამპალი მოკვდება, ვიდრე მან მომკლას.“ - გაიფიქრა ბეთარმა და თქვა:

– ის კლდეებს ამტვრევს, მიწაზე აწყობს, შემდეგ თავს ურტყამს, ამსხვრევს და ქვიშად აქცევს.

ვამპალმა ხელი სტაცა ერთ უზარმაზარ კლდეს, მიწაზე დააგდო და თავის დარტყმა დაუწყო, სანამ ქვიშად არ დაამსხვრია და თქვა:

– ეს მხიარული თამაშია. ის კიდევ რითი ერთობა?

– ის საკუთარ ხახაში ღრმად, მუცლამდე იდებს თავის ვეებერთელა ხმალს და მერე ცეკვას იწყებს.

ვამპალმა აიღო თავისი და ბეთარის ხმლები, ორივე ვადიანად თავის ყბაში გადაუძახა და ცეკვა დაიწყო.

ამის შემდეგ ვამპალმა კვლავ გააგრძელა გამოკითხვა, ბეთარი კი ისეთ საშიშ თამაშებს იგონებდა, რისი შესრულებაც ადამიანს უეჭველად დაღუპავდა. ვამპალი კი უვნებლად იმეორებდა ამ თამაშებს. ბეთარმა იცოდა, რომ თუ ვამპალს თავს მოკვეთდა, მას მოკვეთილი თავის ადგილზე ახალი ამოუვიდოდა. ბოლოს უთხრა:

– უკანასკნელ თამაშს არ გეტყვი, რადგან ის ძალიან საშიშია და მისი გამეორებაც არავის შეუძლია.

– ღვთის წყალობა მოგაკლდეს, თუ არ მეტყვი! - დაიჟინა ვამპალმა.

– კარგი, - თქვა ბეთარმა და გაანდო, - ის მხრებიდან იხსნის საკუთარ თავს, იდებს მუხლებზე, გულმოდგინედ პარსავს და ბოლოს კვლავ თავის ადგილზე აბრუნებს.

ვამპალმა ხელებით შემოაბრუნა საკუთარი თავი, მოიხსნა მხრებიდან, დაიდო მუხლებზე და პარსვა დაუწყო. იმ დროს ბეთარმა ცეცხლიდან აიღო ნაკვერჩხალი და ვამპალს კისერზე მოაყარა.

ვამპალმა კისერზე თავის მიმაგრება დაიწყო, მაგრამ ვერ მიამაგრა. ასე მოკვდა ვამპალი, მისი თავი კი გვერდზე გადაგორდა. კიდევ დიდხანს იყო დაჭყეტილი მისი თვალები, ბოლოს ორივე თვალი დახუჭა.

ბეთარს ვამპალის იარაღის წაღება სურდა, მაგრამ ის მეტად მძიმე აღმოჩნდა. ბეთარმა ყველაფერი იქვე დაყარა და სახლისაკენ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

17. სესქათ სოლსა და ვამპალი

ერთხელ სესქათ სოლსა ასის ხეობის ზემოთ მიდიოდა. უეცრად მან სისხლის ნაკადული შენიშნა, რომელიც ისე მოწვეთავდა, როგორც წყალი წყაროდან. „ნეტავ რა უნდა იყოს?“- გაუკვირდა სესქათ სოლსას.

მიჰყვა სისხლის ნაკადულს და აულ ერშის[1] გადაღმა მთასავით უზარმაზარი ვამპალი შენიშნა, რომელსაც მუხლებს შორის ხმალი ეჭირა და როგორც კი დასაძინებლად ჩამოაკანტურებდა, ხმლის წვერს შუბლს არტყამდა. სისხლი ამის გამო მოედინებოდა.

სესქათ სოლსამ ცხენი ვამპალთან მიაჭენა და ჰკითხა:

– რას შვრები? ბასრ ხმალს თავს რატომ ურტყამ?

– ამ გზაზე ერთმა ვამპალმა უნდა გაიაროს. მან ჩემი ცოლი მოიტაცა და ახლა თან მიჰყავს. ვფხიზლობ, რადგან, თუ ჩავიძინებ, ის შეუმჩნევლად გაივლის. როგორც კი თვლემა მომერევა და თავს ჩამოვაკანტურებ, ბასრი ხმლის წვერს შუბლს დავარტყამ და გამოვფხიზლდები. - მიუგო ვამპალმა.

– შეგიძლია მშვიდად დაიძინო, როგორც კი შენი მტერი გამოჩნდება, გაგაღვიძებ. - უთხრა სესქათ სოლსამ.

– ხმალი გინდა მთელი დღე მირტყა, მაინც ვერ გამაღვიძებ. ამიტომ მე ამ ჭადრის ქვეშ დავწვები. მხოლოდ მაშინ გამეღვიძება, თუ ვამპალის გამოჩენისას ჭადარს მოჭრი და ზედ დამეცემა. - თქვა ვამპალმა.

– შენ არხეინად იყავი, ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც მითხარი. - მიუგო სესქათ სოლსამ.

როგორც კი მიწვა, ვამპალს მაშინვე ჩაეძინა, სოლსა კი დარაჯობდა. ცოტა ხნის შემდეგ, მართლაც, გამოჩნდა ვამპალი, უზარმაზარი, როგორც მთა. ვამპალს უკან მოჰყვებოდა იმავე სიმაღლის ქალი. სოლსამ სწრაფად მოჭრა ჭადარი და ვამპალი გააღვიძა.

გამოფხიზლებულმა ვამპალმა იცნო თავისი მტერი და თქვა:

– ახლა ჩვენ ბრძოლას დავიწყებთ. თუ მტერს მოვერევი, ჩემს ზურგზე, ბეჭებს შორის, მზისა და მთვარის გამოსახულება გამოჩნდება. მხოლოდ გთხოვ, ამ ნიშნების საიდუმლო არ მკითხო. თუ მკითხავ, მაშინვე მოვკვდები.

– არ გკითხავ. - შეჰპირდა სესქათ სოლსა.

დაიწყეს ვამპალებმა ბრძოლა. ისინი ფესვებიანად გლეჯდნენ ასწლოვან მუხებს, აცლიდნენ ტოტებს, სხეპდნენ და მერე ერთმანეთს ურტყამდნენ. ჩხუბის დროს ქალი-ვამპალი ნაპირზე იჯდა და არხეინად მატყლს ართავდა. „ერთ-ერთი ხომ მაინც დარჩება ცოცხალი, რომ ცოლად წამიყვანოს.“ - ფიქრობდა ის. ბოლოს სოლსას ნაცნობმა ვამპალმა იმარჯვა. მან უსულოდ დასცა მოწინააღმდეგე. როგორც კი დამარცხებულმა ვამპალმა სული ამოუშვა, ცოცხლად გადარჩენილი ვამპალის ბეჭებშუა მზე და მთვარე გამოისახა. ეს სასწაული რომ დაინახა, სოლსა გაკვირვებისაგან გაშეშდა. გონზე რომ მოვიდა, მუხანათურმა აზრმა გაუელვა: „თუ ეს ვამპალიც მოკვდება, ქალი მე დამრჩება.“ სესქათ სოლსამ ვამპალს ჰკითხა:

– შენს ზურგზე რა გამოსახულება გამოჩნდა?

– ასე უსინდისოდ რატომ მომექეცი? - შესძახა ვამპალმა და მაშინვე მოკვდა.

მაშინ ქალმა-ვამპალმა მოთქმა-გოდება დაიწყო:

– ეს როგორ ჩაიდინე? ახლა საცოდავი და უპატრონო ქვრივი გავხდი! ჩემი შესაფერისი კაცი აღარ დარჩა, რომ ცოლად წამიყვანოს?

სოლსამ, რომელიც ცხენს მოახტა და მათრახი გადაუჭირა, ჰკითხა:

– მე რა კაცი არა ვარ? ცოლად მე გამომყვები.

– თუ საქამრემდე მაინც მომწვდები, ცოლად გამოგყვები. - მიუგო ქალმა.

სესქათ სოლსა დადგა უნაგირის ტახტაზე და მთელი ძალით გაიჭიმა, მაგრამ ქალს საქამრემდეც ვერ მისწვდა. ასე რომ მიხვდა, ქალი-ვამპალი მას ცოლად არ შეეფერებოდა. სოლსა ადგილზევე დარჩა, ხოლო დაქვრივებული ქალი თავის უბედურ ხვედრზე მოთქვამდა და თან ასის ხეობას სათავისკენ გოდებით მიუყვებოდა.

18. სოსქათ სოლსა და ყაჩაღები

ერთხელ სოსქათ სოლსა ასის ხეობის ქვემოთ, მდინარის ნაპირზე მიდიოდა. მდინარე ასა იქ ისე მდორედ მიედინებოდა, რომ მისი რწევა კაცს ძილს მოჰგვრიდა. სოსქათ სოლსა ჩამოქვეითდა, ბალახზე მიწვა და მიიძინა. საიდანღაც მას თავზე ყაჩაღები დაადგნენ.

– ჰა-ჰა, დევგმირი ჩვენს ხელშია! – გაიხარეს მათ.

– რა კარგი ხმალი აქვს! - წამოიწყო ერთმა.

– მის ქუდში ძაღლისთვის სალაფავს ჩავასხამ! - თქვა მეორემ.

– მისი ჩექმებიდან ციგურებს გავაკეთებ! - წამოიძახა მესამემ.

მძინარე სოლსას კი იმ დროს ვამპალის ცოლი დაესიზმრა, თითქოს მას უკვე წელამდე სწვდებოდა და ჯერ კიდევ ნახევრად მძინარე ვაჟი წელში გაიშალა, გაიჭიმა და ფეხზე დადგა. „ეს როგორი ძლიერი ვაჟკაცია!“ - წამოიძახეს შეშინებულმა ყაჩაღებმა და დაღმართზე თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ.

19. ორშთოხოელები (ყარაბულაკები)

ჩოფა, ბარათის ვაჟი, და ზაგქა, გარდას შვილი, ცნობილი ვაჟკაცები იყვნენ. მათ შორის რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება ძნელი იქნებოდა. ორივენი მდინარე ფორტონის[1] მახლობლად ცხოვრობდნენ: ერთი - გაღმა ნაპირზე, მეორე - გამოღმა ნაპირზე. იქ მათი საცხოვრებლის ნაკვალევი დღემდე ეტყობა. ჩოფას არ ჰყავდა მემკვიდრე. ამბობენ, რომ ის დაქორწინებული იყო ტყის ქალ ალმასზე[2].

ნოღაელების ქვეყანაში ცხოვრობდა თავადი ბარქჩაფო[3]. მას მკითხავებმა ჩოფას ან ზაგქას ხელით სიკვდილი უწინასწარმეტყველეს. ნოღაელი თავადის მოსაკლავად ჩოფა იმ ადგილას მივიდა, სადაც მორები ეწყო და ხალხი დროის გასატარებლად იკრიბებოდა.

როცა თავადი მორებს მიუახლოვდა, ნოღაელებმა სთხოვეს, უსაფრთხოების მიზნით ჯერ იქაურობა დაეთვალიერებინათ. მაგრამ თავადი გაჯიუტდა და თქვა:

– რას იტყვიან სხვები, როცა გაიგებენ, რომ არ შემიძლია დროის მშვიდად გატარება და შიშის გამო იმ ხეებსაც კი ვათვალიერებინებ, სადაც უნდა ჩამოვჯდე.

ბარქჩაფომ ქვეშევრდომების სიფრთხილე არ გაითვალისწინა და ჩოფამ ნოღაელი თავადი განგმირა.

ჩოფამ ტყის ქალთან ურთიერთობა გააგრძელა და მათ ორი გოგონა შეეძინათ.

– ჩოფა, ხომ არ შეგეშინდება, ღამით აქ ურჩხული რომ მოვიდეს? - ჰკითხა ერთხელ ტყის ქალმა.

– არაფრისაც არ მეშინია და იცოდე, მუდამ დაგიცავ, ვინც არ უნდა მოვიდეს. - მიუგო ჩოფამ.

– დღეს მე მარტო დაგტოვებ და შენი სიმამაცე უნდა აჩვენო. შუაღამით შენთან ტყის კაცი მოვა. - უთხრა ქალმა.

ჩოფა ტყეში მარტო დარჩა. შუაღამით ატყდა ჭექა-ქუხილი, ამოვარდა ქარიშხალი, ჩამობნელდა და ტყემ საშინელი სახე მიიღო. უეცრად გრიგალივით მოიჭრა ურჩხული. მან ცეცხლით გაანათა და ჩოფასთან მივიდა. ჩოფამ მას ესროლა.

– მე ძმა ვარ იმ ქალისა, რომელიც შენთან ცხოვრობს. - უთხრა ურჩხულმა. - ტყუილად ისროლე. - გაისმა კვნესის ხმა და ურჩხული გაქრა.

– შენთან მოვიდა ვინმე? - ჰკითხა ქალმა ჩოფას, როცა დაბრუნდა.

– დიახ, შუაღამით ცეცხლოვანი ურჩხული მოვიდა. თოფი ვესროლე და ამის შემდეგ მითხრა, რომ შენი ძმაა; მერე დაიკვნესა და გაქრა.

– შენ ჩემი ძმა მოკალი! - უსაყვედურა ქალმა ჩოფას.

მათ გააგრძელეს ურთიერთობა და ეყოლათ ვაჟი. როცა ვაჟი გაიზარდა, ჩოფა ფრთხილობდა, რომ მის შვილს შურია არ ეძია მოკლული დედის ძმის გამო[4]. ის იძულებული გახდა ტყის ქალთან კავშირი გაეწყვიტა. მას ტყეში სიარულისაც კი ეშინოდა.

ერთხელ ჩოფა ბარში ყაბარდოელებთან გაემგზავრა, რომლებიც ახლანდელი ნაზრანის ვაკეზე ცხოვრობდნენ. ჩოფა შინ არშთუს ხეობის გავლით ბრუნდებოდა. ხეობის შესასვლელში ის უზარმაზარ ურჩხულს გადააწყდა. ურჩხულმა ვინაობა ჰკითხა. ჩოფამ უთხრა, ვინც იყო.

– როგორი პატარა ადამიანი ყოფილხარ! - თქვა ურჩხულმა, - მომისმინე, ჩოფა. ჩვენ ტყის კაცებს ნოღაელი თავადის ასული შეგვიყვარდა. რომ არ გვწყენოდა, თავადის ასულმა არცერთ ჩვენგანს არ მიანიჭა უპირატესობა. მან გვთხოვა წავსულიყავით და შეგვპირდა, რომ მერე გვეტყოდა, თუ ვის გაჰყვებოდა ცოლად. ჩემი რაყიფი გზიდან ფარულად დაბრუნდა თავადის ასულთან. მე მას ჩავუსაფრდი. ის ამ გზაზე საცოლესთან ერთად ურმით გამოივლის, თან დიდძალი განძი მოაქვთ. ჩვენ შორის ორთაბრძოლა გაიმართება და ჩხუბში ჩვენ ერთმანეთს დავხოცავთ. მაშინ შენ დაგრჩება საცოლეც და დიდი სიმდიდრეც. არ მინდა, რომ ჩემი მოწინააღმდეგე გამეპაროს. თუ დამეძინება, რაც უნდა მირტყა, მაინც ვერ გამაღვიძებ. ამიტომ მე ხის ძირას დავწვები. როცა ჩემი მოწინააღმდეგე გამოჩნდება, შენ ხე მოჭერი, რომ ის ზედ დამეცეს. მხოლოდ ასე შეგიძლია გამაღვიძო.

ცოტა ხნის შემდეგ ქარი ამოვარდა და ჩოფამ დაინახა, რომ ტყის კაცი პატარძალთან ერთად მოდიოდა. ჩოფა შეუდგა ხის მოჭრას, რომელიც ტყის კაცს დაეცა.

– რატომ მაღვიძებ? - ჰკითხა მან ჩოფას.

– აგერ, მოდიან! - მიუგო ჩოფამ.

ტყის კაცებს შორის საშინელი ორთაბრძოლა გაიმართა. მათ ერთმანეთი დახოცეს. ჩოფას დარჩა საპატარძლოც და დიდძალი სიმდიდრეც.

– ახლა ცოლად მე უნდა გამომყვე. - უთხრა ჩოფამ პატარძალს.

– უკეთესი იქნება, თუ გამიშვებ. აიღე მთელი სიმდიდრე და წადი. შენ არ შეიძლება ჩემი ქმარი იყო, რადგან ჩემთან ცოლქმრული მოვალეობების შესრულებას ვერ შეძლებ.

ჩოფამ თავისი დაიჭინა.

– თუ მუხლებამდე მომწვდები, ცოლად გამოგყვები. - უთხრა თავადის ასულმა.

ჩოფა ქალს მუხლებამდე ვერ მისწვდა და თავადის ასული თავის სახლში გაუშვა.

ჩოფამ არშთუს ხეობაში გზა გააგრძელა. აულ ბალთუმთან არ იყო მისული, რომ ის თავის ტყის შვილს შეხვდა. მათ შორის ორთაბრძოლა გაიმართა. შვილმა ჩოფა დედისძმის მოკვლის გამო შურისძიების მიზნით სასიკვდილოდ დაჭრა და გაძარცვა. ჩოფა აულ ბალთუმის მცხოვრებლებმა წაიყვანეს. მომაკვდავმა ანდერძად დაიბარა, რომ ოთახში, მის ცხედართან, ღამით არავინ დარჩენილიყო. ასეც მოიქცნენ. მაგრამ ერთი ახალგაზრდა ქალი ცნობისმოყვარეობის გამო ღამით ცხედართან მაინც მივიდა და ოთახში დაიმალა. შუაღამისას ოთახი განათდა. ტყის ქალი, თავის მშვენიერ ასულებთან ერთად, ჩოფას დასატირებლად მივიდა. მათ მიცვალებული გაბანეს, შემოსეს და დაიტირეს. გამთენიისას ტყის ქალმა თავის ქალიშვილებს უთხრა, რომ ადამიანის სუნი სცემდა.

– ვისაც ჩვენი საუბარი ესმის, მისი შთამომავლობა ცხოვრებაში ვერაფრით დაკმაყოფილდეს. - წარმოთქვა წყევლა ტყის ქალმა და თავის ქალიშვილებთან ერთად გაუჩინარდა.

იმ ქალისაგან, რომელიც ოთახში იყო დამალული, ორშთოხოელები (ყარაბულაკები) წარმოიშვნენ. ცნობილია, რომ ისინი ინგუშებს შორის ყველაზე მოუსვენარი ადამიანები არიან და ვერაფრით კმაყოფილდებიან.

20. განრისხებული სოსქათ სოლსა

ძველად ღილღოს მთებში ძლევამოსილი დევგმირი სოსქათ სოლსა ცხოვრობდა. თავისი ჭკუის, სიძლიერის, სიმამაცისა და სამართლიანობის გამო, მას ყველა პატივს სცემდა. სოსქათ სოლსა თავის მზეთუნახავ ქალიშვილთან ერთად უზარმაზარ გამოქვაბულში ცხოვრობდა, რომელიც წაჲ-ლამის[1] მთის ფრიალო ფერდობზე მდებარეობდა.

ნართის მზეთუნახავმა ქალიშვილმა მრავალი ჯიგიტის გული დაიპყრო. ბევრმა ითხოვა მისი ხელი, მაგრამ უშედეგოდ. სოსქათ სოლსა არ იყო თანახმა, რომ ასული ჩვეულებრივი ღილღველისთვის მიეთხოვებინა. მაშინ ერთმა ახალგაზრდამ მამისაგან ფარულად ეშმა-

კობას მიმართა. ის წინასწარ შეუთანხმდა სოსქათ სოლსას ქალიშვილს და მისი მოტაცება გადაწყვიტა. მან იცოდა, რომ საჭირო იყო განსაკუთრებული სიფრთხილე და სოსქათ სოლსას სიფხიზლის მოდუნება.

შეყვარებულის წაქეზებით ქალიშვილმა სოსქათ სოლსა ცხვრის ხორცით მსუყედ ავახშმა. ცხვრის ხორცი შეკაზმული იყო განსაკუთრებული საწებლით. მასში ბლომად იყო შეზავებული იელის ყვავილი. როგორც ცნობილია, იელის ყვავილი ადამიანს აბრუებს. სოსქათ სოლსამ მაძღრად ივახშმა და მალევე ღრმად დაეძინა. მაშინ მზეთუნახავმა თავისი გრძელი ნაწნავები მოიჭრა და თავისი სატრფოს მეგობრების დახმარებით მძინარე მამა მაგრად გაკოჭა. ამის შემდეგ შეთქმულებმა გამოქვაბულის შესასვლელი ქვის უზარმაზარი ფილებით ამოქოლეს, ცხენებზე შესხდნენ და არხეინად გაქუსლეს...

სოსქათ სოლსას დიდხანს, ძალიან დიდხანს ეძინა. როცა გაეღვიძა, მომხდარი ამბავი მაშინვე ვერ გააცნობიერა. მან დააპირა საკუთარი ძალით გათავისუფლებულიყო საბლისაგან, მაგრამ ამაოდ. თავისი მცდელობის წარუმატებლობაში ის მალევე დარწმუნდა. მცირე ძალის მოკრების დროსაც კი თმის საბელი ვაჟკაცს მთელ ტანზე ისე ეჭირებოდა, რომ ის წარმოუდგენელ ტკივილს განიცდიდა. მაშინ კი დარწმუნდა სოსქათ სოლსა, რომ შიმშილით თანდათან ნელი სიკვდილისთვის იყო განწირული.

ნართ სოსქათ სოლსასთან მეგობრობდნენ არა მხოლოდ ადამიანები, რომლებმაც არაფერი იცოდნენ ცოცხლად ამოქოლილი დევკაცის შესახებ, არამედ გარეული ცხოველები და ფრინველებიც. გაჭირვებაში ჩავარდნილ ვაჟკაცს მთის არწივმა ბრჭყალებით ღვიძლი მიუტანა და დაანაყრა. ტყის მტრედმა ნისკარტით წყალი მიუტანა და წყურვილი მოუკლა, ხოლო მინდვრის თაგვმა გადაღრღნა ის საბელი, რომლითაც სოსქათ სოლსა იყო შებოჭილი.

საბოლოოდ სოსქათ სოლსა გათავისუფლდა. მან თავისი გოლიათური მხრები გაშალა. ქვის ლოდი, რომელიც გამოქვაბულის შესასვლელს კეტავდა, სოლსამ მსუბუქად გადააგორა. გაიხედა ველზე და როცა ვერ მონახა თავისი ასული, დარწმუნდა, რომ იგი მოიტაცეს.

სოსქათ სოლსა საშინელმა რისხვამ და შურისძიების გრძნობამ შეიპყრო. სიბრაზისაგან გააფთრებულმა ვაჟკაცმა თავისი უზარმაზარი ფოლადის მახვილით წაჲ-ლამის კლდოვანი მწვერვალი შუაზე გააპო[2].

შემდეგ ის თავის იორღა ცხენზე შეჯდა და გამტაცებლებს დაედევნა. სოსქათ სოლსა ასის ხეობის სიღრმეში მათ სწრაფად დაეწია, რადგან თავიანთი საქმის წარმატებაში დარწმუნებული გამტაცებლები არც ჩქარობდნენ და ტაატით მიდიოდნენ. სოსქათ სოლსა მათ სასტიკად გაუსწორდა, საკუთარი ქალიშვილი კი თავის საცხოვრებელ გამოქვაბულში დააბრუნა.

იმ დროიდან წაი-ლამის მთა ფრიალო და წვეტიან ჭიუხად გადაიქცა. ეს სოსქათ სოლსას ნართული ხმლის ნაკვალევია. კარგ ამინდში იქ ამომავალი და ჩამავალი მზის სხივები წითლად და სისხლისფრად ანათებს, რომელიც ყველას, ვინც კი მას ხედავს, ნართი ვაჟკაცის სოსქათ სოლსას ჩადენილ გმირობას ახსენებს.

21. როგორ მოიტაცა სესქათ სოლსამ მზეთუნახავი

ხამჩით ფათარაზი, ორზმი, ბოთაყი შირთყა და თახშაყო ბრძოლებისგან მიღებული სიამოვნებით ტკბებოდნენ. მათ სესქათ სოლსა მეთაურობდა. სოლსას რაში პატრონთან ახლოს არავის აკარებდა. ტანად ისეთი დიდი იყო სესქათ სოლსა, რომ თუ ის სხვის ცხენზე შეჯდებოდა, ცხოველი ვერ უძლებდა და მას ხერხემალი ემტვრეოდა. თვითონ სესქათ სოლსა მითხოელი[1] იყო. მას ტყვედ აჰყავდა მშვენიერი ქალიშვილები, წარჩინებული ოჯახის ვაჟები და გამოსასყიდის გადახდის შემდეგ მათ კვლავ თავიანთ ოჯახებს უბრუნებდა.

სოლსას ძალადობა ხალხს მობეზრდა და ბოლოს მისი დატყვევება გადაწყვიტეს. მათ ჭორი გაავრცელეს, რომ ერთ კოშკში მზეთუნახავი ცხოვრობდა, რომელიც ცოლად არავის მიჰყვებოდა. თვითონ კი იმ კოშკის გარშემო ჩასაფრდნენ. ამ ჭორმა სესქათ სოლსას ყურამდეც მიაღწია. მან თავის ამხანაგებს შეატყობინა, რომ მზეთუნახავის მოტაცება ეწადა. ამხანაგები ეცადნენ სოლსასთვის გადაეთქმევინებინათ თავისი განზრახვა, მაგრამ ვერ შეასმინეს. სესქათ სოლსა ამხედრდა და ქალიშვილთან მივიდა, რომელიც მაღალი მთის

ერთ ფერდობზე კოშკში ცხოვრობდა. მან თავისი რაშით გადაუფრინა ხეობას და ბოლოს მთის კალთაზე, ქალიშვილის მახლობლად დაეშვა. მან მზეთუნახავი თავისი ცხენის გავაზე შემოისვა და ხეობას ახლა უკან გადაევლო.

ის ხეობა, რომელსაც სესქათ სოლსა თავისი რაშით გადაახტა, ორ სოფელს შორის მდებარეობს. მას ახლაც სესქათ სოლსას სახელი ჰქვია: „სესქა სოლსა დ' თუვსაბიენა მოთთიგ" (ადგილი, სადაც სესქათ სოლსას ცხენი გადახტა). იქ არის სესქათ სოლსას ცხენის ფლოქვების ანაბეჭდი, რომელშიც ორი ადამიანი შეიძლება დაეტიოს.

22. სესქათ სოლსა და კინდათ შოა

ეგი-ჯალის[1] მახლობლად, კინდი ემარაშთან, მდებარეობს სასაფლაო. ამბობენ, რომ ძველად იმ ადგილზე კინდას და მის ვაჟს, შოას, უცხოვრიათ. როცა მამა გარდაცვლილა და შოა მარტო დარჩენილა, ამბობენ, სესქათ სოლსას მასთან კაცი გაუგზავნია და შეუთვლია:

– სტუმრად გეწვევი, თუკი თანახმა იქნები.

– მოდი. მაგრამ ზემოდან არ მოხვიდე. ქვემოდან მოდი, მდინარე არმხის გასწვრივ იარე[2]. - უთქვამს შოას.

სესქათ სოლსამ თან ბოთყი შირთყა გაიყოლა, რომელიც ელში (საიქიოში) თავისი სურვილით მიდიოდა და მერე კვლავ ამქვეყნად ბრუნდებოდა. ისინი მითითებული გზით კინდათ შოას კოშკს მიადგნენ.

მასპინძელმა, როცა მოახლოებული სტუმრები დაინახა, თავისი დედა თოკით გაკოჭა. შოას დედა ისეთი ძლიერი ქალი იყო, რომ ვისაც კი ოდნავ მაინც შეეხებოდა, სხეულის ნებისმიერ ნაწილს უმტვრევდა.

როცა სტუმრები მოვიდნენ, შოას დედამ შვილს ხვეწნა დაუწყო:

– გამიშვი, ნება მომეცი, რომ სტუმრებს მივესალმო!

კინდათ შოამ დედის თხოვნას ყური არ ათხოვა. მასპინძელმა ცხვარი დაკლა და სტუმრებისთვის სუფრა მოამზადა.

კინდათ შოამ როცა სტუმრები სუფრასთან მიიპატიჟა, სესქათ სოლსამ მას უთხრა:

– კინდათ შოა, დედაშენს თუ არ გაათავისუფლებ, საჭმელს არ მივეკარები[3].

– უფლება არ მაქვს, შენი, როგორც სტუმრის, ნათქვამი არ შევასრულო. - თქვა კინდათ შოამ და დედას ბორკილები შეხსნა.

გახარებული ქალი სტუმრებთან მივიდა, რომ მისალმებოდა. მის დანახვაზე, დიასახლისის პატივისცემის ნიშნად სოლსა წამოდგომას შეეცადა, მაგრამ ქალი, სტუმრის სურვილის თავიდან ასაცილებლად, მის ბარძაყს მსუბუქად შეეხო. ამავდროულად მან სოლსასა და ბოთყი შირთყას მიმართა და უთხრა:

– დასხედით, შვილებო!

მაგრამ, რადგან ქალი ხელით შეეხო, სოლსას ბარძაყი გადაუტყდა და სტუმარი მოცელილივით ძირს დაეცა.

– აი, ამის მეშინოდა! - აღმოხდა მასპინძელს. მან დედა იქიდან განზე გაიყვანა და სტუმრებს გაარიდა.

შოას ჰქონდა ერთი ძელაკი, რომელიც ჯადოსნურ თვისებას ფლობდა. თუ მას წყალში დაასველებდა და მოტეხილზე მიადებდა, ძვალი მაშინვე მთელდებოდა. შოამ სესქათ სოლსას მოტეხილი ძვალი ჯადოსნური ძელაკით უმალვე მოურჩინა.

სესქათ სოლსა მასპინძლის ქცევით, საუბრითა და მანერებით კმაყოფილი დარჩა და უთხრა:

– მე ჩემს ასულს მოგათხოვებ!

– თანახმა ვარ. სანაცვლოდ ჩემი ბაკიდან ძროხებს მანამდე გამოგირეკავ, სანამ სიამოვნებისგან არ გაიღიმებ. - მიუგო კინდათ შოამ.

დილით, როგორც კი გათენდა და სესქათ სოლსა და ბოთყი შირთყა ეზოში გამოვიდნენ, შოამ სოლსასთვის ბაკებიდან საქონლის გამორეკა დაიწყო. სოლსამ, როცა დაინახა ერთი მხრიდან და მეორე მხრიდან ბაკებიდან გამოსული თეთრტუჩა ლურჯი ძროხები, რომლებიც სიმსუქნისგან ბავჯბავჯით ძლივს დადიოდნენ, სიამოვნებისგან გაიღიმა.

როგორც კი გაიცინა, ბოთყი შირთყა მივარდა საქონელს და გამოაცალკევა ის ნაწილი, რომელმაც მოასწრო ბაკიდან გამოსვლა მანამ, სანამ სოლსა თავის სიხარულს გამოხატავდა.

– რას აკეთებ? - ჰკითხა მას გაკვირვებულმა სოლსამ.

– შენ შეგპირდნენ, რომ მოგცემდნენ გამორეკილი საქონლის მხოლოდ იმ ნაწილს, სანამ შენ არ გაიცინებდი. მე მინდა შენი საქონლის გამოცალკევება. - უპასუხა შირთყამ და კიდევ დაამატა:

– შენი საქონელი სამ ნაწილად უნდა გაყო: ერთ ნაწილს შენ დაიტოვებ, მეორეს შენს ქალიშვილს მისცემ, ხოლო მესამე ნაწილს კი აულის მოსახლეობას თანაბრად გაუნაწილებ.

– სხვა გზა არ მაქვს, ისე მოვიქცევი, როგორც შენ მეუბნები, საიქიოში ჩამსვლელო და უკან, სამზეოზე დაბრუნებულო ბოთყი შირთყა. - უთხრა სესქათ სოლსამ და თავისი საქონელი, როგორც ბოთყი შირთყამ ურჩია, სამ ნაწილად გაყო: ერთი წილი თვითონ დაიტოვა, მეორე წილი ქალიშვილს მზითევში გაატანა და მესამე - თანაბრად გაუნაწილა თემის წევრებს.

ასე დაქორწინდა კინდათ შოა სესქათ სოლსას ასულზე.

23. როგორ მოიტაცა კინდათ შოამ სოლსას ქალიშვილი

კინდათ შოა აულ ხამხის მახლობლად ცხოვრობდა. მას გაგონილი ჰქონდა, რომ სესქათ სოლსას უმშვენიერესი ასული ჰყავდა. მან ისიც იცოდა, რომ სოლსა განუზომელ ძალას ფლობდა, მაგრამ კინდათ შოამ მაინც გადაწყვიტა სესქათ სოლსას ქალიშვილის მოტაცება.

ასის ხეობიდან ის წორის ხეობაში ეხქიელებთან[1] ჩავიდა. თავისი მეომრები მან საიდუმლო ადგილზე დატოვა, თვითონ კი სოლსას სახლისაკენ გაეშურა. სახლის ეზოში ის ხევისბერს[2] შეხვდა.

შოას კითხვაზე, თუ სად იყო სესქათ სოლსა, ხევისბერმა მიუგო, რომ ის სახლში არ იმყოფებოდა და დაამატა:

– ის სად არის, არავინ იცის და არც შეიძლება ვინმემ იცოდეს. თუ ის ერთი დღით წავა, ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდება, თუ ერთი კვირით წავა, ერთი თვის შემდეგ დაბრუნდება, თუ ერთი თვით წავა, ერთი წლის შემდეგ დაბრუნდება.

– ჩემთვის სულ ერთია, როდის დაბრუნდება სესქათ სოლსა, ერთი კვირის, ერთი თვის თუ ერთი წლის შემდეგ. როცა სესქათ სოლსა მოვა, მას გადაეცი, რომ კინდათ შოამ მისი ქალიშვილი წაიყვანა.

ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე კინდათ შოამ თავისი მეომრებით სესქათ სოლსას ქალიშვილი წაიყვანა. წორის ხეობაში რომ მივიდნენ, მათ მთის ფერდობები ჩამოაქციეს და გზა გადაკეტეს.

სესქათ სოლსა შინ დაბრუნდა და ახლა ქალიშვილის მოსაძებნად წავიდა. წორის ხეობის გზა გადაკეტილი აღმოჩნდა. სესქათ სოლსამ თავისი რაზმი დატოვა და სამი მეგობრის თანხლებით კინდათ შოასთან, არმხის ხეობისკენ გაეშურა. სესქათ სოლსა იმან შეაშფოთა, რომ წორის ხეობის გზა გადაკეტილი დახვდა. ბოლოს ის კინდათ შოასთან მივიდა. სესქათ სოლსას ეზოში შოას ხალხი დახვდა. მათ სტუმრებს ხელით დაუჭირეს უზანგები, როცა ცხენებიდან ჩამოდიოდნენ. მასპინძლებმა სტუმრები კოშკში შეიპატიჟეს.

ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ სოლსამ იკითხა:

– ჩემს ქალიშვილს მამამთილი ჰყავს თუ დედამთილი?

– მამამთილი არა, მაგრამ დედამთილი ჰყავს. - მიუგეს სოლსას.

კოშკის ზედა სართულიდან მძახალი ჩამოვიდა. მასპინძლებმა სესქათ სოლსა და დანარჩენი სტუმრები სუფრასთან დასხეს, რათა პატივი ეცათ და გამასპინძლებოდნენ. სოლსამ მძახალს სთხოვა, რომ ღვინიანი თასით სადღეგრძელო ეთქვა.

– ღმერთმა ჩემი ვაჟი დიდხანს აცოცხლოს! დიდხანს იცოცხლე, მძახალო! - უთხრა შოას დედამ სოლსას, თავისი ხელი მხარზე დაადო და ლავიწის ძვალი მოტეხა.

ცოტა ხნის შემდეგ ქალმა მეორე სადღეგრძელო წარმოთქვა, სესქათ სოლსას ხელი მეორე მხარზე დაადო და მას ახლა მეორე ლავიწის ძვალი მოტეხა. მამაცმა სოლსამ არ შეიმჩნია, რომ მას ორივე ლავიწი მოტეხილი ჰქონდა.

როცა სესქათ სოლსა გაემგზავრა, მისთვის ურვათის გადასახდელად გომურებიდან ცხვრების ფარა და ძროხების ნახირი გამორეკეს. საქონელი იმდენი იყო, რომ მათ ნაყოფიერი მინდვრები დაფარეს და კაცი თვალს ვერ გააწვდენდა. მაშინ ცხენზე ამხედრებულმა სესქათ სოლსამ თავისი ქალიშვილის ყალიმში ფარიდან და ნახირიდან მხოლოდ მესამედი ნაწილი გამოარჩია. ის ურვადის მესამედსაც არ აიღებდა, მაგრამ მერე ხალხი იჭორავებდა და იტყოდა: თავის ქალიშვილთან სანახავად წასული სოლსა შინ ხელცარიელი დაბრუნდაო.

24. ეშქი და სესქათ სოლსა

ეშქი[1] ცხოვრობდა ეგი-ჴალაში. იმ არემარეში მას ყველა იცნობდა. ეგი-ჴალის მახლობლად ცხოვრობდა სესქათ სოლსა. ეშქი და სესქათ სოლსა კარგი მეგობრები იყვნენ. ერთხელ ისინი შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს სათარეშოდ და ნადავლის მოსაპოვებლად ერთად წავიდოდნენ. დილით, დათქმულ დროს, ეშქი სესქათ სოლსას სახლთან მივიდა და ძახილი დაუწყო. ძახილზე სესქათ სოლსას ქალიშვილი გამოვიდა და ეშქის უთხრა:

– ის ჯერ კიდევ ალიონზე ადგა და სახლიდან წავიდა. დაიბარა, რომ ნადავლისთვის მიდიოდა.

– წყალი მომიტანე, მწყურია. - სთხოვა ქალს ეშქიმ.

ქალიშვილი გამოვიდა სახლიდან და კაცს ოქროს თასით წყალი მიაწოდა. ეშქიმ ჯერ წყალი დალია, მერე გოგონას ხელი სტაცა და ცხენზე წინ დაისვა, თასი კი პირობის დარღვევის გამო ძირს დაანარცხა[2].

– სესქათ სოლსას - ნადავლი, მე კი - ლამაზი ქალიშვილი. - თქვა მან და შინისაკენ გაქუსლა.

როცა სესქათ სოლსა შინ დაბრუნდა და შეიტყო, რაც მოხდა, მაშინვე ეშქისთან წავიდა, მის კარებთან დადგა და გაცეცხლებული დაჟინებით მასპინძელს იხმობდა.

– ჩვენ სახლის გარეთ არ ვლაპარაკობთ, შინ შემოდი. - მიუგო ეშქიმ და სესქათ სოლსა სახლში შეიპატიჟა. ეშქის დედა იქვე იდგა და თავის ვაჟსა და სესქათ სოლსას შორის გამართულ საუბარს ყურს უგდებდა. სესქათ სოლსა იმუქრებოდა და თავისი ქალიშვილის დაბრუნებას მოითხოვდა.

მაშინ ეშქის დედამ სესქათ სოლსას უთხრა:

– გაჩუმდი და ბევრს ნუ ყბედობ, ქალიშვილს არ დაგიბრუნებთ!

ამ სიტყვებთან ერთად დედაბერი სესქათ სოლსას მხარზე შეეხო, რის გამოც ვაჟს მხრისძვალი მოსტყდა. სესქათ სოლსა კი კვლავ არ ცხრებოდა და ქალიშვილის დაბრუნებას მოითხოვდა.

– ქალიშვილი აქ დარჩება. ტყუილად ბევრს ნუ ლაყბობ იმაზე, რაც არ მოხდება! - წარმოთქვა დედაკაცმა და მეორე მხარზე შეეხო და ახლა ის ძვალი მოსტეხა.

– ძლიერი ხალხი ხართ, თქვენთან ჭიდილის თავი არ მაქვს. თქვენთან დარჩეს ჩემი ქალიშვილი. - თქვა სესქათ სოლსამ.

ეშქი სესქათ სოლსას ქალიშვილზე დაქორწინდა და ცოლ-ქმარმა ბედნიერი ცხოვრება დაიწყო.

25. სოსქათ სოლსა და გორჭაი

ეს მოხდა დიდი ხნის წინ. ერთხელ ორხუსთოელები სესქათ სოლსას მეთაურობით ისხდნენ და ბჭობდნენ. „არის კი ისეთი მხარე, სადაც ჩვენ არ ვყოფილვართ და არ გაგვიძარცვავს?“ ამ დროს, როცა ისინი საუბრობდნენ, ერთ ქვრივ დედაკაცს მდინარიდან წყალი მოჰქონდა. მან უნებურად ორხუსთოელების საუბარი მოისმინა. ის ორხუსთოელებმაც შენიშნეს.

– ის, ალბათ, იცინის ჩვენი თავდაჯერებულობის გამო. წადი, ბოთოყო შერთუყო, გაიგე: შეიძლება მან იცის ისეთი ქვეყანა, სადაც ჩვენ არ ვყოფილვართ და არ გაგვიძარცვავს.

ბოთოყო შერთუყო საკითხავად ქვრივთან მივიდა.

– მე ერთი უბედური ქვრივ-ოხერი ვარ. შეიძლება ჩემი ნათქვამი არ მოგეწონოთ და ამაყმა ორხუსთოელებმა შეურაცხყოფა მომაყენოთ. მერე მე, საწყალ ქალს, ვინ გამომესარჩლება?

– ნუ გეშინია, თქვი! - უთხრეს ორხუსთოელებმა.

შვიდი მთის იქით გორჭაის ფარა ძოვს. იმ ფარას ორხუსთოელები არასოდეს არ დასცემიან!“

– უნდა წავიდეთ! - თქვა ყველამ ერთხმად.

ორხუსთოელები გზას დაადგნენ. აი, ისინი მეშვიდე მთაზე გადავიდნენ და გორჭაის უზარმაზარი ფარაც გამოჩნდა.

– ჩვენი მხრიდან სირცხვილი და უღირსი საქციელი იქნება, თუ მიპარვით, ჩუმად და მალულად დავეცემით! - თქვა სოსქათ სოლსამ, - უნდა ვაცნობოთ გორჭაის, რომ ორხუსთოელები მის ფარაზე დაცემას აპირებენ. დაე, მოემზადოს![1]

მათ გორჭაისთან კაცი მიგზავნეს. გორჭაიმ შუამავლის ნათქვამი მოისმინა და უთხრა:

– როგორ შეძლებენ ისინი დაეცნენ იმ ფარას, საიდანაც ღმერთს მსხვერპლს ვწირავ. ეს მათი მხრიდან მკრეხელობა იქნება. არა, შენი

არ მჯერა. ისინი ამას არ იკადრებენ. ალბათ, მათ შორის რაღაც მოხდა. - მიუგო გორჟაიმ მოგზავნილ კაცს და უკან გააბრუნა.

სესქათ სოლსამ გორჟაის პასუხი მოისმინა და თქვა:

– როგორ შეიძლება ის დავარწმუნოთ, რომ თავდასხმის მოწყობას ვაპირებთ და განგაში ატეხოს?

– ის შეიძლება მხოლოდ მისმა უმცროსმა რძალმა, ნაბოლარა ვაჟის უმშვენიერესმა ცოლმა დაარწმუნოს, რომელიც ყოველ დილით წყაროზე დადის, რადგან გორჟა მხოლდ იმ წყალს სვამს. თუ რძალი ეტყვის, მას უეჭველად დაუჯერებს.

– ვის შეუძლია ქალის შეცდენა? - იკითხა სოსქათ სოლსამ.

– მე შემიძლია! - თქვა ერთმა ორხუსთოელმა, სახელად თახშაყომ.

თახშაყო დილით ადრე, ნამაზის დროს, გაეშურა იმ წყაროზე, საიდანაც გორჟაის უმცროსი რძალი წყალს იღებდა. იმ დროს წყაროსთან გორჟაის უმცროსი რძალიც მივიდა. თახშაყომ ძალით გაიყვანა ქალი მოშორებით და კაბაც დაუხია. როცა ისინი წყაროსთან დაბრუნდნენ, თახშაყომ ქალს უთხრა:

– შენს მამამთილს გადაეცი, რომ სესქათ სოლსას მეთაურობით ორხუსთოელები შენი თეთრი ფარის გამოსარეკად მოდიან-თქო.

თახშაყო ქალს დაემუქრა, თუ გაჩუმდებოდა და მის ნათქვამს გორჟაის არ გადასცემდა, ჭორს გაუვრცელებდა, რომ მასთან კავშირი დაამყარა. თან დაუბარა, რომ მის პასუხს დაელოდებოდა.

პატარძალი შინ მივიდა და გორჟაის უთხრა:

– დღეს ერთ-ერთმა ორხუსთოელმა შემარცხვინა, აი, დამამტკიცებელი საბუთი - ჩემი დახეული კაბა. მან მთხოვა, რომ გაგაფრთხილო, რათა მოემზადო შენი თეთრი ფარის დასაცავად, რადგან ისინი თავდასხმას აპირებენ.

– ქალი მუდამ უსირცხვილო დარჩება! ისეთი ქალი ყოფილხარ, რომელმაც სირცხვილის გრძნობა საერთოდ დაკარგა. როგორ შეუძლიათ მათ თავდასხმა ჩემს ფარაზე, საიდანაც შემოქმედ ღმერთსა და მფარველ წმინდანებს მსხვერპლს ვწირავ.

გორჟაიმ არც თავის უმცროს რძალს დაუჯერა. ქალი წყაროსთან დაბრუნდა, სადაც მას თახშაყო ელოდებოდა და ვაჟს უთხრა:

– ჩემს მამამთილს ვუთხარი, რომ ორხუსთოელები ფარაზე თავდასხმას აპირებენ, მაგრამ მან არ დამიჯერა.

თახშაყო თავისიანებთან დაბრუნდა.

– რა მოახერხე? - ჰკითხეს ორხუსთოელებმა.

– მე წყაროსთან დაველოდე გორჭაის მშვენიერ პატარძალს და როცა ის გამოჩნდა, შევიპყარი, კაბა დავუხიე და ვაიძულე მამამთილისთვის ეთქვა ჩვენი გეგმის შესახებ. ის დაბრუნდა და მითხრა, რომ გორჭაიმ მისი ნათქვამი არ დაიჯერა.

– რა საშუალებით უნდა გამოვიწვიოთ გორჭაი, რომ ის ფარის დასაცავად მოემზადოს და განგაში ატეხოს? - თქვეს ორხუსთოელებმა.

ისინი რჩევისთვის სხვა მწყემსებთან მივიდნენ.

– ერთადერთი საშუალება ის არის, რომ მოკლათ გორჭაის საყვარელი ჩიტი, რომელიც მის კოშკზე ზის. - უთხრეს მწყემსებმა.

მაშინ სოსქათ სოლსამ ორხუსთოელებს შემდეგი კითხვით მიმართა:

– თქვენ შორის სროლა ყველაზე უკეთ ვის შეუძლია?

– მე შემიძლია! - თქვა ერთ-ერთმა ორხუსთოელმა, სახელად ორუზბიმ.

დილით, როგორც კი ოდნავ ინათა, ორუზბი გორჭაის სახლისკენ გაემართა და მისი საყვარელი ჩიტი მოკლა. გორჭაი დილით ადრე ადგა და როცა ეზოში თავისი საყვარელი ჩიტი მოკლული დაინახა, გაიფიქრა: „როგორც ჩანს, არ მომასვენებენ!“

გორჭაიმ თავისი ცხენი შეკაზმა, ამხედრდა და განგაში ატეხა. მან ზეცას შემდეგი სიტყვებით შეჰღაღადა:

– ორხუსთოელები მოსულან ჩემი თეთრი ფარის გასარეკად, საიდანაც საუკეთესო ცხვარს მუდამ ღმერთსა და მფარველ წმინდანებს მსხვერპლად ვწირავდი. დამიცავით, ჩემო სალოცავებო!

მისი ვედრება სიელამ შეისმინა. შემდეგ ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, ატყდა ჭექა-ქუხილი და იქ მცხოვრებლები ორხუსთოელებს გამოეკიდნენ. ის ორხუსთოელები, რომლებიც უკეთესად ისროდნენ, რაზმის ბოლოში მოექცნენ.

– წყნარად უნდა ვიაროთ, დაე, დაგვეწიოს სიელა², მაგ წმინდანს გვერდებს დავულეწავ! - თქვა სოსქათ სოლსამ.

სიელა ორხუსთოელებს, მართლაც, დაეწია. სოსქათ სოლსამ სტაცა ხელი წმინდანს და ნეკნები დაულეწა. ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი მაშინვე ჩაწყნარდა. წმინდანმა ორხუსთოელების დევნას თავი დაანება და ცაც მოიწმინდა. როცა განათდა, ორხუსთოელებმა გორჟაის საშუალება მისცეს მათ დასწეოდა. სოსქათ სოლსამ შეიპყრო გორჟაი და პირისახით კუდისკენ ცხენზე გაკოჭილი დასვა, შემდეგ კი, ხალხს რომ დაეცინა, მინდორში ასე გაუშვა.

ორხუსთოელები გორჟაის ცხვრის ფარით სახლში მშვიდობით დაბრუნდნენ.

26. აჩამაზის ბორცვი

(ლოამან ხას ვაჟი)

ადრე, როცა ჩვენი მამები მთებში ცხოვრობდნენ, ბარის მიწებს ჩერქეზი, ყაბარდოელი და ნოღაელი თავადები განაგებდნენ. თავადები დოვლათსა და ქონებას არა მხოლოდ ართმევდნენ ერთმანეთს, არამედ, მათი ბრძანებით იქმნებოდა რაზმები, რომლებსაც თავადის ვაჟები მეთაურობდნენ. იმ შორეულ დროში ისინი აწყობდნენ ყაჩაღურ თავდასხმებს და ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ. მთის ხალხს ბარის თავადებისგან თავს დაატყდა დიდი სიმწარე და უბედურება. თავიდან რომ აეცილებინათ თავდასხმები, მთის საუკეთესო ვაჟკაცებმა მთისწინეთში საგუშაგოები მოაწყვეს. იმ დროს ერთ-ერთი ასეთი საგუშაგო იდგა აჩამაზის ბორცვზე, რომელიც სოფელ ეკაჟევოს მახლობლად მდებარეობდა.

ღილღველმა ლოამან ხამ, ნართმა ნესარმა და ნართმა ორსთხომ მოილაპარაკეს, რომ იმ ბორცვზე დაეყენებინათ გუშაგები და მთის ხალხი დაეცვათ. ისინი ყაჩაღთა ბანდებს ნაძარცვს ართმევდნენ და მათ მთებში მისასვლელად გზას არ აძლევდნენ. ნართი ვაჟები ნადავლის მოსაპოვებლად თვითონაც დათარეშობდნენ. მათი სახელი შორს გავარდა.

ერთი ნოღაელი თავადი ნადავლისთვის ხშირად დათარეშობდა. ერთხელ, ღამით, ნოღაელმა თავადმა, როდესაც ის თავის ხელქვე-

ითებთან ერთად ქედზე გადადიოდა, აჩამაზის ბორცვზე ცეცხლი შენიშნა.

– გასაძარცვი ადგილი თვითონ ღმერთმა გვიბოძა! იქიდან ნადავლის წამოღება ზედმეტი არ იქნება. ყორღანისკენ გავქუსლოთ! - ბრძანა თავადმა.

– მათ შესახებ მსმენია, - უთხრა თავადს ერთ-ერთმა თანამგზავრმა, - რომ ისინი მეტად მამაცი ადამიანები არიან. უკეთესი იქნება, თუ არ მივალთ, რადგან ღილღველ ხას, ნართ ნესარსა და ნართ ორსთხოს იქ საგუშაგო აქვთ მოწყობილი. ერთი მათგანი სამოცის წინააღმდეგ გამოდის და მათ ამარჯვებინებს. - ამბობს ხალხი.

– ისინი თუ მართლაც ასეთი ძლიერები არიან, ეს ჩვენ ხელს არ შეგვიშლის, რომ მათთან მეგობრობა დავამყაროთ. - თქვა თავადმა და აჩამაზის ბორცვისკენ გაქუსლა.

ღილღველი ლოამან ხა მხოლოდ ის-ის იყო ნადავლით დაბრუნებულიყო. მას მთელი სადოღე ცხენების რემა მოერეკა. ლოამან ხას ეგონა, რომ გამორეკილი ცხენების რემას მდევარი მოსდევდა. ის ცხენს მოახტა და თავადთან შესახვედრად გაეშურა.

– სამტროდ არ მოვდივარ, გზააბნეული მგზავრი ვარ. თუ მიმიღებ, შენი სტუმარი ვიქნები.

– ჩემი სახლის კარები შენთვის ღიაა. - უთხრა ლოამან ხამ და ნოღაელი თავადი სტუმრად მიიღო, უმასპინძლა, ასვა და აჭამა.

– მოხარული ვარ თქვენი მობრძანებით და მინდა ჩემი ნადავლიდან ძღვენი გიწილადოთ. - უთხრა მან. ნახევარი რემა სამოც ნაწილად გაყო და ნოღაელი თავადის რაზმის წევრებს დაურიგა, ხოლო მეორე ნახევარი, მომავალი მეგობრობის ნიშნად, მთლიანად თავადს უფეშქაშა.

როცა ისინი აჩამაზის ბორცვზე ნადიმობდნენ, ნოღაელ თავადს შეატყობინეს, რომ მას ქალიშვილი შეეძინა. ამ დროს მთიდან მაცნე მოვიდა, რომელმაც სასიხარულო ამბავი მოიტანა: ლოამან ხას ვაჟი შეეძინა. მათ გოგონა და ვაჟი აკვანშივე დანიშნეს და დანათესავდნენ. რემის ნახევარიც ურვადში მიათვალეს. ამ გარიგების შემდეგ ნოღაელი თავადი შინისკენ გაემგზავრა.

ბავშვებმა გაზრდაც ვერ მოასწრეს, რომ ლოამან ხა გარდაიცვალა. ბოროტმა ენებმა ნოღაელ თავადს სასიძო უძაგეს. მას უთხრეს, რომ ლოამან ხას ვაჟი ერთი უგერგილო და უნდილი ახალგაზრდა იყო. მაშინ მან თავისი ასულის თავად სოალოიზე გათხოვება გადაწყვიტა. ამის შესახებ გაიგო ხას ვაჟის დედამ. მისთვის ძნელი მოსასმენი აღმოჩნდა იმის გაგება, რომ მათ საპატარძლოს სხვაზე გათხოვებას უპირებდნენ, მაგრამ შვილს არაფერი უთხრა. დედას ეშინოდა, რომ თუ მისი ვაჟი საცოლის გათხოვების შესახებ გაიგებდა, ის განგაშს ატეხდა, ამბავი გახმაურდებოდა და მათი ოჯახის ღირსება საზოგადოების თვალში შეილახებოდა.

– გარეგნობით მამას მაგონებ, ხოლო საქმით არ ჰგავხარ. დუნიაზე ისეთი ხალხი არ არსებობდა, ვინც მამაშენს არ იცნობდა. არ არსებობდა ისეთი ქვეყანა, სადაც მისი სახელი არ გაეგონათ. თუნდაც მის პატივსაცემად, გთხოვ, ღირსეულად მოიქცე. წადი, გაიგე, ხალხი როგორ ცხოვრობს, შენი საცოლის ნათესავებთან გაემგზავრე. - უთხრა დედამ თავის ვაჟს.

– შენ ჩემზე მეტად დარდობ. - უპასუხა ვაჟმა. ამის შემდეგ თავისი მამის ცხენი გამოიყვანა, შეკაზმა იგი, ერთ მხარეს ოქროთი და მეორე მხარეს ვერცხლით სავსე გუდა გადაჰკიდა. მოახტა ცხენს, ჩიტივით გაფრინდა და მტვრის კორიანტელი დააყენა.

„იქ დავისვენებ, სადაც ჩემი რაში გაჩერდება.“ - გადაწყვიტა ვაჟმა. მან მთებს გვერდით ჩაუქროლა და თავისი ცხენით აჩამაზის ბორცვთან შეჩერდა.

– ეს ის ადგილია, სადაც მამაჩემი ცხოვრობდა. - თქვა ვაჟმა და ცხენი შეასვენა.

აჩამაზის ბორცვიდან მან იქით გასწია, სადაც თავადი სოალოი ცხოვრობდა. რაში სოფლის განაპირას, ნახევრად დანგრეული სახლის კართან გაჩერდა. ამ დიდ სოფელში მოსახლეობის ნახევარი მხიარულობდა და ნადიმობდა, ნახევარი კი წუხდა და დარდობდა. ცხენი იქ გაჩერდა, სადაც ხალხი დაღვრემილი ჩანდა.

– ეს რას ნიშნავს? - ჰკითხა მან ქვრივ ქალს, თავის მასპინძელს, - ამხელა სოფელი გამოვიარე და დავინახე, რომ ნახევარი სოფელი

მხიარულობს და ნადიმს მართავს, მეორე ნახევარი კი, სადაც თქვენ ცხოვრობთ, ყველა წუხს და გლოვობს.

– ეჰ, შვილო, შენ დიდხანს იცოცხლე! როგორც ჩანს, არ იცი, რა სირცხვილი და უბედურება დაგვატყდა, - თქვა ქვრივმა დედაკაცმა, - როცა ღილღველი ლოამან ხა ცოცხალი იყო, ჩვენი სოფელი მისი მფარველობის ქვეშ ცხოვრობდა[1]. ის გვიცავდა და არ გვიგვრძვნია თავად სოალოის უღელი. ლოამან ხას სიკვდილის შემდეგ ჩვენს სოფელში თავისი ხალხით თავადი სოალოი დასახლდა. ეს სუფრაც მან თავის ხალხთან ერთად მოაწყო.

– რა მიზეზით მოგეჭრათ თავი, ლოამან ხა ხომ გარდაიცვალა? - კვლავ მიმართა სტუმარმა მასპინძელ ქვრივ ქალს.

– როგორ არ შეგვრცხვეს, ჩვენი ძვირფასი ხას ვაჟი ერთი უნიათო ვინმე გაიზარდა. ნოღაელი თავადი ხას ვაჟის საცოლეს თავად სოალოიზე ათხოვებს. ამის გამო სოფლის ერთი ნახევარი ზეიმობს, ხოლო მეორე ნახევარი - წუხს და გლოვობს.

ხას ვაჟმა გაიგო, რაშიც იყო საქმე, მაგრამ არ დაბნეულა.

– ხომ არ იცი, პატარძალს როგორ ტანსაცმელი აცვია? - ჰკითხა ხას ვაჟმა მასპინძელ ქვრივ დედაკაცს.

– არ ვიცი. - უპასუხა მასპინძელმა.

– მიდი, გეთაყვა, შეათვალიერე მისი ტანსაცმელი. - სთხოვა სტუმარმა.

– ჩემი საცოდავი ძონძებით თავადის საცოლესთან განა ვინმე შემიშვებს? იქ ხომ დაცვა დგას.

ხას ვაჟმა ქალს ერთ ხელში ოქრო მისცა, მეორეში - ვერცხლი და უთხრა:

– თუ დაცვა შეგხვდება, გადაუყარე ოქრო და ვერცხლი და სანამ ისინი ოქროსა და ვერცხლს აკრეფენ, პატარძალთან შეუმჩნევლად შეიპარე.

როგორც ვაჟმა დაარიგა, ქვრივიც ისე მოიქცა. მან შეიტყო, პატარძალს რაც ეცვა და კვლავ ბიჭთან დაბრუნდა. იმავე წუთში ხას ვაჟმა ქვრივი ოსტატებთან გაგზავნა. მათ შეაკერვინა ისეთივე ტანსაცმელი, როგორიც თავადის საცოლეს ეცვა. ამ ტანსაცმლით მან დედაკაცი პატარძალთან გაგზავნა და დააბარა:

– პატარძალი თუ ტანსაცმლის შესახებ რამეს გკითხავს, უთხარი: ვის შეეძლო ასეთი ტანსაცმლის მორთმევა, ლოამან ხას ვაჟის გარდა? თუ შენ თანახმა იქნები, ის ამაღამ შენთან გაჩნდება-თქო.

ქვრივმა შეასრულა ვაჟის დავალება და პატარძლის პასუხიც მოუტანა, რომ ის მზად იყო ვაჟთან შესახვედრად.

როცა მზე ჩავიდა და ბინდი ჩამოწვა, ლოამან ხას ვაჟი თავად სოალოის ეზოში შეიჭრა. მის შეპყრობას შეეცადნენ, მაგრამ ვინც ახლოს მივიდა, ისეთ დღეში ჩაყარა, აღარ იცოდნენ, საით გაქცეულიყვნენ.

– ვინ არის, საიდან მოვიდა, რა ჰქვია? - კითხულობდა დაბნეული ხალხი. ღილღველმა ახალგაზრდამ კი, რომელმაც ცხენით წააქცია წინ მყოფები და იარაღით დახოცა სხვები, ხელი სტაცა პატარძალს და ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავის მსგავსად გაუჩინარდა. სოალოის მომხრეები მოულოდნელობისაგან გახევდნენ. მათ ვერ გაეცნობიერეს, რაც მოხდა. ხან აქეთ მიაწყდნენ, ხან - იქით, მაგრამ იქ უკვე აღარავინ იყო. ყველამ ეჭვი ხას ვაჟზე მიიტანა.

ღილღველმა ჭაბუკმა კი მთაგრეხილი გადაიარა. როცა მთები ნისლში გაეხვია, ის ველზე დაეშვა. როცა გზაზე ჯანღი აიშლებოდა, თავის საცოლეს ეფერებოდა და ბოლოს სახლშიც დაბრუნდა. სიხარულისგან დედამისმა დიდ ლანგარზე ცხელი ფაფა დაასხა და წაიცეკვა.

ქორწილის მესამე დღეს ხას ვაჟს შეატყობინეს, რომ მის მამულში სესქათ სოლსას თავისი გუთნით მიწის მოხვნა დაუწყია.

„არ შეიძლება, რომ არ წავიდე.“ - გადაწყვიტა ხას ვაჟმა. ცხენი შეკაზმა და გაემგზავრა. მივიდა და რას ხედავს, სესქათ სოლსა თავისი ხალხით მის მიწას ამუშავებს.

– სესქათ სოლსა, შეეშვი მამაჩემის მიწის მოხვნას, - უთხრა ხას ვაჟმა, - უფროსი კაცი ხარ და არ მინდა გეჩხუბო და ცუდი სიტყვა გაკადრო. უღირს საქმეს სჩადიხარ!

– რომელ მოხვნაზე ლაპარაკობ, რა ქალივით ყბედობ? ეს მიწა მამაშენმა და შენ საიდან მიიღეთ? - ღვარძლიანად თქვა სოლსამ, თუმცა იცოდა, რომ მართალი არ იყო.

ხას ვაჟმა ერთ ადგილზე მოაგროვა ყველა ის ნივთი, რომელიც მოსახნავად მოეტანათ, გამოუშვა ხარები და წინ გაირეკა. სოლსა და მისი ხალხი მიწის მოსახნავად უიარაღოდ იყვნენ მოსული. ხას ვაჟმა, ვინც კი გამოეკიდა, ყველას თავზე მათრახი გადაუჭირა, გაყარა ისინი და ხარებით შინ დაბრუნდა.

ქორწილის მესამე დღეს მან მინდვრიდან გამორეკილი ხარები დაკლა და მთელი სოფლის მოსახლეობას გაუმასპინძლდა, მერე კი მიწვა, იფიქრა, ახლა მაინც დავისვენებო. დაიძინა და ნახა სიზმარი: მზიანი დღე შავმა ღრუბლებმა დაფარა, სოფლის ერთი მხარიდან შევარდნების ლაშქარი მოემართებოდა, მეორე მხრიდან - არწივების ჯარი მოდიოდა და მესამე მხარეს ყვავ-ყორნების რაზმი გროვდებოდა. როცა გაიღვიძა, ხას ვაჟმა დედას სიზმარი უამბო.

– დედა მოგიკვდეს, შვილო! სულიერად არ გატყდე და არ დაეცე! შევარდნების ლაშქარი, რომელიც სიზმრად ნახე, სესქათ სოლსას რაზმია, არწივების ჯარი ნოღაელი თავადის მეომრები არიან, ყვავ-ყორნების გუნდი კი სოალოელთა რაზმია. ისინი ურიცხვი ლაშქრით შენთან საბრძოლველად მოემართებიან.

– კარგია, რომ ისინი დიდ ანგარიშს მიწევენ, ჩემი ეშინიათ და ამხელა ჯარების თანხლებით მოდიან. - უპასუხა ხას ვაჟმა დედას და კვლავ დასაძინებლად დაწვა.

დილით ხას ვაჟმა დაინახა, რომ მისი სოფელი სამი სახის ჯარებით იყო გარშემორტყმული. ხას ვაჟმა ცხენი სწრაფად შეკაზმა, მამისეული ბასრი ხმალი აიღო და მტერთან შესახვედრად გაემართა. ცხენს წინ გააჭენებს - ერთ ჯგუფს ანადგურებს, უკან გამოაჭენებს, ახლა სხვებს ხოცავს, წინ მდგომებს ცხენით თელავს, გვერდით მყოფებს ხმლით ჩეხავს. სამი სახის ლაშქარი თითქმის დაილია, მაგრამ თვითონაც დაიჭრა. უეცრად შენიშნა მეომარი, რომელიც მოწინააღმდეგის ჯარის შუაგულში შეიჭრა და მტრის განადგურება დაიწყო. გახედა და იცნო თავისი წითელი ულაყი, ჯიქის მსგავსი, რომელიც სახლში ფეტვის საკვებთან ბაგაზე დატოვა.

„ვინც უნდა იყო, სულ ერთია, შენ ჩემი სტუმარი ხარ, - გაიფიქრა ხას ვაჟმა, შესანიშნავად იბრძვი“.

უცნობი მეომრის სიჩაუქით მოხიბლულ ვაჟს ერთ წამს თითქოს ბრძოლა გადაავიწყდა. როცა ბრძოლის ველი დახოცილებით გაივსო, ხოლო გადარჩენილი მტრები უკუიქცნენ, როცა მთელი შემოგარენი გათავისუფლდა მომხვდურებისგან და ორნიღა დარჩნენ ველზე, ისინი გამოელაპარაკნენ და იცნეს ერთმანეთი. უცნობი მეომარი ხას ვაჟის პირმშვენიერი ცოლი აღმოჩნდა.

დედა, რომელიც ბრძოლის მსვლელობას შორიდან აკვირდებოდა, მათთან მივიდა. როცა ვაჟსა და პატარძალს მიუახლოვდა, დაინახა, რომ ისინი ფეხზე ძლივსღა იდგნენ. ორივეს გამოფატრული სხეულიდან სისხლი ჩამოსდიოდა, ხოლო ცხენის გამოფაშვულ ნაწლავებს უნაგირის გარსაკრავიღა იჭერდა. ქალ-ვაჟი იქვე, ადგილზევე, დაიღუპა. დედას არცერთი წვეთი ცრემლი არ ჩამოვარდნია. მან ვაჟი და რძალი ერთად, გვერდიგვერდ დამარხა.

27. ლორსა და სოლსა

ლორსა და სოლსა, მამით ღვიძლი ძმები, ორსთხოელები იყვნენ. ერთხელ, როცა ლორსა ნადირობიდან დაღლილი დაბრუნდა, დედამისმა რძალს უთხრა:

– წადი ლორსასთან. ის ალბათ დაიღალა. მის ოთახში დაიძინე, იქნებ რამე დასჭირდეს.

როცა ცოლი ქმრის ოთახში შევიდა, ლორსამ უთხრა:

– წადი დედაჩემთან და დასაძინებლად მის ოთახში დაწექი. ის ხომ მარტოა.

რძალი დედამთილთან წავიდა, მაგრამ მას უკვე ეძინა. დედამთილი რომ არ გაეღვიძებინა, რძალი აივანზე დაწვა, სადაც მას ღამით თავს დაადგნენ ადამიანის გამტაცებლები და ტყვედ წაიყვანეს. როცა მიჰყავდათ, ლორსას ცოლმა დახმარების სათხოვნელად ყვირილი არ ატეხა, რადგან მძინარე ქმრისა და დედამთილის შეწუხებას მოერიდა.

დილით ლორსამ გაიღვიძა და ხედავს, რომ ცოლი სახლში აღარ არის. ის მიხვდა, რომ ქალი ადამიანის გამტაცებლებმა[1] წაიყვანეს. ლორსამ ცხენი შეკაზმა, ამხედრდა და ცოლის მოსაძებნად წავიდა. დაღლილი და მშიერი ლორსა ცოლს ეძებდა და ბოლოს მოშორებით ერთი ყორღანი დაინახა.

„იქ დავისვენებ“. - გაიფიქრა ლორსამ. მან სხვაგან აღარ შეისვენა და პირდაპირ ყორღანისკენ გაქუსლა.

ყორღანთან რომ მივიდა, ცხენი საძოვარზე გაუშვა, თვითონ კი თავქვეშ უნაგირი ამოიდო და დასასვენებლად მიწვა. იმ დროს, როცა ლორსას ეძინა, იქვე, ახლოს ერთი თავადი მოვიდა სამოცდასამი მხედრით.

თავადმა ყორღანთან მწოლარე ლორსა შენიშნა. მან თავისი მხედრები მასთან გაგზავნა და უთხრა:

– ნახეთ, ვინ არის. გადაეცით იმ კაცს, რომ გზიდან ჩამომეცალოს. თუ არ დაგთანხმდებათ, აცნობეთ, რომ აქ სამოცდასამი მხედარი და ერთი თავადი ვიმყოფებით, ის კი მარტოდმარტოა.

თავადის წარგზავნილმა მხედრებმა ყველაფერი ისე გადასცეს, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ. ლორსამ კი თავადის მხედრებს ასეთი პასუხი დააბარა:

– თუ თქვენ, როგორც სტუმრები, ისე მოხვედით, მე თქვენ მიგიღებთ ისე, როგორც სტუმრებს ეკადრებათ. თუ სამტროდ მოხვედით, მაშინ როგორც მტრებს, ისე დაგხვდებით და შეგებრძოლებით.

მხედრებისგან ლორსას პასუხი რომ მოისმინა, თავადი ლორსასთან სტუმრად მივიდა. ლორსამ თავისი ერთადერთი ცხენი დაკლა, დადგა ქვაბი, მოხარშა ხორცი და სტუმრები დააპურა. შემდეგ ყველანი დასაძინებლად დააწვინა. თვითონ შეჯდა თავადის ცხენზე, თან წაიყვანა მხედრების სამოცდასამი ცხენი და გარეკა ქედის გასწვრივ საძოვარზე. დილით, ლორსას ცხენები უკან რომ მოჰყავდა, მან თავადის ცხენს ერთი ულაყი მიაბა, ხოლო სამაოცდასამ ცხენს სამოცდასამი ცხენი მიამატა. ამ ყველაფრით ლორსა სტუმრებთან დაბრუნდა. დარჩენილი ნახევარი ცხენის ხორცი ქვაბში ჩაყარა მოსახარშად და იმით სტუმრები ასაუზმა. შემდეგ ლორსამ შეკაზმა სტუმრების ცხენები და ყველა მათგანი გააცილა. როცა ერთმანეთს შორდებოდნენ, ლორსამ თავადს ჰკითხა:

– ჩემთან რა განზრახვით, მოხვედით?

– არის ასეთი კაცი, ლორსა, ორსთხოელების თემიდან. ჩვენ მოვედით იმის გასაგებად, თუ ლორსა როგორი ადამიანი და ვაჟკაცია.

მაშინ ლორსამ უთხრა:

– ამ შემთხვევაში თქვენ უკვე გაიცანით ლორსა და მისი ვაჟკაცობაც უკვე გაიგეთ.

მაშინ თავადმა უთხრა:

– შვილები გყავს?

– ორი ვაჟი მყავს.

– იმ შემთხვევაში თუკი ვაჟი მეყოლება, ჩვენი ვაჟები ძმებივით იყვნენ და ძმურად იცხოვრონ. თუ ასული შემეძინება, დაე, ჩვენმა შვილებმა ერთმანეთზე იქორწინონ და ბედნიერი ოჯახი შექმნან. - თქვა თავადმა და ლორსას თავისი ბეჭედი გადასცა.

როცა ლორსა სტუმრებს დაშორდა და შინ დაბრუნდა, ცუდი ამბავი დახვდა. ადამიანის გამტაცებლებს მისი უფროსი ვაჟიც ტყვედ წაეყვანათ. რადგან ვერც ცოლი და ვერც შვილი ვეღარ იპოვა, ლორსა ისე დანაღვლიანდა, რომ მას დარდისაგან გული გაუსკდა და მოკვდა. სიკვდილის წინ მან უმცროს ვაჟს ბეჭედი გადასცა, რომელიც მას თავადმა უბოძა და შვილს მიცემული პირობა გაანდო.

ლორსას სიკვდილის შემდეგ, სოლსამ, მისმა ძმამ მამის მხრიდან, მოიტანა სამოცდასამი გუთანი, მოიყვანა სამოცდასამი მხვნელი და ლორსას კუთვნილი მიწის დამუშავება დაიწყო. ლორსას ვაჟმა ეს ამბავი საფიხვნოში შეიტყო. იგი მივიდა შინ და მომხდარის შესახებ ბებიას, მამის მხრიდან, უამბო; შემდეგ კი იქით გაეშურა, სადაც მიწას ხნავდნენ. ბიჭმა გადაწყვიტა, თავისი მამის კუთვნილი მიწის დამუშავების საშუალება სოლსასთვის არ მიეცა.

როცა ლორსას ვაჟი თავის მამულში მივიდა, დაინახა, რომ სოლსა მის კუთნილ მიწის ნაკვეთს ამუშავებდა. ისინი წაკამათნენ. ერთი ამბობდა: - „მოვხნავ!“, მეორე ამბობდა: - „ვერ მოხნავ!“ მიწის გამო კამათი ჩხუბში გადაიზარდა. ლორსას ვაჟმა სოლსას ხმალი ხელიდან გააგდებინა,

– ვიჩხუბოთ ერთი-ერთზე, ცხენზე ამხედრებულმა. - შეთანხმდნენ ისინი და ორთაბრძოლა დაიწყეს.

სოლსა და ლორსას ვაჟი ცხენებზე შესხდნენ და ხელჩართული ჩხუბი გამართეს.

ამის შემხედვარე ხალხი ამბობდა:

– მათი გაშველება მხოლოდ დედებს შეუძლიათ.

მაშინ ლორსას და სოლსას დედები მივიდნენ და ისინი გააშველეს, თან შვილიშვილსა და ვაჟს უთხრეს:

– ერთმანეთს რატომ ეჩხუბებით? მაშინაც კი, როცა ერთი თქვენგანი ვინმესთან ჩხუბობს, მეორე ვალდებულია, მასთან მივიდეს და მიეხმაროს.

ერთხელ ლორსას ვაჟმა უთხრა ბებიას, მამის მხრიდან, რომ ის მიდიოდა დედისა და ძმის მოსაძებნად, რომლებიც მოიტაცეს. როცა ლორსას ვაჟი დაკარგული დედისა და ძმის მოსაძებნად მიდიოდა, გზაზე ერთი მწყემსი ბიჭი შენიშნა, რომელიც ხბორებს აძოვებდა.

მწყემსი ბიჭი ხან ერთ მხარეს მიდიოდა, სადაც შინაური შალისგან დამზადებული ქალის მანდილი იდო, ხან მეორე მხარეს მიდიოდა, სადაც ჯოხი იყო ჩარჭობილი. როცა იმ მხარეს მიდიოდა, სადაც თავშალი იდო, იცინოდა, ხოლო როცა იმ მხარეს ბრუნდებოდა, სადაც ჯოხი ჰქონდა ჩარჭობილი, ტიროდა.

მისალმების შემდეგ ლორსას ვაჟმა უთხრა უცნობ ბიჭს, რომ გაოცებული იყო მისი საქციელით, რადგან იგი აქეთ-იქით დარბოდა და ხან ტიროდა, ხან იცინოდა. ბოლოს სთხოვა, განემარტა ამის მიზეზი.

– როცა იმ მხარეს მივდივარ, სადაც ერთი ჯოხი დევს, ვტირი, რადგან ჩემი სიმარტოვე მახსენდება. ხოლო როცა აქით მოვდივარ, სადაც თავმანდილი დევს, ვიცინი, რადგან იმედი მაქვს, რომ დღეს საღამოს ძვალი ან სხვა რამე საკბილო მაინც შემხვდება, რომელსაც გამოვხრავ.

– შენ ჩემი უფროსი ძმა ხარ, - უთხრა ლორსას ვაჟმა, - უნდა მირჩიო, როგორ გიხსნა შენ და როგორ ვიხსნათ დედაჩვენი.

მაშინ ლორსას უფროსმა ვაჟმა თქვა:

– ეს ხბორები თავადისაა. ყველა მათგანს ამაღამ დაკლავენ, თუ თავადი დედაჩემზე დაქორწინდება. ჩემი ტანსაცმელი შენ ჩაიცვი, შენს ტანსაცმელს კი მე ჩავიცვამ. შევჯდები შენს ცხენზე და გავივლი თავადის ჭიშკრის მახლობლად. მე რომ დამინახავს, თავადი იტყვის: „სტუმარს საშუალება არ მისცეთ, რომ სახლს გვერდით ჩაუაროს, აუცილებლად შემოიპატიჟეთ!“ საღამოს, როცა შენ ხბო-

რებით მოხვალ, ის იტყვის, რომ შენს სხეულზე შეშა დაჩეხონ. იმ დროიდან მოყოლებული, რაც მასთან მონად მიმიყვანეს, ჩემს სხეულზე მუდამ შეშას აპობენ. მაშინ მე ვეტყვი თავადს: „ამ ღამეს მაინც, როცა საღას აკეთებ და ღმერთს მსხვერპლს სწირავ, მის ტანზე შეშას ნუ დაჩეხავთ!“ თავადი იტყვის: „რადგან სტუმარი ამბობს, არ დაჩეხოთ, თქვენც მის ტანზე შეშას ნუ დააპობთ.“ ამის შემდეგ ისინი მოინდომებენ შენს გამოკეტვას იქ, სადაც მე ვყავარ დამწყვდეული. მე ვეტყვი თავადს: „ამ ღამეს მაინც, როცა საღას აკეთებ და ღმერთს მსხვერპლს სწირავ, ნუ გამოკეტავ.“ თავადი იტყვის: „სტუმარი მთხოვს, ამ საღამოს ნუ დავამწვდევთ, დატოვეთ თავისუფლად!“ შემდეგ ისინი სახლიდან მშვილდის გამოტანას შეეცდებიან, მაგრამ ამას ვერავინ შეძლებს. მაშინ შენ შესთავაზებ მშვილდის გარეთ გამოტანას. თავიდან არ გიპასუხებენ. შენ კიდევ ერთხელ სთხოვე, მეც ვეტყვი, რომ ნება დაგრთონ. როცა შენ მშვილდს გარეთ გამოიტან, სთხოვე: „ისარი ცაში ვტყორცნო და ცა დავაქციო, მიწაში ვისროლო და მიწა დავამსხვრიო, თუ ისარი ირემს ვესროლო, რომელიც შვიდი მთის იქით იმყოფება? თავადი გეტყვის: „ცა და მიწა გვჭირდება. შვიდი მთის იქით მყოფ ირემს ესროლე და წააქციე.“ მაშინ თვითონვე მიხვდები, ისარი ვისკენაც უნდა მიუშვა.

ლორსას უმცროსმა ვაჟმა ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც უფროსმა ძმამ დაარიგა. როცა თავადმა თქვა: „შვიდი მთის იქით ირემს ესროლე!“ ლორსას უმცროსმა ვაჟმა მოზიდა მშვილდი, ისროლა ისარი და მოკლა თავადი. მან გაათავისუფლა დატყვევებული ძმა და დედა. ასე, ყველანი თავიანთ სახლში დაბრუნდნენ, თავადის მთელი ქონებაც თან წამოიღეს.

როცა ისინი შინ დაბრუნდნენ, ლორსას დედამ თქვა:

– მაცნე სამჯერ მოვიდა და თქვა: „პატარძალი წაიყვანეთო!“

მაშინ ლორსას ვაჟი შეჯდა ცხენზე და წავიდა, თან ჩაილაპარაკა:

– იმ ეზოსთან გავჩერდები, სადაც ჩემი ცხენი შეჩერდება და ღამესაც იქ გავატარებ.

ცხენი ერთი ღარიბი ქვრივის ეზოსთან გაჩერდა. ქვრივმა, როცა ლორსას უმცროსი ვაჟი დაინახა, გაიფიქრა: „ჩემთან სტუმარი რომ

მოდის, კარგია, მეწვევა, მაგრამ ცუდია, რომ არაფერი მაბადია, რითაც გავუმასპინძლდებოდი.“

როცა სახლში შევიდა, ლორსას ვაჟმა დაინახა, რომ მასპინძელი ღარიბი იყო. ბიჭმა ქალს ოქროს ფული გაუწოდა და სთხოვა სავახშმოდ რამე ეყიდა.

ფულს რომ იღებდა, ქვრივმა თქვა:

– ხვალ აქ მცხოვრები თავადის ასული თხოვდება. ის სხვაზე იყო დანიშნული. მძახლებთან შიკრიკი სამჯერ გაგზავნეს, რომ საპატარძლო წაეყვანათ. მაგრამ მათ არ წაიყვანეს. ახლა კი ის სხვაზე თხოვდება.

– ჯერ სასწრაფოდ რამე მომიტანე, რომ ვივახშმო. - უთხრა ქვრივს ლორსას ვაჟმა.

როცა ის დაბრუნდა, ლორსას ვაჟმა უთხრა:

– ოქროს ფულს მოგცემ და წადი, სამსახური გამიწიე: ეს ბეჭედი თავადის ასულს გადაეცი, რომელსაც ხვალ გათხოვებას უპირებენ.

ქვრივმა აიღო ბეჭედი, წავიდა, შევიდა თავადის ეზოში და, მართალია, მას არ უშვებდნენ, ის მაინც შევარდა იქ, სადაც საქორწილოდ მორთული ქალიშვილი იდგა.

თავადის ასულმა აიღო ბეჭედი და თქვა:

– ბეჭდის პატრონს გადაეცი, რომ ხვალ მოვიდეს და აგვიხსნას, რომ ამ ოჯახის სიძეა და დაგვეხმაროს როგორც ნათესავი.

დილით ლორსას ვაჟი ასეც მოიქცა. ის თავადის ეზოში დატრიალდა, მოემსახურა, ჩერქეზული ჩოხის კალთები ქამრამდე აიკეცა. ლორსას ვაჟმა ეზოში გააკეთა ყველაფერი, რაც გასაკეთებელი იყო.

მაშინ მხედრებმა თავადს გადასცეს:

– ეზოში ვიღაც სტუმარია, ირწმუნება, რომ ოჯახის სიძეა. ის აკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა კაცმა ნათესავისთვის გააკეთოს.

– მე მხოლოდ ერთი ასული მყავს. მე არ ვიცი, ვინ არის ის ახალგაზრდა. ჩემს ქალიშვილს უნდა ვკითხო, ვინ არის უცნობი სტუმარი.

თავადმა უცნობი ახალგაზრდის შესახებ თავის ქალიშვილს ჰკითხა, მან კი უპასუხა:

– მე არ ვიცი, ვინ არის ეგ ვაჟი. გუშინ მისგან შენი ბეჭედი მივიღე.

მაშინ თავადმა მექორწილეთა ქარავანთან, რომელიც პატარძლის წასაყვანად უკვე მოემართებოდა, კაცი გაგზავნა და დააბარა:

– ქალიშვილი არც თქვენია და არც ჩემი. ქალიშვილის პატრონი უკვე გამოჩნდა და მის წასაყვანად აღარ მოხვიდეთო!

ლორსას ვაჟმა თავადის ასულზე იქორწინა და ცოლთან ერთად შინ დაბრუნდა, თავადის ნახევარი ქონებაც თან მოიყოლა.

28. მგელი მწყემსად

ერთხელ ჯერ კიდევ ყმაწვილი სოსქათ სოლსა მამის ცხვარს მწყემსავდა[1]. მასთან მგელი მივიდა და სთხოვა:

– ერთი ცხვარი მიმეცი, დავბერდი, თორემ თხოვნას არ დაგიწყებდი. ერთი ცხვრის სამაგიეროდ მე სამ კარგ საქმეს გაგიკეთებ.

– მამის ნებართვის გარეშე, ცხვარს ვერ მოგცემ. - მიუგო სოსქათ სოლსამ.

– წადი მამასთან და მას სთხოვე, მანამდე კი თქვენს ცხვრებს გავკრეჭ. - შესთავაზა მგელმა.

– განა შეიძლება მგელს ცხვარი ვანდო[2]?

– თუ ფარას ერთი ცხვარი დავაკლო, მაშინ იმ ოჯახის მამა ვიყო, სადაც მშობლებს პატივს არ სცემენ, ან იმ ოჯახის უფროსი ვიყო, სადაც თანხმობა არ არის! - დაიფიცა მგელმა.

სოსქათ სოლსა შინ წავიდა და მამას უთხრა, რომ მასთან მგელი მივიდა და ცხვარი სთხოვა, რომ მგელმა ასეთი და ასეთი ფიცი წარმოთქვა.

მამამ წამოიძახა:

– წადი, სასწრაფოდ ცხვარში დაბრუნდი და მთელი ფარა მგელს მიეცი, სანამ მისი დაფიცება წყევლად არ გვექცა[3]!

სოსქათ სოლსა სასწრაფოდ ცხვარში დაბრუნდა, მაგრამ მგელმა მხოლოდ ერთი ცხვარი წაიყვანა.

29. სესქათ სოლსა და მგელი

ერთხელ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული და მაღალ ცხენზე ამხედრებული სოსქათ სოლსა სადღაც მიდიოდა. გზაზე მგელი შემოხვდა.

– სალამ ალეიქუმ, ღრმად პატივცემულო სოსქათ სოლსა! - მიესალმა მგელი.

– ვა ალეიქუმ სალამ, პატივცემულო და სწრაფადმოსიარულე მგელო! - მიუგო სოსქათ სოლსამ.

– გეზი საით აგიღია, სოსქათ სოლსა? რამე საფრთხის გამო მიდიხარ?

– არანაირი საფრთხე არ მემუქრება და არავითარი დარდი არ მაწუხებს. ნადავლის მოსატანად მივდივარ.

– მეც გზაზე საშოვრისთვის გამოვედი. - აუწყა მგელმა.

– მაშასადამე, ჩვენ ერთმანეთს ვგავართ. - თქვა სოსქათ სოლსამ.

– ერთმანეთს ვგავართ, მაგრამ თანასწორნი არა ვართ. - უპასუხა მგელმა.

– ესეც ახალი ამბავი! როგორ უნდა გავიგოთ: ერთმანეთს ვგავართ, მაგრამ თანასწორი არა ვართ?

მაშინ მგელმა თქვა:

– უყურე, სოსქათ სოლსა. შენ ზიხარ ტანმაღალ ცხენზე, რომელიც სწრაფად მიგიყვანს იქ, საითაც მიგეჩქარება; ტანზე გაცვია ჯაჭვის პერანგი, რომელიც მტრის თავდასხმისგან გიცავს. ორთაბრძოლისთვის გაქვს ხმალი და ხანჯალი. შენ თან დაგაქვს ისეთი იარაღიც, რომლითაც შეძლებ შორ მანძილზე მიზანში მორტყმას. შენი ელვარე სათვალთვალო მილი საშუალებას გაძლევს, მტერი შორი მანძილიდან დაინახო და დაზვერო. ასე კარგად შეიარაღებული ადამიანი, როგორც შენ ხარ, ნადავლს ადვილად მოიპოვებს. მაგრამ მე რა მაქვს? მე არაფერი გამაჩნია დასახმარებლად, საკუთარი სიმამაცის გარდა, რომელიც გამჩენმა მომამადლა.

სოსქათ სოლსა ჩასწვდა მგლის ნათქვამი სიტყვების აზრს და მას შესთავაზა:

– მგელო, შემომიერთდი. ნადავლი ერთად მოვიპოვოთ!

– ჩემთვის დიდი პატივი იქნება ნადავლის მოსაპოვებლად შენთან ერთად სათარეშოდ წასვლა, მაგრამ მე მაინც ჩემთვის ვიქნები.

– რატომ ასე? - გაუკვირდა ნართს.

– ასე მირჩევია, სოსქათ სოლსა, რადგან არ შემიძლია ავიტანო ის სუნი, რომელიც შენს ძაღლებს უდით.

– ჭეშმარიტად, მგელო! შენ ნამდვილი მგელი ხარ! - წამოიძახა სოსქათ სოლსამ და ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

30. რატომ ამბობენ სიტყვა „გოვრაბერს“

სესქათ სოლსას ჰყავდა ცხენი, სახელად ღოლგი. საოცარი ის იყო, რომ ცხენი ხან პატარავდებოდა და თხისხელა ხდებოდა, ხან იზრდებოდა და მუხის სიმაღლეს აღწევდა. ცხენი ასე სესქათ სოლსას ნებასურვილის მიხედვით იქცეოდა. როცა სესქათ სოლსა ისვენებდა, მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო თხისხელა ცხენის ძოვება. მაგრამ თუ ის სათარეშოდ მიდიოდა, მაშინ მას დიდი ზომის ცხენი სჭირდებოდა და ღოლგიც, თავისი პატრონის სურვილით, იზრდებოდა და დიდდებოდა.

ერთხელ სესქათ სოლსა ისვენებდა და თან იარაღს წმენდდა, ხოლო ღოლგი მთის ფერდობზე მარდად დაკუნტრუშებდა.

ნართთან შევარდენი მიფრინდა და დალოცა:

– ღმერთმა დალოცოს შენი შრომა!

– სწრაფადმფრინავო შევარდენო, ღმერთმა დელამ დაგლოცოს!

– მითხარი, სესქათ სოლსა, თუ შენს ღოლგის, როცა ის სიდიდით თხისხელაა და ჭენებით გაუშვებ, შეძლებს ჩემთან დაწევას?

– ეს საქმე მას ეხება და მას უნდა ჰკითხო. - უპასუხა ნართმა.

კაცმა არ იცის საიდან, უეცრად ძუ მგელი გამოჩნდა. ის სესქათ სოლსასა და შევარდენს მიესალმა და, როცა შეიტყო, რაზეც საუბრობდნენ, ამაყად წარმოთქვა:

– სანამ ეს ცხენი თხისხელაა, ის სირბილში ვერანაირად ვერ გამასწრებს. განა საჭირო იყო კითხვის დასმა?

– ამის შესახებ მაშინ ვისაუბროთ, როცა ღოლგი ჭენებას დაიწყებს. - თქვა სესქათ სოლსამ.

– რატომ მეც არ შემეკითხეთ? - გაბრაზდა ღოლგი.

– გეკითხებით, გვითხარი, შეგიძლია ჩვენთან სირბილში შეჯიბრება?

– ნება მომეცი მათთან ერთად სირბილით რამდენიმე წრე დავარტყა. - სთხოვა სესქათ სოლსას ღოლგმა.

სესქათ სოლსამ ნება დართო.

ღოლგი მიწაზე სამჯერ გადაკოტრიალდა და სიდიდით მუხისხელა გახდა. ის გაიქცა და მას გამოედევნენ. ფერდობებსა და ღელეებში, მთებსა და ხეობებში, ტბის ფსკერზე მან სამი წრე შემოირბინა და სესქათ სოლსასთან მივიდა. შევარდენი და ძუ მგელი უკვე მის მახლობლად ისხდნენ. სამი წრე მათ უკვე კარგა ხნის წინ შემოერბინათ და შემოეფრინათ.

ღოლგის შერცხვა. მან თავი დახარა, კვლავ თხისხელა გახდა და გვერდზე გავიდა.

– აი, რას ვიზამთ, - თქვა სესქათ სოლსამ, - ახლა ღოლგი დაიღალა. ხვალ, ამ დროს მოდით და მაშინ გაიგებთ, მას რა შეუძლია.

ძუ მგელი და შევარდენი დანიშნულ დროს მოვიდნენ.

– მაშ ასე, აი, რას გავაკეთებთ, - დაიწყო საუბარი სესქათ სოლსამ, - გუშინ ღოლგი მუხისხელა იყო და მასზე არავინ არ იჯდა. ახლა ის სიდიდით თხისხელაა. ასეთად დავტოვებ და მასზე შევჯდები. ასეთ ნაძლევზე თანახმა ხართ?

– მაშ, რა თქმა უნდა, თანახმა ვართ! - გაუხარდა იქით ძუ მგელს და აქეთ შევარდენს.

სესქათ სოლსამ თავისი ცხენი გააჭენა. მას მიჰყვა ძუ მგელი, მათ კვალზე გაფრინდა შევარდენი. მართალია, ღოლგი თხისხელა იყო, მაგრამ გუშინდელზე ათჯერ სწრაფად გარბოდა. სესქათ სოლსა ჭენებით მივიდა დანიშნულ ადგილამდე, ღოლგი მან საძოვარზე მიუშვა, თვითონ კი ჩამოჯდა და ღელე[1] გააბოლა. როცა მოწევა დაასრულა, მხოლოდ მაშინ მოირბინა ძუ მგელმა და მოფრინდა შევარდენიც.

– რა სასწაულია! როცა ცხენი დიდი იყო, მხედრის გარეშე, ჩვენ მას ვაჯობეთ სისწრაფეში. ხოლო ახლა, როცა ცხენი ასე პატარაა და მასზე ასეთი მძიმე და ვეებერთელა მხედარი ზის, ღოლგი ჩვენზე გაცილებით სწრაფი აღმოჩნდა. მართალია, ჩვენ წავაგეთ, მაგრამ, სესქათ სოლსა, აგვიხსენი, რა მოხდა? - სთხოვეს ძუ მგელმა და შევარდენმა.

სესქათ სოლსამ მათ უპასუხა:

– ეს იცოდეთ, ცხენი, მხედრის გარეშე, ცხენი არ არის. მხედარი, ცხენის გარეშე, მხედარი არ არის. მაგრამ, აი, როცა მათ შორის თან-

ხმობა და ურთიერთგაგება მყარდება, მაშინ სრულად ვლინდება ორივეს უნარი. ამიტომ ცხენსა და მხედარს ერთად უწოდებენ „გოვრაბერს“ - ცხენი და მხედარი.

სესქათ სოლსამ შევარდნისა და ძუ მგლის მცდელობა დააფასა. მან სხვადასხვა ცხოველები დახოცა და მათ, როგორც ძვირფას სტუმრებს, წვეულება მოუწყო.

31. სესქათ სოლსა და ნაქისტელები

სესქათ სოლსა ერთხელ თავისი ცხენით ღილღოს სოფელ ნაქისტში წავიდა. მხედარი სოფელში შევიდა, მიაღწია შუა სოფლამდე, მაგრამ სტუმრად არავინ შეიპატიჟა. ასე დიდხანს იდგა გზაზე მხედარი. გარდა ამისა, მის ცხენსაც მოსწყურდა. მაგრამ სესქათ სოლსას არც ცხენისთვის მისცეს წყალი. მაშინ წყურვილით შეწუხებულმა სესქათ სოლსას ცხენმა ფლოქვები დაარტყა მიწაზე, საიდანაც წყარომ ამოხეთქა და ცხენმა წყურვილი მოიკლა. ის წყარო სოფელში ახლაც მოჩუხჩუხებს. ასე რომ ნაქისტელები არასტუმართმოყვარე ადამიანები აღმოჩნდნენ. სესქათ სოლსამ წასვლისას თქვა: „დაე, თქვენი შთამომავლები სხვა გვარებზე დაბლა იდგნენო.[1]“

32. მტრედად გადაიქცა

სესქათ სოლსას ვაჟი დაქორწინდა. ერთხელ, როცა სესქათ სოლსა შინ მივიდა, მისი რძალი ეზოში იჯდა და წუღებს აკერებდა. სესქათ სოლსამ მას ცხენის აღვირი გაუწოდა და თვითონ სახლში შევიდა. რძალი მუშაობით გაერთო, ხელიდან სადავე გაუვარდა და ცხენი შეუმჩნევლად ეზოდან გავიდა. როცა წუღების დაკერებას მორჩა, ქალს ცხენი გაახსენდა. რძალი ხან აქეთ ეცა, ხან - იქით, მაგრამ ცხენი ვერსად იპოვა. ქალს შეეშინდა, რომ მამამთილი გამოვიდოდა და შეარცხვენდა. ამის გამო პატარძალმა ღმერთს სასწრაფოდ მტრედად გადაქცევა შესთხოვა.

ღმერთმა მისი თხოვნა შეისმინა. პატარძალი მტრედად გადაიქცა და ტყეში გაფრინდა. სესქათ სოლსა ეზოში რომ გამოვიდა, ვეღარც ცხენი იპოვა და ვეღარც რძალი, მხოლოდ მტრედი დაინახა,

რომელიც ტყისკენ მიფრინავდა. ყოველ გაზაფხულზე სესქათ სოლსა მტრედებისთვის ტყის ნაპირზე ხორბალს თესავდა. როცა სესქათ სოლსა დაიღუპა, მტრედები ტყის ნაპირზე გამოვიდნენ და სევდიანი ღუღუნი გამართეს:

ღუ-უ, ღუ-უ, სესქათ სოლსა,
ღუ-უ, ღუ-უ, სესქათ სოლსა.

33. როგორ გახდა სესქათ სოლსა ცალთვალა

ერთხელ სესქათ სოლსამ თავის მეგობარს შეატყობინა დრო, როცა მასთან სტუმრად მივიდოდა. წასვლის წინ მას მოულოდნელად კბილი ასტკივდა. სესქათ სოლსა სტუმრად აღარ წავიდა და სახლში დარჩენა გადაწყვიტა. მეგობარი დიდხანს ელოდა სესქათ სოლსას და რომ აღარ მივიდა, წავიდა მასთან და თვითონ ესტუმრა. სესქათ სოლსამ შორიდანვე შეამჩნია მისკენ მომავალი მეგობარი. მას ეგონა, რომ კბილის ტკივილს მეგობარი არ დაუჯერებდა და ფუჭ მომიზეზებად ჩაუთვლიდა. ამიტომ სესქათ სოლსამ თვალი გამოითხარა და ლოგინში ჩაწვა.

მეგობარმა, სესქათ სოლსას სახლში რომ შევიდა, მასპინძელს უსაყვედურა:

– შენ არა ხარ შენი სიტყვის პატრონი. რატომ არ მოხვედი ჩემთან, როგორც შემპირდი?

– მე შემთხვევით მეჩხვლიტა და თვალი დავკარგე, ამიტომ ვერ შევძელი შენთან წამოსვლა. - სესქათ სოლსამ თავის მართლება დაიწყო.

– დიდი ამბავი, თუ თვალი დაკარგე! აი, შენ თუ კბილი გეტკიებოდა, მოუსვლელობისთვის უფრო მნიშვნელოვანი და საპატიო მიზეზი გექნებოდა. - უთხრა მეგობარმა.

მაშინ სესქათ სოლსამ გულახდილად უთხრა, რომ კბილის ტკივილი მან უმნიშვნელო მიზეზად მიიჩნია და ამიტომ თვალი გამოითხარა, რომ ამ საქციელით მეგობრის წინაშე თავი როგორმე გაემართლებინა.

34. სესქათ სოლსა და მტრედი

ძველად ცხოვრობდა ერთი კაცი, სახელად სესქათ სოლსა. ერთ ჭამაზე ის მთელ ცხვარს ათავებდა; როცა დაიძინებდა - მთელი კვირა ეძინა, ხოლო როცა გაიღვიძებდა - მთელ კვირას დადიოდა. ის იყო ცალთვალა. სესქათ სოლსას არ ჰქონდა საკუთარი სახლი და მთელ დროს მთაში, ველზე და ტყეში მოგზაურობაში ატარებდა.

ერთხელ, როცა ტყეში დაეხეტებოდა, მან მტრედი[1] დაინახა, რომელსაც მხარი ჰქონდა მოტეხილი. სესქათ სოლსას შეეცოდა ფრინველი, აიყვანა და მთელი თვე უვლიდა, ეფერებოდა, ეალერსებოდა, აჭმევდა და ასმევდა მანამ, სანამ მას ფრთა არ მოურჩინა. ამის შემდეგ, მტრედი ისე შეეჩვია სესქათ სოლსას, რომ არ გაფრინდა, მას ხელზე მოუდიოდა და მასთან ერთად მოგზაურობდა.

ამ ქვეყანაზე სესქათ სოლსას მომრევი კაცი არ იყო. ერთხელ, როცა მას ეძინა, მისმა მტრებმა სესქათ სოლსას ერთადერთი თვალიც გამოთხარეს. ამის გამო სესქათ სოლსას აღარ შეეძლო სადმე წასვლა და მოკვდა. ამბობენ, რომ ტყის მტრედს, სადაც სესქათ სოლსას ხელი ალერსით ეხებოდა, ოქროს ბუმბული ამოუვიდა. ახლა კი, თუ ყურს მიუგდებ, გაიგონებ, ეს მტრედი ტყეში როგორ ღუღუნებს და ეძახის სესქათ სოლსას: „საიქიოსთვის ცოდო ხარ, სესქათ სოლსა“.

35. როგორ გაჭრა ბეთარმა მდინარე ასის კალაპოტი

ღალღაი კოაშკე[1] მთებს შორის მდებარეობს. მართალია, ცივი წყაროები იქ მუდამ უხვად მოჩუხჩუხებდა, მაგრამ იმ დროს მდინარე ასა არ მოედინებოდა.

ღილღური კოშკების მახლობლად ცხოვრობდნენ დევები[2]. ისინი ღილღველებს გამუდმებით ავიწროვებდნენ, თუმცა, მათ მაინც ბევრს ვერაფერს აკლებდნენ, რადგან, მართალია, დევები ტანად გოლიათები იყვნენ, მაგრამ ჭკუა ნაკლები ჰქონდათ. ბეთარი იყო სახელგანთქმული ნართ-ორსთხოელი, ცნობილი თავისი ვაჟკაცობითა და სიმამაცით. ბეთარმა დევების გაწყვეტა განიზრახა, რადგან ისინი ადამიანებს მოსვენებას არ აძლევდნენ.

ბეთარმა დევების წინამძღოლს შესთავაზა:

– გამოდი ერთი ერთზე, ორთაბრძოლაში!

– როგორ ვიბრძოლოთ, იარაღით თუ იარაღის გარეშე? - ჰკითხა დევების მეთაურმა.

– როგორც შენთვის იოლი იქნება, ისე იყოს. - მიუგო ბეთარმა.

– ჩემთვის იარაღის გარეშე ბრძოლა უფრო მოსახერხებელი იქნება.

– კარგი, პირველმა დაიწყე.

დაიწყეს ორთაბრძოლა. დევი იყო უზარმაზარი და ძლიერი, მაგრამ ბეთარს, ისევე როგორც დანარჩენ ნართ-ორსთხოელებს, ფოლადის სხეული ჰქონდა. ბეთარმა მტერს ორივე წვივი დაულეწა. დევი მუხლებზე დაეცა. ბეთარმა თავისი ფოლადოვანი ხელები დევს ყელში წაუჭირა და სული გააფრთხობინა. სხვა დევები კი, ეს რომ დაინახეს, ბეთარის შიშით მუხლებზე დაემხნენ და პატიება სთხოვეს.

ბეთარმა უთხრა:

– იმ პირობით გაპატიებთ, თუ ხალხს აღარ შეაწუხებთ, იარაღს არ იქონიებთ და ყოველწლიურ ბეგარას გადამიხდით.

დევებმა, ცოცხლები რომ გადარჩნენ, გაიხარეს და ბეთარს შეთავაზებულ პირობებზე დასთანხმდნენ.

ბეთარმა დევები გააფრთხილა:

– თუ პირობას დაარღვევთ, ჩემგან დანდობის იმედი ნუ გექნებათ.

ერთხელ ბეთარი თავის საქმეებზე საქართველოში წავიდა და იქ ისეთი ლამაზი მდინარე ნახა, რომ გაოცებულმა წამოიძახა:

– რა სასწაულია! რა კარგი იქნება, თუ ეს მდინარე ღილღოს კოშკებთან იჩუხჩუხებს!

ეს ის დრო იყო, როცა მდინარემ „დაიძინა“ და მდინარიდან ხი ნანამ – წყლის დედამ გამოიხედა. ამბობენ, რომ დღე-ღამეში წყალი ერთი წამით „იძინებსო“, თუ ვინმე დაძინებულ მდინარეს თვალს შეასწრებდა და რამე სურვილს ჩაუთქვამდა, უეჭველად შეუსრულდებოდა.

ხი ნანამ თქვა:

– ბეთარ, ამ მდინარეს თქვენს მხარეში გავუშვებდი, თუ მისთვის გზას გაჭრიდი.

– სად და როგორ შეიძლება ამ გზის გაჭრა?

– კოშკის ზომა გუთანი გააკეთებინე და მასში დევები შეაბი. დევებს ის გუთანი წელი-ლამის მთაზე გააწევინე და ისინი იმ ადგილზე მდინარის კალაპოტს გაჭრიან. მასში მე ასას გავუშვებ. - თქვა ხი-ნანამ.

ბეთარმა ცხენი მოაბრუნა და შინ დაბრუნდა. სოფელში მას ახალი ამბავი დაახვედრეს, რომ დევებს წისქვილთან მათ ქალებზე უძალადიათ. ბეთარმა დევებზე შურისძიება გადაწყვიტა და მჭედლებს უზარმაზარი გუთნის გაკეთება შეუკვეთა. იმ დროს ღილღოს კოშკებში არაერთი მჭედელი ცხოვრობდა. ისინი იმდენად დაოსტატებული იყვნენ თავიანთ საქმეში, რომ შეეძლოთ ადამიანის ცეცხლში წრთობა და წყალში გაბანება, რის შემდეგაც გამოწრთობილის სხეულს ფოლადივით აქცევდნენ. მჭედლებმა კოშკზე დიდი ზომის გუთანი გააკეთეს და მასზე კამეჩის ტყავისგან დამზადებული ღვედები მიაბეს.

– რა არის, ძაღლებო, რომ ჩვენს ქალებზე ძალადობთ? აბა, შეიბით ღვედები და გასწიეთ ეს გუთანი! - უბრძანა ბეთარმა.

შეშინებულმა დევებმა გუთანი გასწიეს და წეი-ლამის მთაზე გადაატარეს. იქიდან ღილღურ კოშკებამდე დიდი თხრილი წარმოიქმნა. ხი ნანამ თხრილში მდინარე ასა გაუშვა. ამის შემდეგ ბეთარმა ზღვისკენ გარეკა დევები, რომლებიც მის ტალღებში ჩაიკარგნენ[3].

ყოველწლიურად, ადრეულ გაზაფხულზე, ბეთარი ხი ნანას ერთ ცხვარს მსხვერპლად სწირავდა. ის ცხვარს კლავდა და მდინარე ასაში აგდებდა. გავიდა ხანი. ბეთარი გარდაიცვალა და ხი ნანას მსხვერპლს აღარავინ სწირავდა. ამის გამო მდინარე ასა გაწყრა, აიმღვრა და მას შემდეგ სულ მუდამ ღრიალით მოედინება. ამბობენ, რომ ასა მხოლოდ მაშინ მშვიდდება, როცა წელიწადში ერთხელ ერთ ადამიანს თავის მღვრიე ტალღებში დაახრჩობსო.

36. მარჯვენა მკლავის მოკვეთის წეს-ჩვეულება „წეთი“

წინათ ღილღველები, მითხოელები და მაისტელები მოკლული მტრისაგან „წეთს“ იღებდნენ. „წეთის“ აღება მტრისათვის მარჯვენა მკლავის მოჭრას ნიშნავდა. მტერს იდაყვთან მარჯვენა მკლავს აჭრიდნენ და მას კოშკის კარზე ან კედელზე ამაგრებდნენ, რათა გამვლელ-გამომვლელს დაენახა.

განთქმული მეომარი იყო ფეთარზა. მის რუხ ცხენს, რომელსაც შავი ფეხები ჰქონდა, მთელ იმ არემარეში ყველა იცნობდა. შავმა ნართმა, სახელად ოხლომ, ღამით ფეთარზას საყვარელი ცხენი მოჰპარა. ფეთარზა შეურაცხყოფილი დარჩა და ვერც გამოსავალს პოულობდა, რადგან მან ცხენის მომტაცებლის არც სახელი იცოდა და არც საცხოვრებელი ადგილი.

მან არაერთხელ შეკრიბა ხალხი, არაერთხელ დაჰპირდა ჯილდოს მას, ვინც ცხენის ქურდის სახელს ეტყოდა, მაგრამ ამაოდ. მაშინ ფეთარზამ გადაწყვიტა ქადაგ-მკითხავისთვის მიემართა. ბრძენმა ქადაგმა ვაჟს სთხოვა, რომ პასუხის მისაღებად მეორე დღეს სწვეოდა, თვითონ კი ღამით მაღალი მთის მწვერვალისკენ გაეშურა და იქიდან ვარსკვლავებს დაუწყო თვალთვალი. მას ვარსკვლავებთან ლაპარაკი შეეძლო. მაგრამ ამჯერად ღამის მნათობები დუმდნენ. ბოლოს, განთიადისას, ცისკრის ვარსკვლავი გამოჩნდა და ქადაგმა მას ვედრებით მიმართა. ცისკრის ვარსკვლავმა აუწყა, რომ ცხენის გამტაცებელს ოხლო ერქვა და ზღვასთან ცხოვრობდა. დილით ბრძენკაცმა ფეთარზას ქურდის ვინაობა გაანდო.

ამის გაგება იყო და ფეთარზა ცხენს მოახტა, დღესა და ღამეს ასწორებდა, მთელი თვე ჭენებით მიქროდა, ბოლოს ოხლოს კოშკს მიადგა და შესძახა:

– ძაღლო, გამოეთრიე! შენ გეყო გამბედაობა და ჩემი ცხენი წაიყვანე, ახლა მე გავიგებ რა კაციც ხარ!

კოშკის სარკმლიდან ოხლომ გადმოსძახა:

– გიბრუნებ შენს ცხენს, დამატებით გაძლევ სამოცდასამ ულაყსა და სამოცდასამ ფაშატს, ოღონდ თავი დამანებე!

– მე ის ვარ, ვისაც ამხელა რემის ერთ ღამეში ნადავლად მორეკა შეუძლია. შენ ხალხის წინაშე შემარცხვინე და თავს ლაფი დამასხი.

ვერ მოვისვენებ, სანამ ჯავრს არ ამოვიყრი. გამოდი გარეთ, მშიშარა კურდღელო, თორემ ახლავე მთელ შენს ბუდეს გავაცამტვერებ!

ამ სიტყვებთან ერთად ფეთარზამ სტყორცნა ისარი და კოშკის საძირკვლის ქვა შეამტვრია. კოშკი გვერდზე გადაიხარა.

ოხლო მიხვდა, რომ ბრძოლა გარდაუვალი იქნებოდა. მან თავის მეომრებს მოუხმო, მათ სათავეში ჩაუდგა და ფეთარზას თავს დაესხა. ფეთარზამ მტერს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს შეეშინდა და გაიქცა. როცა მდევრები ბილიკზე გრძელი შიბივით გაიჭიმნენ, ფეთარზამ ცხენი შემოატრიალა და მდევრებს სათითაოდ დააჭრა თავები. შეშინებული ოხლო შეეცადა, რომ გაცეცხლებულ ფეთარზას როგორმე ხელიდან დასხლტომოდა, მაგრამ ამაოდ. ფეთარზამ ის შეიპყრო და საბლით ორ ულაყს გამოაბა, რომლებმაც ოხლო შუაზე გაგლიჯეს. ფეთარზამ მას იდაყვთან მარჯვენა მკლავიც მოაჭრა, მისი ასეულობით ცხენი გამოირეკა და შინისკენ გამოსწია.

ფეთარზა რომ დაბრუნდა, ცხენები ნართ-ორსთხოელებს გაუნაწილა. ღარიბებს მან ნადავლიდან უფრო მეტი წილი შეახვედრა. ნართების წინამძღოლ სესქათ სოლსას ეზოსთან სამოცდაცამეტი[1] ცხენი მირეკა. ფეთარზამ, როცა სესქათ სოლსას ოხლოს მოჭრილი მარჯვენა მკლავი უჩვენა, თავის ქება და ტრაბახი დაიწყო.

სესქათ სოლსამ უთხრა:

– შენ ძვირფასი საჩუქარი მომართვი და მადლობელი ვარ. გამარჯვება და იღბალი მუდამ შენი თანმხლები ყოფილიყოს! მაგრამ შენი სახელი კიდევ უფრო მეტი ღირსებითა და დიდებით შეიმოსებოდა, მიცვალებულისთვის მარჯვენა მკლავი რომ არ მოგეჭრა. მართალი ხარ, რომ შური იძიე და შენს ღირსებას გაუფრთხილდი. ნამდვილი ვაჟკაცი ასეც უნდა იქცეოდეს. მაგრამ არ შეიძლება მიცვალებულის სხეულის აბუჩად აგდება. ისეთ ვაჟკაცს, როგორიც შენ ხარ, ასეთი საქციელი არ შეშვენის. მომაშორე ეს მოჭრილი მკლავი აქედან. უღირსი საქციელით საკუთარ თავს ნუ არცხვენ!

მაშინ ფეთარზამ უთხრა:

– ასე მოვიქეცი, რადგან ჩვენში წეს-ჩვეულება „წეთი“ მოქმედებს. მაგრამ შენს პატივსაცემად, სესქათ სოლსა, დღეიდან ამ წესს აღარ შევასრულებ!

იმ დროიდან ნამდვილმა ვაჟკაცებმა სამარცხვინო წეს-ჩვეულება „წეთის“ შესრულებას თავი დაანებეს. სწორედ მაშინ გაჩნდა ჩვენში ეს ანდაზა: „ნამდვილი ვაჟკაცი მიცვალებულის ცხედარს არ შეებრძოლება“.

37. ფათარაზი და ბარაქის გაქრობის საიდუმლო

სოლსა და ფათარაზი შორი გზიდან ბრუნდებოდნენ და ერთ სოფელზე გამოიარეს. მათ თან ახლდათ ექვსი[1] ორხუსთოელიც. ისინი ერთ მოხუცებულ ქვრივთან გაჩერდნენ. გზაში მათ ძლიერ მოშივდათ და ერთი სული ჰქონდათ მასპინძელი ვახშამს როდის მიართმევდათ. ქვრივმა წყალი ერთ დიდ ქვაბში ჩაასხა, რომელშიც ხარიც ჩაეტეოდა, თუმცა მასში მოსახარშად ქალმა მხოლოდ სამი ნეკნი ჩააგდო, ტომრიდან კი მხოლოდ ერთი მუჭა ფქვილი ამოიღო, დაიწყო მისი გაცრა და ცომის ზელა.

„ეს ქალი, ეტყობა, გაგიჟდა! ნუთუ ჰგონია, რომ სამი ნეკნითა და ერთი მუჭა ფქვილით დაგვანაყრებს?“ - გაიფიქრეს ორხუსთოელებმა.

უცბად ერთმა მუჭა ფქვილმა მთელი ვარცლი გაავსო, ხოლო დიდ ქვაბში, რომელშიც ქალმა მხოლოდ სამი ნეკნი ჩააგდო, ხორცი აღარ ეტეოდა.

– რა სასწაულია! - გაუკვირდათ ორხუსთოელებს. - სამი ნეკნისგან ქვაბი ხორცით გაივსო, ერთი მუჭა ფქვილისგან კი ცომი ვარცლიდან გადმოდის. აგვიხსენი ამის მიზეზი! მცირედი როგორ გაბევრდა?

– ხამჩით ფათარაზის დაბადებამდე ქვეყანა ხვავითა და ბარაქით იყო სავსე. - მიუგო ქვრივმა დედაბერმა. - ეს იმ ხარის ნეკნია, რომელიც ფათარაზის დაბადებამდე დაკლეს. ეს ფქვილიც, ასევე, ფათარაზის დაბადებამდე დაფქვეს. მაგრამ როცა ქვეყანაზე ფათარაზი გაჩნდა, ბარაქა გაქრა.

– ნუთუ ხამჩით ფათარაზი არის სიღარიბისა და უქონლობის მიზეზი? - ჰკითხა ხამჩით ფათარაზმა ქვრივს.

ქალს ფათარაზი არასოდეს ენახა და მას გარეგნობით არ იცნობდა. ქალმა დაუდასტურა:

– დიახ.

– როგორ შეიძლება წინანდელი ბარაქა აღდგეს, ან თუ არის ბარაქის აღდგენა მასზე დამოკიდებული? - ჰკითხა მან ქვრივს.

– არ ვიცი! - მიუგო ქვრივმა.

ორხუსთოელები სახლში დაბრუნდნენ. ხამჩით ფათარაზი მეტისმეტად დამწუხრდა, რადგან შეიტყო, რომ მთელ დუნიაზე ბარაქის გაქრობა მისმა გაჩენამ გამოიწვია. მან გადაწყვიტა დაღუპულიყო, რათა ადამიანური ცოდვები აღარ ეტარებინა. შინ რომ დაბრუნდა, ფათარაზმა მთელ მოსახლეობას შეშის მოზიდვა დაავალა. ამ შეშისგან მათ ჯერ ნახშირი გამოაწვევინა, შემდეგ კი უბრძანა, რომ ნახშირის ირგვლივ დაეყენებინათ საბერველი. ის ნახშირის გროვის შიგნით დადგა და ხალხს უბრძანა საბერველიდან დაებერათ და დაეწვათ. საშინელი სიცხის მიუხედავად, ხამჩით ფათარაზი არ მოკვდა, მხოლოდ გამოიწრთო. მაშინ მან გაბრაზებულმა თქვა: „გადამაგდეთ მდინარეში, იქნებ წყალმა ამომართვას სული!“ ფათარაზი მდინარეში ჩააგდეს, მაშინ ის კიდევ უფრო გამაგრდა და ფოლადოვანი გახდა.

ხამჩით ფათარაზმა იცოდა, რომ ბათოყო შერთუყო ამ ქვეყანასა და საიქიოს შორის შუამავლად იყო განწესებული. მან სთხოვა ბათოყო შერთუყოს, რომ იმქვეყნად წაეყვანა. ბოთოყო შერთუყომ ფათარაზი საიქიოში წაიყვანა. საიქიოს კარებთან მათ ეშპორი[2] შეხვდათ.

– ვერ მიგიღებ, - უთხრა ეშპორმა ხაჩით ფათარაზს, - რადგან შენ აქ დროზე ადრე მოხვედი.

– თუ ვერ მიმიღებ, მაშინ მოსპე სიმწირე და უბარაქობა, რომელიც ადამიანთა მოდგმას ამ ქვეყნად ჩემი გაჩენის შემდეგ დაატყდა, - სთხოვა ხამჩით ფათარზმა, - მანამდე კი აქ დავრჩები!

– მე სიძუნწის, სიხარბისა და უბარაქობის მხოლოდ ნაწილს მოვხსნი. ერთ ნაწილს მთის მწვერვალებს დავუტოვებ, მეორეს - ფაშატ ცხენებსა და ქალებს[3], ხოლო ორ ნაწილს მთელ კაცობრიობას. შენ კი, იცოდე, უკან დროზე უნდა დაბრუნდე, მზის ჩასვლამდე!

ხამჩით ფათარაზმა საიქიოდან დაბრუნება მოასწრო. ის ამ ქვეყნად მაშინ მოვიდა, როცა მთის მწვერვალებს ჯერ კიდევ მზის შუქი ანათებდა. ჩამავალი მზის სხივებს ღილღველები ახლაც „ფათარზი ხამჩას შუქს“ უწოდებენ.

38. ხამჩით ფათარაზი

ხამჩით ფათარაზი ხალხის საუბედუროდ გაჩნდა. სანამ ის დაიბადებოდა, მიწას რომ აიღებდნენ და ხელს მოუჭერდნენ, ცხიმი გასდიოდა. მის დაბადებამდე ხალხი ბედნიერად ცხოვრობდა. ფათარაზის შობამ მთელ ქვეყნიერებას უბედურება მოუტანა.

ერთხელ ხამჩით ფათარაზი ერთ ქალს ესტუმრა, მას სხვა სტუმრებიც ეწვივნენ. დიასახლისმა ორი მუჭა ფქვილით პური გამოაცხო, რომელმაც ათი კაცი დაანაყრა. გაკვირვებულმა სტუმრებმა მასპინძელს ჰკითხეს, თუ როგორ მოახერხა ამის გაკეთება. ქალმა უპასუხა, რომ ეს ფქვილი იმდროინდელი იყო, როცა ჯერ კიდევ ამ ქვეყნად ფათარაზი არ იყო გაჩენილი. ეს რომ მოისმინა, ფათარაზს თავის მოკვლა მოუნდა, მაგრამ მასპინძელმა შეაჩერა და უთხრა:

– სულ ერთია, ახლა უკვე ვეღარაფერს შეცვლი. თუნდაც მოკვდე, უბარაქობა აღარ მოისპობა. ასეთია ნება ღვთისა.

39. ურუზმანი, ორზმი, სოლსა და ხამჩით ფათარაზი

ურუზმანი, ორზმი, სოლსა და ხამჩით ფათარაზი[1] სანადიროდ წავიდნენ. მათ მთელი დღე ფუჭად იხეტიალეს და ვერაფერი მოკლეს. იმ დროს, როცა ისინი ნადირობიდან ხელმოცარული ბრუნდებოდნენ, ურუზმანმა გზაში კურდღელი მოკლა.

– ტყუილუბრალოდ მოვკალი ეს კურდღელი! რა ჯანდაბად მინდა და რა თავში ვიხლი! როგორ გავანაწილო ჩვენ შორის? უკეთესი იქნება, თუ გზაზე დავაგდებ. - თქვა ურუზმანმა.

– მე ერთ რჩევას მოგცემ, მაგრამ არ ვიცი, როგორ მიიღებ. - უთხრა სოლსამ.

– თუ მირჩევ, რომ გზაზე დავაგდო, კმაყოფილი დაგრჩები. - მიუგო ურუზმანმა.

– კურდღელი იმას მიეცი, ვინც სასწაულს მოახდენს ან საკვირველ ამბავს მოყვება.

– ამაზეც თანახმა ვარ. - მიუგო ურუზმანმა.

მაშინ სოლსამ[2] ჯიბიდან ორი ტყვია ამოიღო, ხელი მოუჭირა და ხელისგულზე გამოჩნდა გოგონა და ბიჭი, რომლებიც კურდღლის

გამოშიგვნას შეუდგნენ. როცა ისინი საქმეს მორჩნენ, სოლსამ კვლავ ხელი მოუჭირა და გოგონა და ბიჭი ისევ ტყვიებად გადაიქცნენ.

– აბა, ახლა, შენი ჯერია, ხამჩით ფათარაზ, თუ შეგიძლია გასაოცარი რამე გააკეთე, ან რამე საკვირველი ამბავი მოგვიყევი!

– რა მოგიყვეთ? ერთხელ შორი გზიდან დაღლილი ვბრუნდებოდი და ჩემ თავს სიტყვა მივეცი, რომ ღამის გასათევად იმ სახლთან გავჩერდებოდი, სადაც ჩემი რაში მიმიყვანდა. ჩემი რაში ქვრივის სახლთან გაჩერდა.

– გმადლობ, რომ საბრალო ქვრივი გაგახსენდი! - მითხრა ქალმა და საუკეთესოდ გამიმასპინძლდა.

ვახშმის შემდეგ დასაძინებლად ჩვენ ერთ ოთახში, მაგრამ სხვადასხვა საწოლებში ჩავწექით. შუაღამისას ავდექი და მის საწოლთან მივედი, მაგრამ ქვრივმა მითხრა:

– თავი დამანებე! ჩემი პატრონის სიკვდილის შემდეგ იმდენი დრო გავიდა, რომ უკვე დამავიწყდა იმის გაკეთება, რაც შენ გწადია.

მე თავი უნდა დამენებებინა მისთვის, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მეორედაც ავდექი და მის საწოლთან ისევ მივედი. მაშინ კი ქვრივი წამოდგა, ბალიშის ქვეშ ხელი შეყო, მათრახი გამოიღო და დაიძახა:

– ძუკნა ძაღლად გადაიქეცი!

მე ძაღლი გავხდი[3]. ჩემი სახელი მთელ იმ მხარეში გაითქვა. ყველა ჩემზე ლაპარაკობდა. ხალხი საუკეთესო ძაღლს მე მადარებდა: „ეს ძაღლი ისეთი კარგია, როგორც ის ძუკნა, ადრე ხამჩით ფათარაზი რომ იყო“.

მთებში რამდენიმე ცხვრის ფარა იდგა, რომლებსაც მგლები საშინლად ანადგურებდნენ. მწყემსებს ჩემი პატრონისთვის უნდა მიემართათ. ისინი ამბობდნენ:

– „თუ ქვრივი არ მოგვცემს იმ ძუკნას, რომელიც ადრე ხამჩით ფათარაზი იყო, ყველა ფარა განადგურდებდა!“ ქვრივმა ჩემი თავი მწყემსებს ათხოვა. იმ ღამეს, როცა მთაში ამიყვანეს, ფარას მგლები მოადგნენ. მე დავუყვირე:

– მე ის ძუკნა ვარ, წინათ ხამჩით ფათარაზი რომ იყო! აბა, გაბედეთ და მოდით ფარასთან!

მგლები წინ წამოვიდნენ. მე ერთი ნახტომით მგლების ხროვას ვეძგერე. ექვსი სული გავგუდე და ბოლოს მეშვიდეს, ბებერ მგელს, კისერში ჩავაფრინდი.

– სამი სიტყვა მათქმევინე! რა სარგებლობა გექნება, თუ მე, ბებერ მგელს, მომკლავ? თუ სიცოცხლეს შემინარჩუნებ, იმის სანაცვლოდ კი სასარგებლო რჩევას მოგცემ.

– რა რჩევას მომცემ?

– აქ ექვსი მკვდარი მგელი გდია. ხვალ მწყემსები კამათს დაიწყებენ, თუ ვისმა ძაღლმა დახოცა მგლები. მაშინ შენ ფეხზე დააყენე დახოცილი მგლები და ძაღლები სხვადასხვა მხარეს გაიქცევიან.

მეორე დღეს მწყემსებმა, მართლაც, კამათი დაიწყეს, თუ ვისმა ძაღლმა დახოცა მგლები. დავა იმით დამთავრდა, რომ მწყემსებმა მგლები როგორც ცოცხლები, ფეხზე დააყენეს. ძაღლები კუდამოძუებული გაიქცნენ, მე კი მგლებს ვეძგერე.

– მართალია, - თქვეს მწყემსებმა, - ამ ძუკნას დაუხოცავს მგლები.

მწყემსებმა განსაკუთრებული საკვები და რძე დამიმატეს, მაგრამ მე მაინც არაფერს ვჭამდი.

– ქვრივის საყვარელი ძაღლი შინ უნდა გავგზავნოთ. - თქვეს მწყემსებმა.

მე ისევ იმ ქვრივ დედაკაცთან დამაბრუნეს. პატრონთანაც არაფერს ვჭამდი.

– რა უნდა ვქნა? - თქვა ქალმა. - დიდიხანია უქმროდ ვცხოვრობ და როგორმე შენ გარეშეც გავძლებ!

ქალმა წიხლი ამომკრა და დასაძინებლად დაწვა. ქალმა რომ დაიძინა, ფრთხილად გამოვიღე მათრახი და დავირტყი. ისევ ხამჩით ფათარაზი გავხდი. შემდეგ მათრახი ქვრივს გადავარტყი და ვთქვი:

– ფაშატ ცხენად გადაიქეცი!

– ის ქალი ფაშატ ცხენად გადაიქცა. აი, რა გადამხდა! - თქვა ხამჩით ფათარაზმა. - ახლა შენი ჯერია, ორზმი, მოგვიყევი რამე საკვირველი.

– ერთხელ ერთი ქალი შემიყვარდა და მასაც მთელი არსებით ვუყვარდი. - თქვა ორზმიმ. - ჩვენ დავიფიცეთ, რომ ერთმანეთს არ-

ასოდეს დავშორდებოდით. მაგრამ, საუბედუროდ, ის ავადმყოფობით გარდაიცვალა. მე საშინლად ვწუხდი. თავის მოკვლა მინდოდა, მაგრამ თვითმკვლელობისგან მხოლოდ სირცხვილის გრძნობა მაკავებდა. არ მინდოდა ჩემზე ეთქვათ, შეყვარებულის გამო თავი მოიკლაო. ქალის დაკრძალვაზე მთელი ნათესავები და ნაცნობები შეიკრიბნენ. მე ერთ ქვრივ დედაკაცს ტანსაცმელი ვთხოვე და ქალის სამოსელში გამოწყობილი სხვა ქალებთან ერთად მის დაკრძალვაზე წავედი. ქალის ცხედარი შუა ეზოში ესვენა. მიცვალებულის დაკრძალვაზე მისული ხალხი კი სახლში შეიპატიჟეს. მე არ მიმიწვიეს და ეზოში დავრჩი. ჩემი შეყვარებულის ცხედარს რომ ვუყურებდი, გადავწყვიტე, ფიცი შემესრულებინა და ერთმანეთს აღარასოდეს დავშორებოდით. მე დავწექი მის გვერდით და მასთან ერთად სუდარაში გავეხვიე. ეზოში რომ გამოვიდნენ, მიცვალებულის პატრონებს ცხედარი დასიებული ეგონათ და მისი სწრაფად დაკრძალვა გადაწყვიტეს. აკლდამაში კმაყოფილი ვიწექი, რადგან ჩემი ფიცი შევასრულე. უეცრად გველი შემოსრიალდა, რომელიც მუშტით მოვკალი. ცოტა ხნის შემდეგ მეორე გველი შემოცოცდა. როცა მან მკლული გველი დაინახა, უკან გასრიალდა და მალევე ბალახით დაბრუნდა, რომელიც მკვდარ გველს სხეულზე გადაუსვა. გველი გაცოცხლდა. მე კვლავ ცემა დავუწყე, მაგრამ ისინი საფლავიდან გასრიალდნენ. „- თუ ამ ბალახმა გველი გააცოცხლა, რატომ არ იმოქმედებს ის ჩემს შეყვარებულზე?“ - გავიფიქრე და მიცვალებულის ცხედარს ბალახი გადავუსვი. შეყვარებული გაცოცხლდა და თქვა: „ - წელი მტკივა, ალბათ დიდხანს ვიწექი“.

ქალს ვუამბე, რაც მოხდა და საფლავიდან გამოვედით. ეს ჩემი ახლანდელი ცოლია, ადრე კი საყვარელი იყო. ყოფილმა ქმარმა მისი დაბრუნება მოინდომა. მე მხოლოდ ერთი სიტყვა ვუთხარი: „- შენ ხომ ცოლი დამარხე!“ აი, რა გადამხდა!

საერთო გადაწყვეტილებით მეგობრებმა კურდღელი ორზმის არგუნეს.

40. ორშამარათ ერში და აკლდამის ჭრელი გველი

ერთხელ ცხოვრობდა სამი მეგობარი: სესქათ სოლსა, ბეთარ შირთყა და ორშამარათ ერში[1]. ისინი საუკეთესო მეგობრები იყვნენ.

ორშამარათ ერშს მთელი სულითა და გულით ერთი მზეთუნახავი[2] ქალიშვილი შეუყვარდა, რომელიც, როგორც ამბობდნენ, სილამაზისგან კვდებოდა. რას არ გააკეთებდა ვაჟი, რომ ეს ქალიშვილი მისთვის მიეთხოვებინათ. ორშამარათ ერშმა დაიფიცა, რომ მის გარდა, ცოლად არავის შეირთავდა.

მოულოდნელად ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა. ორშამარათ ერშმა უთხრა ამ ქალიშვილის მსახურ გარბაშს[3]:

– როცა გარდაცვლილს სუდარით შემოსავთ, საიდუმლოდ და სხვებისგან შეუმჩნევლად მეც მასთან ერთად სუდარაში შემახვიე.

თქვა ორშამარათ ერშმა და მსახური უხვად დაასაჩუქრა.

მსახური გარბაში ისე მოიქცა, როგორც მას ორშამარათ ერშმა სთხოვა. მან ვაჟი ქალიშვილთან ერთად ერთ აკლდამაში მოათავსა. როცა აკლდამა დაკეტეს, ვაჟმა თავისი ალმასის დანით სუდარა გაჭრა და საყვარელი ქალიშვილის გვერდით ჩამოჯდა. ორშამარათ ერში დამწუხრებული და ჩაფიქრებული იჯდა. ამ დროს საფლავში ერთი ჭრელი გველი შემოძვრა და მიცვალებულისკენ გასრიალდა. ორშამარათ ერშმა წყეული მოკლა და რამდენიმე ნაწილად გაწყვიტა. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთი ჭრელი გველი გამოჩნდა. როცა მან მოკლული მეგობარი დაინახა, კვლავ უკან წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ის კვლავ შემოსრიალდა. მას პირით ოქროს ბურთულა მოჰქონდა. მან მოკლული გველის ნაწილები შეაერთა და ყველგან, სადაც მას ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, ოქროს ბურთულა გადაუსვა. გველი გაცოცხლდა. ეს რომ დაინახა, ორშამარათ ერშმა ორივე გველი მოკლა, ოქროს ბურთულა აიღო და მიცვალებულს სახეზე გადაუსვა. ქალიშვილმა სუნთქვა დაიწყო, გადაუსვა თვალებზე - თვალები გაახილა, ხელებსა და ფეხებზე გადაუსვა - ქალიშვილი გაცოცხლდა და ადგა. მათ აკლდამა გახსნეს და სამზეოზე გამოვიდნენ. შემდეგ კი დაქორწინდნენ[4] და ბედნიერი ცხოვრება დაიწყეს.

41. შვიდი ძმის და

ერთ დიდ და მაღალ კოშკში შვიდი ძმა და ერთი და ცხოვრობდა. ძმები ხან საშოვარზე და ხანაც სანადიროდ დადიოდნენ, მათი და კი სახლს უვლიდა. იმ დროს ცხოვრობდნენ ძლიერი და სასტიკი ნოღაელი თავადები. დიდი დროც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მათ სათითაოდ მოკლეს შვიდივე ძმა. ოჯახში ერთი მამაკაციც აღარ დარჩა, რომ მათი სისხლი აეღო. დამ ერთი ცრემლიც არ ჩამოაგდო. მან უმცროსი ძმის ნაცვამი ძვირფასი ტანსაცმელი ჩაიცვა, თავისი გრძელი თმები ბოხოხის ქვეშ შეიკეცა, შეჯდა ცხენზე და ჩერქეზების ქვეყნისკენ გაქუსლა. ვაჟის ტანსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილი ჰგავდა ყმაწვილს, რომელსაც ჯერ წვერი და ულვაში არ ამოსვლოდა. როცა ჩერქეზეთში მივიდა, ქალიშვილმა იკითხა:

– ვინ არის თქვენს ქვეყანაში ისეთი, რომელსაც შეუძლია ყოველდღე ვახშმად თითო ცხვარი მომართვას?

– ამ სოფელში[1] ცხოვრობს ერთი ჭაბუკი, სახელად ახლო. მას შეუძლია ყოველდღე თითო ცხვარი დაგიკლას.

ქალიშვილი მასთან მივიდა. უთხრა: - „ასსალამ ალეიქუმ“, მან უპასუხა: - „ვა ალეიქუმ სალამ“. ახლომ დაკლა ერთი ცხვარი და სტუმარს შეეგება. ასე გავიდა რამდენიმე დღე. ახლომ სტუმარს არ ჰკითხა ვინაობა, თუ ვინ იყო, საიდან და რა ერქვა[2].

ერთხელაც ისინი შესხდნენ ცხენებზე. ქალიშვილი და ახლო ერთად გავიდნენ მინდორში, სადაც სოფლის განაპირას ცხენების რემა ბალახობდა. მათ დაინახეს, რომ ერთი უშნო და გამხდარი ცხენი რემას გამოეყო და წავიდა იქით, სადაც მთელი სოფელი ნაკელს ყრიდა. იმ ადგილას მაღალი და ღალიანი ბალახი ბიბინებდა. ქალიშვილმა თქვა:

– შეხედე, ახლო! ეგ არ არის ჩვეულებრივი ცხენი. ეგ რაშის ჯიშისაა. თუკი შენს ცხენს ამ ჯაგლაგში შესთავაზებ, როგორ ფიქრობ, გაგიცვლის პატრონი?

– როგორ არა! რა თქმა უნდა, სიხარულით გამიცვლის. - თქვა ახლომ.

ქალიშვილი გამოედევნა ცხენს, რომელიც თავისი პატრონის ეზოში შევარდა. მხედრებიც იქვე, სახლთან, გაჩერდნენ. როცა პატრო-

ნი გამოვიდა, ახლომ ჰკითხა: თანახმა თუ იქნებოდა, ცხენები რომ გაეცვალათ.

პატრონი ახლოს წინადადებით მეტად კმაყოფილი დარჩა. ახლომ თავისი რაში მისცა, თვითონ კი შეჯდა იმ ჯაგლაგზე და ქალიშვილთან ერთად სახლში დაბრუნდა. მაშინ ქალმა უთხრა:

– ეს ცხენი სამი წელი თავლაში გყავდეს დაბმული, ისე რომ მზის სხივი არ მოხვდეს.

მან ახლოს ასწავლა, როგორ უნდა მოევლო იმ ცხენისთვის, როგორი საკვები უნდა მიეცა, რომელი წყაროდან დაელევინებინა წყალი. ერთი სიტყვით, ქალიშვილმა ყველაფერი ასწავლა, რაც ცხენის გაზრდისთვის იყო საჭირო და შეჰპირდა, რომ სამი წლის შემდეგ კვლავ დაბრუნდებოდა. ქალიშვილი შინ წავიდა.

ახლო ცხენს სამი წელი ისე უვლიდა, როგორც სტუმარმა ურჩია. მაგრამ თავლის სახურავის ნემსისხელა ჭუჭრუტანიდან, რომელიც ახლომ ვერ შეამჩნია, შუადღისას მზის სხივმა შეაღწია. ის ცხენის განიერ გავას მუდამ ეცემოდა. სამი წლის შემდეგ ქალიშვილმა კვლავ ჩაიცვა ძმის სამოსელი, ბოხოხის ქვეშ კვლავ დამალა თავისი ოქროსფერი კულულები და კვლავ ახლოსთან წავიდა. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ახლომ სტუმარს უთხრა, რომ სამი წლის მანძილზე ცხენის მოვლის ყველა მითითება ზუსტად დაიცვა. ისინი თავლისაკენ გაეშურნენ. როგორც კი შევიდნენ, ქალიშვილი მივიდა ცხენთან და ცხენის გავაზე თითი იმ ადგილას დაადო, სადაც მზის სხივი დასცემოდა, შემდეგ კი უთხრა:

– ამ ადგილზე მზის შუქი მოხვედრია. ეს ცხენი სამი წელი კიდევ აქ უნდა შეინახო.

მაშინ ახლომ ყურადღებით მოათვალიერა სახურავი. ნემსისხელა ჭუჭრუტანა აღმოაჩინა, რომელიც დაქოლა. ქალიშვილი წავიდა. სამი წლის შემდეგ უცნობი სტუმარი კვლავ დაბრუნდა და როცა ცხენს შეხედა, მიხვდა, რომ ახლა ის სრულ ძალას ფლობდა. ამის შემდეგ მან ახლოს უთხრა, რომ უკვე დადგა დრო, გზას გასდგომოდნენ. ქალმა ვაჟს არ აუხსნა, თუ საით მიდიოდნენ, ახლომ კი სტუმარს აღარ ჰკითხა. თერგი რომ გადალახეს, მათ ქვიშიანი და ქვიანი გზა

გაიარეს და ერთ მდინარეს მიადგნენ. მდინარის გაღმა ნოღაელთა მიწები იწყებოდა.

– მომისმინე, ახლო! შენ გამოღმა ნაპირზე დარჩები და დამელოდები, მე კი გაღმა გავალ. ორი დღე და ორი ღამე მდინარეს უყურე. თუ მასში სისხლი და ქაფი წამოვა, მყისვე დატოვე აქაურობა და უკანმოუხედავად, სასწრაფოდ გაშორდი აქაურობას. - უთხრა ქალიშვილმა.

– კარგი. - მიუგო ახლომ და იმავე ადგილას დარჩა, შვიდი ძმის და კი მდინარის გაღმა გავიდა.

იმ ჯოგებიდან, რომლებიც ნოღაელთა სტეპებში დაეხეტებოდნენ, მან სამი რემა გამორეკა. ერთ ადამიანს თავისი ძალებით ერთი ჯოგის გაძღოლაც კი არ შეეძლო. თითო ჯოგის გამორეკას ორი-სამი კაცი გვერდიდან და ერთიც შუადან სჭირდებოდა. მაგრამ რაშს ქალიშვილი ჯოგის ხან ერთ მხარეს გადაჰყავდა, ხან - მეორე მხარეს. ამ საშუალებით ის ჯოგებს მარტო უძღვებოდა და მათ ქარზე უსწრაფესად ერეკებოდა. მას ეწეოდნენ ნოღაელები, რომლებიც თითო ცხენზე სამ-სამნი ისხდნენ. ისინი უკვე თითქმის დაეწივნენ კიდეც. როდესაც მთელი ჯოგები გამოირეკა, ქალი ნოღაელ მდევრებთან შესახვედრად გაეშურა. ის ერთი ისრით სამს კლავდა, ხმლის ერთი დარტყმით კი ექვს მდევარს უსწორდებოდა. ნოღაელი თავადის მსახურები რომ გაჟლიტა, მან ჯოგები მდინარისკენ გამორეკა.

ახლო კი ამ დროს ნაპირიდან მდინარეს აკვირდებოდა. წყალს სისხლი და ქაფი მოჰქონდა. როცა ვაჟმა შორს გაიხედა, მან მტვრის კორიანტელი შენიშნა, რომელიც თანდათან უახლოვდებოდა. ახლოს უნდოდა გაერჩია, ვინ მოაჭენებდა ცხენების რემას, ვინ ერეკებოდა ჯოგებს, მისი სტუმარი-მეგობარი თუ სხვა ვინმე. გულმა არ მოუთმინა, რომ გაღმა არ გადასულიყო. როცა რემა მდინარეს მოუახლოვდა, შორიდან სხვა მდევარი გამოჩნდა. ახლოს უნდოდა თავის სტუმარს დახმარებოდა და ის-ის იყო მდინარეზე გადასვლას აპირებდა, როცა ქალიშვილმა გაღმიდან გამოსძახა:

– ადგილიდან არ გაინძრე, თორემ ახლავე ჩემი ნატყორცნი ისრით მოკვდები!

ახლო იმავე ადგილზე გაშეშდა. ნახევარი ჯოგი მდინარეზე გადმოვიდა, ხოლო მეორე ნახევარი მხოლოდ მაშინ გადმოდიოდა, როცა ქალიშვილმა რემა მიატოვა და ცხენი ისევ მდევრისკენ შესახვედრად გააჭენა. მშვილდ-ისრითა და ხმლით მან მტრები მთლიანად გაჟლიტა. ახლომ მეტი ვეღარ მოითმინა, გავიდა გაღმა და გადმორეკილი რემის დარჩენილი ცხენები მდინარეზე გადმოიყვანა.

ასე, თითოეული მოკლული ძმის სისხლის ნაცვლად ქალიშვილმა 60-60 კაცი მოკლა და მდინარის მეორე ნაპირზე გადმოვიდა. გამორეკილი ცხენების რემა კი ახლოს ეზოში შერეკა.

– რადგან ამხანაგობა გამიწიე, ეს მთლიანი რემა შენ დაგრჩება. - უთხრა ქალიშვილმა და ჩამოუთვალა მორეკილი ცხენების განსაკუთრებული ღირსებები. - ახლა კი მივდივარ. მშვიდობით და კარგად იყავი!

ქალიშვილმა რაში ახლოს დაუტოვა, თვითონ თავის ცხენზე ამხედრდა და შინისკენ გაქუსლა. გახარებული ახლო დარჩა რემასთან ერთად. უეცრად გაიფიქრა:

„-როგორ არ ვკითხე, ვინ იყო, ან საიდან იყო და რა ერქვა? ვერ დავმშვიდდები, სანამ არ დავეწევი და არ გამოვკითხავ“.

შეჯდა ახლო რაშზე და სტუმრის კვალს გაჰყვა. მეორე დღეს, შუადღის შემდეგ, მან შორიდან თავისი სტუმარი დაინახა. ახლომ დაწევა ვერ მოასწრო. ქალიშვილი ეზოში შევიდა. ახლომ დაინახა, ახალგაზრდა კაცი სახლში როგორ შევიდა. ქალიშვილმა ძმის ტანსაცმელი გაიხადა და ქალის კაბა ჩაიცვა. ის კოშკის ზედა სართულზე ავიდა, გაიშალა თმები და ვარცხნა დაიწყო. ქარს შორს მიჰქონდა ქალიშვილის გრძელი კულულები. როცა ახლო კოშკთან მივიდა, მან ზემოთ ქალიშვილი დაინახა. „რა მშვენიერი ხარ!“ - თავისთვის ჩაილაპარაკა ახლომ, მერე კი შესძახა:

– დაუძახე იმ ჭაბუკს, რომელიც ახლახან ეზოში შემოვიდა!

– ახლო, ის ჭაბუკი არ იყო. ის მე ვიყავი. შენ ვერ მოისაზრე, რომ ჩემთვის ვინაობა გეკითხა, თუ ვინ ვიყავი, სადაური ვიყავი და რა მერქვა. კეთილშობილება მაშინ დაკარგე, როცა ნოღაელთა ცხენები დაინახე. ასე რომ არ მომხდარიყო, შენი ცოლი გავხდებოდი. ახლა კი წადი და შინ დაბრუნდი.

– არა, ეს როგორ... - საუბარი დააპირა ახლომ.

– არაფერი გამოვა, წადი! - მკაცრად მიუგო ქალიშვილმა.

გულის კანკალით ახლო უკან გაბრუნდა. ცოტა მანძილი რომ გაიარა, ის კვლავ დაბრუნდა და ქალიშვილს უთხრა:

– ცოლად გამომყევი, გთხოვ...

– ახლო, წადი, უკეთესი იქნება, თორემ ძალას გამოვიყენებ.

– ახლომ იცოდა, რომ ძალ-ღონით მას ვერ აჯობებდა და წავიდა.

ქალიშვილი საცხოვრებლად თავის კოშკში დარჩა და აღარ გათხოვილა. ის კოშკი ასის ხეობაში მდებარეობს და მას ახლაც ქალწულის კოშკს[3] უწოდებენ.

42. ორშმას ვაჟი

სესქათ სოლსა ფადიშაჰს ჰგავდა. მას ჰყავდა ნათესავი ორშმა, ორზმის ვაჟი. ორზმით ორშმას ერთდროულად ყველგან ყოფნა შეეძლო. ერთხელაც მიდიოდა და გზაზე ჯუჯა, ერთი წყრთის ზომის მხედარი შემოხვდა. ორზმით ორშმამ მას არც შეხედა და არც არაფრად ჩააგდო. ქონდრისკაცი მიხვდა ამას. მან თავისი ცხენი ორშმასთან მიაჭენა, აიტაცა კაცი ცხენიდან, მიაბა თავის უნაგირზე, ხოლო შემდეგ მივიდა ერთ ხვრელთან და ცხენიანად ჩაძვრა მიწაში.

მან იქ, მიწისქვეშ, ორშმა გაათავისუფლა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ მასთან ქალიშვილი მიიყვანა და უთხრა:

– ეს არის ჩემი და, ცოლად შეირთე, არ დააბრმავო და არ დაასახიჩრო. თუ ის რამე დანაშაულს ჩაიდენს, მოიყვანე ამ ხვრელთან და გაუშვი.

ორშმამ წაიყვანა ქალი და დაიწყო მასთან ერთად ცხოვრება. ორშმას საქმეები უკეთესად წარიმართა. ის ყველაფრით აღემატებოდა სესქათ სოლსას. ხალხი მას უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა. სესქათ სოლსა ორშმას წარმატებებმა მეტისმეტად გააღიზიანა და შეაწუხა. მან რჩევისთვის თავისთან გრძნეული ქალი ღამი[1] დაიბარა.

– ვიცი, რაც უნდა გააკეთო. - უთხრა ჯადოქარმა. - დასვი ოთხ გზაზე ოთხი ცალთვალა მათხოვარი. დაე, ოთხივემ აღიაროს, რომ მათი მბრძანებელი ორშმაა. თუ მათ დაუწყებენ გამოკითხვას, დაე, მათ დაუდასტურონ, რომ ორშმა კარგი ადამიანია, რომ ის სამარ-

თლიანი და კეთილი კაცია, მაგრამ ისიც უთხრან, რომ ორშმას ცოლი ღალატობსო. თუ ოთხივე დაადასტურებს მისი ცოლის ღალატს, ორშმა ამ კუთხეს დატოვებს.

ოთხ გზაზე სესქათ სოლსამ ოთხი ცალთვალა მათხოვარი დასვა. ისინი ყველას ისე ეუბნებოდნენ, როგორც კუდიანმა დაარიგათ.

ერთხელ ორზმით ორშმა თავისი სამფლობელოს დასათვალიერებლად გაემართა. მან იარა, იარა და ერთ-ერთ მათხოვარს წააწყდა.

– ვინ არის თქვენი მბრძანებელი? ის რა კაცია? - ჰკითხა ორშმამ.

– ის კარგი ადამიანია, სამართლიანი და კეთილი, მაგრამ ცოლი მას ღალატობს. - მიუგო მათხოვარმა.

ორშმამ მას მოწყალება მისცა და გზა განაგრძო. ცალთვალა მათხოვრები გარეგნულად ორშმას არ იცნობდნენ.

ორშმა შეხვდა მეორე, მესამე, მეოთხე მათხოვარს და თითოეული მათგანი ერთსა და იმავეს ეუბნებოდა.

მაშინ ორშმამ ცოლის ერთგულებაში ეჭვი შეიტანა და ის მიწისქვეშეთში მიმავალ ხვრელთან დააბრუნა.

– მომეცი შენი დანა. - მიმართა ქალმა ქმარს.

კაცმა მისცა დანა. ამ დანით ქალმა მუცელი გაიჭრა, ამოიყვანა ბიჭი და ქმარს გადასცა შემდეგი სიტყვებით:

– ბავშვი გამოკვებე მხოლოდ ცხვრის დუმით - ძვლების გარეშე, პურით - ქერქის გარეშე, რძითა და კარაქით.

თქვა ქალმა ეს სიტყვები და ხვრელში გაუჩინარდა.

ორზმით ორშმამ ბავშვი ჩოხის კალთაში ჩაისვა და გავარვარდა, შემდეგ ნაბდის კალთაში და ის კვლავ გავარვარდა. მაშინ მან ბავშვი ხელში აიყვანა, სახლში მიიყვანა და თავის დედ-მამას გადასცა, თანაც უთხრა, ბავშვისთვის როგორც უნდა მოევლოთ.

ამის შემდეგ ორშმამ დატოვა თავისი სამფლობელო, განმარტოვდა და გაველურდა. მან დაიფიცა, რომ მხოლოდ საკუთარი ხელით დაჭერილი ნადირის ხორცით გამოიკვებებოდა.

იმ კუთხის მბრძანებელი კი კვლავ სესქათ სოლსა გახდა.

ორშმას ვაჟი იზრდებოდა. ორზმი და ბებია მას განსაკუთრებულად უვლიდნენ, ბავშვს არაფერს აკლებდნენ და კარგად კვებავდნენ.

სესქათ სოლსამ გადაწყვიტა ორზმისთვისაც სიცოცხლე მოესპო. ერთხელ მან მოაწყო ნადიმი და სტუმრები დაპატიჟა. ნადიმზე მან მოხუცი ორზმიც დაპატიჟა. სესქათ სოლსას უნდოდა ორზმისთვის შხამი ან გამდნარი სპილენძი დაელევინებინა და მოეკლა.

ორზმი მიხვდა, სესქათ სოლსას რაც უნდოდა, მაგრამ სიამაყის გამო მიპატიჟებაზე უარი ვერ უთხრა და მასთან სტუმრად წავიდა. ამ ამბით აღელვებულმა ბებიამ თავის შვილიშვილს საკვების მიცემა დაუგვიანა.

– რატომ დროულად არ მაჭამე, რა მოხდა? - ჰკითხა ბებიას შვილიშვილმა.

– შენი პაპა სესქათ სოლსამ ნადიმზე დაპატიჟა. მას ორზმის დათრობა და მოკვლა უნდა. - მიუგო ბებიამ.

– მომეცი ტანსაცმელი, ჩავიცვა. - უთხრა ბიჭმა. ის შეიმოსა, წავიდა სესქათ სოლსასთან ნადიმზე და ორზმის უკან დადგა.

სესქათ სოლსამ ორზმის გამდნარი სპილენძით სავსე თასის დალევა შესთავაზა. დაიწყეს მისთვის თასის გადაწვდა.

ბიჭი პირველი დასწვდა თასს, აიღო და თქვა:

– მინდა, რომ ეს თასი პაპაჩემის ნაცვლად დავლიო.

მან თასი გამოცალა და სესქათ სოლსას მიმართა:

– მე დავლიე ეს თასი. შემდეგ კვირას კი ნადიმზე ჩვენთან გეპატიჟები.

მივიდა სესქათ სოლსა მათთან და ვერ შეძლო შეთავაზებული თასის დალევა. ამის გამო იმ მხარეში სესქათ სოლსას მბრძანებლობა დასრულდა.

ბიჭმა უხუცესებს მამის შესახებ გამოჰკითხა და მის საძებნელად წავიდა. ორშმას ვაჟმა იარა, იარა და დაინახა გრძელწვერა კაცი, რომელიც ირემს მისდევდა. როცა გრძელწვერა მთაზე ირემს უნდა მივარდნოდა, ფეხები საკუთარ წვერებში გაებლანდა და ირმის დაჭერა ვეღარ შეძლო. როცა ირემი მთიდან თავქვეზე დაეშვა, გრძელწვერას დაბლა შეეძლო დაწევა, მაგრამ მისი სიბრალულით ბიჭმა მთიდან დაშვებული ირემი მიწაზე მიაწვინა.

– რატომ მოკალი ირემი? მე ფიცი მქონდა დადებული, რომ მხოლოდ იმით გამოვიკვებებოდი, რასაც ჩემი ხელებით მოვიპოვებდი. - უთხრა გრძელწვერამ.

– შენ მამაჩემი ხარ, ხოლო მე - შენი ვაჟი, - მიუგო ბიჭმა და მამას ყველაფერი უამბო. ორზმით ორშმა შინ დაბრუნდა.

მშობლები დაკარგული შვილის დაბრუნებამ უზომოდ გაახარა და ბედნიერი ცხოვრება დაიწყეს.

43. მითხოელი გმირები - მაირა და ბოლათი

თვალუწვდენელი სიმაღლის მთებში, ბნელ და ღრმა ხეობაში მდებარეობს მტრისათვის მიუდგომელი კუთხე - მითხო. ერთხელ იქ საქართველოდან ღრუბელივით უზარმაზარი არწივი მოფრინდა. არწივმა მინდორში ორი კაცი შეიპყრო და ისევ უკან, საქართველოში, გაბრუნდა.

მითხოელი უხუცესები შეიკრიბნენ და თათბირი დაიწყეს:

„ასეთი საშინელი ფრინველი ჩვენს ყველაზე ხანდაზმულ უხუცესებსაც კი არ ახსოვთ. მან ორი ჩვენიანი წაიყვანა. რადგან არწივმა ადამიანის ხორცს გემო გაუსინჯა, ის აღარ მოისვენებს, სანამ ყველა ჩვენგანს სათითაოდ არ შეჭამს. აუცილებლად უნდა მოვკლათ, სხვანაირად ვერ ვიცხოვრებთ“.

მითხოელებში განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ორი ნართი. ერთს ერქვა მაირა, ხოლო მეორეს - ბოლათი. ისინი, როგორც სხვა ნართები, სახლში თითქმის არ ცხოვრობდნენ და სულ მგზავრობაში იყვნენ. ამ დროს სესქათ სოლსას ხელმძღვანელობით მაირა და ბოლათი სადღაც ღილღოში იმყოფებოდნენ. იქ ისინი მოძებნეს და უხუცესების ბრძანებით სახლებში დააბრუნეს. უხუცესებმა მოითხოვეს, რომ მათ აქეთ-იქით კი არ ევლოთ, არამედ ამ ურჩხულისმაგვარი არწივისგან ხალხი გადაერჩინათ.

მაირამ და ბოლათმა ხალხი გააფრთხილეს, რომ განსაკუთრებული საქმის გარეშე სახლი არ დაეტოვებინათ და არც სადმე საქმეზე წასულიყვნენ. თვითონ კი სათვალთვალოდ სხვადასხვა ადგილებში სიარული დაიწყეს. ორი დღეც არ იყო გასული, რომ მითხოს თავზე არწივი კვლავ გამოჩნდა. მან ცაში ტრიალი დაიწყო და მალე გვერდიგვერდ მიმავალი ორი ვაჟკაცი შეამჩნია.

„აი, ეს იქნება ჩემი ნადავლი!“ - გაიფიქრა არწივმა და სიმაღლიდან მთელი სისწრაფით გამოქანდა.

ნართებმა ერთმანეთთან წინასწარ მოილაპარაკეს: „ღია ბრძოლაში ჩვენ არწივს ვერ მოვერევით, რადგან ხან აფრინდება, ხან დაგვეცემა და თავის ფრთებს დაგვიშენს. უკეთესი იქნება, თუ არწივს ჩვენი დაჭერის საშუალებას მივცემთ. მასზე მიბმულებს ბრძოლა ბევრად უფრო გაგვიადვილდება“.

არწივმა ვაჟები თავისი კლანჭებით შეიპყრო და შინისკენ გაფრინდა. მიფრინავენ ისინი და მაირა ეუბნება ბოლათს: „როცა არწივი თავის ბუდესთან მიფრინდება, ის თავიდან კლანჭებს გაგვიშვებს, რათა ფეხზე დადგეს და მერე მოგვხედოს. ჩვენ არ უნდა დავკარგოთ ეს მცირე დრო, როცა კლანჭებს გაგვიშვებს და ფეხზე დადგება. ამ მცირე დროში ორივე მხრიდან ხმლებით უნდა ავჩეხოთ“.

არწივი იყო მეტად ძლიერი. მას ჰქონდა რკინისფერი ბრჭყალები და ნისკარტი. არწივს თავისი მოზრდილი ბუდე თვალუწვდენელი სიმაღლის კლდეზე გაეკეთებინა. არწივმა ნართები ბუდეში ჩაყარა, ხოლო შემდეგ მასში თვითონ ჩაჯდა. ასეთ მცირე დროში ნართებმა თავიანთი ხმლებით მისი გამოშიგვნა მოასწრეს. არწივი კვდებოდა და მაინც ნადავლისკენ იწევდა, თავში ჩანისკარტებას ცდილობდა. ბოლათმა ვერ შეძლო საფრთხის თავიდან აცილება, არწივმა მოასწრო და სანამ მოკვდებოდა, ვაჟს კეფაში ჩაუნისკარტა. ნართებმა არწივს სამახსოვროდ რკინის ბრჭყალები და ნისკარტი მოაჭრეს.

დიდი წვალებით ისინი კლდიდან ჩამოვიდნენ. უცბად სად იყო და სად არა, იქ უამრავი ხალხი მოგროვდა. ესენი ქართველები იყვნენ. მათ ნართი გმირებისთვის დიდი ნადიმი გამართეს, ხოლო შემდეგ საჩუქრებით დატვირთული ვაჟები საქართველოდან მითხოში პატივისცემით გამოისტუმრეს.

ნისკარტის დარტყმის გამო ბოლათს თავის ტკივილი დაეწყო და მალე გარდაიცვალა. მაირამ მითხოში ყველაზე ლამაზი მთა აირჩია. მან არწივის ბრჭყალები და ნისკარტი მის მწვერვალზე ჩამარხა. შემდეგ კი მასზე განსასვენებელი აკლდამა ააშენებინა, რომელშიც ბოლათი დაასვენა. ამ ადგილს მაირამ „წაჲ-ფჴედა“[1] ანუ წმინდანების სავანე უწოდა. როცა მაირა გარდაიცვალა, ისიც იმავე აკლდამაში ბოლათის გვერდით დაკრძალეს.

44. ჯადოსნური ბეჭედი

როცა სათა მოიზარდა, მამამ მას ჯადოსნური ბეჭედი აჩუქა. მას მისნური უნარის მქონე ბეჭედს უწოდებდნენ, რადგან თუ სათა ბეჭედს ხელზე გაიკეთებდა და რამეს ჰკითხავდა, ის ნებისმიერ კითხვაზე უმალვე პასუხობდა. როცა სათა ეკითხებოდა: „სად არის სესქათ სოლსა“? ბეჭედი პასუხობდა: „ის ვამპალების ხეობაშია და ბეგარას იღებს“, ან სხვა რამეს პასუხობდა.

ზღვის ფსკერზე ცხოვრობდა ვამპალი სესა. მას ძალიან სურდა ბეჭდის ხელში ჩაგდება და ყველა საშუალებით მის მოპოვებას ცდილობდა. მან შეიტყო, რომ სიელა სათას სამშაბათობით ზღვის პირას სარეცხი გაჰქონდა. სესას ჰყავდა ერთი მოთვინიერებული თევზი ფხოარინგი. მან თევზს უბრძანა, წასულიყო და სათას ხელიდან ბეჭედი გამოეძრო. ფხოარინგი მიცურდა ნაპირთან და სათას დაუდარაჯდა, ლოდინმა დიდხანს არ მოუწია, სათა ნაპირზე გამოჩნდა და რეცხვა დაიწყო. ფხოარინგი მეტისმეტად მოქნილი და მოხერხებული აღმოჩნდა. სათამ ვერც კი შეამჩნია, თევზმა თითიდან ისე გააძრო ბეჭედი. როცა სახლში მივიდა, სათამ მხოლოდ მაშინღა შეამჩნია, რომ თითზე ბეჭედი აღარ ჰქონდა. ეს იყო ნართებისთვის დიდი დანაკარგი, რადგან ბეჭდის საშუალებით ისინი იგებდნენ, სად მეტი ხეირი ექნებოდათ, რა ხდებოდა ამქვეყნად და იმქვეყნად.

სიელა სათა მოჰყვა მოთქმა-გოდებას. ის მიხვდა, რომ ბეჭედი ზღვის მეფემ მოჰპარა. ნართებმა გამოკითხვა დაუწყეს: რა მოხდა? რაშია საქმე?

სათამ უპასუხა: „ჩემი ჯადოსნური ბეჭედი ზღვის მეფემ მომპარა. ახლა აღარაფრის წინასწარმეტყველება აღარ შემიძლია. ვის შეუძლია ბეჭედი დამიბრუნოს?

ნართები იქიდან თანდათან გაიკრიფნენ, რადგან მათ ზღვის მეფის ეშინოდათ. ზღვის მეფეს წელს ზემოთ ადამიანივით სხეული ჰქონდა, ხოლო წელს ქვემოთ - გველეშაპის[1] ტანი. ასევე, მას ჰქონდა დიდი თვალები და სამართებელივით ბასრი ბრჭყალები. მის საბრძანებელში უცნაური თევზები ცხოვრობდნენ. როცა მათ ზღვის მეფე უბრძანებდა ცხენებად გადაქცეულიყვნენ, ისინი ცხენები ხდებოდნენ, ზღვას გადაცურავდნენ და მის ნაპირზე ბალახობდნენ. თუ ზღვის

მბრძანებელი ეტყოდა, რომ მეომრებად გადაქცეულიყვნენ, ისინი ხდებოდნენ მეომრები, შემოსილი აუცილებელი აღჭურვილობით. თვითონ მას შეეძლო ყოფილიყო როგორც წყალში, ასევე ხმელეთზე. მხოლოდ წყლიდან შორს წასვლა არ შეეძლო. ამიტომ ის ნართებთან ვერ მიდიოდა და ნართებიც მას ერიდებოდნენ.

სესქათ სოლსამ არ იცოდა სათას გასაჭირის შესახებ. ამ დროს ის იდგა მდინარე ვოლგასთან თავისი მეომრებით. როცა ნართების დახმარების იმედი გადაეწურა, სათა ცხარე ცრემლებით ატირდა, დაიწყო მოთქმა-გოდება და ღვთის მიმართ ვედრება. ამ დროს ფათარზა მთებში ჯიხვებზე ნადირობდა. მას ქალის ტირილი შემოესმა. ყური დაუგდო და მიხვდა, რომ სათა დახმარებას ითხოვდა. ფეთარზა აჩქარდა, რათა ნართების დედას დახმარებოდა. ის ერთი მთიდან მეორე მთაზე ხტებოდა, ჩამოვიდა ძირს და წარსდგა სათას წინაშე.

– ო, ჩვენო დედავ, რა მოხდა? რა გაწუხებს? - ჰკითხა ვაჟმა.

მართალია, სათა მათი ნამდვილი დედა არ იყო, მაგრამ ნართები მას მუდამ ასე მიმართავდნენ.

როცა ფეთარზამ გაიგო რაშიც იყო საქმე, ზღვაში ჩასვლა დააპირა, მაგრამ სათამ შეაჩერა და უთხრა:

– შენ მამაცი და გულადი მეომარი ხარ, მაგრამ სესას ასე ადვილად ვერ მოკლავ. მას ცხრა სული უდგას. სესას მკერდში ყუთი უდევს, რომელშიც ცხრა ბეღურა ზის. ის მხოლოდ მაშინ მოკვდება, თუ ბეღურები დაიხოცებიან. როგორც კი მასთან საბრძოლველად მიხვალ, ის თევზებს მეომრებად გადააქცევს და მათ მოგისევს. მე მოგცემ ჯადოსნურ ბადეს, რომ თევზებს ესროლო. ასევე გამოგიყვან ფიცხელ რაშს, რომელიც ყველა მოწინააღმდეგეს ფლოქვებით გადაქელავს. მათთან საბრძოლველად შენი ხმალი არ გამოგადგება. მე მოგცემ ცეცხლოვან ხმალს, რომელიც მტერს თვითონ ეძგერება. ახლა წამოდი ჩემთან ერთად. - უთხრა ქალმა და მაღალ მთაზე აიყვანა. იქ რომ მივიდნენ, სათამ უთხრა:

– ხედავ მთაზე ლოდს? სამოც კაცს არ შეუძლია მისი ადგილიდან დაძვრა. მთის შიგნით გამოქვაბულია. ასეთი ლოდი იქ კიდევ შვიდი² ცალი დევს. დაძარი ადგილიდან ის შვიდი ლოდი და იქ ულაყს დაინახავ, ხოლო კედელზე ჯადოსნურ ხმალს.

ფეთარზამ მაშინვე დაავლო ხელი იმ ლოდს და შორს, ზღვაში, მოისროლა. დანარჩენი ექვსი ლოდიც ასევე ზღვისკენ გატყორცნა. გამოვარდა ულაყი ფეთარზას მოსაკლავად, მაგრამ მან შუბლში ისე ძლიერად დაარტყა, რომ რაში გვერდზე გადახტა. შემდეგ ფეთარზა ულაყს მოახტა და უთხრა:

– სათამ შენი თავი მე დამილოცა!

ამის გაგონებაზე ცხენმა ტლინკების ყრა შეწყვიტა და ჭაბუკს უთხრა:

– იმ ხმლის აღება არ დაგავიწყდეს!

ფეთარზამ ხმალი აიღო და გამოქვაბულიდან გამოვიდა. სათამ ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო, ფეთარზას გაუწოდა და უთხრა:

– როცა სესა ჯარს დაგადევნებს, გადააგდე ეს ხელსახოცი და ის გადაიქცევა უზარმაზარ ბადედ. როგორც კი მიხვალ ზღვის მეფესთან, მკერდში ეს ხმალი ჩაეცი!“

– გმადლობ, დედი, ნახვამდის! - მიუგო ფეთარზამ და გაქუსლა.

ფეთარზა ერთ წამში ზღვასთან გაჩნდა. წყალში ნასროლი ლოდების გამო ზღვა ღელავდა. სესა ცუდ გუნებაზე იყო, რადგან ზღვა მისი ბრძანების გარეშე აღელდა. მან ბეჭედს დახედა და ფეთარზა დაინახა, რომელიც ნაპირთან იდგა და ზღვაში შესვლას აპირებდა. ერთხელ ზღვის მეფეს მისნებმა უწინასწარმეტყველეს, რომ ის უნდა მორიდებოდა მშვენიერ ულაყზე ამხედრებულ მეომარს. და აი, აჰა, მან დაინახა დიდებულ რაშზე ამხედრებული ფეთარზა.

ფეთარზამ ზღვის მეფეს დაუყვირა:

– ეი, ზღვის ბაყაყო, ცოცხალს იმ შემთხვევაში დაგტოვებ, თუ ჩვენი დედის - სათას - ბეჭედს დამიბრუნებ!

სესა იჯდა ზღვის ფსკერზე და ისეთი სახე მიიღო, თითქოს არაფერი ესმოდა. როცა ფეთარზამ მეორედ და მესამედ უყივლა, სესამ ზღვიდან გამოიხედა და უთხრა:

– წადი აქედან, ბუზო! ბეჭედს ახლა სხვა პატრონი ჰყავს!

– ზღვის ბინძურო ბაყაყო, შენ გამაბრაზე! ახლა ნახავ, რასაც ვიზამ! - თქვა ფეთარზამ და ზღვაში გადაეშვა.

– ურტყით მაგას! - უბრძანა სესამ თავის თევზებს.

ისინი მაშინვე მეომრებად გადაიქცნენ, ყველანი ფათრზას მისცვივდნენ. ვაჟმა ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო და ისე გადააგდო, როგორც მას სათამ ურჩია. ხელსახოცი უზარმაზარ ბადედ გადაიქცა. მეფის მეომრებმა უკან დაიხიეს.

– ცხენებად იქეცით! - უბრძანა მათ სესამ.

ისინი ცხენებად გადაიქცნენ და მშვენიერ ულაყს მისცვივდნენ. რაში კი ცამდე აფრინდა და შემდეგ იქიდან დაეცა ზღვის მეფის ცხენებს გასაქელად. სესა წყლიდან ამოყურყუმელავდა. ფეთარზამ დააძრო ხმალი, რომელიც ცეცხლს აფრქვევდა და მეფეს შეებრძოლა. სესას კი ყველაზე მეტად ცეცხლის ეშინოდა. სხეულის ყოველი ნაწილი, რომელიც ფეთარზამ სესას მოაჭრა, ხელახლა ეზრდებოდა. მაშინაც კი, როცა ფეთარზამ მას თავი მოაჭრა, ის სესას სხეულზე ხელახლა გამოება. სესამ, შუბისა და ხმლის გარდა, ფეთარზას წინააღმდეგ შხამიანი დორბლიც გამოიყენა. ფეთარზამ კვლავ ისროლა ხელსახოცი, რომელიც დიდ ბადედ გადაიქცა და მეფე განაიარაღა. მაშინ ფეთარზამ ხმლით, რომელიც ცეცხლს აფრქვევდა, სესას მკერდი გაუპო და იქიდან ბეღურებიანი კოლოფი ამოიღო. ვაჟი კოლოფიდან ბეღურებს სათითაოდ იღებდა და ამბობდა:

– შეხედე, ზღვის ბაყაყო, ესეც შენ იმის გამო, რომ ჩვენს დედას აწყენინე.

და თან ბეღურებს თავს აწყვეტდა. როცა უკანასკნელი ბეღურის ჯერი დადგა, სესამ დაიწყო მოთქმა და ფეთარზას შეჰპირდა, რომ მას ზღვის მთელ საგანძურს გადასცემდა.

– არაფერს დავტოვებ შურისგების გარეშე! - უთხრა ფეთარზამ. სესა ბაყაყად გადაიქცა და ზღვისკენ მოკურცხლა. ამ დროს ციდან დაეშვა მშვენიერი ულაყი და ბაყაყი ფლოქვებით გაჭყლიტა.

ფეთარზამ ჯერ ჯადოსნური ბეჭედი აიღო და მერე სათას უზარმაზარი ბადით ზღვის ფსკერიდან მთელი საგანძური ამოიღო.

– დედი, აი, შენი ბეჭედი! - უთხრა ფეთარზამ სათას და ჯადოსნურ ბეჭედთან ერთად მას ზღვის მთელი საგანძური გადასცა.

რადგან სესქათ სოლსამ დაიგვიანა, სათამ ბეჭედში ჩაიხედა და დაინახა, თუ როგორ იბრძოდა სესქათ სოლსა.

– ჩქარა, გააჭენე ცხენი და წადი სესქათ სოლსასთან დასახმარებლად! - უთხრა სათამ ფეთარზას.

ფეთარზა თვალისდახამხამებაში გაჩნდა სესქათ სოლსასთან და მასთან ერთად ნოღაელთა ურდო მთლიანად გაანადგურა. ვაჟები შინ მდიდრული ნადავლით დაბრუნდნენ. სიელა სათამ კი მათ პატივსაცემად დიდი ნართული ნადიმი გამართა.

45. სესქათ სოლსა და მთვარის ასული ლირა

ზოგჯერ, მთვარიან ღამეს, მთვარის გარშემო შეიძლება სინათლის წრე დაინახოთ. თუ გაინტერესებთ ასე რატომ ხდება, მომისმინეთ!

ნართები უზარმაზარი ადამიანები იყვნენ. სელა სათას ჰქონდა წინასაწარმეტყველების უნარი. მას შეეძლო ცაში ასვლა და კვლავ მიწაზე დაბრუნება. თუ მოისურვებდა, მას საიქიოში შესვლაც შეეძლო. ერთხელ ციდან ოქროს ჯაჭვი ჩამოეშვა. ამ ჯაჭვს სესქათ სოლსა ჩამოჰყვა და პირდაპირ სათას წინაშე წარსდგა. სათა, როგორც წინასწარმეტყველი, მაშინვე მიხვდა, რომ სესქათ სოლსა მასთან ღმერთმა მოავლინა.

– მე ამ ქვეყანას დედის გარეშე მოვევლინე. დედის გარეშე ცხოვრება არ არის ცხოვრება. ჩემზე არც არავინ ფიქრობს და არც არავინ ზრუნავს. შეიძლება, შენ გახდე დედაჩემი? - ჰკითხა ვაჟმა.

– კარგი, მე ვიქნები დედაშენი. - მიუგო ქალმა.

– დღეიდან კი მე შენი შვილი ვიქნები. - თქვა სესქათ სოლსამ.

და დაიწყეს დედაშვილური ცხოვრება.

სიელა სათას არ ჰყავდა საკუთარი შვილები. ალბათ ამიტომაც ბავშვები განსაკუთრებით უყვარდა. ზოგჯერ ისინი ქუჩიდან მიჰყავდა, მათ აბანავებდა, ტკბილეულობას აძლევდა, ეფერებოდა და უკანვე აბრუნებდა.

– მოგწონს ამ ჩამოფლეთილი, ჭუჭყიანი ბავშვების მოფერება? - ჰკითხა ერთხელ სესქათ სოლსამ სათას.

– აბა, რა ვქნა? - უპასუხა სათამ, - თუკი საკუთარი შვილები არ მყავს, რომლებზეც ვიზრუნებდი და გავზრდიდი. ცოლის მოყვანა არ გინდა?

– ვერ ვნახე ჩემი შესაფერისი ქალიშვილი, რომელზეც ვიქორწინებდი.

– ვიცი, ვინც მოგეწონება, ეს ბეთას[1], მთვარის ქალიშვილი ლირაა, იგივე მთვარის ნათება. თუ მის სილამაზეზე ვისაუბრებთ, ისეთია, რომ ღმერთს მასზე უფრო მშვენიერი არაფერი შეუქმნია. როცა ის წყალს სვამს, მოჩანს მის ყელში წყალი როგორ გადადის[2]. რასაც მისი ხელი შეეხება, ყველაფერი ახლდება და ფერს იცვლის.

– საცოლედ ასეთი ქალი მინდა, - კმაყოფილებით ჩაილაპარაკა სესქათ სოლსამ, შემდეგ კი იკითხა, - სად ცხოვრობს? როგორ მოვიპოვებ?

– ქვეყნიერების ბოლოში არის ერთი კლდე და მასზე უზარმაზარი კოშკი დგას, რომელსაც წვერი ზეცაში აქვს. იმ კოშკში ცეცხლი ანთია და ცეცხლის ენები მაღლა, ცას სწვდება. ბეთა ლირა სწორედ იმ კოშკში ცხოვრობს. როცა მას მოეპრიანება, ცეცხლის ენებით ცაში ადის, იქ ტრიალდება და უკანვე ბრუნდება. იქვე, კოშკში, მისი მამა - ბეთა (მთვარე) - ცხოვრობს. საღამოობით ის კოშკიდან გადის, დილით კი ისევ უკან ბრუნდება და დასაძინებლად წვება. შენ ბოთყი შირთყას მხარდაჭერა მოიპოვე. მხოლოდ ბოთყი შირთყას შეუძლია მის მოპოვებაში დახმარება.

ბოთყი შირთყას ჰქონდა ერთი განსაკუთრებული უნარი. თუ მის სახელს ხმამაღლა ახსენებდნენ, ის ანაზდად საიდანღაც იქვე გაჩნდებოდა.

– ვინ დამიძახა? - იკითხა ბოთყი შირთყამ, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდა.

მათ უთხრეს, რაც უნდოდათ. მაშინ ბოთყი შირთყამ თქვა:

– ამის გაკეთება არ არის ადვილი, მაგრამ სურვილის შემთხვევაში შეუძლებელი არაფერია. აი, ჩვენ რას ვიზამთ: მიუხედავად იმისა, რომ ბეთა ლირა არ ბერდება, მამამისს დიდი ხანია სურს მისი გათხოვება. თვითონ ქალიშვილი გათხოვებას არ აპირებს და ასეთი ეშმაკობა მოიფიქრა. მან მამას უთხრა, რომ მხოლოდ იმ ჭაბუკს მისთხოვდება, რომელიც თითიდან ბეჭედს წააძრობს. და აი, ეს როგორ უნდა გააკეთო: ის ჩვეულებისამებრ ზის ფანჯარასთან და ხელი გარეთ აქვს გამოყოფილი. მისი ხელიდან გამოდის შუქი, რომელიც

მთელ დედამიწას ანათებს. ვერავინ მოახერხა დღემდე ამ ბეჭდის ხელში ჩაგდება. თუ ვინმე კოშკის წვერს მიუახლოვდება, მისი პატრონის ბრძანებაზე კოშკი უფრო და უფრო მაღლა, ცაში აიწევა. ეს კიდევ არაფერი, მიწაზე ფეხდაუდგმელ ქალიშვილს, რომელიც ქვეყნიერების დასალიერში ცხოვრობს, ცხრათავიანი გველეშაპი - სარმაქი - იცავს. თუ მას თავს მოაჭრიან, მის ადგილზე მაშინვე ახალი გაიზრდება. სარმაქის მოსაკლავად ხმალი გჭირდება. ასევე გჭირდება მფრინავი რაში. იმ ქვეყნად არის ნერთბის საჭურველი, რომელსაც ჯადოსნურ ხმალთან ერთად მე მოგიტან. მაგრამ მფრინავი რაში შენ თვითონ უნდა მოიპოვო.

სიელა სათამ მიუთითა, სადაც ასეთ რაშს იშოვიდა.

– შვიდი მთის იქით ორი მთა გამუდმებით ერთმანეთს ეხლება. იმის იქით დიდ მთას დაინახავ. მთვარე როცა ამოვა, უეცრად მის მწვერვალზე საიდანღაც ფაშატი გაჩნდება, რომელიც კვიცს შობს. ბებერი მგელი ჩასაფრებული უთვალთვალებს და როგორც კი კვიცი გაჩნდება, მგელი მის შესაჭმელად დაიძვრება. შენ თუ მიასწრებ და იმ კვიცს გადაარჩენ, მისგან საუკეთესო რაში დადგება.

ნართების შვიდივე თაობის წინაპარი იყო ნერთბი. როცა ის ვამპალებთან ბრძოლაში დაიღუპა, ნერთბისთან ერთად მისი აბჯარ-იარაღიც დამარხეს. ნერთბის ხმალი არ იყო ჩვეულებრივი იარაღი, რადგან როცა მისი პატრონი ხმლის ქნევისგან იღლებოდა, ის პატრონს ხელიდან უსხლტებოდა და ხმალი მტერს თვითონ ანადგურებდა. ნერთბის სული მუდამ მისი აბჯარ-იარაღის გვერდით ტრიალებდა. ბოთყი შირთყა მასთან მივიდა და ხმალი სთხოვა. როცა ბოთყი შირთყამ ნერთბის უთხრა, რომ ხმალი სესქათ სოლსას ვამპალებთან საბრძოლველად სჭირდებოდა, მან საიქიოში მისულ კაცს ხმლის წაღების ნება დართო. მაგრამ დაუბარა: „როგორც კი სესქათ სოლსა თავის საქმეს მოამთავრებდა, ხმალი თავის ადგილზე დაებრუნებინა!“

ბოთყი შირთყამ სესქათ სოლსას ხმალი მიუტანა. სესქათ სოლსა კი შორეულ გზას დაადგა, როგორც მას სათამ ასწავლა. ერთი მთის მწერვალზე მან არწივის ბუდე დაინახა. მასში ბარტყები ისხდნენ და ხმამაღლა ჭყიოდნენ. სესქათ სოლსამ მიმოიხედა, დაფიქრდა, თუ

რას უნდა შეეწუხებინა მართვეები და დაინახა გველი, რომელიც კლდეზე ბუდისაკენ მისრიალებდა. სოლსამ მოზიდა მშვილდი და ისარი წყეულს პირდაპირ შუბლში მოარტყა. გველი ადგილზე გაშეშდა.

ამ დროს არწივიც გამოჩნდა. მან დაინახა სესქათ სოლსამ რაც გააკეთა და ვაჟს უთხრა:

– მე ჩემს ბუმბულს მოგცემ, რადგან შენ გველი მოკალი და შვილები სიკვდილს გადამირჩინე. თუ ჩემი დახმარება დაგჭირდეს, ბუმბული შეტრუსე და უმალვე შენთან გავჩნდები.

სესქათ სოლსამ ბუმბული ჯიბეში ჩაიდო და გზა განაგრძო. მან იარა, იარა და უეცრად კატის კნავილი შემოესმა. ახლოს მივიდა და ლომის ბოკვერი დაინახა, რომელსაც მთიდან დაგორებული უზარმაზარი ლოდი თათზე დასცემოდა. იქვე მან ძუ ლომიც დაინახა, რომელმაც აღარ იცოდა რა ექნა და თავის შვილს როგორ დახმარებოდა. სესქათ სოლსა მხრით მიაწვა ლოდს, გვერდით გადააგორა და ბოკვერი გაათავისუფლა.

– როცა დაგჭირდე, ეს ბეწვი შეტრუსე. - უთხრა ძუ ლომმა სესქათ სოლსას და თავისი ბეწვი გაუწოდა.

ვაჟმა გზა განაგრძო. მან იარა, იარა, რამდენი თვე და რამდენი კვირა არავინ იცის და ბოლოს ორი მთა დაინახა, რომლებიც წვერით ცას სწვდებოდნენ. ისინი ერთმანეთს შორდებოდნენ და მერე ერთმანეთს ისევ ძლიერ ეხეთქებოდნენ. ის მიხვდა, რომ თვითონ ამ მთებს ვერ გასცდებოდა და არწივი გაახსენდა. სესქათ სოლსამ ჯიბიდან არწივის ბუმბული ამოიღო და შეტრუსა. უეცრად საიდანღაც არწივი გამოჩნდა. ის მიხვდა, ჭაბუკს რაც სჭირდებოდა და უთხრა:

– დაჯექი ჩემს ზურგზე და ხელები ძლიერ ჩამჭიდე!

როგორც კი მთები ერთმანეთს დაშორდნენ, სანამ ისევ დაიკეტებოდა, არწივი მათ შორის მშვიდობიანად გაფრინდა. მას მხოლოდ კუდის ბოლო მოჰყვა მთებს შორის.

სესქათ სოლსამ გზა განაგრძო. მან ბევრი იარა, კაცმა არ იცის რამდენი დღე იარა და დაინახა მაღალი, მრგვალი ბორცვი. ჭაბუკი იქვე ახლოს ჩაიმალა. შუაღამისას მან ძუ ლომის ბეწვი შეტრუსა. მანაც არ დააყოვნა და საიდანღაც ისიც გამოჩნდა.

– ვიცი, რაც გინდა, - უთხრა ძუ ლომმა ჭაბუკს და ავიდა მთის მწვერვალზე, იქ მიწვა, რომ არავის დაენახა.

შუაღამისას ქარი ამოვარდა. წვიმა წამოვიდა, ატყდა ჭექა-ქუხილი. ღრმა ხეობიდან ფაშატი ამოვიდა, დიდი, როგორც აქლემი. ამ დროს ტყიდან ძუ მგელი გამოვარდა და მთას აუყვა, რათა კვიცი შეესანსლა, რომელსაც ფაშატი ღამით მოიგებდა. იქვე ჩამალული ძუ ლომი წამოხტა, დაეცა ძუ მგელს და ნაწილებად გაგლიჯა. ფაშატმა კვიცი დაბადა და კვლავ უკან, ხეობისაკენ გაქუსლა. სესქათ სოლსამ დაიჭირა კვიცი და ზედ შეახტა. კვიცმა დაიყვირა:

– ბუზო, გამეცალე, სანამ არ მოგკალი!

– მე ბუზი არ ვარ, ამიერიდან შენი პატრონი ვიქნები! - უთხრა სესქათ სოლსამ.

კვიცი ჯერ ცაში აფრინდა, მერე უსწრაფესად ზღვისკენ დაეშვა. მან ჭენებით გაიარა გზა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. ის სესქათ სოლსას გადმოგდებას ცდილობდა. ვაჟი კი თავისი რკინისებური ხელებითა და ფეხებით კვიცს მიჰკვროდა, რომელსაც ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.

– მე მინდოდა გამეგო, ღირსი იყავი თუ არა, რომ ჩემი პატრონი გამხდარიყავი. ახლა ვხედავ, რომ ჩვენ ერთმანეთს შევეწყობით. - თქვა კვიცმა.

– მაშინ გასწი, ბეთას ამაყ ქალიშვილ ლირასთან წამიყვანე. - უთხრა სესქათ სოლსამ და ცხენი ქვეყნიერების ბოლოსკენ გააჭენა.

დედამიწა უზარმაზარია, გინდა მთელი წელი ჭენებით ატარე ცხენი. მაგრამ სესქათ სოლსას ცხენს ფრთები ჰქონდა და ისინიც გაფრინდნენ. ბევრი იფრინეს თუ ცოტა, ისინი ქვეყნიერების ბოლო ლოდთან მიფრინდნენ. მათ იქ გველეშაპი სარმაქი დაინახეს, რომელიც ლირას, ბეთას ქალიშვილის, კოშკს შემოხვეოდა.

სარმაქმა თავისი ცხრავე თავი ასწია, მოტრიალდა და თქვა:

– აქ მოსვლა ვინ გაბედა? სიკვდილი ვის უნდა?

– არავის არ უნდა სიკვდილი. მე სესქათ სოლსა ვარ და შენი მოკვლა მინდა! - იყო პასუხი.

სესქათ სოლსამ ნერთბის ნაქონი მახვილი იძრო და სარმაქთან ბრძოლა დაიწყო. გველეშაპის თავებს, რომლებიც მოჭრის შემდეგ

ისევ ტანს უერთდებოდნენ, ახლა ასე აღარ გამოუვიდათ. ჯადოსნურ ხმალს ისეთი თვისება ჰქონდა, რომ მისგან მიყენებული ჭრილობა აღარ შუშდებოდა.

სესქათ სოლსასა და სარმაქის ბრძოლას ბეთა თვალს ადევნებდა. მან გაიგო, რომ სესქათ სოლსა იყო მშვენიერი და მამაცი ვაჟკაცი. როცა ვაჟმა სარმაქი მოკლა, ზემოთ შესძახა:

– დამანახე შენი ბეჭედი! შენთან მოვდივარ!

ბეთას ქალიშვილმა ლირამ ფანჯრიდან ხელი გამოყო და მთელი დედამიწა გაანათა.

– მოდი, მომეხმარე! - დაუძახა ცხენს სესქათ სოლსამ.

როცა კოშკმა მაღლა აწევა დაიწყო, ისინი მაღლა აფრინდნენ. ქალიშვილმა არ იცოდა, რომ ეს მფრინავი რაში იყო. ლირამ კოშკი მაღლა ასწია, ცხენი მას გამოეკიდა. ბოლოს და ბოლოს ისინი კოშკს დაეწივნენ. სესქათ სოლსამ ქალიშვილს ხელიდან ბეჭედი წააძრო და კოშკიც უწინდელ ადგილს დაუბრუნდა.

– შენ ჩემთვის ხარ ნაკურთხი და დალოცვილი![3] - უთხრა სესქათ სოლსამ ქალიშვილს, თავის ცხენზე შემოისვა და შინისკენ გაქუსლა.

ბოთყი შირთყამ ნერთბის თავისი ხმალი დაუბრუნა. სიელა სათამ ბეთა ლირა ოჯახში ისე მიიღო, როგორც საკუთარი ქალიშვილი. ის სესქათ სოლსასთვის საუკეთესო ცოლი გახდა. მათ დიდებული ქორწილი გადაიხადეს.

მრავალი წლის შემდეგ სესქათ სოლსა და ბეთა ლირა აღესრულნენ. შუქი ქალის სხეულს მოსცილდა და ნათლის სვეტი ცაში, მთვარესთან, წავიდა. ზოგჯერ, შუაღამისას, ის მოციმციმე შუქი, შეიძლება, მთვარის გარშემო დაინახოთ.

46. ნართი თუოხი და მზის ასული აზა

ტანად ძლიერ ვაჟკაცს, ნართ თუოხს, ნადირობაში ვერავინ ჯობდა. ის იყო ახალგაზრდა და ჯერ ისევ დასაოჯახებელი. თუოხი ნართების დიდი სოფლის განაპირას ცხოვრობდა. ამიტომაც მთებსა და ტყეებში სიარული მას უფრო მეტად უხერხდებოდა. თანასოფლელები დიდ პატივს სცემდნენ. ნადირობიდან თითქმის მუდამ ის ორი ირმით ბრუნდებოდა. თუოხი ნანადირევს ქვრივ-ობლებს ყოველდღე

უნაწილებდა. თანასოფლელები ფიქრობდნენ, ბჭობდნენ, მისთვის სიკეთე როგორ გადაეხადათ. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ჭაბუკი დაექორწინებინათ და ვაჟთან ერთი პატივსაცემი თანასოფლელი კაცი მიგზავნეს, რომელმაც უთხრა:

– სოფელში ამბობენ, რომ უკვე დროა დაქორწინდე.

– არა, ჯერ კიდევ ადრეა, მოვასწრებ. არსად მეჩქარება. - მოიმიზეზა ჭაბუკმა.

– სოფელში ამბობენ, რომ თუ არ დაქორწინდები, შენგან ნანადირევს მეტად აღარ მიიღებენ. - დაემუქრა შუამავლად მისული კაცი.

– არა, რა გამოვა, ამას არ დავუშვებ. - მიუგო თუოხმა, - თუ ასეა, მაშინ ისე მოიქეცით, როგორც გინდათ და როგორც საჭიროდ ჩათვლით.

ხალხმა გადაწყვიტა, რომ თუოხისთვის არაჩვეულებრივი, ყველა თვალსაზრისით სრულყოფილი საცოლე შეერჩიათ. მათ ასეთი ქალიშვილის ძებნა დაიწყეს. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ თუოხი დაექორწინებინათ მელხათ აზაზე, მზის ასულზე, რომელიც წელი ლამის[1] მთაზე აღმართულ მაღალ კოშკში ცხოვრობდა. ის იყო შეუდარებელი სილამაზის ქალიშვილი: მისი შუბლიდან თითქოს მზე ასხივებდა, ხოლო ბეჭებს შორის მთვარე ანათებდა. მთელი მისი სხეული სინათლეს გამოსცემდა[2].

ქალიშვილთან შუამავლები მიგზავნეს და სთხოვეს ცოლად თუოხს გაჰყოლოდა. მელხათ აზას თავისი მაღალი კოშკიდან მთიდან მომავალი თუოხი რამდენჯერმე ჰყავდა დანახული. ქალს ვაჟი მოსწონდა, მაგრამ ჭორებისა შეეშინდა, ხალხს არ ეთქვა: მარტოხელა მონადირეს გაჰყვა ცოლადო. მან სხვადასხვა მიზეზი მოიფიქრა და თუოხის ცოლობაზე უარი განაცხადა. თანასოფლელები ძალიან გაანაწყენდნენ. მათ აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. ბოლოს ისინი რჩევისათვის ჟერ-ბაბასთან[3] მივიდნენ. ჟერ-ბაბამ რჩევის მისაღებად მისულ სტუმრებს მოუსმინა და სთხოვა პასუხისთვის მასთან ერთი კვირის შემდეგ მისულიყვნენ.

ჟერ-ბაბა მელხათ აზას კოშკში ჩუმად შეიპარა. მის მახლობლად გაიტრუნა და ქალიშვილს თვალთვალი დაუწყო. ჟერ-ბაბამ შეიტყო, რომ მელხათ აზას ჰქონდა ჯადოსნური სარკე, რომელიც დღისით

მზეზე ეჭირა, ხოლო ღამით შიგ იხედებოდა. მიხვდა ჟერ-ბაბა, საიდანაც ფლობდა ქალიშვილი ნათების უნარს. ჟერ-ბაბამ ხერხი იხმარა და ჯადოსნური სარკე კოშკიდან შეუმჩნევლად მოიპარა.

როცა ერთი კვირის შემდეგ ნართებისგან გამოგზავნილმა შუამავლებმა მას კვლავ მიაკითხეს, ჟერ-ბაბამ მოსულები ასე დაარიგა:

– ამ სარკის მეშვეობით მელხათ აზა მზის ნათებას[4] იჭერს, ხოლო ღამით მასთან თავის სხეულს აზიარებს და ნათების უნარს იძენს. ის ამ სარკის გარეშე ვერ გაძლებს. აიღეთ იგი. ქალიშვილს კი უთხარით, რომ სარკე თუოხმა სადღაც შამბნარში იპოვა და ვაჟს სთხოვოს, რომ ნივთი თავის პატრონს დაუბრუნოს. თქვენ სარკე არ მისცეთ, სანამ ქალი ჭაბუკს ცოლად არ გაჰყვება.

მელხათ აზა სარკიდან მხოლოდ ბრწყინვალებას არ იძენდა. ის იმ სარკის გარეშე ვერ გაძლებდა და ავად გახდებოდა. თუ დიდხანს არ ჩაიხედავდა სარკეში, მაშინ შეიძლებოდა მომკვდარიყო კიდეც. მელხათ აზა დაფიქრდა: „თუოხი კეთილშობილი ახალგაზრდა ჩანს და ის, ყოველგვარი პირობის გარეშე, უბრძანებს ხალხს, ჩემი სარკე დამიბრუნონ. მისი ბრალი არ არის, რომ ნართები ასე იქცევიან: ნართები ხომ მუდამ იმას სჩადიან, რაც მოესურვებათ. ამ ჭაბუკს კი ვენდობი, რადგან მუდამ ღირსეულად იქცევა.

ქალიშვილმა ნართებს შეუთვალა:

– თანახმა ვარ თუოხს ცოლად გავყვე, თუ ის წამიყვანს.

გადაიხადეს დიდებული ქორწილი, რომელშიც მთელი სოფელი დაპატიჟეს. მელხათ აზა და თუოხი სიყვარულითა და თანხმობით ცხოვრობდნენ. უწინდებურად თუოხი სანადიროდ დადიოდა და თანასოფლელ ობლებს კვებავდა. მელხათ აზა კი ამ დროს საოჯახო საქმეებს უძღვებოდა. თუოხის სოფელში ამაყი, მაგრამ სუფთა გულის ნართები ცხოვრობდნენ. მოშორებით მდებარეობდა ნართების სხვა სოფლები. იქ ცხოვრობდნენ ისეთები, რომლებიც მზად იყვნენ ყოველგვარი საძრახისი საქციელის ჩასადენად და ამიტომაც „შავ ნართებს“ ეძახდნენ. მათ სათავეში ედგა ინქარი. ნადირობა მასაც უყვარდა. ერთხელაც ინქარი, როცა ის თავის თანმხლებ პირებთან ერთად ნადირობდა, თუოხის სოფელს მიუახლოვდა და დაინახა, რომ სოფლის განაპირა სახლიდან საოცარი შუქი გამოდიოდა. ინქარმა

გადაწყვიტა გაეგო, რას ნიშნავდა ეს სასწაული. როცა ის სახლთან მივიდა, მიხვდა, რომ შუქს იშვიათი სილამაზის ქალი გამოსცემდა. ინქარმა მაშინვე მოსვენება დაკარგა. მან გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ეს მშვენიერი ქალი ცოლად შეერთო. ინქარს იგი უქმრო ქალი ეგონა.

ინქარმა თავის ქვეშევრდომებს განუცხადა:

– ცნობილი მონადირის - თუოხის ეზოში საოცარი სილამაზის ქალიშვილი დავინახე. ის თუოხის ან და არის, ან ნათესავი. იმ ქალის გარეშე ვერ გავძლებ და ცოლად უნდა შევირთო.

– უკუაგდე ეს განზრახვა, - უთხრა მას ერთ-ერთმა თანამებრძოლმა, - ის ხომ თუოხის ცოლია და მას მელხათ აზა ჰქვია.

– ვისი ცოლიც არ უნდა იყოს, მაინც ვერ მოვისვენებ, სანამ არ დავეუფლები. თქვენ, როგორც ჩემი რაზმის მეომრები, ვალდებული ხართ ამ საქმეში მომეხმაროთ. - თქვა ინქარმა.

– ჩვენ მუდამ შენი მონა-მოჩილნი ვიყავით და ამჯერადაც მზად ვართ გემსახუროთ. - ერთხმად მიუგეს მეომრებმა.

– რჩევას ბოთყი შირთყას ვკითხავ. ის ბრძენი კაცია და გვეტყვის, თუ როგორ მოვიქცეთ. - გადაწყვიტა ინქარმა.

ინქარი წავიდა ბოთყი შირთყასთან, რომელიც ლურჯ ტბასთან ცხოვრობდა. როცა ინქარი მასთან მივიდა, ბოთყი შირთყა თავის ეზოში მოწყენილი იჯდა.

– რა მოგივიდა? რატომ ხარ მოწყენილი? - ჰკითხა ინქარმა ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ.

ბოთყი შირთყა იყო ნათელმხილველი. საკმარისი იყო მას ადამიანისთვის შეეხედა, რომ მაშინვე მიმხვდარიყო მის გულისნადებს. როგორც კი შეხედა ინქარს, მაშინვე ამოიკითხა მისი ბნელი განზრახვა, თუ რა სურვილი ამოძრავებდა და რის გამოც იგი მასთან მივიდა. ამიტომაც იყო ბოთყი შირთყა შეფიქრიანებული და დამწუხრებული.

ბოთყი შირთყამ ინქარს დაასწრო და უთხრა:

– არ დაგავიწყდეს, რისი თქმაც გსურდა. ჯერ მე მომისმინე. წუხელ საოცარი სიზმარი ვნახე და ამან დამამწუხრა. თითქოს ჩემი მეომრებით გზაზე ვიდექი. ზაფხულის ცხელი დღე იდგა. მთელი ის ად-

გილები ღრანტეებით, თხრილებითა და ორმოებით იყო დასერილი. მგზავრობით დავიღალეთ და ჩვენი ცხენებიც დაიღალნენ. ამას თან დაერთო ისიც, რომ საკვების მთელი მარაგი გაგვითავდა და შიმშილი დაგვატყდა. აშკარა იყო, თუ გზას გავაგრძელებდით, შიმშილით დავიხოცებოდით. ყველაფერი ისე აეწყო, რომ უკან უნდა გავბრუნებულიყავით. უკანა გზაზე მადლიან ტბას წავაწყდით. მისი წმინდა წყალი ლურჯად ლივლივებდა. ტბაში მშვენიერი თევზები დაცურავდნენ. მის ნაპირზე ხალხი ისვენებდა. ჩვენც გადავწყვიტეთ შევჩერებულიყავით და დაგვესვენა. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენ სურვილს ახდენა არ ეწერა, რადგან უზარმაზარმა გველეშაპმა სარმაქმა ტბას ალყა შემოარტყა. მივხვდით, რომ მას ვერ ვაჯობებდით. ამიტომ ყველანი შეუმჩნევლად უკან გამოვბრუნდით. როცა უკვე დავრწმუნდით, რომ გველეშაპ სარმაქს გადავურჩით, ზურგიდან ხმაური შემოგვესმა. გავიხედეთ და დავინახრეთ, რომ გველეშაპი სარმაქი გვიახლოვდებოდა. ვერ მოვასწარით იმის გარკვევა, თუ რა მოხდა, როცა მან ადამიანურ ენაზე მოგვმართა: „მე თქვენთვის არა ვარ საშიში. გაჩერდით, რაღაც უნდა გითხრათ“. ჩვენ გაოცებისაგან ადგილზე გავშეშდით, რადგან გველეშაპი სარმაქი ჩვენ მიმართ სამშვიდობოდ იყო განწყობილი და ჩვენს ენაზე გველაპარაკებოდა. გველეშაპი სარმაქი მოვიდა, მოგვესალმა და ჩვენც მივესალმეთ. ამის შემდეგ გველეშაპმა თქვა: „კარგად მომისმინეთ და თქვენს ამხანაგ ინქარს გადაეცით, რომ საქმე, რომელიც მან განიზრახა, არ გამოუვა. ამის გამო მას დიდი უბედურება დაატყდება. უთხარით: უკუაგდოს თავისი განზრახვა. თუ თავის სურვილზე ხელს არ აიღებს, ის უეჭველად დაიღუპება.

ბოთყი შირთყას სიზმრის მოსმენის შემდეგ ინქარმა თქვა:

– ბოთყი შირთყა, მე თავდავიწყებით შემიყვარდა მელხათ აზა, რომელიც ნართი თუოხის ცოლი აღმოჩნდა. შენთან რჩევისათვის მოვედი, როგორ მოვიტაცო ქალი, როგორ ვიბრძოლო და გავიმარჯვო ნართ თუოხზე.

– ეეჰ, - ამოიოხრა ბოთყი შირთყამ, - გულში უმსგავსი განზრახვა ჩაგიდია. გითხარი, რომ სარმაქმა ჩემს სიზმარში რჩევა მოგცა. მართალია, ეს სიზმარია, მაგრამ წინასწარმეტყველური სიზმარია და

უნდა გაფრთხილდე. ეს ხუმრობა არ არის - სხვისი ცოლის წაყვანა, თანაც სახელგანთქმული ნართის ცოლის მოტაცება. ბინძური საქმე მოგიფიქრებია.

– ბოთყი შირთყა, - შეეპასუხა ინქარი, - რაც შენ ნახე, მხოლოდ სიზმარია. ესე იგი არ გინდა, რომ რჩევა მომცე, ენას ამოგგლეჯ.

თქვა ეს სიტყვები, აიღო ხანჯალი და საძაგელი ინქარი მრისხანედ დაიძრა ბოთყი შირთყასკენ. ბითყი შირთყამ კი მაშინვე ლურჯ ტბაში ჩაყვინთა და მის ზვირთებში გაუჩინარდა.

ინქარმა ინანა, რომ გაცხარდა. მან ბოთყი შირთყას ხვეწნა დაუწყო, რომ ტბიდან გამოსულიყო, მაგრამ შირთყას არ სურდა უღირს საქმეში მონაწილეობის მიღება. მაშინ გაცეცხლებულმა ინქარმა თავისი მებრძოლებით თუოხის სახლისკენ გაქუსლა. როცა იქ მივიდნენ, მათ შეიტყვეს, რომ თუოხი სანადიროდ წასულიყო და სახლში მხოლოდ მელხათ აზა იმყოფებოდა. როგორც წესი, თუ მამაკაცი სახლში არ იქნებოდა, იმ ოჯახში სტუმრად არ შედიოდნენ. მაგრამ თავად ინქარსა და მის მეომრებს ადათი არაფრად მიაჩნდათ. ისინი ეზოში შევიდნენ და ქალს სტუმრებად წარუდგნენ. მელხათ აზა დაიბნა, რადგან არ ეგონა, თუ ისინი სახლში შევიდოდნენ. ქალმა დააბინავა მათი ცხენები, შეუძღვა სასტუმროში და დასხა. თვითონ კი სამზადისს შეუდგა.

ინქარმა ქალს მოსვლის მიზეზი არ აუხსნა და მასპინძელს ბოროტი კითხვების დასმა დაუწყო: - ვინ არის შენი ქმარი? რამდენად ძლიერია? შეუძლია ბრძოლა? მელხათ აზას თვალთმაქცობა და ეშმაკობა არ შეეძლო და უცნობ სტუმარს ყველა შეკითხვაზე გულწრფელად პასუხობდა.

როცა ქალი საქმის გასაკეთებლად გარეთ გავიდა, ინქარმა და მისმა მეომრებმა თათბირი დაიწყეს და გადაწყვიტეს: თუ თოუხი, მართლაც, ისეთი ჭაბუკი იყო, რასაც მისი ცოლი ყვებოდა, მაშინ პატიოსან ბრძოლაში მას ვერ აჯობებდნენ. მელხათ აზამ თუოხის შესახებ სტუმრებს უამბო: როცა მისი ქმარი ნადირობიდან ბრუნდებოდა, იღლიებში ორი მოკლული ირემი ჰყავდა ამოდებული; თუოხი ჭადარს ფესვებიანად გლეჯდა; ის მტერს ერთი დარტყმით მიწაში სვამდა.

ინქარის ერთი მეომარი ჯადოსნობის უნარს ფლობდა. მან თქვა, რომ როგორც კი თუოხი გამოჩნდებოდა, მას დააძინებდა. ინქარსა და სხვებს გაუხარდათ, განაცხადეს, რომ დანარჩენ საქმეებს ისინი თვითონ მიხედავდნენ.

მალე მათ დაინახეს, რომ თუოხი ნადირობიდან ბრუნდებოდა. ორი ხელით მას ორი ირემი მოჰქონდა. მელხათ აზამ ქმარს უთხრა, რომ სახლში სტუმრები ელოდებოდნენ. თუოხი მაშინვე ტყეში წავიდა, ორი ჭადარი ფესვებიანად მოგლიჯა, მოიტანა და შუა ეზოში დაადგო, ცოლს კი უბრძანა, სტუმრებისთვის მდიდრული ვახშამი მოემზადებინა. შემდეგ კი თუოხი სტუმრებთან შევიდა და მიესალმა. სტუმრებმაც სალმითვე უპასუხეს. თუოხმა, როგორც მასპინძლის წესი იყო, მათ არ გამოჰკითხა, თუ ვინ იყვნენ, ან რა მიზნით ესტუმრნენ.

ინქარი ურცხვად ცრუობდა და ტყუილებს ყვებოდა. როგორც კი საუბარი შეფერხდა, შავმა გრძნეულმა ნართმა რამდენიმე სიტყვის წარმოთქმის ნებართვა ითხოვა. მას ნება დართეს და ჯადოსანმა შელოცვის წარმოთქმა დაიწყო. ამის გამო თუოხს ზეზეურად თვლემა მოერია და მერე კი საერთოდ დაეძინა. მტრებმა ის ღვედებით მაგრად შებოჭეს. თუოხის ისე ღრმად ეძინა, რომ არც კი გატოკებულა.

ინქარმა და მისმა ბრბომ გაიხარა. ეზოდან მათ ჯერ კიდევ ნახევრად უმი ირმის ხორცი შემოიტანეს და ჭამას ხარბად შეუდგნენ, მელხათ აზას კი უთხრეს:

– სამგზავროდ მოემზადე, ამ სახლში შენი ბედნიერება დასრულდა. დღეიდან თავად ინქარის ცოლი გახდები.

– თქვენ გაიმარჯვეთ, - უთხრა მელხათ აზამ და ეშმაკობას მიმართა, - მე თქვენთან მოვდივარ. მართალია, მას სძინავს, მაგრამ ნება მომეცით, დავემშვიდობო.

– შეგიძლია დაემშვიდობო. - უთხრა საქმის ასე იოლად დასრულებით გახარებულმა ინქარმა.

სანამ ისინი ღრეობდნენ და ერთობოდნენ, მელხათ აზამ ქმარს ტუჩებთან ჯადოსნური სარკე მიადო, შემდეგ მოატარა თვალებზე, ღვედებზე. თასმები მოეშვა. თუოხი გონზე მოვიდა და ღვედები გაგლიჯა.

– მათ შელოცვით დაგაძინეს და მოსაკლავად გაგიმეტეს, მე კი წაყვანას მიპირებდნენ. - უთხრა ქმარს მელხათ აზამ.

მტრებმა თავიანთი იარაღი ფაციფუცით წამოკრიფეს. მელხათ აზამ კედლიდან ჩამოგლიჯა და ქმარს მისი განსაკუთრებული, გამძლე ფოლადის გორდა მიაწოდა.

– თქვენ მოხვედით ჩემს სახლში და თავი სტუმრებად მოგვაჩვენეთ, მიიღეთ ჩემი პურ-მარილი, ყველანი ცდილობდით უღირსი საქციელის ჩადენას. თქვენ ხართ ღვთისა და ადამიანების მტრები, - დაუყვირა თუოხმა, - არავინ გაიცინებს, რომ თუოხიმ თავის სახლში სტუმრები დახოცოს. ახლა მშვიდობიანად გიშვებთ. თუ კაცები ხართ, სამი დღის მერე, დილით, ტყესთან დაგელოდებით და იქ გავსწორდეთ.

ისინი კმაყოფილი დარჩნენ, რომ ასე ადვილად დაშორდნენ. ინქარი და მისი მეომრები გასასვლელს მიაწყდნენ, ისეთი ზედახორა გამართეს, რომ კარები ჩამოაგდეს.

დანიშნულ დროს თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული თუოხი მითითებულ ადგილას მივიდა. მოვიდა ინქარიც, რომელსაც კვლავ თავისი ბრბო ახლდა, ოღონდ სამჯერ უფრო მრავალრიცხოვანი, ვიდრე ადრე ჰყავდა. დაიწყო საშინელი ბრძოლა. ბრძოლის წინ, მთელი ღამის განმავლობაში მელხათ აზა უზენაესს ევედრებოდა, რომ თუოხის სხეული ფოლადოვანი გამხდარიყო და ვერანაირი იარაღი მას ვერ მიკარებოდა. მართლაც, ბრძოლის დროს თუოხისადმი მიყენებული ვერცერთი დარტყმა მიზანს ვერ აღწევდა. სამაგიეროდ, თუოხმა მტრებს ზედიზედ სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. საბოლოოდ ცოცხალი მხოლოდ ინქარი გადარჩა. ისინი ერთმანეთს შეებნენ. ინქარიც ხომ მარჯვე მებრძოლი იყო და არ ტყდებოდა. მაშინ მელხათ აზამ მოიშიშვლა თავისი შუბლი და მტრისკენ მიმართა მზის სხივები, რომელმაც ინქარი დააბრმავა. თუოხი მისთვის უხილავი გახდა.

თუოხმა თავისი ხმალი მაშინვე ძირს დაუშვა და ინქარს მიმართა:

– ახლა მშვიდობიანად გიშვებ, რადგანაც ჩვენს საქმეში ქალი ჩაერია. საშუალებას არ მივცემ, ხალხმა ილაპარაკოს: „ცოლი რომ არ

მიხმარებოდა, თუოხის მოკლავდაო, რადგან ცოლი მიეხმარა, ინქარზე გაიმარჯვაო“.

ინქარი ლაჩრულად გაიქცა.

თუოხმა თავის ცოლს უთხრა:

– შენს სახლში დაბრუნდი. ჩვენი ერთად ცხოვრების ბედნიერება დამთავრდა. მამაკაცების ბრძოლაში უაზროდ ჩაერიე და შემარცხვინე.

რა არ მოიმიზეზა მალახათ აზამ, მაგრამ ვერაფერმა უშველა, ბოლოს ქმარს უთხრა:

– ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გამაფრთხილეს, რომ ადამიანებთან არანაირი ურთიერთობა არ მქონოდა. ასე დაემართება ყველას, ვინც რჩევას არაფრად აგდებს. მივდივარ, მაგრამ მანამდე მინდა ერთი საიდუმლო გაგანდო: ინქარი არ არის ჩვეულებრივი ადამიანი და ასე მარტივად მას ვერ მოკლავ. როცა ინქარს განგმირავ და მის სიკვდილში დარწმუნდები, ის კვლავ გაცოცხლდება, რადგან მას თავში აქვს ყუთი, რომელშიც ჩიტი ზის. ინქარის სული იმ ჩიტშია. მისი მოკვლა შეიძლება, მაგრამ ჯერ ეს ჩიტი უნდა მოკლა.

ქალი თავის სახლში დაბრუნდა. ინქარმა და მისმა მეომრებმა კი თუოხის მოკვლა განიზრახეს, რადგან მან არაერთი სახელოვანი მებრძოლი მოუკლა. ინქარი ვერ მოისვენებდა, სანამ შურს არ იძიებდა. ისინი მარჯვე დროს ელოდნენ, რათა ბოლოს და ბოლოს მოეკლათ თუოხი.

ერთხელაც თუოხი მაღალ მთებში ნადირობდა. მოულოდნელად ინქარი და მისი შავი ნართები თუოხს მიეპარნენ და თავს დაესხნენ. მაგრამ მტრებმა ვერ გაიმარჯვეს. თუოხმა, ვინც ახლოს იყო, ხმლით განგმირა, ვინც შორს იყო - მშვილდ-ისრით დახოცა და ბოლოს ცოცხალი მხოლოდ ინქარი გადაურჩა. ეძგერნენ ისინი ერთმანეთს. დილით დაწყებული ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა. თუოხმა იმარჯვა და ინქარი სასიკვდილოდ დაჭრა. ის მკვდარი იწვა, არ სუნთქავდა. აი გავიდა დრო და თუოხმა დაინახა, მისი მტერი თანდათან როგორ ცოცხლდებოდა. თუოხს მელხათ აზას რჩევა გაახსენდა. მან ინქარის თავი გააპო, ყუთიდან ჩიტი ამოიყვანა და თავი წააწყვიტა. ინქარმა სული განუტევა.

თუოხი ძალიან წუხდა, რომ მელხათ აზას ცხელ გულზე დაშორდა. მან ქალთან თხოვნით პატივსაცემი შუამავლები გაგზავნა, რომ სახლში დაბრუნებულიყო. ხალხი მასთან მივიდა, მაგრამ მელხათ აზამ თავი შორს დაიჭირა და შუამავლებს დაუბარა:

– არ ვიცი, რატომ მოხვედით. ადამიანს ცოლად არ უნდა გავყოლოდი. ახლა შემოდგომა დადგა და მე მამაჩემთან - მზესთან მივდივარ, თუმცა თქვენ მაინც დაგელოდეთ. თუოხს გადაეცით, რომ ვწუხვარ ჩემს საქციელზე. ჩვენ ერთად ვეღარ ვიცხოვრებთ.

მელხათ აზამ დანა აიღო და მუცელი გაიჭრა. იქიდან მან ლამაზი ბიჭი ამოიყვანა, ისეთი როგორიც მზე. ბიჭი შუამავლებს გადასცა და სთხოვა:

– ბიჭი თავის მამას - თუოხის გადაეცით. თქვენ გეუბნებით და თქვენ კი მას უთხარით: ამ ბავშვისგან დიდებული ნართი გაიზრდება, რომელიც თავის მამას გმირობით აჯობებს. ჩვენს ვაჟს ვერცერთი ნართი ვერ შეედრება და როცა გაიზრდება, ის ნართების წინამძღოლი გახდება.

მაშინვე ციდან ოქროს კიბე[5] ჩამოეშვა და მელხათ აზა კიბით მაღლა, ცაში ავიდა. მალე კიბეც და ქალიც გაუჩინარდნენ. გაგზავნილმა შუამავლებმა ბიჭი თავის მამას მიუყვანეს და მელხათ აზას სიტყვებიც გადასცეს.

ვაჟს მოახაზი[6] დაარქვეს. ის იმ ნართი ქალების რძით იკვებებოდა, რომლებსაც ძუძუთა ბავშვები ჰყავდათ. ბიჭი თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა. თხუთმეტი წლის ასაკში ის ძალითა და ჭკუით ყველა ნართს ჯობდა.

რადგან მოახაზი ღვთაებრივი მელხათ აზას ვაჟი იყო, უზენაესმა მას წელიწადში ერთხელ ცაში ასვლისა და დედასთან სტუმრობის უფლება მისცა. ერთხელაც, მორიგი სტუმრობის დროს, მელხათ აზამ შვილს უთხრა:

– შენ დავაჟკაცდი და გაძლიერდი. ნართების სოფელსა და მთელ ნართებს თქვენთან ნერთბი განაგებს. ის დაბერდა. ჭკუა და ძალღონე მას ძველებურად აღარ მოსდევს. მისი ძალაუფლება შენ უნდა გადმოგეცეს. ბედისწერამ ასე განსაზღვრა. წადი და ძალაუფლება ხელში აიღე.

– იქნებ შებრძოლება მოგვიხდეს, შევძლებ მის დამარცხებას? - ჰკითხა მოახაზმა დედას, რადგან ნართებს წესად ჰქონდათ, ვინც ძალაუფლებას ხელყოფდა, ბელადთან უნდა ეჭიდავა და მორეოდა.

– მასთან ბრძოლას არ გირჩევ, - გააფრთხილა მელხათ აზამ, - აი რა გააკეთე: მთის ჯიქების მონაწველი რძით დიდი კასრი გაავსე. სამოცი ჭადრისგან ცეცხლი დაანთე და ერთი დღე-ღამე გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე დაწექი. შემდეგ ნაკვერჩხლებიდან პირდაპირ ჯიქის რძით სავსე კასრში სამი დღე-ღამე დაჰყავი.

მოახაზი მიწაზე დაბრუნდა. სამოცი ჭადრისგან კოცონი დაანთო, რომელიც ცას სწვდებოდა. სანამ ხეები იწვოდა, მოახაზი მთაში წავიდა და ჯიქების მონაწველი რძით მთელი კასრი გაავსო. ის ერთი დღე და ღამე გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე დაწვა. მთელი მისი სხეული გაწითლდა, როგორც სპილენძი. ნაკვერჩხლებიდან მოახაზი პირდაპირ ჯიქის რძით სავსე კასრში ჩავიდა, რომელშიც სამი დღე და ღამე გაატარა, რის შემდეგაც ვაჟმა თავის სხეულში არაჩვეულებრივი სითბო და ძალა იგრძნო. ის ფოლადოვანი გახდა. ახლა მას უკვე აღარაფერი ეკარებოდა: არც ხმალი, არც ხანჯალი. შემდეგ ვაჟი კვლავ თავის დედას ესტუმრა.

მელხათ აზამ შვილს ურჩია:

– შენს სხეულს ზიანს ვეღარავინ მიაყენებს, რადგან ის ფოლადოვანია. მხოლოდ თვალებს გაუფრთხილდი. ნაკვერჩხლებზე რომ იწექი, თვალები დახუჭული გქონდა, რის გამოც შენც ისეთივე თვალები გაქვს, როგორიც ნებისმიერ ადამიანს. ის შენი სუსტი ადგილია[7].

როცა მიწაზე დაბრუნდა, მოახაზი ბელადის სახლთან მივიდა:

– გამოდი, ნერთბი! მე მოახაზი ვარ, ნართ თუოხის ვაჟი. მოვედი, რათა შენ ნაცვლად ნართების წინამძღოლი გავხდე. - დაიძახა ვაჟმა ბელადის სახლის კარიბჭესთან.

ნერთბი თავისი ეზოდან გამოვიდა და სოფლის მოედანზე მივიდა. ისინი ერთმანეთს შეებნენ. ბოლოს მოახაზმა ასწია ბელადი მაღლა და მთელი ძალით მიწაში კისრამდე ჩააგდო. მთელი დღე, დილიდან საღამომდე, მოედნის შუაგულში მიწიდან ნერთბის ამოშვერილი თავი მოჩანდა.

საღამოს მოახაზმა ის მიწიდან ყურით ამოათრია და უთხრა:

– აქ, მოედანზე, მოხუცებთან იჯექი, რადგან წინამძღოლად უკვე აღარ ვარგიხარ!

ამის შემდეგ მან ნერთბი მშვიდობიანად გაუშვა. ნართებმა კი მოახაზი მაშინვე თავიანთ თამადა-წინამძღოლად გამოაცხადეს.

მრავალი წელი გავიდა. ერთხელ ნართები მტერს ებრძოდნენ. ბრძოლაში მოახაზი თვალს არ გაუფრთხილდა. მტრის ისარი მოახაზს თვალში მოხვდა და ამ ჭრილობით იგი გარდაიცვალა.

47. სეთალი და ტყის ტახი

ნართი სეთალი მწარედ ჩაფიქრებული იჯდა.

ბრძენმა მოხუცმა ქალმა ჟერ-ბაბამ ჰკითხა:

– რაზე ჩაფიქრებულხარ, სათალ? მიამბე, იქნებ რამეთი დაგეხმარო.

– მე ახალგაზრდა კაცი ვარ და უკვე არაერთი საგმირო საქმის ჩადენა მოვასწარი. მაგრამ არ ვიცი, რა გავაკეთო ისეთი, რომ ჩემი დიდების შესახებ მთელმა ქვეყანამ ისაუბროს. - დაიჩივლა სათალმა.

– ტყუილად დარდობ, ნართებს შორის შენი სახელი აუცილებლად განითქმება. - დამშვიდება დაუწყო ბრძენმა დედაკაცმა. მას არ უნდოდა, რომ ვაჟს თავი საფრთხეში ჩაეგდო.

– რაც გავაკეთე, ნებისმიერ ნართს შეუძლია მისი გაკეთება. მე კი მინდა ისეთი გმირობის ჩადენა, რომელზეც ყველგან და ყოველთვის ილაპარაკებენ. - უპასუხა ვაჟმა.

ჟერ-ბაბამ იცოდა, რომ ნართები მოუსვენარი მეომრები იყვნენ და თუ ისინი რამეს ჩაიფიქრებდნენ, კიდევაც შეასრულებდნენ. ადგა ქალი და ვაჟს ასეთი რჩევა მისცა:

– აი, ამ შვიდი მთის იქით ცხოვრობს ერთი საშინელი ტახი[1]. დღემდე მას ვერავინ გაუსწორდა. თუ ძალა და გული გერჩის, წადი და მოკალი.

– ასეთ რამეს როგორ მირჩევ! - აღშფოთდა სეთალი. - რა გამოვა, თუკი მოვკლავ რაღაც ტახს? ხალხი უბრალოდ იტყვის: „სეთალი სანადიროდ წავიდა და ღორი მოკლაო“. შენ მთავაზობ საგმირო საქმეს, რომლის გაკეთება უბრალო მონადირესაც კი შეუძლია.

– ვერც ერთმა მონადირემ და ვერც ერთმა ნართმა იმ ტახის მოკვლა დღემდე ვერ შეძლო. ის უბრალო ტახი არ არის. ის საშინელი ურჩხულია, - დაიწყო ჟერ-ბაბამ მოყოლა, - ის სიდიდით მთის ხელაა. ტახს თავზე ათი ეშვი აქვს, თითოეული მათგანი ჭადრის ხეზე დიდია. ნესტოები სალუდე ქვაბივით აქვს, რომელშიც მთელი ხარი ჩაეტევა. ნესტოებიდან ტახი ცეცხლსა და ორთქლს აფრქვევს. მისი თითოეული ჯაგარი შუბის წვერივით არის წაწვეტებული. მთის ფერდობებს დინგს რომ წამოსდებს, ის მთელ აულებს ჩამოშლის ხოლმე. ყველაფერს განურჩევლად შთანთქავს. ერთ წელიწადში მას მთლიანი მთის გადაჩიჩქვნა შეუძლია. ამ უშველებელმა ტახმა სულ შთანთქა, რაც სამოცდასამ მთაზე[1] ცოცხლობდა და იზრდებოდა. ის შვიდ წელიწადში შვიდ მთასაც გადაჭამს და ჩვენამდეც მოაღწევს. ადამიანი არ უნდა დაელოდოს, სანამ უბედურება მის სახლამდე მიაღწევს. კაცი ბოროტებას წინ უნდა აღუდგეს. თუ იმ ურჩხულს მოკლავ, კაცთა მოდგმას იხსნი და ეს უდიდესი ვაჟკაცობა იქნება, ამაზე დიდ გმირობას ვერასოდეს ჩაიდენ!

სეთალს ალმური მოედო. წარმოიდგინა, როგორ საშინელ მოწინააღმდეგეს უნდა შებმოდა და ბრძოლის ჟინმა აიტაცა. ჟერ-ბაბასგან მისასვლელი გზა შეიტყო და ვაჟიც მაშინვე გზას დაადგა. მის ვეებერთელა ცხენს დურსი ერქვა. სეთალი ჭადრის ხელა იყო, ხოლო მისი ცხენი - სამი ჭადრის ხელა. დურსის ფლოქვებქვეშ მიწა იძვროდა, მას თვალებიდან ცეცხლის ნაპერწკლები სცვიოდა, ნესტოებიდან ორთქლის კორიანტელი კვამლივით ბოლქვ-ბოლქვად გამოსდიოდა.

სეთალს ცხენი ჭენებით მიჰყავდა, რამდენიმე მთა გადაიარა და ახალგაზრდების მოზრდილ ჯგუფს, ძლიერ და მამაც ნართებს გადაეყარა. ისინი დროს მხიარულ ნადიმებში ატარებდნენ. როგორც კი მივიდა სეთალი, ისინი მაშინვე გარშემო შემოეხვივნენ, სთხოვეს, ჩამოქვეითებულიყო და მათი მეინახე გამხდარიყო.

– დრო არ მაქვს, დიდ საქმეზე მიმეჩქარება. თუ გამარჯვებული მოვბრუნდი, მაშინ გამხიარულებაც შეიძლება. - უპასუხა სეთალმა.

– ჩვენც წაგვიყვანე. მაინც არ გვყავს ოჯახები, ცხოვრება მოსაწყენი გახდა, დიდი ხანია არსად გვილაშქრია. - ხვეწნა დაუწყეს ახალგაზრდებმა.

– ან ახლა მარტო გავიმარჯვებ, ან... დრო მოვა და იმქვეყნად შევხვდებთ! - შეუძახა სეთალმა და გზა ჭენებით განაგრძო.

რამდენიმე მთის იქით მან წრეში შეკრებილი ქალიშვილები დაინახა. ისინი სამოთხის ფერიებივით ლამაზები იყვნენ. გოგონები თაფლის შეჭამადს შეექცეოდნენ, ნაზი ხმით საოცარ სიმღერებს მღეროდნენ და დიდებულად ცეკვავდნენ. ისინი გზად მიმავალ სეთალს სიყვარულით შემოეხვივნენ და ხვეწნა დაუწყეს:

– ჩვენთან ერთად დაისვენე. შენც და შენს ცხენსაც გაბანავებთ. გემრიელი კერძებით გიმასპინძლებთ, სურნელოვან ღვინოს დაგალევინებთ, სამოთხის საგალობლებს გიმღერებთ. იქნებ რომელიმე ჩვენგანი მოგეწონოს და მასზე დაქორწინდე.

სეთალი ათრთოლდა და მხოლოდ ერთი უზანგიდან გამოყო ფეხი, მაგრამ დურსმა მკაცრად დაიჭიხვინა. სეთალმა უზანგში ფეხი შეყო და ქალიშვილებს მიმართა:

– თუ ცოცხალი გადავრჩი, უეჭველად დავბრუნდები და ყველა თქვენგანზე ვიქორწინებ! დურსმა ვაჟი ელვის სისწრაფით გააქროლა. მეშვიდე მთამდე ჭენებით მივიდა. უცბად მათ დაინახეს შავი, მთასავით უზარმაზარი არსება, რომელიც ფერდობზე ადიოდა.

– ცოცხალი მთა არასოდეს მინახავს! - წამოიძახა სეთალმა.

– ეს მთა არ გეგონოს! ურჩხულისფერი ტახი მოძრაობს, - უთხრა დურსმა და სეთალს ასწავლა, თუ უჩხულს როგორ უნდა შებმოდა, - ის მუდამ ჯიქურ მიიწევს. ტახს გვერდიდან უნდა ებრძოლო, რადგან ყველაზე საშიში მისი სასიკვდილო ეშვებია. მე ფლოქვებით გვერდიდან მივუხტები, შენ კი ამ დროს ეშვები დაუმტვრიე.

ისინი ტახს გვერდიდან ათჯერ დაეჯახნენ. სეთალმა ათივეჯერ ერთიმეორის მიყოლებით წაკვეთა ბასრი ეშვები. დურსმა თავისი დაჭედილი ფლოქვებით ტახის ფერდი მთლიანად გააპო. ტახს ბრძოლა უკვე აღარ შეეძლო. ძლევამოსილმა ნართმა ტახი შიგ გულში დაჭრა და შიგნეულობა გამოუღო.

– ტახისგან ნაძარცვ განძეულობას სასწრაფოდ დაეუფლე, სანამ ტახი მყრალ, მომწამვლელ სუნს ამოაფრქვევს.

სეთალი ოქროთი, ვერცხლითა და მარგალიტებით სავსე განძს დაუფლა, ცხენს მოახტა და ელვის სისწრაფით შინისკენ გაქუსლა.

სეთალი ქალიშვილებთან მივიდა, დაისვენა და ინადიმა, შემდეგ მათ შორის საცოლედ სამი ყველაზე ლამაზი ქალიშვილი ამოირჩია. დანარჩენი ქალიშვილებიც მან ცხენზე შემოისხა და მამაც ნართებთან მივიდა. იქ კვლავ ნადიმი გაიმართა. სეთალმა დანარჩენი ქალიშვილებიც ახალგაზრდა ნართებს ჩამოურიგა და სამი ქვაბი განძეულობაც მათ დაუტოვა.

ისინი სამი დღე და სამი ღამე საერთო ქორწილში ნადიმობდნენ. სეთალი თავისი მშვენიერი ცოლითა და განძეულობით შინ დაბრუნდა. მან დიდი ნადიმი გამართა, რომელზეც მთელი ნართი ხალხი დაპატიჟა. იმ დღიდან ვაჟს შეარქვეს „საშინელი ტყის ტახის გამგმირავი ნართი სეთალი“.[3]

ბრძენ ჟერ-ბაბას კი ვაჟმა ერთი ქვაბი ოქრო საჩუქრად გადასცა.

48. ბოთყას მოგზაურობა ვამპალეგის ქვეყანაში

იყო დრო, როცა ნართი ბოთყა[1] მეტისმეტად გაბუდაყდა. ის ყველას ეკითხებოდა:

– ვინ შემედრება? ვინ მჯობია?

ხშირად ბოთყა ნადავლის მოსაპოვებლად სათარეშოდ მიდიოდა. თუ გზაზე მგზავრი შეხვდებოდა, აუცილებლად ეტყოდა:

– მეჭიდავე, თუ კაცი ხარ!

– თავი დამანებე, შენთან გასაყოფი არაფერი მაქვს. - პასუხობდა გამვლელი.

– ასე, ხომ! - ამბობდა ის და უნაგირიდან ახლოს მდგარ ხეს მოიწვდიდა, მიწაზე დაღუნავდა, შემხვედრს მასზე მიაბამდა და ხეს გაუშვებდა. მგზავრი ხეზე ეკიდა, იგრიხებოდა, მერე რაღაცნაირად ეშვებოდა და შეშინებული გარბოდა.

თავის ცოლსაც არ ასვენებდა და წამდაუწუმ ეუბნებოდა:

– აბა, თქვი, რომ ამ ქვეყნად მე არავინ მჯობნის!

– არა, არავინ არის ისეთი, ვინც შენ გაჯობებს. - პასუხობდა ცოლი.

– რადგან ასეა, დაიწყე ცეკვა! - ეუბნებოდა ბოთყა ცოლს, თვითონ ღიღინს იწყებდა, ტაშს უკრავდა და ცოლს აიძულებდა, რომ ეცეკვა.

ითმინა ცოლმა, დიდხანს ითმინა, მაგრამ ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო:

– არაფერი გაქვს სატრაბახო, არც ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც შენ გჯობნიან. წადი ჩემს ბიძაშვილთან და შენ თავად დარწმუნდები, არიან თუ არა შენი მჯობნი.

– რაკი ასე მტკიცედ ამბობ, წავალ, მაგრამ ვაი შენი ბრალი, თუ ცდები.

ბოთყამ ცოლის ნათესავებთან გაქუსლა. ის იმდენად იყო გაბრაზებული, რომ, ყოველგვარი საუბარის გარეშე, ვინც კი გზაზე შეხვდა, ყველა ხეზე მიაბა. ამჯერად მან ათი კაცი ჩამოკიდა.

ბოლოს თავისი ცოლის ნათესავების ქვეყნამდე მიაღწია. ბოთყას ცოლი არ ეკუთვნოდა ნართების ჯილაგს, ის იყო გოლიათ-ვამპალების მოდგმის ქალი. ამის შესახებ ბოთყამ არაფერი იცოდა, რადგან ქალს ჩვეულებრივი სიმაღლე ჰქონდა.

ვამპალების ქვეყანაში რომ მივიდა, მან მდინარის პირას ახალგაზრდა კაცი დაინახა, რომელიც თევზაობდა. ანკესის ჯოხად მას გასხეპილი ჭადარი ეჭირა. დამჯდარი ახალგაზრდა ცხენზე ამხედრებულ ბოთყაზე მაღალი იყო. ამ დროს ვამპალმა ანკესით თევზი დაიჭირა, რომელიც შემთხვევით ბოთყასა და მის ცხენს მოხვდა. ის იმდენად დიდი იყო, რომ ბოთყა ცხენიანად შორს მოისროლა.

ბოთყა და ვამპალი ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. გოლიათმა გაიგო, რომ მგზავრი მისი სიძე იყო. ვამპალმა მასთან ანგარიშის გასწორება გადაწყვიტა, რადგან გაგონილი ჰქონდა, რომ ბოთყა მის დას აბუჩად იგდებდა და აიძულებდა ქალს ეცეკვა.

მდინარის პირას ჩამომჯდარმა ვამპალმა ტყეში ხელი გადაყო, მიწიდან ხე ამოგლიჯა, მასზე თევზი დადო და ბოთყას უთხრა:

– ხე ცხენის კუდს გამოაბი და ეს თევზი იმ გზაზე გაათრიე. იქ ჩვენი სახლია. ჩემს ცოლს უთხარი, რომ თევზი შეწვას, ამასობაში მეც მოვალ.

ცხენმა ხე თევზიანად წვალებით გაათრია. გოლიათის ცოლს ბოთყამ მისი ქმრის თხოვნა გადასცა. მან კი უთხრა:

– თუ აქედან, რაც შეიძლება, სწრაფად არ გაიქცევი, შავი დღე დაგადგება. მას დიდი ხანია შენთან ანგარიშის გასწორება სურს. ის

ოცნებობს, როდის დაგარტყამს ხანჯალს და როდის გაცეკვებს იქამდე, სანამ მკვდარივით არ დაეცემი.

– ახლა გავიგე, რომ არიან ადამიანები, რომლებიც მე მჯობნიან. გთხოვ, გადამარჩინე! - შეეხვეწა ბოთყა.

– ეს ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ თქვენ, ნართები, მეტად ამაყი და მედიდური ხალხი ხართ. - უთხრა ქალმა საყვედურით.

იმ ადგილებში უზარმაზარი, ცხენის ხელა ყვავები დაფრინავდნენ. ქალმა ყვავს ხელი სტაცა, დაიჭირა და მას ზურგზე ბოთყა ცხენიანად მიაბა.

– ეს ყვავი შორს წაგიყვანს, მერე კი, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. - უთხრა ქალმა და ყვავი გაუშვა.

ისინი შორს გაფრინდნენ. ერთ ადგილას ტყეს გადაუფრინეს. ყვავმა გადაგდებული შიგთავსი დაინახა და მასზე დაჯდა. ბოთყა ყვავიდან ცხენიანად გადმოვიდა და ცქერა დაიწყო. მან უზარმაზარი ადამიანი დაინახა, რომელთანაც მეთევზე პატარა ბავშვად მოეჩვენებოდათ. გოლიათი ნადირობდა. ის წელში ორად მოხრილი მოდიოდა, რათა ტყეზე მაღალი არ გამოჩენილიყო და იქ მობინადრე ცხოველები არ დაეფრთხო. თუკი გოლიათი წელში გაიშლებოდა, ის უეჭველად მთაზე მაღალი იქნებოდა.

ისინი ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. ბოთყამ თავი მის სტუმრად გამოაცხადა. გოლიათმა ნართი შინ მიიპატიჟა და ვახშმად სამი ირემი შეუწვა. მან სტუმარი გემრიელად და ნოყივრად ავახშმა. შემდეგ კი სხვადასხვა თემაზე საუბარი დაიწყეს. ბოთყამ მასპინძელს უამბო, რაც ცოტა ხნის წინ შეემთხვა.

მაშინ მონადირემ უთხრა:

– ახლა ხომ მაინც დარწმუნდი, რომ არიან ადამიანები, რომლებიც გჯობნიან. გაჯობა მეთევზემ? - გაჯობა. მე ვაჯობე მეთევზეს? - ვაჯობე.

– დიახ, ზუსტად ასეა. აი, შენ კი საეჭვოა, რომ ოდესმე ვინმემ გაჯობოს. - დარწმუნებით უთხრა ბოთყამ.

– იცოდე, ამ ქვეყნად არიან ადამიანები, რომლებიც მეც მჯობნიან. მოგიყვები ერთი შემთხვევის შესახებ. რასაც გიამბობ, თუ სიმართლე იქნება, აი, ჩვენს მახლობლად რომ ნედლი ფიჭვის ხე დგას, ცეცხლი თავისით მოეკიდოს.

და მან მოყოლა დაიწყო:

თავის დროზე მეტისმეტად თავდაჯერებული კაცი ვიყავი და ვთვლიდი, რომ ვერავინ შეძლებდა ჩემს დაჯაბნას. ჩემ თავში დარწმუნებული, ერთხელ სანადიროდ წავედი. უეცრად ტრიალ მინდორზე უზარმაზარი კოშკი დავინახე. ახლოს რომ მივედი, ის ადამიანის თავის ქალა აღმოჩნდა. ორის ნაცვლად შუბლის შუაში ერთადერთი თვალის ბუდე ჰქონდა. ეტყობოდა, რომ თავის ქალა იქ დიდი ხანია ეგდო, რადგან მასზე ბუჩქები ამოსულიყო და შიგ ჩიტებს ბუდეები გაეკეთებინათ. იმ დროს მქონდა ჯადოსნური მათრახი, რისი დახმარებითაც შემეძლო ნებისმიერი სურვილის ასრულება. ბევრი აღარ მიფიქრია, თავის ქალას მათრახი გადავკარი და წარმოვთქვი: „ისეთი სახით გაცოცხლდი, როგორიც წინათ იყავი, მაგრამ ისე, რომ ადგილიდან ერთი ნაბიჯის გადადგმაც ვერ შეძლო“.

აბა, რას იტყვი! გაცოცხლდა თავის ქალა და ცისკენ აღიმართა. გოლიათი სიდიდით დიდ მთას აჭარბებდა. დაიწყო მან ტანის ტრიალი, ადგილიდან დაძვრას ცდილობდა, მაგრამ მისი ფეხები თითქოს მიწაში ჩაზრდილიყო. ალაპარაკდა და მისი ხმა ცის გვრგვინვასავით ისმოდა:

– ეს რა არის? გავცოცხლდი? ადგილიდან გადაადგილება არ შემიძლია?

– ასეთი მე გაგაცოცხლე. აქ დიდხანს იწექი? შენ რა კაცი ხარ? შენს დროზე მომიყევი.

– ჩემს დროებაზე მეკითხები? ის იყო მეტად ბარაქიანი დრო. ტყე იმ დროს ჩემი სიმაღლის იზრდებოდა. ახლა კი რომ ვხედავ ტყეს, მაგ სიმაღლის უწინ ბალახი იზრდებოდა. შენ კი როგორი პატარა ხარ? ალბათ ცოტას ჭამ.

– ერთ ჯერზე ერთი ცხვარი მყოფნის.

– ეეჰ, ყველაფერი წახდა. ჩვენს დროში საკვები მეტად ყუათიანი იყო და ცხვრის ერთი ნეკნით ვნაყრდებოდით. შენ რა კაცი ხარ? რას ეძებ?

– მე ნართების თემიდან ვარ. წამოვედი, რათა ამ ქვეყნად მეპოვა ისეთი ადამიანი, რომელიც მაჯობებდა. და აი ვიპოვე, რასაც ვეძებდი, - ეს შენ ხარ. შენ ხომ ვერავინ გაჯობებს!

– ცდები! არიან ისეთებიც, რომლებიც მეც მჯობნიან. მოგიყვები ამის შესახებ... ახალგაზრდა ვიყავი, როცა აი ამ მინდორზე მივდიოდი. დავინახე სამუშაოდ გამოსული მთიბავი. ის ისეთი მაღალი იყო, რომ მას თავზე ბოხოხი ეხურა, რათა მზეს არ შეხებოდა და თავი არ დაეწვა. გამოველაპარაკეთ ერთმანეთს და მან მითხრა:

– ახლა შენ ჩემი სტუმარი ხარ. ვცხოვრობ აი, ამ მთის იქით. წადი და ჩემს ცოლს უთხარი, რომ ქვაბი და შეშა მოამზადოს და მეც მალე მოგეწევი.

მივედი და მის ცოლს გადავეცი, რაც დამაბარა: მთიბავი სთხოვდა, რომ მოემზადებინა ქვაბი და შეშა ვახშმისათვის.

– იცი, ის რის მოხარშვას აპირებს სავახშმოდ? - მკითხა ქალმა.

– არა, არ ვიცი.

– ჩემი ქმარი ისეთ გზააბნეულ ადამიანებს ჭამს, როგორიც შენ ხარ. აი, ახლა სადაცაა გამოჩნდება და კარგი დღე არ დაგადგება. როგორ მეცოდები!

– შენს ღმერთს გაფიცებ, მიხსენი მისგან! - შევევხვეწე მე.

– რამ მოგაფიქრა ჩემი ღმერთი დაფიცება! სხვა გზა არ მაქვს, უნდა დაგეხმარო, მაგრამ როგორ, არ ვიცი. მას აქვს ძლიერი ყნოსვის უნარი, ის ალბათ გიპოვის.

ეს არაჩვეულებრივი სიმაღლის გოლიათი ქალი დაფიქრდა. ამ დროს მიწამ ზანზარი დაიწყო: ცხადი იყო, მთიბავი შინ ბრუნდებოდა.

შენ აი, აქ დაგმალავ. - თქვა გოლიათმა ქალმა. მან კაბის კალთა აიწია და თავის ჭიპში ჩამმალა.

– სად არის ის ჭიანჭველა-კაცუნა, რომელიც აქ გამოვგზავნე? - დაიღრიალა მან.

– არ ვიცი, ვისზე მეუბნები. ჩვენს ველურ ადგილებში განა ადამიანს იპოვი?

მან არ დაიჯერა და ყველგან ყნოსვა დაიწყო, მაგრამ ვერ მოიფიქრა, რომ თავისი ცოლისთვისაც ეყნოსა. როცა სუნი ვერ აღმოაჩინა, დაწყნარდა. ივახშმა და დაღლილს მალევე ჩაეძინა.

მისმა ცოლმა კი მამალი დაიჭირა, მისი ფრთის ქვეშ ამომდო და გაგვიშვა. ის ქალი ფლობდა ჯადოქრობის ძალას და მამალს პირდა-

პირ ჩემი შინ მიყვანა უბრძანა. აი ასე გადავრჩი. მერე ჩვენი დიდი ოჯახი ამ მამალს მთელი თვე ჭამდა და მეზობლებსაც ცოტა როდი შეხვდათ.

როცა იმ ქალის ჭიპში ვიჯექი, მისი მუცლის ხმაურისგან ისე დავყრუვდი, რომ მთელი თვე ყურში აღარ მესმოდა.

იცოდე, მამაკაცმა არასოდეს არ უნდა თქვას, რომ მისი მჯობნი კაცი არ მოიძებნება. ქვეყანაზე არცთუ ცოტა ადამიანია, რომელიც შენც გაჯობებს და მეც მომერევა.

ძალიან მწირი დროება დამდგარა და ამას ვერ შევეგუები. დაე, ისევ თავის ქალად ვიქცე.

„კვლავ თავის ქალად გადაიქეცი, როგორიც ადრე იყავ!“ - ვთქვი და მათრახი ფეხზე გადავუჭირე. გოლიათი კვლავ თავის ქალად იქცა.

უცებ იქვე მდგარი ფიჭვი თავისით აბრიალდა.

სახლში დაბრუნებულმა ბოთყამ თავის ცოლს უთხრა:

ახლა დავრწმუნდი, რომ ამქვეყნად არიან ადამიანები, რომლებიც ბევრად მჯობნიან.

49. თქმულება გოლიათ ვამპოლოჭებზე

ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. მოხუცები ასე გადმოგვცემენ: ერთ სოფელში ცხოვრობდა კაცი, რომელიც ცოლის თანდასწრებით ძროხას კუდით ასწევდა, ღობის იქით გადაიყვანდა და მიწაზე სვამდა, შემდეგ კვლავ ასწევდა და უკან გადმოიყვანდა. ამის შემდეგ ცოლს მუდამ სცემდა და თან ეკითხებოდა:

– მითხარი, ვინ არის ამ ქვეყნად ჩემზე ძლიერი?

ცოლმა არ იცოდა, ვინ იყო მასზე ძლიერი და ვისზე მიეთითებინა. ამის შესახებ პეზ-ამიევის ცოლმა გაიგო, მივიდა ძლიერი კაცის ცოლთან და უთხრა:

– შენ ეს როგორ არ გაგიგია, როცა მე, სოფელში უკანასკნელმა ქალმა, ვიცი ამის შესახებ. შენი ქმარი მთის იქით გადავიდეს. პირიქითში ხალხი თევზს ანკესით იჭერს. დაე, მათ გაეჯიბროს ძალ-ღონეში. ისინი შენს ქმარზე ძლიერები არიან.

საღამოს ძლიერი კაცი სახლში დაბრუნდა, ძროხა კუდით ასწია და კვლავ ჰკითხა მეუღლეს:

– მითხარი, ამ ქვეყნად ვინ არის ჩემზე ძლიერი?

ცოლმა მიუგო:

– გადადი მთის იქით და ნახავ კაცებს, რომლებიც თევზს ანკესით იჭერენ. ისინი შენზე ძლიერები არიან.

ღონიერი კაცი მთის იქით გადავიდა და სამი კაცი დაინახა, რომლებიც თევზს ანკესით იჭერდნენ. კაცმა მათ უთხრა:

– მოდი, ძალა მოვსინჯოთ!“

– ძალა რატომ უნდა მოვსინჯოთ? არ ვიცით, აქ რატომ მოხვედი. უმჯობესია, ახლოს მოხვიდე და ძალასაც მოვსინჯავთ.

კაცი მათთან მივიდა. ერთ-ერთმა ძმამ უთხრა:

– აი, დაიჭირე ეს ანკესი, სანამ მოვალ.

კაცმა ანკესი აიღო და მაშინვე მას თევზი დაეკიდა, რომელმაც ღონიერა წყლისაკენ წაიღო. მაშინ იმ ძმამ, რომელიც მასთან ახლოს იჯდა, მჯდომარემ, ღონიერას სტაცა და ერთი ხელით თავისკენ თევზიანად მიიზიდა.

– შენ კი ჩვენთან ასეთი ძალის მოსასინჯად მოსულხარ. - უთხრა ეს სიტყვები, შეუბერა და შუათანა ძმას გადაუგდო. ახლა მან შეუბერა და მესამე ძმასთან გადააგდო. და აი, მან დაიწყო ფრენა ერთი ძმიდან მეორე ძმისკენ.

– ღმერთმა გასართობი გამოგვიგზავნა. - ხარხარებდნენ ძმები.

სახლში რომ ბრუნდებოდნენ, ღონიერას კვლავ უბერავდნენ, ის კი მათ წინ გზაზე დაფრინავდა. ძმები დასასვენებლად შეჩერდნენ. მათ ისადილეს და დასაძინებლად დაწვნენ. განზრახული ჰქონდათ, რომ გაიღვიძებდნენ, მასთან მერეც ეთამაშათ. მაგრამ როცა ძმებმა დაიძინეს, ის გაიქცა.

გზაზე ის ერთ უზარმაზარ ადამიან-ვამპალს[1] შეხვდა, რომელსაც სახლში ცამეტი ურემი თივა მიჰქონდა. მას ცალი ხელი და ცალი თვალი არ ჰქონდა[2]. კაცმა ვამპალს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

– მე ვარ შენი და ღვთის სტუმარი[3].

ამ სიტყვების შემდეგ ვამპალს არ შეეძლო მგზავრი სტუმრად არ მიეღო და მას ურემზე ასვლა და თივაში ჩამალვა შესთავაზა.

– არა, იქ ვერ ავალ. კიდევ უფრო უსაფრთხო ადგილი მომიძებნე.

– სად მოგათავსო? აბა, მაშინ შარვალში ჩაძვერი.

ღონიერა ვამპალის შარვალში მთლიანად ჩაიმალა. ვამპალმა გზა განაგრძო. მას სამი ძმა მეთევზე სირბილით დაეწია:

– ჩვენი სათამაშო არ გინახავს?

– რა სათამაშო? მე არაფერი მინახავს.

– არა, შენ უნდა დაგენახა. გიჯობს, რომ გვითხრა.

– მომწყდით თავიდან, თორემ ახლავე ყველას დაგხოცავთ!

ჩვენი მოშორება ადვილი არ იქნება. ისეთს ცოტას თუ იპოვის კაცი.

მაშინ მან მოუქნია და ცალი ხელი ერთ-ერთ მათგანს ლოყაში მოარტყა. ამ ერთი დარტყმით სამივე ძირს დაეცა. ვამპალმა კი თავის სტუმარს მიმართა:

– ერთი ბეწვი უკანიდან გამომაძრე.

სტუმარმა ორივე ფეხები უკანალზე მიაბჯინა, ერთი ბეწვი გამოსწია, დიდი ძალისხმევით ამოგლიჯა და ვამპალს გადასცა. მან ბეწვი გამოართვა, სამივე ძმა შეკრა და თქვა:

– აბა, ახლა მითხარით, რა შეგემთხვათ?

ძმებმა ვამპალს უამბეს, თუ როგორ მივიდა ეს კაცი მათთან ძალის მოსასინჯად, როცა ისინი თევზაობდნენ; როგორ ბრუნდებოდნენ შინ და როგორ გაექცათ, როცა დასაძინებლად მიწვნენ.

მაშინ ცალთვალა ვამპალმა ძმებ-ვამპალებს უთხრა:

– აბა, მომისმინეთ. ჩვენ შვიდნი ძმანი ვიყავით და ძალის მოსასინჯად წავედით, რადგან ამ ქვეყნად თავი ყველაზე ძლიერ კაცებად წარმოგვედგინა. წავედით და გზაზე გოლიათური ტანის ცალთვალა მწყემსი გადაგვეყარა, რომელსაც თავისი უზარმაზარი ფარა გამოერეკა. როგორც კი დავინახეთ, შეგვეშინდა და იქვე ცხენის ვეებერთელა თავის ქალაში დავიმალეთ. მაგრამ მოვარდა მწყემსის უზარმაზარი ძაღლი და თავის ქალა ჩვენიანად მწყემსის ფეხებთან მიათრია.

– მადლობა, ჩემო ძაღლო, ძღვენისათვის. - უთხრა მწყემსმა. შემდეგ მან ცხენის ქალას ფოსოში ჯოხი გაუყარა, მხარზე შემოიდო და თავისთვის გზა განაგრძო, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.

სახლში რომ მივიდა, მან ჩემი ექვსი ძმა შამფურზე შეწვა, შეჭამა და დასაძინებლად დაწვა. მე დილით, საუზმისთვის მომიტოვა. როგორც კი მას ჩაეძინა, ავიღე შამფური, გავაცხელე ბუხარში და გავარვარებული ერთი დარტყმით თვალში ვაძგერე.

– ოჰ! დამაბრმავე? დამაცადე. სულ ერთია, ხელიდან მაინც ვერ დამისხლტები! - დამემუქრა მწყემსი.

დილით ის ცხვარს სათითაოდ გარეთ უშვებდა და თითოეულს ზურგზე ხელს უსვამდა, მე მეძებდა. გარდაუვალი დაღუპვა მელოდებოდა. ბრმა გოლიათი უეჭველად შემჭამდა. სასწრაფოდ ერთი თხა დავკალი, მისი ტყავი გადავიცვი და მწყემსთან გავიარე. გამოქვაბულიდან რომ გავედი, მისი ფარა გავირეკე და შორიდან დავუყვირე:

– შენ ჩემი ექვსი ძმა შეჭამე, მაგრამ გადავრჩი და თვალიც მოგთხარე. ახლა კი შენი ფარა მიმყავს.

როგორც კი ეს ვთქვი, მწყემსმა უზარმაზარი კლდე ისროლა იმ მიმართულებით, საიდანაც ჩემი ხმა შემოესმა. იმ კლდით მან ცალი ხელი მომწყვიტა და ერთი თვალი გამომთხარა. ჩემი რჩევა იქნება: ქვეყნიერებაზე ყველაზე ძლიერად თავს ნუ მიიჩნევთ, თქვენთვის მშვიდად იცხოვრეთ.

მან დაასრულა თავისი სიტყვა და ძმები გაათავისუფლა. ყველანი შინისკენ წავიდნენ.

50. კოჭლი მგზავრის საოცარი თავგადასავალი

ერთხელ ბოთყი შირთყამ, როცა თავისთვის იჯდა და გზას გაჰყურებდა, ერთი უცხო კაცი დაინახა. ის ხელჯოხს ეყრდნობოდა და გზას კოჭლობით მოუყვებოდა. ამასთან ერთად მას ცალი თვალიც არ ჰქონდა. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ მათ საუბარი გააბეს. ბოთყი შირთყამ მგზავრს ჰკითხა:

– ასე რომელ ომში დახეიბრდი?

– ეჰ, კარგი იქნებოდა ომში დამმართვნოდა. თუ სურვილი გაქვს გაიგო, როგორ დავსახიჩრდი, მოგიყვები.

შვიდი ამხანაგი ვიყავით, მთელ ნართებში განთქმული მამაცობითა და ვაჟკაცობით. ყველა ჩვენ შემოგვნატროდა. ასე ვცხოვრობ-

დით: როცა მოგვეპრიანებოდა, ნადავლის ასაღებად სათარეშოდ მივდიოდით, როცა გართობა მოგვინდებოდა, სანადიროდ მივდიოდით. ვიღაცისგან გავიგეთ, რომ ერთ ადგილზე ცხოვრობდა არაჩვეულებრივად ძლიერი ვამპალი, რომელიც ცხვრის უზარმაზარ ფარებს ფლობდა. „როგორი ძლიერიც არის და რასაც წარმოადგენს, მაშინ გავიგებთ, როცა მასთან მივალთ“. - ამაყად წარმოვთქვით, რადგან ეჭვიც კი არ გვეპარებოდა მის დამარცხებაში, გზას დავადექით. გზაზე ვინც გვხვდებოდა, ყველას მის ასავალ-დასავალს ვეკითხებოდით. დიდი მანძილი გავიარეთ და ბოლოს ვამპალის გამოქვაბულს მივაღწიეთ. როგორც კი უზარმაზარი ქვა დავინახეთ, რომლითაც გამოქვაბულის შესასვლელი იყო ჩახერგილი, მივხვდით, რომ ვამპალთან გასაჯიბრებლად ძალა არ გვეყოფოდა. ქვა, რომლითაც ის გამოქვაბულის შესასვლელს ღამით ხერგავდა, ჩვენ, შვიდმა, ადგილიდან ვერ დავძარით. სიტუაცია რომ ავწონ-დავწონეთ, ჩვენმა წინამძღოლმა თამადამ თქვა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ სასწრაფოდ დავტოვებდით იქაურობას. ავჩქარდით წასასვლელად, მაგრამ უეცრად ჩამობნელდა, თითქოს ცას ღრუბელი გადაეკრა. როგორც აღმოჩნდა, ვამპალი თავის გამოქვაბულში ბრუნდებოდა და ის მზეს მოეფარა. როცა დაგველაპარაკა, თითქოს მეხმა დაიგრუხუნა: „-რატომ გაურბიხართ ჩემს მასპინძლობას? ახლავე უკან მოტრიალდით!“ წინამძღოლმა გვირჩია, რომ გავფანტულიყავით, მაგრამ რა ხეირი! გოლიათმა კვერთხით ერთად შეგვაქუჩა და თქვა: „-ბაჭიებო, დიდი ხანია ჩემთან აღარ მოხვედრილა ისეთი სულიერი, როგორიც თქვენ ხართ!“ მან გამოქვაბულში წაგვიყვანა და ზემოდან უზარმაზარი ქვაბი დაგვახურა. შემდეგ შემორეკა ცხვარი და გამოქვაბული ქვით მჭიდროდ დაკეტა. მან ქვაბი ასწია, აგვიყვანა და წელზე ხელის მოსმით სათითაოდ დაგვსინჯა: „რა გამხდრები ყოფილხართ, - თქვა მან და დაამატა, - ცხვრის ხორცი უკვე მომწყინდა, რა ხანია ადამიანის ხორცი აღარ მიჭამია. სავახშმოდ, ალბათ, შვიდნი მეყოფით.“

გოლიათმა კერია გაახურა, უზარმაზარი შამფური აიღო და სათითაოდ მასზე აბნევა დაგვიწყო. ექვსი ჩვენგანი რომ ააბნია, მითხრა: „შენგან რა ხეირია, გალეულო, როცა იქნება, შენც გადაგსანსლავ“. ამ სიტყვებით ვამპალმა გვერდით მომისროლა.

მან შამფური ცეცხლზე მსუბუქად დაატრიალა და ჩემს ნახევრად უმ ამხანაგებს სათითაოდ შეჭმა დაუწყო. გამძღარმა გოლიათმა ღრმა ძილით დაიძინა.

გადარჩენის ყოველგვარი იმედი დავკარგე და სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი. მაგრამ მაინც დავიწყე ფიქრი იმაზე, რომ რამე გამოსავალი მეპოვა. გადავწყვიტე, რომ მისთვის ერთადერთი თვალი გამომეთხარა. კერია ჯერ ისევ ბჟუტავდა და მასში შამფურის წვერი ჩავდე. ის მალე გაწითლდა. შამფური რის ვაივაგლახით წავათრიე და რაც ძალი და ღონე მქონდა, ის ვამპალს პირდაპირ თვალში ვაძგერე. მაშინვე გამოქვაბულის შორეულ მხარეს გადავხტი. ის საშინელი ყვირილით წამოხტა, გამოქვაბულს აქეთ-იქით აწყდებოდა და მის კედლებს თავსა და ხელებს ურტყამდა. ბოლოს დაცხრა და მომმართა: „ასე რატომ მომეპყარი? ნუთუ იმიტომ, რომ ცოცხალი დაგტოვე? ასეა?“

მივხვდი, მას ჩემი ხმის გაგონება უნდოდა, რომ დავეჭირე და დავდუმდი.

გათენებისას ცხვრებმა ყურთასმენის წამღები ბღავილი ატეხეს. ვამპალმა შემოსასვლელის ქვა გადააგორა, შემდეგ გამოქვაბულის გასასვლელში ჩადგა და დაიწყო ცხვრების სათითაოდ გარეთ გაშვება. ის თითოეულს ზურგს უსინჯავდა. უზარმაზარ თხას, რომელიც სიდიდით ბუღას ჰგავდა, გარეთ გასვლა ჯერ კიდევ ვერ მოესწრო. მე მის ბეწვს მოვეჭიდე ქვეშიდან. ასე, შეუმჩნევლად, გამოქვაბულიდან გავედი და მოშორებით გავჩერდი. ვამპალმა გამოქვაბული ჩახერგა და თქვა: „იჯექი ახლა გამოქვაბულში, საღამოს გაგისწორდები“. „-რას მიზამ, ბრიყვო გოლიათო, შენ ხომ სრულიად ბრმა ხარ?“ - შევუძახე შორიდან.

თავისუფლებით იმდენად გახარებული ვიყავი, რომ საფრთხე დამავიწყდა, რის გამოც მაშინვე ვინანე. ვამპალმა ჩემკენ მყისვე ლოდი ისროლა, რომელიც ხელში ეჭირა. კიდევ კარგი გადახტომა მოვასწარი, თორემ ჩემგან აღარაფერი დარჩებოდა. ქვა იქვე ახლოს კლდეს მოხვდა და მისი ნამსხვრევები აქეთ-იქით გაიფანტა. ერთ-ერთმა მათგანმა თვალი გამომთხარა, ხოლო მეორემ წვივი გადამიმტვრია.

მე ძლიერ გავმწარდი, მაგრამ ხმა არ ამომიღია. მერე დიდი ტანჯვით სახლამდე მივაღწიე. იმ დროიდან გარსკოგი-კოჭლი შემარქვეს.

ბოთყი შირთყას მგზავრი შეებრალა. ის მაშინვე მიწის ქვეშ გაუჩინარდა და მალევე გამოჩნდა. მან ჯადოსნური სალესავი ძელაკი მოიტანა, მგზავრს ჯერ თვალზე გადაუსვა, შემდეგ - ფეხზე. გარსკოგს მაშინვე დაუბრუნდა მხედველობა და კოჭლობითაც აღარ კოჭლობდა.

51. ქოლოი კანთი და სამი ძვის აღმართვა

ცხოვრობდა სამი ძმა. მათ შორის ყველაზე უმცროსი იყო ქოლოი კანთი[1]. უფროსი ძმები და მშობლები მას არ ამუშავებდნენ და ადრეული ასაკიდან მოყოლებული, ის მხოლოდ ვარჯიშობდა და სხეულს იწრთობდა. მან შვიდი წელი უფროსი ძმების ხარჯზე იცხოვრა. როცა ქოლოი კანთმა განსაკუთრებული ძალის მოზღვავება იგრძნო, მუშაობა დაიწყო. ქოლოელი ვაჟი მწყემსი გახდა, რადგან მას მეცხვარეობა განსაკუთრებით იზიდავდა. ამ დროს ქოლოი კანთს სულ ოციოდე ცხვარი დაუდიოდა, მათ შორის ერთი ადამიანის ენაზე მოლაპარაკე ვაციც ჰყავდა, რომელსაც თავისი პატრონის სახელს - ქოლოის - ეძახდნენ.

როცა ქოლოი კანთი თავისი ცხვრის სამწყემსად პირველად წავიდა, გზა დაებნა და რამდენიმე მთის იქით გადავიდა. თორმეტი წლის მანძილზე მის შესახებ აღარაფერი ისმოდა. ქოლოელი ვაჟის ფარა კი იმდენად გაიზარდა, რომ ცხვრის დათვლა შეუძლებელი გახდა. იმ არემარეზე, სადაც მისი ცხვარი ძოვდა, ფარას ბოლო არ უჩანდა. ქოლოი კანთი საღამოობით მთელ ცხვარს უზარმაზარ გამოქვაბულში აბინავებდა. გამოქვაბულს კარების ნაცვლად მიყუდებული ჰქონდა უზარმაზარი ბრტყელი ქვა, რომლის გადაადგილება მხოლოდ სამოც კაცს შეეძლო. ქოლოი კანთი კი იმ ქვას ერთი ხელით ეწეოდა და გვერდზე დგამდა.

სესქათ სოლსამ სამოც ორხუსთოელთან ერთად ნადავლის ხელში ჩასაგდებად სათარეშოდ წასვლა გადაწყვიტა. მაგრამ სანამ წავიდოდა, როგორც ამას მუდამ აკეთებდა, ბოთოყოთ შირთყასთან რჩევის საკითხავად მივიდა[2].

– თუ ნადავლის ხელში ჩაგდება გინდა, ქოლოი კანთთან წადი. მას უთვალავი ცხვარი ჰყავს, მაგრამ წინასწარ გაფრთხილებ, რომ მასთან ვერაფერს გახდები. ის მეტისმეტად ძლიერია. - უთხრა ბოთოყოთ შირთყამ.

– რას ლაპარაკობ, შირთყა, ორხუსთოელების წინაშე რატომ მარცხვენ? ნუთუ მე, სოლსას, რომელსაც ძალით, შემართებითა და სიმამაცით დღემდე მეტოქე არ გამომიჩნდა, მეცხვარეზე გამარჯვებას ვერ შევძლებ?

სესქათ სოლსა თავისი ამხანაგებით ცხვრის გამოსარეკად და ნადავლის ხელში ჩასაგდებად ქოლოი კანთისკენ გაეშურა. გამოქვაბულთან რომ მივიდნენ, სადაც ქოლოი კანთი იმყოფებოდა, ორხუსთოელებმა საერთო ძალით შესასვლელში დაყუდებული ქვა გაწიეს. როგორც კი ისინი გამოქვაბულში შევიდნენ, მათკენ ადამიანის ენაზე მოლაპარაკე ვაცი გამოქანდა და ჩხუბი დაუწყოთ.

– რას აკეთებ, ქოლოი, ნუთუ ვერ ხედავ, რომ სტუმრები გვეწვივნენ[3]? - მშვიდად უთხრა ქოლოი კანთმა, რომელმაც მხოლოდ მაშინ გაიღვიძა. მან თხას გაგდება დაუწყო, მაგრამ იმ დროს სამოცივე ორხუსთოელი ყველა მხრიდან თავს დაესხა, თვითონ სესქათ სოლსაც მას მივარდა. ქოლოი კანთმა ხელი გაიქნია და ყველა ორხუსთოელი გამოქვაბულის კედელზე გააკრა. სოლსას კი ისეთი სილა გააწნა, რომ ბზრიალასავით დაატრიალა. ისინი ქოლოელ ვაჟს ცოცხლები ძლივს გადაურჩნენ.

სოლსა ბოთოყო შირთყასთან დაბრუნდა და აღიარა, რომ ამ ქვეყნად მასზე ძლიერი ადამიანი ცხოვრობდა და ეს ქოლოი კანთი იყო.

– მაგრამ ან მე უნდა მოვკვდე და ან - ის, - დაუმატა სოლსამ, - შეუძლებელია ჩვენ ერთად ვიცხოვროთ ერთსა და იმავე დროში!“

სოლსამ ბოთოყოთ შირთყას სთხოვა, რომ გამოეძებნა ისეთი საშუალება, რომლითაც ქოლოი კანთს ძალას შეუმცირებდა, ან ესწავლებინა, როგორ გაემარჯვა მასზე.

– ერთი საშუალება ვიცი, - თქვა ბოთოყოთ შირთყამ, - ქოლოი კანთი რომელიმე ქალთან სასიყვარულო კავშირში უნდა გაებას. თუ ის ერთ-ორ კვირას ქალთან გაატარებს, ქოლოელი ჭაბუკი წინანდელ ძალას დაკარგავს[4]. თუ გსურს მეტოქეზე გამარჯვება, მას შენი

და მიუგზავნე. დაე, მან სცადოს ქოლოი კანთის შეცდენა. როცა ორი კვირის შემდეგ დანარჩენ ორხუსთოელებთან ერთად ქოლოი კანთისთან მიხვალ, თქვენ თამამად და თავისუფლად შეძლებთ მის შეკვრასა და ცხვრის გადმორეკას.

სოლსა ასეც მოიქცა. მან თავისი და ქოლოი კანთისთან გაგზავნა. ქოლოი კანთმა ქალი მიიღო და ღამით უცნობ სტუმარს ცხვარი დაუკლა. ვახშმის შემდეგ ისინი დასაძინებლად ცალ-ცალკე დაწვნენ. ცოტა ხნის შემდეგ სესქათ სოლსას და ადგა, მივიდა იმ საწოლთან, სადაც ქოლოი კანთი იწვა და მასთან დაწოლა შესთავაზა. ქალმა ვაჟს უთხრა, რომ მის ცოლად თვით ბედმა გაამწესა.

– მომშორდი აქედან, - მიუგო ქოლოი კანთმა, - იცოდე, ფიცი დავდე, რომ ცოლს არასოდეს შევირთავ. ხვალვე წადი ჩემგან. თუ რამე მოგესურვება, მთხოვე, მე სიამოვნებით მოგცემ ჩემი ფარის ნახევარს, ოღონდ შემეშვი!“

ქალი არ წავიდა და მაინც დარჩა. მეორე ღამეს ის კვლავ ქოლოი კანთის საწოლთან მივიდა. ვაჟმა ისევ გააგდო. მაგრამ მესამე ღამეს, როდესაც ქოლოი კანთმა ქალი კვლავ თავის საწოლთან დაინახა, ვაჟმა ვნება ვეღარ დაიოკა და ქალი საწოლში ჩაიწვინა. აქედან მოყოლებული ქოლოი კანთმა თავის სიტყვას უღალატა და მთელ დროს სესქათ სოლსას დასთან ერთად საწოლში ატარებდა. ის უკვე ფარას აღარ მწყემსავდა. ცხვარს მის ნაცვლად ადამიანის ენაზე მოლაპარაკე მისი თხა დასდევდა. გამოქვაბულიდან ფარას დილით ის ერეკებოდა და საღამოთიც ცხვარს თხა აბინავებდა. ქოლოი კანთი რაც უფრო მეტ დროს ატარებდა სესქათ სოლსას დასთან, მით უფრო მეტ ძალას კარგავდა. მას გამოქვაბულის შესასვლელთან ქვის მჭიდროდ მიდგმა უკვე აღარ შეეძლო. დღითიდღე შესასვლელი ფართოვდებოდა. ათი დღის შემდეგ გამოქვაბულში კაცი თავისუფლად შევიდოდა.

სოლსას არ დავიწყებია ბოთოყო შირთყას რჩევა. ორი კვირის შემდეგ ის ბოთოყო შირთყასა და თავის ორხუსთოელ ამხანაგებთან ერთად ქოლოი კანთისკენ გაეშურა. რადგან გამოქვაბულის შესასვლელი ღია იყო, ისინი იქ დაბრკოლების გარეშე შევიდნენ და სოლსას დის მუხლებზე მძინარე ქოლოი კანთს თავზე დაადგნენ. ორხუს-

თოელებმა, სანამ ვაჟი გაიღვიძებდა, ის ცხენის ძუისაგან გაკეთებული თოკით სწრაფად შეკრეს.

ქოლოი კანთს მხოლოდ მაშინ გაეღვიძა, როცა ის უკვე შეკრული იყო. გამოღვიძებული ვაჟი მის გაწყვეტას შეეცადა, მაგრამ ცხენის ძუა, რომლითაც შეკრული იყო, ძვლებამდე გაეჭირა. ორხუსთოელებმა მისი საყვარელი თხა დაკლეს და შეწვეს. ქოლოი კანთმა მათ სთხოვა, რომ დაკლული თხის რომელიმე ძვალი მიეცათ. ორხუსთოელებმა თხოვნაზე უარი უთხრეს.

– მე მივცემ, რასაც ითხოვს. - თქვა სესქათ სოლსას დამ და ვაჟს ბარკლის ძვალი მიაწოდა.

ქოლოელმა ვაჟმა ძვალი გამოართვა ქალს, რომელიც მისი დაუძლურების მიზეზი გახდა. იმ ძვლისგან კი მან ზურნა გააკეთა და მასზე სევდიანი ჰანგი დაუკრა[5]. ეს ხმა ქოლოი კანთის უფროსი ძმის ცოლს იმ დროს შემოესმა, როცა ის საღამოთი ეზოში ძროხებს წველიდა. მან თქვა:

– ასე მხოლოდ ჩემი უმცროსი მაზლი უკრავს და სხვა არავინ. როგორც ჩანს, მას რაღაც უბედურება შეემთხვა.

ქალი წავიდა, რომ ამის შესახებ ქმრისა და მეორე მაზლისთვის შეეტყობინებინა. მათ მაშინვე იქით გაქუსლეს, საითაც ორხუსთოელები ცხოვრობდნენ, რადგან მიხვდნენ, რომ მათ ძმას, ცხვართან ერთად, ორხუსთოელები წაიყვანდნენ.

ისინი ორხუსთოელებს ჯეირახისა და დარიალის ხეობებს შორის დაეწივნენ. მაგრამ ღმერთი ხედავდა, რომ თუ ქოლოი კანთის ძმები ორხუსთოელებს დაეწეოდნენ, სისხლისღვრა ატყდებოდა. ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცილებლად ღმერთმა მათ შორის მდინარე თერგი გაატარა ისე, რომ მარჯვენა სანაპიროზე დარჩა ცხვრის ნახევარი ფარა, ქოლოი კანთი, მისი ძმები და სესქათ სოლსას და, ხოლო მარჯვენა სანაპიროზე აღმოჩნდნენ ორხუსთოელები, ცხვრის დანარჩენი ნახევარი ფარით, რომელიც სესქათ სოლსას დის ურვადს[6] წარმოადგენდა. ქოლოი კანთმა დაინახა, რომ მას ორხუსთოელებისგან თერგი აცალკევებდა. მან აიღო გრძელი, ბრტყელი, უზარმაზარი ქვა და ორხუსთოელების მხარეს ისროლა, რადგან სურდა მათთვის თავისი ძალა და რისხვა დაენახვებინა[7]. ორხუსთოელებ-

მაც ქოლოი კანთს საპასუხოდ ესროლეს ასეთივე ქვა. დამუქრებისა და საკუთარი ძალის ჩვენების შემდეგ ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. ორხუსთოელები სანაბისკენ[8] გაეშურნენ. ქოლოი კანთი კი, თავისი ძმებითა და სესქათ სოლსას დით, რომელიც ცოლად შეირთო, შინ წავიდა. თავის მშობლიურ აულში რომ დაბრუნდა, ქოლოი კანთი დაინტერესდა, მას სურდა გაეგო, რა ძალა შერჩა დაქორწინების შემდეგ. ამ მიზნით ის ავიდა მთის მწვერვალზე და სამი ვეებერთელა სიდიდის ქვა[9] ერთმანეთზე დადო. ამის შემდეგ მას აღარავინ შეხებია და აღარც მისი ცხვრის გარეკვა უცდიათ[10].

52. სესქათ სოლსა და ქოლოი კანთი

ქოლოი კანთი მთაში ცხვარს მწყემსავდა. მისი ფარა რამდენიმე ათას სულ ცხვარს ითვლიდა. ქოლოი კანთს ბინა ერთ დიდ გამოქვაბულში ჰქონდა მოწყობილი. ის დაბინდებისას ცხვარს გამოქვაბულში აბინავებდა, მერე გამოქვაბულის შესასვლელს უზარმაზარი ლოდით კეტავდა, დილით კი მას ცხვარი კვლავ საძოვარზე მიჰყავდა. სოსქათ სოლსას ქოლოი კანთის ცხვრის ფარის გარეკვა უნდოდა, მაგრამ გამოქვაბული საიმედოდ იყო დაცული. მან თავისი მხედრების დახმარებითაც კი ვერ შეძლო გამოქვაბულის შესასვლელში აყუდებული ლოდის ადგილიდან დაძვრა. მაშინ ნართების წინამძღოლმა ხერხს მიმართა. სესქათ სოლსამ ქოლოი კანთს გამოქვაბულში ერთი მეტად ლამაზი ქალიშვილი მიუგზავნა. მან იცოდა, რომ ვაჟი ცდუნებას ვერ გაუძლებდა, რადგან მას ქალთან ინტიმური კავშირი არასოდეს ჰქონია.

ქალიშვილთან გატარებული პირველი ღამის შემდეგ ქოლოი კანთი ისე დასუსტდა, რომ მან გამოქვაბულის შესასვლელთან ქვის მჭიდროდ მიდგმა ვეღარ შეძლო. იმ ადგილას დარჩა ღრეჩო, რომელშიც კატა გაძვრებოდა. მეორე ღამის შემდეგ გამოქვაბულის შესასვლელში წინანდელზე უფრო დიდი ღიობი დარჩა. ხოლო მესამე ღამის შემდეგ გამოქვაბული უკვე ნახევრად ღია დატოვა. მაშინ სესქათ სოლსა გამოქვაბულში თავისუფლად შევიდა, მძინარე ქოლოი კანთი შეკრა და მთელი მისი ფარა გარეკა. ქოლოი კანთს ხელფეხშეკრულს გამოეღვიძა. მან ცხვრის ფეხის ძვალი აიღო, მისგან ზურ-

ნა გააკეთა, მელოდია დაუკრა და იმღერა. სიმღერის ხმაზე მაშინვე მისი რძალი გამოქვაბულში მივიდა და ვაჟს ხელ-ფეხი გაუხსნა. ქოლოი კანთი გამტაცებლებს დაედევნა და თერგთან რომ მივიდა, დაინახა, რომ სესქათ სოლსას გაღმა გასვლა უკვე მოესწრო. მას ცხვრის ფარის ნახევარიც მეორე ნაპირზე გადაერეკა. ქოლოი კანთს უნდოდა გაღმა ნაპირზე გადასვლა, მაგრამ მდინარეში წყალმა მოიმატა და ადიდებულ თერგში გასვლა ვეღარ შეძლო. გაბრაზებულმა ვაჟმა ორ უზარმაზარ ლოდს ხელი დაავლო, თერგისკენ ისროლა და სესქათ სოლსას გასძახა: - თუ დაგეწეოდი, მაშინ ნახავდი, რასაც გიზამდი!

ქოლოი კანთის ნასროლი ორივე ქვა მიწაში ნახევრად ჩაერჭო. სესქათ სოლსამაც სტყორცნა ქვა, უფრო პატარა, ვიდრე ქოლოი კანთმა ისროლა და ისიც იმ ადგილზე ისევე დგას მიწაში ჩარჭობილი. ეს ქვები მდინარე არმხის თერგთან შეერთების ადგილას იყო აღმართული, საქართველოს სამხედრო გზაზე, ჯეირახის საგუშაგოს მოპირდაპირე მხარეს. 30 წლის წინ ისინი ჯერ კიდევ იქ იყო, მაგრამ ცოტა ხნის წინ ქოლოი კანთის ნატყორცნი ერთი ქვა მდინარემ წაიღო.

53. ქოლოელი მწყემსი და წმინდა მხედარი

ძველად მთებში ქოლოი კანთი ცხოვრობდა. მას ჰყავდა სამი ათასი სული ცხვარი, რომელსაც გამოქვაბულში აბინავებდა. ქოლოელი ვაჟი ცხვარს საღამოობით გამოქვაბულში შერეკავდა, უზარმაზარი ლოდით შესასვლელს კეტავდა და მხოლოდ ამის შემდეგ წვებოდა დასაძინებლად. ეს ქვის ფილა, მან ერთ სწორ კლდეს ჩამოატეხა.

სესქათ სოლსამ გადაწყვიტა ქოლოი კანთი ტყვედ წაეყვანა. როცა ქოლოი კანთმა გამოქვაბულის შესასვლელი ჩაკეტა და დასაძინებლად დაწვა, სესქათ სოლსა თავისი მხედრებით მივიდა, მაგრამ მათ შესასვლელში აყუდებული ლოდის ადგილიდან დაძვრა ვერ შეძლეს. სესქათ სოლსამ მთელი ძალ-ღონე მოიკრიფა, მაგრამ ამაოდ. მაშინ სესქათ სოლსამ ქოლოი კანთს ერთი ქალიშვილი მიუგზავნა.

პირველ ღამეს ქოლოი კანთმა ქალიშვილს საუკეთესო ცხვარი დაუკლა. ქოლოი კანთი თავის ლოგინში ჩაწვა, ქალმა სხვა საწოლზე დაიძინა და ღამე ასე გაატარეს. დილით ვაჟმა დარჩენილი ხორცი მოამზადა, სტუმარს უმასპინძლა, თვითონაც ისაუზმა და ქალიშვილს მიმართა:

– თუ წახვალ - მშვიდობით გევლოს, თუ დარჩები - აქაც მშვიდად ყოფილიყავი! - თქვა ქოლოი კანთმა ეს სიტყვები და ცხვარი საძოვარზე გარეკა.

საღამოს ვაჟი თავისი ფარით გამოქვაბულში დაბრუნდა. ქალიშვილი არ წასულიყო. ქოლოი კანთმა ცხვარი ისევ დაუკლა, ავახშმა და დასაძინებლად დააწვინა. თვითონ კი ცალკე საწოლში დაწვა. მეორე დილით, ისევე როგორც წინა დღეს, ქოლოი კანთმა მას უმასპინძლა და წასვლის წინ უთხრა:

– თუ წახვალ - მშვიდობით გევლოს, თუ დარჩები - აქაც მშვიდად ყოფილიყავი!

სესქათ სოლსა გამოქვაბულის შესასვლელთან მივიდა და ქალიშვილს უთხრა:

– მე და ჩემს მხედრებს ასე შიმშილით დაგვხოცავ. აქ კაცი საჭმელს ვერსად იშოვის. შენი საქმე დროზე გააკეთე. თუ ჩემს დავალებას არ შეასრულებ, იცოდე, მოგკლავ!

საღამოს ქოლოი კანთი გამოქვაბულში დაბრუნდა. როგორც წინა ღამეს, ვახშმის შემდეგ ვაჟმა ახლაც ცალკე ლოგინში ჩაწოლა გადაწყვიტა, მაგრამ ქალიშვილმა მიმართა:

– შენ მერიდები და ცალკე საწოლში წვები. მაგრამ მე იმისთვის მოვედი, რომ შენი ცოლი გავხდე.

– თუ ასეა, კარგი. - უთხრა ვაჟმა და ქალიშვილთან დაწვა.

დილით ქოლოი კანთმა გამოქვაბულის შესასვლელში ქვის ფილა გასწია და ცხვარი გარეკა. მან ქვის ფილა თავის ადგილზე დადგა, მაგრამ ის იმდენად დაასუსტა ქალთან ყოფნამ, რომ გამოქვაბულის შესასვლელსა და ლოდს შორის ღრეჩო დარჩა, რომელშიც კატა გაეტეოდა. მეორე ღამის შემდეგ ის იმდენად დასუსტდა, რომ, როცა ქვის ფილის ადგილზე დადებას ცდილობდა, დარჩა ღრეჩო, რომელ-

შიც ცხვარი გაივლიდა. მესამე ღამეს დარჩა ღიობი, რომელშიც ნაბდიანი, იარაღასხმული კაციც შეძლებდა გავლას. მეოთხე ღამეს სესქათ სოლსა თორმეტ მხედართან ერთად გამოქვაბულში შეიჭრა. მათ შეკრეს ქოლოი კანთი, რომელიც ქალთან ერთად იწვა და ტყვედ წაიყვანეს. მისი ფარა კი წინ გაირეკეს.

შუადღით მათ იმ ხეობას მიაღწიეს, სადაც ახლა თერგი მიედინება. რადგან მეტად ცხელოდა, მხედრებმა იქ დასვენება და სადილობა გადაწყვიტეს. ქოლოელ მწყემსს ფარის წინამძღოლად ერთი დიდი ვაცი ჰყავდა, რომელიც სესქათ სოლსამ და მისმა მხედრებმა დაკლეს და მისი ხორცის საჭმელად დასხდნენ.

– შენი ვაცის ხორცს შეჭამ? - ჰკითხეს მხედრებმა.

– ხორცს არ შევჭამ, აი, მის კანჭის ძვალს კი გამოვხრავდი. - უპასუხა ქოლოი კანთმა.

მათ ტყვეს კანჭის ძვალი გადაუგდეს. ქოლოელმა მწყემსმა ძვალს ფრჩხილებით სატუჩე გაუკეთა, ნეკა თითით ძვალი ხუთ ადგილას გახვრიტა და ძვლისაგან ზურნა გააკეთა, რომელზეც მან სევდიანი ჰანგი დაუკრა.

ქოლოი კანთის დედამ, რომელიც იმ დროს მზეზე თბებოდა, შვილის დაკრული მელოდია იცნო. ის სახლში შევიდა და თავის ვაჟებს განუცხადა:

– დღეს ჩვენი ბიჭი სევდიან ჰანგს უკრავს. როგორც ჩანს, თავს რაღაც უბედურება დაატყდა.

ორმა ძმამ დასახმარებლად მაშინვე იქით გაქუსლა, საიდანაც მუსიკის ხმა მოდიოდა. როცა ძმებმა ცხენებით სამი ჯვრის უღელტეხილს ჩაუქროლეს, სადაც სამი ჯვარია[1] აღმართული, მათ ერთი უცხო მხედარი შემოხვდათ:

– გზაზე ვინმე ხომ არ შეგინიშნავს? - შეეკითხნენ ძმები მხედარს.

– დიახ, დავინახე, სესქათ სოლსასა და მის მხედრებს თუ როგორ მიჰყავდათ შეკრული ქოლოელი მწყემსი და როგორ მიერეკებოდნენ მის ფარას. - მიუგო მხედარმა.

ძმები მთიდან ჭენებით დაეშვნენ და მხედარიც თავის გზას გაუყვა.

– ისინი ერთმანეთს დახოცავენ და ბევრი სისხლი დაიღვრება. - გაიფიქრა მხედარმა. მან ცხენი მოაბრუნა და ძმებისკენ სწრაფად გაქუსლა.

დაღამებისას მათ თერგის ნაპირს მიაღწიეს, მაგრამ ღამით ბრძოლა აღარ დაუწყიათ. როცა ქოლოი კანთის ძმებმა დაიძინეს, უცხო მხედარმა, რომელიც მათ გზაში წამოეწიათ, ლოცვა აღავლინა:

– ღმერთო, დაე, ქოლოი კანთი და მისი ცხვრის ფარის ნახევარი თერგის გამოღმა დარჩეს, სესქათ სოლსა და მისი მხედრები კი, ფარის მეორე ნახევართან ერთად, გაღმა ნაპირზე გავიდეს, ხოლო მათ შორის დიდი მდინარე წარმოიქმნას, რომლის გადალახვას ვეღარავინ შეძლებს.

მანამდე თერგი პატარა ნაკადულივით მოედინებოდა. ამ ლოცვის შემდეგ კი ის ისეთი წყალუხვი გახდა, რომ მასზე გადასვლა აღარავის შეუძლია. ის მგზავრი კი, რომელმაც ღვთის სახელზე ლოცვა-ვედრება აღავლინა, ამბობენ, რომ წმინდა მხედარი იყო.

მდინარემ დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს დააშორა. ქოლოი კანთი, ნახევარი ცხვრის ფარა და მისი ძმები თერგის გაღმა დარჩნენ, ხოლო სესქათ სოლსა, თავისი მხედრებითა და ფარის მეორე ნახევრით მდინარის გაღმა მხარეს აღმოჩნდნენ.

– ჩემთან მაშინ მოდი, როცა შეკრული კი არ ვიქნები, არამედ თავისუფალი. აი, ნახავ, რასაც გიზამ! - გასძახა ქოლოი კანთმა მდინარის გაღმა, კლდეს ლოდი მოჰგლიჯა და სესქათ სოლსას მიმართულებით ისროლა. ლოდი პირდაპირ ქვაბს[2] მოხვდა, სადაც სესქათ სოლსა და მისი მხედრები ისხდნენ. ლოდი მიწაში ხუთი-ექვსი წყრთის სიღრმეზე ჩაერჭო, ამდენივე მიწის მაღლა დარჩა.

ქოლოი კანთი და მისი ძმები შინისკენ გაეშურნენ. სახლში რომ ბრუნდებოდნენ, ქოლოი კანთმა გაიფიქრა: „შემრჩაღა წინანდელი ჯანი?“ თავისი ძალა რომ შეემოწმებინა, მან დიდი ქვა აიტანა მთაზე.

– წინანდელი ძალ-ღონის მხოლოდ ნახევარიღა შემრჩენია. - ჩაილაპარაკა ქოლოი კანთმა. შემდეგ მან უფრო მომცრო ქვა აიტანა და პირველს დაადგა და ბოლოს, კიდევ ერთი ქვა მეორის თავზე აღმართა.

– დაე, მომავალმა თაობებმა იცოდნენ, რომ ეს ქვები მთის მწვერვალზე ქოლოი კანთმა აღმართა. - თქვა მან, დატოვა გამოქვაბული[3]. იმ დღიდან ქოლოი კანთი თავის ძმებთან ერთად კოშკში ცხოვრობდა.

54. სოსქათ სოლსა და ოხქარ კანთის ცოლი

სოსქათ სოლსა სოფელ ოხქაროში[1] წავიდა, რათა ოხქარ კანთისთვის[2] ცოლი წაერთმია. იმ დროს ოხქარ კანთი შინ არ იყო. ოახქაროელი ვაჟის ცოლმა რომ გაიგო, სოსქათ სოლსა მის მოსატაცებლად მივიდა, მკერდიდან რძე გამოიწველა და იმ რძით ფაფა მოამზადა, მასში სხვადასხვა ტკბილეულობა გაურია და თავის დედას სტუმართან გაატანა. სოსქათ სოლსამ არ იცოდა ფაფა რისგან იყო მომზადებული. მან ჭამა დაიწყო, ფაფა შეაქო და მოხუცს ჰკითხა, თუ ფაფა რისგან მოამზადეს. დედამ უპასუხა, რომ ფაფა მისი ქალიშვილის რძით იყო მომზადებული. მაშინ სოსქათ სოლსა მიხვდა, რომ ქალმა ხაფანგში გააბა, რადგან ოხქარ კანთის ცოლი იმ დღიდან მისი დედამძუძე ხდებოდა[3]. ვაჟი იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა.

55. მშვენიერი ალბიქა

სესქათ სოლსა იყო ყველაზე ძლიერი ვაჟკაცი უძლიერეს მამაკაცთა შორის. ის ღრუბლისფერი რაშით დაქროდა და გვერდით მუდამ ედგა სამოცი ორსთხოელი მხედარი. მისი ცხენი სიმაღლით სულ სამი წყრთა იყო, ხოლო მისი ფლოქვები კვიცისას არ აღემატებოდა. მას შეეძლო მაღალ მთებზე ცხენის ჭენება, ხოლო მეორე დღეს, სადილობისას, საქართველოში ჩასვლა.

სესქათ სოლსას მეგობარი იყო ოხქარხოი კანთი. მასაც არანაკლებ იცნობდნენ და დიდ პატივს სცემდნენ. ოხქარხოი კანთს ჰყავდა მეტად ლამაზი ცოლი, რომელსაც მშვენიერ ალბიქას ეძახდნენ. სესქათ სოლსამ ოხქარხოელი ჭაბუკისთვის ცოლის წართმევა გადაწყვიტა. ის შეჯდა თავის ნაცრისფერ ცხენზე და თავის სამოც მხედართან ერთად ოხქაროსკენ[1] გასწია. ოხქარხოი კანთმა ეჭვიც კი ვერ შეიტანა იმაში, თუ რა ჩაიფიქრა სესქათ სოლსამ.

ოხქაროში მისულ სესქათ სოლსას მშვენიერმა ალბიქამ უთხრა:

– სესქათ, სოლსა, შენ ხარ ღილღველთა ქვეყნის წინამძღოლი, ისევე როგორც ოხქარხოელი კანთი არის ქართველთა ქვეყნის მეთაური[2]. გაფრთხილებ, თუ ძალის გამოყენებით აპირებ ჩემ წაყვანას, მაშინ ვეღარ შეძლებ ქართველთა ქვეყანაში სტუმრობას და ოხქარხოელი კანთიც დაკარგავს ღილღველთა ქვეყანაში მოსვლის შესაძლებლობას. ეს არ უნდა დავუშვათ. მე მშვენიერი და ლამაზი ქალი ვარ. ახლა დრო მომეცი, მე ჩემი ნებით წამოვალ ოხქარხოი კანთისგან და ცოლად შენ გამოგყვები. - უთხრა ეს სიტყვები და სესქათ სოლსა ოხქაროდან გაისტუმრა. ქალი ცდილობდა სესქათ სოლსას მორიდებოდა, ქმარს კი მომხადარის შესახებ არაფერს ეუბნებოდა, რადგან იცოდა, რომ მათ შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა ატყდებოდა.

სესქათ სოლსამ ლოდინში შვიდი თვე მოუსვენრად გაატარა. მას მობეზრდა იმის ლოდინი, თუ ალბიქა თავის დანაპირებს როდის შეასრულებდა. სესქათ სოლსა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ალბიქამ მოატყუა იგი და ასეთ ხერხს მიმართა.

მან თავი მოიმკვდარუნა და თქვა:

– ვკვდები, ნამდვილად ვკვდები. როცა ჩემი აღსასრული დადგება, ოხქარხოი კანთის ცოლთან მაცნე გაგზავნეთ და ჩემი გარდაცვალება შეატყობინეთ. ჩემი ცხედარი კი სამი დღე-ღამის შემდეგ დაკრძალეთ.

სოლსას სურვილი აუსრულეს. მესამე დღეს სამძიმარზე მშვენიერი ალბიქაც მივიდა. ის სესქათ სოლსას ცხედართან დაჯდა და ყველასაგან შეუმჩნევლად მას სადგისით უჩხვლიტა. ალბიქას სურდა დარწმუნებულიყო, მართლა მოკვდა თუ არა სესქათ სოლსა. სესქათ სოლსა ალბიქას კი არ მივარდა, არამედ არც კი განძრეულა, რადგან სახლში სხვა ქალებიც ტრიალებდნენ.

ალბიქა სესქათ სოლსას სიკვდილში რომ დარწმუნდა, მოჰყვა მოთქმა-გოდებას და ასეთი ხმით ნატირალი წარმოთქვა:

– საიქიოვ, არ ხარ ღირსი სესქათ სოლსასი[3],

შენ იყავი, სოლსა, ღილღველების ქვეყნის მეთაური!

როცა ოთახიდან ყველა გავიდა და ალბიქა სოლსას სასთუმალთან მარტო დარჩა, ვაჟი წამოხტა და ქალს მოეხვია. ალბიქამ სთხოვა ჯერ მისთვის მოესმინა.

– სესქათ სოლსა, შენ მამაკაცი ხარ, ქვეყნის წინამძღოლი. ცხოვრებაში სახელი და პატივისცემა არ მოგკლებია, მაგრამ დღეს საკუთარი ღირსების შელახვა მოინდომე. ბავშვებიც კი ერთმანეთს ეტყვიან: „დაე, შენი ღირსება ისევე დაეცეს, როგორც სესქათ სოლსას ნამუსი, რომელმაც თავის სტუმარ ქალზე იძალადა. არ მინდა, რომ ჩემი სხეულის გამო სახელი და სინდისი დაკარგო. თუ მომისმენ, კიდევ უფრო ღირსეული და დაფასებული კაცი გახდები, ვიდრე აქამდე იყავი. ახლა დავუძახებ ხალხს და ვეტყვი, რომ სესქათ სოლსა არ მომკვდარა და სუნთქავს. შენ კი იმ დროს გაიღვიძე და ხალხს რამე მოუყევი საიქიოს შესახებ. დაე, თქვან, რომ შენ საიქიოში იყავი და მათ სულეთის ამბები უამბე. მე კი ყველგან ხმას გავავრცელებ, რომ სესქათ სოლსა სულეთში ჩავიდა და კვლავ დაბრუნდა მზიან ქვეყანაზე. ვიცი, არ მოისვენებ, სანამ ჩემი სხეულის გემოს არ გაიგებ. პირველ კვირას ოხქარხოელი კანთი ქართველების ქვეყანაში მიემგზავრება. მოდი ოხქაროში შენი სამოცი მხედრით და მაშინ შეძლებ ჩემი სხეულის სურნელით დატკბობას.

სოლსამ შეისმინა ქალის რჩევა. ამასობაში მასზე ხმა გავარდა, რომ სესქათ სოლსას შეეძლო სულეთში ჩასვლა და უკან, მზიან ქვეყანაზე, დაბრუნება.

დანიშნულ დროს სოლსა ოხქაროში მივიდა. ოხქარხოი კანთი, მართლაც, შინ არ დახვდა, სტუმართან შესახვედრად კი ალბიქა თვითონ გამოვიდა. მან სესქათ სოლსას უთხრა:

– კოშკში შემოდი და თან სამი ამხანაგი შემოიყვანე, რომ სუფრასთან შენთან ერთად დასხდნენ. დანარჩენი სამოცი ორხუსთოელი კი კოშკის ირგვლივ განლაგდეს.

სამოცი ცხენოსნისთვის მან ხარი დააკვლევინა, ხოლო სოლსასთვის მოამზადა უამრავი საჭმელი. ყველა იყო სხვადასხვა სახის, მაგრამ ყველა მათგანს ერთი გემო ჰქონდა. ამის გარდა, მან თავისი ძუძუს რძით ფაფაც მოამზადა.

სოლსა თანამესუფრეებთან ერთად ქალის მომზადებულ საჭმელს სინჯავდა. თითოეული მათგანი იყო სხვადასხვა სახის, მაგრამ ყველას ერთი და იგივე გემო ჰქონდა. ამ დროს ალბიქამ სოლსას წინ ვერცხლის თასით ფაფა დადგა და უთხრა:

– ეს ფაფა მხოლოდ შენთვის მომზადდა და შენ უნდა ჭამო. დარწმუნებული ვარ, ამ ფაფაზე გემრიელი არასოდეს არაფერი გიჭამია.

სოლსამ ფაფა შეჭამა. მაშინ ალბიქამ მას უთხრა:

– სესქათ სოლსა, მტრობა აგაცილეთ, რომელსაც შეიძლება მთელი ქვეყანა დაეღუპა. შენი მეგობარი ოხქარხოი კანთი შენი ძმა გავხადე. ახლა ის ღილღველთა ქვეყანას ვეღარ განუდგება, ისევე როგორც შენ, სესქათ სოლსა, ქართველების ქვეყნისგან თავს შორს ვეღარ დაიჭერ. შენი ამხანაგებისთვის ხარი მოვამზადე, შენ და შენს თანამესუფრეებს სხვადასხვა სახის, მაგრამ ერთნაირი გემოს მქონე კერძებით გიმასპინძლეთ. ეს საჭმელი ასევე მომზადდა ჭკუის სასწავლებლად, რომ იცოდე: ამ ქვეყნად ყველა ქალს სხვადასხვა იერი და გარეგნობა აქვს, მაგრამ როცა იგემებ, ყველას ერთი გემო აქვს! და კიდევ, სოლსა, შენ ჭამე ფაფა, რომელიც ჩემი ძუძუს რძით მოვამზადე. სესქათ სოლსა, რადგან შენ ჩემი რძე მიირთვი, ჩემი შვილობილი გახდი. ხოლო შვილმა არ შეიძლება გააკეთოს ის, რაც შენ ჩაიფიქრე.

მაშინ სოლსამ აღიარა და დააფასა ალბიქას სიბრძნე. მას შერცხვა ქალის წინაშე. იმ დღიდან სესქათ სოლსას ალბიქასთან საჩუქრად ჩერქეზეთიდან - ვერცხლი, ხოლო საქართველოდან - ოქრო ჩამოჰქონდა. ასეთი ვაჟკაცი გახდა სესქათ სოლსა. თვითონ კი ის იყო ღილღველი და ჩამომავლობით მაღათი[4].

56. სიქსოლსა და გუი

სიქსოლსა ცხოვრობდა კოშკებიან აულ ლელახში[1], გუი[2] კი - ტუმაღში, ასევე კოშკებიან აულში. ორივე ცნობილი ვაჟკაცი იყო. მათ შორის კი რატომღაც მუდამ იყო ფარული დაპირისპირება. ერთხელ სიქსოლსა[3] მეზობელ კოშკებიან სოფელ ქეზთან პირუტყვს აძოვებდა და ვიღაც ქვრივ ქალთან სასიამოვნო საუბარში გაერთო. დრო შეუმჩნევლად გავიდა. უპატრონოდ დატოვებული მისი ნახარი კი

ტუმღოელების მამულებში შევიდა. ტუმღოელმა გუიმ მთელი ეს უცხო ნახირი თავის ეზოში შერეკა. სიქსოლსამ, როგორც კი შეიტყო პირუტყვის დაკარგვა, მყისვე გუის ეზოს მიაშურა და სახლის პატრონი ორთაბრძოლაში გამოიწვია. შეთანხმდნენ, რომ იარაღის გარეშე, მხოლოდ მუშტებით იჩხუბებდნენ. სიქსოლსა გუის მოერია და მიწაზე დაანარცხა, მუხლებით მკერდზე დაეყრდნო და უკვე მზად იყო მის მოსაკლავად, როცა გუიმ სთხოვა:

– არ მომკლა და ჩემი მიწიდან ნაკვეთის იმ ნაწილს მოგცემ, რომელსაც ფეხით ერთი საათის განმავლობაში შემოირბენ.

სიქსოლსა დათანხმდა და გუი გაუშვა. სიქსოლსა გაიქცა და უკვე ნახევარ საათში სალგის კოშკებამდე მიაღწია. მის მცხოვრებლებს შეეშინდათ ერთიანად არ დაეკარგათ თავიანთი მამულები და სიქსოლსას დაუძახეს:

– ეჰეი, სიქსოლსა, სანამ აქ წინდაუკან დარბიხარ, შენი სახლის ჭერი ჩამოიქცა და შენი ოჯახიც შიგ მოიყოლა!

სიქსოლსამ დაიჯერა და უკან გაიქცა. სალგის მცხოვრებლებმა ასე მოახერხეს თავიანთი მამულების დაცვა.

გუი ვეებერთელა ვაჟკაცი იყო. სიქსოლსა კი უფრო მარდი აღმოჩნდა.

57. ფჰაგალ-ბერე და სესქათ სოლსა

ერთხელ ფჰაგალ-ბერე[1] სესქათ სოლსასთან მივიდა და დაუძახა:

– ეი, სესქათ სოლსა!

სოლსას ცოლმა გამოიხედა.

– სად არის სესქათ სოლსა?

– სახლში არ არის. რისთვის გჭირდება?

– მოვედი, რათა მისი ვაჟკაცობა და გამბედაობა შევამოწმო. ვნახოთ ერთი, რა კაცია.

სესქათ სოლსას ცოლმა უთხრა:

– მას იმის გაკეთება შეუძლია, რასაც შენ ვერასოდეს შეძლებ.

– მას რა შეუძლია? - ჰკითხა ფჰაგალ-ბერემ.

– ის თავისკენ ბასრი ბოლოთი ხმალს ცაში ისვრის. როცა ხმალი ბასრი წვერით ძირს ვარდება, მას იჭერს. კბილებით ხანჯალი უჭირავს და ნემსის წვერებზე ცეკვავს.

ფჰაგალ-ბერემ ყველაფერი ისე გააკეთა, რის გაკეთებასაც ცოლი სესქათ სოლსას მიაწერდა.

შემდეგ მან თქვა:

– სესქათ სოლსა თუ, მართლაც, ისეთი ვაჟკაცია, როგორიც აღწერე, ჩემგან დანიშნულ დროს ორ მწვერვალს შორის დათქმულ ადგილზე მოვიდეს, რომ ერთმანეთს შევებრძოლოთ.

როცა ფჰაგალ-ბერე წავიდა, სესქათ სოლსას ცოლმა ურემზე ცხვარი დასვა და ფჰაგალ-ბერეს ცოლის მოსანახულებლად გაეშურა.

სესქათ სოლსას ცოლმა ფჰაგალ-ბერეს ცოლს უთხრა:

– ჩვენი ქმრები ორთაბრძოლისთვის ემზადებიან. თუ ისინი ერთმანეთს შეებმებიან, მათ შორის ერთ-ერთი დაიღუპება. გარდაცვლილის ცოლი კი დაქვრივდება. ჩვენ თუ ერთმანეთს დავუმოყვრდებით და დებად გავიფიცებით, ისინი აღარ გამართავენ ორთაბრძოლას.

ფჰაგალ-ბერეს ცოლი დათანხმდა და ისინი დებად გაიფიცნენ. ამ მოვლენის აღსანიშნავად დაკლეს ცხვარი და შეექცნენ. შემდეგ კი სესქათ სოლსას ცოლი შინ დაბრუნდა.

როცა ფჰაგალ-ბერე შინ მივიდა, ცოლმა უთხრა:

– შენ და სესქათ სოლსა ახლა ვეღარ იშუღლებთ, რადგან მე და მისი ცოლი დადნაფიცები გავხდით[2].

ფჰაგალ-ბერესა და სესქათ სოლსას ასე ჩაუშალეს ქალებმა ორთაბრძოლა.

58. ფჰაგალ ბერეს ცოლი და ნართ-ორსთხოელი

ფჰაგალ-ბერე ბარხანოის გვარიდან იყო[1].

ღილღოში, მდინარე ასის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობდა ფჰაგალ-ბერეს გამოქვაბული. იქვე აღმართული იყო მისი კოშკი, რომლის ეზოში ცივი წყარო მოჩუხჩუხებდა. ამ კოშკის დაბლა, ასის მარჯვენა ნაპირზე გეგე (გაგიევების) ნეყის[2] საგვარეულო კოშკი იდგა. ასის ხეობაში მგზავრობა მხოლოდ ამ კოშკების მფლობელთა ნებართვით იყო შესაძლებელი.

ფჰაგალ-ბერეს დროს ღილღოში, თვით ეგი-ჴალის მიდამოებში, არცერთი აული არ იყო გაშენებული[3]. ფჰაგალ-ბერე ღილღოში მანამდე ცხოვრობდა, სანამ იქ ღილღველები დასახლდებოდნენ. ფჰაგალ-ბერე, ქოლოი კანთი და სესქათ სოლსა ძმობილები იყვნენ. ერთხელ, როცა სესქათ სოლსა დაატყვევეს, ძმობილებმა ის გამოიხსნეს[4].

ფჰაგალ-ბერეს მეტად ლამაზი ცოლი ჰყავდა და მისი სილამაზის ამბავი მთელ დუნიაზე გაითქვა. ერთხელაც, ერთმა ორსთხოელმა გაიგო, რომ ფჰაგალ-ბერე შინ არ იყო და მის სახლთან მივიდა.

– ფჰაგალ-ბერე შინ არის? - იკითხა მან.

– არა, წავიდა შინიდან. - უპასუხა ფჰაგალ-ბერეს ცოლმა.

მაშინ ორსთხოელმა სთხოვა:

– სტუმრად მიმიღებთ?

– ფჰაგალ-ბერე შინ არ არის და არ შემიძლია სტუმრად მიგიღოთ. - მიუგო ქალმა.

– ხალხი ამბობს: ვისაც სტუმარი არ უყვარს, ის ღმერთს არ უყვარს! მიმიღე! - სთხოვა ორსთხოელმა.

– სტუმარი გვიყვარს, მაგრამ ფჰაგალ-ბერე შინ არ არის და სტუმრად ვერ მიგიღებ! - ქალმა თავისი გადაწყვეტილება ამ სიტყვებით გაამართლა, რადგან ორსთხოელის მიღება არ სურდა.

– მაშინ მთელ ქვეყანას გავაგებინებ და ყველას ვეტყვი, რომ ფჰაგალ-ბერეს ოჯახში სტუმარს არ იღებენ[5].

ქალს ამ სიტყვებზე შეეშინდა და ორსთხოელი მიიღო. ამ სახით ორსთხოელმა ფჰაგალ-ბერეს ცოლის მოტაცება მოახერხა.

ფჰაგალ-ბერე შინ რომ დაბრუნდა და ცოლი ვეღარ ნახა, მაშინვე გაეშურა, რათა გამტაცებელს დასწეოდა და ცოლი სახლში დაებრუნებინა.

ქალმა ფჰაგალ-ბერეს ცხენის სუნი იგრძნო, რომელსაც მის დასახსნელად ქმარი მოაჭენებდა და გახარებულმა შესძახა:

– ჩემი ქმარი ცხენს მოაგელვებს ჩემს დასახსნელად, მისი ცხენის სუნს ვგრძნობ.

სანამ ისინი ერშს მიაღწევდნენ, ფჰაგალ-ბერე მათ დაეწია. მან მოკლა ორსთხოელი, მისი მოჭრილი თავი ხურჯინში ჩაიდო და ცოლთან ერთად შინ მშვიდობით დაბრუნდა.

59. ბიიდოლგ-ბერე და სესქათ სოლსა

ერთ საღამოს სესქათ სოლსა წყაროს სათავესთან იდგა, როცა მასთან მოულოდნელად ცხენზე ამხედრებული, ერთი წყრთის სიმაღლის კაცი მივიდა. ეს ბიიდოლგ-ბერე იყო[1].

მისალმებისა და ჯანმრთელობის მოკითხვის შემდეგ ბიიდოლგ ბერემ სოლსას ჰკითხა:

– სესქათ სოლსას თუ იცნობ?

– ვიცნობ. - მიუგო სესქათ სოლსამ, ისე რომ საკუთარი ვინაობა არ გასცა.

მაშინ ბიიდოლგ-ბერემ ჰკითხა:

– ის რა კაცია?

სესქათ სოლსამ უპასუხა:

– ის მეტად ღონიერი ადამიანია. ჯანიანმა კაცმა მთელი თავისი ძალით თავში რომ ხმალი ჩაარტყას, ვერაფერს დააკლებს, ნაკაწრსაც კი ვერ დაამჩნევს.

ბიიდოლგ-ბერემ თავი კუნძზე დადო და სოლსას სთხოვა, რომ მისთვის კისერზე ხმალი დაერტყა. სესქათ სოლსამ დაარტყა, მაგრამ ბიიდოლგ-ბერე არც კი გატოკებულა და ნაკაწრიც ვერ დაატყო. სესქათ სოლსა გაოცდა.

– მას კიდევ რის გაკეთება შეუძლია? - იკითხა ბიიდოლგ-ბერემ.

სესქათ სოლსამ უპასუხა:

– ის აი ასეთ უზარმაზარ ქვის კლდეს გადმოაგდებს, წინ გაიქცევა, დაიჭერს და კვლავ მიწაში ჩასვამს.

იმ ლოდს სამოცი კაციც კი ვერ დაძრავდა ადგილიდან. ბიიდოლგ-ბერემ უზარმაზარი ლოდი გადმოაგდო, წინ გაიქცა, დაიჭირა და ერთი ხელით მიწაში ჩასვა.

ბოლოს ბიიდოლგ-ბერემ სესქათ სოლსას უთხრა:

– სესქათ სოლსას გადაეცი, რომ ხვალ აქ თავისი მხედრებით გამოცხადდეს. თუ არ მოვა, დაე სამუდამოდ წავიდეს თავისი სოფლიდან. მაგრამ საკუთარი ოჯახი სოფელში დატოვოს.

სესქათ სოლსა მიხვდა, დანიშნულ ადგილზე თავის დროზე თუ მივიდოდა, გამარჯვება ვისაც დარჩებოდა. ისეთი ძალა, როგორსაც

ბიიდოლგ-ბერე ფლობდა, სესქათ სოლსას არ ჰქონდა. ძლიერ დამწუხრებული სესქათ სოლსა შინ დაბრუნდა. მან არავის არაფერი გაუმხილა, ოჯახი სოფელში დატოვა, თავისი ხალხი შეკრიბა და მათთან ერთად გაქუსლა.

გამწარებულ და დანაღვლიანებულ სესქათ სოლსასთან ერთ-ერთი მისი მხედარი მივიდა და ჰკითხა:

– რა გაწუხებს? რატომ ხარ ასე მოწყენილი?

სესქათ სოლსა დიდხანს დუმდა და ბოლოს თავისი გასაჭირი უამბო.

– ბიიდოლგ-ბერეს საკადრის პასუხს მე გავცემ. - თქვა სესქათ სოლსას რაზმელმა და ჯუჯა მხედართან შესახვედრად წავიდა.

როცა ის შეხვედრის ადგილას მივიდა, ბიიდოლგ-ბერე უკვე იქ იდგა. გაბრაზებულმა მხედარმა მთელი ძალით მოულოდნელად მოუქნია და ბიიდოლგ-ბერეს სილა გააწნა. ბიიდოლგ-ბერეს ცხენი დაფრთხა და გაქცევა დააპირა, თუმცა მან გაქცევა ვეღარ შეძლო, რადგან წაიფორხილა, დაეცა და ბიიდოლგ-ბერეც ქვეშ მოიყოლა.

მაშინ ბიიდოლგ-ბერემ მხედარს მიმართა:

– დღეიდან შეგიძლია მშვიდად იყო, რადგან ფიცი მაქვს დადებული, თუ ვინმე ჩამომაგდებდა და ცხენი ქვეშ მომიყოლებდა, თავს აღარ ვიცოცხლებდი. აჰა, აიღე ჩემი ხმალი და თავი მომკვეთე, რადგან შენი ხმალი ვერაფერს დამაკლებს[2].

მხედარმა მისი ხმალი აიღო, ბიიდოლგ-ბერეს თავი მოჰკვეთა და მოჭრილი თავი სესქათ სოლსას მიუტანა. გახარებული სესქათ სოლსა თავის რაზმელებთან ერთად სოფელში დაბრუნდა. ის მხედარი კი სესქათ სოლსას უახლოესი მეგობარი გახდა.

60. ბარხანოელი ფჰაგალ-ბერი[1]

კარგა ხნის წინ ცხოვრობდა თური. ის იყო დიდი ტანის, მარჯვე და გულადი კაცი. მას ცხრა ცოლი ჰყავდა, მრავალრიცხოვანი შთამომავლებითა და მსახურებით. წეჯ-ლამის[2] მთის დაბლა, ხეობაში, მან ცხრა კოშკი ააგო; ყოველ ცოლს საკუთარი კოშკი აუშენა. თური მონადირე იყო და ძირითადად დათვებზე ნადირობდა, მაგრამ დედა დათვს არ ესროდა და არასოდეს არ კლავდა.

ის მაღალ მთებში ნადირობდა და ნანადირევის გარეშე სოფელში არასოდეს ბრუნდებოდა. ერთხელ თურმა დიდხანს ინადირა და დაბრუნებისას საშინელი სურათი იხილა. მიწისძვრამ მთელი სოფელი გაანადგურა[3] და მრავალი ადამიანი საიქიოს გაისტუმრა. მათ შორის თურის ორი ცოლიც დაიღუპა. მაგრამ თური მშობლიური ადგილებიდან არ წავიდა. მან უფრო ზემოთ გადაინაცვლა და ხელმეორედ ააგო შვიდი კოშკი, რომლებიც დღემდე შემორჩა. კოშკების გარდა, იქ დაარსდა სალოცავი[4], ააშენეს აკლდამები და სხვა ნაგებობები.

მათ ჰყავდათ თავიანთი ხევისბერი[5] და სამი წმინდა ხარი[6]. ადგილობრივი მცხოვრებლები თაყვანს სცემდნენ სალოცავს.

დიდი სახელი მოიხვეჭა თურის შთამომავალმა ბერიმ, მას ერქვა, აგრეთვე, ფჰაგალ-ბერი. ასეთი მეტსახელი მან თავისი შავი ცხენისგან მიიღო. ის თვითონ ყოფილა ხმელი კაცი, რომელიც თურმე არაჩვეულებრივ ძალასა და სიმარჯვეს ფლობდა.

ფიცხი ხასიათის გამო ბერს მეზობლებთან კამათი ხშირად უხდებოდა. ჩხუბი ზოგჯერ მკვლელობამდეც მიდიოდა. ბერს მრავალი მოსისხლე ჰყავდა. ამის გამო მას „ფჰა ბოალა ბერი“ დაარქვეს, - „მხედარი, რომელსაც მრავალი მოსისხლე ჰყავს“.

შეხლა-შემოხლისა და მკვლელობის გამო ბარხანოებს სისხლის საფასურის გადახდა მიწითა და საქონლით უწევდათ. მოსისხლეებმა ბოლოს მოითხოვეს, რომ ბერს ღილღო დაეტოვებინა. ნათესავებს ხელი არ შეუშლიათ, რადგან ბერის მიზეზით გვარი სუსტდებოდა. მოთმინების ფიალა მაშინ აივსო, როცა ბერმა ხეობიდან წასვლის სანაცვლოდ ახლო ნათესავებისგან საფასურის გადახდა მოითხოვა. ამის გამო გაბრაზებული მამა თავის შვილს - ბერს - ეძგერა, მაგრამ ბერმა ხელიდან დასხლტომა მოახერხა. მაშინ მამამ მას ისარი მიადევნა. ისარი შვილს ბარძაყში მოხვდა და ის სამუდამოდ დაკოჭლდა, მაგრამ მშობლიური მთებიდან ბერი მაინც არ წასულა. როცა გვარის უხუცესებმა მას თემიდან მოკვეთის შესახებ თავიანთი გადაწყვეტილება გამოუცხადეს, ბერმა ცხარედ მიუგო:

– მე თქვენგან სამუდამოდ წავალ. მაგრამ ეს მთები მიყვარს და მათ გარეშე ვერ გავძლებ. მაღლა, მთებში, მარტოდმარტო დავსახლდები, სადაც ადამიანს ფეხი ჯერ არ დაუდგამს.

ბერი დაიკარგა და დიდხანს მის შესახებ არაფერი ისმოდა.

ერთხელაც ხალხმა ციცაბო კლდეზე პატარა კოშკი შენიშნა. ასეთ ადგილზე კოშკის აშენება ადამიანის ხელით წარმოუდგენელი ჩანდა. ხალხში ამბობდნენ, რომ კოშკი ეშმაკების აშენებული უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში კი, ის თემიდან განდევნილმა ბერმა ააშენა[7]. მან გამოქვაბულთან ბილიკი ხელით გაიყვანა. კოშკში ასასვლელად კი კლდეზე გამომწვარი პალოები ჩაურჭო, რომლებიც წნელით გადააბა. ბერი გაბედულად მიდიოდა თავისი ცხენით იქამდე, სადამდეც კურდღელიც კი ვერ მიაღწევდა. ის იმით ცხოვრობდა, რასაც ხეობის გზაზე ან მთებში ნადირობით იშოვიდა. ბერის ცხენი მუდამ გრძნობდა საფრთხეს, რომელიც მის პატრონს ემუქრებოდა და საშიში ადგილიდან მუდამ უსაფრთხოდ გაჰყავდა. ცხენს შეეძლო უეცრად ჩაემუხლა და გამოსროლილი ისარიც პატრონის თავს ზემოთ გადაიფრენდა. მას, როგორც კურდღელს, შეეძლო გვერდზე გადახტომა და აქედან მომდინარეობს მისი მეორე სახელი „ფჰაგალ-ბერი“ – „მხედარი - კურდღელი“[8].

ერთხელ, ნადირობის დროს, მან დაჭრილი დათვი და მის გვერდით პაწაწინა ბელი შენიშნა. ბერმა წაიყვანა ბელი, გაზარდა და ის დიდ დათვად გადაიქცა, რომელიც თავისი მხსნელისთვის თავს სწირავდა.

გამვლელები ბერის კოშკს ერიდებოდნენ, რადგან ხალხს დათვის ეშინოდა. მოსისხლეებმა დათვის მოკვლა გადაწყვიტეს, თუმცა ისინი ვერც დათვის და ვერც ბერის მოკვლას ვერ ახერხებდნენ. ერთ-ერთმა მოსისხლემ მოკლული დათვის ტყავი წამოისხა და გამოქვაბულამდე ცოცვით მიაღწია. ამ დროს ბერს საეჭვო არაფერი შეუნიშნავს, რადგან ის თავის მეგობარ დათვს ელოდებოდა. შეუმჩნევლად მოსულმა მოსისხლემ ბერი ხანჯლით განგმირა[9].

იმ დროიდან კოშკში აღარავის უცხოვრია. შავი ცხენი უკვალოდ გაქრა, ხოლო კოშკთან მისვლა შეუძლებელი გახდა. ფჰაგალ-ბერის გაკეთებული ბილიკი თანდათან წაიშალა. კოშკი ნახევრად ჩამოინგრა, მაგრამ ჯერ ისევ დგას.

61. ნესარი, მისი ვაჟი საი და აჩამა

ნართი ნესარი ფლობდა ვრცელ მიწებს და თავის მამულში ლაღად და ბედნიერად ცხოვრობდა. მისი საქონლის უზარმაზარი ჯოგები და ცხვრის ფარები თავისუფლად ძოვდნენ თვალუწვდენელ იალაღებზე და მათ უამრავი მწყემსი უვლიდა. იმ ადგილას კი, სადაც დღეს აჩამას ყორღანი დგას, ნართი აჩამა ცხოვრობდა. ეს ყორღანი მან თვითონ აღმართა. ნესარი და აჩამა ერთმანეთს ხშირად ედავებოდნენ იმ მიწების გამო, რომელიც მდინარე სუნჯის ნაპირებზე იყო გადაჭიმული. ნესარის ვაჟი, სახელად საი, მამულს თავისი რაზმელებით იცავდა. აჩამას კი არაჩვეულებრივი, მართლაც, საოცარი სილამაზის ასული ჰყავდა. მას ერქვა ზაიზო.

ნესარის ვაჟი საი თავისი ცხენით აჩამას ყორღანთან ხშირად დაჯირითობდა. ზაიზოსაც უყვარდა ყურღანიდან მშვენიერი საისა და მისი ფიცხი რაშის ყურება. ვაჟსა და ქალიშვილს ერთმანეთი უსიტყვოდ, ყოველგვარი ურთიერთობის გარეშე შეუყვარდათ.

ერთხელაც აჩამას ბრძანებით მისმა მეომრებმა ნესარის ცხენების რემა ქურდულად წაასხეს. ნესარმა გაიგო, მისი ცხენები ვინც მოიპარა და შვილს ამ საქმის მოგვარება დაავალა.

თავისი მეომრებით საი აჩამას ყურღანთან მივიდა, აჩამასთან მაცნე გაგზავნა და შეუთვალა:

– ცხენების ორი რემა დამიბრუნე: ერთი ის, რომელიც წაასხი და მეორე წილი-შეურაცხყოფის მოყენებისთვის.

აჩამამ უპასუხა:

– თქვენთვის არაფერი მომიპარავს და ვერ გამიგია, რომელ რემაზე ლაპარაკობთ.

აჩამას სამფლობელო მაღალი ქვის გალავნით იყო შემოღობილი. საის რაზმს ჰქონდა დიდი ქვემეხი. მისი ბრძანებით, ის დენთით არ დატენეს. დენთის ნაცვლად მასში საი ჩაჯდა და ბრძანა, ისე გაესროლათ, რომ პირდაპირ აჩამას ეზოში მოხვედრილიყო. საი ქვემეხიდან გასროლით გალავნის შიგნით გადატყორცნეს[1]. როცა აფეთქების ხმა გაიგო, ზაიზო კოშკიდან ეზოში გამოვარდა. საის ცხენი კარგად იყო გაწვრთნილი. საიმ დაუსტვინა თუ არა, ცხენი ისარივით გადმოფრინდა კედელზე და მყისვე თავის პატრონთან გაჩნდა.

საიმ შესძახა:

– ზაიზო ჩემთვის ყოფილიყოს დალოცვილი! ცხენები კი აჩამას ურვადში დარჩენოდეს!

მან ზაიზო ცხენზე შემოისვა და თვალის დახამხამებაში გალავანს გადაევლო. აჩამას კი შიშისგან კინაღამ გული წაუვიდა. მას ეზოში გამოხედვისაც კი შეეშინდა.

საი მამას მოერიდა, რადგან მან იცოდა, რომ ნესარს მისი გადაწყვეტილება არ მოეწონებოდა.

იმ დროს ნართების თამადა-წინამძღოლი იყო სესქათ სოლსა. აჩამამ მასთან იჩივლა და უთხრა, რომ ნესარი და მისი ვაჟი ამცირებდნენ, მათ ქალიშვილი მოსტაცეს და ცხენების მოპარვასაც აბრალებდნენ.

ამ საქმეში რომ გარკვეულიყო, სესქათ სოლსამ დასახმარებლად თავის დედას – სიელა სათას მიმართა, რადგან ნართების თამადა ვალდებული იყო სამართლიანად გადაეწყვიტა ნებისმიერი დავა.

სიელა სათა იყო გრძნეული და ვარსკვლავთმრიცხველი. მთელი ღამის განმავლობაში ის მკითხაობდა და ვარსკვლავებს უთვალთვალებდა. დილით მან თქვა:

– ნესარის ცხენების ჯოგი აჩამამ წაასხა. ნესარის ცხენებს მარჯვენა თეძოზე დამღა აქვთ, მაგრამ აჩამამ ის გადაღება.

სესქათ სოლსამ აჩამას უთხრა:

– უბრძანე შენს მსახურებს, რომ ცხენები დაბანონ. მინდა მათ მარჯვენა თეძო ვუნახო.

აჩამა მიხვდა, რომ მისი უღირსი საქციელი გაცხადდა და ახლა ამ საქმეში თავისი მსახურები დაადანაშაულა. სესქათ სოლსამ ნესარი და აჩამა შეარიგა, მოპარული რემა გატაცებული ზაიზოს ურვადში ჩაუთვალა.

ხუთი-ექვსი წელი აჩამა თავის ბოღმას მალავდა და ხელსაყრელ დროს ელოდებოდა. ერთხელაც საი მთაში სანადიროდ წავიდა. ეს რომ გაიგო, აჩამამ თავისი მსახურები გაგზავნა და საი მოაკვლევინა. დღემდე იმ ადგილს ჰქვია „მთა, სადაც საი მოკლეს“.

ნესარმა სისხლი აიღო და მოკლა აჩამა, მერე კი მთელი მისი სახლ-კარი გადაბუგა და საძირკვლიანად დაანგრია. იმ ადგილზე

მხოლოდ შიშველი ყორღანიღა დატოვა. მოვიდა დრო და ნესარიც იმ ქვეყნად წავიდა.

სიკვდილის შემდეგ საის დარჩა სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. მათგან მოდიან ჩვენი წინაპრები.

62. ნესარი და ყოზაში

დიდი ხნის წინათ ყოზაშქაში ნართი ყოზაში ცხოვრობდა. ის იყო მეტად ამაყი, მედიდური და ძლიერი კაცი. მან თავისი ნაბადი ცნობილი მამაკაცების წვერ-ულვაშისგან დაამზადებინა[1]. ყოზაში ომში ან სხვაგან სადმე სტუმრად ამ ნაბდით დადიოდა. თერგის ნაპირებიდან მდინარე სუნჯამდე გარმის ველი მთლიანად მას ეკუთვნოდა.

აჩამაზა ყორღანზე ნართი აჩამაზა ცხოვრობდა, გარმა ყორღანზე - გერმანჩა. ისინი, მართალია, მეტად ძლიერები იყვნენ, მაგრამ ყოზაშთან ძალით მაინც ვერ მოვიდოდნენ. აჩამაზა და გერმანჩა მთებში მცხოვრებ ხალხს ბარში ჩამოსვლისა და მიწის მოხვნის საშუალებას არ აძლევდნენ.

ერთხელ ნესარს მთიდან ხალხი ბარში მოჰყავდა, თანაც გარმის გაშლილ ველზე ნაკვები ცხენით მონავარდობდა, მხეცებს მშვილდით აფრთხობდა, თავის ხალხს მიწებს უნაწილებდა და ასე მდინარე ნესარის[2] სათავემდე მიაღწია.

ყოზაშმა როგორც კი გაიგო, რომ ნესარმა მას მიწები წაართვა, იმ მხარეში მთიდან ხალხი ჩამოასახლა და სათავესთან სიმაგრე აღმართა, განრისხდა. მან თავისი ჯარი შეკრიბა და ნესარის მოსაკლავად, მთიდან ჩამოსახლებული ხალხის გასაჟლეტად და გარმის ველის ხელში ჩასაგდებად წავიდა. როცა ის მდინარე ნესარის სათავესთან მივიდა, მასთან შესახვედრად თვით ნესარი გამოვიდა, რომელსაც იმ მადლიან მიწაზე სიმაგრე ჰქონდა აღმართული.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სტუმრებო! რამე ხომ არ გაწუხებთ ან რამეს ხომ არ უჩივით? ცხენებიდან ჩამოდით. მე თქვენ ისე მიგიღებთ, როგორც შემიძლია: უხვად გაგიმასპინძლდებით, მაგარ, მათრობელა სასმელს მოგართმევთ და რბილ ლოგინში ჩაგაწვენთ. თუ გართობას მოისურვებთ, მხიარულებაც იქნება. - მიესალმა ნესარი სტუმრებს.

– მშიერი არ ვარ, რომ საჭმელი მომინდეს, წყურვილი არ მტანჯავს, რომ დასალევი გთხოვო და შენთან არც გასართობად მოვსულვარ, რომ ვიმხიარულო. მოვსულვარ იმისთვის, რომ მოგკლა, უნდა წაგართვა ის მიწა, რომელიც მთის ხალხს გაუნაწილე! - მიუგო ყოზაშმა.

– ჩამოდით ცხენებიდან. როცა საჭმლით დავნაყრდებით, როცა სასმლით წყურვილს მოვიკლავთ, როცა დავისვენებთ, მერე ვილაპარაკოთ, თუ საჭირო იქნება, ამ კუთხის საქმეებზეც. - თავაზიანად წარმოთქვა ნესარმა.

– ისე მშია, რომ მინდა შეგჭამო, ისე ვიტანჯები წყურვილით, რომ მინდა შენი სისხლი დავლიო! დაიწყე ბრძოლა! - დაიღრიალა ყოზაშმა.

– ჩვენთან, მთის ხალხში ამბობენ: „შეეშვი იოლ საქმეს და გააკეთე ის, რაც ძნელად მოსაგვარებელია“. ისეთ სტუმრებთან, როგორიც თქვენ ხართ, გაცილებით იოლია ბრძოლა, ვიდრე მასპინძლობა. ამიტომ კიდევ ერთხელ გთხოვთ, ჩამოქვეითდეთ ცხენებიდან და სახლში შემობრძანდეთ! - თავაზიანად სთხოვა ნესარმა.

– მოკლე საუბარი სჯობია. ჩემი გეშინია, დაყარე იარაღი და ტყვედ ჩამბარდი, ჩემს ტყვეებში შენ მეცხრე იქნები. თუ არ გინდა ტყვე გახდე, ბრძოლა დაიწყე! - ღვარძლიანად შესძახა ყოზაშმა.

– შენ ჩემი თავი გჭირდება! დიახ, წაგართვი მიწა. თუ ბრძოლა გინდა, დაიწყე[3]. - უპასუხა ნესარმა.

ბრძოლა ყოზაშმა დაიწყო, მაგრამ გამარჯვება მას არ ერგო. ის ზუსტი დარტყმით ნესარმა განგმირა. როგორც კი თავიანთი წინამძღოლი მოკლული დაინახეს, ყოზაშის მხედრები შიშისაგან უკუიქცნენ. ნესარმა მათ არაერთი დარტყმა მიაყენა და იქიდან ძალიან შორს გარეკა.

შეშინებულმა აჩამაზამ და გერმანჩამ, როგორც კი ყოზაშის დაღუპვის ამბავი გაიგეს, გარმის ველი დატოვეს და სხვაგან გადაბარგდნენ. ნესარი თავისი ხალხით საცხოვრებლად გარმის ველზე დამკვიდრდა.

63. ყოზაშის შვილიშვილი და გერმანჩა

ღილღოში, დოლახ-იურთისა და ტო-იურთის მახლობლად, ორი ყორღანი მდებარეობს. მათ ყოზაშისა და გერმანჩას ყორღანებს უწოდებენ. ხალხში ამბობენ, რომ ყოზაშის ყორღანზე ყოზაში ცხოვრობდა, ხოლო გერმანჩას ყორღანზე - გერმანჩა. ეს ნართები დღენიადაგ მტრობდნენ ერთმანეთს.

ერთხელ გერმანჩა თავისი რაზმით ვერაგულად თავს დაესხა ყოზაშს. მან მთელი მისი ოჯახი ამოწყვიტა: მოკლა ყოზაში და დახოცა მისი სახლის ყველა მამაკაცი, ბავშვი და მოხუციც. მოსალოდნელი შურისგების შიშით გერმანჩამ გაჟლიტა ორსული ქალებიც, რათა მემკვიდრე არ დაბადებულიყო. გერმანჩამ ყოზაშის მთელი ოჯახი გაანადგურა, მისი სახლ-კარი და მეურნეობა კი მთლიანად გადაბუგა. როცა გერმანჩა ყოზაშის მთელი მოდგმის განადგურებაში დარწმუნდა, შინ დაბრუნდა.

მაგრამ ყოზაშის მოდგმა ამით არ ამოწყვეტილა. მისი ერთ-ერთი რძალი, რომელიც იმ დროს მთაში ნათესავებს სტუმრობდა, უკვე დღედღეზე იყო ფეხმძიმედ, თვეში იდგა და სულ მალე ვაჟიც შობა. როცა ბავშვი გაიზარდა, დედამ უამბო, რაც თავს გადახდათ. ყოზაშის შვილიშვილმა მოისმინა თავისი გვარის ამოჟლეტის ამბავი და დროებით თავი ერთ-ერთ ჩერქეზ[1] თავადთან შეაფარა. იქ მას სამსახური შესთავაზეს: ემსახურა მწყემსად და თავადის უთვალავი ფარებისთვის მოევლო ან სახლში სტუმრების მიღებას გაძღოლოდა[2]. ყოზაშის შვილიშვილი მეორე წინადადებას დასთანხმდა. ის გამუდმებით აკვირდებოდა ჩერქეზების ადათ-წესებს და თავის მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა.

თავადის ეზოში უზარმაზარი ხე იდგა. თავისუფალ დროს ყოზაშის შვილიშვილი ამ ხის ქვეშ ჯდებოდა და როცა ის თავის მწარე ხვედრზე ფიქრობდა, თან ხეზე ჭდეებს ტოვებდა. ამასობაში რამდენიმე წელი გავიდა. მან გააგრძელა ჭდეების ხეზე დატოვება. ბოლოს ხე გადაიქცა.

მაშინ თავადმა ჰკითხა:

– დიდი ხანია გამჩნევ, რომ რაღაც გაწუხებს. მიამბე შენი მწუხარების შესახებ.

ჭაბუკმა თავადს თავისი გვარის ამოწყვეტის ამბავი უამბო: თუ როგორ მოკლა გერმანჩამ მისი პაპა, მამა, ბიძაშვილები, როგორ გადარჩა თვითონ, თავისი გვარის ერთადერთი წარმომადგენელი, ცოცხალი; ასევე, უამბო სისხლის აღების მოვალეობაზე, რომელიც აუცილებლად უნდა შეესრულებინა.

– ღვიძლი შვილივით შემიყვარდი, - უთხრა თავადმა. შემდეგ კი ის ხე თავადმა გზაზე გარდიგარდმო დადო და დაუმატა, - იმხელა ჯარს გაგატან და იმდენ ცხენს მოგცემ, რამდენიც ამ ხეს მტვრად და ფერფლად აქცევს.

როცა თავადის ყველა ცხენი ხეზე გადასავლელად გზაზე გამორეკეს, ხე მხოლოდ ნახევრად დაილია. მაშინ თავადმა თავის მეზობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს სთხოვა ცხენები. როცა ცხენებმა ხეზე გადაიარეს, იქიდან მხოლოდ მტვერიღა დარჩა, რომელიც ქარმა გაფანტა. თავადმა ყველა ცხენზე მეომარი დასვა, ისინი სრულად შეაიარაღა და ჯარი ახალგაზრდა კაცს გადასცა.

ყოზაშისა და გერმანჩას ყორღანების მახლობლად მდებარეობდა მინდორი, რომელსაც ერქვა „ველი, სადაც ირმებზე ნადირობდნენ“. იმ ადგილას ყოზაშის შვილიშვილმა თავისი ჯარი შეაჩერა და თვითონ იმ ყორღანისკენ გაემართა, სადაც ადრე ყოზაში ცხოვრობდა. იქ მან რამდენიმე მიწური იპოვა, რომელშიც მხოლოდ ქალები ცხოვრობდნენ. მათ უამბეს ჭაბუკს, ვინც იყვნენ და თავს რაც გადახდათ.

ბიჭმა ქალებს თავისი ვინაობა დაუმალა.

– შუაღამისას გერმანჩას ყორღანისკენ გაიხედეთ. იქ თქვენ ისეთ რამეს დაინახავთ, რაც არასოდეს დაგავიწყდებათ. - უთხრა ქალებს ყოზაშის შვილიშვილმა.

შუაღამისას ჭაბუკმა გერმანჩას ჯარი მთლიანად გაანადგურა, ცოცხალი არ დატოვა არცერთი მამაკაცი, გერმანჩას მთელი ქონება ცეცხლს მისცა, თვითონ გერმანჩა ტყვედ წაიყვანა, მაგრად შეკრა და საწამებლად დედაკაცებს გადასცა, რომლებიც ყოზაშის ყორღანთან ცხოვრობდნენ. ქალებმა მტარვალი გერმანჩა ნემსებით დაჩხვლიტეს და სული წამებით ამოხადეს.

ყოზაშის შვილიშვილმა თავადს ჯარი დაუბრუნა. მან ჩერქეზი თავადი და მისი ხალხი თავის მიწაზე მიიწვია და მათ პატივსაცემად დიდი ნადიმი გამართა.

ყოზაში და ჩერქეზები მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრობდნენ.

64. ვინ დასახლდა პირველად ნესარ-ქორთში

იქ, სადაც ახლა სოფელი ნესარ-ქორთია გაშენებული, სახელდობრ, მის დასავლეთ მხარეს, ერთ-ერთ ბორცვზე, პირველად მთიდან ჩამოსული ღილღველი ნესარგი[1] დასახლებულა. მას იმდენად გრძელი ულვაშები ჰქონია, როგორც ამბობენ, კისერთან რომ გაეკვანძა, ბოლოები საქამრამდე მაინც მისწვდებოდა[2]. ნესარგს თავისი რაზმიც ჰყოლია.

აჩამაზის ყორღანისა[3] და ქალწულის ყორღანის[4] მახლობლად თავის ქვეშევრდომებთან ერთად ცხოვრობდა საშიში და სასტიკი ბუნების კაცი აჩამაზა. ის ხალხზე ძალადობდა, აწყობდა ყაჩაღურ თავდასხმებს, ერეკებოდა ადამიანებს, მრავალ მათგანს ხოცავდა და ყველგან ცრემლი და უბედურება მიჰქონდა. ერთხელ მან გადაწყვიტა მამაკაცის წვერებისგან თავისთვის ქურქი შეეკერა. ამ მიზნით ყოველ შემხვედრს ის წვერთან ერთად ტყავსაც აძრობდა.

ქურქი რომ ჩაიცვა, მან თავისი ქვეშევრდომები შეკრიბა და ჰკითხა:

– მითხარით, რა აკლია ჩემს ქურქს?

იქ შეკრებილ ადამიანებს შორის მრავლად იყვნენ იმათი ძმები, დები და მამები, რომლებსაც მან წვერი ააგლიჯა, გაატყავა და დახოცა. შიშის გამო ვერავინ გაბედა იმის თქმა, თუ რა აკლდა მის ქურქს.

აჩამაზამ მეორედ იკითხა:

– რა აკლია ჩემს ქურქს? თუ ვინმე მის ერთ ნაკლს მაინც აღნიშნავს, ქურქს აღარ ჩავიცვამ.

იქ ერთი ქალი იდგა, რომლის ძმასაც აჩამაზამ ჯერ წვერი ააგლიჯა, შემდეგ კი მოკლა. ქალმა თქვა:

– ვიცი, რაც აკლია შენს ქურქს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ერთი მარტოხელა ქალის სიტყვას?

– მითხარი. ჩემთვის ერთი ადამიანის ნათქვამი სიტყვაც კი საკმარისი იქნება. - უთხრა აჩამაზამ.

– ამ ქურქს ნესარგის ულვაშებისგან გაკეთებული საყელო აკლია. - თქვა ქალმა.

– ვინ წავა, რომ ნესარგს ულვაშები ააგლიჯოს? - ჰკითხა შეკრებილ ხალხს აჩამაზამ.

ხალხი გაისუსა. აჩამაზამ კითხვა გაიმეორა, მაგრამ კვლავ არავინ უპასუხა.

მან მესამედ იკითხა:

– ვინ წავა ნესარგის ულვაშების მოსატანად?

ხმის ამოღების ყველას ეშინოდა. მაშინ აჩამაზამ აიღო მშვილდი და ნესარგის სახლისაკენ თვითონ გაეშურა. ნესარგის სახლის შესასვლელში, წინკართან ჭილოფი ეკიდა, რომელსაც შესვლისას ასწევდნენ და მერე ისევ დაუშვებდნენ ხოლმე. მეორე ოთახს კარი არ ჰქონდა.

უკარო ოთახის კუთხეში ამოღებული ხმალი ეკიდა. ნესარგი ხელებს იბანდა. ნესარგის დას ცალ ხელში თუნგი ეკავა და ძმას წყალს უსხამდა, მეორე ხელში კი კვარი ეჭირა. ხმაური რომ გაიგონა, ნესარგის და მოტრიალდა და დაინახა, რომ აჩამაზა ნესარგს მშვილდს უმიზნებდა. ქალი დაიბნა. ვერ გადაეწყვიტა, ძმისთვის ეთქვა თუ არა, რადგან იცოდა, რომ ისინი ერთმანეთს დახოცავდნენ. უეცრად მან რაღაც მოიფიქრა და სანთელი ჩააქრო.

ნესარგმა უთხრა:

– აანთე სანთელი.

ქალმა სანთელი აანთო. მან კვლავ დაინახა აჩამაზა მოზიდული მშვილდით და სანთელი ისევ ჩააქრო.

მაშინ ნესარგმა დას უთხრა:

– თუ სანთელს კიდევ ერთხელ ჩააქრობ, იცოდე, ხმლით აგკუწავ.

როგორც აღმოჩნდა, ნესარგმა იცოდა, რომ აჩამაზა ისარს უმიზნებდა, მაგრამ სიამაყის გამო მისკენ არ გაიხედა[5].

როცა დამ სანთელი მესამეჯერ აანთო, აჩამაზამ ისარი ისროლა, რომელიც ნესარგს მკერდში მოხვდა და მეორე მხარეს გაახედა. ისრის რკინის ბუნიკი წელის მხარეს გავიდა, ხოლო ხის ნაწილი წინადან მოჩანდა. აჩამაზამ, როგორც კი ნესარგს ისარი ესროლა, მაშინვე გაიქცა. ნესარგმა სასწრაფოდ მოატეხა ისარს თავის მკერდზე გამოშვერილი ბოლო, ოთახის კუთხეში ჩამოკიდებულ ხმალს ხელი წამოავლო, აჩამაზას მყისვე დაეწია და იქვე, ეზოში, აჩეხა.

როცა ნესარგი მომჯობინდა თავისი მეომრებით სათარეშოდ საქართველოში წავიდა, საიდანაც უამრავი ტყვე წამოასხა. მათ შორის იყო ქართველი თავადის ვაჟიშვილი, რომელიც ნესარგმა თავისთან დაიტოვა, ხოლო დანარჩენი ტყვეები თავის ხელქვეითებს ფეშქაშად დაურიგა.

სამი წლის განმავლობაში ქართველი მთავრის ვაჟიშვილს ის განსაკუთრებულ საჭმელ-სასმელს სთავაზობდა. გარდა ამისა, ნესარგი მას არც ამუშავებდა.

– სამი წლის განმავლობაში უანგაროდ მასმევდი და მაჭმევდი. გამიშვი სახლში, მადლობელი დაგრჩები და სიკეთით გადაგიხდი. - სთხოვა ნესარგს ქართველი თავადის ვაჟიშვილმა.

ნესარგმა დააკმაყოფილა ქართველი თავადის ვაჟიშვილის თხოვნა. მას მისცა ცხენი, იარაღი და შინ გაუშვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ნესარგი თავისი მეომრებით ქართველი თავადის ვაჟს ესტუმრა. თავადის ვაჟმა ნესარგი ღირსეულად მიიღო. მას დიდებული ნადიმი გაუმართა. ის უკვე იმ კუთხის მთავარი გამხდარიყო.

ვაჟმა ნესარგი სამი დღე ამხიარულა, შემდეგ კი უთხრა:

– შენი და ჩემი მეომრებით ნადავლის ასაღებად მივდივარ. სანამ დავბრუნდები, ჩემს სასახლეში იცხოვრე. ჩემი სასახლის ყველა ოთახის გასაღებს გაძლევ. შეგიძლია ყველა ოთახის კარი გააღო, მაგრამ ყველაზე განაპირა ოთახს ნუ გააღებ. თუ ჩემს თხოვნას არ შეასრულებ, ვიშუღლებთ.

ნესარგმა, როცა მარტო დარჩა, თითქმის ყველა ოთახის კარი გააღო. ბოლოს მივიდა განაპირა ოთახის კართან და იქიდან კვნესის ხმა შემოესმა. ნესარგს გაუკვირდა, ვერ მოითმინა, ცნობისმოყვარე-

ობამ აიტაცა და ბოლოს ის კარიც გააღო. ოთახში რომ შევიდა, მან ქალი დაინახა, რომელსაც მიცვალებულის ცხედარი ჰქონდა მობმული.

– უკეთესი იქნებოდა ამ ოთახში არ შემოსულიყავი, - დაუწყო ქალმა საუბარი, - თუ არ გინდა, რომ თავადის ვაჟთან მეგობრული ურთიერთობა გაიფუჭო.

– ეს რა არის? ვინ ხარ? თავადის ვაჟი ასე რატომ გაწამებს? - გაუკვირდა ნესარგს.

– მე თავადის ვაჟს ცოლად გავყევი. როგორც კი მისი ცოლი გავხდი, ის ერთმა კაცმა, სახელად ნესარგმა, ტყვედ წაიყვანა, თუმცა მას სამი წლის განმავლობაში ნესარგი აცმევდა და აჭმევდა. ჩემს ქმარს, როცა ტყვედ იმყოფებოდა, დაუნახავს, რომ მამაც ნესარგს ცოლი ერთ მწყემსთან ღალატობდა. ახლა ის ფიქრობს, თუკი მამაცი ნესარგის ცოლი ქმარს მისი იქ ყოფნის დროს ღალატობდა, ასე ჩემს ქმარს, მისი აქ არ ყოფნის დროს, მწყემსთან მეც ვუღალატებდი. მან მოკლა მწყემსი და მისი ცხედარი მე მომაბა. შიმშილით რომ არ მოვკვდე, საკვებს მაწვდიან. აი, როგორ მდგომარეობაში ვიმყოფები. - უამბო ქალმა, რომელიც ოთახში ჰყავდათ გამოკეტილი.

ნესარგი გარეთ გამოვიდა და ოთახი კლიტით დაკეტა. მესამე ღამეს თავადის ვაჟი ნადავლით დაბრუნდა და ძღვენი ნესარგს მიართვა.

ნესარგის წინ მან დიდებული სუფრა გაშალა. მაშინ ნესარგმა უთხრა:

– თუ ჩემს თხოვნას არ დააკმაყოფილებ, მე შენს ტრაპეზს არ მივიღებ.

– ერთის გარდა, შენს ნებისმიერ სურვილს შევასრულებ. - უპასუხა თავადის ვაჟმა, რადგან მიხვდა, რომ ნესარგი აკრძალულ ოთახში იყო ნამყოფი.

– თუ ჩემს თხოვნას არ დააკმაყოფილებ, ტრაპეზს არ მივიღებ. - დაიჟინა ნესარგმა.

– ივახშმე, შენი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნება. - დაეთანხმა სტუმარს თავადის ვაჟი.

– შენი ცოლი ისევ ისე უნდა გიყვარდეს, როგორც ადრე გიყვარდა და მას ასე სასტიკად ნუღარ აწამებ. - უთხრა ნესარგმა.

თავადის ვაჟმა ნესარგის თხოვნა შეასრულა.

ნესარგი შინისკენ გაეშურა, თავადის ვაჟმა კი სტუმარი ამ სიტყვებით გააცილა:

– როცა წახვალ, გზაში ქვეშევრდომებს უთხარი: „შეუძლოდ გავხდი და იმდენად დავუძლურდი, რომ აღარ შემიძლია გზის გაგრძელება. არ შეყოვნდეთ და გზა განაგრძეთ-თქო.“ ისინი გეტყვიან: „ჩვენ მარტოს ვერ დაგტოვებთო“. მაგრამ შენ ისინი უეჭველად შინისკენ გაგზავნე. მაშინ ისინი გეტყვიან: „შენს ცხენსა და იარაღს წავიღებთო“. შენ მათ უპასუხე: „აღთქმა მაქვს დადებული, რომ ცოცხალი არც ცხენსა და არც იარაღს არ დავშორდები-თქო.“

ნესარგის მეომრები, მართლაც, შინისკენ გაეშურნენ და ნესარგის ცოლს ქმრის ავად გახდომისა და გზაში დარჩენის ამბავი შეატყობინეს. ნესარგი კი შუაღამისას მოულოდნელად სახლში დაბრუნდა. ხმლის წვერით კარის კაუჭი გადააგდო და ოთახში შეიხედა. დაინახა ცოლი, რომელიც მწყემსთან ერთად იწვა. ის წყნარად შევიდა, კარი დაკეტა და შემდეგ ხმამაღლა დააკაკუნა. მწყემსი და ნესარგის ცოლი სწრაფად წამოხტნენ და მას ისე შეხვდნენ, თითქოს მათ შორის არაფერი მომხდარა.

ორი-სამი დღის შემდეგ ნესარგმა ხალხი შეკრიბა და უთხრა:

– ჩვენ სამნი უნდა გავიყაროთ: ცოლი ჩემს მწყემსთან ერთად იქნება, ხოლო მე - მარტო. ჩვენი ქონებაც სამ ნაწილად უნდა გავყოთ.

– ეს რას ნიშნავს? ხომ არ გაგიჟდი? - აღშფოთდა ხალხი.

მაშინ ნესარგმა თქვა:

– მოიქეცით ისე, როგორც გიბრძანეთ!

ისინი გაიყარნენ. გაყრიდან მეშვიდე დღეს მწყემსს გული გაუსკდა და მოკვდა, ხოლო მეთოთხმეტე დღეს ნესარგის ცოლიც გულის შეტევისგან გარდაიცვალა.

65. ნესარი

უწინ ცხოვრობდა ერთი ქედმაღალი და ამპარტავანი მთავარი, სახელად აჩამა. ის იყო მეტად მდიდარი, ფლობდა დიდძალ საგან-

ძურს და ამის გამო ისე გაბუდაყდა, რომ ხალხს აღარაფრად აგდებდა. სიმდიდრის წყალობით მოხუცი აჩამა მზეთუნახავზე დაქორწინდა. მართალია, ის მდიდარი იყო, მაგრამ ახალგაზრდა ქალს ქმარი არ უყვარდა და ყოველ დღე იმას ფიქრობდა, მისგან თავი როგორ დაეღწია. ქალს არც იმის იმედი ჰქონდა, რომ აჩამა მალე მოკვდებოდა. ასე გადიოდა წლები. ერთხელ ის თავისთვის დაფიქრებული იჯდა და აჩამამ მას ჰკითხა:

– რატომ ხარ მოწყენილი?

ქალმა უპასუხა:

– შენზე ვდარდობ. მთავარი ხარ, მაგრამ მონასავით გაცვია. როგორც მთავარს, უკეთესად მოკაზმვა შეგშვენის. შენთვის საუკეთესო ქურქს შევკერავდი, თუკი მამაკაცის სახიდან აგლეჯილ წვერს შეაგროვებდი. ვფიქრობ, წვერისგან კარგი ქურქი გამოვიდოდა.

იმ დროს ყველა მამაკაცი წვერს ატარებდა, რადგან უწვერო კაცი ხალხს ქალაჩუნად და არარაობად მიაჩნდა. აჩამას ცოლი იმედოვნებდა, რომ წვერის ასაგლეჯად გამართული ერთ-ერთი ორთაბრძოლის დროს, რომელიმე მამაკაცი შეძლებდა თავის დაცვას და აჩამას მოკვლას. რაც უნდა ძლიერი ყოფილიყო მისი ქმარი, ცოლი ფიქრობდა, რომ გამოჩნდებოდა აჩამაზე უფრო ძლიერი, რომელიც ვერ აიტანდა შეურაცხყოფას და მას მოკლავდა. დღე დღეს მისდევდა. აჩამა მამაკაცებს წვერს აჭრიდა და შინ ეზიდებოდა. აი, ქურქიც მალე უკვე მზად იქნებოდა. მხოლოდ საყელოღა დარჩა მასზე მოსარგები. ქალის ოცნება არ ახდა და ის კვლავ მწუხარებამ მოიცვა.

ერთხელ, ბაღში რომ ისვენებდა, აჩამას ცოლმა ძლიერი მხედარი დაინახა, რომელიც ხშირ, გრძელ და შავ წვერს ატარებდა. მან მსახური გაგზავნა ქმართან და მასთან დააბარა, რომ თუ იმ მამაკაცის წვერს მოუტანდა, მისგან ქურქისთვის კარგი საყელო გაკეთდებოდა. ქალს მაშინვე იმედი მიეცა, რომ ეს მამაკაცი აჩამას უეჭველად მოკლავდა, როგორც კი მისი ქმარი წვერის მოსაჭრელად მასთან მივიდოდა. ქალი სიხარულით აღარ იყო, როცა უცნობი ვაჟკაცის დიდ ხანჯალს იხსენებდა, რომელიც მას ვერცხლის ქამარზე ეკიდა. ის უცნობი მხედარი, როგორც აღმოჩნდა, იყო ნესარი, მთიდან ჩამოსული ღილღველი, დამაარსებელი დასახლებისა, რომელსაც, მისი სა-

ხელის მიხედვით, ნაზრანი დაერქვა. ნესარს ცხვრის უზარმაზარი ფარები ჰყოლია. ერთი სიტყვით, ნესარი დიდებული ვაჟკაცი აღმოჩნდა, რომლის წინააღმდეგაც ცოლმა აჩამა წააქეზა. მივიდა აჩამა ნესარის ჭიშკართან. გამოვიდა ნესარი. მასპინძელმა აჩამა და მისი მეომრები სტუმრად მიიპატიჟა.

აჩამამ კი, სალამზე რომ უპასუხა, უთხრა:

– ნესარ, შენთან წვერის მოსაჭრელად მოვედი.

ეს სიტყვები რომ მოისმინა, ნესარმა უთხრა:

– კარგი, აჩამა, შეეშვი ხუმრობას! რასაც შენ ამბობ თავის მოჭრაზე უარესია. გეყოფა უაზრო ლაპარაკი და უმჯობესია ჩემს სახლში შემოხვიდე და მხიარულ ნადიმში დრო გავატაროთ. თქვენ ჩემი სტუმრები ხართ და ვალდებული ვარ თქვენ მიმართ ყურადღება გამოვიჩინო. როცა დაგინახეთ, რომ ჩემთან მოდიოდით, ცხვრის დაკვლა ვუბრძანე და მხოლოდ შემდეგ გამოვედი თქვენთან შესახვედრად.

აჩამა მასპინძლის სიტყვებმა არ დააკმაყოფილა და ნესარის წვერს წაეპოტინა. ნესარი დარწმუნდა, რომ აჩამა აღარ ხუმრობდა. მან ხანჯალი ამოაძრო და აჩამა იქვე განგმირა. მისმა მეომრებმა მოკლული აჩამა მიწაზე დაგდებული მიატოვეს და თავიანთი სახლებისკენ გაქუსლეს.

66. მეხქა ასთბი

ოდესღაც დოშხაკლეში[1] ასთბი ცხოვრობდა. გამოჩენილი სიმამაცისა და ვაჟკაცობის გამო, მას ყველა მეხქა ასთბის ეძახდა. როცა ის რაზმთან ერთად ნადავლის ხელში ჩასაგდებად მიდიოდა და ნადავლს ინაწილებდნენ, ის ორ წილს იღებდა: ერთს - თავისთვის, ხოლო მეორეს - ცხენისთვის.

ერთხელ მეხქა ასთბიმ, როცა ნადავლისთვის საქართველოში ითარეშა, იქიდან ქართველი თავადის ასული ტყვედ წამოიყვანა. ჩერქეზებს შორის მეხქა ასთბის ჰყავდა ერთი გამორჩეული მეგობარი და ქართველი ქალიშვილი აღსაზრდელად მას მიაბარა. გავიდა არცთუ ისე ცოტა დრო და მეხქა ასთბი ერთხელ ამხანაგებთან ერთად გასართობად ჩერქეზებთან წავიდა. მასპინძელმა დიდი ნადიმი და

ლოვზარი[2] მოაწყო. მეხქა ასთბი როცა ჩერქეზი მეგობრის სასახლეში სანადიმოდ იჯდა და მხიარულობდა, მისი ყურადღება ერთმა მშვენიერმა ასულმა მიიქცია. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ.

– მე უნდა გამომყვე. მითხარი, ვინ არის მამაშენი? - ჰკითხა მეხქა ასთბიმ.

– მე ტყვე ვარ. აქ მეხქა ასთბიმ მომიყვანა და მის ხელში ვარ. - უპასუხა ქალიშვილმა.

– მეხქა ასთბი მე ვარ. ამ ხალხის თანდასწრებით საჯაროდ ვაცხადებ, რომ დღეიდან შენ ტყვე აღარ იქნები. ახლა მითხარი, თანახმა ხარ, ცოლად გამომყვე?

– თანახმა ვარ. - მიუგო ქალიშვილმა.

ისინი შინ დაბრუნდნენ და დაიწყეს ცხოვრება, როგორც ცოლქმარმა.

მეხქა ასთბის ერთი ოსტატი კოშკს უშენებდა[3]. ის თლიდა და ქვებს აწყობდა, კირს უსვამდა, კედლები და კუთხეები ისე სწორად ამოჰყავდა, თითქოს გაჭიმული ძაფით იყო გასწორებული. მეხქა ასთბიმ ოსტატს პირობა მისცა, რომ მშენებლობის დასრულებისთანავე მას თავისი ქონებიდან ნებისმიერ ნივთს მისცემდა, რომელსაც კი ხელს დაადებდა.

ერთხელაც მეხქა ასთბი თერგს გადაღმა ნოღაელთა ჯოგების გამოსარეკად წავიდა. როდესაც მეხქა ასთბი შინ არ იმყოფებოდა, მის ოსტატთან ერთ-ერთი ქართოელი[4] ღილღველი მივიდა და უთხრა:

– მთელ ამ მთებში მხოლოდ მეხქა ასთბის აქვს თოფი. როცა კოშკის მშენებლობას დაამთავრებ, მას თოფი მოსთხოვე. ის დაჟინებით შემოგთავაზებს უამრავ პირუტყვსა და ცხვრის ფარას, მაგრამ იცოდე: თოფზე უკეთესი არაფერი არ არის. თოფი მოსთხოვე!

როცა მეხქა ასთბი დაბრუნდა და ნოღაელთა ველებიდან ნადავლის ორი წილი, თავისი და თავისი ცხენის კუთვნილი, მოიტანა, ოსტატი კოშკზე უკვე უკანასკნელ ქვას დებდა. ოსტატმა კოშკის მშენებლობა დაამთავრა, ძირს ჩამოვიდა და მეხქა ასთბიმ ჰკითხა:

– დაასახელე, გასამრჯელოდ რას აიღებ?.

– შენი თოფის გარდა, არაფერი არ მინდა. - იყო პასუხი.

– რად გინდა თოფი? შენ მშენებელი ხარ, კოშკებს აშენებ და თავს მაგ ხელობით ირჩენ, ხოლო მე იარაღის გარეშე ვერ ვიცხოვრებ. ძალიან გთხოვ: წაიყვანე მთელი ცხვრის ფარა, საქონლის ნახირი და ყველაფერი, რაც მაბადია, მაგრამ თოფი დამიტოვე. - სთხოვა ასთბიმ

– მე ჩემი სიტყვა ვთქვი. თუ ჩვენ შორის დადებულ შეთანხმებას ასრულებ, მომეცი თოფი. - თქვა ოსტატმა[5].

მეხქა ასთბიმ ოსტატს თოფი მისცა. ის თოფის დაკარგვას იმდენად მტკივნეულად განიცდიდა, რომ ერჩია მისთვის ხელი ან ფეხი მოეკვეთათ.

– ენა უნდა მოეჭრას მას, ვინც ეს ურჩია. - თქვა მან.

ოსტატი წავიდა, მაგრამ მეხქა ასთბი ვერ დამშვიდდა. იგი ოსტატს გზაზე მზირად ჩაუსაფრდა. ოსტატი, როგორც კი მიუახლოვდა, მეხქა ასთბიმ მაშინვე მოკლა. მომაკვდავმა ოსტატმა მკვლელი დაწყევლა:

– არარაობად იქცეს შენი შთამომავლობა და დაჩიავდეს შენი გვარი![6]

მეხქა ასთბის ოსტატის წყევლა მიეწია. მისმა უმაქნისმა და უნიათო შთამომავლებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. ისინი სათარეშოდ კი დადიოდნენ, მაგრამ ერთი წილი ნადავლიც ძლივს მოჰქონდათ და თავიანთ მამას ვერ უვლიდნენ. მოუვლელობისა და მწუხარებისგან მეხქა ასთბი მოტყდა და დაბერდა. ერთხელაც მან თქვა:

– თავმოყვარე ნაგაზი თავისი პატრონის ეზოში არ მოკვდება.

მეხქა ასთბი ამხედრდა თავის ბებერ ცხენზე და თავის ჩერქეზ მეგობართან გაქუსლა. როცა დანიშნულ ადგილზე მივიდა, დაინახა, რომ მეგობრის სასახლეში გართობა და ნადიმი ეშხში შედიოდა. ნადიმის მონაწილე ხალხმა ვერ შეამჩნია ძველ ტანსაცმელში გამოწყობილი მოხუცი ასთბი. იმ დღეს ჩერქეზებს მეხქა ასთბის მეგობრის ვაჟის ქორწილში მოეყარათ თავი, თუმცა ასთბის მეგობარი ქორწილს არ ესწრებოდა. ის სამი-ოთხი წილის წინ გარდაცვლილიყო.

როცა სტუმრები კარგად გამხიარულდნენ, სახლიდან მშვილდი გამოიტანეს. სტუმარი არ დარჩა ისეთი, რომელმაც მისი მოზიდვა არ სცადა, მაგრამ ამაოდ, ეს ვერავინ ვერ შეძლო. მაშინ მეხქა ასთბი მივიდა მათთან და სთხოვა:

– მომეცით, მეც მოვზიდავ მშვილდს.

– განზე გადი, მოხუცო. იმის გაკეთებას ნუ ცდილობ, რისი გაკეთებაც ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდებმაც ვერ შეძლეს.

რადგან მეხქა ასთბი დაჟინებით მოითხოვდა, ბოლოს მასპინძლებმა მშვილდი მაინც გადასცეს. მან მოზიდა მშვილდი, შემდეგ სტყორცნა ისარი და ნაფშვენებად აქცია ჭადარი, რომელიც ეზოს კუთხეში იზრდებოდა. ხალხი გაოცდა.

– ეს ჩემი მშვილდია. - თქვა მეხქა ასთბიმ. - მე ის ოდესღაც ჩემს ჩერქეზ მეგობარს ვაჩუქე. მხოლოდ ჩვენ ორს შეგვეძლო ამ მშვილდის მოზიდვა.

ჩერქეზი მეგობრის ვაჟმა იცნო მეხქა ასთბი. გახარებული ვაჟი გადაეხვია მამის მეგობარს, სახლში შეიპატიჟა, შემოსა მამის თავადური სამოსლით. მეხქა ასთბი კვლავ ღირსეულად გამოიყურებოდა. მის პატივსაცემად ნადიმი კიდევ სამ დღეს გაგრძელდა. ჩერქეზი მეგობრის ვაჟმა მეხქა ასთბი შინ აღარ გაუშვა და მასთან სამ წელიწადს დარჩა. ხოლო როცა შინ დაბრუნდა, ის მალევე აღესრულა.

67. ბორა აბაევი

ბორა აბაევი მეტად ზორბა კაცი იყო და სიმამაცის გამო დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი.

ერთხელ, როცა ის თავისი არაბული ცხენით მგზავრობდა, დიდ ხანძარში მოყვა. ცეცხლი თანდათან ეწეოდა. ხანძრისგან რომ თავი დაეღწია, მან ცხენი სწრაფად გააჭენა. უეცრად ზურგიდან წივილის ხმა შემოესმა. მოიხედა და რას ხედავს! მის უკან უზარმაზარი გველი მოსრიალებს და ვერ ეწევა. ბორას შეეცოდა გველი, მას თავისი მათრახის ბოლო გაუწოდა და უთხრა: „აჰა, გველო, მათრახს მაგრად მოეჭიდე!“ გველი ეძგერა მათრახს და მოეჭიდა. ბორამ კი დეზები შემოჰკრა ცხენს და გააჭენა. ასე დაიხსნა მან საკუთარი თავი ხანძრისგან და გველიც გადაარჩინა.

როცა ისინი უსაფრთხო ადგილას მივიდნენ, ბორამ თქვა:

– აბა, გველო, შენ ახლა უსაფრთხო ადგილას იმყოფები და შეგიძლია აქ დარჩე. გაუშვი ჩემი მათრახი და ბედს მიენდე!

გველი ჩასრიალდა მათრახიდან, მაგრამ მან თავისი მხსნელი არ მიატოვა. როცა ბორა მოტრიალდა, მან უკან დაიხია, და როგორც კი მხედარმა გზა განაგრძო, გველმა კვლავ მისკენ ხოხვა განაგრძო. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს ბორამ თქვა:

– გველო, როგორც ჩანს, შენ გინდა, რომ გამოგყვე. პატიოსან სიტყვას გაძლევ, საითაც უნდა გასრიალდე, მაინც გამოგყვები.

ვაჟი გველს საკმაოდ დიდ მანძილზე გაჰყვა. ბოლოს ისინი სოროსთან მივიდნენ. გველმა ბორას შეხედა და სოროში შეძვრა. ცოტა ხნის შემდეგ სოროში გველის კუდი გამოჩნდა. მაშინ ბორამ თავისთვის გაიფიქრა: - „ალბათ მან სიკეთის გადასახდელად მომიყვანა. თუ გველს წინ კუდი აქვს და ისე მოხოხავს, მას სიკეთის გაკეთება უნდა ადამიანისთვის“.

მართლაც, გველი გამოძვრა და თან დიდი ფოლადის აბჯარი გამოათრია. ბორამ თქვა:

– ალბათ, რომ გადაგარჩინე, მადლობის გადასახდელად მაჩუქე ეს აბჯარი. სიტყვას გაძლევ, რომ არავის ვაჩუქებ და შთამომავლებსაც ანდერძად დავუბარებ, რომ მას თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ.

68. დოვლათის ფრინველი

მეცხალის შაჰარში[1] ერთხელ დოვლათის ფრინველმა[2] ბუდე გაიკეთა. ამის შემდეგ მიწა იქ მუდამ უხვ მოსავალს იძლეოდა, ხოლო მდინარე არმხის ორივე ნაპირზე ნოყიერი ბალახი იზრდებოდა და ხალხი იქ ცხვარსა და საქონელს აძოვებდა.

ერთხელ იმ ადამიანებმა, რომლებსაც ბოროტებისა და ცუდი საქციელის ჩადენა არ ეთაკილებათ, დოვლათის ფრინველს ბუდე დაუნგრიეს და იქიდან განდევნეს. ფრინველმა დატოვა მეცხალის შაჰარი და ბალთაში[3] გაფრინდა. კოშკების მახლობლად ის თავისი ფრთით ლეჩახოების მიწას შეეხო. ფრინველმა მას ბარაქა დააბერტყა და ის მიწა დღემდე უხვ მოსავალს იძლევა. ფრინველმა ღამე ლარსში გაათია, ხოლო ბუდე საბოლოოდ საქართველოში გაიკეთა.

69. ქრისტიანი მეფე და ბარქუმ კანთი

ღილღოში, მდინარე ასის მარჯვენა ნაპირზე, წითელი მთის ძირას, მდებარეობს აული ბარქუმი. იმ ადგილის შემოგარენი, თავისი მწირი მცენარეულობითა და თვალშეუდგამი, სალი კლდეებით, პირქუშ და უდაბურ სანახაობას ქმნის. მხოლოდ ბარქუმის მახლობლად მოჩანს პატარა ტყე, რომელიც სასიამოვნო კონტრასტს ქმნის სევდიანი, ერთფეროვანი სურათის ფონზე. ბარქუმის აულის დამაარსებელი ყოფილა თავისი სიმამაცით, მოხერხებულობითა და სტუმარმასპინძლობით განთქმული ჭაბუკი - ბარქუმ კანთი.

ბარქუმის მახლობლად იმ დროს ერთ ქრისტიან მეფეს[1] უცხოვრია. იმავე სოფელში ყოფილა პატარა ეკლესია[2], ნაშენი გამორჩეული რუხი ქვით, რომელიც შორეული უცხო ქვეყნებიდან ჯორებით მოუზიდავთ. მეფე და ბარქუმელი ჭაბუკი ტკბილად და მეგობრულად ცხოვრობდნენ. ისინი ერთმანეთს ხშირად სტუმრობდნენ და მთელ დროს მხიარულებასა და თავიანთ საქმეებზე საუბარში ატარებდნენ.

ერთხელ მეფემ და ბარქუმ კანთმა ფიცი დადეს, რომ ყველა იმ თხოვნას შეასრულებდნენ, რომლითაც ისინი ერთმანეთს მიმართავდნენ. ბარქუმელ ჭაბუკს უმშვენიერესი ცოლი ჰყავდა. ისეთ თეთრ და ფითქინა პირისახეს, კაცი ვერცერთ ქალზე ვერ ნახავდა. მას იმდენად ქათქათა და გამჭირვალე კანი ჰქონდა, რომ, როცა ეს მშვენიერი ქალი სვამდა, ჩანდა, წყალი ყელში როგორ გადასდიოდა[3].

ფიცის დადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქრისტიანი მეფე მუსიკის თანხლებით ბარქუმ კანთს ესტუმრა. სტუმრობა მთელი სამი დღე გაგრძელდა. მეოთხე დღეს მეფემ ბარქუმ კანთს ცოლი სთხოვა. ბარქუმ კანთი ამ თხოვნამ მეტად შეაწუხა და დადარდიანებული ჭაბუკი ცოლთან შევიდა. მშვენიერმა ქალმა ქმრის შეწუხებული სახე რომ დაინახა, ჰკითხა:

– რატომ ხარ ასეთი ნაღვლიანი?

ქმარმა უამბო, რაც მოხდა და ცოლს რჩევა ჰკითხა. ცოლმა მიუგო:

– თუ ფიცი მიეცი, კიდევაც უნდა შეასრულო. ქრისტიანი მეფე მდიდარი და ძლიერი მმართველია. თუ მის თხოვნას არ შეასრულებ,

ის შენი მტერი გახდება და ჩვენს აულს გაანადგურებს. ჩემი დაკარგვის ნაცვლად რომ დაგაჯილდოვოს, სთხოვე მეფეს, რათა სამი დღის განმავლობაში აიბარგოს თავისი აულიდან, ხოლო ის ადგილი და თავისი რეზიდენცია შენ გაჩუქოს. ასევე უთხარი მას, რომ ყველაფერი, რასაც სამ დღეში ვერ წაიღებს, დარჩეს შენს სარგებლობაში.

ბარქუმ კანთი ისე მოიქცა, როგორც ცოლმა ურჩია. განშორებისას ქრისტიან მეფეს მან უთხრა:

– აი, ჩემი ცოლი, წაიყვანე. მას ჩვენი ფიცის გამო გაძლევ. სამი დღის შემდეგ შენს აულში მოვალ და მეც საჩუქარს მოგთხოვ.

სამი დღის შემდეგ ბარქუმ კანთი ქრისტიან მეფესთან მივიდა. ნადიმის შემდეგ ბარქუმ კანთმა მეფეს ასეთი თხოვნით მიმართა:

– ჩვენ დავიფიცეთ, რომ ერთმანეთს თხოვნას შევუსრულებდით. მე გთხოვ, რომ მაჩუქო მიწა და სასახლე, რომელიც აქ გეკუთვნის. სამი დღის განმავლობაში აქედან აიბარგე და თან წაიღე შენი ქონება, რის წაღებასაც შეძლებ, ხოლო რაც სამი დღის შემდეგ აქ დარჩება, ჩემი საკუთრება გახდება.

ქრისტიანი მეფე, მართალია, ამ თხოვნამ მეტად დააღონა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, იგი უნდა შეესრულებინა. სამი დღის შემდეგ თავისი ავლადიდებით ის აულიდან თერგის ველზე გადაბარგდა. მისი შთამომავლებისგან ყაბარდოელთა ტომი წარმოიშვა, ხოლო ბარქუმ კანთისგან - დიდი ღილღური გვარი.

70. საქართველოს მეფე და ბარახოი კანთის ცოლი

დოარჰეში[1], სადაც ამჟამად ტყობა-ერდის[2] ეკლესია დგას, ოდესღაც ცხრაათასკომლიანი შაჰარი[3] ყოფილა. ამ შაჰარიდან გამოსვლა მხოლოდ ორი კარიბჭიდან შეიძლებოდა, რომლებიც ურთიერთსაპირისპირო მხარეს მდებარეობდა. შაჰარში ცხოვრობდა ბარახოი კანთი. მას ჰყავდა ამ ქვეყნად ყველა ქალზე ლამაზი ცოლი.

საქართველოს მეფეს, რომელიც ბარახოი კანთის შაჰარის მახლობლად ცხოვრობდა, მისი ცოლი საკუთარ სულზე მეტად შეუყვარდა. ერთ დღეს საქართველოს მეფე ბარახოი კანთს ესტუმრა. მასპინძელმა საუკეთესო ცხვარი დაუკლა და დიდებული სუფრა გაუშალა. სანამ სუფრას შემოუსხდებოდნენ, მეფემ მასპინძელს უთხრა:

– თუ ჩემს თხოვნას არ შეასრულებ, სუფრასთან არ დავჯდები და საჭმელს არ მივეკარები!

– მთხოვეთ, რაც გენებოთ. სუფრასთან წარმოთქმული სტუმრის სიტყვა უპასუხოდ არ უნდა დარჩეს! - მიუგო ბარახოი კანთმა.

– შენი ცოლი უნდა მომცე. - უთხრა საქართველოს მეფემ.

ბარახოი კანთი ჯერ დადუმდა, მერე თავისი ცოლის ოთახში შევიდა და სკამზე მძიმედ დაეშვა. მისი ცოლი, რომელსაც სილამაზის შესაბამისი ჭკუაც ჰქონდა, მიხვდა რომ ქმარს რაღაც აწუხებდა და ჰკითხა:

– დღეს რა მოხდა, რატომ ხარ ასე დათრგუნული?

ბარახოი კანთმა უამბო, რაც მოხდა. ცოლმა ქმარს ყურადღებით მოუსმინა და უთხრა:

– ნუ გატყდები. სუფრასთან ნათქვამი სტუმრის თხოვნა უნდა შესრულდეს. ვფიცავ, რომ შენს ღირსებას ბოლომდე დავიცავ და ისეთივე სპეტაკი დაგიბრუნდები, როგორიც დღეს ვარ. საქართველოს მეფეს კი უთხარი: - ამ მიწაზე ხალხი იმდენად გამრავლდა და პირუტყვი ისე გაბევრდა, რომ აღარ ეტევა. ამიტომ აქედან ან შენ უნდა წახვიდე, ან - მე. შენი თხოვნა მივიღე და ვასრულებ. შენც პატივი მეცი. წაიყვანე ჩემი ცოლი, რომელიც შეგიყვარდა; წაასხი შენი საქონელი და შენი ხალხით წადი ამ ქვეყნიდან, ხოლო ეს მიწა-წყალი მე დამიტოვე-თქო.

ბარახოი კანთი თავის ცოლს კარგად იცნობდა, მას ენდობოდა და ახლაც, მას რომ მოუსმინა, დაწყნარდა, მეფესთან მივიდა და მშვიდად მოახსენა:

– იდღეგრძელეთ და მშვიდობა არ მოგკლებოდეთ! მიირთვით, რაც თქვენ წინ აწყვია. ამაღამ სახლში ჩემს ცოლთან ერთად დაბრუნდები. მაგრამ შენც[4] უნდა შეასრულო ჩემი თხოვნა. ამ მიწა-წყალზე მჭიდროდ ვცხოვრობთ, ხალხი აღარ ეტევა, საქონელს საძოვარი არა აქვს, რომ მოძოვოს. ჩვენ შორის ერთ-ერთი აქედან უნდა წავიდეს: ან თქვენ დატოვებთ აქაურობას და წახვალთ, ან - მე. მაგრამ მე რატომ უნდა დავტოვო ჩემი მიწა-წყალი? უფრო სამართლიანი იქნება, თუ თქვენ დატოვებთ ამ ქვეყანას და წახვალთ აქედან, როგორც უცხო მხრიდან მოსული კაცი.

იმავე ღამეს მეფემ ბარახოი კანთის ცოლი წაიყვანა და თავის სახლში დაბრუნდა, მსახურებსა და ნაზირ-ვეზირებს კი განუცხადა, რომ ეს ადგილი სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინათ. ბარახოი კანთის ცოლმა, როცა დაინახა, რომ მეფეს მასთან დარჩენა და ალერსი უნდოდა, უთხრა:

– პირობა მომეცი, რომ არ შემეხები, სანამ შესაფერის ადგილზე არ ვიქნებით.

– რას ვიზამ, პირობას გაძლევ! - თქვა მეფემ.

მეფე მეორე დღესვე თავისი ამალით დაიძრა. მათ ტვირთაკიდებული ჯორებით, ცხენებით, სახედრებითა და ნახირით ასის ხეობაში დაიწყეს გადაადგილება. როცა ისინი ერშთან მივიდნენ, მეფესთან ერთი კაცი გამოცხადდა და უთხრა:

– დიდებულო ხელმწიფევ, გვიღალატეს! ბარახოი კანთმა გზა გადაგვიღობა და მთებს შორის მოგვიმწყვდია. ვერც წინ წავალთ და ვეღარც უკან დავბრუნდებით.

ეს რომ გაიგო, ბარახოი კანთის ცოლმა მაცნეს უბრძანა:

– წადი, აბა, გაიგე, მას ხმალი როგორ უჭირავს, ქარქაშში უდევს თუ გაშიშვლებული აქვს?

გაგზავნილი კაცი დაბრუნდა და მოახსენა, რომ ბარახოი კანთს ხელში გაშიშვლებული ხმალი[4] ეჭირა. მაშინ ქალმა მათ აუხსნა:

– თუ ასეა, მაშინ მშვიდობიანი გზა გვექნება და ხალხი მთებიდან უხიფათოდ დაშვებას შეძლებს.

ბარად ჩასული ხალხი ზღვის ნაპირამდე მივიდა. საქართველოში მისული მეფეც თავს ლაღად გრძნობდა. ახლა მან ცოლთან მიახლოვება მოისურვა და თამაში დაუწყო.

– აქამდე თქვენი სიტყვის ერთგული იყავით და პირობას ასრულებდით. ისე იქცეოდით, როგორც გთხოვეთ. - უთხრა ქალმა. - ახლა ერთი თხოვნაც შემისრულეთ, მომეცით უფლება იმდენ ხანს ვიყო მეფე, სანამ მაღლა ასროლილი ქუდი მიწაზე არ დაეცემა. ამის შემდეგ რასაც მიბრძანებთ, იმას გავაკეთებ!

სასწრაფოდ ხალხი და ჯარი შეკრიბეს და მეფემ ყველას გასაგონად გამოაცხადა:

– ახლა ჩემი ცოლი დროებით მეფე იქნება, სანამ მაღლა ასროლილი ქუდი მიწაზე არ დაეცემა. ვინც ამ დროში მის ბრძანებას არ შეასრულებს, სიკვდილით დაისჯება!

როგორც კი ქუდი მაღლა ააგდეს, ცოლმა მსახურებს უბრძანა:

– მოკალით მეფე!

ხალხმა მისი ბრძანება მყისვე შეასრულა და ბარახოი კანთის ცოლი გამეფდა. ის ისეთივე სპეტაკი დარჩა, როგორიც მანამდე იყო და ბარახოი კანთისთვის მიცემული პირობის შესასრულებლად ღილღოში დაბრუნება გადაწყვიტა. ის მთელი ჯარისა და ხალხის თანხლებით საქართველოდან დაიძრა და გეზი პირდაპირ შინისკენ აიღო. როცა ხალხი ღილღოს მიადგა, მათ იფიქრეს:

– ამ ქალმა მეფე მოატყუა, ჩვენ დაგვაქცია, სახლ-კარს მოგვწყვიტა და ამხელა განსაცდელი დაგვატეხა. ახლა ღილღოში მივყავართ და სურს, რომ ბარახოი კანთს გადაგვცეს. ისეთი რამე უნდა გავუკეთოთ ამ ქალს, რომ თავისი ქმრის წინაშე მისვლა ვეღარ შეძლოს. ამისათვის გვჭირდება კაცი, რომელიც მასთან ღამეს გაათევს.

ამდენ ხალხში ვერავინ გაბედა ამის გაკეთება. ბოლოს ეს საქმე თავის თავზე აიღო ერთმა ბეჩავმა კაცმა. მან თქვა:

– ქალთან ღამეს მე გავათევ.

ბარახოი კანთის ცოლმა რომ დაიძინა, ეს უგერგილო კაცი მძინარე ქალს მიეპარა და მასთან დაწვა. როცა ქალმა დილით გაიღვიძა, მიხვდა, ღამით რაც მოხდა და ბრძანა ის კაცი მასთან მიეყვანათ. რადგან კაცი საცოდავად გამოიყურებოდა, ქალმა არაფერი დაუშავა და მხოლოდ მისი გაძევება მოითხოვა.

ბარახოი კანთის ცოლი დაორსულდა და სირცხვილის გამო ქმართან ვეღარ დაბრუნდა. მან ხალხი შეაჩერა და ღილღოში აღარ შეუშვა. ქალმა ვაჟი შვა. მან მსახურებს ახალშობილის ტყეში წაყვანა და იქ დატოვება უბრძანა. გავიდა ერთი კვირა და აი, ქალთან ერთი მონადირე მივიდა, პატარა ბავშვი მიუყვანა და უთხრა:

– სანადიროდ წავედი და დავინახე, რომ მიწაზე ბავშვი იწვა, რომელსაც ძუ მგელი ძუძუს აწოვებდა. მგელი გავაგდე და ბავშვი კი თქვენ მოგგვარეთ.

მაშინ დედამ თავისი ვაჟი მიიღო და გაზრდა დაუწყო. ის ქმართან ღილღოში აღარ დაბრუნებულა და სამუდამოდ საქართველოში დარჩა საცხოვრებლად.

71. ტყობა-ერდის უცხო მთავარი და ღილღველი მზეთუნახავი

ერთმა მთიელმა ღილღველმა, რომელიც მაშინ ასორმოცი წლის იქნებოდა, ასეთი ამბავი მიამბო.

როცა ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი, ჩვენს სოფელში ერთი მიხრწნილი დედაბერი ცხოვრობდა. ერთხელ, როცა ის მზეზე თბებოდა, მე და ჩემმა მეზობელმა ბიჭებმა კენჭების სროლა დავუწყეთ. მოხუცი გაბრაზდა და გვითხრა: - „ღმერთმა ურწმუნო ადამიანების მფარველობის ქვეშ გამყოფოთო!“ დედაბრის სიტყვებმა ბიჭები დაგვაფიქრა და გადავწყვიტეთ გვეკითხა, ამ სიტყვებით რის თქმას ცდილობდა.

– როცა ჯერ კიდევ პატარა გოგონა ვიყავი, - გვითხრა მან, - იქ, სადაც ახლა ტყობა-ერდია, ერთი მთავრის ხალხი ცხოვრობდა. ისინი გამოირჩეოდნენ თავიანთი კეთილშობილებითა და სიმამაცით. მათ შორის იყო ერთი კაცი, რომელსაც ისეთი მშვენიერი ცოლი ჰყავდა, რომ ყველა მის სილამაზეზე ლაპარაკობდა. ეს კაცი და მთავარი მეგობრობდნენ. ისინი ერთმანეთს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ. მათ დაიფიცეს, რომ თუ ერთმანეთს რამეს სთხოვდნენ, არაფერზე უარი არ ეთქვათ და თხოვნა უეჭველად შეესრულებინათ. ერთხელ მთავარმა იმ კაცს უთხრა:

– ყველა ამბობს, რომ შენი ცოლი ნამდვილი მზეთუნახავია, მე მაჩუქე.

ეს რომ გაიგო, კაცი საშინლად შეწუხდა. მან არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. თუ თხოვნას არ შეასრულებდა და მთავარს ცოლს არ მისცემდა, მაშინ მიცემულ ფიცს გატეხდა. თავისი საყვარელი ცოლის სხვისთვის გადასაცემად ძალაც არ ყოფნიდა. ეს კაცი შინ დაბრუნდა და ცოლს მთავრის ნათქვამი გადასცა. ცოლმა მოუსმინა და უთხრა:

– ასე ნუ ნაღვლობ. დარდით ვერაფერს გააწყობ. მე გასწავლი, როგორც უნდა მოიქცე. მთავარს უთხარი: „მოგცემ ჩემს ცოლს, რადგან მას მთხოვ. მაგრამ შენც შემისრულე ერთი თხოვნა. როგორც კი ჩემს ცოლს გადმოგცემ, შენი ხალხით მაშინვე უნდა წახვიდე აქედან და მომეცი სიტყვა, რომ აქ აღარასოდეს დაბრუნდები.

კაცმა მთავარს ყველაფერი ისე უთხრა, როგორც ცოლმა დაარიგა. მთავარი შეჰპირდა თხოვნის შესრულებას, რადგან მშვენიერ ქალზე უარის თქმა მას არ შეეძლო. მთავარმა მთელი თავისი ხალხი შეკრიბა, ქალი წაიყვანა და იმ ადგილიდან სამუდამოდ წავიდა.

72. რჯულის კაცები ტყობა-ერდის სალოცავში[1]

მთაში არის ტყობა-ერდის[2] სალოცავი, სადაც დღესასწაულზე ღილღოს, ჩულხოის, ცხოროისა და მეცხალის საზოგადოებებიდან სალოცავად ორი ათასამდე ოჯახი იყრიდა თავს. ტყობა-ერდში იყო ქვეყნის სასამართლო, რომელსაც ერქვა მეხქ-ჴელი („мехка-кхел“).

ტყობა-ერდის ეკლესიაში მუდმივად იმყოფებოდნენ ხალხის მიერ არჩეული და მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებული უხუცესები. ხუცეს-მოსამართლეებს ხალხი არჩენდა: ქორწილის შემდეგ სამი დღის განმავლობაში ყოველ ნეფეს მოეთხოვებოდა უხუცესების სარჩოთი უზრუნველყოფა. გარდა ამისა, ტყობა-ერდის ეკლესიის მახლობლად ხაზავდნენ ორი წრეს. შუაგულში მოთავსებული იყო პატარა წრე, გარედან კი მას შემორტყმული ჰქონდა უფრო დიდი წრე. ახალგაზრდები ვალდებული იყვნენ ტყობა-ერდის რჯულის კაცების თანდასწრებით ეცეკვათ იმ ზოლზე, რომელიც ორ წრეს[3] შორის იყო დარჩენილი. თუ მოცეკვავეებიდან ერთი რომელიმე ხაზს გადაკვეთდა და ფეხით დააბიჯებდა პატარა წრის შიგნით ან დიდი წრის გარეთ, უხუცესები დაიძახებდნენ: „ე-ე, ნართო!“. ეს შეძახილი აღნიშნავდა იმას, რომ მოცეკვავეებიდან ერთერთმა ხაზი გადაკვეთა. ასეთ შემთხვევაში სასიძო ვალდებული იყო ერთი წლის შემდეგ უხუცესებისთვის კვლავ სამი დღის სარჩო შეეწირა და ცოლთან ერთად იმ წრეში ხელმეორედ ეცეკვა. ეს მოქმედება შეიძლება ყოველწლიურად გამეორებულიყო, იქამდე, სანამ ისინი სრულყოფილად არ იცეკვებდნენ.

73. კუდიანი და მისი სიძე

ერთი სიძე თავის სიდედრს ესტუმრა. სიძე ტახტზე იწვა. გვიანი ღამე იყო, მაგრამ ვაჟს ჯერ არ ეძინებოდა და სიდედრს შეუმჩნევლად უთვალთვალებდა. ქალი ცეცხლთან იჯდა და მატყლს ჩეჩავდა. კოშკს, რომელშიც სიდედრი ცხოვრობდა, ჰქონდა სამერცხლე. უეცრად ღამის წყვდიადში იმ ბნელი ღიობიდან სიდედრს ვიღაცამ დაუძახა:

– გამოდი, ჩვენ უკვე მზად ვართ წასასვლელად!

– სტუმარი მყავს. - მიუგო სიდედრმა.

– მერე რა მოხდა? სტუმრები ჩვენც გვყავს, მაგრამ ამაღამ შეკრება არის დანიშნული და უსათუოდ უნდა წავიდეთ.

სიდედრმა ცეცხლი ჩააქრო, კედლიდან ჯოხი ჩამოხსნა, რომელსაც რქაში შენახული რაღაც სითხე წაუსვა. ჯოხი მყისვე ცხენად გადაიქცა. სიდედრი მასზე შეჯდა და ჭენებით გაქუსლა.

სიძე თვალებს არ უჯერებდა და გაოცებული იყურებოდა. მას ვერ გაეგო, რასაც ხედავდა, სიზმარი იყო თუ ცხადი. მან მოათვალიერა და კედელზე სხვა მსგავსი ჯოხიც შენიშნა. ვაჟმა ჯოხი ჩამოიღო და ის იმავე სითხით გაპოხა, რომელიც დედაბერმა გამოიყენა. ჯოხი მაშინვე ცხენად გადაიქცა. ვაჟი შეჯდა ცხენზე და სიდედრს გამოუდგა. სიძე სიდედრს ბოლომდე მიჰყვა და იმ ადგილზე მივიდა, სადაც კუდიანებს შეკრება ჰქონდათ დანიშნული[1] და სუფრა ჰქონდათ გაწყობილი. სიძე შორიახლოს გაჩერდა, რომ მათი საუბარი მოესმინა.

– მოდი, წილი ვყაროთ! - იძახდნენ შეკრებილები, - ვისაც წილი ერგება, მან კაცი უნდა მოკლას.

კუდიანებმა წილი ყარეს და ის სიდედრს ერგო. კუდიანებმა სიდედრს წილისყრის შედეგი გამოუცხადეს:

– ახლა შენი ჯერია, წილი შენ გერგო და კაცი უნდა მოკლა.

– მე არავინ მყავს ისეთი, რომ მოვკლა. თუმცა სიძე მყავს სტუმრად. მას ტყეში შეშის მოსატანად გავგზავნი და ცულით ფეხს გავაჭრევინებ. როცა სისხლი წამოუვა, პირველივე წვეთს ავულოკავ და ის ამით მოკვდება. - თქვა სიდედრმა.

სიძემ სიდედრის სიტყვები რომ მოისმინა, მაშინვე უკან, კოშკში, დაბრუნდა. როცა სიდედრის სახლში მივიდა, ცხენი კვლავ ჯოხად გადაიქცა. სიძე ჩვეულებრივ ტახტზე დაწვა, თითქოს არსად არ ყოფილიყოს და თავი მოიმძინარა. სიდედრიც შინ მალე დაბრუნდა.

დილით სიძემ თქვა:

– ახლა ჩემს სახლში წავალ.

სიდედრმა უთხრა:

– ცეცხლს ვერ ვანთებ, შეშა არ მაქვს, სიცივეში ვზივარ. წადი ტყეში და შეშა მომიტანე.

– ჩემს სახლში როდისღა წავიდე? - მიუგო სიძემ.

მაგრამ საბოლოოდ სიძემ მოხუც სიდედრს შეშის მოტანაზე უარი ვეღარ უთხრა და ტყეში წავიდა, თან იმედოვნებდა, რომ გაფრთხილდებოდა და ხიფათს თავიდან აიცილებდა. მაგრამ მუშაობის დროს ვაჟს საფრთხე დაავიწყდა და უნებლიეთ ცული ფეხში ჩაირტყა. როგორც კი სისხლი წამოუვიდა, მაშინვე მოფრინდა ბუზი და ვაჟს ჭრილობაზე დააჯდა. ვაჟმა ბუზი დაიჭირა, ქისაში ჩასვა და ქისიანად ჯიბეში ჩაიდო. მერე ურემი შეაბა, შეშა დაუდო და სიდედრის სახლში დაბრუნდა.

ვაჟი კოშკში რომ შევიდა, ნახა, სიდედრი საწოლში იწვა და ოხრავდა.

– აჰ, - გაიფიქრა სიძემ, - შეიძლება ქისაში ეს არის. ახლავე გავჭყლეტ.

ვაჟმა ქისას ხელი მოუჭირა და სიდედრს გული შეუღონდა. შემდეგ ბიჭმა ხელი ოდნავ გაშალა და სიდედრი კვლავ გონზე მოვიდა.

– ესე იგი მართალია. - გაიფიქრა ვაჟმა.

მან ცოლთან მაცნე გაგზავნა. როცა ის მოვიდა, ვაჟმა უამბო, რაც შეემთხვა. ცოლმა ქმარს ქისა გამოართვა, კოშკიდან გავიდა და ბუზი ფეხით გასრისა. როცა კოშკში შებრუნდა, ქალს დედა გარდაცვლილი დახვდა. მათ დედა დამარხეს, ვაჟი ცოცხალი გადარჩა, ფეხზე ჭრილობაც მოურჩა და მალე მომჯობინდა.

74. სამოცი ორხუსთოელი და წაზიძი[1]

ეს მოხდა ძველად. ერთ აულში სამოცი ორხუსთოელი ცხოვრობდა. ისინი სამოცი დედის ნაშობი იყვნენ. ყოველ მათგანს თითო ხარი ჰყავდა. ორხუსთოელების მეზობლად ერთი კაცი ცხოვრობდა, სახელად წაზიქი და მასაც ერთი ხარი ჰყავდა. როგორც კი გაზაფხულდა, ორხუსთოელები მინდორში მიწის მოსახნავად წავიდნენ და თან, პატრონის ნებართვის გარეშე, წაზიქის ხარიც წაიყვანეს. როცა ისინი მინდვრიდან დაბრუნდნენ, იმის ნაცვლად რომ მადლობა გადაეხადათ წაზიქისთვის, ადგნენ და ცემა დაუწყეს: - რატომ ჩვენთან არ მოხვედი და მიწის მოხვნაში არ მოგვეხმარეო.

– მე, რამდენიც გნებავთ, იმდენი მირტყით, - უთხრა წაზიქმა ორხუსთოელებს, - მხოლოდ, ღვთის მადლით, ჩემს ხარს ნუ დაარტყამთ.

– ა, მაშ ასე! მისთვის ხარის ცემა უფრო ძნელი გადასატანია. მოდი და ჯიბრზე ხარი მოვუკლათ!

მართლაც, ორხუსთოელებმა წაზიქს ხარი მოუკლეს.

წაზიქმა ხარის ძვლები შეაგროვა, ტომარაში ჩაყარა და იმ აულისაკენ გაეშურა, სადაც ხალხი ნიჩბებით ოქროს ხვეტავდა. საღამოს ის ერთ-ერთ სახლთან გაჩერდა. მასპინძელმა სტუმარი სახლში შეიპატიჟა და სთხოვა, ტომარა შესასვლელში დაეტოვებინა.

– არა, - მიუგო წაზიქმა, - მადლობელი ვარ, მაგრამ არ შემიძლია ტომარა, რომელშიც ოქრო ყრია, შენი სახლის წინკარში დავტოვო. ბედისწერა მუდამ მღალატობს და მისი დაკარგვის მეშინია.

– თუ დაიკარგება, იმდენ ოქროს მოგცემ, რამდენიც ტომარაში გიყრია. - არხეინად მიუგო მასპინძელმა.

წაზიქმა ბარგი შესასვლელში დატოვა და თვითონ ოთახში შევიდა.

მეორე დღეს, დილით ადრე, წაზიქი თავისი ტომრის მოსანახულებლად გამოვიდა.

– როგორი უბედური ვარ, როგორი სულელი ვარ! რატომ დავტოვე გარეთ ტომარა, როცა ვიცოდი, რომ ბედი ასე მიმატოვებდა. - ამ სიტყვების მოთქმით ის ოთახში შევარდა.

– რა მოუვიდა შენს ტომარას? - ჰკითხა მასპინძელმა.

– ჩემი ოქრო მოუპარავთ, რომელიც ტომარაში მქონდა. ქურდს კი დაცინვით ხარის თუ ძროხის ძვლები ჩაუყრია.

მასპინძელმა წაზიქს ტომარაში ოქრო ჩაუყარა და შინ გაუშვა.

ორხუსთოელებმა როცა შეიტყვეს, რომ წაზიქი სოფელში უზარმაზარი სიმდიდრით დაბრუნდა, მასთან მივიდნენ. ორხუსთოელებს აინტერესებდათ, როგორ იშოვა წაზიქმა ამდენი ოქრო.

– მე ვიყავი ისეთ აულში, - თქვა წაზიქმა, - სადაც ძვლები, განსაკუთრებით ხარის, ოქროზე ძვირი ღირს. თქვენგან მოკლული ჩემი ხარის ძვლები იქ სუფთა ოქროზე გადავცვალე.

– თუ ჩვენი ხარების ძვლებს წავუღებთ, ოქროს მოგვცემენ? - იკითხეს ორხუსთოელებმა.

– როგორ არ მოგცემენ, მოგცემენ. თქვენ მხოლოდ ძვლები წაიღეთ!

ორხუსთოელებმა, რაც კი ხარები ჰყავდათ, დახოცეს და მათი ძვლები იმ აულში წაიღეს, საიდანაც წაზიქმა ოქრო მოიტანა. ორხუსთოელები ძვლებით აულში დადიოდნენ და ყვიროდნენ:

– ვის სურს ძვლებში ოქროს გადაცვლა?

იქაურებმა ორხუსთოელები აულიდან სიცილით გამოყარეს.

– ა, როგორც ჩანს, წაზიქმა ჩვენი გასულელება და გამასხარავება გადაწყვიტა. - თქვეს ორხუსთოელებმა გაბრაზებით, - გავაქრობთ პირისაგან მიწისა!

როგორც კი ისინი სახლში დაბრუნდნენ, მაშინვე წაზიქს თავს დაესხნენ და ცემა დაუწყეს.

– მე, რამდენიც გინდათ, მცემეთ, - თქვა წაზიქმა, - მხოლოდ დედაჩემს არ დაარტყათ!

ორხუსთოელებმა მისი დედა ჯიბრით მაშინვე მოკლეს.

წაზიქმა მიცვალებული პატარძალივით მორთო და მოკაზმა, მხარზე გაიდო და ერთ-ერთი აულისაკენ გაემართა. ის ღამით მიადგა სოფელს და მდინარესთან შეჩერდა, რომელიც სოფელს შორიახლოს ჩამოუდიოდა. მან დედა მდინარის პირას ფეხზე დააყენა და ორი ჯოხი შეუყენა, რომ არ გადაქცეულიყო, თვითონ კი აულისაკენ გასწია. წაზიქი ერთი ქვრივი ქალის სახლს მიადგა, რომელსაც სამი გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავდა. ქვრივმა ის სასტუმრო ოთახში შეიპატიჟა.

– არ შემიძლია თქვენთან შემოსვლა, - უთხრა წაზიქმა, - რადგან მდინარესთან ჩემი საცოლე დავტოვე. ცხოვრებაში ისეთი უბედური ვარ, რომ მეშინია, არ დავკარგო.

– ახლავე მასთან ჩემს ქალიშვილებს გავგზავნი. - თქვა ქვრივმა დედაკაცმა.

– არ მინდა, რომ შენი ქალიშვილები ჩემს საცოლესთან გააგზავნო, რადგან მეშინია, მას რამე უბედურება არ დაატყდეს.

– თუ შენს საცოლეს რამე დაემართება, - უთხრა ქვრივმა ქალმა, - მე ჩემს უფროს ასულს მოგათხოვებ.

წაზიქი დასთანხმდა და იმ ღამეს ქვრივთან დარჩა.

ქვრივმა თავისი ქალიშვილები წაზიქის საცოლის მოსაყვანად გაგზავნა. ქალიშვილებმა მდინარის მახლობლად პატარძალივით მორთული ქალი იპოვეს, მაგრამ როგორც კი შეეხნენ, ის მდინარეში გადავარდა და წყალმა წაიღო. ქალიშვილები სახლში დაბრუნდნენ. მათ დედას და წაზიქს უამბეს, თუ რა უბედურება დაატყდათ. წაზიქმა ტირილი მორთო. აბა, რაღა უნდა ექნა, ქვრივმა თავისი უფროსი ქალიშვილი წაზიქს მისცა. ერთი სიტყვით, წაზიქი შინ საცოლესთან ერთად დაბრუნდა.

როცა ამის შესახებ გაიგეს, ორხუსთოელები წაზიქთან მივიდნენ და სთხოვეს მოეყოლა, თუ როგორ მოიპოვა საცოლე.

– მე იმ აულში ვიყავი, - თქვა წაზიქმა, - სადაც მიცვალებულებზე, განსაკუთრებით მკვდარ მოხუცებზე, სიამოვნებით ცვლიან საპატარძლოებს.

ორხუსთოელებს, მართალია, უკვე ჰყავდათ ცოლები, მაგრამ საცოლის მოპოვების ასეთი საშუალება მოეწონათ და წაზიქს ჰკითხეს:

– როგორ გგონია, გადაგვიცვლიან ისინი საპატარძლოებს ჩვენი მოხუცების ცხედრებში?

– გადაგიცვლიან, რატომაც არა! - უპასუხა წაზიქმა.

ორხუსთოელებმა თავიანთი დედები დახოცეს და მათი ცხედრები იმ აულში წაიღეს, რომელზეც წაზიქმა მიუთითა. ორხუსთოელებმა, იქ რომ მივიდნენ, დაიწყეს ყვირილი:

– ვინ ცვლის საპატარძლოს მიცვალებულზე?

იქაურებმა ორხუსთოელები სიცილით გამოყარეს.

– აჰ, - თქვეს ორხუსთოელებმა, - წაზიქმა კვლავ ჩვენი გაბრიყვება მოინდომა! მოიცადოს, მაგას რას დავმართებთ!

სახლში რომ დაბრუნდნენ, წაზიქი მათ კარგად მიბეგვეს.

– მირტყით, რამდენიც გინდათ, - უთხრა მათ წაზიქმა, - მხოლოდ ფიცარზე არ დამაწვინოთ და ისე არ გადამაგდოთ მდინარეში.

ორხუსთოელებმა წაზიქი ფიცარზე დააწვინეს და მდინარეში გადააგდეს. მან ბევრი იცურავა თუ ცოტა, არ ვიცით. მაგრამ აი მენახირის მახლობლად გაცურა, რომლის ნახირიც მდინარის ნაპირზე გაშლილიყო. მენახირე მას ეუბნება:

– ხომ არ გადაგარჩინო?

– გადამარჩინე, - პასუხობს წაზიქი, - მხოლოდ მაშინ, თუკი შენი ნახირიდან ძროხას მომცემ.

– აი, კიდევ რა მოინდომა! გადაგარჩინო და თან ძროხაც მოგცე! დაიხრჩე, თუკი ასე გინდა.

მიცურავს წაზიქი ცხენების რემის მახლობლად. რემის პატრონი სთავაზობს მას თავის სამსახურს.

– მიხსენი, - ეუბნება მას წაზიქი, - თუკი შენი რემიდან ერთ ცხენს მაინც მომცემ.

– აი, კიდევ რა მოინდომა! გადაგარჩინო და თან ცხენიც მოგცე! მოკვდი, თუკი ასე გინდა!

მიცურავს წაზიქი ცხვრის ფარის მახლობლად.

– ამოგიყვანო მდინარიდან? - ეკითხება მას მწყემსი.

– ამომიყვანე, თუკი მერე შენი ფარიდან ერთ ცხვარს მომცემ.

– რატომაც არა? მოგცემ. ერთი ცხვრის გამო ხომ არ დაგღუპავ!

და მწყემსმა წაზიქი მდინარიდან ამოიყვანა.

წაზიქმა, როგორც კი ცხვარი მიიღო, დააპირა მწყემსთან დამშვიდობება, მაგრამ მასპინძელმა სთხოვა ღამით მასთან დარჩენილიყო.

– არა, არ შემიძლია დარჩენა, - ამბობს წაზიქი, - ისეთი უბედური ვარ, რომ მეშინია, ღამით ჩემს ცხვარს არაფერი დაემართოს.

მწყემსი შეპირდა, თუ ნაჩუქარ ცხვარს რამე უბედურება დაემართებოდა, სანაცვლოდ სამოც ცხვარს[2] მისცემდა.

წაზიქი დასთანხმდა და ღამის გასათევად მწყემსთან დარჩა. შუაღამისას, როცა მწყემსს ჩაეძინა, ის ფრთხილად ადგა, დაიჭირა თავისი ცხვარი, ყელი გამოჭრა და მისი სისხლიანი ხორცი ყველა დანარჩენ ცხვარს ტუჩებზე წაუსვა. მისი ტყავი კი პატარა ნაკუწებად დაგლიჯა. შემდეგ წაზიქი კვლავ დასაძინებლად დაწვა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. დილით წაზიქმა თავისი ცხვრის ნახვა მოისურვა და მწყემსთან ერთად ფარის დასათვალიერებლად წავიდა. ისინი ხედავენ, რომ ყველა ცხვარს სისხლიანი ტუჩები აქვს, წაზიქის ცხვარი კი არ არის. მაშინ წაზიქმა თავის უბედობაზე ხმამაღალი ტირილი მორთო. ის ჩიოდა, რომ არცერთ საქმეში არ უმართლებდა და წინასწარ გრძნობდა უბედურებას. შეწუხებულმა მწყემსმა სამოცი ცხვარი მისცა და გაუშვა.

ორხუსთოელებმა გაიგეს, რომ წაზიქი შინ ცხვრის ფარით დაბრუნდა. ისინი წაზიქთან მივიდნენ და დაუწყეს გამოკითხვა, თუ როგორ იშოვა ცხვარი.

– აი, როგორ, - თქვა წაზიქმა, - მას შემდეგ, რაც მდინარეში გადამაგდეთ, მე ზღვამდე გავცურე. ხი ნანამ[3] მიმიწვია ზღვის ფსკერზე და მადლობის ნიშნად, რომ მას ზღვაში ვესტუმრე, სამოცი ცხვარი მიფეშქაშა.

– თუ ვესტუმრებით, ხი ნანა ცხვრებს ჩვენც მოგვცემს?

– რატომაც არა? მხოლოდ ზღვამდე ყველამ ცალ-ცალკე გაცურეთ. როცა იქ უფროსი მივა, ის ფიცრიდან პირდაპირ ზღვაში უნდა გადაეშვას და თუ ის ზღვის ფსკერზე მოხვდება, ე. ი. ხი ნანა თავისთან ეპატიჟება. მაშინ დანარჩენებმაც წყალში ჩაყვინთეთ.

ორხუსთოელები ფიცრებზე ცალ-ცალკე დასხდნენ და მდინარით ზღვისაკენ გაცურეს. როცა მათ ზღვამდე მიცურეს, მათ შორის უფროსი ვინც იყო, ზღვაში გადაეშვა და ხელების ქნევა დაიწყო ისე, როგორც იქცევა ყველა მათგანი, რომელიც წყალში იხრჩობა. ორხუსთოელებმა კი იფიქრეს, რომ უფროსი ძმა მათ თავისკენ უხმობდა და წყალში გადაეშვნენ. ამ სახით ყველანი ზღვაში დაიხრჩვნენ.

ორხუსთოელების ცოლები თავიანთი ქმრების დაბრუნებას დიდხანს ელოდებოდნენ. ბოლოს, როცა დარწმუნდნენ, რომ ისინი აღარ დაბრუნდებოდნენ, თავს დაესხნენ წაზიქს, როგორც ამ უბედურებ-

აში მთავარ დამნაშავეს. წაზიქი გაიქცა და ქალები გამოეკიდნენ. გზაზე წაზიქს ერთი ებრაელი შემოხვდა, რომელსაც ცხენით გასაყიდი საქონელი მიჰქონდა.

– ასე თავქუდმოგლეჯილი სად გარბიხარ? - ჰკითხა ებრაელმა.

– სამოც ქალს შევუყვარდი, - ამბობს წაზიქი, - და თითოეულ მათგანს უნდა, რომ მასთან ვიცხოვრო. მაგრამ მე არცერთ მათგანთან ცხოვრება არ მინდა. ისინი კი ამის გამო მომდევენ.

– მოდი, მე შეგცვლი, - ეუბნება მას ებრაელი.

– სიამოვნებით, შენ თუ გინდა!

ებრაელმა საქონლით დატვირთული თავისი ცხენი წაზიქს გადასცა, მერე კი ტანსაცმელიც გაცვალეს. როცა ორხუსთოელების ცოლები წაზიქს შეხვდნენ, ის მოვაჭრე ებრაელად მიიჩნიეს და გაუშვეს, ხოლო როცა ებრაელს დაეწივნენ, ის წაზიქი ეგონათ და მოკლეს. მერე კი ორხუსთოელების ცოლები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. წაზიქი კი შინ დაბრუნდა. იმ დროიდან მოყოლებული, მან მშვიდი და ბედნიერი ცხოვრება დაიწყო[4].

75. ხამჩით ფათარაზი, სესქათ სოლსა და ბათყათ შირთყა

ნართები: ხამჩით ფათარაზი, სესქათ სოლსა და ბათყათ შირთყა - მეგობრები იყვნენ და მუდამ ერთად მოგზაურობდნენ.

ერთხელაც მგზავრობის დროს მათ ძლიერ მოშივდათ. ამასობაში ჩამობნელდა კიდეც და ღამის გასათევად ერთ დედაბერთან შეჩერდნენ. სტუმრებისთვის რომ ვახშამი მოემზადებინა, მოხუცმა კერიაზე დიდი ქვაბი ჩამოდგა. თოფრიდან ერთი მუჭა ფქვილი ამოიღო და უამრავი გუნდა გააკეთა, ხოლო ქვაბში მოსახარშად სულ ერთი ნეკნი ჩააგდო.

„- ღმერთო, როგორი ძუნწი დედაკაცია, რას აკეთებს?“ - გაიფიქრეს ნართებმა და ერთმანეთს გაოცებით გადახედეს.

როცა ვახშამი მომზადდა, საჭმელი ყველას ბლომად ერგო და კარგად დანაყრდნენ. სტუმრები დაინტერესდნენ:

– რა საოცარია, - თქვეს მათ, - ჩვენ, ყველანი, რომ ასე მცირე ხორცითა და ფქვილით დავნაყრდით!

– ეს ხორცი და ფქვილი ძველი ბარაქიანი დროიდან შემორჩა. ამიტომ მისგან მომზადებული საჭმელიც ასე უხვი და ნოყიერი გამოვიდა[1]. - მიუგო დედაბერმა.

76. სესქათ სოლსა და ჟერ-ბაბა

ერთხელ ღამით სესქათ სოლსა თავის სამოც ორსთხოელთან ერთად ჟერ-ბაბას სახლში აღმოჩნდა. ჟერ-ბაბამ სტუმრები გულთბილად მიიღო, კარგად მოასვენა, დასხა და თვითონ ვახშმის მომზადებას შეუდგა. ჯაჭვ-საკიდელზე ჩამოკიდებულ ქვაბში მოსახარშად მან ცხვრის მხოლოდ ერთი ნეკნი ჩააგდო და შემდეგ მხოლოდ ერთი მუჭა ფქვილის მოზელას შეუდგა.

– ჰმ! რის გაკეთებას აპირებს? რას გვეყოფა ვახშამი, რომელსაც ეს ქალი ამზადებს? - თქვა გაოცებულმა სესქათ სოლსამ და ჟერ-ბაბას ჰკითხა:

– ეი, ჟერ-ბაბა, შენი სტუმრები ხომ ხედავ ბევრნი ვართ და როგორ გგონია, გვეყოფა შენი მოხარშული ხორცი ან შენი გამომცხვარი პური?

– არხეინად იყავი, შვილო, - თქვა ჟერ-ბაბამ, - საჭმელი, რომელსაც ვაკეთებ, დაგრჩებათ კიდეც. ეს ფქვილი და ხორცი იმ დროიდან შემომრჩა, როცა ამ ქვეყანაზე ჯერ კიდევ არ იყო გაჩენილი სესქათ სოლსა და სამოცი ორსთხოელი. მათი ჯიში კი ამოწყდეს! ერთ დღესაც გამწყდარან ისინი! მათ მთელი ბარაქა გააქრეს. - თქვა ჟერბაბამ და ღრმად ამოიოხრა.

– ჟერ-ბაბა, მითხარი, როგორი ბარაქა იყო იმ დროს? - კვლავ ჰკითხა დედაბრის სიტყვებით შეფიქრიანებულმა და უფრო მეტად გაოცებულმა სოლსამ.

– იმ დროს ცხვრები ბალახის ჩრდილში ისე წვებოდნენ, როგორც ხის ქვეშ. ბავშვები, რომლებიც თავიანთ ცხვრებს ეძებდნენ, ბალახის ღეროზე ისე ადიოდნენ, როგორც ჭადარზე და ათვალიერებდნენ, სად იყვნენ მათი ცხვრები[1]. - თქვა სევდიანად დიასახლისმა.

სესქათ სოლსამ და სამოცმა ორსთხოელმა ჟერ-ბაბას ნათქვამი რომ მოისმინეს, შეწუხდნენ და ძლიერ დაღონდნენ.

77. ნართების აღსასრული

ორხუსთოელები პურს რომ დათესავდნენ, ხნულში მხოლოდ ბალახი მოდიოდა. ორხუსთოელები ნადირის ხორცს რომ მოხარშავდნენ[1], ხორცი ქვაბში აყროლებულ მძორად იქცეოდა. როცა ორხუსთოელები დარწმუნდნენ, რომ ზეციურ ძალებთან ბრძოლა უაზრო იქნებოდა, სასოწარკვეთილმა მხედრებმა თვითმკვლელობა გადაწყვიტეს: მათ გაადნეს სპილენძი და დალიეს. ასე მოიწამლეს თავი ორხუსთოელებმა, რომელთაგან ბოლოს სესქათ სოლსამ დალია სული.

სიკვდილის წინ სესქათ სოლსას საშინლად მოსწყურდა და ამ მტანჯველი წყურვილის დროს მან ყვავი დაინახა, რომელიც შორიახლოს მიფრინავდა. სესქათ სოლსამ სთხოვა, რომ მისთვის წყალი მიეტანა.

– მე კი მეგონა, - უთხრა ყვავმა, - რომ უკვე მოკვდი და მოვფრინდი შენი ლამაზი თვალების ამოსაკორტნად.

სოლსამ ყვავი დაწყევლა და ვინც მას მოკლავდა, თასით სასმელს დაჰპირდა.

მასთან ახლოს მგელი მივიდა. მან მგელსაც იმავე თხოვნით მიმართა. მგელმა მიუგო, რომ იგი მასთან დასახმარებლად კი არ მივიდა, არამედ - მისი გულ-ღვიძლის შესაჭმელად.

სოლსამ მგელიც დაწყევლა და სამი თასი აღუთქვა მას, ვინც მგელს მოკლავდა[2].

ბოლოს მტრედი მოფრინდა. სესქათ სოლსამ თხოვნით მტრედსაც მიმართა. მტრედმა წითელი წუღებით წყალი მოუტანა და სოლსამ წყურვილი მოიკლა. მომაკვდავმა ჭაბუკმა მადლობა გადაუხადა მტრედს და კისერზე ხელი გადაუსვა. ამის გამო, როგორც ღილღვეღები ამბობენ, მტრედს აქვს ოქროსფერი კისერი და ასე იძახის: „ჯოჯ, სოლსან, ჯოჯ“[3].

78. ორშთხოელების აღსასრული

ნართებს ჰქონდათ შვიდი მოუსავლიანი წელიწადი. ისინი პურს სხვებს ართმევდნენ და ამით რაღაცნაირად თავი ძლივს გაჰქონდათ. მაგრამ ბოლოს დარწმუნდნენ, რომ შიმშილით სიკვდილი არ ასცდებოდათ. ამიტომ ნართებმა გამდნარი სპილენძი დალიეს, რათა

წამებისთვის თავი სწრაფად დაეღწიათ. ყველანი მალე დაიხოცნენ. არ მოკვდა მხოლოდ სოსქათ სოლსა[1]. მას ძლიერ მოსწყურდა, მაგრამ ძალა აღარ ყოფნიდა წამოსადგომად და ასე მწოლარემ თხოვნა დაუწყო ფრინველებს, რომლებიც მასთან ახლოს დაფრინავდნენ. არცერთმა ფრინველმა მისი თხოვნა არ შეასრულა. მომაკვდავი ჭაბუკი მხოლოდ მტრედს შეეცოდა და წყალი მოუტანა. ამის გამო სოსქათ სოლსამ ულვაშიდან ერთი ბეწვი გამოიძრო, მტრედს კისერზე შეაბა და უბრძანა მეორედ მოსვლამდე მისი სახელი წარმოეთქვა. მტრედს ახლაც ეტყობა კისერზე სოსქათ სოლსასგან დატოვებული ზოლი და კვლავაც გამუდმებით იძახის: „სოსქ-სოლსა, სოსქათ სოლსა“.

79. რის გამო ამოწყვიტა ღმერთმა ორშთხოელები[1]

ერთხელ სოსქათ სოლსა რამდენიმე მხედართან ერთად სანადიროდ წავიდა. მათ მოკლეს კურდღელი, რომელიც გასაკეთებლად და ვახშმის მოსამზადებლად ნართ ხამჩით ფათრიჟს[2] გადასცეს. ხამჩით ფათრიჟმა კურდღელი მოხარშა, ქვაბიდან ამოიღო და იქვე ბუჩქზე შემოდო. მოულოდნელად კურდღელი გაცოცხლდა და გაიქცა. როცა სოსქათ სოლსა დაბრუნდა და ჭამა დააპირა, კურდღელი იქ აღარ დახვდა. მაშინ სოსქათ სოლსამ პასუხი ხაჩით ფათრიჟს მოსთხოვა. მან მიუგო, რომ კურდღელი როცა მოხარშა და ბუჩქზე შემოდო, გაცოცხლდა და გაიქცა. სოსქათ სოლსამ მას არ დაუჯერა და უთხრა:

– უმჯობესია კურდღელი მომცე, შეუძლებელია მოხარშული კურდღელი გაქცეულიყო. შენ რა დამცინი?

ხამჩით ფათრიჟი ირწმუნებოდა, რომ კურდღელი ნამდვილად გაცოცხლდა და გაიქცა, თუმცა თვითონაც ვერ აეხსნა, ასე რატომ მოხდა. სოსქათ სოლსამ მხედრებს ჰკითხა, სჯეროდათ თუ არა ხამჩით ფათრიჟის სიტყვები. მათ მიუგეს, რომ ფათრიჟის ნათქვამის არ სჯეროდათ. მაშინ სოსქათ სოლსამ ხამჩით ფათრიჟს თავი მოჰკვეთა. თუმცა მაშინვე სინანული გამოხატეს ფათრიჟის მოკვლის გამო. ერთმა მათგანმა მოიაზრა და მეგობრებს შესთავაზა, რომ ხამჩით ფათრიჟის ცხედარი იმავე ბუჩქზე დაედოთ, რომელზეც მან მოხარ-

შული კურდღელი შემოდო. ასეც მოიქცნენ. ხამჩით ფათრიჟი იმ უცნაურ ბუჩქზე დააწვინეს და უცბად ხამჩით ფათრიჟიც კურდღელივით გაცოცხლდა. ამის შემდეგ ნართები მოკლულ ამხანაგს მუდამ იმ ბუჩქზე დებდნენ და აცოცხლებდნენ. ამის გამო ღმერთმა მათ საშინელი შიმშილი მოუვლინა და ნართები გაანადგურა[3].

80. როგორ ამოწყდა ნართ-ორსთხოელთა მოდგმა

ნართ-ორსთხოელები ბოროტების ჩადენას არ თაკილობდნენ. თავიანთი უწესო საქციელი საძრახისად არ მიაჩნდათ. ისინი შეკრებდნენ რაზმს და მშვიდობიან ადამიანებს თავს ესხმოდნენ, მათზე ძალადობდნენ, ატყვევებდნენ და მონებად მიჰყავდათ. ამის გამო ღმერთმა დელამ[1] და დარ-ავდრის გამგებელმა სიელამ[2] ნართ-ორსთხოელებს საშინელი განსაცდელი მოუვლინეს.

ერთხელ, როცა ნართებმა რაზმი შეკრიბეს და თავიანთი ბოროტი საქმეების ჩასადენად მიდიოდნენ, მათ ქვეშ მიწა გაიპო, შიგ ჩაცვივდნენ და ზემოთ ამოსვლა ვეღარ შეძლეს. როცა ნართებს საჭმელ-სასმელი გაუთავდათ, მათ თავიანთი ცხენები შეჭამეს. მაშინ სესქათ სოლსას ნართებისთვის მიუმართავს:

– ჩვენზე, მამაც მეომრებზე, რომ არ თქვან, შიმშილით დაიხოცნენო, სჯობია ღირსეულად დავიღუპოთ, დავლიოთ გამდნარი სპილენძი.

ამ სიტყვებზე ნართები შეთანხმებულან და თითოეულს თითო თასი გამდნარი სპილენძი დაულევია. ისინი მაშინვე დახოცილან. სესქათ სოლსას ერთბაშად სამი თასი დაულევია, მას მთელი შიგნეულობა დასწვია, საშინლად იტანჯებოდა, მაგრამ სულიერად თურმე მაინც არ ტყდებოდა.

მას მგელი დაუნახავს, რომელიც შორიახლოს მისულა. სესქათ სოლსას, ამბობენ, რომ უთქვამს:

– ჩემი ნადავლიდან ნაწილს მუდამ გიყოფდი. ახლა შენ დამეხმარე. ჩემს მკერდში ცეცხლი გიზგიზებს, ერთი ყლუპი წყალი მომიტანე!

– წყალს როგორ მოგიტან? მე ხომ შენს სიკვდილს ამდენ ხანს ველოდებოდი, რომ მერე შენი გულ-ღვიძლი დამეძიძგნა.

სოლსამ ყორანს მიმართა, რომელიც იქვე ახლოს მოფრინდა:

– ჩემი ნადავლიდან წილი შენც გერგებოდა. ერთი ყლუპი წყალი მომიტანე!

– როცა მოკვდები მაგ ლამაზ თვალებს ამოგკორტნი, წყალს რატომ მოგიტან? - უპასუხა ყორანმა.

მაშინ სოლსამ ცაში მტრედი დაინახა და დაუძახა:

– მტრედო, შენთვის არანაირი სიკეთე არ გამიკეთებია! დამიამე მოგიზგიზე სხეული, ერთი ყლუპი წყალი მომიტანე!

მტრედს სოლსა შეეცოდა, სწრაფად გაფრინდა და ერთი ყლუპი წყალი მოუტანა. მომაკვდავმა სოლსამ დალია ერთი ყლუპი წყალი და დამშვიდდა.

მან მტრედს ოქროსფერი ძაფი შეაბა და უთხრა:

– დაე, ამ დღიდან ხალხმა „სოლსას მტრედი“ დაგიძახოს, ხოლო იქ, სადაც ძაფი შეგაბი, ნიშნად ოქროსფერი ბუმბული გქონოდეს.

ეს თქვა სესქათ სოლსამ და აღესრულა. მას შემდეგ ხალხი ამ ფრინველს „სოლსას მტრედს“ უწოდებს, რომელსაც კისრის გარშემო ოქროსფერი ბუმბული უბრწყინავს.

მტრედი სესქათ სოლსას სახელს ატარებს. მას ახსოვს გმირი და მუდამ ასე ღუღუნებს:

„ელ ჴო სესქათ სოლსა, ელ ჴო სესქათ სოლსა“.[3]

81. როგორ გაქრნენ ამ ქვეყნიდან ნართ-ორსთხოელები

ძველ დროში მთელი ქვეყანა სავსე იყო ხვავითა და დოვლათით. ხალხმა არ იცოდა რა იყო ქარი და ნიავი. ციდან ჩამოეშვა ძაფი, რომელსაც ბოლოზე ნაჭრები ეკიდა. ის არასოდეს ირხეოდა. ყველაფერს ბარაქა ჰქონდა: ნათესებს, მარაგს, ყველაფერს, რაც კი იშოვებოდა.

იმ დროს ჩვენს მხარეში სესქათ სოლსას მეთაურობით ნართ-ორსთხოელები გამოჩნდნენ. სამოცი ნართ-ორსთხოელის თანხლებით სესქათ სოლსა სოფლებს თავს ესხმოდა, ნართები აულებს იკლებდნენ და ადამიანებზე ძალადობდნენ. ნართ-ორსთხოელთა გამოჩენის შემდეგ ქვეყანაზე გაჩნდა ბოროტება და ავმა ქარებმა ქროლა დაიწყეს.

ნართ-ორსთხოელები მშვიდობიან სოფლებს თავს ესხმოდნენ, სახლებიდან გადანახული მარცვლეული გაჰქონდათ, ზვინებსა და საბძლებში დაწყობილ ბალახს ანადგურებდნენ. შედეგად, მარცვლეულის მოსავალი შემცირდა, ცხვარი და პირუტყვი დაძაბუნდა. ყველაფერი, რაც ადამიანის ხელით იქმნებოდა, უბარაქო გახდა.

ერთ დღეს სესქათ სოლსა თავისი მეომრებით ერთ დიდ სოფელში მივიდა, რომ ხალხი გაეძარცვათ, სიმდიდრე გაეტანათ და ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა, დაეხოცათ.

სესქათ სოლსას თანმხლებმა პირებმა უთხრეს:

– ის საკმაოდ დიდი სოფელია და ბევრი ხალხი ცხოვრობს. თუ ისინი წინააღმდეგობას გაგვიწევენ, შეიძლება დავზარალდეთ. უმჯობესი იქნება, თუ ჯგუფებად გავნაწილდებით და სტუმრის სახელით მივადგებით. ისეთი სახე მივიღოთ, თითქოს თავშესაფარს ვეძებდეთ. ამის შემდეგ მათი სახლებიდან იარაღს მოვიპარავთ და მაშინ მთელ სოფელს ყოველგვარი დანაკარგის გარეშე ავიღებთ.

სესქათ სოლოსა დაეთანხმა. ჯგუფებად განაწილებული ნართ-ორსთხოელები სოფლისკენ დაიძრნენ.

სესქათ სოლსა ოცდაათი ნართ-ერსთხოელით სტუმრად ჟერ-ბაბასთან[1] აღმოჩნდა. ჟერ-ბაბამ სტუმრები ოთახში შეიპატიჟა და საჭმლის მომზადებას შეუდგა. მან სპილენძის სათითით ამბრიდან ფქვილი ამოიღო, ცხვრის ნეკნს ნაწილი მოატეხა და საჭმლის მომზადება დაიწყო.

– ეი, რას აკეთებ? - ჰკითხა გაოცებულმა სესქათ სოლსამ. - ვის ეყოფა შენი მომზადებული საჭმელი?

– ე, ჭაბუკო, მას შემდეგ, რაც თქვენ კარგად დანაყრდებით, მაქედან საჭმელი მეც მომრჩება. საჭმელს იმ ფქვილითა და იმ ხორცით ვაკეთებ, რომელიც სესქათ სოლსასა და ნართ-ორსთხოელების გაჩენამდე შევინახე. მაშინ ქვეყანაზე ქარიც არ ქროდა და მთელ დუნიაზე მხოლოდ ბარაქა[2] იყო. ვისაც სესქათ სოლსა არ უნახავს, არც ენახოს; ხოლო ვისაც ერთხელ მაინც უნახავს, დაე, მეტად აღარ ენახოს! მან თავისი ნართ-ორსთხოელებით ჩვენი მიწიდან ბარაქა გააქრო. ქვეყანა გაპარტახდა და ხალხი გაღატაკდა.

მოსმენილით დამწუხრებული სესქათ სოლსა თითქოს ერთ ადგილზე გაქვავდა.

– შენ, ეი, რა მოგივიდა? - ჰკითხა გაოცებულმა ჟერ-ბაბამ, - ფერი დაკარგე და სახეზე ცვილისფერი დაგედო. შენ ხომ არ ხარ სესქათ სოლსა? ვისაც ის არ უნახავს - დაე, არც ენახოს, ვინც უკვე ნახა - მეტი აღარ ენახოს!

– მე თვითონ ვარ სესქათ სოლსა. - უთხრა ჟერ-ბაბას სესქათ სოლსამ და თავის ნართ-ორსთხოელებთან ერთად არა მხოლოდ იმ სოფლიდან წავიდა, არამედ ამქვეყნიდან სამუდამოდ გადაიხვეწა.

მას შემდეგ ისინი მეტად აღარავის უნახავს.

82. სპილენძის შესმა

სანამ ამ ქვეყნაზე ნართები გაჩნდებოდნენ, მადლიანი და ბარაქიანი დრო იდგა. როგორც კი ისინი გამოჩნდნენ, ქვეყანაზე გაქრა ბარაქა.

ერთხელ ნართები ღამის გასათევად ერთ მარტოხელა დედაბერთან გაჩერდნენ. მან ვახშმის მომზადება დაიწყო. დედაბერმა ქვაბში ცხვრის ორი ნეკნი ჩააგდო და ერთი ბეწო ცომისგან გუნდები მოამზადა. ნართებმა, ეს რომ დაინახეს, იფიქრეს, რომ ასე ცოტა საჭმელს დედაბერი მხოლოდ თავისთვის იმზადებდა. მაგრამ ვახშამმა ყველა ნართი დაანაყრა. გაოცებულმა ნართებმა დედაბერს გამოჰკითხეს, თუ როგორ მოამზადა საჭმელი.

– მათი მოდგმა ნურც გამრავლდება! ვახშმის მოსამზადებლად იმ ცხვრის ხორცი და იმ მოსავლის ფქვილი გამოვიყენე, რომელიც ნართების გამოჩენამდე შევინახე და დღემდე შემომრჩა. აი, ხედავთ, წინანდელი დრო როგორი ბარაქიანი იყო?!

ნართებმა ერთმანეთთან მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, რომ ამქვეყნად აღარ ეცხოვრათ. მათ გამდნარი სპილენძი დალიეს და დაიხოცნენ.

83. სამოცდასამი ნართის აღსასრული

დათარეშობდა სამოცდასამი ნართი. მათ დაიფიცეს, რომ სიკეთეს აღარ გააკეთებდნენ და მხოლოდ ბოროტებას ჩაიდენდნენ. ნარ-

თები მამაკაცებს ხოცავდნენ, ქალებს ატყვევებდნენ და მშვიდი ცხოვრების საშუალებას არავის აძლევდნენ.

ერთხელაც ნართები ღამის გასათევად ერთ მარტოხელა დედაბერთან აღმოჩნდნენ.

– მოგვშივდა, ვახშამი მოგვიმზადე! - სთხოვეს მათ.

– ახლავე მოგიმზადებთ, მანამდე კი მოხერხებულად მოეწყეთ. - შესთავაზა დედაბერმა.

მოხუცი საჭმლის მომზადებას შეუდგა. მან სამი ქადა გამოაცხო. თავის დღეში ნართები ვერასოდეს ნაყრდებოდნენ საჭმლით და არც დასალევად სასმელი ჰყოფნიდათ. ისინი დამცინავად უყურებდნენ საჭმელს, რომელსაც დედაკაცი ამზადებდა. მათ ჩაიცინეს და ამის ნიშნად ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს. დიასახლისმა ქადები დაჭრა და ნართებს მიართვა. როგორც კი ცოტა შეჭამეს, მაშინვე დანაყრდნენ.

– უცნაურია! შენი მორთმეული ისეთი რა საჭმელია, რომ ყველა დაგვანაყრა? - გაოცდნენ ისინი.

– არ ვიცი, ვინ არიან ეს ნართები, მაგრამ, დაე, მათი მოდგმა სულ გაწყდეს! ქადები იმ ფქვილისგან მოგიმზადეთ, რომელიც ნართების ამქვეყნად გამოჩენამდე შევინახე. მათი ბრალია ბარაქისა და მადლის დაკარგვა.

ნართებმა აღარაფერი თქვეს. ისინი წავიდნენ სადღაც შორეული მთის გამოქვაბულში, დალიეს გამდნარი სპილენძი და ყველანი დაიღუპნენ.

84. რატომ იძნა მოვლენილი გადამდები სენი

სესქათ სოლსას მტრედი ჰყავდა მიჩვეული, რომელიც მუდამ თან დაჰყვებოდა. სესქათ სოლსა მტრედს იფქლის მარცვლებით კვებავდა. მტრედი, თავის მხრივ, ვაჟს იმ ადგილებს უჩვენებდა, სადაც წმინდა წყალი მოჩუხჩუხებდა: ნაკადულს, ტბას, წყაროს.

ერთხელ ისინი უწყლო ადგილზე მოხვდნენ და სესქათ სოლსას ძალიან მოსწყურდა. მან მტრედს ჰკითხა:

– არის სადმე ახლოს წყალი?

მტრედმა მის თავზე რამდენიმე წრე შემოუფრინა და პასუხად თითქოს უთხრა, ჩემთან წამოდიო და გაფრინდა. ცხენზე ამხედრე-

ბული სესქათ სოლსა მტრედს ჭენებით მიჰყვა. მტრედი ერთი კლდის ძირას დაფრინდა. სესქათ სოლსამ უცბად დაინახა, რომ კლდიდან პატარა წყალი გადმოდიოდა. როგორც კი მან პირი გააღო წყლის დასალევად, მტრედი დატრიალდა მის თავზე და თავისი ფრთებით წყალი აქეთ-იქით მიმოფანტა. სესქათ სოლსამ ხელით მოიგერია მტრედი და ხელმეორედ დააპირა წყლის დალევა, მაგრამ მტრედმა კვლავ გზა გადაუღობა წყლისკენ და წყალი აქეთ-იქით მიშხეფ-მოშხეფა. სესქათ სოლსა მეტად გაბრაზდა და მტრედს მთელი ძალ-ღონით ხელი მოუქნია. ძლიერი დარტყმის გამო მტრედი მიწაზე უსულოდ დაეცა. დამწუხრდა სესქათ სოლსა, რომ გაბრაზდა, თავისი თავი ვერ მოთოკა და ერთგული მეგობარი მოკლა. მან კლდის თავს გახედა და მასზე წამოწოლილი გველეშაპი სარმაქი დაინახა. მისი გაღებული ხახიდან შხამიანი დორბლი გადმოდიოდა. სესქათ სოლსა მიხვდა, რაშიც იყო საქმე, რომ მტრედმა ის სიკვდილისგან იხსნა. როგორც ჩანდა, სარმაქი გამვლელ-გამომვლელს წყალთან იტყუებდა და ღუპავდა. დააძრო სესქათ სოლსამ თავისი ვეფხვიანი ხმალი წუოყბოლათი[1], ეძგერა სარმაქს და ერთი დარტყმით თავი გააგდებინა. მაგრამ სიკვდილის წინ სარმაქმა მოასწრო საშინელი ხმის გამოცემა. სარმაქი რომ მოკლა, სესქათ სოლსამ აიღო მკვდარი მტრედი და იქვე ახლოს ხის ჩრდილში ჩამოჯდა. უეცრად მას ბუჩქებიდან ხმაური შემოესმა. იქიდან სხვა სარმაქი მოცოცავდა. მან მკვდარ სარმაქს კბილები თავში ჩაავლო და მთის იქით გახოხდა. სესქათ სოლსა დაინტერესდა და მას ჩუმად უკან გაჰყვა.

სარმაქი მინდორში გახოხდა, რომლის შუაშიც დიდი, ლურჯი ქვა იდო. სარმაქმა მასზე მოკლული დრაკონის თავი დადო და მოხდა საოცრება. მოკლული სარმაქის ტანმა გაზრდა დაიწყო, მერე კი გაცოცხლდა. მიხვდა სესქათ სოლსა, რომ ეს ჯადოსნური ქვა იყო. დრაკონებმა წასვლა დააპირეს, მაგრამ სესქათ სოლსამ ორივე აკაფა.

დამწუხრებულმა ვაჟმა მტრედი აიღო და ქვაზე დადო. მტრედი მაშინვე გაცოცხლდა და ვაჟს თავზე ღუღუნით შემოუფრინა.

მიდის სესქათ სოლსა და მის გარშემო მტრედი დაფრინავს. უეცრად მათ ქალის ტირილი შემოესმათ და მალე ქალიც გამოჩნდა, რომელსაც ხელში გარდაცვლილი ბიჭი ეჭირა. სესქათ სოლსამ მას დამ-

შვიდება დაუწყო. ქალმა უამბო, რომ ის ტყეში შვილთან ერთად ფიჩხის მოსატანად იმყოფებოდა. ბიჭისთვის გველს უკბენია და ბავშვი მაშინვე მომკვდარა. შეეცოდა სესქათ სოლსას შვილმკვდარი დედა, ქალი იმ ქვასთან მიიყვანა და შვილი გაუცოცხლა.

სესქათ სოლსა გრძნეულიც იყო. მან იცოდა, რომ მიცვალებულის გაცოცხლება არ შეიძლებოდა. ამიტომ სესქათ სოლსამ ქალს უბრძანა, რომ იმ ქვის საიდუმლო არ გაეცა. ქალი ვაჟს საიდუმლოს დაცვას შეჰპირდა და სესქათ სოლსაც გზას მშვიდად გაუყვა.

სამწუხაროდ, ქალი ცბიერი აღმოჩნდა. ის სასაფლაოს მახლობლად ერთ ქოხში საგანგებოდ დასახლდა. მან დაიწყო მიცვალებულების გაცოცხლება და სანაცვლოდ გასამრჯელოს აღება. სიკვდილის ანგელოზმა მულქალმოვთამ წესრიგის დარღვევის შესახებ ღმერთს აცნობა. ღმერთმა ხალხს სასჯელად გადამდები სენი მოუვლინა, რის გამოც უამრავი ხალხი დაიხოცა. მათ შორის მოკვდა ქალი და ამოწყდნენ ნართებიც.

85. აღსასრული გამოქვაბულში

ზოგალ-დუყის მთასთან ნართებს ერთი დიდი გამოქვაბული ჰქონდათ. როცა ლაშქრობიდან ბრუნდებოდნენ, ისინი იქ ისვენებდნენ. ერთხელაც ნართები ხაგრძლივი მოგზაურობის შემდეგ გამოქვაბულში დაბრუნდნენ და პურის საჭმელად დასხდნენ. უეცრად საშინელმა ხმამ დაიგრიალა, მიწა იძრა, მოულოდნელად მთა გასკდა, ჩამოინგრა და ნამზღვლევმა გამოქვაბულის შესასვლელი ყრუდ ჩაკეტა. ღმერთი ნართებს განურისხდა და ისინი სასიკვდილოდ გაწირა. გამოქვაბულის თავზე მხოლოდ ერთი მუშტისხელა ღიობი დარჩა, საიდანაც შუქი სვეტად ჩადიოდა.

როგორ არ ეცადნენ ნართები, მაგრამ მათ გათავისუფლება ვერ შეძლეს. როცა მხედრებმა ყველა ცხენი შეჭამეს, მიხვდნენ, რომ საბოლოოდ შიმშილით სიკვდილი არ ასცდებოდათ.

– ჩვენ ისე უნდა დავიხოცოთ, - თქვა მათმა წინამძღოლმა სესქათ სოლსამ, - რომ ხალხმა სიკვდილის გამოც დაგვლოცოს და ჩვენი სახელები პატივისცემით მოიხსენიოს.

დიდ ქვაბში ნართებმა სპილენძი გაადნეს, მომცრო ქვაბში კი - ოქრო. ყველა ნართმა თასში სპილენძი დაისხა, სესქათ სოლსას კი - ოქრო დაუსხეს და მის მიმართ პატივისცემა ასე გამოხატეს.

სესქათ სოლსამ სადღეგრძელო წარმოთქვა:

– დაე, დავიხოცოთ, მაგრამ ჩვენი სახელი დავიწყებას არ მიეცეს!

სპილენძი და ოქრო ყველამ ძმურად შესვა. იწვა, კვდებოდა სესქათ სოლსა. ის იმდენად ძლიერი იყო, რომ მაშინვე არ მომკვდარა. მას მხოლოდ ძლიერი წყურვილი აწუხებდა.

ბოლოს მან წამოიძახა:

– ღმერთო, დიდებულო, იქნებ ერთი ყლუპი წყალი მაინც მომცე დასალევად!

ამის თქმა იყო და ღიობიდან გამოქვაბულში ანაზდად მტრედი შემოფრინდა. მან გაიგონა სესქათ სოლსას თხოვნა და თავისი ნისკარტით მას წყალი მიუტანა. სესქათ სოლსამ ჯერ წყალი მოსვა, შემდეგ კი თავის კუთვნილ თასში თითები ჩააწო, მტრედს კისერზე ოქრო წაუსვა და თქვა:

– დაე, დღეიდან ხალხმა „სესქათ სოლსას მტრედი“ დაგიძახოს.

თქვა სესქათ სოლსამ და მაშინვე სული დალია.

86. სესქათ სოლსას ლოცვა

როცა სესქათ სოლსამ სიკვდილის მოახლოება იგრძნო, წავიდა, რათა დამშვიდობებოდა თავის ქვეყანას. ღამემ ღილღოს მიწაზე, ასის ხეობაში, გელ-ქორთის მთის ძირას მოუსწრო. ის ცხენიდან ჩამოხტა, ცხენს ბორკილები დაადო და თვითონ კი ერთი ქვის ძირას მიეძინა. ღამით მას ღმერთი გამოეცხადა და უთხრა:

„სესქათ სოლსა, შენი აღსასრული დადგა, ხვალ მოკვდები. როცა მზე ამოვა, ადი ლოდზე, რომლის ძირშიც გძინავს და შენი ხალხისთვის ილოცე!“

სესქათ სოლსას გაეღვიძა. მზე ამოდიოდა, როცა მან პირველი ლოცვა აღავლინა. ის დიდხანს სასოებით და მგზნებარედ ლოცულობდა, მთელ დღეს არც ჭამა და არც დალია. როცა მან საღამოს უკანასკნელი მწუხრის ლოცვა დაასრულა - სულიც ამოუშვა. ქვაზე

კი ახლაც ამჩნევია მისი შუბლის დარტყმისაგან დარჩენილი კვალი. სესქათ სოლსას ლოცვის ნაკვალევი დღემდე იმ ადგილსაც ეტყობა, სადაც იგი ხელებს აყრდნობდა.

87. როდის აღდგებიან ნართები

ნართებს ხანგრძლივი გვალვა დაუდგათ. ყველაფერი გადახმა, ქვეყანაზე სარჩო გამოილია და ნართებს მეტისმეტად გაუჭირდათ. სოსქათ სოლსას დედამ ურჩია, სარჩო იმ ქვისთვის ეთხოვა, საიდანაც ოდესღაც თვითონ იშვა. სოსქათ სოლსა იმ ქვასთან მივიდა. მან ნართების მწარე ხვედრზე შესჩივლა და საზრდო შესთხოვა. ქვაზე მაშინვე საჭმელ-სასმელი გაჩნდა. ნართებს რამდენიც უნდა ეჭამათ, ქვაზე საჭმელი მაინც არ ილეოდა[1].

გავიდა სამი წელი და ქვამ ნართების გამოკვება შეწყვიტა. დასრულდა მისი წყალობა.

ამ დროს სოსქათ სოლსამ შეიტყო, რომ მისი ძუძუმტე ბათიგა შირთყა სადღაც დაბინავებულა და გასუქებულა. სოსქათ სოლსას აინტერესებდა, ასე მაძღრად ბათიგა შირთყა სად მოეწყო და ამბის გასაგებად ნართები გაგზავნა. ბოლოს და ბოლოს სოსქათ სოლსას მოახსენეს, რომ ბათიგა შირთყა საიქიო ელში იმყოფებოდა, იჯდა წისქვილთან, პური თავზესაყრელად ჰქონდა და შიმშილი რა იყო, არ იცოდა.

ჩავიდა სოსქათ სოლსა საიქიოში და ხედავს წისქვილის გვერდით ჩამომჯდარ გასუქებულ ბათიგა შირთყას. როგორც კი მან სესქათ სოლსა დაინახა, მაშინვე გაქრა. წისქვილი კი სოსქათ სოლსამ ამქვეყნად წამოიღო. ის წისქვილი[2] იყო ჯადოსნური და მარცვლეულის გარეშე ფქვავდა. ერთხანს სოსქათ სოლსასა და მის ნართებს ეს წისქვილი კვებავდა. მაგრამ გავიდა დრო და წისქვილი მარცვლეულის გარეშე ფქვილს აღარ იძლეოდა. ამბობენ, რომ მანამდე ხალხმა არ იცოდა, რა იყო წისქვილი. იმ დროიდან გაჩნდა წყლის წისქვილი და ხალხს გაუადვილდა მარცვლეულის დაფქვა.

მაგრამ ნართები მთლიანად შიმშილმა მოიცვა. ყველა მათი მცდელობა, თავი დაეღწიათ შიმშილისთვის, ფუჭი და ამაო აღმოჩნდა. მაშინ სოსქათ სოლსამ ნართები ჩვენი მთების სიღრმეში წაიყვანა. ის-

ინი სათათბიროდ ერთ დიდ გამოქვაბულში შევიდნენ. სოსქათ სოლსამ ნართებს მიმართა:

– სირცხვილი იქნება, თუ შიმშილით დავიხოცებით და ხალხი ჩვენს საცოდავ, შიმშილისგან გალეულ ცხედრებს ნახავს. დავლიოთ გამდნარი სპილენძი და ყველანი ამ გამოქვაბულში დავიხოცოთ.

ნართებმა ერთი თასიდან დალიეს გამდნარი სპილენძი და გამოქვაბულში აღესრულნენ.

სოსქათ სოლსამ უკანასკნელმა დალია სამი თასი სპილენძი, მაგრამ სიკვდილი მაინც არ ეწვია. მას მთელი შიგნეულობა ეწვოდა და სტკიოდა. სოსქათ სოლსა იწვა და იტანჯებოდა. უეცრად საიდანღაც ყორანი მოფრინდა.

– რატომ მოფრინდი? შენ აქ რა გინდა? - ჰკითხა სოსქათ სოლსამ.

– ვიცი, რომ კვდები და შენი ლამაზი თვალების ამოსაკორტნად მოვფრინდი. - მოიგო ყორანმა.

სოსქათ სოლსამ მშვილდი მოზიდა და მოკლა ყორანი.

ანაზდად მგელი გამოჩნდა. მასაც ჰკითხა სოსქათ სოლსამ მოსვლის მიზეზი.

– მითხრეს რომ მოკვდი, - უპასუხა მგელმა, - შენი ცხელი გულღვიძლის შესაჭმელად მოვედი.

სოსქათ სოლსამ ისიც მოკლა.

უეცრად შორიახლოს მტრედი მოფრინდა. სოსქათ სოლსამ მტრედს იგივე კითხვა დაუსვა. რაზეც მტრედმა მიუგო:

– ვიცი, რომ სასიკვდილო ტკივილები გაწუხებს და შენი დახმარება გადავწყვიტე. მითხარი, შენთვის რისი გაკეთება შემიძლია?

– წყალი მომიტანე! - სთხოვა სოსქათ სოლსამ.

– როგორ მოგიტანო, მე ხომ მტრედი ვარ?

– მე ის ერთი წვეთი წყალიც მეყოფა, რომელსაც შენი ნისკარტი დაიტევს. - უპასუხა სოსქათ სოლსამ.

გაფრინდა მტრედი და მომაკვდავს ნისკარტით წყალი მიუტანა. დალია სესქათ სოლსამ ეს ერთი წვეთი მაცოცხლებელი წყალი და შვება იგრძნო.

სოსქათ სოლსამ ყორანი და მგელი დაწყევლა და თქვა:

– დაე, ადამიანი თქვენს მოდგმას მუდამ მოსაკლავად დასდევდეს!

ხოლო მტრედს უსურვა, რომ ადამიანთა მოდგმა მას პატივისცემით მოჰპყრობოდა.

სესქათ სოლსამ აიღო მკვდარი მგელი, გამოქვაბულში ჩამოკიდა, მერე კი შემდეგი სიტყვები წარმოთქვა:

– დაე, დაიხშოს და დაიქოლოს გამოქვაბული. ხოლო ჩვენ, ნართები, აქ ვიქნებით, სანამ მგელს ბეწვი არ გასცვივა და ვეშაპად არ იქცევა. როგორც კი ეს ნათქვამი აღსრულდება, გამოქვაბულის კარიც გაიღება და მკვდრეთით აღვდგებით!

არავინ უწყის ეს გამოქვაბული სად მდებარეობს, მაგრამ ხალხი ამბობს: იმ მგელს როცა ბეწვი სრულად დასცვივა, ნართები აღდგებიან, გამოვლენ გამოქვაბულიდან და ხალხს დაიცავენ[3].

ჩვენური თქმულებები

ნათი-ისტორიები

88. ალმასი[1]

ალმასები მდინარე არღუნის პირას ცხოვრობდნენ. ისინი მაღალი და ლამაზი ქალები იყვნენ. ზოგჯერ ალმასები აულებშიც ჩნდებოდნენ. ერთხელ ღამით ერთ ჩეჩენს თავისი სახლის კართან ქალის ტირილი გაუგია. მას ხმალი აუღია, სახლიდან ფრთხილად გამოსულა და მტირალი ალმასი დაუნახავს. კაცს დიდხანს აღარ უფიქრია, ქალისთვის ნაწნავებში ხელი ჩაუვლია და თმები დაუჭრია, მაგრამ ის მაინც გაჰქცევია. როგორც ამბობენ, ალმასი მალევე ავად გამხდარა და მომკვდარა. საერთოდ, ალმასები თურმე დიდხანს ვერ ცოცხლობდნენ. როცა ერთ-ერთი მათგანი კვდებოდა, დანარჩენი ალმასები არღუნზე იკრიბებოდნენ და მწარედ მოსთქვამდნენ. ღამით დაგვიანებულ მგზავრს არღუნზე ზოგჯერ მათი მოთქმა და გოდება ესმოდა.

89. ნადირთპატრონი - მკერდზე ცულით

ჩეჩნეთის ტყეებში ცხოვრობს ნადირთპატრონი[1]. მას მკერდზე აქვს ბასრპირიანი ვეებერთელა ნაჯახი[2]. ამით ის კლავს ნებისმიერ მონადირეს, რომელიც გაბედავს და ხელყოფს მის რჩეულ ნადირს. ერთხელ ერთ მონადირეს კოჭლი ჯეირანი დაუნახავს. მას ნადირი მიზანში ამოუღია, მოუკლავს და მისი გატყავება დაუწყია. ეს ჯეირანი ნადირთპატრონის რჩეული ცხოველი ყოფილა. ნადირთპატრონი მყისვე იქ გაჩენილა და მისი რჩეული ნადირის მოკვლის გამო მონადირე გაუკიცხავს. შემდეგ კი უთქვამს, რომ ნადირი ერთად შეეჭამათ, ოღონდ მონადირეს ცეცხლი უნდა დაენთო, თვითონ კი წყალს მოიტანდა. ნადირთპატრონი წასულა, მონადირეს ცეცხლი დაუნთია. ცეცხლთან ახლოს მას ერთი ჯირკი დაუდგამს და ზედ თავისი ნაბადი გადაუფარებია. თვითონ კი თოფი გაუტენია და იქვე დამალულა. მოსულა ნადირთპატრონი, თავისი მკერდით ჯირკს დასძგერებია და შუაზე გაუპია. მაშინ მონადირეს მისთვის თოფი უსვრია. ნადირთპატრონი გამქრალა, ხოლო ის მონადირე შინ დაბრუნებულა და ლოგინად ჩავარდნილა.

90. გოლიათი გრძნეული ქალები

შვიდი თაობის წინ ცხოვრობდა სამი ძმა. სამივენი იყვნენ მონადირეები. ერთხელ ისინი ტყეში სანადიროდ წავიდნენ, მთელი დღე იარეს, მაგრამ ვერაფერი მოინადირეს. ბოლოს, საღამოს, როგორც ჩანს, ღმერთს შეეცოდა ისინი და მათ თხა გამოუგზავნა. უფროსმა ძმამ დაუმიზნა და ესროლა. თხა ერთი შეხტა და იქვე უსულოდ დაეცა. მას ტყვია გულში ჰქონდა მოხვედრილი. ძმებმა თავიანთი ნანადირევი აიღეს და კმაყოფილებმა შინისაკენ გასწიეს. ბიჭებმა იარეს, იარეს, მზე ჩავიდა, მთვარე ამოვიდა, მაგრამ გზა მაინც არ გამოჩანდა, ირგვლივ მხოლოდ უღრანი და უსიერი ტყე იყო. ძმები მიხვდნენ, რომ მათ ალმაზი[1] აჯადოებდა და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ამ დროს ერთ-ერთმა ძმამ შორიახლოს გამოქვაბული შეამჩნია. ძმებს გაუხარდათ და იმის იმედით, რომ ღამეს მშვიდობიანად გაატარებდნენ, გამოქვაბულისკენ გასწიეს. როცა ისინი გამოქვაბულში შედიოდნენ, იქიდან მათთან შესახვედრად სამი ცალთვალა გოლიათი ქალი გამოვიდა. გაკვირვებულმა ძმებმა არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ და ადგილზე გაშეშდნენ. გოლიათი ქალები მათთან მივიდნენ და უთხრეს:

– ჩვენი არ შეგეშინდეთ, ეს გამოქვაბული ჩვენი სახლია. ჩვენი სტუმრები იყავით.

მონადირეები დამშვიდნენ და ქალებს გამოქვაბულში შეჰყვნენ. როცა გამოქვაბულში შევიდნენ, უფროსმა ძმამ აიღო მოკლული თხა, ქალებს გაუწოდა და უთხრა:

– აი, ღმერთმა ნადავლი გამოგვიგზავნა, აიღეთ და ვახშამი მოამზადეთ.

– ოი! - შეჰყვირა ყველაზე უფროსმა დედაკაცმა, დანარჩენი ორი ქალის დედამ. - თქვენი თხა რაში გვჭირდება? განა ჩვენ არ შეგვიძლია სავახშმოდ ნადირის შოვნა? - თქვა უფროსმა ქალმა და თავის ქალიშვილებს უბრძანა, რომ ტყიდან ნადირი მოეყვანათ. ქალიშვილები გამოქვაბულიდან გავიდნენ და რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ დაბრუნდნენ, თან ცოცხალი არჩვი მოიყვანეს. მათ არჩვი დაკლეს და ვახშმის მომზადებას შეუდგნენ. როცა საჭმელი მომზადდა, დებმა თავიანთი სტუმრები სუფრასთან სავახშმოდ მიიწვიეს, თან

უთხრეს, რომ ძვლები არ გადაეყარათ და ერთ ადგილზე შეეგროვებინათ. ძმებმა იფიქრეს, რომ ქალები რაღაც ჯადოქრობას აპირებდნენ და როცა ვახშმობდნენ, ერთ-ერთმა ძმამ ქალებისგან შეუმჩნევლად ბეჭის ძვალი უბეში დამალა. ვახშმის შემდეგ ქალები ძვლების შეგროვებას შეუდგნენ, მაგრამ ნადირის ერთ ბეჭს ვეღარ მიაგნეს. ქალებმა ძმებს არაფერი უთხრეს. მათ უხმაუროდ აიღეს ერთი ხის ნაჭერი და მისგან ცხოველის ბეჭი გამოთალეს. შემდეგ კი ძვლები და გამოთლილი ხის ბეჭი მათ დაკლული ცხოველის ტყავში გაახვიეს და დაიყვირეს: „არჩვო, ტყეში დაბრუნდი!“ არჩვი გაცოცხლდა, გამოქვაბულიდან კუნტრუშით გაიქცა და ტყეში მიიმალა.

ამის შემდეგ გრძნეულმა ქალებმა სტუმრები გამოქვაბულის წინ, მოედანზე მიიწვიეს და მთვარის შუქზე ცეკვა დაიწყეს. ქალები ისე ცეკვავდნენ, რომ მათი შემყურე ძმები ციებიანებივით კანკალებდნენ. მათთვის მძიმე სანახავი იყო ცალთვალა გოლიათი ქალების ყურება, რომლებსაც ძუძუები მხრებზე გადაეყარათ და ხელები ზეცისკენ აღეპყროთ. ქალები ხან ცეკვავდნენ, ხან ტაშს უკრავდნენ და ხანაც ხარხარებდნენ. კუდიანებმა ცეკვით გული რომ იჯერეს, იქვე დაეყარნენ და საშინელი ხვრინვა ამოუშვეს. ძმებმა კი ვეღარ დაიძინეს და გათენებამდე ფხიზლობდნენ.

დილით, როგორც კი ინათა, ბიჭებმა გოლიათ ქალებს მასპინძლობისა და ღამის გათევისთვის მადლობა გადაუხადეს. ძმები ქალებს დაემშვიდობნენ და კვლავ სანადიროს მიაშურეს. როცა უკვე ტყიდან გამოდიოდნენ, მოულოდნელად მათ არჩვი დაინახეს. შუათანა ძმამ თოფი დაუმიზნა, თოფი გავარდა და არჩვი იქვე უსულოდ დაეცა. ძმებმა ამჯერად აღარ იზოზინეს. მათ ნანადირევი აიღეს და შინისკენ გაეშურნენ. ვაჟები შინ რომ დაბრუნდნენ, ცოლებს უბრძანეს, რომ ნანადირევით ვახშამი მოემზადებინათ.

აულში ძმების ნადირობიდან დაბრუნება რომ შეიტყვეს, მეზობლები, მეგობრები და ახლობლები მათ სახლში შეიკრიბნენ. ყველას აინტერესებდა, თუ როგორ ჩაიარა ნადირობამ. მალე ვახშამი მომზადდა და სტუმრებისთვის სუფრაც გაიშალა. ვახშმობისას ერთ-ერთმა სტუმარმა არჩვის ხორციდან ხის ბეჭი გამოიღო და თანამესუფრეებს უჩვენა. ძმები მაშინვე მიხვდნენ, რომელი არჩვიც მოინადირ-

ეს და თავიანთ სტუმრებს უამბეს, რაც წინა ღამით თავს გადახდათ. შემდეგ მათ სტუმრებს არჩვის ნამდვილი ბეჭი უჩვენეს, რომელიც გოლიათ ქალებთან ვახშმობისას მოიპარეს. ძმების ნათესავები და ახლობლები მიხვდნენ, იმ ღამით ვისი სტუმრებიც იყვნენ მათი მასპინძლები და ძმებს გადარჩენა და შინ მშვიდობით დაბრუნება მიულოცეს.

91. მამაცი თინინ ვისუ

მრავალი წლის წინ ჩეჩნეთში ცხოვრობდა ვისუ, თინის ვაჟი. თინის მამა, აბდულ-მუოლქი, ნაშხოელი[1] იყო. მისი ვაჟი თინი, თავის შვილ ვისუსთან ერთად წონტაროში[2] ცხოვრობდა.

ვისუ იყო მამაცი და მოხდენილი ვაჟკაცი, ხალხიც დიდ პატივს სცემდა. იგი ყველას უყვარდა და აფასებდა. ვისუ ყველაზე მაღალ მთაზე დასახლდა, რომელსაც ხალხი უწოდებდა „მწვერვალს, სადაც მგელი ყმუოდა“[3]. ვისუს ჰყავდა ექვსი ძმა და დედა, სახელად სელასათი. ვისუელები წარმოშობით, მართალია, წონტაროდან იყვნენ, მაგრამ ისინი სხვადასხვა ადგილებში, მათთვის ხელსაყრელ და გამოსადეგ მიწებზე დასახლდნენ. იმ დროს ჩეჩნეთში ჯერ კიდევ ცოტა ხალხი ცხოვრობდა.

სწორედ იმ დროს შვიდ ძმასა და მათ დას იმ ადგილას უცხოვრიათ, რომელსაც „კირა“[4] რქმევია. ერთ-ერთ ნართ-ერსთხოელს, როდესაც მათი საცხოვრებელი უნახავს, შვიდივე ძმა მოუკლავს, მათთვის ტყავი გაუძვრია, ხოლო მათი ერთადერთი და მოუტაცებია და თავისთან წაუყვანია. ნართ-ერსთხოელი დასაძინებლად რომ წვებოდა, ქალისთვის უთქვამს:

– როცა ვიძინებ, მთელი კვირა მძინავს და ერთი კვირა აღარ ვიღვიძებ. იცოდე, სანამ გავიღვიძებ, შენი ძმების ტყავებისგან ქურქი შემიკერე.

საცოდავი ქალიშვილი დახოცილ ძმებზე გოდებდა. მან არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მგლოვიარე ქალი რჩევის საკითხავად ერთ გრძნეულ ჟერ-ბაბასთან წავიდა და უთხრა:

– ეს ნართი ჩემი მტერია, ჩემი ძმების მკვლელი. სანამ დაიძინებდა, ჩემი ძმების ტყავებისგან ქურქის შეკერვა მიბრძანა. თუ გაღვი-

ძებამდე მის ბრძანებას არ შევასრულებ, ნართი მომკლავს. თუ ქურქის შეკერვას დავიწყებ, ჩემი ძმების ცოდვით გული გამისკდება და მოვკვდები. როგორ მოვიქცე? ამ უბედურებას თავი როგორ დავაღწიო? დამეხმარე ისე, როგორც დაეხმარებოდი საკუთარ ქალიშვილს!

ჟერ-ბაბა დაფიქრდა და ურჩია:

– იმ მთაზე, რომელსაც ჰქვია „მწვერვალი, სადაც მგელი ყმუის“, შვიდი ძმა ცხოვრობს. მათ შორის უფროსი არის ვისუ. იგი ნართ-ერსთხოელივით ძლიერია. როგორმე ნართი ვისუსთან გაგზავნე და იქიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდება. უთხარი: „თინინ ვისუს ულვაშის გარეშე ტყავი ნემსს არ ატარებს, ასევე მათი დედის სელასათის მაკრატლის გარეშე, ტყავი არ იჭრება-თქო“. ვისუ და მისი ძმები ნართ-ერსთხოელს უეჭველად მოკლავენ და ცოცხალს აღარ გამოუშვებენ.

ერთი კვირის შემდეგ, როგორც კი გაიღვიძა, ნართ-ერსთხოელმა ქალიშვილს ჰკითხა:

– ქურქი შემიკერე?

ქალიშვილმა ისე უპასუხა, როგორც დედაბერმა დაარიგა:

– ქურქის შესაკერად ვისუს ულვაშები და მისი დედის - სელასათის მაკრატელი მჭირდება. ნემსი ტყავში არ გადის, სხვა მაკრატლით კი ტყავი არ იჭრება. ისინი ცხოვრობენ „მწვერვალზე, სადაც მგელი ყმუის“. თუ გინდა რომ ქურქი შეგიკერო, ვისუს ულვაშები და სელასათის მაკრატელი უნდა მომიტანო.

ნართ-ერსთხოელმა დაიჯერა ქალიშვილის ნათქვამი და წავიდა იმ მთაზე, სადაც ვისუ ცხოვრობდა. იმ დროს, როცა ნართ-ერსთხოელი მივიდა, ვისუელთა ციხე-კოშკის საგუშაგოზე უმცროსი ძმა იდგა, ხოლო ვისუ ლუდს სვამდა და თავის ძმებთან მხიარულობდა. უმცროსმა ძმამ მოახლოებული ნართ-ერსთხოელი რომ დაინახა, კოშკში შევიდა და ვისუს უთხრა:

– ერთი ჯმუხი კაცი მოდის, შემოვუშვა თუ სირბილით უკუვაქციო?

– თუ რამეს გკითხავს, შენთვის იდექი და ყურადღებას ნუ მიაქცევ. ისე მოიქეცი, თითქოს ბუზმა ჩაგიფრინა. - უთხრა ვისუმ.

მოსული ნართ-ერსთხოელი უმცროს ძმას მიესალმა. საგუშაგოზე მდგარმა ახალგაზრდამ ყურადღება არ მიაქცია, შეტრიალდა და

ზურგი შეაქცია. ნართ-ერსთხოელი შინ შევიდა და როგორც კი შევიდა, ყველას მიესალმა. მას კვლავ ყურადღება არავინ მიაქცია, თითქოს ისინი ვერც კი ხედავდნენ და ვერც მისი მისალმება ვერ გაიგეს.[5] ძმებმა სიცილი, მხიარულება და ლუდის სმა განაგრძეს. როცა გამეორებით ყურადღება კვლავ არ მიაქციეს, ნართ-ერსთხოელმა მათ უსაყვედურა:

– მეც ისეთივე ადამიანი ვარ, როგორიც თქვენ. მოგესალმეთ, თქვენ კი ვერ მამჩნევთ და ჩემს სალამზე არ მპასუხობთ.

მაშინ ვისუ ადგა და უთხრა:

– ბრალს ნუ დაგვდებ! ჩვენ ვერ შეგამჩნიეთ, რადგან გვეგონა, რომ რაღაც ქინქლა შემოფრინდა. რით შეგვიძლია გამოგადგეთ?

ნართ-ერსთხოელმა უამბო, რა მიზნითაც მათთან მივიდა:

– მე ერთ ქალიშვილს ქურქის შეკერვა დავავალე. მან კი მითხრა: - ვისუს ულვაშის გარეშე ტყავი ნემსს არ იკარებს, მისი დედის, სელისათის მაკრატლის გარეშე, ტყავი არ იჭრებაო. აი ამ საგნების წასაღებად მოვედი.

ვისუმ თავის უმცროს ძმას უთხრა:

– წადი, გაიქეცი და ყველაფერი დედას მოუყევი, კარგად მოუსმინე, რასაც გეტყვის და გიპასუხებს.

უმცროსი ძმა წავიდა და, როგორც ვისუმ დააბარა, დედას ნართ-ერსთხოელის ნაამბობი გადასცა.

სელასათამ მიუგო:

– იმ უცხო კაცს გადაეცით, რომ ჩემს ვაჟს არცერთი ღერი ულვაში აღარ შერჩებოდა, თუკი ყველა, ვისაც მოუნდებოდა, ცხვირის დაბლა მას ბეწვს გამოაგლეჯდა-თქო. გადაეცი, რომ ჩემი მაკრატლის პირები დიდი ხნის წინ დაჩლუნგდებოდა, თუკი ყველას, ვინც კი მას მთხოვდა, გავატანდი-თქო.

უმცროსი ძმა დაბრუნდა და ნართ-ერსთხოელის თანდასწრებით მოჰყვა, რაც დედამ დააბარა.

განრისხებულმა ნართ-ერსთხოელმა ვისუს უთხრა:

– შვიდი დღის შემდეგ, დღევანდელიც ითვლება, ჩემთან საბრძოლველად აი, იმ მთის ბუსნოზე მოხვალ. იქ მეძინება.

ამის შემდეგ ნართ-ერსთხოელი შინისკენ გაეშურა. მოტაცებული ქალიშვილი იქიდან იმ მთის მდელოზე წაიყვანა, სადაც ვისუს უნდა შერკინებოდა. ნართ-ერსთხოელი დასაძინებლად დაწვა, მოკლული შვიდი ძმის დას კი დაავალა, რომ მეშვიდე დღეს გაეღვიძებინა.

ვისუმ ვერ მოითმინა, სანამ გავიდოდა ნართ-ერსთხოელისგან დათქმული დრო და სამი დღის შემდეგ დანიშნულ ადგილს მიაშურა. მძინარე ნართ-ერსთხოელის დანახვაზე ვისუც მდელოზე დასაძინებლად წამოგორდა და შვიდი ძმის დას სთხოვა, რომ გაეღვიძებინა, როცა ნართ-ერსთხოელი ადგებოდა. მეშვიდე დღეს გაღვიძებულმა ნართ-ერსთხოელმა თავის გვერდით მძინარე კაცი რომ დაინახა, შვიდი ძმის დას ჰკითხა:

– ვინ არის?

შვიდი ძმის დამ მიუგო, რომ ის კაცი თინინ ვისუ იყო.

– ვისუ როგორ არ გაიმარჯვებს ჩემზე, როცა მან გაბედა ჩემ გვერდით მშვიდად დაწოლა. - თქვა შეშინებულმა ნართმა, წამოხტა და გაიქცა.

შვიდი ძმის დამ სწრაფად გააღვიძა ვისუ, რომელიც მტრის ნაკვალევს მიჰყვა და ზილბუხარის ხმლის[6] ერთი დარტყმით ნართ-ერსთხოელი ადგილზევე განგმირა.

ნართი რომ მოკლა, ვისუმ შვიდი ძმის დას უთხრა:

– ახლა უნდა დავიძინო და როცა ვინმე გამოივლის, კვლავ გამაღვიძე! - და მან ისევ დაიძინა.

ვისუმ რომ დაიძინა, რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ერთი ნახშირივით შავი კაცი[7] და ქალიშვილს უთხრა:

– გამაღვიძე, როცა იმ მხრიდან მექორწილეებს დაინახავ.

შავი კაცი ვისუს გვერდით დაწვა.

როცა გამოძინებულმა ვისუმ გაიღვიძა, მან შორიახლოს მწოლიარე კაცი დაინახა.

– ვინ არის ეგ კაცი? - ჰკითხა მან შვიდი ძმის დას.

მან უამბო, რაც შავმა კაცმა სთხოვა. მაშინ ვისუ ისევ დაწვა და ქალიშვილს სთხოვა, გაეღვიძებინა მაშინ, როცა შავ კაცს გააღვიძებდა. გაიარა ცოტა ხანმა და გზაზე მექორწილეები გამოჩნდნენ.

შვიდი ძმის დამ შავი კაცი სასწრაფოდ გააღვიძა. როგორც კი მან გაიღვიძა, ის მაშინვე ამოწვდილი ხმლით მგზავრებს დაერია. ქალიშვილმა ვისუც გააღვიძა. ვისუ წამოხტა და ბრძოლაში ჩაება. მან თავისი ხმლით პატარძლის მაყრები ამოხოცა. შავი კაცი ვისუსთან მივიდა და უსაყვედურა.

– დაე, უბედური ნუმც ნურასოდეს ყოფილიყავ! ნეტავ არ დამხმარებოდი. მე სამჯერ გავანადგურე მეტოქეები, რომლებიც საპატარძლოს მედავებოდნენ, მაგრამ საქმე მათ გააფუჭეს, რომლებიც შენს მსგავსად ბრძოლაში ჩაერივნენ. საპატარძლო მე უნდა გამომეხსნა, სხვისი დახმარების გარეშე. ახლა შენთვის დაიტოვე ეს ქალი, მე აღარ მერგება, რადგან მაყრებისთვის მე არ წამირთმევია.

ვისუმ შავ კაცს უთხრა:

– ჩემს სტუმრად ითვლები, რადგან მოხვედი და ჩემ გვერდით დაწექი. შენს დახმარებას ვცდილობდი, როცა მტრებს ებრძოდი. წაიყვანე შენი საცოლე და წადი.

– არ შემიძლია მისი წაყვანა, რადგან დადებული ფიცი ვერ აღვასრულე. -თქვა შავმა კაცმა, დატოვა საცოლე და წავიდა.

ვისუ შინისაკენ გაეშურა, თან წაიყვანა უპატრონოდ მიტოვებული მშვენიერი პატარძალი, მისი მსახური და ნართ-ერსთხოელისთვის წართმეული შვიდი ძმის და. როცა შინ მივიდა, შვიდი ძმის და მომდევნო ძმას აჩუქა. თავადის ასული და მისი მსახური თავისთვის დაიტოვა. ამის შემდეგ ვისუმ დანარჩენი ძმებიც დააქორწინა. მათ ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება დაიწყეს.

გავიდა ხანი და შვიდი ძმა გამრავლდა. მათ უფრო დიდი ადგილები დასჭირდათ, ისინი სხვადასხვა კუთხეში დასახლდნენ და სოფლები დააარსეს. ვისუ, როგორც უფროსი ძმა, საცხოვრებლად წონტაროში დარჩა. მომდევნო ძმა ერსანოის მთაზე დასახლდა. მესამე ძმა - გურის ქედზე, მეოთხე - ენგანის ქედზე[8]. ასე გაიფანტნენ ვისუ და მისი ძმები და ახალი მიწები აითვისეს. ორმა ცოლმა ვისუს სამი ვაჟი აჩუქა, თავადის ასულმა ორი ვაჟი შობა, ეჟი და თეზი, ხოლო მისმა მსახურმა ერთი ვაჟი დაბადა, სახელად ალბიგი. ის იყო კოჭლი და ავადმყოფი. მამა წუხდა ალბიგზე.

გავიდა დრო და ვისუ დაბერდა. მან თავისი ვაჟები საცხოვრებლად სხვადასხვა ადგილებში გააგზავნა. უფროსი ვაჟიშვილი, სახელად ეჟი, წონტაროში დატოვა. თეზი დაასახლა იქ, სადაც ახლა სოფელი თეზ-ყალა მდებარეობს. ალბიგა კი, რადგან ვისუს მეორე ცოლისგან ჰყავდა და მამას ეცოდებოდა, ეჟისა და თეზის შორის დაასახლა, სადაც დღეს ალბიგ-აული მდებარეობს.

92. ნოური და ღოჟაყი

ოდესღაც ორი ნართი ცხოვრობდა: ნოური და ღოჟაყი. ნართი ღოჟაყის საცხოვრებელი ახლაც მოჩანს აულ ნოღა-მირზა-იურთის მახლობლად და მას ჰქვია ღოჟაყ-ორი, რაც აღნიშნავს ღოჟაყის გამოქვაბულს.

ღოჟაყს ლამაზი ცოლი ჰყავდა, სახელად ბელში. ის ნოურს შეუყვარდა და მისი ხელში ჩაგდება მოინდომა. ამ საქმეში ნოურს ყაბარდოელი ძმაკაცი დაეხმარა. მათ გამოხადეს არაყი, ჩაასხეს ჭურჭელში და ცხენს აჰკიდეს. ყაბარდოელი ამ ყველაფრით ღოჟაყის სახლისაკენ გაეშურა. ღოჟაყი შინ არ იყო. ყაბარდოელმა იცოდა ის გზა, რომლითაც ღოჟაყი შინ ბრუნდებოდა. მან იმ გზაზე, ერთმანეთისგან დაშორებით რამდენიმე ადგილზე ჭურჭლით არაყი დადგა.

სახლში რომ ბრუნდებოდა, დაღლილმა ღოჟაყმა ჭურჭლით არაყი დაინახა და დალია. მან ასევე სხვა ადგილებზე დადგმული არყით სავსე სასმისებიც გამოცალა და მთვრალი თავისი სახლის ზღურბლთან გადაიქცა. ყაბარდოელმა ღოჟაყს თავი მოაჭრა და ნოურს საჩუქრად მიართვა. სანაცვლოდ კი ნოურისგან მან ჯილდოდ ასი ცხენი მიიღო, ხოლო ბელში - ღოჟაყის ლამაზი ცოლი, ახლა ნოურის რჩეული გახდა.

ნოურს ორი ცოლი ჰყავდა: პირველი, სათაი-ხანი, თერგთან ახლოს ერთ ბორცვზე ცხოვრობდა, აულ ძველი-იურთის მიწაზე. მეორე კი, უკვე ნაცნობი ბელში, ღოჟაყის ნაცოლარი, ნოურმა აულ ნოღა-მირზა-იურთის ბორცვზე დაასახლა. თვითონ ნოური კი გამოქვაბულში ცხოვრობდა, რომელიც მდებარეობდა ზემო ნოურის აულთან, მისი ცოლების რეზიდენციებს შორის, 40 და 30 ვერსის დაშორებით. მაგრამ ეს მანძილი ნოურს ხელს არ უშლიდა, რომ თავისი

ცოლები მუსიკით გაერთო. საღამოობით ის ბალალაიკაზე უკრავდა. მუსიკის ხმა ორივე ცოლის ყურამდე აღწევდა. თითოეული მათგანისთვის ნოურს განსაკუთრებული მუსიკალური ჰანგი ჰქონდა შერჩეული. ამით ქალები იგებდნენ, ქმარი გამოქვაბულში ღამით რომელ მათგანს იწვევდა. ნოურს უთვალავი ცხენი ჰყავდა. როცა მათ წყლის დასალევად გარეკავდა, რემა აულ ზემო ნოურის საძოვრებზე აღარ ეტეოდა.

მისი სიკვდილის შესახებ ასე ყვებიან:

თერგს გაღმა ცხოვრობდა სიმამაცითა და ვაჟკაცობით განთქმული ნოღაელი ახალგაზრდა, სახელად მირზა. მას ჰყავდა მშვენიერი ცოლი, რომელიც მან ქალიშვილის მშობლებს ძალით მოსტაცა. მირზა თავისი ზერდაგი ცხენით დათარეშობდა. მისი ცხენი ნამდვილი რაში იყო და მას წელზე შავი ზოლი გასდევდა. ხშირი მგზავრობისა და თარეშის გამო ცხენი გახდა და პატრონმა გასასუქებლად რემაში დატოვა. მირზა სხვა ცხენზე შეჯდა, მაგრამ მხედარი იმ ცხენით კმაყოფილი არ დარჩა. ორი თვის შემდეგ მან იფიქრა, რომ მისი საყვარელი ცხენი უკვე მომჯობინდებოდა და მის სანახავად წავიდა. მაგრამ ცხენი კიდევ უფრო გამხდარი მოეჩვენა. თანაც აღმოჩნდა, რომ მას წელიც დაზიანებული ჰქონდა. ნოღაელი დაეჭვდა: „ამ ცხენით ან ჩემი ცოლი დადის საყვარელთან, ან ამ ცხენით ჩემს ცოლს საყვარელი სტუმრობს“. სიმართლე რომ გაეგო, მან ხერხს მიმართა. იმ დღიდან მოყოლებული, ყოველ ჯერზე, ნოღაელი როგორც კი სახლში მივიდოდა, ცოლს მათრახს გადაუჭერდა და თან სიტყვას დააყოლებდა:

– იცნობ ამ ქვეყანაზე ისეთ ვაჟკაცს, რომელიც ჩემზე მამაცია, ან შენზე ლამაზი ცოლი ჰყავს?

ამ ხშირი გამოხტომებით ქმარმა თავი რომ მოაბეზრა, ცოლმა ერთხელაც მიახალა:

– ნოური შენზე მამაცია, ხოლო მისი ცოლი სათაი-ხანი - ჩემზე ლამაზი.

ნოღაელი მაშინვე მიხვდა ამ სიტყვების მნიშვნელობას და გაცეცხლებული ნოურთან წავიდა.

ნოური მთიდან გადმოჰყურებდა. უეცრად მან მდინარის გაღმიდან მომავალი მხედარი შენიშნა და ყოველი შემთხვევისათვის საბრძოლველად მოემზადა. მხედარზე მან გაიფიქრა: „ის თუ მშიშარაა, ფონს დაუწყებს ძებნას, თუ არა და მაშინ პირდაპირ გადაეშვება წყალში“. მაღალი ნაპირიდან ნოღაელმა პირდაპირ წყალში ასკუპა ცხენი, მდინარე სწრაფად გადაცურა და ნოურის წინაშე წარსდგა.

– მხედარო, - ჰკითხა ნოურმა, - შენ ჩემთან მოხვედი თუ გზას აგრძელებ?

ნოღაელმა უპასუხა:

– ახლა შენთან ვარ, მინდა -წავალ, მინდა - დავრჩები.

ნოურმა სტუმარი მიიღო. დაუკლა ცხენი, მოხარშა და ნოღაელს ხორცი მიართვა.

დანაყრებულმა ნოღაელმა თქვა:

– მომისმინე, ნოურ. თერგის მარჯვენა ნაპირს შენ ფლობ, მარცხენას კი მე ვაკონტროლებ. ჩვენი ცხენები თერგის საერთო წყალს სვამენ. მაშასადამე, ჩვენ ერთმანეთს ნათესავებად ვერგებით. მთების ექო შენს სახელს იმეორებს. ნოღაელთა სტეპების ქარს ჩემი სახელის ხმა თვალუწვდენელ სიშორეზე მიაქვს. რა არ გვყოფნის, ან მეგობრულად რატომ არ უნდა ვიცხოვროთ? ნუ ვიჩხუბებთ ქალებივით და ბავშვებივით, კაცურად მოვილაპარაკოთ. შენ ნამუსი ახადე ჩემს ცოლს და მეც ნება უნდა დამრთო, რომ ასევე მოვიქცე.

ნოურმა უპასუხა, რომ მისი ცოლის შერცხვენაში დამნაშავე კიდევაც არის და არც არის დამნაშავე. დამნაშავეა, რადგან მას სახელი გაუტეხა, ხოლო დამნაშავე არ არის, რადგან ნოღაელის ცოლს ნოური თავის ქმარზე მეტად უყვარდა. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ის არავის მისცემდა იმის უფლებას, რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა მისი ცოლისთვის.

ისინი ერთმანეთს შეებრძოლნენ. ნოღაელი იყო ახალგაზრდა და ცბიერი, ხოლო ნოური - უკვე ასაკში შესული, რომელსაც თავის ფიზიკურ სიძლიერეში ეჭვი ეპარებოდა.

მათ ხელჩართული ბრძოლა გამართეს. უკვე ღამდებოდა. ნოღაელი მოიქანცა და ჩვეულ ეშმაკობას მიმართა:

– ნოურ, შუბლიდან ოფლი მოიწმინდე და შეხედე, ცაში როგორი ფრინველები დაფრინავენ!

ნოურმა ცას შეხედა. ნოღაელმა ის ძირს დასცა, ზემოდან დახედა და უთხრა:

– ახლა შენი სიკვდილი არ მინდა. ვაჟკაცი ნათქვამ სიტყვას არ გატეხს. მაგრამ შენი სიცოცხლე ჩემს ხელშია. ნება მომეცი შენს ცოლთან მხოლოდ ერთი ღამე გავატარო.

რადგან ნოურმა უარი უთხრა, ნოღაელმა მას ყელი გამოჭრა და მოჭრილი თავი ტყავის ტოროგაში ჩადო. შემდეგ იგი სათაი-ხანთან წავიდა, მასთან ერთი ღამე გაატარა, დილით ქალს თითიდან ბეჭედი წააძრო და თავის ცოლს მიუტანა.

ნოღაელმა ცოლის ფეხებთან ნოურის თავი დააგდო და უთხრა:

– ახლა დარწმუნებული ვარ, რომ შენ აღარ იცნობ ჩემზე ძლიერ ვაჟკაცს.

შემდეგ კი ბეჭედი გადასცა და უთხრა:

– ახლა არც შენზე ლამაზი ცოლი ჰყავს ვინმეს.

ნოღაელის ცოლმა თავისი შეყვარებული ნოურის თავი იცნო, მოჭრილი თავი მან ხელში აიღო, აკოცა, მკერდზე მიიკრა, შემდეგ კი ქმარს მიმართა და უთხრა:

– შენ მისი მოკვლა მხოლოდ მოტყუებითა და ღალატით შეგეძლო. ის შენზე ძლიერი და მამაცი იყო.

ტყუილსა და ღალატში მხილებულ ნოღაელს შერცხვა. მან ცოლი თავის მშობლებთან პატივით დააბრუნა, თვითონ კი ყაზანში წავიდა.

ნოურის სიკვდილი რომ გაიგეს, მისმა ცოლებმა თავები დაიხოცეს. სათაი-ხანი ყორღანის კბოდესთან მივიდა, თერგში გადაეშვა და მდინარის ტალღებში ჩაინთქა. ამ ამბის მოსაგონებლად იმ ადგილს დღესაც მისი სახელი - სათაი-თე, ანუ სათაის მაღლობი ჰქვია. ბელში კი მაღალი კლდიდან გადაეშვა და დაიღუპა. ის მთა ახლაც ბელშის სახელს ატარებს, ბელშაი-ბარზ, ბელშაის ბორცვი. ნოღაელ მირზას ძმის შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ და ნოურის შესახებ გადმოცემებს ისევ ყვებიან.

93. ღეზამათ ალი და თუოლამ-ოღო

ღეზამი და მისი ვაჟი ღეზამათ ალი[1] ჩეჩნები იყვნენ. ერთხელ ვაჟმა გადაწყვიტა ფარა იმ მთებში გაერეკა, სადაც კარგ ნამატს მიიღებდა.

თუოლამ-ოღო[2] ნართებს შორის ყველაზე სახელოვანი ნართი იყო. თუოლამ-ოღომ გაიგო, რომ ღეზამათ ალი ცხვრებით მის მხარეში იმყოფებოდა. თუოლამ-ოღოს სახელის ხსენებას ვერავინ ბედავდა, თვით იმ ქალაქის მცხოვრებნიც კი შეშინებული იყვნენ, რომელთა ქალაქშიც ცხრა ათასი ცეცხლი ენთო. თუოლამ-ოღო, სიდიდით ნახევარი მთისხელა კაცი, მთისხელა ცხენით ღეზამათ ალისკენ გაემართა. „თუ კეთილი ნებით წამოვა - წამოვიდეს, თუ არ წამოვა, ძალით წამოვიყვან და მთელ მის ფარას გამოვრეკავ.“ - ასე გადაწყვიტა თუოლამ-ოღომ.

შუადღემდე მისი ცხენი ღეზამათ ალის ბინამდე მივიდა, ნაშუადღევს კი თვით თუოლამ-ოღო გამოჩნდა. თუოლამ-ოღოს მისალმებას არ დაელოდა და ღეზამათ ალი მას პირველი მიესალმა. ამის შემდეგ თუოლამ-ოღოს მასპინძლის მიმართ შიში დაეუფლა. ღეზამათ ალი თავის სტუმარს ცხენიდან ჩამოსვლაში დაეხმარა. მან მოსული შეათვალიერა და გაიფიქრა: „რამდენი ცხვრის დაკვლა ღირს ასეთი სტუმრისთვის? ალბათ, ის ერთზე მეტს ვერ შეჭამს და თუ შეჭამს, ეს ერთიც მისთვის საკმარისი იქნება.“ - ასე მსჯელობდა ღეზამათ ალი. მან სტუმრისთვის და თავისთვის თითო ცხვარი დაკლა და მას ყურება დაუწყო, როგორ ჭამდა სტუმარი. ის კი ნელა და მშვიდად შეექცეოდა. თუოლამ-ოღომ ნახევარი ცხვრის შეჭმაც კი ვერ მოასწრო, როცა ღეზამათ ალიმ მთელი ცხვარი შეჭამა. თუოლამ-ოღომ ერთი ჯამი ხორცის წვნიანის დალევაც ვერ მოასწრო, როცა ღეზამათ ალიმ მთელი ქვაბი გამოცალა.

როცა გათენდა და თავისი ცხვარი მოშორებით გადარეკა, ალიმ თუოლამს ჰკითხა:

– რა საქმე გაქვს? უმიზეზოდ არ მოხვიდოდი. ახლა შენს სამსახურში მიგულე.

– განსაკუთრებული საქმე არ მაქვს. გავიგე, მოსულხარ მცირედ-დასახლებულ მხარეში. მე შენთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად მოვედი. - უპასუხა თუოლამ-ოღომ.

თუოლამ-ოღო შინ დაბრუნდა. გავიდა ოთხი წელი. ერთხელაც მან თავის მშიშარა ნართებს უთხრა:

– ღეზამათ ალის ცხვარი უკვე გაბევრდა. მასთან ოთხი წლის წინ ვიყავი. წადით, გამორეკეთ მისი ცხვარი და თუ სურვილი ექნება, თვითონ ისიც წამოიყვანეთ.

სამოცდასამი ნართი ღეზამათ ალისთან მივიდა. მათ უთხრეს:

– შენი ფარა უნდა გავრეკოთ. თუ სურვილი გექნება, შეგიძლია, შენც წამოხვიდე.

– მე თვითონ ვერ წამოვალ, ცხვარი კი წაიყვანეთ. - უთხრა ღეზამათ ალიმ.

მათ ცხვარი გარეკეს და წავიდნენ. როცა ისინი თვალს მიეფარნენ, ღეზამათ ალი ცხენზე ამხედრდა და შინ მივიდა. მამას, რომელიც შესასვლელში იჯდა, მან უთხრა:

– დად[3], შენთან საქმე მაქვს.

მამამ მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია. მაშინ მან დედას მიმართა:

– შინ მოვედი, რადგან ნართებმა ჩემი ცხვარი გარეკეს. 63 ისარი მომიმზადე. თვითონ ღეზამათ ალი სასწრაფოდ მშვილდის გაკეთებას შეუდგა. დედამ ურჩია:

– მოდი, ჭამე! ერთი ლუკმა საჭმელი სამგზავროდ ოც დღეს გეყოფა, ორი ლუკმა საჭმელი სამგზავროდ ორმოც დღეს გეყოფა, სამი ლუკმა - სამგზავროდ სამოც დღეს გეყოფა.

ღეზამათ ალიმ სამი ლუკმა შეჭამა, ცხენს მოახტა და სწრაფად გაქუსლა, რათა ნართებს მალე დასწეოდა. დედამ დაარიგა:

– თუ სოფელზე სწრაფად გაივლი, მტერს დაეწევი, მაგრამ უკან ხელცარიელი დაბრუნდები, ლაჩრად ჩაგთვლიან. თუ სოფელზე ნელა გაივლი, ხალხი იტყვის: „ვერ დაეწია, რადგან არ ჩქარობდაო“.

ღეზამათ ალიმ სოფელზე ნელა გაიარა, ხოლო სოფელს რომ გასცდა, ცხენი ჭენებით წაიყვანა.

ყველაზე მშიშარა ნართმა მოიხედა და ცეცხლის ნაპერწკლები დაინახა. მან ჰკითხა ნართს, ყველაზე მთავარ ნართს ნართებს შორის:

– ეს რა ცეცხლი ანთია?

– ეს ცეცხლი ღეზამათ ალის ცხენის ფლოქვებიდან გამოსროლილი ნაპერწკლებია.

– ეს რა ნისლი ჩამოწვა?

– ეს ღეზამათ ალის ცხენის ნესტოებიდან გამოსული ორთქლია. - უპასუხა მთავარმა ნართმა ნართებს შორის.

– დავტოვოთ ცხვარი და გავიქცეთ?

– გაქცევა არ არის საჭირო. მაშინ ხომ თუოლამ-ოღო დაგვხოცავს; აქ დავრჩეთ - დაე, ღეზამათ ალიმ მოგვიღოს ბოლო. - უპასუხა მთავარმა ნართმა ნართებს შორის.

ღეზამათ ალი მათ დაეწია. სამოცდასამი ისრით მან სამოცდასამი ნართი მოკლა და თავისი ცხვრით სამწყემსო ბინისაკენ გაეშურა, იქ თავისი ნივთები წამოკრიფა, შინ დაბრუნდა და მამას უთხრა:

– მცირედდასახლებულ მხარეში მყავს მეგობარი, სახელად თუოლამ-ოღო. მასთან წასვლის ნება მომეცი. მამამ ვაჟს ნება დართო და სამგზავროდ აღჭურვა.

ღეზამათ ალი მივიდა თუოლამ-ოღოსთან, რომელსაც მშვენიერი ცოლი ჰყავდა. თუოლამ-ოღოს ცოლს პირველი დანახვისთანავე შეუყვარდა ღეზამათ ალი. მან ვაჟს თავისი ქმრის სამარცხვინო საქციელზე უამბო. დილით ღეზამათ ალიმ მასპინძელს უთხრა:

– ვიცი, რომ უნამუსოდ მოიქეცი, ახლა უნდა ვიჩხუბოთ!

– შენთან როგორ ვიჩხუბო, როცა მე სიდიდით ნახევარი მთისხელა ვარ და ადგილიდან ვერ დამძრავ. - თქვა თუოლამ-ოღომ.

– ამას მაშინ ნახავ, როცა ჩხუბს დავიწყებთ. - უპასუხა ღეზამათ ალიმ და ბრძოლაც დაიწყეს.

ღეზამათ ალიმ ასწია თუოლამ-ოღო და მიწაში მუხლებამდე ჩააგდო. თუოლამ-ოღომ ასწია ღეზამან ალი და მანაც მუხლებამდე ჩასვა მოწინააღმდეგე. დაიჭირა ალიმ თუოლამი და მკერდამდე ჩასვა მიწაში. როგორც კი დააპირა მან თუოლამ-ოღოსთვის თავის მოჭრა, დამარცხებული შეეხვეწა:

– არ მომკლა და ნებისმიერ შენს სურვილს შევასრულებ!

– კარგი, აღარ მოგკლავ. სანაცვლოდ მოზიდე მიწა და ჩემთვის სამი ყორღანი აღმართე. გარდა ამისა, სამი ბორცვი მთლიანად გადათხარე და მიწის პირზე მოასწორე! - უბრძანა ღეზამათ ალიმ. მან

თუოლამ-ოღოს სახლიდან ტყვეები წამოასხა და მამასთან დაბრუნდა. ახლა რომ გადათხრილი ყორღანები მოჩანს, მაშინდელი გადათხრილია.

94. ნართ-ერსთხოელი და დევნილი მოსისხლე

ერთ სოფელში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც მოსისხლეები მოსაკლავად დასდევდნენ. სიცოცხლის გადასარჩენად მან ტყეს შეაფარა თავი.

ერთხელ მან მდევარი შენიშნა და მთებისკენ გაიქცა. იქ მან ერთ ღრმა ხეობაში, უფსკრულის ძირას ამოყო თავი. საღამო ხანი იყო, მზე უკვე ჩასვლას აპირებდა. მოსისხლე იჯდა და ისვენებდა, როცა მას უეცრად ქარის მსგავსი ხმაური შემოესმა და დაინახა გველები[1], რომლებიც მისკენ მოხოხავდნენ. მოსისხლეს შეეშინდა, რადგან გველებმა მას ალყა შემოარტყეს. ცოტაც ვნახოთ და კაცს ბუბუნით ვიღაც ნართ-ერსთხოელი მიუახლოვდა.

– ვინ ხარ? რა კაცი ხარ? - ჰკითხა ნართ-ერსთხოელმა.

მოსისხლემ თავისი უბედურების ამბავი შესჩივლა. მაშინ ნართ-ერსთხოელმა უთხრა:

– ადექი, მე შეგიფარებ, ღამის გასათევად ჩემთან წამოდი.

– გველები ხოხვით წინ გაუძღვნენ და საცხოვრებელში პირველები შესრიალდნენ. გველებს ნართ-ერსთხოელიცა და დევნილი კაციც უკან მიჰყვნენ. ნართ-ერსთხოელმა გველები ერთგან შერეკა და შესასვლელი ქვით ჩაკეტა, თვითონ კი მოსისხლესთან ერთად თავის საცხოვრებელში შევიდა. ამის შემდეგ ნართ-ერსთხოელმა დიდი ცეცხლი დაანთო და მასზე მოსახარშად ქვაბით ბლომად ხორცი შემოდგა. მათ ჭამეს და დასაძინებლად დაწვნენ. დილით, როცა გაიღვიძეს, ნართ-ერსთხოელმა ჰკითხა:

– შენს იღლიებს შეხედე.

მოსისხლემ იღლიებში ხორკლები დაინახა. აღმოჩნდა, რომ მას წინა საღამოს გველის ხორცი უჭამია. მაშინ ნართ-ერსთხოელმა[2] უთხრა:

– ახლა წადი. შენ თურფალი[3] გახდი და აღარაფერი გემუქრება.

ასე გააცილა ნართ-ერსთხოელმა მოსისხლე.

95. ნართ-ერსთხოელი ქუსქუზი

ნართ-ერსთხოელები მდინარე ასის ტაფობში ცხოვრობდნენ. ჩვენთან მიუთითებენ გზებზე, რომლებზეც ისინი დადიოდნენ; ადგილებზე, სადაც თითქოს ისინი ცხოვრობდნენ. მათზე ამბობენ, რომ ისინი იყვნენ მეტისმეტად მაღალი და ძლიერი ვაჟკაცები. თუ საჭირო იქნებოდა, ისინი ერთმანეთს კლდის ნატეხებს ესროდნენ. აიგის ველზე გდია ერთი ქვა, რომელიც გაბრაზებულ ნართ ვადალს უსვრია. ამბობენ, რომ იმ ქვას ვადალის ნათითურები ახლაც ამჩნევია.

ყვებიან, რომ ქუსქუზის საფლავის ქვა ეკუთვნის ნართ-ერსთხოელს, სახელად ქუსქუზს. სოფელ ღალაითესა და ზამან-იურთის მახლობლად ყრია ლოდები, რომლებიც თითქოს იქ ნართ-ერსთხოელებმა გატყორცნეს.

გუდერმესის რაიონში ბევრს ყვებიან ნართ-ერსთხოელებსა და მათ გმირობებზე.

96. ნართ-ერსთხოელების წისქვილის ქვები

ზანდაკ-აულის ზემოთ გადადის პატარა ქედი, რომელსაც ოვ-მუოხქი ჰქვია. მის იქით მიედინება მდინარე არხსი. ამარის წვერის დაბლა ორი ქვა გდია. როგორც ამბობენ, ისინი ნართ-ერსთხოელების წისქვილის ქვები ყოფილა, რომლებიც გარეგნულად, ნამდვილად, დოლაბს მოგვაგონებენ. ზოგიერთები ირწმუნებიან, რომ მათ ოდესღაც ხელსაფქვავებად იყენებდნენ. ზედა ქვას, მართლაც, აქვს ჩაღრმავებული ადგილი, რომელიც თითქოს განკუთვნილი იყო იმისთვის, რომ იგი ხელის მტევნით ეტრიალებინათ. ქვები კი ისეთი დიდი ზომისაა, რომ მასზე ცხენზე ამხედრებულ ადამიანს შემოვლა შეუძლია.

შამსის ზეგანზე, ზანდაკის მახლობლად, სოფელ ნოჟაი-იურთისა და დარღის მახლობლად, არის ადგილი, სადაც, ამბობენ, რომ უწინ ნართების სასაფლაო ყოფილა.

97. გეპაქისა და ამირას მტრობა

ამზინ-ქაჟეს მაღალ ბორცვზე, შირ-იურთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნართ-ერსთხოელი გეპაქი ცხოვრობდა. იქ არის მაღალი ქვის გალავანი, რომელიც, ამბობენ, რომ გეპაქმა აღმართა. მასზე ამჩნე-

ვია ცხენის ფლოქვების ნაკვალევი და ადამიანის ნათითურები. ქვაზე დარჩენილია ღრმული, რომელზეც, როგორც ამბობენ, გეპაქი შარდავდა. გეპაქი უხვ მოსავალს იწევდა და ამბრები სულ მარცვლეულით ჰქონდა სავსე. მის უმცროს ძმას ერქვა ვენაგი. ერთ ბორცვზე არის ადგილი, სადაც, ამბობენ, რომ ვენაგ-ღალა, ვენაგის კოშკი იდგა.

ქედზე, რომელიც გადის შირ-იურთს, გილნასა და ბაითარქს შორის, არის ყორღანები - ერთი დიდი და მეორე პატარა. მას ამირ-ქუორთოშს (ამირის მწვერვალებს) უწოდებენ. ამირაც ნართ-ერსთხოელი ყოფილა. ნართ ამირას ბლომად საქონელი ჰყოლია, რომელსაც ეჭქის[1] მთებში აძოვებდა და თვითონაც იქ ცხოვრობდა.

გეპაქი და ამირა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ცდილობდნენ ერთმანეთისთვის ეჯობნათ, რაც ხშირად მტრობაში გადადიოდა[2]. გეპაქს ეგონა, რომ ამირამ მას ყველაფერში აჯობა და ისე გაბრაზდა, რომ ამირას ვეებერთელა ქვა ესროლა. ეს ლოდი პატარა მდინარე ბულქთან დაეცა. ამბობენ, რომ მასზე ორმოც კაცს თავისუფლად შეუძლია ნამაზის შესრულება.

როცა ნართებს შორის მტრობა კიდევ უფრო გაღვივდა, გეპაქმა ამირას უთხრა:

– როცა ბარში დათესილ და მოყვანილ მარცვლეულს შინ ვეზიდები, გზაზე დანაკარგი იმდენად დიდია, რომ მარცვლეულში ეფლობა არა მხოლოდ მარხილის თავკავი, არამედ ცხენების ფეხებიც. ამირა, შენი ქონება ჩემს სიმდიდრესთან ვერ მოვა, შენ ჩემთან გატოლებას ვერ შეძლებ!

მაშინ ამირამ უპასუხა:

– გეპაქ, შენ არ გამოგივა ჩემთან გაჯიბრება. ნახავ, რაც მოგივა, თუ შენსას არ დაიშლი, რადგან ჩემს ნახირში არის მხოლოდ ერთ დღეს, მხოლოდ ერთდროულად დაბადებული, მხოლოდ ერთი ფერისა და მხოლოდ ერთი სიმაღლის ორმოცდაათი ხბო...

98. ნართ-ერსთხოელების კოშკები

მდინარე ასის ორივე სანაპიროზე ერთმანეთის პირისპირ ორი კოშკი იდგა. ერთ კოშკში ახალგაზრდა ვაჟი ცხოვრობდა, მეორეში - ქალიშვილი. ვაჟს ძალიან უყვარდა ქალიშვილი, მაგრამ ქალიშვილს

ვერ გადაეწყვიტა, ცოლად გაჰყოლოდა თუ არა. მაშინ ვაჟმა უთხრა, რომ მისი ცოლი უნდა გამხდარიყო. ქალიშვილმა მიუგო:

– ცოლად მას გავყვები, ვინც ძალ-ღონითა და სიმამაცით მაჯობებს.

მათ ორი ქვა ისროლეს. დანაძლევდნენ: ქვას ვინ უფრო შორს გადააგდებდა. როცა ნასროლი ქვები შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ ისინი ერთი და იმავე მანძილით იყო დაშორებული იმ ადგილიდან, საიდანაც ისროლეს. ამ ორ ქვაზე ამბობენ, რომ ვაჟმა და ქალიშვილმა ისინი სანაძლეოზე ისროლეს.

99. თეჩა და მისი სატრფო წაი

სესანის ზემოთ, ალაროსა და ტურტს შორის, მთებში, თეჩა და მისი სატრფო წაი ცხოვრობდნენ. თეჩა ცხოვრობდა ტურტის მახლობლად, მთის მაღალ ფერდობზე, რომელსაც ერქვა რაგნიი ურგაშ (ნაპრალებიანი ქედი). მას თუ დავაკვირდებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქ ოდესღაც ადამიანს უცხოვრია. იმ ადგილს ჰქვია თეჩაქორთი, თეჩას მწვერვალი. თეჩა მამაცი ნართი ყოფილა. მის სატრფოს მშვენიერ წაის კი ჯამბი-ირზეში, ჯამბის ველზე უცხოვრია. ამ ადგილს კი წაჲ-კერაგს (წაის ქვას) უწოდებდნენ. თეჩას და წაის ერთმანეთი უზომოდ ჰყვარებიათ. მათი საცხოვრებელი ადგილები ერთმანეთისგან ოთხი-ხუთი კოლომეტრით ყოფილა დაშორებული.

ერთ საღამოს თეჩა საკუთარ სახლთან დეჩიგ-ფანდურზე[1] თავისი ვაჟკაცური ხმით მშვენიერ სიმღერას ასრულებდა. დეჩიგ-ფანდურისა და სატრფოს მშვენიერი სიმღერის ხმა ნართი ქალის - წაის ყურამდე აღწევდა. მაშინ საღამო იყო, როცა ნახირი საძოვრიდან ბრუნდებოდა. წაი, თეჩის სატრფო, იმ დროს ჯამბის ველზე, აითიმუოხქთან ძროხებს წველიდა. ქალიშვილი ისე მონუსხა მელოდიამ, რომელსაც ფანდურზე ვაჟი უკრავდა, რომ მან ათი ძროხის მონაწველი რძე მიწაზე დაღვარა[2].

ნართ-ერსთხოელმა თეჩიმ შორიდან რომ ეს დაინახა, ადგილიდან არ დაძრულა, მთიდან სამი-ოთხი ურმის სიდიდის კლდე მოგლიჯა და ხუმრობით წაის ესროლა. ქალი ამ ხუმრობამ მეტად გაახალისა და სა-პასუხოდ ნაპრალებიანი მთიდან თეჩის მიმართულებით მეორე ქვა

ისროლა. თეჩის ნასროლ ქვაზე წაიმ სიხარულისგან ისე იცეკვა, რომ მან ქვაზე ქუსლებით ერთი ნიშანი ამოკვეთა, ხოლო ხელის დარტყმით - მეორე ნიშანი დაატყო. ამის შემდეგ იმავე ქვაზე, რომელიც სიგრძითა და სიგანით სამი მეტრი იქნებოდა, ქალმა კვლავ ცეკვა განაგრძო.

100. სესქათ სოლსა და შუაზე გაპოგილი ლოდი

გალანჭოჟის გზაზე, თუმსოი-ლამის[1] მთასთან, არის აული ფიოშა. ამ აულის მახლობლად, თუმსოი-ლამის მთაზე, არის ქვის კლდე, რომელზეც ამბობენ, რომ სოსქათ სოლსამ ხმალი დაარტყა. ეს ქვა სიდიდით სახლს აღემატება. მის გარშემო სხვა ლოდი ან კლდე არ გვხვდება, ირგვლივ მხოლოდ ბალახი იზრდება. მის შესახებ ყვებიან, თითქოს სოსქათ სოლსამ თავისი ხმლით ეს ქვა ორად გააპო, რათა შეემოწმებინა, რამდენად ბასრი გორდა ჰქონდა.

ამ ლოდის მახლობლად არის კიდევ ერთი სხვა ქვა, რომელსაც აქვს ჩაღრმავებული, პატარა ორმოს ფორმა. ამბობენ, რომ იმ ქვას სოსქათ სოლსას ცხენმა ფლოქვი დაჰკრა და მასზე მომცრო ორმოს სახით სამუდამოდ დარჩა ანაბეჭდი. ეს ორმო ამოვსებულია მიწით, რათა მას ადამიანის ან პირუტყვის ფეხი არ შეხებოდა.

შატოის რაიონში, ზონახ-აულის მახლობლად, ერთ დაბლობში არის მოზრდილი ღარტაფი, რომელზეც, ამბობენ, რომ მრავალი წლის წინ მდინარე მიედინებოდა. გზიდან ოცდაათი ნაბიჯის ზემოთ, კლდეში, არის გამოქვაბული, რომელსაც შეიძლება კაცმა თავი შეაფაროს. ამ გამოქვაბულში ოდესღაც სამ დას[2] უცხოვრია. როცა დებს წყალი სჭირდებოდათ, ნაწნავებზე თუნგს იბამდნენ და მდინარიდან წყალს იმით იღებდნენ.

ამ მთის მოპირდაპირე მხარეს, დასავლეთით, ვარანდოისთან არის სხვა მთა. როცა ეს სამი და გამოჩნდებოდა, ამბობენ, სოსქათ სოლსა თავისი რაშით ერთი მთიდან მეორე მთაზე ხტებოდა. იმასაც ამბობენ, რომ იმ მთამ, სადაც სამი და ცხოვრობდა, სოსქათ სოლსას ცხენის ნალის ანაბეჭდი შემოგვინახა.

რადგან ქალიშვილებს მშვიდი ცხოვრების საშუალება არ ჰქონიათ, სოსქათ სოლსასგან შეშინებული დები საცხოვრებლად სამუდამოდ ბაშლამის[3] მთაზე გადასულან.

101. ორი ქალიშვილი, მათი დედა და სესქათ სოლსა

ნართ-ორსთხოელი სესქათ სოლსა, რომელმაც გამდნარი სპილენძი[1] დალია, ძლიერ გაბუდაყდა. ის თავის ცხენს შატოის მთაზე აძოვებდა. შატოის მთაზე იყო წყარო, რომელიც სესქათ სოლსას ცხენის ნაფეხურიდან წარმოიშვა, რადგან სადაც კი სესქათ სოლსას ცხენი ფლოქვს დაჰკრავდა, იქ წყარო[2] ჩნდებოდა.

შატოიში ცხოვრობდა ორი ქალიშვილი და მათი დედა. სესქათ სოლსა მათ ეარშიყებოდა და მოსვენებას არ აძლევდა. ქალიშვილების სიყვარულით ის ცხენს ქარივით დააჭენებდა და მდინარე არღუნის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე ახტუნავებდა. ორი ქალიშვილი და მათი დედა იქაურობას გაერიდნენ. ისინი დოქოი-ქორთისკენ[3] გაეშურნენ და იქ ერთ ყინულოვან მთაზე დაიწყეს ცხოვრება. დედა და მისი ქალიშვილები სახლიდან თოვლზე მარცვლეულს ყრიდნენ და, როგორც ამბობენ, ნადირსა და ფრინველს კვებავდნენ.

მონადირისგან დაჭრილი ნადირი იმ მთასთან მიდიოდა და იქ კვდებოდა[4]. ვინც დოქოი-ქორთის მწვერვალამდე ავიდოდა, ორი ქალიშვილი და მათი დედა მას გოდორში სვამდა და უფსკრულში აგდებდა[5]. მას შემდეგ, რაც ორი ქალიშვილი და მათი დედა ამ ყინულოვანი მთის მხარეში დასახლდა, იქ მცხოვრებმა თუმღოელებმა ქათამი ვეღარ მოაშენეს. ისინი ამბობდნენ, რომ მთიდან ხშირად მამლისებური ყივილი ესმოდათ[6].

102. ნართ-ერსთხოელი ნაურაზი

ამბობენ, რომ ნართ-ერსთხოელები ცხოვრობდნენ დიდ ჩეჩნეთში, მდინარე თერგს გადაღმა და ინგუშეთში. ნართ-ერსთხოელები ესახლნენ ასევე ნოჟაი-იურთის გარშემო. ასევე ამბობენ, რომ იქ მცხოვრები ნართ-ერსთხოელების წინამძღოლი-თამადა ნაურაზი ყოფილა. ნოჟაი-იურთის მახლობლად, მთიან ქედზე, ციხესიმაგრეც მდგარა, სადაც ნაურაზს უცხოვრია. ის ციხესიმაგრე სულ დანგრეულა, შემორჩა მხოლოდ კიბის საფეხურები.

ციხესიმაგრის მახლობლად არის ერთი მთა, რომელსაც ჰქვია ღერას ცხენსაბმელი. იქ ნართ-ერსთხოელ ღერას უცხოვრია.

ნართ-ერსთხოელ ღელას ნასახლარს ღელა-ჩურთს[1] (ღელას საფლავის ქვას) უწოდებენ, რადგან ღელამ ის ქვა დაბლიდან სამი კილომეტრის სიმაღლის მთაზე აიტანა და ძლიერი დარტყმით მიწაში ჩააგდო.

ნაურაზი, ღელა და ღერა სამ მთაზე[2] ცხოვრობდნენ. როცა მათ ცული დასჭირდებოდათ, საკმარისი იყო დაეძახათ ერთმანეთისთვის და მაშინვე ერთი მთიდან მეორე მთაზე ცულს ესროდნენ.

იმ დროს, როდესაც ნოჟაი-იურთის გარშემო ნართ-ერსთხოელები ცხოვრობდნენ, ნოჟაი-იურთის ზემოთ, საიასანის რაიონში, წონტაროში, აულ ნაშხოიდან[3] მიწების დასაზვერად ჩეჩნები მისულან. მათ ჯერ თათბირი გაუმართავთ, თუ როგორ წაერთმიათ ნართ-ერსთხოელებისთვის მიწები, რომ იქ თვითონ დასახლებულიყვნენ. თავიდან ჩეჩნებს სამოსახლო ადგილები ნართებისგან ტკბილი სიტყვით, მშვიდობიანად მოუთხოვიათ. ნართ-ერსთხოელებს მიწა არ მიუციათ. მაშინ ჩეჩნებს უთქვამთ:

– არაფერს გიზამთ, თუ შვიდ დღეში აქედან მოშორდებით. თუ ამ დროის განმავლობაში მიწას არ მოგვცემთ, ომს დაგიწყებთ!

როცა დათქმულ დროს ნაურაზი და მისი ამხანაგები არ წავიდნენ, ჩეჩნები მათთან საომრად მოემზადნენ. მერვე დღეს ჩეჩნებმა ხარის ლატნებს ჩალა თოკებით მიაბეს და მიმდებარე მთებზე აიტანეს. იქ მათ ღამით ჩალას ცეცხლი წაუკიდეს და ნოჟაი-იურთზე შეტევა დაიწყეს. როცა ნაურაზმა ცეცხლში გახვეული მთები დაინახა, შეეშინდა, ციხესიმაგრე მიატოვა და თავისი ჯარით, ისე რომ წინააღმდეგობაც არ გაუწევია, თერგს გაღმა გაიქცა.

103. ნაურაზის კოშკი

ნოჟაი-იურთისკენ მიმავალ გზას მთები მიუყვება, რომელსაც ბეხნა-ბერდი (დაშლილი ქედი) ჰქვია. მის მწვერვალზე, როგორც ამბობენ, ნაურაზის, ნართ-ერსთხოელების წინამძღოლის, კოშკი მდგარა. ქედზე მოჩანს ყორე, თითქოს იქ დიდი კოშკი მდგარა. ნოჟაიიურთელი მოხუცი მთხრობელები ყვებიან:

როდესაც მთიდან ჩეჩნები თავს დაესხნენ ნართ-ერსთხოელთა წინამძღოლ ნაურაზს[1], მან ციხესიმაგრიდან ამოიღო თავისი ოქროს

საგანძური და აღმოსავლეთით, მდინარე ემსის გაღმა გადამალა. მან თავისი ქვეშევრდომი ნართები აიძულა, რომ მდინარეში ქვები ჩაეყარათ და გზა გაეკეთებინათ. ნაურაზმა თავისი ოქრო გადაიტანა მოლების ბორცვზე, სადაც, მისი ბრძანებით, განძი დამალეს. მას იმედი ჰქონდა, რომ ოდესმე დაბრუნდებოდა და იქიდან ოქროს წაღებას მოახერხებდა, მაგრამ ჩეჩნებისგან განდევნილი ნართ-ერსთხოელები სამუდამოდ გადაიკარგნენ და იმ ადგილებში მეტად აღარ გამოჩენილან.

104. შვიდი ნართ-ერსთხოელი ძმის ქედი

ბავშვობაში მამა-პაპისაგან მსმენია, რომ ძველად აქ, სადაც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ, ნართ-ერსთხოელების დიდი სოფელი ყოფილა. ნართ-ერსთხოელებს შორის შვიდ ძმასა და ერთ დას უცხოვრია. ყველა მათგანი თურმე განსაკუთრებული ძალ-ღონითა და სიმამაცით გამოირჩეოდა. მათ ჯერ კიდევ ჩვენი შვიდი წინაპრის გაჩენამდე უცხოვრიათ, როდესაც ხალხი ნაშხოიდან იალხოი-მოხქში გადმოსახლდა.

იმ ადგილს, სადაც და-ძმები ცხოვრობდნენ, უწოდებდნენ „შვიდი ნართ-ერსთხოელი ძმის ქედს“. მიუხედავად იმისა, რომ შვიდი ძმა ადგილობრივ მოსახლეობას ავიწროებდა, იალხოი-მოხქის მცხოვრებლებს არ შეეძლოთ მათთან დაპირისპირება, რადგან ნართ-ერსთხოელები წარმოუდგენელ ძალას ფლობდნენ. მაშინ ხალხი შეთანხმდა, ხერხით ეჯობნათ ნართებისთვის.

როდესაც შვიდი ძმა და მათი და დასაძინებლად დაწვნენ, ხალხმა ჯერ მოიცადა, სანამ ღრმად დაიძინებდნენ. ისინი ნართების სახლში მალულად შეიპარნენ და ოთახის შუაგულში აღმართული დედაბოძი წააქციეს. სახლის სახურავი ჩამოინგრა და ნართ-ერსთხოელები სახურავის ქვეშ ჩაიმარხნენ.

ჩვენი სოფლის მახლობლად ორი დიდი ქვა ახლაც გდია, რომლებზეც ყვებიან, რომ მათ ნართები ოდესღაც სახლის კარისთავებად იყენებდნენ. შვიდი ძმისა და მათი დის დაღუპვის შემდეგ, სხვა ნართებიც აყრილან და იქიდან გადახვეწილან.

105. ნართების განადგურება

ქურჩალოის რაიონში, ენგელ-აულის მახლობლად, არის ერთი ადგილი, რომელსაც გერმენჩი ჰქვია. მის გარშემო, ირგვლივ, სულ ხრამებია, ხოლო შუაგულში დატოვებულია ერთი ორმო. ყვებიან, რომ იმ მიდამოებში ნართებს უცხოვრიათ.

ჩვეულებრივ ხალხსა და ნართებს შორის უთანხმოება მომხდარა და ბრძოლა გაჩაღებულა. როდესაც ბევრი ხალხი მისულა, ნართები ციხესიმაგრეში გადასულან და იქ გამაგრებულან. ჩეჩნებს ალყა შემოურტყამთ, მაგრამ ციხე-სიმაგრეში მაინც ვერ შეუღწევიათ. მაშინ ისინი რჩევის საკითხავად ერთ დედაბერთან მისულან და უკითხავთ:

– როგორ დავამარცხოთ ნართები? ციხესიმაგრეში წყალი საიდან მისდით?

დედაბერმა ურჩიათ:

– სამი დღე და სამი ღამე აჯილღა ცხენი მოხალული ფეტვით გააძღეთ, წყალი არ მისცეთ და სამი დღის შემდეგ ნართების ციხესიმაგრის მახლობლად გაუშვითო.

წყურვილისგან გატანჯული ცხენი გაიქცა და გალავნის მახლობლად ფლოქვების დარტყმით ის ადგილი აღმოაჩინა, საიდანაც მიწაში ჩაწყობილი თიხის მილებით წყალი ნართების სიმაგრეში მიდიოდა. ხალხმა მილები დაამტვრია და ნართებს წყლის მიწოდება შეუწყვიტა. წყურვილისგან ნართები ძლიერ დასუსტდნენ და ისინი ჩეჩნებმა ადვილად გაანადგურეს. იმ ადგილზე კი, სადაც ნართები ცხოვრობდნენ, ოქრო-ვერცხლს, აკვნებსა და სხვა ნივთებს პოულობდნენ.

106. გერმაჩიგელი ნართები

ენგელ-აულსა და აზამთ-იურთს შორის არის ყორღანი, რომელსაც იაშართის ბორცვს უწოდებენ. იაშართის ბორცვზე და გერმაჩიგში[1], როგორც ამბობენ, ნართებს უცხოვრიათ. ადრე ნართები ადგილობრივ მცხოვრებლებს აბუჩად იგდებდნენ, მაგრამ ისინი თანდათან მომძლავრდნენ და ბოლოს და ბოლოს ხალხმა ნართები თანდათან დაჯაბნა: ისინი იაშართის ბორცვზე მცხოვრებ ნართ-ერსთხოელებს მოსვენებას არ აძლევდნენ. შეწუხებული ნართები საცხოვ-

რებლად გერმაჩიგელ ნართებთან გადასახლდნენ[2] და თავის დასაცავად გერმაჩიგის ციხესიმაგრეში გამაგრდნენ. მოწინააღმდეგეს სიმაგრეში რომ ვერ შეეღწია, მათ ციხესიმაგრის შიგნით მიწა ამოჭრეს და გარშემო თხრილი და მიწაყრილი გააკეთეს. ამის შემდეგ ნართებმა ადგილობრივი მოსახლეობისგან ფარულად მიწა გათხარეს და შორიდან წყალი შემოიყვანეს, რათა ციხესიმაგრიდან გარეთ აღარ გამოსულიყვნენ. ნართებმა მარცვლეული და საქონელი მოიმარაგეს და მოწინააღმდეგის დასახვედრად გამაგრდნენ.

ხალხი, რომლებსაც ნართები ადრე აბუჩად იგდებდნენ და ძალადობდნენ, შეიკრიბა და მათ გერმაჩიგის სიმაგრეს ალყა შემოარტყეს. მაგრამ ერთი სოფლისხელა გერმაჩიგი ისე მტკიცედ იყო გამაგრებული, რომ ხალხმა ვერ შეძლო თხრილზე გადასვლა და სიმაგრეში შეღწევა. ბოლოს, როცა ვერაფერს გახდნენ, მამაკაცები შეგროვდნენ და თათბირი დაიწყეს, თუ როგორ აეღოთ ნართების ციხესიმაგრე. მათ ითათბირეს და ბოლოს გაახსენდათ, რომ ნართებს საიდანღაც წყალი მისდიოდათ. ისინი მიხვდნენ, რომ თუ ციხესიმაგრეს წყალს შეუწყვეტდნენ, მაშინ ნართები უწყლოდ ვერ გაძლებდნენ და დანებდებოდნენ.

ჩეჩნები რჩევისათვის ერთ დედაბერთან მივიდნენ და სთხოვეს, რომ ესწავლებინა ის ადგილი, საიდანაც გერმაჩიგში წყალი მიდიოდა. ჭკვიანმა დედაბერმა, რომელმაც ის იცოდა, რაც სხვა ადამიანებმა არ იცოდნენ, თქვა:

– წყალი, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს, მაინც მიწის ქვეშ მიედინება. მის აღმოსაჩენად დაგჭირდებათ სამი წლის გაუხედნავი აჯილღა, რომელიც სამი დღე-ღამის განმავლობაში მოხალული ქერით უნდა გააძღოთ, ისე რომ წყალი არ დაალევინოთ. როცა მას ძლიერი წყურვილი შეაწუხებს, ნებაზე მიუშვით. თუ თვალთვალს დაუწყებთ და მიჰყვებით, ის ზუსტად იმ ადგილთან მოგიყვანთ, საიდანაც ნართები წყალს იღებენ.

ხალხი ისე მოიქცა, როგორც დედაბერმა დაარიგა. მათ რემაში სამი წლის გაუხედნავი ცხენი დაიჭირეს, მოხალული ქერით გამოაძღეს და გაუშვეს, მერე კი მის კვალს მიჰყვნენ. გაუხედნავი ცხენი წყლის ძებნაში აქეთ-იქით აწყდებოდა, წყურვილისგან მას მთელი

შიგნეული ეწვოდა. ულაყი გერმაჩიგიდან ხოშქელდამდე მიწას ყნოსავდა და მირბოდა. ხოშქელდის მახლობლად, მთის ძირას რომ მივიდა, ცხენი გაჩერდა და ერთ ადგილს წინა ფლოქვები გამწარებით დაუშინა. იქ, სადაც ცხენი ფლოქვებს ურტყამდა, ჯერ თიხის მილები გამოჩნდა, შემდეგ კი წყალი, რომელიც თიხის მილებით გერმაჩიგში მიდიოდა. ცხენის სათვალთვალოდ წასული კაცი წყალთან დაიხარა და გახარებულმა წამოიძახა:

– ოი, ხოშქელდი[3]!

ხალხმა წყლის აღმოჩენით მეტად გაიხარა. ყვებიან, რომ გერმაჩიგში მცხოვრებ ნართებს, როცა მათ წყალი გადაუკეტეს, ჯერ საშინელი წყურვილი დაატყდათ, შემდეგ შიმშილი და ყველანი დაიღუპნენ. მათ იქიდან გამოსვლა ვეღარ გაბედეს[4]. ზოგიერთები კი ამბობენ, რომ ნართები ერთ ბნელ ღამეს საიდუმლოდ ადგნენ და სადღაც შორს სამუდამოდ გადაიხვეწნენ.

107. ენგენოელი ნართები

ოდესღაც ნართები ჩვენთანაც ცხოვრობდნენ. აქ, აულ ენგენოიში, ორი ძმა ცხოვრობდა, იურთუსი და ისა[1]. ისინი მოსული იყვნენ მითხოდან[2] და აღიარებდნენ ერთადერთ ღმერთს, ალაჰს. აქედან ჩანს მდინარე აყთაშის მაღალი ნაპირი. იქითა ნაპირზე ბოროტი ნართები - „ქერისტები“[3] - ცხოვრობდნენ და ისინი ღორის ხორცს ჭამდნენ. იურთუსი იყო ძლიერი ნართი. მას შეეძლო დიდი ქვების შორ მანძილზე სროლა. მან მიმართა ნართებს, რომლებიც ერთადერთ ღმერთს არ აღიარებდნენ:

– მოეშვით ღორის ხორცის ჭამას, ან ჩვენი მიწიდან წადით!

ბოროტმა ნართებმა არ მოუსმინეს. მაშინ იურთუსმა ენგენოიდან იმ მაღალ ნაპირზე თავისი ჩუგლუგი ისროლა[4]. ბოროტი ნართები შეშინდნენ. მათ მდინარის მაღალი ნაპირიდან ღორები ძირს გადმოყარეს და ჩვენი ქვეყანა დატოვეს[5]. მას შემდეგ, იმ ადგილზე, ფლატის დაბლა, სადაც ნართებმა მსუქანი ღორები გადმოყარეს, ბალახი აღარ იზრდება[6].

108. მარტოხელა ქვრივი და ნართები

იჩქერიაში[1] მარტოხელა ქვრივი ცხოვრობდა, რომელსაც ნართებმა ორი ვაჟი მოუკლეს. ქალი მიწურში იჯდა და თავის უბედურებაზე ხმამაღლა გოდებდა. ეზოში ატეხილმა ხმაურმა მოხუცს მოთქმა-ქვითინი შეაწყვეტინა. მიწურიდან რომ გამოვიდა, თავის საუბედუროდ მან შვიდი ნართი დაინახა. ის გასაქცევად მოემზადა, მაგრამ ერთ-ერთმა ნართმა დაიჭირა და სთხოვა მათთვის რამე ეჭმია. ქალს სხვა გზა აღარ ჰქონდა: სტუმრები მიწურში შეიპატიჟა, მათი ფარ-ხმალი კედელზე ჩამოკიდა და საჭმლის მომზადებას შეუდგა.

დიასახლისმა ცხვრის გამომშრალი ნეკნის ხორცი ქვაბში ჩააგდო და ცეცხლზე შემოდგა. მან აიღო ერთი მუჭა ფქვილი და ცომი მოზილა. ნართებს გაეცინათ ასეთ მსუბუქ სადილზე, რადგან თითოეული მათგანი ჯერზე ერთ ცხვარს ათავებდა. მაგრამ სტუმრების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მორთმეული სადილიდან მათ ხორცი და პური მთლიანად ვერ შეჭამეს და კიდევაც დარჩათ. ნართებმა დედაბერს სთხოვეს, რომ სასწაული აეხსნა. ქალმა მიუგო:

– ნართების შემოსევამდე იჩქერიაში ხალხი ბედნიერად ცხოვრობდა: პური, რძე და ხორცი უხვად ჰქონდათ. ჩვენი ბავშვები ჩვენი გულის გასახარებლად იზრდებოდნენ და მშვენდებოდნენ. ნართების გამოჩენისთანავე ყველაფერი უარესობისკენ შეიცვალა. იქნებ მამაზეციერმა ისინი ჩვენი ცოდვების გამო ჩვენს დასასჯელად მოავლინა? მოსავალს ვეღარ ვიწევთ, ძროხა რძეს აღარ იძლევა, ბარაქა გაქრა, დოვლათი იჩქერიიდან ისე გავიდა, როგორც მდინარე მიედინება და სხვაგან, სადღაც ზღვას უერთდება. ჩვენი შვილების შემყურე, ვგოდებთ და ამ ტირილით უღიმღამო ცხოვრების სევდიან დღეებს ვიმოკლებთ. ნართები მამაკაცებს ხოცავენ, ხოლო ქალიშვილები წასაბილწად მიჰყავთ. წყეულიმც იყვნენ ცოდვილი ნართები თავიანთი მონაგრით! უკეთესი იქნებოდა, თუ ღმერთი შავ ჭირს მოგვივლენდა და ყველას ერთიანად გაგვწყვეტდა! ხორცი და ფქვილი, რომლითაც გაგიმასპინძლდით, იმ ბარაქიანი დროიდან მქონდა გადანახული, როცა ნართებს ჯერ კიდევ არ ვიცნობდით.

დედაბრის მონათხრობი რომ მოისმინეს, ნართებს თავიანთი საქციელის შერცხვათ. ნართები მიხვდნენ, რომ მათ თავიანთი უსამარ-

თლობით თვით ბუნებაც კი განარისხეს. სასტიკი ნართები სინანულმა მოიცვა. მოხუც ქალს ვაჟებმა დედაშვილობა შეჰფიცეს და მისი მიწურის ირგვლივ საცხოვრებლები აიშენეს. ნართებმა ცოლად დედაბრის შერჩეული საპატარძლოები შეირთეს და ჩეჩნებს შეერწყნენ. ზოგიერთი სხვანაირად ყვება ამ გადმოცემას და ამბობს, რომ ნართებმა სადილზე მომხდარი სასწაულის შემდეგ სპილენძი გაადნეს, ლუდის ნაცვლად დალიეს და დაიხოცნენ.

109. იალხოიმოხქელი დევგმირები

წინათ აულ იალხოი-მოხქში[1] დღევანდელთან შედარებით გაცილებით ბევრი ხალხი ცხოვრობდა. მათ შორის ძალითა და ვაჟკაცობით გამოირჩეოდა შვიდი ძმა. ისინი ნამდვილი დევგმირები იყვნენ. შვიდი ძმის ყველას ძალიან ეშინოდა, რადგან ისინი მამაკაცებს ხოცავდნენ და ქალებზე ძალადობდნენ. ძმებს ერთადერთი მზეთუნახავი და ჰყავდათ, რომელზე ლამაზიც ამ ქვეყნად ჯერ არავინ დაბადებულიყო.

ერთხელ ქალიშვილი წყაროზე მატყლის გასარეცხად წავიდა. მან მატყლი ვერცხლის დაფაზე გაფინა, წყაროდან ამოღებული წყალი დაასხა და ოქროს ჯოხით ბერტყვა დაუწყო. იმ დროს, როცა ქალიშვილი მატყლს რეცხვდა, წყაროსთან მთიდან მწყემსები მივიდნენ და შენიშნეს, რომ ქალის სხეული ისე ანათებდა, როგორც მზის სხივი, რძე ან პირველად მოსული თოვლი. მწყემსები შეჩერდნენ და შვიდი ძმის დას ჰკითხეს:

– ქალიშვილო, გვითხარი, თეთრად რა ანათებს, შენი კაბის ქსოვილი თუ შენი სხეულის ნაწილი?

– სხეულის ნაწილი. - მიუგო ქალმა.

– ოი, როგორი თეთრი კანი აქვს?[2] - შესძახეს მწყემსებმა, ქალს თვალი ძლივს მოსწყვიტეს და თავიანთ გზას გაუდგნენ.

შვიდი ძმის დამ მატყლის რეცხვა მოამთავრა და შინისკენ გაეშურა. ის მწყემსების ავი თვალის გამო მალევე გარდაიცვალა[3]. ძმებმა თავიანთ დას სამარე გაუთხარეს და ქალიშვილი დიდი პატივით დაკრძალეს. შემდეგ უმცროსი ძმა მდინარე გუმსთან საფლავზე დასადგმელი ქვის შესარჩევად ჩავიდა. მან ისეთი ქვის სვეტი შეარჩია, რო-

მელსაც ადგილიდან ცხრა უღელი ხარიც კი ვერ დაძრავდა. მაგრამ უმცროსმა ძმამ ქვის სვეტი მხარზე გაიდო და სასაფლაოზე აიტანა. შემდეგ, მან მარტომ ასწია ის ლოდი და დის საფლავზე მიწაში ჩააგდო. საფლავზე ახლაც დგას ქვის სვეტი, რომელზეც მკაფიოდ ეტყობა დევგმირის ნათითურები.

ძმებმა და რომ გამოიგლოვეს, ერთმანეთს უთხრეს:

– ჩვენ აქ აღარაფერი გვესაქმება, წავიდეთ და ქვეყანა მოვიაროთ.

ისინი სამოგზაუროდ გაეშურნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ძმები ძლიერმა შიმშილმა შეაწუხათ. ისინი ერთ სოფელში შებრუნდნენ და მარტოხელა დედაბრის სახლს მიადგნენ. დედაბერმა სტუმრები მიიღო და სთხოვა, სანამ საჭმელს მოამზადებდა, დამსხდარიყვნენ და მოესვენათ. თავდაპირველად ქალმა ცეცხლი დაანთო და ჯაჭვ-საკიდელზე ისეთი დიდი ქვაბი ჩამოკიდა, რომ მასში მთელი ხარი ჩაეტეოდა. შემდეგ კი აიღო და ქვაბში ხორცის ისეთი პატარა ნაჭერი ჩააგდო, რომ კაცი ვერც კი დაინახავდა. ძმებმა ერთმანეთს გადახედეს და თქვეს:

– ხორცის ეს პატარა ნაჭერი როგორ დაგვანაყრებს? მას უნდა რომ მშივრები დაგვტოვოს.

როცა ხორცი მოიხარშა, დედაბერმა სთხოვა ძმებს, რომ ერთერთ მათგანს ქვაბი ცეცხლიდან ჩამოეღო. მივიდა უფროსი ძმა, ეცადა, ეცადა და ვერ შეძლო ქვაბის ჩამოხსნა. მასთან დასახმარებლად მეორე ძმა მივიდა, შემდეგ - მესამე, შემდეგ -მეოთხე და ოთხიც ვერაფერს გახდა. მაშინ დედაბერი მივიდა და ქვაბი ცეცხლიდან ცალი ხელით ჩამოხსნა. ქალმა ჯერ ქვაბიდან ხორცი ამოალაგა, რომელიც იმდენი გამოვიდა თითქოს მთელი ხარი მოეხარშოს. შემდეგ მან ერთი მუჭა ფქვილისგან მომზადებული გალანები[4] ქვაბში ჩაყარა და კვლავ ცეცხლზე ჩამოკიდა. როცა გალანებიც მოიხარშა, დედაბერმა ისინი ხორცთან ერთად რამდენიმე ლანგარზე დააწყო და სტუმრებს მიართვა. სტუმრები საკმარისად დანაყრდნენ, მაგრამ გალანები და ხორცი იმდენი დარჩა, რომ ას კაცს კიდევ გააძღობდა. როცა ჭამას მორჩნენ, ძმებმა მასპინძელ დედაკაცს ჰკითხეს:

– ეს როგორ გააკეთე? ქვაბში ჩაგდებული ხორცის პატარა ნაჭრისგან და ერთი მუჭა ფქვილისაგან ამდენი ხორცი და გალანა როგორ მოხარშე.

დედაბერმა არ იცოდა, რომ მისი სტუმრები დევგმირები იყვნენ და ასე მიუგო:

– ღმერთმა გაწყვიტოს ყველა დევგმირი! მას შემდეგ, რაც ისინი გამოჩნდნენ, ქვეყანა გაღატაკდა. ახლა უკვე აღარ არის და არც იქნება ისეთი მარცვლეული და ისეთი ხორცი, როგორიც წინათ გვქონდა. რაც შეეხება საჭმელს, რომლითაც გაგიმასპინძლდით, ის იყო ძველი, ბარაქიანი დროის უკანასკნელი ნარჩენი.

დედაბერმა კიდევ ერთხელ ჩაიბუტბუტა:

– წყეულიმც იყვნენ დევგმირები!

ძმებმა დედაბრის წყევლა ნაღვლიანად მოისმინეს, მას მოუბოდიშეს და კვლავ თავიანთ სოფელ იალხოი-მოხქში დაბრუნდნენ. როცა ისინი შინ მივიდნენ, იგრძნეს, რომ მათ ამ ქვეყნად ცხოვრება გაუჭირდებოდათ და სიკვდილი გადაწყვიტეს. ძმები იალხოი-მოხქის სასაფლაოზე წავიდნენ, მათ ერთობლივად თავიანთთვის ერთი საერთო საფლავი ამოთხარეს და იქვე მდინარე გუმსიდან მოზიდული ქვა დაყარეს. შემდეგ სოფელში დაბრუნდნენ, მთელი მოსახლეობა შეკრიბეს და თავიანთი ანდერძი გაანდეს, რომ სიკვდილის შემდეგ ყველა ერთ საფლავში დაემარხათ და წინასწარმოზიდული ქვით საფლავზე ყორღანი აღემართათ.

ძმებმა უზარმაზარ ქვაბში წითელი სპილენძი გაადნეს. უმცროსმა ძმამ მოზრდილი თასი გამდნარი სპილენძით გაავსო და თავისზე უფროს ექვს ძმას გადასცა. როცა მათ თასი გამოცალეს და სახლის იატაკზე დაეყარნენ, უმცროსმა ძმამ ქვაბი მოიყუდა და, რაც მასში გამდნარი სპილენძი იყო დარჩენილი, სულ დაცალა. ძმები მაშინვე არ დახოცილან. ისინი კიდევ დიდხანს იტანჯებოდნენ, იქ შეგროვილ ხალხს კი უთხრეს:

– დაე ამ ქვაბის ხმაური მუდამ გახსენებდეთ, თუ როგორ დუღს ჩვენი შიგნეული.

ძმების სიკვდილის შემდეგ ხალხმა მათი ანდერძი შეასრულა. ისინი ერთ საერთო საფლავში დამარხეს და ადრე მოზიდული ქვებისგან მათ საფლავზე ყორღანი აღმართეს.

ასე დაიღუპნენ იალხოიმოხქელი დევგმირები[5], დღევანდელი იალხოი-მოხქელების წინაპრები. თუ ქვაბში წყალს ჩაასხამთ და ცეცხლზე შემოდგამთ, ქვაბის ხმა მათ სიკვდილისწინა ტანჯვას ახლაც გაგახსენებთ. როცა ცეცხლი გახურდება, ქვაბი ხმაურს დაიწყებს. ეს ხმა გვახსენებს, თუ როგორი სიკვდილით დაიღუპნენ ჩვენი იალხოიმოხქელი წინაპრები.

110. სად გადაიკარგნენ ნართ-ერსთხოელები?

გამდნარი სპილენძის დალევის[1] შემდეგ ნართ-ერსთხოელები ცაში გადასახლდნენ[2]. დასავლეთით არის შვიდი მოკაშკაშე ვარსკვლავი[3]. ისინი დაკარგული ნართები არიან.

111. შვიდი ხორაჩოელი ძმა და მათი დედა ერთე-ემილი

აული ხორაჩოი ამავე სახელწოდების ხეობის სიღრმეში მდებარეობს. სწორედ იქ გადის იჩქერიაში მდებარე ვედენოს ციხესიმაგრესა და შუა დაღესტანში აღმართული ბოთლიხის ციხეს შორის დამაკავშირებელი გზა. ორ მთაგრეხილს შორის მდებარეობს ხორაჩოს ხეობა. აულის სამხრეთით, მაღალ და ვიწრო მთაზე, როგორც ბასრ ხმალზე, აღმართულია ქვის კოშკი, რომელიც კარგა ხანია უკვე გვერდზე გადაიხარა და მოირღვა, მაგრამ ჯერ ბოლომდე არ დანგრეულა. კოშკს აქვს ოთხწახნაგიანი პირამიდის ფორმის სახურავი, წაკვეთილი თავით. ის აშენებულია სიპი ქვით. მას რომ მტკიცე და მყარი წყობა აქვს, დღემდე მისი არსებობაც მოწმობს. ვინ ააშენა? - იქნებ დღევანდელი იჩქერიელების წინაპრებმა, ან დაღესტნიდან მოსულებმა ოსტატებმა, ან ამ კუთხის უცნობმა მცხოვრებლებმა, არ ვიცით. არც კოშკი და არც გადმოცემა ამ კითხვაზე სარწმუნო პასუხს არ იძლევა. უფრო იმ აზრს ვეთანხმები, რომ კოშკის მშენებლები ლეკები იყვნენ, რადგან თავისი ფორმითა და ქვის წყობით ეს ნაგებობა დაღესტნური სიმაგრეებისგან არაფრით განსხვავდება. ვედენოელები ამბობენ, რომ კოშკის სახურავზე გამოკვეთილია თუ აღმართულია ჯვარი. მე ეს ვერ შევნიშნე, თუმცა ჭერი ყურადღებით დავათვალიერე. ამ კოშკს ერთი ძველი ლეგენდა უკავშირდება:

იმ ციხე-კოშკში შვიდი ძმა ცხოვრობდა, რომელთა მამიშვილობასაც ერქვა ერბი[1]. შვიდ ძმას ჰყავდა დედა, სახელად ერთე-ემილი. როგორც ქვეყანაზე არ იყო ერბის მამიშვილობაზე უფრო ძლიერი ხალხი, ისე არ ცხოვრობდა ამ ქვეყნად ერთე-ემილიზე უფრო ლამაზი და დიდებული ქალი. ძმებმა სიამაყითა და ამპარტავნობით მაღალი კოშკი აიშენეს.

ერთხელ მათ სადღაც უკვდავების წყალი იშოვეს. ძმებს სურდათ, რომ განკითხვის დღემდე ეცხოვრათ, სანამ მიცვალებულები მკვდრეთით არ აღდგებოდნენ და ამ მიზნით უკვდავების წყლის დალევა გადაწყვიტეს. უკვდავების წყალი მათ ჯერ კოშკში შეინახეს, თვითონ კი ნაცნობ-მეგობრების დასაპატიჟებლად წავიდნენ, რადგან სურდათ, რომ მაცოცხლებელი წყალი მათთვისაც გაენაწილებინათ და დაელევინებინათ.

როცა ვაჟები შინიდან წავიდნენ, მათმა დედამ, ერთე-ემილიმ, თავისი ტანსაცმლის გარეცხვა გადაწყვიტა. მან წყალს დაუწყო ძებნა და უკვდავების წყალს კი მიაგნო, რომელიც მის ვაჟებს დაემალათ. ქალმა წყალი აიღო, ჯერ მოსვა, მერე კი, რაც დარჩა, იმით ტანსაცმელი გარეცხა, რადგან მან იმ წყლის ჯადოსნური თვისება არ იცოდა. როცა ერთი-ემილი თავის საქმეს მორჩა, ქალმა ნარეცხი წყალი ეზოში გადაღვარა, რომლითაც მამალმა და ცხვარმა წყურვილი მოიკლეს. ძმები ერბები სახლში რომ დაბრუნდნენ, წყალს ძებნა დაუწყეს, მაგრამ ვეღარ მიაგნეს. ისინი საშინლად გაბრაზდნენ და დედას ჰკითხეს:

– სად წაიღე ჩვენი მოტანილი უკვდავების წყალი?

– უკვდავების? - წამოიძახა დედამ, - რომელ უკვდავების წყალზე მელაპარაკებით? იქ იყო წყალი, მაგრამ გავხარჯე, ტანსაცმელი გავირეცხე.

ძმებმა ეს რომ გაიგეს, ერთმანეთს უთხრეს:

– ამის შემდეგ, რაც დედამ ჩაიდინა, მასთან ერთად ვეღარ ვიცხოვრებთ. - თქვეს ვაჟებმა და მშობლიური სახლი სამუდამოდ მიატოვეს.

მათ ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ერთ ადგილას უზარმაზარი გველეშაპი შემოხვდათ, რომელიც ხალხსა და პირუტყვს ანადგურებდა. ძმებს გველეშაპის არ შეშინებიათ და ვაჟკაცურად შეებ-

რძოლნენ. ისინი დიდხანს იბრძოდნენ, სანამ იგი არ განდევნეს. მაგრამ ბიჭებმა მტერს თავი არ დაანებეს და ბოლომდე მიჰყვნენ. გველეშაპი მიდიოდა და ისინი უკან მისდევდნენ. სადაც გველეშაპი მიხოხავდა, მისი ტანის სიმძიმისაგან მიწა იზნიქებოდა და გველეშაპის ნაკვალევზე ღრმა კალაპოტი იქმნებოდა, რომელშიც ახლა მდინარე სუნჯა მიედინება. ვაჟებმა იქამდე სდიეს გველეშაპს, სანამ არ დაეწივნენ და არ მოკლეს. ამის შემდეგ ძმებმა გზა განაგრძეს. მაგრამ ისინი სად წავიდნენ და სად დასახლდნენ, ეს არავინ იცის.

ხალხი ამბობს, რომ შვიდი ძმის დედა - ერთე-ემილი, მამალი და ცხვარი, რომლებმაც უკვდავების წყალი დალიეს, ისევ ცოცხლები არიან და ისინი უფლის მეორე მოსვლამდე იცხოვრებენ. კიდევ იმასაც ამბობენ, რომ ერთე-ემილი დღემდე დადის მთელ დუნიაზე და ყველგან თავის დაკარგულ ვაჟებს დაეძებს, მამალი და ცხვარი კი ქალს მიაცილებენ[2].



კომენტარები

ინგუშური თქმულებები ნართებზე

1. სესქათ სოლსას შობა

Далгат 1972: 287.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალში ЭО, №1, М., 1901. с. 35.

მთიან ღილღოში მთქმელ ყაზბიქისგან ჩაიწერა ბაშირ დალგათმა. თქმულება ჩაწერილია რუსულ ენაზე.

ბ. დალგათის კითხვაზე, იყო თუ არა სესქათ სოლსა სახალხო გმირი და მოჰქონდა თუ არა სიკეთე ხალხისთვის, ყაზბიქს უთქვამს, რომ ის ეხმარებოდა მხოლოდ თავის ორშთხოელებს, თავის ახლობლებს. ხალხისთვის კი სესქათ სოლსა სიკეთეს არ აკეთებდა. საერთოდ, ყველა ორშთხოელი ძარცვავდა და ჩაგრავდა სხვა ადამიანებს.

[1] სიელა სათა: ჭექა-ქუხილისა და ამინდის მფარველ სიელას ქალიშვილი სათა.

[2] მსგავსი გადმოცემა გვხვდება გაზდიევ-ბაზორკინების წარმოშობის შესახებ:

„ერთ ადგილას იყო ორად გაყოფილი ქვა. ერთი ვაჟი ამ ქვაზე დაწვა და დაიძინა. ამ დროს ჭაბუკთან ახლოს მივიდა მისი საყვარელი ქალიშვილი. ვაჟს დაესიზმრა ქალიშვილი, რომელთანაც კავშირი დაამყარა. მისი თესლი მოხვდა ქვის ნაპრალში. როცა ვაჟი წამოდგა, ქვა შემჭიდროვდა და ზემოდან გამოისახა კოპი. მან ჰკითხა მცოდნე კაცებს, თუ რას ნიშნავდა ეს კოპი. მათ ურჩიეს, რომ თვალყური ედევნებინა ქვისთვის. კოპი იზრდებოდა, ბოლოს, მეცხრე თვეს გასკდა და იქიდან ბავშვი გამოვიდა. მისგან წარმოიშვნენ გაზდიევები (თუ ბაზორკინები)“ (ЭО, №1, М., 1901. с. 35-36).

ეს თქმულება ჩაუწერია ბაშირ დალგათს 1892 წელს აულ ფალხანში სალოცავ „მეთ-წელის“ ხევისბერ განჟა ქელიგოვისგან რუსულ ენაზე.

გაზდიევი ღილღური გვარია. ისინი წარმოშობით ეგი-ჯალიდან (ერთერთი ძველი კოშკებიანი აული მთიან ინგუშეთში) არიან. ბაზორკინები ითვლებიან გაზდიევების განაყრებად.

საინტერესოა ამ გადმოცემის წინა თქმულებასთან შედარება. ორივე ტექსტს აქვს მსგავსი შინაარსი, ოღონდ პირველი მოგვითხრობს სოსქათ სოლსას შობის შესახებ, ხოლო მეორე - ამჟამადაც მცხოვრები გაზდიევებისა და ბაზორკინების წარმოშობის შესახებ.

2. როგორ გაიმარჯვა სოსქათ სოლსამ სართალზე

Дахкильгов 2012: 47-54.

1993 წელს ი. დახკილგოვმა ჩაიწერა სოფელ იანდიევოდან დევნილ მუსა თერსბოთოს ძე ალბაქოვისგან.

3. სოსქათ სოლსა და ბათიგა შითყა

Дахкильгов 2012: 55-59.

ი. დახკილგოვმა ჩაიწერა 2003 წელს სოფელ ბაზორკინოდან დეპორტირებულ აზი კუშტოვისგან.

4. სესქათ სოლსა და სელი პირა

Далгат 1972: 302-303.

1935 წელს მაისტის თემის აულ ფჰუღაში ჩაუწერია დ. მალსაგოვს. მთხრობელის სახელი მითითებული არ არის. პირველად დაიბეჭდა ქ. ფრუნზეში 1956 წელს კრებულ «Радость сердца», გვ. 237-238, ინგუშურ ენაზე.

[1] სესქათ სოლსა და სელი პირა იყვნენ ძმები. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა ხსენდება სესქათ სოლსას ძმა.

[2] თქმულებაში სოლსა განასახიერებს სელი პირას ანტიპოდს (ფიზიკური მონაცემებითაც და ჭკუა-გინებითაც). სახელის „სელი პირას“ შედგენილობა ასეთია: პირა - სიელას ვაჟი (სიელათ პირა). სიელა არის ჭექა-ქუხილისა და ამინდის გამგებელი, სოლსა პირას ანტიპოდია.

[3] პირა თავისი თვისებებით გვაგონებს ბოთოყო შირთყას. ისიც ჩვეულებრივ შინაურულად ჩადის ელში (საიქიოში) და იქიდან ადამიანებისთვის მოაქვს სიკეთე (Далгат 1972: 422-423).

5. გაცოცხლებული გოლიათი

Далгат 1972: 273-274.

მთიან ღილღოში ჩაუწერია ჩახ ახრიევს. პირველად დაიბეჭდა კრებულში: Сборник сведений о кавказских горцах, выпуск 8, 1875, с. 56.

6. სესქათ სოლსა და ადამიანის თავის ქალა

Дахкильгов 2012: 66-68.

1961 წელს სოფელ ჯეირახში ჩაიწერა მუჰამედ ლიანოვმა 84 წლის ლიზა მეიდილგის ასულ ლიანოვისგან.

7. საიქიოში გადაწყვეტილი კამათი

Дахкильгов 2012: 68-80.

1964 წელს ვლადიკავკაზში (მაშინდელი ორჯონიკიძე) ჩაიწერა ი. დახკილგოვმა გოშმოხი დორდაგანის ასულ ბექოვისგან. მთხრობელის სიტყვით, მას თქმულება მოუსმენია დორდაგანისგან, თავისი მამისაგან (Дахкильгов 2012: 80).

[1] ***ელდა:*** მკვდართა სამეფოს გამგებელი ინგუშურ და ჩეჩნურ თქმულებებში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება: ჩ. ახრიევის ჩაწერილ ტექსტებში მისი სახელია „ეთერი“, ბ. დალგათთან - „ეშთერი“. ი. დახკილგოვის აზრით, ამ თქმულებაში საიქიოს გამგებლის სახელი „ელდა“ კომპოზიტს წარმოადგენს (ელ-და): 1. ელ - საიქიო, 2. და - გამგებელი (Дахкильгов 2012: 81).

[2] ***იალსამალი, ჟოჟალათი:*** იგივე ზეციური იერუსალიმი და ჯოჯოხეთი. როგორც ჩანს, სამოთხისა და ჯოჯოხეთის სახელწოდებები ჩეჩნურ ენაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ ქართული ენიდან გადავიდა.

8. ჯენთელგი

Дахкильгов 2012: 81-84.

1964 წელს სოფელ ნასირ-ქორთში შიშხა აბდულას ასულ ხანიევასგან ჩაიწერა იბრაჰიმ დახკილგოვმა (Дахкильгов 2012: 84).

9. ბეთარი და სასაფლაოს ღამის სტუმარი

Дахкильгов 2012: 84-86.

1976 წელს სოფელ სურხოხში 66 წლის შამსუდდინ გეთაგაზოვისგან ჩაიწერა მარიემ დაქიევამ.

[1] ***თავადი:*** ჩეჩნურ და ინგუშურ ენებზე სიტყვა *аьлан* აღნიშნავს თავადს, თუმცა მათ სოციალურ ყოფაში ბატონყმური ურთიერთობები არ დასტურდება.

[2] ***დიდი ფრინველი:*** ი. დახკილგოვის ცნობით, მხოლოდ ამ ინგუშურ ხალხურ ტექსტში ხსენდება მითოლოგიური ფრინველი, რომელიც აკავშირებს საიქიოსა და სააქაოს (Дахкильгов 2012: 86).

10. როგორ გაჩნდა ქელეხის გადახდის წესი

ССКГ 1875: 31-32.

მთიან ინგუშეთში ჩაიწერა ჩ. ახრიევმა. დაიბეჭდა კრებულში ССКГ (Сборник сведениий о кавказских горцах, вып. 8. Тифлис, 1875, ст. 31). ამ მითოლოგიური გადმოცემის ვარიანტი, სახელწოდებით „ბათიგ შერთგა“, ცოტა მოგვიანებით ჩაიწერა ბ. დალგატმა, რომელიც გამოაქვეყნა 1901 წელს (ЭО, №1, с. 36).

11. ბათიგ შერთყა საიქიოში

ЭО 1901: №1, с. 36.

ბაშირ დალგათმა რუსულ ენაზე ჩაიწერა 1892 წელს ყაზბიქისგან. მოგვიანებით გამოაქვეყნა უ. დალგათმაც (Далгат 1972: 297).

[1] ეს თქმულება ხალხს უხსნის, თუ რატომ არის საჭირო მიცვალებულისთვის მოსახსენებელი ქელეხის, აღაპისა თუ საკურთხის გაკეთება. ინგუშების, ისევე როგორც მათი მეზობელი ქართველი მთიელების რწმენით, საიქიოში მიცვალებული ცხოვრობდა ისე, როგორც ამქვეყნად. სააქაოში მის სახელზე მომზადებული საკვები, იმ ქვეყნად მისავალი იქნებოდა.

12. სესქათ სოლსას ფასი

ССКГ 1875: 36.

ტექსტი რუსულ ენაზე ჩაიწერა ჩ. ახრიევმა, გამოქვეყნდა უსათაურ-ოდ. მოგვიანებით გამოაქვეყნა უ. დალგათმაც (Далгат 1972: 297).

[1] ფხეგათი: იგივე საფიხვნო, სადაც აულის მამაკაცები იკრიბებოდნენ და ბჭობდნენ სხადასხვა საკითხებზე.

[2] ფეტვი: კავკასიის მაღალმთიან რეგიონებში ის იყო ყველაზე გავრცელებული მარცვლეული. მისი ადგილი შემდეგ თანდათან ქერმა დაიკავა.

13. ბოთყი შირთყას წინასწარმეტყველება

Дахкильгов 2012: 88-90

1965 წელს სოფელ ბაინიში ჟენა მოჩქის ძე შოვხალოვისგან ჩაიწერა ი. დახკილგოვმა.

[1] მცლეთა: ი. დახკილგოვის აზრით, ასე მთხრობელმა დამახინჯებით წარმოთქვა ადგილის სახელწოდება „მაღოთე“.

14. სოსქათ სოლსა და ბათიგ შერთყა

ЭО 1901: №1, с. 36-37

ჩაიწერა ბაშირ დალგათმა რუსულ ენაზე მთხრობელ განჟასგან. მოგვიანებით გამოაქვეყნა უ. დალგათმაც (Далгат 1972: 297-298).

15. ორხუსთოელები და ბოთოყო შირთყა

ССКГ 1870: 38-41.

ტექსტი რუსულ ენაზე ჩაიწერა 1870 წელს ჩ. ახრიევმა აულ ოზიკში. მოგვიანებით გამოაქვეყნა უ. დალგათმაც (Далгат 1972: 298-300).

[1] ბოთოყო შირთყა: ყველა თქმულების მიხედვით, ბოთოყო შირთყა მიდის საიქიოში (ელში), როცა მას საფრთხე ემუქრება. „შირთყა“ ინგუშურ ენაზე ჰქვია სინდიოფალას. სინდიოფალას მოკვლა, ინგუშების რწმენით, არ შეიძლებოდა. თუ ის საცხოვრებელ სახლში დასახლდებოდა, ითვლებოდა ბედნიერების ნიშნად (Далгат 1972: 422).

[2] გორბოჟი: ღილღურ და ჩეჩნურ ენებზე გორბოჟი სიტყვასიტყვით აღნიშნავს მონა ქალს. ვაინახურ ზღაპრებში გორბოჟი წარმოდგენილია კუდიანი ქალის თვისებებით. ძალიან ჰგავს თუშური დემონოლოგიური თქმულებების პერსონაჟს - თებჟორიკას (→გორბოჟი). გორბოჟი ცხოვრობს სოფლიდან შორს, დაუსახლებელ ადგილებში. ჩეჩნური თქმულება მას ზოგჯერ კაციჭამიადაც წარმოგვიდგენს. ის თავის ქოხში შეიტყუებს გზააბნეულ მგზავრს, რომელსაც შემდეგ ჭამს. ამ თქმულებაში გორბოჟი არის არა მონა ქალი, ან მოსამსახურე, არამედ კაციჭამია, კუდიანი.

16. ბეთარი და ვამპალი

Дахкильгов 2012: 102-104.

2008 წელს ქალაქ მალგობექში 80 წლის იუნუს ქორიგოვისგან ჩაიწერა მეჰომედ იანდიევმა.

[1] ფეხზე წამოდგა: ღილღური და ზოგადად კავკასიური წეს-ჩვეულების თანახმად, სახლში სტუმრის შემოსვლისას, მასპინძელი მისალმებისა და პატივისცემის ნიშნად ფეხზე დგება.

17. სესქათ სოლსა და ვამპალი

Дахкильгов 2012: 99-101.

1928 წელს ისლამ ზაიფალის ძე ბოგატიროვისგან ჩაიწერა დ. მალსაგოვმა.

[1] ერში: 1944 წლამდე ინგუშებით დასახლებული სოფელი ასის ხეობაში. იქ დღემდე შემორჩა ძველი ციხესიმაგრის ნანგრევები.

18. სოსქათ სოლსა და ყაჩაღები

Дахкильгов 2012: 108-109.

1973 წელს ი. დახკილგოვმა ჩაიწერა სოფელ ბამუთში 80 წლის ფასქოშა დაადეის ძე მახაურისგან.

ეს თქმულება წინა ტექსტის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს.

19. ორშთოხოელები (ყარაბულაკები)

ССКГ 1875: 27-28.

მთიან ღილღოში ჩაიწერა ჩ. ახრიევმა.

[1] მოიაზრება მდინარე ფორტანგა, რომლის გასწვრივაც ორსთხოელები ცხოვრობენ. ჩეჩნები მას „მართოი“-ს უწოდებენ.

[2] ტყის კაცი: ჩეჩნურ და ღილღურ თქმულებებში - *ჰუნ საგ*, გვხვდება ქართულ გადმოცემებშიც - ოჩოკოჩი.

[3] თქმულებაში აირეკლა ნოღაელების ურდოს წინააღმდეგ ბრძოლა.

[4] ისევე როგორც ქართველ მთიელებში, ჩეჩნებსა და ღილღველებში დედის ძმა განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს. ი. დახკილგოვის ცნობით, ჯერ კიდევ ასი წლის წინ ღილღოში დედის ძმა ვალდებული იყო 15 წელს მიღწეული დისწულისთვის საჩუქრად გადაეცა ცხენი სრული აღკაზმულობით, უნაგირი, მოსართავები, უზანგები, ლაგამ-აღვირი და ა. შ. (Дахкильгов 2012: 108).

20. განრისხებული სესქათ სოლსა

Дахкильгов 2012: 109-112.

ტექსტი ჩაიწერა ცნობილმა კავკასიოლოგმა ე. ი. კრუპნოვმა. ტექსტს ახლავს ჩამწერის შენიშვნა: „ჩავიწერე 1929 წლის 23 ივლისს მთიანი ღილ-

ღოს სოფელ სალღში, მთხრობელი - ბელალა ელჯარკიევი (ზაუროვი), თარჯიმნობას მიწევდა ღილღველი მხატვარი ჰაჯი-ბექირ ახრიევი“ (Дахкилгов 2012: 112).

[1] ***წაჲ-ლამ:*** ქართულ ენაზე აღნიშნავს წმინდა მთას, იგივე მთაწმინდა.

[2] ***კლდის ორად გაპობის მოტივს*** ვხვდებით ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებშიც. იახსარი, ანდრეზის თანახმად, ავისგორიდან გაქცეულ დევს გამოჰკიდებია. როშკის გორზე იახსარს დევისთვის საგმირო (ლახტი) მოუქნევია და კლდე ორად გაუპია. შუაზე გაპობილ კლდეს ახლაც უჩვენებენ როშკის ზემოთ.

21. როგორ მოიტაცა სესქათ სოლსამ მზეთუნახავი

Дахкильгов 2012: 112-113.

გადმოცემა 1973 წელს ჩაუწერია ი. დახკილგოვს სოფელ ბამუთში. მთხრობელი: ფასქოშა დაადის ძე მახაური, 80 წლის.

[1] ***მითხო:*** ჩეჩნურ და ღილღურ ენებზე მას ჰქვია მელხისტი. მთხრობელი ფასქოშა მახაური, რომელიც თვითონ არის მითხოელი, აღნიშნავს, რომ სესქათ სოლსა მითხოელი იყო. მელხებს, იგივე მითხოელებს, ი. დახკილგოვი ღილღურ ტომად მიიჩნევს (Дахкильгов 2012: 114). მითხო, იგივე მელხისტი, უშუალოდ ესაზღვრება ხევსურეთს, სახელდობრ, შატილის მხარეს.

22. სესქათ სოლსა და კინდათ შოა

Дахкильгов 2012: 115-118.

თქმულება 1931 წელს დ. მალსაგოვმა ჩაიწერა გენარდუყო ფხუგას ძე ახრიევისგან.

[1] ***ეგი-ჴალა (Эгикхал):*** შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი ჯეირახის ხეობაში. ამჟამად მიტოვებული დასახლება. ის ადმინისტრაციულად ეკუთვნის ღულის სასოფლო დასახლებას. ეგი-ჴალაში შემორჩენილია ხუთი საბრძოლო კოშკი, ექვსი ნახევრადსაბრძოლო და ორმოცდაათი საცხოვრებელი კოშკი. იქ კარგად არის დაცული სამი სამლოცველი, რომლის მსგავსი (არქიტექტურული თვალსაზრისთ) მრავლად არის თუშ-ფშავ-ხევსურეთში. იქვე აღმართულია არაერთი ძველი აკლდამა და მავზოლეუმი.

[2] კინდათ შოა სესქათ სოლსას უკრძალავს ასის ხეობიდან მისვლას და მას სთავაზობს ესტუმროს არმხის ხეობიდან. ამით, ი. დახკილგოვის აზრით, კინდათ შოა ხაზს უსვამს თავის წარჩინებულ მდგომარეობას, რამდენადაც სესქათ სოლსას მან შესთავაზა მისულიყო შემოვლითი გზით (Дахкильгов 2012: 118).

[3] ამგვარ სიტუაციაში მასპინძელი ვალდებული იყო სტუმრის თხოვნა შეესრულებინა, რადგან, როგორც ი. დახკილგოვი აღნიშნავს, თუ სტუმარი არ მიიღებდა მისთვის საგანგებოდ მომზადებულ საჭმელს და უარს იტყო-

და ოჯახის უფროსისგან შემოთავაზებულ ტრაპეზზე, ეს დიდი სირცხვილი იქნებოდა მასპინძლისთვის, რადგან მას საზოგადოებაში სახელი გაუტყდებოდა. მასპინძელი აქ გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდა (Дахкильгов 2012: 118).

23. როგორ მოიტაცა კინდათ შოამ სოლსას ქალიშვილი

Дахкильгов 2012: 119-120.

1974 წელს სოფელ ალტიევოში მურად კოსტოევისგან ჩაიწერა სულთან ფათიევმა.

[1] ეხქიელები: ერთ-ერთი ვაინახური თეიფი, ეჴქი, ხევსურები უწოდებდნენ აჴვანს (ოჩიაური 2019:200). თვითსახელწოდება - *аьккхий* (რუსულ ენაზე - *аккинцы*). იყოფიან ორ ჯგუფად: მთის ეხქიელები და ბარის ეხქილები. საუბრობენ ჩეჩნური და ინგუშური ენების ერთ-ერთ დიალექტზე. მათი დიდი ნაწილი ცხოვრობს დაღესტანში.

[2] ხევისბერი: დედანში არის *Зирак* (ზირაქი), რაც ზოგადად ნიშნავს ბრძენკაცს, კულტმსახურს, წინასწარმეტყველს, ექიმბაშს.

24. ეშქი და სესქათ სოლსა

Дахкильгов 2012: 289-290.

1966 წელს სოფელ ალი-იურთში 28 წლის მაჰომეთ სულთანის ძე ევლოევისგან ჩაიწერა იბრაჰიმ დახკილგოვმა.

[1] ეშქი: საკუთარი სახელი (ინგუშურ ენაზე *Аьшк)*, ქართულ ენაზე ითარგმნება როგორც რკინა. *ეშქი* ითვლება *ეგი-ჴალაში ბახთარ-ნააყის* მრავალრიცხოვანი მამიშვილობის პირველწინაპრად. გადმოცემის მიხედვით, *ეშქის* თავისი რაზმი ჰყავდა, რომლითაც სათარეშოდ დადიოდა. ნადავლის გაყოფის დროს ის ორ წილს იღებდა: ერთს თავისთვის, მეორეს კი თავისი ცხენისთვის. გადმოცემის თანახმად, მას შეეძლო ჯაჭვის გაგლეჯა და ცხენის ნალის გაღუნვა.

[2] სესქათ სოლსამ პირობა დაარღვია, რადგან მან არაფრად ჩააგდო *ეშქი* და მას აწყენინა. ი. დახკილგოვის აზრით, შეურაცხყოფის გამო ამ საქციელით *ეშქიმ* სესქათ სოლსაზე შური იძია (Дахкильгов 2012: 290).

25. სოსქათ სოლსა და გორჟაი

ССКГ 1875: 38-40.

თქმულება მთიან ღილღოში ჩახ ახრიევმა ჩაიწერა.

[1] ღილღველებში ადრე არსებობდა ერთგვარი წარმოდგენა „კაი ფოს“ (кIай фос) – „თეთრი ნადავლი“, რაც გულისხმობდა ნადავლის მოპოვებას ბრძოლაში და არა მიპარვითა და უღირსი საქციელით (Дахкильгов 2012: 126).

[2] სიელა: იგივე წმინდა ელია, ხალხურ ტრადიციაში დარ-ავდრის გამგებელი.

26. აჩამაზის ბორცვი

(ლოამან ხას ვაჟი)

Дахкильгов 2012: 151-159.

XX საუკუნის 20-იან წლებში ღილღველი მოღვაწის ბათალ-ჰაჯი ბალხაროევისგან ჩაიწერა თემბოთ ბეკოვმა. ტექსტი პირველად ინგუშურ ენაზე დაიბეჭდა 1931 წელს ორჯონიკიძეში (ვლადიკავკაზი), ლიტერატურულ კრებულში «Красные искры» (გვ. 45-47).

ი. დახკილგოვი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ ამ ხალხურ ტექსტში სხვადასხვა ჟანრის (ნართული თქმულება, გადმოცემა, ზღაპარი, საგამირო-ეპიკური სიმღერა „ილი“) ელემენტი გვხვდება. ქრონოლოგიურად ამ თქმულებას მკვლევარი XV-XVI საუკუნეებს აკუთვნებს, როცა თემურ ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგ მთიელმა ინგუშებმა ბარში თავიანთი წინაპრების კუთვნილი მიწების ათვისება დაიწყეს (Дахкильгов 2012: 159).

[1] სოფელი მისი მფარველობის ქვეშ იყო: ი. დახკილგოვის ცნობით, მთიან ინგუშეთში ზოგიერთ სოფელს ჰყავდა მფარველი, რომელსაც ერქვა „ხეთამჩა“ *(ГІалгІай Лоаман Ха дийна волаш цунна хетаяь яр тха юрт).* ისინი იყვნენ საქვეყნოდ განთქმული ვაჟკაცები, რომლებსაც ჰყავდათ საკუთარი სამხედრო რაზმები თავიანთი თემ-სოფლის გარეშე საფრთხეებისგან დასაცავად.

27. ლორსა და სოლსა

Дахкильгов 2012: 159-167.

1962 წელს სოფელ სურხოხში ინგუშურ ენაზე 30 წლის ოსმან იუვსის ძე აუშევისგან ჩაიწერა მაჰომედ-გირეი აუშევმა.

[1] ადამიანის გამტაცებლები: ი. დახკილგოვის აზრით, ადამიანის მოტაცება და ტყვეთა სყიდვა, რომელიც XIX საუკუნემდე ყოველნაირად წახალისებული იყო ოსმალეთის იმპერიისა და ყირიმის სახანოს მხრიდან, კავკასიის ხალხების ისტორიის ერთ-ერთ სამარცხვინო ფურცელს წარმოადგენს. ჩ. ახრიევის აზრით, ამ საქმეს ორსთხოელებიც მისდევდნენ (Дахкильгов 2012: 167).

28. მგელი მწყემსად

Дахкильгов 2012: 167-168.

ჩაიწერა ი. დახკილგოვმა 1964 წელს გროზნოში 57 წლის ფატიმა აბდულას ასულ ხანიევისგან.

[1] ღილღველებში სხვისი ფარის მწყემსვა სამარცხვინოდ ითვლებოდა. ასეთი მწყემსის შთამომავლები შვიდი თაობის მანძილზე ყველაზე დაბალი წრის წარმომადგენლებად ითვლებოდნენ (Дахкильгов 2012: 168).

[2] მგელი „კარაულთა“ მწყემსად გვხვდება ძველ ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებ „წმინდა შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“. წმინდა შიო მგელს მიმართავს და სახედრების მწყემსობას უბრძანებს: „სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა გიბრძანებ შენ, მხეცსა მაგას, რაითა ვითარცა მწყემსი კეთილი აძოებდე კარაულთა ჩუენთა“ (აგიოგრაფიული ძეგლები 1964: 221).

[3] აქ მოყვანილი მგლის ფიცი შეიძლებოდა ადვილად გადასხვაფერებულიყო წყევლად: „იყავი იმ ოჯახის მამა, სადაც მშობლებს პატივს არ სცემენ; იმ ოჯახის უფროსი იყავი, სადაც არ არის თანხმობა!“ (Дахкильгов 2012: 168).

29. სესქათ სოლსა და მგელი

Дахкильгов 2012: 168-170.

1938 წელს სოფელ ჯეირახში შუტურა ღაზმაჰომეტის ძე ლიანოვისგან ჩაიწერა მაჰომეტ არსქის ძე ლიანოვმა.

ამ ტექსტთან დაკავშირებით ი. დახკილგოვი შენიშნავს: მხედრები, რომლებიც ნადავლისთვის სათარეშოდ მიდიოდნენ თავიანთ თავს მგელს უდარებდნენ. ასეთ წრეში მგელს აქებდნენ. სრულიად განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდათ მგელზე მწყემსებსა და მესაქონლეებს (Дахкильгов 2012: 170).

30. რატომ ამბობენ სიტყვა „გოვრაბერს“

Дахкильгов 2012: 173-176.

1978 წელს ნაზრანში 69 წლის დიბიხან გენადქის ასულ ბუზურტანოვისგან ჩაიწერა მაჰომეთ არსქის ძე ლიანოვმა.

[2] ***ღელე გააბოლა:*** ღელე არის მცენარე, ე. წ. მთის ტიტა, რომელსაც ღილღველები „სესქათ სოლსას ღელეს“ უწოდებენ.

31. სექათ სოლსა და ნაქისტელები

ЭО 1901: №1, с. 38.

თქმულება ბ. დალგათმა ჩაიწერა მთხრობელ ყაზბიქისგან რუსულ ენაზე. პირველად 1901 წელს დაიბეჭდა. მოგვიანებით გამოაქვეყნა უ. დალგათმაც (Далгат 1972: 303).

[1] ბ. დალგათის შენიშვნით, ეს თქმულება ცხადყოფს, თუ როგორ მაღალ დონეზე დგას ინგუშეთში სტუმარმასპინძლობა.

32. მტრედად გადაიქცა

Дахкильгов 2012: 179-180.

1985 წელს ქალაქ ნაზრანში 50 წლის მ. რ. ეგიევასგან ჩაიწერა ზარემა ჩემურზიევამ.

ამ ტექსტის სიუჟეტი კავკასიის ხალხებში ფართოდ არის გავრცელებული (Дахкильгов 2012: 180).

33. როგორ გახდა სესქათ სოლსა ცალთვალა

Дахкильгов 2012: 181-182.

1974 წელს სოფელ ჯეირახში 80 წლის ინალ ქერიმის ძე ცუროვისგან ჩაიწერა ი. დახკილგოვმა.

34. სესქათ სოლსა და მტრედი

Далгат 1972: 336-337.

1963 წელს 67 წლის შიშხა ადალოს ასულ ხანიევისგან ინგუშურ ენაზე სოფელ ნასირ-ქორთში ჩაიწერა ი. დახკილგოვმა.

[1] მტრედი, როგორც წმინდა ფრინველი, ფართოდ გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიურ გადმოცემებში. უ. დალგათის ცნობით, ვაინახებში მტრედის მოკვლა ახლაც დიდ ცოდვად ითვლება. მტრედის გამოსახულება ასევე გვხვდება ჩეჩნეთისა და ღილღოს სალოცავებშიც. უ. დალგათი მათ წარმართულ სალოცავებს უწოდებს (Далгат 1972: 435). მთიან ინგუშეთში მფარველ წმინდანთა სადიდებლად აღმართული ნაგებობები, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატთა მიწიერი საბრძანისები, წარმოადგენენ ქრისტიანულ წმინდანთა გახალხურებულ სალოცავებს.

35. როგორ გაჭრა ბეთარმა მდინარე ასის კალაპოტი

Дахкильгов 2012: 182-185.

2008 წელს 76 წლის მუსა შოვხალოს ძე მატიევისგან მალგობეკში ჩაიწერა მ. ა. მატიევმა.

[1] ***ღილღური კოშკები:*** დედანში არის ღალღაი კოაშკე (ГIалгIай Коашке). ასე იწოდება პატარა ველი მდინარე ასის ზემო წელზე. *„ღალღაი კოაშკე“*, ი. დახკილგოვის ცნობით, ითარგმნება როგორც „ღილღური ეზო“. ვფიქრობ, სახელწოდება ქართული ენის მონაცემებით უნდა აიხსნას - „ღილღური კოშკები“.

[2] ***დევი:*** ღილღურად დოვი (дови), დემონური არსება. დოვები, გადმოცემების მიხედვით, ცხოვრობდნენ ღილღოში და მათ მიწა-წყლისთვის, ტერიტორიების მოსაპოვებლად ებრძოდა ბარქინხოების წინაპარი. დემონური არსების სახელწოდება *დოვი*, როგორც ჩანს, ქართული ენის გავლენით დამკვიდრდა ინგუშურ ფოლკლორში (*დოვი* ← დევი).

[3] ი. დახკილგოვის აზრით, შესაძლოა, ღილღურ გადმოცემათა დოვები ენათესავებოდნენ ქართულ თქმულებათა დევებს. ორივე ტრადიციაში ისინი არიან ადამიანების მიმართ მტრულად განწყობილი გოლიათები. მართლაც, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მიწა-წყლის მოსაპოვებლად დევებისა და ღვთისშვილთა დაპირისპირების თემაზე არის აგებული აღ-

მოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზების ერთი ნაწილი. ღილღური გადმოცემა „როგორ გაჭრა ბეთარმა მდინარე ასის კალაპოტი“ სიუჟეტურად სწორედ ამ ტიპის ქართულ ანდრეზებს ენათესავება.

36. მარჯვენა მკლავის მოკვეთის წეს-ჩვეულება „წეთი“

Дахкильгов 2012: 176-179.

2008 წელს მალგობექში თამარ ბარახოევისგან ჩაიწერა მ. მათიევმა.

[1] სამოცდაცამეტი ცხენი: ვფიქრობ, უნდა იყოს სამოცდასამი, რადგან ნართ-ორსთხოელების რაზმი, რომელსაც სესქათ სოლსა ხელმძღვანელობდა, სამოცდასამი მეომრისგან შედგებოდა.

37. ფათარაზი და ბარაქის გაქრობის საიდუმლო

ССКГ 1875: 35-37.

ტექსტი მთიან ღილღოში ჩაიწერა ჩახ ახრიევმა.

[1] ექვსი ორხუსთოელი: როგორც წესი, ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების მიხედვით, ნართების რაზმი შედგება 63 მეომრისგან. იგი უნდა მომდინარეობდეს ქართულ ტრადიციაში დამკვიდრებული საკრალური რაოდენობის აღმნიშვნელი სიმრავლიდან - 363 (სიტყვა სამის სამი გამეორებით), რომელიც აღნიშნავს წმინდა გიორგის სახელობის სალოცავების რაოდენობას. ქართველ და სხვა კავკასიელ მთიელებში წმინდა გიორგის მიეწერება მგზავრთა და მეომართა მფარველობა. ნართები იყვნენ მეომრები, რომლებიც მუდამ მგზავრობდნენ და თარეშობდნენ.

[2] ეშპორი: სხვა ტექსტებში ის მოიხსენიება სახელწოდებით *ეშაპი,* რომელიც საიქიოს კარებს იცავს, რათა უნებართვოდ იქ არავინ შევიდეს ან არ გამოვიდეს. მას აქვს ურჩხულის გარეგნობა. ჩეჩნურ და ღილღურ თქმულებებში სახელწოდება *ეშაპი* ქართული ფოლკლორის გავლენით უნდა იყოს შესული (*ეშაპი* ← ვეშაპი (ძვ. ქართ.) ← გველვეშაპი), ისევე როგორც აფხაზურ *(აგულშაპ)* და სხვა კავკასიურ ენებში. ძველ ქართულ ტექსტებში, მათ შორის აგიოგრაფიულ ნაწარმოებებსა და „ვეფხისტყაოსანში“ გველეშაპი ხსენდება „ვეშაპის“ სახელწოდებით.

[3]ამ თქმულების ვარიანტი მეოთხედი საუკუნის შემდეგ ჩაიწერა ბ. დალგათმაც, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „Этнографическое обазрение“, №1, Москва, 1901, გვ. 38.

38. ხამჩით ფათარაზი

ЭО 1901: 38.

თქმულება რუსულ ენაზე მთხრობელ ყაზბიქისგან ჩაიწერა ბ. დალგათმა. პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „Этнографическое обазрение“, №1, Москва, 1901, გვ. 38. მოგვიანებით გამოაქვეყნა უ. დალგათმაც (Далгат 1972: 301).

[1] ოსური ნართების ეპოსში ნართი ბათრაძის მამას ჰქვია ხამიცი. ღილღურ ეპოსში ფათარაზის მამას ჰქვია ხამჩი.

[2] ღილღველების შეხედულებით, მნიშვნელოვანი ალტრუიზმი. ადამიანი, რომელსაც უბედურება მოაქვს ახლობლებისთვის, თავს არ მიიჩნევს სიცოცხლის ღირსად (Далгат 1972: 422).

39. ურუზმანი, ორზმი, სოლსა და ხამჩით ფათარაზი

ССКГ 1875: 33.

ტექსტი რუსულ ენაზე ჩახ ახრიევმა ჩაიწერა. პირველად დაიბეჭდა კრებულ ССКГ-ში, 1875, вып. VIII, გვ. 33. მოგვიანებით გამოაქვეყნა უ. დალგათმაც (Далгат 1972: 290-291)

[1] ეს პერსონაჟები ორხუსთოელთა თქმულებების მთავარი გმირები არიან (ჩ. ახრიევის შენიშვნა).

[2] სოლსამ (აქ სესქას გარეშე) ორი ტყვიისგან შექმნა „მზეთუნახავი და ვაჟი“. სოსქათ სოლსა ფლობდა ჯადოსნობის უნარს. მისი თხოვნით თერგი წყალუხვი მდინარე გახდა და მენჯის ძვლიდან გოლიათი გაცოცხლდა. უ. დალგათი სვამს კითხვას: „ეს თვისება განა არ წარმოადგენს ძველი გმირის ღვთაებრივი არსის გამოვლინებას? სწორედ ამიტომ და არა შემთხვევით მთიან ინგუშეთში აღმართული იყო სესქათ სოლსას სალოცავი“ (Далгат 1972: 419).

[3] ჯადოსნური მათრახით ეპიკური გმირის ძაღლად გადაქცევა საზღაპრო მოტივია და იგი გვხვდება როგორც კავკასიის ხალხთა ზღაპრებში (მათ შორის ქართულ ზღაპარშიც), ისე ნართების ეპოსის სხვა ნაციონალურ ვერსიებშიც, განსაკუთებით ოსურ თქმულებებში.

40. ორშამარათ ერში და აკლდამის ჭრელი გველი

Далгат 1972: 295-296.

პირველად დაიბეჭდა ალმანახში «Утро гор», Грозный, 1965, №1, გვ. 56 (ინგუშურ ენაზე). ტექსტი 1964 წელს ი. დახკილგოვმა ჩაიწერა გროზნოში 57 წლის ფატიმა ხანიევისგან, რომელიც დაბადებული ყოფილა ნაზრანის რაიონში, სოფელ ნასირ-ქორთში. გადმოცემა მას თავისი დედისგან ჰქონია მოსმენილი. როგორც ი. დახკილგოვი აღნიშნავს, ფატიმა და მისი და შიშხა ნიჭიერი მთხრობელები ყოფილან. ხალხური გადმოცემები, რაც ამ დებმა იცოდნენ, მათივე სიტყვებით, იყო ზღვაში წვეთი, იმასთან შედარებით, რაც მათმა დედამ, სახელად დაბიმ, იცოდა.

[1] ორშამარათ ერში: ერში, ვაჟი ორშამარის, გვხვდება მხოლოდ ამ თქმულებაში. ი. დახკილგოვის ცნობით, როცა ის ფატიმა ხანიევისგან ამ თქმულებას იწერდა, მისმა დამ შიშხამ შენიშნა, რომ მას დედისგან ახსოვდა ოზდამარათ ერში (ერში, ვაჟი ოზდამარისა) და არა ორშამარათ ერში.

[2] დედანში არის: „ქალიშვილი ისეთი ლამაზი იყო, სილამაზისგან კვდებოდა“, ან „სილამაზისგან მომკვდარი ქალიშვილი“ – „хазалла ялла йоллуш йоI“ (Дахкильгов 2012: 208).

[3]***გარბაში:*** აქ, მსახური, მონა.

[4] ი. დახკილგოვის ცნობით, მთხრობელები, დები ხანიევები ირწმუნებოდნენ, რომ ეს გადმოცემა იყო მხოლოდ ერთი ნაწილი ერთი დიდი თქმულებისა, რომელშიც ხსენდებოდნენ ნართულ გადმოცემათა სხვა გმირებიც, სახელდობრ, ბეთარ შირთყა და სესქათ სოლსა.

41. შვიდი ძმის და

Далгат 1972: 374-377.

1967 წელს ინგუშურ ენაზე ი. დახკილგოვმა ჩაიწერა ისმაილ ბირიხანოვისგან, რომელიც ზემო აჩალუკში ცხოვრობდა. თქმულება მას მოუსმენია მამისგან - ჯაბრაილ ბირიხანოვისგან.

[1] ამ სოფელს ინგუშები ახლო-იურთს უწოდებენ.

[2] მთიელების ძველი ეთიკური ნორმების თანახმად, მიღებული არ იყო უცნობი მგზავრისა და სტუმრისთვის ვინაობის გამოკითხვა, თუ ვინ იყო, ან სად ცხოვრობდა და საით მიდიოდა. ასეთი კითხვებით შეიძლებოდა შეეწუხებინათ ისეთი ადამიანი, რომელიც სისხლის ასაღებად მიდიოდა, ან სისხლის აღებას გამოქცეოდა, ან სათარეშოდ მიდიოდა, ან თარეშიდან ბრუნდებოდა (Дахкильгов 1972: 445).

[3] ქალწულის კოშკი მდებარეობს ასის ხეობაში, ღალღაის საზოგადოებაში. უ. დალგათის ცნობით, კოშკი ისეთ სიმაღლეზე და იმდენად ძნელად მისასვლელ ადგილზე იყო აღმართული, რომ იქ მისვლა მხოლოდ ალპინისტს შეეძლო. იმ კოშკსა და მასში მცხოვრებ ქალიშვილზე მთიელები დღემდე ყვებიან არაერთ თქმულებას. ქვემოთ მოყვანილი გადმოცემა შეიძლება კომენტირებული ტექსტის გაგრძელებად მივიჩნიოთ:

„ქალიშვილი ისე გაველურდა, რომ თუ ვინმე მასთან მივიდოდა, ის კოშკში იკეტებოდა. თუ ვინმე ტყეში ნადირობისას შეხვდებოდა, ის გარბოდა და ახლოს არავის ეკარებდა. იმ კლდის ძირში, რომელზეც კოშკი იყო აღმართული და ქალიშვილი იმყოფებოდა, დაბლა, ხალხი ცხოვრობდა. ისინი ფეტვს თესავდნენ, მაგრამ, ამბობენ, რომ ზემოდან ქალიშვილი ისე ასველებდა, რომ მოსავალი მუდამ იღუპებოდა. მაშინ ხალხმა მოიფიქრა: თუ ქალიშვილს ქალწულობას არ ახდიდნენ, ისე მოსავალს ვერ მოიწევდნენ და ვერ იცხოვრებდნენ. თუმცა ვერავინ გაბედა ქალიშვილთან მიახლოება. ბოლოს ერთი ვაჟი დაითანხმეს. ვაჟმა თან გამომშრალი, დამარილებული ხორცი წაიღო და ქალიშვილთან წავიდა. ვაჟი რომ დაინახა, ქალიშვილი გაიქცა. ვაჟიც გაიქცა, მაგრამ სულ სხვა მიმართულებით. მან თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ქალს გაურბოდა. ამან დააინტერესა ქალიშვილი და ვაჟს დაეწია. ვაჟმა ქალს დამარილებული ხორცი აჭამა, რის შემდეგაც ქალს საში-

ნელი წყურვილის განცდა დაეუფლა. ვაჟი ქალიშვილთან ერთად მდინარესთან ჩავიდა, სადაც მას ქალწულობა წაართვა. ამის შემდეგ ქალიშვილს მოსავლის გაფუჭება უკვე აღარ შეეძლო. რამდენიმე ხნის შემდეგ ვაჟი ქალზე დაქორწინდა“.

ეს თქმულებაც ი. დახკილგოვს ჩაუწერია და პირველად დაიბეჭდა უ. დალგათის წიგნში (Далгат 1972: 445-446).

42. ორშმის ვაჟი

Дахкильгов 2012: 235-239.

1973 წელს სოფელ ბამუთში მურცაალ მუსას ძე მერჟოევისგან ჩაიწერა ი. დახკილგოვმა.

¹ ღამი (гIам): რუსულ თარგმანში არის *женщина-гам*, ამიტომ მკითხველისთვის გაუგებარი რჩება მისი მნიშვნელობა. ცნობილია, რომ ჩეჩნურ და ინგუშურ ენებზე *гIам* არის გრძნეული, ჯადოსანი, კუდიანი (ფარეულიძე 2003: 57).

43. მითხოელი გმირები - მაირა და ბოლათი

Дахкильгов 2012: 239-242.

1973 წელს მითხოელ დაუდ ხაიაურისგან ჩაიწერა ბორის სადულაევმა.

¹ წაჲ-ფხჲედა: ადგილი მითხოში, მკვდართა ქალაქი. სიტყვა *„წაჲ“*-ს ჩეჩნურ და ინგუშურ ენებში აქვს მრავალი მნიშვნელობა, მათ შორის: „ღვთაებრივი“, „დღესასწაული“, „წმინდა“, „წმინდანი“. გვხვდება ტოპონიმებშიც: *„წაჲ-ლამ“* - მთაწმინდა.

44. ჯადოსნური ბეჭედი

Дахкильгов 2012: 242-248.

2011 წელს სოფელ ასინოვკაში 81 წლის სალმან გაბისოვისგან ჩაიწერა ა. ბორისოვმა.

ეს გადმოცემა მოგვითხრობს ზღვისა და ხმელეთის დაპირისპირების შესახებ, რომელშიც ზღვას გველეშაპი, ურჩხული (ჩეჩნ. სარმაკი) განასახიერებს.

¹ გველეშაპი: ჩეჩნურ და ინგუშურ მითოლოგიურ გადმოცემებში მას ჰქვია სარმაკი.

² შვიდი ლოდი: დედანში არის რვა. ვფიქრობ, უნდა ყოფილიყო შვიდი ლოდი. მაგრამ ეპიკური და მითოსური მეხსიერების შესუსტების შედეგად მათი რაოდენობა რვა გახდა.

45. სესქათ სოლსა და მთვარის ასული ლირა

Дахкильгов 2012: 248-255.

2011 წელს სოფელ ასინოვკაში 81 წლის სალმან გაბისოვისგან ჩაიწერა ა. ბორისოვმა.

[1] ***ბეთა:*** (ბეთთა) ჩეჩნურ და ინგუშურ ენებზე ჰქვია მთვარეს, თვეს.

[2] ქალის სილამაზის ამ სახით გადმოცემა ერთხელ მოვისმინე სოფელ გამარჯვებაში, წარმოშობით ბაცალიგოელი ხევსურისგან: „როცა ის წყალს სვამს, მოჩანს მის ყელში წყალი როგორ გადადის“, ჩეჩნურად ასე ჟღერს: *«Цо хий молача хана, цун къамарга чу гуш хул из хий мишта керч.»*

[3] ***„შენ ჩემთვის ხარ დალოცვილი“:*** ინგუშურ ენაზე ეს სიტყვები ასე ჟღერს: «*Хьо сона даькъала йойла!*»

46. ნართი თუოხი და მზის ასული აზა

Дахкильгов 2012: 255-269.

1997 წელს სოფელ მუჟიჩში 60 წლის გოშმოხ არცელგოვისგან ჩაიწერა ასიათ დალიევმა.

[1] ***წელი ლამ:*** წმინდა მთა, სადაც ცხოვრობდა მელხათ აზა. ჩეჩნური და ღილღური ტრადიციით წმინდანთა და ზეცის ბინადართა მიწიერი საბრძანისი იყო მაღალი მთების მწვერვალებზე, რადგან ის ყველაზე ახლოს იყო ცასთან.

[2] ხალხურ ტრადიციაში შუბლზე მზის და ბეჭებს შორის მთვარის გამოსახულება ღვთაებრივ მოვლენად და რჩეულობის ნიშნად მიიჩნევა. „მისი შუბლიდან თითქოს მზე ასხივებდა, ხოლო ბეჭებს შორის მთვარე ანათებდა“ ჩეჩნურ ენაზე ასე იქნება: *«Хеталора хьаь юкъе цун малх боагаш санна, пхандарашта юкъе бутт къегаш санна».* ადამიანს, რომელსაც სხეულზე ასეთი ნიშნები აქვს, ხევსურები ნაწილიანს უწოდებენ. ხევსურული პოეზია იცნობს ნაწილიან გმირს - თორღვა ძაგანს, რომელსაც ხალხური ლექსი ღვთაებრივი ნიშნებით წარმოგვიდგენს: „მარჯვნივ მზე წერებულიყვა, მარცხნისკენ მთვარის ნალიო“ (შანიძე 1931: 16).

[3] ***ჟერ-ბაბა*** არის ჩეჩნური და ღილღური თქმულებების პერსონაჟი, ქვრივი ქალი, ზოგჯერ თქმულებებში გვხვდება კუდიანი დედაბრის, გრძნეული ქალის სტატუსით (*жеро* - ქვრივი, განათხოვარი ქალი).

[4] ***მზის ნათება:*** ჩეჩნურ და ღილღურ ენებზე ჰქვია *„მალხა ლირ“.*

[5] ***ოქროს კიბე:*** ჩეჩნური და ღილღური გადმოცემების მიხედვით, ისევე როგორც ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში, ციდან ეშვება არა ოქროს კიბე, არამედ ოქროს შიბი, რომელზეც ზეცის ბინადრები ადიან და ჩამოდიან. ლაშარის ჯვრის მუხა, სანამ ზურაბ ერისთავი მოაჭრევინებდა, ცას ოქროს შიბით უკავშირდებოდა. ზოგიერთი ღვთისშვილი ფშავ-ხევსურულ ანდრეზებსა და საკულტო ტექსტებში ასეც იწოდება: „ოქროსშიბიანი“.

[6] **მოახაზი** (Моакхаз) ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც კაჟი.

[7] მოახაზის სუსტი ადგილი არის თვალები, ისევე როგორც ქართველი მეფის ვახტანგ გორგასალისთვის - იღლია, ელინი აქილევსისთვის - ქუსლი, ოსური ეპოსის პერსონაჟ სოსლანისთვის - მუხლები, ამავე ეპოსის გმირ ბათრაძისთვის - უწრთობი ნაწლავი, გერმანული ეპოსის ზიგფრიდისთვის - ბეჭებშუა ადგილი და სხვ.

47. სეთალი და ტყის ტახი

Дахкильгов 2012: 269-275.

1997 წელს სოფელ მუჟიჩში 60 წლის გოშმოხ არცელგოვისგან ჩაიწერა ასიათ დალიევმა.

[1] ***ტახი:*** ი. დახკილგოვის ცნობით, ისლამამდელ პერიოდში ინგუშები ძლიერ კაცს ტახს ადარებდნენ. ინგუშურ ენაში არის ფრაზეოლოგიზმიც: *«Хьакхага санна низ боал цунга!»* - ტახივით ძლიერია. როგორც ი. დახკილგოვი მიუთითებს, ინგუშურ ტრადიციაში ადრე მეტად პოპულარული ყოფილა მამაკაცის სახელი *«Нал»* - ტახი, რომელიც ისლამის გავრცელებისა და დამკვიდრების შემდეგ დაიკარგა (Дахкильгов 2012: 275).

[2] ***სამოცდასამი მთა:*** ეს რიცხვი ქრისტიანული რიცხვითი სიმბოლიკიდან უნდა მომდინარეობდეს (შდრ. სამას სამოცდასამი წმინდა გიორგი).

[3] ***„საშინელი ტყის ტახის გამგმირავი ნართი სეთალი“:*** ინგუშურ ენაზე: *„Унзара хьуна нала йийна Саьтал“.*

48. ბოთყას მოგზაურობა

Дахкильгов 2012: 275-282.

1991 წელს ჯეირახში 97 წლის ალი იზნოვრის ძე ლიანოვისგან ჩაიწერა მაჰომეთ არსქის ძე ლიანოვმა.

[1] მთიან რაჭაში ჩაწერილ ერთ-ერთ ნართულ ვარიანტში გვხვდება გმირი *მაირ-ბათოყო*. ამის შესახებ შ. ძიძიგური წერს, რომ ამ სახელის ელემენტი *„მაირ“* გაურკვეველია (ძიძიგური 1971: 17). თუმცა სიტყვა *„მაირა“* კარგად არის ცნობილი ინგუშურ ენაში, სადაც მას აქვს მკაფიო მნიშვნელობა - „მამაცი“. თვითონ გმირის სახელი ბათოყო ინგუშურად ჟღერს *ბოთყა*, რომელიც ეპოსში შირთყას მამას ჰქვია (Дахкильгов 2012: 282).

49. თქმულება გოლიათ ვამპოლოჟებზე

ЭО 1901: №1. ст. 43.

1892 წელს მთიან ინგუშეთში მთხრობელ განჟასგან ჩაიწერა ბაშირ დალგათმა.

[1] ***ვამპალი:*** ბ. დალგათი აღნიშნავს, რომ ვამპალი ინგუშურ ენაზე ჰქვია გოლიათს.

[2] ბ. დალგათი კომენტარებში აღნიშნავს, რომ ეს გოლიათი არ მიეკუთვნება ე. წ. ცალთვალა გოლიათებს, ის უბრალოდ ცალი თვალით დაბრმავდა.

[3] ***მე ვარ შენი და ღვთის სტუმარი:*** ინგუშურ ენაზე ეს სიტყვები ასე ჟღერს: *«Хьаи Даьлеи хьаьша ва со».*

50. კოჭლი მგზავრის საოცარი თავგადასავალი

Дахкильгов 2012: 284-288.

1962 წელს სოფელ ჯეირახში 85 წლის გაპურ ელბაზქოს ძე ლიანოვისგან ჩაიწერა მაჰომეთ არსქის ძე ლიანოვმა.

51. ქოლოი კანთი და სამი ქვის აღმართვა

ССКГ 1870: 311-314.

ინგუშური ტექსტი 1928 წელს აულ ბარახში ჰადის ბარახოევისგან ჩაიწერა დ. მალსაგოვმა (Дахкильгов 2012: 290-295). რუსული ტექსტი ჩაიწერა ჩ. ახრიევმა (იხ. ССКГ. вып. 4, Тифлис, 1870).

[1] ჩ. ახრიევის განმარტებით, „ქოლო“ არის სახელწოდება სოფლის, რომელიც ღილღოში მდებარეობს. „კანთ“ ჩეჩნურ და ინგუშურ ენებზე ჰქვია ჭაბუკს, მოყმეს. ქოლოი კანთი - ქოლოელი ჭაბუკი.

[2] ბოთოყოთ შირთყა მოცემულ ეპიზოდში წარმოდგება წინასწარმეტყველისა და ქადაგის ფუნქციით. ფშავლები და ხევსურები სალაშქროდ წასვლის წინ რჩევას ქადაგს ეკითხებოდნენ, თუ მათი ლაშქობა რამდენად წარმატებული იქნებოდა. ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონში“ ასევე ვხვდებით ქადაგს, რომელიც ლაშარის ჯვართან შეკრებილ მხედრობას თათრებზე გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს.

[3] ხალხური წარმოდგენით, იდეალური გმირი, „კაი ყმა“, სანამ ორთაბრძოლას დაიწყებდა, მტერსა და მოძულეს მშვიდობასა და თავის მასპინძლობას სთავაზობდა.

[4] გადაჭარბებული სექსულობით ქოლოი კანთი კარგავს ძალ-ღონეს. მსგავსი მოტივი გვხვდება კელტურ ეპოსში „ტრისტან და იზოლდა“, გილგამეშის ეპოსში ენქიდუსთან დაკავშირებით, ბიბლიაში - სამსონი, რომელიც ფილისტიმელებმა დააბრმავეს, მას შემდეგ, რაც ღრმად ჩაეძინა ქალთან ყოფნის შემდეგ. როგორც ჩანს, ღრმა არქაიკიდან მომდინარეობს ასკეტიზმის იდეა, რომ მამაკაცი თავის სიძლიერეს ქალთან სიახლოვის შემდეგ კარგავს. ამ კუთხით საყურადღებოა პარალელები ხევსურული საგმირო ბალადის პერსონაჟ მამუკა ქალუნდაურთან, რომელიც, გადმოცემის თანახმად, იყო ქალის „უნდაური“.

[5] ჩ. ახრიევის ცნობით, ეს სასიმღერო მოტივი ფართოდ არის გავრცელებული მწყემსებში და ის ქოლოი კანთის სახელს ატარებს. ამას ადასტურებს ი. დახკილგოვიც, რომელსაც მწყემსებისგან მოუსმენია აღნიშნული სიმღერა (Дахкильгов 2012: 295).

[6] ***ურვათი:*** საქორწინო გადასახადი (საქონელი, ნივთი, ფული) საპატარძლოს მშობლებისათვის. ურვათის მოცულობა განისაზღვრებოდა ქალის ოჯახის ღირსებით.

[7] დარიალის ხეობაში არის ორი კლდე, რომელთა შორის გადის საქართველოს სამხედრო გზა. ის კლდეები, თქმულების თანახმად, ქოლოი კანთის მიერ ნასროლი ქვის ორად გაპობის შემდეგ წარმოიშვა.

[8] ***სანაბისკენ გაეშურნენ*** - სანაბა ადგილი ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ი. დახკილგოვის ცნობით, იქ იყო ინგუშების სალოცავი „სანიბა-ერდა“. სახელწოდება მომდინარეობს ქართული სიტყვიდან სამება.

9 ჩ. ახრიევის მიხედვით, ამ ქვების ერთობლიობა მეტად მაღალ კოშკს მოგვაგონებს. მეორე და მესამე ქვებს შორის არის პატარა ქვები, როგორც საყრდენი. ეს ქვები, რომლებიც თითქოს დიდი ქვების საყრდენად არის გამოყენებული, მნახველს არწმუნებს, რომ ისინი (სიდიდით 5 მეტრზე მეტი) ადამიანის ხელით არის დაწყობილი. იგი უნახავს ჩ. ახრიევს. ი. დახკილგოვის ცნობით, ეს ქვები განსაცვიფრებლად ჰგავს ფალოსს. მისი აზრით, ამ ქვების ფალოსთან დაკავშირება ქოლოი კანთის უძლურების ფაქტიც მიგვანიშნებს (Дахкильгов 2012: 296). ი. დახკილგოვი მას ნაყოფიერება-გამრავლებასთან აკავშირებს და, მკვლევრის აზრით, მთის მწვერვალზე აღმართული ეს უზარმაზარი, ვერტიკალური ფორმის ქვები ოდესღაც თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენდა.

10 ამ თქმულების კიდევ ორი ვარიანტი არსებობს.

52. სესქათ სოლსა და ქოლოი კანთი

ЭО 1901: 37.

1895 წელს ვლადიკავკაზში მთხრობელ ყაზბიქისგან რუსულ ენაზე ჩაიწერა ბ. დალგათმა. მოგვიანებით ეს თქმულება დაბეჭდა უ. დალგათმაც (Далгат 1972: 314).

53. ქოლოელი მწყემსი და წმინდა მხედარი

Далгат 1972: 315-316.

პირველად 1932 წელს ინგუშურ ენაზე ქ. ორჯონიკიძეში დაიბეჭდა (Устное народное творчество вайнахов, т. I).

1 სამი ჯვრის უღელტეხილი: ინგუშ. *„ყო ჯარ დაღაჩე“*, მდებარეობს მთიან ინგუშეთში, მნიშვნელოვან სიმაღლეზე. იმ ადგილზე სამი ქვა ვერტიკალურად არის აღმართული, თითოეულ მათგანზე ჯვარია გამოსახული (მისი ფოტო იხ. Далгат 1972: 180). ინგუშები სამი ჯვრის უღელტეხილს წმინდა ადგილად მიიჩნევდნენ და იქ საკულტო-რელიგიურ რიტუალებს მართავდნენ. უ. დალგათის აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ მგზავრებს სწორედ იქ შეხვდათ წმინდა მხედარი, რომელმაც დაპირისპირებულ მხარეებს სისხლისღვრა თავიდან აუცილათ.

2 ქვის ქვაბზე მოხვედრასა და ცეცხლის (კერიის) ჩაქრობას უ. დალგათი ქოლოი კანთის მხრიდან მტრებზე განხორციელებულ განსაკუთრებულ შურისძიებად მიიჩნევს, რადგან კავკასიელი მთიელების უძველესი წარმოდგენების მიხედვით, ასეთი საქციელი წმინდათა წმინდის შებღალვად მიიჩნეოდა (Далгат 1972: 426).

3 გამოქვაბულში ცხოვრებაზე მინიშნება, უ. დალგათის აზრით, შეიძლება იმ დროის გამოძახილი იყოს, როცა ინგუშების წინაპრებმა მტრისაგან თავდაცვის მიზნით თავი გამოქვაბულებს შეაფარეს (Далгат 1972: 427). ი. დახკილგოვის ცნობით, გამოქვაბულში იყო ადგილი როგორც ფა-

რის დასაბინავებლად, ასევე საცხოვრებლად. გამოქვაბულის წინ იდო ქვის ფილა. ასეთი გამოქვაბულები მთიან ინგუშეთში მრავლად არის. მაგრამ ხალხმა, როცა ისინი მთებიდან ცოტა დაბლა ჩამოსახლდნენ, სადაც ამჟამად კოშკებია აღმართული, გამოქვაბულებთან კავშირი ამ ბოლო დრომდე მაინც შეინარჩუნა. ასეთი გამოქვაბულები, უ. დალგათის ცნობით, ღილღოში ახლაც რომელიმე კონკრეტული გვარის კუთვნილებად იწოდება.

ქოლოი კანთის შესახებ წარმოდგენილი ვარიანტების გარდა, ცნობილია აგრეთვე ლ. ახრიევისა და დ. მალსაგოვის ჩანაწერები. ლ. ახრიევმა თქმულება მთიან სოფელ მუჟიჩში აბდურახმან გუდიევისგან ჩაიწერა, რომელიც დაიბეჭდა წიგნში ვაინახების ზეპირსიტყვიერი შემოქმედება, ტ. I. ორჯონიკიძე, 1932, გვ. 11-14 (ინგუშ. ენაზე). ამ ვარიანტის ძირითად თავისებურებად ის გარემოება ითვლება, რომ სესქათ სოლსას ნაცვლად „ჩერქეზი თავადი“ ფიგურირებს. ცნობილია, რომ XIX საუკუნის დამდეგამდე ჩერქეზი თავადები (იგულისხმება ყაბარდოელებიც) მეზობელ კავკასიელ ხალხებზე სისტემატურ ფეოდალურ თავდასხმებს აწყობდნენ. უ. დალგათის აზრით, ამ გარემოებით აიხსნება ეპოსის გვიანდელ ვერსიებში ერთი მტრის მეორე მტრით შეცვლა. 1928 წელს მთიან ინგუშეთის აულ ბარახში 70 წლის ჰადის ბარახოევისგან დ. მალსაგოვმა ჩაიწერა თქმულების კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1957 წელს ქალაქ ფრუნზეში, ალმანახში «Радость сердца», გვ. 239-241, ინგუშურ ენაზე. ეს ჩანაწერიც ზემოთ წარმოდგენილ ცნობილ ვარიანტებს იმეორებს. ის მხოლოდ ფინალური ეპიზოდით განსხვავდება, რომლის მიხედვითაც, სესქათ სოლსა დასახმარებლად იწვევს უზენაეს ღმერთს - დელას და დარ-ავდრის გამგებელს სელას შემდეგი სიტყვებით: „დელა და სელა, ქუოლოი კანთის ხელში არ ჩამაგდო!“ იმ დროიდან თერგი, რომელიც მანამდე პატარა მოედინებოდა, გადაიქცა წყალუხვ და ბობოქარ მდინარედ (Далгат 1972: 427).

54. სოსქათ სოლსა და ოხქარ კანთის ცოლი

Дахкильгов 2012: 301.

[1] ჯეირახის სამხრეთით ადრე მდებარეობდა ოახქარის საზოგადოება. ი. დახკილგოვის ცნობით, ინგუშურ ენაზე *„ახქ“* (სიტყვიდან *„ახქა“* - თხრა) ჰქვია მდინარეებით დათხრილ ხეობას. ოახქარში მოედინება მდინარე *ოახქარხი*. რუსები მას *კისტინკას* უწოდებენ. იგი თერგს უერთდება. XVI საუკუნის რუსული საისტორიო დოკუმენტების მიხედვით, ოახქარის საზოგადოებას სათავეში ედგა ვინმე *ხავსა*.

[2] ოხქარ კანთი ხალხურ ტექსტში წარმოდგენილია როგორც საკუთარი სახელი. მაგრამ იგი წარმოშობით საზოგადო სახელია და ქართულ ენაზე სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც „ოახქაროელი ჭაბუკი“.

[3] უძველესი დროიდან კავკასიელ მთიელებში გავრცელებული იყო წესჩვეულება, რომლის თანახმად, ვინც ქალის ძუძუს მოწოვდა, მის შვილად ითვლებოდა. ადრე ამ წესის საშუალებით ხდებოდა მოსისხლეების ერთმა-

ნეთთან შერიგება. მსგავსი ეპიზოდი გვხვდება ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ელგუჯა“. აღნიშნულ თქმულებაში სოსქათ სოლსამ ოხქარ კანთის ცოლის ძუძუს რძე მიიღო და მისი შვილობილი გახდა. ამის გამო სოსქათ სოლსას იმ ქალის ცოლად შერთვის უფლება, რა თქმა უნდა, აღარ ჰქონდა.

55. მშვენიერი ალბიქა

Дахкильгов 2012: 302-306.

1938 წელს სოფელ ანგუშტში უმარ გათიევისგან ჩაიწერა ხამზათ ოსმიევმა.

[1] ***ოახქარე:*** ი. დახკილგოვის ცნობით, ეს სახელი ჰქვია ადგილს მაღალმთიან ღილღოში, საქართველოს საზღვართან.

[2] გმირს მისი მფლობელობა საცხოვრებელი ადგილის სიახლოვის მიხედვით მიეწერება.

[3] იგულისხმება: შენ ისეთი კარგი ხარ, რომ საიქიო არ არის ღირსი, იქ ჰყავდე.

[4] ***მაღოთე:*** იგივე „ამაღა-ერდა“, კოშკი და ტაძარი მთიანი ინგუშეთის ჩულხოის საზოგადოებაში, სადაც ზეპირი გადმოცემების მიხედვით, ცხოვრობდა და დაკრძალეს გრძნეული მაღო და აგრეთვე, გმირი სესქათ სოლსა, რომლის სახელზეც აიგო სესქათ სოლსას სალოცავი (სესქათ სოლსაერდა). ამღა-ერდა შეიძლება იყო ამაღლების სახელობის სალოცავი (ამღაერდა ← ამაღლების სალოცავი).

56. სიქსოლსა და გუი

Дахкильгов 2012: 314-315.

1974 წელს აულ ხენში 45 წლის აბდულ ალის ძე ხანიევისგან ჩაიწერა ი. დახკილგოვმა.

[1] მთიან ინგუშეთში, ჯუთა-არხოტის მოსაზღვრედ, წინათ იყო ჩულხოის ტრადიციული საზოგადოება. მასში შედიოდა კოშკებიანი აულები: მაღოთე, სალგი, ხენი, ლელახი, ქეზი, ბიშთი, ტუმაღი, ჰული (ღული), გუვი და სხვ. თქმულებაში აისახა ძველი საზოგადოებებისთვის დამახასიათებელი, ტიპური ტერიტორიული ბრძოლა.

[2] ***გუი:*** ტუმღოელთა გვარის ერთ-ერთი წინაპარი. გადმოცემები მას ახასიათებენ როგორც დიდი ტანის, ძლიერ და განსაკუთრებული მადის მქონე ადამიანს. ჩახ ახრიევი თავის ნაშრომში „ინგუშეთი: გადმოცემები და რწმენა-წარმოდგენები“ წერს: განსაკუთრებული ძალისა და სიმამაცის გამო გუის თავისმა შვილებმა პატივისცემის ნიშნად სამახსოვრო სვეტი დაუდგეს, რომელსაც აქვს სიმაღლე 2 საჟენი და სიგანე - 2 არშინი. თავისი სიმაღლით ეს ძეგლი თითქოს გუის ნამდვილ სიმაღლეს განასახიერებს.

[3] ***სიქსოლსა:*** სოსქათ სოლსას სახელის ერთ-ერთი ვარიანტი. ი. დახკილგოვი შენიშნავს, რომ ეს პერსონაჟი, ისევე როგორც ამ ტექსტში, სხვა თქმულებებშიც („აჩამაზის ბორცვი“, „ლორსა და სოლსა“) ხშირად ხელყოფს სხვის საკუთრებაში მოქცეულ სახნავ-სათეს და სათიბ-საძოვარ მიწებს, ზოგადად, სხვის კერძო საკუთრებას (Дахкильгов 2012: 315).

57. ფჰაგალ-ბერე და სესქათ სოლსა

Дахкильгов 2012: 315-317.

1962 წელს სოფელ ოლგეთში 60 წლის იუსუფ ბურუჟევისგან ჩაიწერა ა. მალსაგოვმა.

[1] ამ თქმულების მიხედვით, კურდღელზე ამხედრებული (კურდღლის მხედარი) ფჰაგალ-ბერე თითქოს ეჯიბრება სესქათ სოლსას. მითოლოგიური არსების (გოლიათის, აქ ქონდრისკაცის) ამ ტიპის შეჯიბრება მთავარ გმირთან ნართების ეპოსის ნაციონალურ ვერსიებში ტიპურ სიუჟეტურ-თემატურ ელემენტს წარმოადგენს.

[2] რადგან ორი გმირის ცოლები დებად გაიფიცნენ (ინგუშურ ენაზე - *„ნეშაშ“*), მათი ქმრებიც ახლო ნათესავები, ქვისლები, გახდნენ, რომელთა შორის მტრობა დაუშვებელია. ი. დახკილგოვის აზრით, დადნაფიცობის წეს-ჩვეულება უძველესი დროიდან მომდინარეობს და იგი ხალხის მეხსიერებას შემორჩა, როგორც მოგონება შორეულ წარსულზე (Дахкильгов 2012: 317).

58. ფჰაგალ-ბერეს ცოლი და ნართ-ორსთხოელი

Дахкильгов 2012: 317-319.

1927 წელს სოფელ გალაშქში მუსა ბარხანოევისგან ინგუშურ ენაზე ჩაიწერა დ. მალსაგოვმა.

[1] ***ფჰაგალ-ბერე:*** ამ თქმულებაში გმირი უფრო რეალისტური თვისებებით გვხვდება, ვიდრე წინა თქმულებაში (იხ. ტექსტი №57). აქ ფჰაგალ-ბერე აღარ არის ჯუჯა არსება - „კურდღელზე ამხედრებული მეომარი“. ი. დახკილგოვის ცნობით, არსებობს სიტყვა „ფჰაგალის“ ხალხური ეტიმოლოგია. იგი სოფლის მფარველს, მცველს აღნიშნავს. აქედან გამომდინარე, ბარხანოები მდინარე ასის ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილიდან ახორციელებდნენ საქარავნო გზაზე კონტროლს, რომელიც სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიას ერთმანეთთან აკავშირებდა. ბარხანოები, რომელ გვარსაც, გადმოცემის მიხედვით, მიეკუთვნებოდა ფჰაგალ-ბერე, გარდა ამისა, განთქმული იყვნენ როგორც კოშკთა მშენებლობის დახელოვნებული ოსტატები.

[2] ***ნეყი:*** საგვარეულო (ინგუშ. ენაზე *наькъ),* ჩამომავლობა.

[3] მთიან ინგუშეთში ყველაზე მნიშვნელოვან და ძველ დასახლებას *ეგიჯალა* წარმოადგენს. მთხრობელი იმის მითითებით, რომ ფჰაგალ-ბერე *ეგიჯალის* დაარსებამდე ცხოვრობდა, ცდილობს, თქმულებაში გადმოცემული ამბის დროის კიდევ უფრო შორეულ წარსულში გადაწევას.

[4] სესქათ სოლსა რომ დატყვევებული იყო და ის მისმა ძმობილებმა ფჰაგალ-ბერემ და ქოლოი კანთმა გაათავისუფლეს, ი. დახკილგოვის აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ ეს ორი გმირი უფრო ძლიერია, ვიდრე სახელგანთქმული ნართი სესქათ სოლსა, რადგან, ძველი ტრადიციით, ტყვეობა, თუნდაც მცირე ხნით, მამაკაცის ღირსებას ლახავდა.

[5] ***სტუმარს არ იღებენ:*** კავკასიის მთიელ ხალხებში, მათ შორის ჩეჩნებსა და ინგუშებში, ასეთი საყვედური დიდ სირცხვილად ითვლებოდა. წესის მიხედვით, ორსთხოელს სტუმრად მისვლის უფლება იქ არ ჰქონდა, რადგან მან იცოდა, ოჯახის უფროსი სახლიდან წასული იყო და შინ მამაკაცი არ იმყოფებოდა.

59. ბიიდოლგ ბერე და სესქათ სოლსა

Дахкильгов 2012: 320-322.

1962 წელს სოფელ იანდარეში აჰმეთ სულთიგოვმა ჩაიწერა მამისგან.

[1] ***ბიიდოლგ-ბერე:*** იგი ითარგმნება როგორც „მხედარი ერთი წყრთისა და მუშტის ხელა“. ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების ეს მითოლოგიური პერსონაჟი, ჯუჯა მხედარი, უცნობია სად ცხოვრობს ან საიდან ჩნდება. ასეთი გარეგნობის მიუხედავად, ის უძლეველია. თქმულებებში ეს პერსონაჟი (ქონდრისკაცი), მასთან დაპირისპირებული გმირისაგან განსხვავებით, მოკლებულია ეშმაკობასა და მზაკვრობას, თუმცა ადამიანს ემტერება. ი. დახკილგოვის ცნობით, ქონდრისკაცის საყვარელ საქმეს სხვისი ცოლის წაყვანა წარმოადგენს. ამ და სხვა ჯუჯა პერსონაჟების გენეზისი ინგუშურ ფოლკლორში შესწავლილი არ არის (Дахкильгов 2012: 322).

[2] ***აიღე ჩემი ხმალი და თავი მომკვეთე, რადგან შენი ხმალი ვერაფერს დამაკლებს:*** ნართების ეპოსის ნაციონალურ ვერსიებში ხშირად გვხვდება ჯადოსნური ხმლის მოტივი. ზოგიერთი დემონიზებული პერსონაჟის მოკვლა მხოლოდ მისივე ხმლით არის შესაძლებელი (მაგ., ოსურ ეპოსში საინაგ ალდარს მისივე კუთვნილი ხმლით კლავს ბათრაძი, რადგან სხვა იარაღი საინაგ ალდარს ვერაფერს დააკლებდა).

60. ბარხანოელი ფჰაგალ-ბერი

Дахкильгов 2012: 322-325.

2003 წელს სოფელ ბარსუკში იაჰი ზიაზიკოვისგან ჩაიწერა მაჰომედბაშირ ციცქიევმა.

[1] ***ფჰაგალ-ბერი:*** გადმოცემებში გვხვდება ხან ფჰაგალ-ბერე, ხან ფჰაგალ-ბერი. ამ თქმულებაში არის ფჰაგალ-ბერი.

[2] ***წეჲ-ლამ:*** ინგუშურ ენაზე არის წმინდა მთა, მთაწმინდა.

[3] ***მიწისძვრამ მთელი სოფელი გაანადგურა:*** ამგვარ სტიქიურ უბედურებას თქმულებები ღვთის სასჯელს მიაწერენ, როგორც პასუხს ადამიან-

ური ცოდვების გამო. ამ გადმოცემაში არ ჩანს მიწისძვრის მოტივი, რომელიც შეიძლება ეპიკური მეხსიერების შესუსტებით, ტექსტის ხარვეზით ან სხვა მიზეზით აიხსნას.

[4] ***სალოცავი:*** თქმულება ინგუშეთში ისლამამდელ რელიგიურ სიტუაციას ასახავს, როცა იქ ჯერ კიდევ ძლიერი იყო გახალხურებული ქრისტიანული ელემენტები.

[5] ***ხევისბერი*** : დედანში არის *წაჲსაგი - ЦIайсаг* (სიტყვასიტყვით წმინდა კაცი).

[6] ***სამი წმინდა ხარი:*** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და კავკასიის მაღალმთიანეთის სხვა სალოცავებში დასტურდება პირუტყვის ცოცხლად შეწირვის ტრადიცია. ცოცხლად შეწირული კურატები ჰყავდა კოპალას სალოცავს ფშავში.

[7] ***ბერმა ააშენა:*** თქმულების მიხედვით, *ბერი* ასკეტურად, განდეგილივით ცხოვრობს, მან ადამიანებისგან შორს, მაღალ მთაზე ააშენა თავისი სამყოფელი. მიმაჩნია, რომ აქ „ბერი“ უნდა გავიგოთ არა როგორც საკუთარი სახელი, არამედ იმავე მნიშვნელობით, რომელიც მას აქვს ქართულ ენაში.

[8] ***„მხედარი - კურდღელი“***: გადმოცემაში გმირ ფჰაგალ-ბერის (Пхьагал-баьри) სრული სახელი ეტიმოლოგიზირებულია და ითარგმნება როგორც „მოსისხლე მტრიანი ბერი“, ან „ცქვიტი, როგორც კურდღელი“, აქვს ასეთი სემანტიკაც: „სოფლის მცველი მხედარი“ და სხვ. სინამდვილეში, ი. დახკილგოვის ცნობით, ბარხანოებსა და, კერძოდ, ფჰაგალ-ბერს უკავშირდება მდინარე ასის ხეობაში ღილღური საზოგადოების *„ღალღაჲ კოაშკეს“* კარიბჭის დაცვა (Дахкильгов 2012: 325).

[9] ი. დახკილგოვის აზრით, მთავარი გმირის მიუდგომელ სამფლობელოზე დათვის ტყავით გადაცმული ცბიერი მტრების ვერაგული თავდასხმა ცნობილი მოტივია მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში (Дахкильгов 2012: 325).

61. ნესარი, მისი ვაჟი საი და აჩამა

Дахкильгов 2012: 325-328.

1964 წელს სოფელ ნასირ-ქორთში ზ. გელისხანოვმა ჩაიწერა.

[1] ***„საი ქვემეხიდან გასროლით გალავნის შიგნით გადატყორცნეს“***: ი. დახკილგოვის აზრით, ეს მოტივი ისლამური ტრადიციიდან უნდა მომდინარეობდეს, რომლის თანახმად, ალი, მუჰამედის სიძე, ალყაშემორტყმულ სიმაგრე ხაიბარში კატაპულტირების მეშვეობით მოახვედრეს.

62. ნესარი და ყოზაში

Дахкильгов 2012: 328-331.

1963 წელს სოფელ ნასირ-ქორთში 60 წლის ქურაზა ასტამიროვისგან ჩაიწერა დ. მალსაგოვმა.

[1] ნართი ყოზაშის ნაბადი ცნობილი მამაკაცების წვერ-ულვაშისგან იყო გაკეთებული: ოსურ ეპოსში სოსლანი ასევე ქალებს აკერვინებს ქურქს იმ მეომრების სკალპებისგან, რომლებსაც ბრძოლაში ამარცხებდა. ასეთ წესს, ჰეროდოტეს მიხედვით, იცნობდნენ სკვითებიც. ამ დამთხვევაზე თავიანთ შრომებში მიუთითებენ ვს. მილერი და ჟ. დიუმეზილი (მამისიმედიშვილი 2015: 241-242).

[2] ნესარმა მდინარე ნესარის სათავეს მიაღწია: აქ ეპონიმი „ნესარი“ და ჰიდრონიმი „ნესარი“ (ამ სახელწოდების მდინარე) ერთმანეთს უკავშირდება.

[3] მე წაგართვი მხარე. თუ ბრძოლა გინდა, შენ დაიწყე: ამ ეპიზოდში ვხვდებით სამხედრო ეტიკეტის ერთგვარ გამოვლინებას. ე. წ. „დამნაშავე“ უფლებას აძლევს მოწინააღმდეგეს, რომ მან პირველმა მიაყენოს დარტყმა. ამ წესის დაცვა, აგრეთვე მოწოდება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის, ემსახურება ადგილობრივი გმირის - ნესარის - იდეალიზაციას.

63. ყოზაშის შვილიშვილი და გერმანჩა

Дахкильгов 2012: 331-334.

1966 წელს დოლახ-იურთში (ს. დოლაკოვო) 35 წლის მ. ბალხაევისგან ჩაიწერა ი. დახკილგოვმა.

წინა თქმულებაში „ნესარი და ყოზაში“ ნართი ყოზაში უარყოფით პერსონაჟად არის წარმოდგენილი. ამ თქმულებაში უკვე მისი შვილიშვილი გვევლინება გმირად, რომელიც უსამართლოდ დაზარალდა და შური იძია.

[1] ჩერქეზებთან წავიდა: ი. დახკილგოვის ცნობით, ინგუშები არ ასხვავებენ ყაბარდოელებსა და ჩერქეზებს. ყაბარდოელს ინგუშურ ენაზე ჰქვია როგორც „ღებართე“, ისე „ჩერსე“. ინგუშურ თქმულებებში ეთნონიმ „ჩერქეზით“ („ჩერსე“) ყველაზე მეტად ყაბარდოელები ხსენდებიან. ინგუშური თქმულებების გმირი ხშირად მიდის სამსახურში (და არა მსახურად) ჩერქეზებთან, რომლებიც შემდეგ გმირს ეხმარებიან წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში, დაბრკოლებებისა და განსაცდელის გადალახვაში. როგორც ჩანს, ამ ტიპის თქმულებებში აირეკლა ის პერიოდი, როცა ჩრდილოეთ კავკასიის მთელი მთისწინეთი ჩერქეზებს (ყაბარდოელებს) ეკავათ და მთის ღილღური საზოგადოებებიდან ხდებოდა ჩერქეზ მთავართა საბრძოლო რაზმების შევსება. ცნობილია, რომ ინგუშებს შორის ძველად მრავლად იყვნენ დაქირავებული მეომრები (Дахкильгов 2012: 334).

[2] ჩერქეზი თავადის ოჯახში გმირს სთავაზობენ არჩევანს: იმუშაოს მწყემსად ან მიიღოს სასახლეში სტუმრები. გმირი მეორეს ირჩევს, როგორც შედარებით საპატიო საქმეს. სხვაგან მსახურად დადგომით ან დაქირავებულ მწყემსად მუშაობით ინგუში თანამოძმეებში პატივისცემასა და ავტორიტეტს დაკარგავდა.

64. პირველი ვინ დასახლდა ნესარ-ქორთში

Дахкильгов 2012: 338-343.

1964 წელს სოფელ ნასირ-ქორთში ზ. გელისხანოვმა ჩაიწერა.

[1] ***ნესარგი:*** მამაკაცის საკუთარი სახელის ნესარის კნინობით-ალერსობითი ფორმა.

[2] ძველი შეხედულებით, გრძელი და ხშირი წვერ-ულვაში ფიზიკური სიძლიერისა და ვაჟკაცობის ნიშნად ითვლებოდა.

[3] ლ. შტიოდერის მიხედვით, 1781 წელს უკვე არსებობდა ეხქი-იურთი, რომელიც შემდეგ სოფელ ეკაჟევოდ გადაიქცა. მდებარეობს აჩამაზის ბორცვის (ყორღანის) მახლობლად.

[4] ***ქალწულის ყორღანი:*** *(ან იგივე ქალწულის ბორცვი)* - ინგუშურ ენაზე - *Йиlий-боарз*, მდებარეობს სოფელ სურხოხის განაპირას.

[5] ი. დახკილგოვის ცნობით, სიკვდილის არაფრად ჩაგდება თქმულებაში მიზნად ისახავს გმირის იდეალიზაციას (Дахкильгов 2012: 343). ამავე დროს გმირი, როგორც უშიშარი, მტერს არაფრად აგდებს და მისკენ არც იყურება.

65. ნესარი

Дахкильгов 2012: 343-345.

1964 წელს აულ ოლგეთში 68 წლის ახმეტ ეშის ძე ევკუროვისგან ჩაიწერა ა. მალსაგოვმა.

66. მეხქა ასთბი

Далгат 1972: 370-372.

1966 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სტუდენტ სავარბეკ ჯამბულატოვისგან (დაბად. 1947 წ.) ჩაიწერა ი. დახკილგოვმა. სტუდენტს გადმოცემა მოუსმენია 60 წლის ხადი წაროევისგან.

[1] ***დოშხაკლე:*** კოშკები (ერთი საბრძოლო და რამდენიმე საცხოვრებელი) დგას ღილღოს დასავლეთ ნაწილში.

[2] ***ლოვზარ:*** ინგუშ. და ჩეჩნ. ენებზე ლხინი, თამაში, მხიარულება.

[3] ჩეჩნებსა და ინგუშებს ჰყავდათ კოშკების აღიარებული მშენებლები. უ. დალგათის ცნობით, კოშკების მშენებლობის შესახებ ხალხმა არაერთი გადმოცემა შემოინახა. კოშკების, სალოცავებისა და აკლდამების მშენებელს ჩეჩნ. და ინგ. ენებზე ჰქვია ***„ტო გოვზანჩა“*** (სიტყვასიტყვით ქვითხურო). ეს პროფესია ხალხში მეტად ფასობდა (Далгат 1972: 444).

[4] ***ქართოელი:*** აულ ქართის მცხოვრები, დოშხაკლეს მახლობლად.

[5] ე. ი. ოსტატი ამბობს: მე ჩემი ვთქვი.

[6] ***„არარაობად იქცეს შენი შთამომავლობა, დაჩიავდეს შენი გვარი“:*** ინგუშებსა და ჩეჩნებში იგი ითვლებოდა ყველაზე საშინელ წყევლად. ამ შემთხვევაში ხალხი არ იწონებს ასთბის საქციელს, რომელმაც ვერაგულად მოკლა კოშკის მშენებელი, რის გამოც, გადმოცემის მიხედვით, მას დამსახურებული სასჯელი დაატყდა.

67. ბორა აბაევი

ЭО 1901: 57.

1892 წელს ბ. დალგათმა ჩაიწერა სოფელ ნასირ-ქორთში რუსულ ენაზე იბრაჰიმ დარშქიევისგან. პირველად 1901 წელს დაიბეჭდა (იხ. Этнографическое обозрение, №1, 1901, Москва, стр. 57.). მოგვიანებით გამოაქვეყნა უ. დალგათმაც (Далгат 1972: 372-373).

68. დოვლათის ფრინველი

Дахкильгов 2012: 347.

1920 წელს აულ ფურთოუგში 75 წლის გენარდუყო ახრიევისგან ჩაიწერა დოშლუყო მალსაგოვმა.

[1] მეცხალის შაჰარი: იგივე ფიაპინის შახერი, მრავალრიცხოვანი ტრადიციული საზოგადოება მთიან ინგუშეთში - *Мецхалой шахьар*, მდებარეობდა მდინარე არმხის რაიონში. მეცხალის შეჰარში მცხოვრებ თეიფებს დასავლეთიდან ჯეირახის შაჰარი ესაზღვრებიდა, აღმოსავლეთიდან - ხამხის (ღილღოს) შაჰარი, სამხრეთიდან - საქართველო, ჩრდილოეთიდან - თერგის ველი. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ინგუშური საზოგადოებების კონსოლიდაციაში, ერთიანი ინგუშური ეთნოსის ჩამოყალიბებაში მეცხალის საზოგადოებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. მეცხალის საზოგადოებაში შედიოდა შემდეგი სოფლები: ბეინი, ოლგეთი, მეცხალი, ლეჟგი, ფალხანი, ერზი, ქაშუეთი (Кашете), ობინი, დუხურგიშთი, მორჩი, კოშკი, გოუსტი, ხამიშკი.

[2] დოვლათის ფრინველი: ინგუშურად, *фаьра хьазилг*. ი. დახკილგოვის აზრით, დოვლათის აღმნიშვნელი ინგუშური სიტყვა *ფერა (фаьра)* არქაიზმს წარმოადგენს და მისი ძირი ირანული ენიდან უნდა მომდინარეობდეს. მოგვიანებით ინგუშურში *„фаьра“* შეიცვალა სიტყვით *„беркат“* (*ბერქათ* - ბარაქა).

ნაყოფიერი ადგილი ამ მითში დაკავშირებულია მეცხალის კოშკებიან კომპლექსთან. ი. დახკილგოვის ცნობით, წინათ ამ აულს ერქვა „მერცხალი“. ქართველები და ინგუშები მერცხალს მიიჩნევდნენ ბედნიერებისა და სიუხვის მომტან ფრინველად (Дахкильгов 2012: 347).

[3] ბალთა: სოფელი ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოს სამხედრო გზაზე, მდინარე თერგის სანაპიროზე.

69. ქრისტიანი მეფე და ბარქუმ კანთი

ССКГ 1875: 18-19.

რუსულ ენაზე ჩაიწერა ჩ. ახრიევმა. პირველად დაიბეჭდა 1875 წელს, კრებულში ССКГ, вып.VIII.

[1] ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობას ქართველი მეფეები ავრცელებდნენ. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ქრისტიან მეფეში საქართველოს მეფე იგულისხმება.

[2] ეს ეკლესია დღემდე არსებობს. ჩ. ახრიევის ცნობით, ეს ეკლესია, არქიტექტურული თვალსაზრისით, არის უაღრესად შთამბეჭდავი.

[3] გამჭვირვალე ყელი, როგორც ქალის სილამაზის ნიშანი, გვხვდება ინგუშების, ჩეჩნების, დაღესტნელი და ქართველი მთიელების (ხევსურების) ფოლკლორში.

70. საქართველოს მეფე და ბარახოი კანთის ცოლი

Далгат 1972: 363-365.

1928 წელს 70 წლის ჰადის ბარახოევისგან ინგუშურ ენაზე ჩაიწერა დ. მალსაგოვმა. პირველად დაიბეჭდა კრებულში ИФ, т. II, 1967, გვ. 128.

[1] ***დოარჰე:*** მდებარეობს ღილღოს საზოგადოების ცენტრალურ ნაწილში, ეგი-ჯალას, თარგიმს, ხამხასა და ტყობა-ერდს შორის. თითოეული მათგანი კოშკებიან კომპლექსს წარმოადგენს. უ. დალგათის ცნობით, ძველად იქ, ეკლესიასთან, თემის სახელოვანი მამაკაცები იკრიბებოდნენ და წყვეტდნენ საზოგადოებრივ საქმეებს, იღებდნენ უცხოელ სტუმრებს, მართავდნენ დღესასწაულებსა და ასპარეზობებს, ასამართლებდნენ დამნაშავეებს.

[2] ***ტყობა-ერდი:*** ქრისტიანული ეკლესია, მდებარეობს მდინარე ასის ველზე მთიან ინგუშეთში. ტყობა-ერდის ეკლესიის შესახებ წერდნენ ი. გულდენშტედტი, ვახუშტი, ვ. მილერი, ალ. ცაგარელი, ბ. დალგათი, გ. ღამბაშიძე და სხვები. ტყობა-ერდის ტაძარი შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ნიმუშია. ზოგი მკვლევარი IX საუკუნით ათარიღებს, ზოგიც - თამარ მეფის ეპოქით, XII საუკუნით. ტყობა-ერდის ეკლესია ქართველ მისიონერებს აუგიათ, რომლებიც კავკასიონის მიუვალ ხეობებში ქრისტიანობას ავრცელებდნენ. უ. დალგათის ცნობით, ევლოევის გვარის წინაპარი სასულიერო პირი, მღვდელი (ინგუშურად, მოზღარ (მოძღვარი) ყოფილა. მათი წინაპარი ევლო, წარმოშობით ქართველი, საქართველოდან ტყობა-ერდის ეკლესიაში მოსულა. უ. დალგათი ფიქრობს, რომ აღნიშნული თქმულება შთაგონებულია იმდროინდელი ისტორიის რომელიღაც ეპიზოდით, როცა ღილღველები საქართველოს წინააღმდეგობას უწევდნენ და აჯანყებულების წინამძღოლი იყო ვინმე ბარქინხოელი ან ბარახოელი ინგუში. ტყობა-ერდის ეკლესიამ ინგუშების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე ღილღველები ტყობა-ერდის ტაძარში ღმერთსა და წმინდანებს მფარველობას შესთხოვდნენ. იქ ასევე იკრიბებოდნენ მეზობელი თემების მცხოვრებლებიც, რომლებიც ერთად განიხილავდნენ საზოგადოებრივ საქმეებს, რჯულის წესებს, დებდნენ ფიცს.

[3] ***შაჰარი:*** აქ საზოგადოება (ინგუშ. *шахьар),* რომელიც რამდენიმე დასახლებულ პუნქტს აერთიანებდა.

[4] ინგუშურ და ჩეჩნურ ენებში თქვენობით (თავაზიანი) მიმართვა არ არის და უცხოსაც შენობით მიმართავენ.

[5] ***გაშიშვლებული ხმალი:*** გაშიშვლებული, ამოღებული ხმალი სიმბოლურად ომს, ბრძოლას გამოხატავს. თქმულებაში კი ბარახოი კანთის ხელში გაშიშვლებული ხმალი გამოხატავს მისი პატრონის სამშვიდობო პოზიციას და მგზავრებს თავისუფალ გზას უჩვენებს.

71. ტყობა-ერდის უცხო მთავარი და ღილღველი მზეთუნახავი

Далгат 1972: 368-369.

1892 წელს ბ. დალგათმა რუსულ ენაზე ჩაიწერა დანიილ ქოთიევისგან, რომელსაც მოსმენილი ჰქონია სოფელ სურხოხში თემურყო ვედიგოვისგან. თემურყოს, თავის მხრივ, მოუსმენია მთიელი ღილღველისგან, რომელიც იმ დროს 140 წლის ყოფილა. თქმულება პირველად დაიბეჭდა უ. დალგათის წიგნში (Далгат 1972: 368-369).

72. რჯულის კაცები ტყობა-ერდის სალოცავში

Дахкильгов 2012: 348-349.

1981 წელს სოფელ იანდიევოში ჩაიწერა მუსა თერსბოთოს ძე ალბაქოვმა.

[1] ტყობა-ერდის მსგავსად, მოსამართლეები, ე. წ. რჯულის კაცები, ხევსურეთის მთავარ სალოცავში - გუდანის ჯვარშიც იკრიბებოდნენ. მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მთელ ხევსურეთში ვრცელდებოდა და სავალდებულო იყო მისი შესრულება. თუმცა რჯულის კაცები გუდანის ჯვრის ტერიტორიაზე არ ცხოვრობდნენ, განსხვავებით ტყობაერდელი უხუცესებისგან, რომლებიც ტყობა-ერდის სალოცავში ბერებივით განდეგილ ცხოვრებას ეწეოდნენ.

[2] ***ტყობა-ერდი:*** IX-X საუკუნეების ქრისტიანული კომპლექსი ინგუშეთში, რომელიც ქართველმა მისიონერებმა ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის გასავრცელებლად ააგეს. იგი მოიცავს ბაზილიკას, მცირე ეკლესიასა და ეკვდერს. ტყობა-ერდის ტაძრის ძველქართულ წარწერაში მოიხსენიება ეპისკოპოსი გიორგი, კათალიკოსი არსენ II (X ს.) და პატრიარქი მელქისედეკ I (XI ს.). ტაძრის ბარელიეფზე გამოსახულია სამი მამაკაცი, რომელთაგან ცენტრალური ფიგურა ტახტზე ზის, მის გვერდით მდგარ მამაკაცს ერთ ხელში უჭირავს ჯვარი, მეორე ხელში - ხმალი. მესამე მამაკაცი გამოსახულია სასულიერო სამოსლით და მას მხრებით ყურძნის მტევნები მოაქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული აზრის თანახმად, რელიეფის გამოსახულება ქართველი სასულიერო და საერო პირების მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებაზე მიუთითებს.

[3] წრიული ცეკვა რიტუალური ცეკვაა, რომელიც საკრალური ცენტრის არსებობაზე მიუთითებს.

73. კუდიანი და მისი სიძე

Далгат 1972: 267-268

1892 წელს ბაშირ დალგათმა რუსულ ენაზე ჩაიწერა განჟა ქელიგოვისგან, მეთ-წელის სალოცავის ყოფილი ხევისბრისგან.

[1] მსგავს გადმოცემებს იცნობენ ჩერქეზები და ოსებიც. თითქმის ასეთივე სიუჟეტი გვხვდება ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებში, კერძოდ ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში. ისევე როგორც შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში, ასევე კავკასიაშიც მიაჩნდათ, რომ ნამდვილად არსებობდნენ კუდიანები, რომლებიც ათასგვარ ბოროტებას ჩადიოდნენ. შესაბამისად კუდიანთა დევნასა და წამებას, რიგორც ჩანს, ხალხი სამართლიან ქმედებად მიიჩნევდა. კუდიანების დევნამ ინკვიზიციის სახით ორგანიზებული სახე დასავლეთ ევროპაში მიიღო.

74. სამოცი ორხუსთოელი და წაზიქი

ССКГ 1871: 42.

1871 წელს ნაზრანში ჩაიწერა ჩ. ახრიევმა. პირველად დაიბეჭდა კრებულში ССКГ, Вып. 5, 1871.

[1] ჩ. ახრიევის შენიშვნა: „წაზიქი - საკუთარი სახელია, მაგრამ ჩვეულებრივ საუბარში მას უწოდებენ პატარა თასს, რომელსაც იყენებენ სამარილედ ან წათხისთვის, რომლითაც კაზმავენ ცხვრის ხორცს. ღარიბებისთვის კი ეს მარილწყალი იყო გამხმარი პურის ერთადერთი საკაზმი.

სიტყვა „წაზა“ ინგუშურ ენაზე ასევე აღნიშნავს ნეკას („წაზა პელგ“ - ნეკა თითი).

[2] სამოცი ცოლი, სამოცი ცხვარი, სამოცი ორსთხოელი: სიტყვა სამოცი ხშირად გვხვდება ინგუშურ თქმულებებში.

[3] ხი ნანა: წყლის დედა ჩეჩნური და ინგუშური მითებისა და თქმულებების პერსონაჟი.

[4] ი. დახკოლგოვის აზრით, ეს ნაწარმოები არ არის თქმულება. აქ თვალსაჩინოა ეპოსის დაშლისა და მისი ანეკდოტურ სიუჟეტად, საყოფაცხოვრებო-ნოველისტურ ზღაპრად გადაქცევა, რომელსაც სხვადასხვა ხალხის ფოლკლორი იცნობს. ინგუშურ თქმულებებში სხვაგან არ გვხვდება ისეთი სიუჟეტი, სადაც ორხუსთოელები ბრიყვებად და სულელებად არიან წარმოდგენილი. წაზიქისა და ორხუსთოელების დაპირისპირება შეიძლება ბოთყი შირთყასა და ნართ-ორსთხოელების დაპირისპირებიდან მომდინარეობდეს (Дахкильгов 2012: 380).

75. ხამჩით ფათარაზი, სესქათ სოლსა და ბათყათ შირთყა

Дахкильгов 2012: 346.

1972 წელს ნაზრანში 87 წლის აბდულ-მაჟით სოით-ალის ძე თაუთიევისგან ჩაიწერა ა. ტანკიევმა.

[1] ი. დახკილგოვის აზრით, თქმულების ეს თანამედროვე ჩანაწერი ნართების თვითმკვლელობაზე შექმნილი დანარჩენი ვარიანტებისგან განსხვავდება იმით, რომ აქ არ გვხვდება ბარაქის გაქრობაში ნართების ბრალეულობის მოტივი.

76. სესქათ სოლსა და ჟერ-ბაბა

Далгат 1972: 329-330.

1920 წელს დ. მალსაგოვმა ჩაიწერა 75 წლის გენარდუყო ფხუგის ძე ახრიევისგან. პირველად დაიბეჭდა კრებულში „Радость сердца“, Фрунзе, 1957, გვ. 235.

[1] სხვა ვარიანტებისგან განსხვავებით, აქ აღწერილია ბარაქიანი პერიოდი (მითიური „ოქროს საუკუნე“). ამის შესახებ ასევე მოთხრობილია თქმულებაში „სესქათ სოლსა და მენჯის ძვალი“.

77. ნართების აღსასრული

ССКГ 1870: 2.

ერთ-ერთი ყველაზე ძველი ინგუშური ფოლკლორული ჩანაწერი. მთიან ინგუშეთში ჩაიწერა ჩახ ახრიევმა. პირველად დაიბეჭდა 1870 წელს. იხ. ССКГ, 1870, Вып. 4. с. 2.

ჩახ ახრიევი განმარტავს, რომ ეს თქმულება კონკრეტულად ორსთხოელების დაღუპვის შესახებ მოგვითხრობს, ხოლო ნართებმა ცხოვრება კვლავაც გააგრძელეს. ჩ. ახრიევის აზრით, ორხუსთოელები ამ თქმულებაში ისჯებიან, რადგან მათ ღმერთი უარყვეს. ი. დახკილგოვი კომენტარებში მიუთითებს, რომ ჩ. ახრიევი ზოგჯერ ერთმანეთში ურევს ნართებსა და ორსთხოელებს (Дахкильгов 2012: 360).

[1] ამასთან დაკავშირებით ჩ. ახრიევი მიუთითებს: „ისინი ცდილობდნენ ხორცით გამოკვებას, მას შემდეგ რაც პურეულის მოსავალი ვერ მოიწიეს.“

[2] ამასთან დაკავშირებით ჩ. ახრიევი აღნიშნავს: „სასმლით სავსე თასის მიწვდა მთიელებში მადლიერებასა და პატივისცემას გამოხატავს“.

[3] ამ ადგილას ჩ. ახრიევი შენიშნავს: „როცა ტყის მტრედი ღუღუნებს, ისე ისმის, თითქოს ის წარმოთქვამს ინგუშურად თავის სახელს - „ჯოჯა“ და სიტყვას „სოლსან.“

78. ორშთხოელების აღსასრული

Далгат 1972: 334-335.

1892 წელს მთხრობელ განჟასგან რუსულ ენაზე ჩაიწერა ბ. დალგათმა.

[1] ბაშირ დალგათის ცნობით, ინგუშები სოსქათ სოლსას წმინდანად მიიჩნევენ (Далгат 1972: 434).

79. რის გამო ამოწყვიტა ღმერთმა ორშთხოელები

Далгат 1972: 335.

1892 წელს მთხრობელ ყაზბიქისგან რუსულ ენაზე ჩაიწერა ბ. დალგათმა.

[1] ბ. დალგათის აზრით, მთხრობელი ყაზბიქი ორშთხოელებს უწოდებს ნართებს და მათ ერთმანეთისგან არ ასხვავებს. როგორც ბ. დალგათი აღნიშნავს, სხვა მთხრობელი, განჟა ქელიგოვი (სალოცავ „მეთ-წელის“ ყოფილი ხევისბერი, აულ ფალხანიდან) ორშთხოელებსა და ნართებს განასხვავებს (Далгат 1972: 434).

[2] ***ხამჩი*** - აქ მამის სახელი. ფათრიჟი ჰქვია ხამჩის შვილს (ფათრიჟი ხამჩის ძე, იგივე ხამჩით ფათრიჟი ან ხამჩით ფათარაზი (ვარ.). ხამჩის და ფათრიჟს ოსურ ეპოსში შეესაბამება ხამიცი და ბათრაძი.

[3] ბაშირ დალგათის აზრით, თქმულების საზრისს წარმოადგენს ნართების დაპირისპირება ღმერთთან. უზდიათ დალგათი კი მიიჩნევს, რომ ამ თქმულების მიხედვით, სხვა გადმოცემებისგან განსხვავებით, გმირებს არ განდევნიან, არ ხოცავენ, არ იღუპებიან ისინი გამდნარი სპილენძის შესმით. ამ თქმულებაში ღმერთი მათ საშინელ შიმშილს მოუვლენს და ამით ანადგურებს (Далгат 1972: 434).

80. როგორ ამოწყდა ნართ-ორსთხოელთა მოდგმა

Далгат 1972: 335-336.

1920 წელს მთიან აულ ფურთოუგში გენარდუყო ფხუგის ძე ახრიევისგან ინგუშურ ენაზე ჩაიწერა დ. მალსაგოვმა.

[1] ***დელა*** : ჩეჩნურ და ინგუშურ ენებზე ჰქვია ღმერთს.

[2] ***სიელა***: ჩეჩნურ და ინგუშურ ენებზე ჰქვია დარ-ავდრისა და ჭექა-ქუხილის გამგებელ ზეციურ არსებას (შდრ. წმინდა ელია).

[3] ***ელ ჯო სესქა სოლსა***: ი. დახკილგოვის აზრით, ეს სიტყვები ინგუშურ ენაზე აზრობრივად ასე უნდა გავიგოთ: „სესქათ სოლსა, შენ იმდენად კარგი ხარ, რომ საიქიო (ელ) შენი ღირსი არ არის“.

უ. დალგათის ცნობით, თავის დროზე ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივში (Ф. 586, п. 29) ინახებოდა ამ თქმულების სხვა ვარიანტის თარგმანი, სახელწოდებით „ორსთხოელების დაღუპვა“. ამ თარგმანს ინგუში ფოლკლორისტები დ. მალსაგოვს აკუთვნებდნენ. როგორც უ. დალგათი მიუთითებს, ეს თარგმანი ორიგინალს, ამ ინგუშური თქმულების გვიანდელ პუბლიკაციას (1957), აბსოლუტურად არ ემთხვევა,

მაგრამ ის ერთგვარ ინტერესს იწვევს და ამიტომ უ. დალგათს ეს ტექსტი მოჰყავს კომენტარებში: „მთებში იყო ღვთისაგან დიდებით შემოსილი, ღვთის რჩეული, მეტად მდიდარი აული. ვერცერთი ადამიანი ვერ ბედავდა მასზე თავდასხმას, რადგან მას ღმერთი იცავდა და მფარველობდა. „ვერ მოვისვენებ, სანამ ამ აულს არ ავიღებ“. - თქვა სესქათ სოლსამ. შეკრიბა თავისი სამოცი ორსთხოელი და წავიდა მის ასაკლებად. როცა ორსთხოელები მდიდარი ნადავლით შინ ბრუნდებოდნენ, მათ ფეხქვეშ მიწა გაიპო და ისინი ღრმა ქვაბულში აღმოჩნდნენ, საიდანაც ამოსვლა ვეღარ შეძლეს. დამშეულმა ორსთხოელებმა შეჭამეს მთელი საკვები, რაც ჰქონდათ, შეჭამეს ცხენებიც. ამის შემდეგ სესქათ სოლსამ თქვა: „ხალხმა რომ არ ილაპარაკოს, ორსთხოელები შიმშილისგან დაიღუპნენო, უმჯობესია ჩვენი სურვილით დავიხოცოთ“. ორსთხოელები მის სიტყვებს დაეთანხმნენ. მაშინ მათ გაადნეს სპილენძი და თითოეულმა ორსთხოელმა თითო თასი დალია, ხოლო სესქათ სოლსამ სამი თასი შესვა. როგორც კი ორსთხოელებმა სპილენძი დალიეს, ისინი დაიხოცნენ. მხოლოდ სესქათ სოლსა იჯდა, მთელი შიგნეული ეწვოდა და საშინელ წამებას განიცდიდა. მან დაიყვირა: „ნუთუ ამ ქვეყნად არავინ არის, ვინც ერთ ყლუპ წყალს მომაწვდის?“ მგელმა, რომელიც იქვე ახლოს მირბოდა, უთხრა: „წყალს რატომ მოგიტან? თუ მოკვდები, შენი გულ-ღვიძლით გავძღები“. ყორანმა, რომელიც ახლოს მიფრინავდა, უთხრა: „თუ მოკვდები, შენს თბილ სისხლს შევსვამ და წყალს რატომ მოგიტან?“ მტრედი მოფრინდა და სესქათ სოლსას ერთი ყლუპი წყალი მოუტანა. სესქათ სოლსამ მას კისერზე ოქროსფერი ძაფი შეაბა და უთხრა: „დღეიდან შენი სახელი დაკავშირებული იქნება ჩემს სახელთან“. მოკვდა სოლსა, სესქას ვაჟი. იმ დღიდან მტრედს კისრის გარშემო აქვს ოქროსფერი ბუმბული, ოქროს ძაფის მსგავსი, რომელიც სესქათ სოლსამ შეაბა. მტრედის სახელი დაკავშირებულია სესქათ სოლსას სახელთან, რადგან მას ჰქვია „სოლსას მტრედი“ და დღემდე ღუღუნებს: „*Іэл кхо Сеска Солса, Іэл кхо Сеска Солса*“.

უ. დალგათის აზრით, ამ ტექსტში ყურადღებას იქცევს ერთი ეპიზოდი, რომელიც აღნიშნული თქმულების სხვა ვარიანტებში არ გვხვდება, კერძოდ, სესქათ სოლსა მიდის „ღმერთისგან განდიდებული“, ღვთის რჩეული აულის ასაკლებად, ანუ ის მიდის ღვთის წინააღმდეგ, რის გამოც ორსთხოელები (ღვთის ბრძანებით) ეცემიან, ისინი მიწაში ჩაინთქმებიან, საიდანაც ამოსვლა მათ ვეღარ შეძლეს (Далгат 1972: 435).

81 როგორ გაქრნენ ამ ქვეყნიდან ნართ-ორსთხოელები

Дахкильгов 2012: 364-365.

1964 წელს სოფელ გამურზიევოში 44 წლის ი. ხ. მალსაგოვისგან ჩაიწერა დ. მალსაგოვმა.

[1] ***ჟერ-ბაბა:*** არის ჩეჩნური და ღილღური ეპოსების პერსონაჟი, ქვრივი ქალი, იგივე კუდიანი დედაბერი, გრძნეული ქალი (*жеро* - ქვრივი, განათხოვარი ქალი).

[2] ***ბარაქა:*** ინგუშურ ფოლკლორში ფართოდ არის წარმოდგენილი ხსოვნა ბარაქით სავსე „ოქროს საუკუნეზე". ბარაქის გაქრობაში ხალხური ტრადიცია ნართებს ადანაშაულებს. როგორც ჩანს, იმ მიზეზით, რომ ნართები იყვნენ არა მწარმოებელი, არამედ მიმთვისებლები. ი. დახკილგოვის აზრით, მთიანი რეგიონის მეტად მწირი ეკონომიკური რესურსები ინტენსიურმა ექსპლუატაციამ სრულად გამოფიტა. ეს თქმულებაც ეხმიანება მეტად აქტუალურ საყოფაცხოვრებო მოტივს - ბარაქის დაკარგვას (Дахкилгов 2012: 365).

82. სპილენძის შესმა

Дахкильгов 2012: 366.

1973 წელს სოფელ ბამუთში ხანდაზმული მურცალ მუსას ძე მერჟოევისგან ჩაიწერა ი. დახკილგოვმა.

83. სამოცდასამი ნართის აღსასრული

Дахкильгов 2012: 368-369.

1974 წელს სოფელ ბამუთში ხანდაზმული ჰასან უსაფის ძე ტერლოევისგან ჩაიწერა ი. დახკილგოვმა.

84. რატომ იქნა მოვლენილი გადამდები სენი

Дахкильгов 2012: 369-371.

2008 წელს ქალაქ მალგობექში 80 წლის მცხოვრებისგან ჩაიწერა მაჰომეთ იანდიევმა.

[1] ***წუოყბოლათი:*** ვეფხვიანი ხმალი, ინგუშურად *„წუოყბოლათი"* (ЦIокъболат), *წუოყ (цIокъ)* – კავკასიური ჯიქი, რომელიც უკანასკნელად ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე 1956 წელს ნახეს სოფელ ალქუნის განაპირას. ეს შეხვედრა ადამიანთან ამ იშვიათი სილამაზის ცხოველისთვის სიკვდილით დამთავრდა. ჯიქი ნაფეხურები 1968 წელს შეამჩნიეს მაისტში. ი. დახკილგოვის აზრით, ძველად კავკასიაში ისეთი ხმლები იყო ქებული, რომლებზეც ცხოველის სახე იყო გამოსახული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხმლებზე მტაცებელ ცხოველს იმ მიზნით გამოსახავდნენ, რათა მათზე გამოსახული ცხოველის ძალა გადასულიყო იარაღზე. აღნიშნულ თქმულებაში სესქათ სოლსას ხმალი, სახელად წუოყბოლათი, უნდა ყოფილიყო ჯიქის, იგივე ერთგვარი კავკასიური ვეფხვის გამოსახულებით.

85. აღსასრული გამოქვაბულში

Дахкильгов 2012: 371-373.

1998 წელს ქალაქ მალგობექში 78 წლის იდრის მაჰომეთის ძე ხანიევისგან ჩაიწერა ი. დახკილგოვმა.

86. სესქათ სოლსას ლოცვა

Дахкильгов 2012: 373.

პირველად დაიბეჭდა გაზეთში «Терские ведомости» 1911. №127.

87. როდის აღდგებიან ნართები

Дахкильгов 2012: 373-376.

2003 წელს ქალაქ მალგობექში აზი ახმეტის ძე ქუშტოვისგან ჩაიწერა ი. დახკილგოვმა.

თქმულებაში ნართების დაღუპვის ტრადიციული მოტივი საერთოდ არ გვხვდება.

[1] სესქათ სოლსას რჩევის თანახმად, ნართები შიმშილობის დროს იმ ქვიდან იკვებებოდნენ, საიდანაც იშვა სესქათ სოლსა. ი. დახკილგოვის აზრით, ეს ქვა წარმოადგენდა თავისებურ „ნატვრის სუფრას“ (Дахкильгов 2012: 376).

[2] აქ მეორედ ხსენდება ეპოსში წყლის წისქვილი, რომელიც ცოცხალთა ქვეყანაში მიღმა სამყაროდან მოიტანეს. პირველად ამის შესახებ მოთხრობილია ნართულ თქმულებაში „სესქათ სოლსა და სელი პირა“.

[3] ***ნართები დაგვიცავენ:*** იგი გამოხატავს ხალხის ოცნებას უკეთეს მომავალზე, რომლის მიხედვით, ადამიანთა ხსნა სამყაროს ფერისცვალებაზეა დამყარებული.

ჩეჩნური თქმულებები ნარტ-ეისთხოელებზე

88. ალმასი

პირველად დაიბეჭდა კრებულში СМОМПК, вып. XXII, Тифлис, 1897, стр. 18-19 (И. Магамаев, Сказки и легенды чеченцев в русском пересказе).

[1] ***ალმასი***: იგივეა, რაც ქართული მითების პერსონაჟი ალი.

89. ნადირთპატრონი - მკერდზე ცულით

პირველად დაიბეჭდა კრებულში СМОМПК, вып. XXII, Тифлис, 1897, стр. 20 (И. Магамаев, Сказки и легенды чеченцев в русском пересказе).

[1] უ. დალგათის აზრით, ამ თქმულებაში შერწყმულია წარმოდგენები ორ ვაინახურ მითოლოგიურ არსებაზე. ერთი არის *ელთა* - ნადირთმფარველი, რომელიც ხალხურ ტექსტებში დადებითი თვისებებით არის წარმოდგენილი, ხოლო მეორე არის *ჰუნ საგი* - ტყის კაცი, რომელიც მუდამ მტრობს ადამიანებს (Далгат 1972: 413). ელთა ინგუშებს წარმოდგენილი ჰყავდათ თეთრი ირმის სახით, რომლის არათუ მოკვლა, არამედ დამიზნებაც კი იკრძალებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მონადირე დაბრმავდებოდა. ნადირობაში წარმატება ელთაზე იყო დამოკიდებული (ანთელავა 2017: 243).

[2] ჩეჩნური თქმულების ნადირთპატრონი, მკერდზე გამოშვერილი ვეებერთელა ნაჯახით, ძლიერ ჰგავს მეგრული ხალხური ტექსტების პერსონაჟ ოჩოკოჩს, რომელიც ასევე უღრან ტყეში ცხოვრობს და გამუდმებული კონფლიქტი აქვს მონადირეებთან; მას მკერდზე რქისებრი წანაზარდი აქვს, რითაც იგი მოწინააღმდეგეებს ამარცხებს.

90. გოლიათი გრძნეული ქალები

Далгат 1972: 265-266. პირველად დაიბეჭდა წიგნში: Н. Семенов, Туземцы Северо-Восточного Кавказа, С-Пб., 1895, стр. 112.

[1] ***ალმაზი:*** ჩეჩნურ მითოლოგიაში ტყის ქალი, დიდი ტანის, საშინელი სახის, დიდი მკერდითა და გრძელი ქერა თმით.

91. მამაცი თინინ ვისუ

Далгат 1972: 391-394, ჩეჩნური ტექსტი იხ. Нохчийн фольклор, т. III 2015: 95-99.

1960 წელს სოფელ წონტაროში საიდ ლუაევისგან ჩაიწერა ზიაუდდინ ისრაილოვმა.

[1] ***ნაშხოი:*** ადგილი ჩეჩნეთში.

[2] ***წონტაროი:*** სოფელი იჩქერიაში, ნოჟაი-იურთის რაიონში. ამ სოფელს არაერთი საგმირო სიმღერა (ილი) და გადმოცემა უკავშირდება.

[3] მთის სახელწოდება **„მწვერვალი, სადაც მგელი ყმუის“** ჩეჩნურ ენაზე არის *„ბუორზ უღუ ქუორთა“* ***(Борз угIу корта)***.

[4] **კირა**: იგივე კვირა, ქრისტიანული ტოპონიმი, რომელიც ჩეჩნეთში ქართული კულტურის გავლენით უნდა გაჩენილყო.

[5] თინინ ვისუსა და მისი ძმების ასეთი საქციელი მიანიშნებს იმაზე, რომ ისინი არაფრად აგდებენ მოსულს. მთიელთა ეთიკის მიხედვით, ასეთი საქციელი სრულიად დაუშვებელი იყო, უფრო მეტიც, სტუმრის არაფრად ჩაგდება დიდ სირცხვილად მიიჩნეოდა.

[6] ***ზილბუხარის ხმალი:*** არაბული ლეგენდის მიხედვით, მას ფლობდა მოციქული ალი.

[7] ***შავი კაცი:*** უ. დალგათის აზრით, ეს შავი კაცი სამართლიანად იბრძვის თავისი საცოლის მოსაპოვებლად და თქმულება ამ პერსონაჟის მიმართ დადებითად განგვაწყობს. ჩვეულებრივ ეპითეტი „შავი“ პერსონაჟს უარყოფითი თვისებებით წარმოგვიდგენს, მაგალითად, „შავი ნიგე“, „შავი ხოჟა“ და სხვ.

[8] ტექსტში წარმოდგენილია მთიანი ჩეჩნეთის ტოპონიმები: ერსანოი, გური, ენგენოი, თეზ-ყალა.

92. ნაური და ღოჟაყი

ССКГ, вып. VI, 1872: 45. ტექსტი რუსულ ენაზე გამოაქვეყნა უ. ლაუდაევმა სტატიაში „Чеченское племя“.

93. ღეზამათ ალი და თუოლამ-ოღო

Далгат 1972: 317-318.

1966 წელს გროზნოში ჩეჩნურ ენაზე ა. მალსაგოვმა ჩაიწერა იხვან იბრაჰიმოვისგან, რომელსაც ეს თქმულება თავისი პაპისგან მოუსმენია.

[1] ღეზამათ ალი: მამაკაცის საკუთარი სახელი, რომელიც ასე უნდა გავიგოთ, ალი, ღეზამას შვილი.

[2] თუოლამ-ოღო : ორმაგი სახელი**.**

[3] დად (მა, მამა): მამა (ჩეჩნურ ენაზე).

94. ნართ-ერსთხოელი და მოსისხლე

Нохчийн фольклор 2015: 192.

Далгат 1972: 355-356.

1963 წელს სოფელ ვალარგთეში 60 წლის მასარათ ხასახანოვისგან ჩაიწერა აბდულ-რაზაყ ზაინუტდინოვმა.

[1] გველი: ტექსტის ჩეჩნურ დედანში ამ არსებას ჰქვია „ვოთანგარი“. უ დალგათის განმარტებით, „ვოთანგარი“ არის კავკასიური გველი, არცთუ დიდი ზომის, რომელსაც ტანთან შედარებით აქვს დიდი თავი (Далгат 1972: 440). ჩეჩნებსა და ინგუშებში, ისევე როგორც სხვა ხალხებში, გვხვდება გველთან დაკავშირებული მაგიური რწმენა-წარმოდგენები.

[2] ნართ-ერსთხოელი: ამ თქმულებაში, უ. დალგათის აზრით, ნართ-ერსთხოელი განსხვავებული უნარებით არის წარმოდგენილი: ის არ არის მეომარი, ფლობს ჯადოსნობის უნარს, მწყემსავს გველებს და შეუძლია სხვა ადამიანს განსაკუთრებული ძალ-ღონე გადასცეს (Далгат 1972: 440). აქ აღბეჭდილია უძველესი ხალხური რწმენა-წარმოდგენა, თითქოს გველის ხორცის ჭამა ადამიანზე მაგიურ ზემოქმედებას ახდენდა. მსგავსი წარმოდგენა გვხვდება ჩეჩნების მეზობელი ქართველი მთიელების ფოლკლორში. კერძოდ, გადმოცემებში გველისმჭამელ მინდიაზე (იხ. ოჩიაური 2019:394). ამ თემაზე ვაჟა-ფშაველამ დაწერა პოემა „გველის მჭამელი“.

[3] თურფალი: ჩეჩნურ ენაზე დევგმირი, ბუმბერაზი.

95. ნართ-ერსთხოელი და ქუსქუზი

Далгат 1972: 288.

ჩაიწერა ს. ელმურზაევმა 1960 წელს გუდერმესის რაიონის სოფელ იშხოი-იურთში მაჰომედ თათაევისგან.

უ. დალგათის აზრით, ეს მოკლე გადმოცემები მოგვითხრობენ ნართ-ერსთხოელებზე, როგორც ხალხზე, რომლებიც თანამედროვე ჩეჩნეთის სხვადასხვა ადგილებში ცხოვრობდნენ. ეს ხალხური ნარატივი არ გამოირჩევა მხატვრული შემკულობით.

96. ნართ-ერსთხოელების წისქვილის ქვები

Далгат 1972: 288.

ჩაიწერა ს. ელმურზაევმა 1959 წელს ნოჟაი-იურთის რაიონში, სოფელ ზანდაკში მასწავლებელ ალიმფაშა მარტინკაევისგან.

97. გეპაქისა და ამირას პაექრობა

Далгат 1972: 288-289.

ჩაიწერა ს. ელმურზაევმა 1960 წელს ჩირ-იურთში 1926 წელს დაბადებულ ხაპის ვიტაევისგან.

[1] გადმოცემაში მოქმედება ხდება იმ ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობდნენ ეხქიელები, ერთ-ერთი ჩეჩნური ტომის წარმომადგენლები. ზოგი ეხქიელებს ინგუშებად მიიჩნევს. ხევსურები მათ „აჴვანს“ უწოდებდნენ. ალ. ოჩიაური წერს: „ქისტი, ღილღველი, აჴვანი ანუ აჴვა, ეს ერთი და იგივე ხალხია, მხოლოდ ცოტა გარჩევა აქვს ენაში“ (ოჩიაური 2019:200).

[2] გადმოცემაში ერთმანეთს უპირისპირდება მესაქონლეობა და მიწათმოქმედება (მთისა და ბარის მცხოვრებლები).

98. ნართ-ერსთხოელების კოშკები

Далгат 1972: 289.

ჩაიწერა ს. ელმურზაევმა 1959 წელს ნოჟაი-იურთის რაიონის სოფელ მესქეთში მწერალ აბუზარ აიდამიროვისგან.

99. თეჩა და მისი სატრფო წაი

Далгат 1972: 289-290.

ჩაიწერა ს. ელმურზაევმა 1960 წელს სოფ. ალაროში კოლმეურნე ხანმაჰომედ ბოლტუკაევისგან.

[1] ***დეჩიგ-ფანდური:*** ჩეჩნური ძველი ნაციონალური მუსიკალური ინსტრუმენტი, ქართული ფანდურის მსგავსი.

[2] უ. დალგათის აზრით, ამ თქმულებაში, ისევე როგორც სხვა გადმოცემებში, ქუოლოი კანთის, ნოურისა და ღოჟაყის შესახებ, ადგილი აქვს „ორფევსის მოტივს“, მაგრამ სპეციფიკური ინტერპრეტაციით (Далгат 1972: 419).

100. სესქათ სოლსა და შუაზე გაპობილი ლოდი

Далгат 1972: 329.

XX საუკუნის 20-იან წლებში ხ. ოშაევმა ჩაიწერა მთიან ჩეჩნეთში, ხალა-ყალაში ხალიდ ელდარხანოვისგან.

[1] ***თუმსოი-ლამ:*** მთა არღუნის ხეობაში, მთიანი ჩეჩნეთი.

[2] ამჟამად მას ჰქვია *„ადგილი, სადაც სამი და ცხოვრობდა“.*

[3] ბაშლამი: ყაზბეგის მთა, მყინვარწვერი. ამ მთას ჩეჩნები სხვა სახელწოდებითაც იცნობენ: ***„სერმაქ ბიჟინა ქუორთა“*** – „გველეშაპის ნაწოლი მწვერვალი“.

101. ორი ქალიშვილი მათი დედა და სესქათ სოლსა

Далгат 1972: 328.

1935 წელს ჩეჩნეთის სოფელ შატოიში ინგუშურ ენაზე ჩაიწერა დ. მალსაგოვმა. პირველად დაიბეჭდა ყირგიზეთში, ქ. ფრუნზეში, 1957 წელს კრებულში «Радость сердца».

[1] გამდნარი სპილენძი: გამდნარი სპილენძი და კალა ერთად (ჩეჩნ. чаIа), ნართების ეპიკური სასმელი, უ. დალგათის აზრით, ამ თქმულებაში წარმოდგენილია განსაკუთრებული თვისებით (Далгат 1972: 431).

[2] თქმულებებში ხშირად ხსენდება ცხენის მიერ წყაროს აღმოჩენა. ნართი გმირების ცხენის ფლოქვი ისე ღრმად ჩადის მიწაში, რომ ჭა წარმოიქმნება.

[3] დოქოი ქორთის მთა, შატოის მთა: მწვერვალები ჩეჩნეთის მაღალმთიანეთში, მდინარე არღუნის ხეობაში.

[4] ჩეჩნების ძველი სამონადირეო რწმენის თანახმად, დაჭრილი ნადირი სიკვდილის წინ იმ ადგილზე მიდის, სადაც მასზე ზრუნავენ.

[5] უ. დალგათის ცნობით, ჩეჩნებსა და ინგუშებში არის ხალხური წარმოდგენა, რომლის თანახმად, იყო დრო, როცა მოხუცებს გოდორში სვამდნენ და ერთი კონკრეტული ადგილიდან უფსკრულში აგდებდნენ (Далгат 1972: 431).

[6] უ. დალგათის აზრით, ამ თქმულებას სიღრმისეული კავშირი აქვს დარძა-ნენის თქმულებასთან (Далгат 1972: 431).

102. ნართ-ერსთხოელი ნაურაზი

Далгат 1972: 340.

1959 წელს სოფელ ნოჟაი-იურთში 80 წლის მუსა მულაევისგან ჩეჩნურ ენაზე ჩაიწერა ს. ელმურზაევმა.

[1] ღალა-ჩურთი: ეს ქვა, ამბობენ, რომ 500 კგ-მდე იწონის (მთხრობელის შენიშვნა).

[2] სამი მთა: ეს სამი მთა ერთმანეთისგან 5-8 კოლომეტრით არის დაშორებული (მთხრობელის შენიშვნა).

[3] ნაშხოი: ეს სოფელი მიჩნეულია ჩეჩნების წინაპრების სამშობლოდ, საიდანაც ძმებმა კერიის ცეცხლი გაინაწილეს და სხვადასხვა მხარეში დასახლდნენ (იხ. ხ. მამისიმედიშვილი, პანკისი, წარსული და თანამედროვეობა, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2008, გვ. 139).

103. ნაურაზის კოშკი

Далгат 1972: 341.

1959 წელს სოფელ ნოჟაი-იურთში მასწავლებელ ხასმაგომედ ბითიევისგან ჩეჩნური ენის ბარის დიალექტზე ჩაიწერა ს. ელმურზაევმა.

104. შვიდი ნართ-ერსთხოელი ძმის ქედი

Далгат 1972: 341.

1960 წელს სოფელ იალხოი-მოხქში 1889 წელს დაბადებულ რაას სალამოვისგან ჩეჩნური ენის ბარის დიალექტზე ჩაიწერა ს. ელმურზაევმა.

105. ნართების განადგურება

Далгат 1972: 342.

1959 წელს 30 წლის სურხო ადაევისგან ჩაიწერა ა. აბდულაევმა.

106. გერმაჩიგელი ნართები

Далгат 1972: 342-343.

1960 წელს სოფელ ენგელ-იურთში 39 წლის ადამ მეხტიევისგან ჩაიწერა ს. ელმურზაევმა.

[1] ***გერმაჩიგი:*** არის თურქული სიტყვა (გერმენჩიქი) და აღნიშნავს ციხესიმაგრეს. ამჟამად ჰქვია დასახლებულ ადგილს. ჩეჩნეთში ორ ადგილს ჰქვია გერმენჩიგი. ერთი მდებარეობს სოფელ შალის მახლობლად და მეორე - ენგელ-იურთსა და აზამათ-იურთს შორის. ამავე სახელწოდების სოფელი გვხვდება დაღესტნელ ყუმუხებში, აგრეთვე, ინგუშეთში - გერმანჩ-ბოარზ - გერმანჩის ბორცვი (Далгат 1972: 437).

[2] ეს ორი ადგილი ერთმანეთისგან დაშორებულია 9-10 კილომეტრით. გერმაჩიგი მდებარეობს ენგელ-იურთის სამხრეთით, 2 კმ-ის დაშორებით. ეს მრგვალი ადგილია, შემორტყმული თხრილებითა და მიწაყრილით. იგი დიდ კალოს ჰგავს. შუაში არის მაღლობი (თითქოს ადრე იქ ნაგებობა უნდა ყოფილიყო), დაახლოებით 20 ნაბიჯის სიგანის (მთხრობელის შენიშვნა).

[3] ***ხოშქელდი:*** ყუმუხურ ენაზე აღნიშნავს მისალმებას, სიტყვასიტყვით, „კეთილი იყოს შენი მობრძანება“. ამ ადგილზე, ამბობენ, რომ დაარსდა სოფელი ხოშქელდი, სადაც ხალხი ახლაც ცხოვრობს. მთხრობელის შენიშვნით, წყლის აღმოჩენის მომენტში წარმოთქმული სიტყვა შერჩა აულს სახელწოდებად.

[4] მთხრობელის განმარტებით, დიდი ხნის წინ იქ იპოვეს იარაღი, რომელსაც ნართები ატარებდნენ, აგრეთვე მათი ჭურჭელი და სხვა ნივთები.

107. ენგენოელი ნართები

Далгат 1972: 343-344.

1959 წელს სოფელ ენგენოიში 80 წლის მოხუც რაადისგან ჩაიწერა ხ. ოშაევმა.

[1] ჩამწერის შენიშვნით, ამ გადმოცემაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერთ-ერთ კეთილ ნართს ჰქვია მუსულმანური სახელი „ისა“. ბოროტი ნართები ჭამენ ღორის ხორცს, ხოლო კეთილი ნართები არ ჭამენ. გადმოცემაში ეს უნდა იყოს გვიანდელი მაჰმადიანური გავლენა, რაც, ხ. ოშაევის აზრით, ისლამურ დაღესტანთან სიახლოვით აიხსნება. ჩეჩნებმა მაჰმადიანობა ყველაზე ადრე ენგენოის რაიონში მიიღეს.

[2] ***მითხო:*** ტრადიციული საზოგადოება ჩეჩნეთის მაღალმთიანეთში, ხევსურეთის, კერძოდ, შატილის თემის მახლობლად და მეზობლად. ჩეჩნურ ენაზე მას ჰქვია მელხისტი. უ. დალგათის ცნობით, ეთნიკური კუთვნილების თვალსაზრისით მითხოელები თითქოს შუალედურ ადგილს იკავებენ ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის. უ. დალგათის აზრით, მითხოელები რამდენადმე უფრო მეტ სიახლოვეს ინგუშებთან ამჟღავნებენ (Далгат 1972: 437). მკვლევარი არ მიუთითებს, თუ რაში გამოიხატება კონკრეტულად ეს სიახლოვე.

[3] ***ქერისტი:*** ჩეჩნურ ენაზე - ქრისტიანი.

[4] იქიდან, საიდანაც იურთუსმა, გადმოცემის მიხედვით, ცული გატყორცნა მდინარე აყთაშის მაღალ ნაპირამდე, 8 კილომეტრი იქნება.

[5] როგორც ჩანს, ჩეჩნების გამაჰმადიანების შემდეგ ნართებმა თქმულებაში მიიღეს ურწმუნოსა და გიაურის სტატუსი. უ. დალგათის აზრით, ძველ თქმულებაში შეიჭრა ანტაგონისტური ხასიათის ახალი რელიგიური მოტივი (Далгат 1972: 438).

[6] მოხუცი ირწმუნებოდა, რომ ეს ამბავი ნამდვილად მოხდა. საიდან მოვიდნენ ბოროტი ნართები, რაადუმ არ იცოდა (ჩამწერის კომენტარი).

108. მარტოხელა ქვრივი დედაკაცი და ნართები

Далгат 1972: 337.

პირველად 1872 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა თბილისში, კრებულში ССКГ (Сборник сведений о кавказских горцах). იხ. უ. ლაუდაევის სტატია «Чеченское племя», გვ. 44.

[1] ***იჩქერია:*** ჩეჩნეთის ცენტრალურ ტერიტორიას ჰქვია იჩქერია. უ. დალგათის ცნობით, ეს სახელწოდება მომდინარეობს ყუმუხური სიტყვიდან „იჩი-ერი“, რომელიც აღნიშნავს „მთებს შორის ადგილს“. ჩეჩნურ ენაზე მას ჰქვია „ნოხჩი-მუოხქ“ ან „ნოხჩიჩუე“ - ჩეჩნების მიწა, ჩეჩნების ქვეყანა.

109. იალხოიმოხქელი დევგმირები

Далгат 1972: 332-333. უ. დალგათის წიგნში ამ გადმოცემის სათაური არის „იალხოიმოხქური თქმულება“ (Ялхой-мохкское сказание).

პირველად 1895 წელს დაიბეჭდა რუსულ ენაზე (იხ. Н. Семенов, Туземцы Северо-восточного Кавказа, С-Пб., 1895, стр. 115.).

[1] ***იალხოი-მოხქი:*** იჩქერიაში პატარა აული, რომლის სასაფლაოზეც, უ. დალგათის ცნობით, არის დიდი ქვების გროვა. მას ადგილობრივი მცხოვრებლები საფლავის ქვებად იყენებენ.

[2] ***სხეულის სითეთრე:*** ჩეჩნური ტრადიციული ესთეტიკის მიხედვით, იგი ითვლებოდა ქალის სილამაზის უმთავრეს ღირსებად.

[3] ***ავი თვალი:*** ამ ეპიზოდში ვხედავთ აშკარა პარალელიზმს ხევსურულ წარმოდგენებსა და გადმოცემებთან ე. წ. ნაწილიან ადამიანებზე, რომელთა სხეულის ერთი ნაწილიც ანათებდა. ეს ნიშანი ნაწილიან ადამიანებს დაბადებიდან ჰქონდათ ან მკერდზე, ან ბეჭზე. ითვლებოდა, რომ იგი იყო გამორჩეულობისა და ღვთისაგან იღბლიანობის ნიშანი, რომელიც მის დაქორწინებამდე, დედის გარდა, არავის არ უნდა სცოდნოდა და საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. გადმოცემების მიხედვით, ნაწილიანი გმირები იყვნენ მამუკა ქალუნდაური, თორღვა ძაგანი („მარჯვნივ მზე წერებულიყვა, მარცხნისკენ - მთვარის ნალევი“) და სხვები. ჩეჩნურ თქმულებაში ნაწილს ქალიშვილი ფლობს, რომელიც მწყემსებმა დაინახეს. ქალიშვილი ამ მიზეზით იღუპება. ნაწილიანი ადამიანის დაღუპვის შემდეგ, ხევსურული წარმოდგენების მიხედვით, ნაწილს გველი ეუფლებოდა.

[4] ***ხორციანი გალანები:*** ჩეჩნების ეროვნული კერძი (ჟიჟიგ ღალანაშ), შედგება მოხარშული ხორცისა და მოხარშული ცომისგან (გალანებისგან).

[5] უ. დალგათის აზრით, იალხოიმოხქელ დევგმირებში ნართ-ერსთხოელები მოიაზრებიან (Далгат 1972: 433).

110. სად გადაიკარგნენ ნართ-ერსთხოელები

Далгат 1972: 337.

პირველად დაიბეჭდა: იხ. СМОМПК, вып. XXII, 1897, стр. 12 (И. Магомаев, Сказки и легенды чеченцев в русском пересказе).

[1] უ. დალგათის აზრით, ზოგჯერ ნართები სვამენ სპილენძს, როგორც ჩვეულებრივ სასმელს (Далгат 1972: 435).

[2] ამ ტექსტში არ გვხვდება ნართების დაღუპვის ტრადიციული მოტივი. საქმე ეხება მხოლოდ მათ ცაში გადასახლებას.

[3] ეს უნდა იყოს დიდი დათვის თანავარსკვლავედი, რომლის შესახებ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში და, მათ შორის ჩეჩნებში, სხვადასხვა შინაარსის მითები არსებობს.

111. შვიდი ხორაჩოელი ძმა და მათი დედა ერთე-ემილი

Далгат 1972: 344-345.

პირველად 1895 წელს დაიბეჭდა რუსულ ენაზე (იხ. Н. Семенов, Туземцы Северо-восточного Кавказа, С-Пб., 1895, стр. 115.). როგორც ნ. სემიონოვის, ისე უ. დალგათის წიგნში ამ გადმოცემის სათაური არის „ხორაჩოული თქმულება“ (Хорачоевское сказание).

[1] ***ერბი:*** ნ. სემიონოვის აზრით, „ერბი“ ჩეჩნურ თქმულებაში იმავე მნიშვნელობით არის, როგორც ოსურ ეპოსში ნართები. მაგრამ ასე არ უნდა იყოს. „ერბი“ უფრო ერთ მამიშვილობას უნდა აღნიშნავდეს. უ. დალგათის ცნობით, ტომის სახელწოდება „ერბი“ და ქალის საკუთარი სახელი „ერთეემილი“, ამ თქმულების გარდა, ჩეჩნურ გადმოცემებში სხვაგან არ გვხვდება.

[2] უ. დალგათის აზრით, მამალთან და ცხვართან ერთად მოხეტიალე „უკვდავი დედის“ სახე ეხმაურება თქმულებას „ორი ქალიშვილი, მათი დედა და სესქათ სოლსა“. თქმულების მიხედვით, დაქოი-ქორთის (დაქუეხის) მწვერვალზე, სადაც ნართებისგან დევნილი დედა და მისი ორი ქალიშვილი დაბინავდა, ხშირად მამლისებრი ყივილი ისმოდა (Далгат 1972: 438). უ. დალგათი ასევე მიუთითებს აღნიშნული მოტივებისა და მითოლოგიური სახეების პარალელიზმზე ინგუშურ თქმულებასთან „ქარბუქის დედა - დარძა-ნენი“ (Дардза-наьнильг). თქმულების შინაარსი ასეთია:

„დარძა-ნენს ჰყავდა შვიდი ვაჟი, რომლებმაც დედა მიატოვეს და ცაში წავიდნენ. ისინი ცაზე მხოლოდ ღამით ჩნდებიან. ეს არის დიდი დათვის თანავარსკვლავედი, რომელსაც ინგუშურ ენაზე ჰქვია „დარძა-ყონგაშ“ (ქარბუქის შვილები). თვითონ დედა ზის მყინვარის (ბაშლამის) თოვლიან მწვერვალზე. დარძა-ნენს მუდმივად სამი მუგუზალი უნთია. დარძა-ნენს მუდმივად აქვს გამოულეველი პური და ცხვრის ბარკალი, რომელსაც პურის ჭამის შემდეგ იმდენივე ემატებოდა, რამდენიც აკლდებოდა. ამბობენ, რომ დარძა-ნენს მყინვარის თოვლიან მწვერვალზე ჯადოსნური წრე ჰქონდა შემოხაზული, რომლის გადალახვა არცერთ მოკვდავს არ შეეძლო. ვინც გაბედავდა და წრეს გადალახავდა, დარძა-ნენი მას ყინულებში ჩაკარგავდა და გააქრობდა. ის არავის უნახავს, მაგრამ მრავალ ადამიანს მოუსმენია მისი მამლისებრი საშინელი ყივილი, რომლითაც დარძა-ნენი იმ მგზავრებს აშინებდა, რომლებიც ჯადოსნურ წრესთან მიახლოებას გაბედავდნენ“ (ეს გადმოცემა 1891 წელს აულ ფალხანში სალოცავ „მეთ-წელის“ ყოფილმა ხევისბერმა განჟა ქელიგოვმა რუსულ ენაზე ჩააწერინა ბაშირ დალგათს. იხ. Дахкильгов 2012: 38).

შემოკლებანი:

თსუ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თსუფა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი

ЗКОИРГО - Записки кавказского отдела Императорского русского географического общества

ЭО - Этнографическое обозрение

ИФ - Ингушский фольклор, т. II, Грозний, 1967 (на ингуш. яз.)

НФ - Нохчийн фольклор, т. III, Соьлжа-ГІала, 2015 (на чечен. яз.)

ССКГ - Сборник сведениий о кавказских горцах

СМОМПК – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа

ლიტერატურა

აბაევი 1988: ვ. აბაევი, ოსთა ნართული ეპოსი, წინასიტყვაობა წიგნის, ნართები, ოსურიდან თარგმნა მ. ცხოვრებოვამ, გამომცემლობა „ირისთონი“, ცხინვალი, 1988.

აგიოგრაფიული ძეგლები 1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, წიგნი I (V-X სს), ილია აბულაძის რედაქციით, „მეცნიერება“, თბ., 1964.

ათას ერთი ღამე 1969: ათას ერთი ღამე, რვა ტომად, ტომი I, არაბულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო ნანა ფურცელაძემ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1969.

ამირანიანი 2019: ამირანიანი, ქართული ხალხური პროზა, II, ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2019.

ანდრეზები 2009: კიკნაძე ზ., ანდრეზები, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.

ანთელავა 2006: ანთელავა ნ., აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები, ენციკლოპედია, თბილისი, 2006.

ანთელავა 2017: ანთელავა ნ., კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017.

ანთოლოგია 2010: ხალხური პოეზიის ანთოლოგია, შედგენილი ზ. კიკნაძისა და ტ. მახაურის მიერ, გამომცემლობა „მემკვიდრეობა“, თბილისი, 2010.

აფხაზური ეპოსი 2007: ამბავი ნართებისა, აფხაზური ხალხური ეპოსი, „კავკასიური სახლი“, თბილისი, 2007.

აფხაზური ფოლკლორი 2003: აფხაზური ფოლკლორი, გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, თბილისი, 2003.

ბალიაური... 1989: ბალიაური მ., მაკალათია ნ., მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, „მეცნიერება“, თბილისი, 1989.

ბარდაველიძე 1974: ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, „მეცნიერება“, თბ., 1974.

ბეოვულფი 1989: ბეოვულფი, ანგლო-საქსური ეპოსი, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1989.

ბოჭორიძე 1993: ბოჭორიძე გ., თუშეთი, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. აზიკურმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1993.

გაბლიანი 1925: გაბლიანი ე., ძველი და ახალი სვანეთი, „სახელგამი“, ტფილისი, 1925.

გიორგიძე 2011: გიორგიძე (ჭარაია) პ., აფხაზეთი და აფხაზნი (საეთნოგრაფიო აღწერა), თბილისი, 2011.

გრიშაშვილი 1927: გრიშაშვილი ი., ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, ტფილისი, 1927.

გურამიშვილი 2013: გურამიშვილი დ., დავითიანი (სრული ტექსტი, სახელმძღვანელო საშუალო სკოლისა და უნივერსიტეტისათვის, ნოდარ ნათაძის შესავალი წერილით, განმარტებებითა და კომენტარებით, სასწავლო გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013.

ედილი 1947: ედილი ზ., საინგილო, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1947.

ელიადე 2009: ელიადე მ., მითის ასპექტები, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.

ელიადე 2017: ელიადე მ., მარადიული დაბრუნების მითი, არქეტიპები და განმეორებადობა, გამომცემლობა „ალეფი“, თბილისი, 2017.

ელიადე 2018: ელიადე მ., მითები, სიზმრები და მისტერიები, გამომცემლობა „ალეფი“, თბილისი, 2018.

ვახუშტი 1973: ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

ზუხბა 1988: ზუხბა ს., აფხაზური ზეპირსიტყვიერება, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1988.

თოფჩიშვილი 2019: თოფჩიშვილი რ., თრუსო - საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე (თრუსოელები XVII საუკუნის შუა ხანებამდე და შემდგომ), გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბ., 2019.

თსუფა №29 865: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი (ტექსტი №29 865: მთხრობელი მზექალა უთურგას ასული გოგოჭური-ჭინჭარაულისა, 1983 წელს ჩაიწერეს ზ. კიკნაძემ და ა. ლეკიაშვილმა)

თსუფა №31 427: მთხრობელი: ნიკოლოზ ქარდავა (22 წლის), მცხოვრები წალენჯიხის რაიონის სოფელი ფახულანში, თსუ ისტორიის მიმართულების III კურსის სტუდენტი. ეს გადმოცემა ნიკოლოზ ქარდავას მოუსმენია სოფლებში: ობუჯში, ქიაჩსა და ჯგალში. ჩაიწერა ხ. მამისიმედიშვილმა 2019 წლის 27 მაისს.

კასტელი 1977: დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, „მეცნიერება“, თბ., 1977.

კიკნაძე 1989: კიკნაძე ზ., საუბრები ბიბლიაზე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1989.

კიკნაძე 2001: კიკნაძე ზ., ქართული ხალხური ეპოსი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბილისი, 2001.

კიკნაძე 2008: კიკნაძე ზ., ქართული ფოლკლორი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2008.

კიკნაძე 2016 ა: კიკნაძე ზ., ქართული მითოლოგია, I, ჯვარი და საყმო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016.

კიკნაძე 2016 ბ: კიკნაძე ზ., ქართული მითოლოგია, II, ფარნავაზის სიზმარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016.

ლიახველი 1885: ლიახველი გ., ოსური ლეგენდები, ჟურნალი „მწყემსი“, №21, შორაპანი, 1885.

მაკალათია 1934: მაკალათია ს., ხევი, ტფილისი, 1934.

მამისიმედიშვილი 1997: მამისიმედიშვილი ხ., ვაინახები და ქართველი მთიელები, გამომცემლობა „ლომისი“, თბილისი, 1997.

მამისიმედიშვილი 2008: მამისიმედიშვილი ხ., პანკისი, წარსული და თანამედროვეობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008.

მამისიმედიშვილი 2009: მამისიმედიშვილი ხ., ჯვარ-ხატები საკულტო ტექსტებში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009.

მამისიმედიშვილი 2015: მამისიმედიშვილი ხ., ოსური ფოლკლორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.

მამისიმედიშვილი 2017: მამისიმედიშვილი ხ., საკრალური ისტორიები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017.

მეგრული ტექსტები 1991: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, ზღაპრები და მცირე ჟანრები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კ. დანელიამ და აპ. ცანავამ, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1991.

მერჩულე 1989: მერჩულე გ., გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად, ტ. 1, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1989.

ნაკაიძე 2016: ნაკაიძე შ., სანება - ცროლისწვერის მფრინავი ჯვარი, https//shalvanakaidze.blogspot.com/2016/?view=classic

ნართები 1988: ნართები, ოსურიდან თარგმნა მ. ცხოვრებოვამ, გამომცემლობა „ირისთონი“, ცხინვალი, 1988.

ოსური ზღაპრები 2019: ოსური ხალხური ზღაპრები, ოსურ და ქართულ ენებზე, წიგნის შემდგენელი და მთარგმნელი ნაირა ბეპიევი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2019.

ოჩიაური 1967: ოჩიაური თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1967.

ოჩიაური 1980: ოჩიაური ალ., სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, გამომცენლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1980.

ოჩიაური 1988: ოჩიაური ალ., ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი (არხოტის თემი), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1988.

ოჩიაური 1991: ოჩიაური ალ., ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1991.

ოჩიაური 2019: ოჩიაური ალ., მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი, 2019.

რუსთაველი 1986: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ბოლოსიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ, გამომცემლობა, „განათლება“, თბილისი, 1986.

რუხაძე 1999: რუხაძე ჯ., ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში (ბერიკაობა-ყეენობა), თბილისი, 1999.

სანიკიძე 1975: სანიკიძე თ., გერგეტის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, „მეცნიერება“, თბილისი, 1975.

სადიდებლები 1998: ჯვარ-ხატთა სადიდებლები, ტექსტები შეკრიბეს, შესავალი ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ზ. კიკნაძემ, ხ. მამისიმედიშვილმა და ტ. მახაურმა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 1998.

სიმღერა ნიბელუნგებზე 1982: სიმღერა ნიბელუნგებზე, თარგმნა აკ. გელოვანმა, „მეცნიერება“, თბილისი, 1982.

სიხარულიძე 1961: სიხარულიძე ქს., ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I ტომი, ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქს. სიხარულიძის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1961.

სიხარულიძე 1964: სიხარულიძე ქს., ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, II ტომი, ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქს. სიხარულიძის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1964.

სიხარულიძე 2006: სიხარულიძე ქ., კავკასიური მითოლოგია, „კავკასიური სახლი“, თბილისი, 2006.

სომხური ეპოსი 1939: სომხური ეპოსი, დავით სასუნელი, ლ. მელიქსეთბეგის რედ., თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1939.

უმიკაშვილი 1937: პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწილი I, ლექსები, ანდაზები, გამოცანები, რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ფ. გოგიჩაიშვილისა, გამომცემლობა „ფედერაცია“, თბ., 1937.

ფარეულიძე 2003: რ. ფარეულიძე, ჩეჩნურ-ქართული ლექსიკონი, გამომც. „ქართული ენა“, თბილისი, 2003.

ქოროღლი 2003: ქოროღლი, აზერბაიჯანული ხალხური ეპოსი, ტ.1. აზერბაიჯანულიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა, გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, თბილისი, 2003.

ღამბაშიძე 2008: ღამბაშიძე გ., ქართული კულტურის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში - ენციკლოპედია: ქართული ენა, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, 2008.

ღამბაშიძე 2015: ღამბაშიძე გ., ქართული ფსალმუნი მაღი-ერდის ეკლესიიდან, საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, მასალები, თბილისი, 2015. http://saunje.ge/index.php?id=1721&lang=ru

შანიძე 1931: შანიძე აკ., ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1931.

შელოცვები 1994: ქართული ხალხური შელოცვები, კრებული შეადგინა და შენიშვნები დაურთო თინა შიოშვილმა, ბათუმი, 1994.

ჩიქოვანი 1947: ჩიქოვანი მ., მიჯაჭვული ამირანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1947.

ცანავა 1982: ცანავა რ., კირკეს მითოსური სახე და ქართული სამონადირეო ღვთაებები, ჟურნალი „ქართული ფოლკლორი“, ტ. XII, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1982.

წმინდანთა ცხოვრება 2001: წმინდანთა ცხოვრება, ტომი III, თბილისი, 2001.

ჭინჭარაული 1979: ჭინჭარაული ალ., ქართველებისა და ვაინახების კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის ზოგი საკითხი, არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1979.

ხალხური სიბრძნე 1964: ხალხური სიბრძნე ხუთ ტომად, II, ქართული ზღაპრები, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1964.

ხალხური სიტყვიერება 1954: ხალხური სიტყვიერება, IV, ეთერიანი, მიხეილ ჩიქოვანის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1954.

ხანგოშვილი 2006: ხანგოშვილი მ., ვაინახური საგმირო ეპოსი, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 2006.

ხიზანაშვილი 2018: ხიზანაშვილი დ., ფშავეთი და ფშავლები, საქართველოს პარლემენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი, 2018.

ხორნაული 2015: ხორნაული გ., აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტოპონიმია, ფშავი, ტომი I, თბილისი, 2015.

ჰომეროსი 1975: ჰომეროსი, ოდისეა, ძველბერძნულიდან თარგმანი, შესავალი, შენიშვნები, ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელის, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1975.

Der Koran 1991: Der Koran, Einleitung und Anmerkungen von Annemarie Schimmel. Philipp Reclam jun., Stuttgart, 1991.

Grimm 2018: Grimm W., Die Sage von Poliphem, “Forgotten Books”, 2018.

Eliade 1963: Eliade M,. Aspects du mythe, Gallimard, 1963.

Merzbacher 1901: Merzbacher G., Aus den Hochregionen des Kaukasus, Wanderungen, Erlebnisse, Beobachtungen, Zweiter Band, Verlag von Duncker Humblot, Leipzig, 1901.

Otto 1962: Otto Walter F., Mythos und Welt, *Ernst Klett Verlag*, Stuttgart, 1962.

Schweiger-Lerchenfeld 1887: Schweiger-Lerchenfeld, Amand Freiherr von, Zwischen Donau und Kaukasus, *A. Hartlebens Verlag*, Wien, 1887.

Wilkinson 1837: Wilkinson Henry, On the Cause of the External Pattern, or Watering of the Damascus Sword-Blades, The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland, Cambridge University Press,vol. 4. N0. 1, 1837. https://www.jstor.org/stable/25207491

Zumthor 1990: Zumthor P., Einführung in die mündliche Dichtung, Akademie-Verlag, Berlin, 1990.

Абаев 1945: Абаев В. И., Нартовский эпос, «Известия Северо-Осетинского НИИ», т. X, вып. I. Дзауджикау, 1945.

Акиева 2016: Акиева П. Х., Архетипическое в этнокультуре ингушей (на материале мифологии, нартского эпоса и обрядов жизненного цикла), Дисертация на соискание ученой степени доктора исторических наук, Дагестанский научный центр РАН институт истории, археологии и этнографии, Махачкала, 2016.

Акиева 2017: Акиева П. Х. Мифологема меди в ингушском мотиве принятия смерти нартами, Нартоведеные в XXI веке: современные парадигмы и интерпретации, вып. 4. Сборник научных трудов, Северо-осетинский институт гуманитарных и социальных исследований им. В. И. Абаева, филиал Владикавказского научного центра, Владикавказ, 2017.

Алироев 1994: Алироев И. Ю., История и культура чеченцев и ингушей, Рик «Ичкерия», Грозный, 1994.

Асхабов 2001: Асхабов И. А., Чеченское оружие, «Клуб Кавказ», Москва, 2001.

Ахриев 1870: Ахриев Ч., Из Чеченских сказаный, Сборник сведений о кавказских горцах, выпуск IV, Тифлис, 1870.

Ахриев 1871: Ахриев Ч. Э., Ингушские праздники, Сборник сведений о кавказских горцах, выпуск V, Тифлис, 1871.

Ахриев 1875: Ахриев Ч. Э., Ингуши, (их предания, верования и поверия), Сборник сведений о кавказских горцах, выпуск VIII, Тифлис, 1875.

Бебутов 1867: Бебутов Д. И., 1867, №6, №7, «Военный сборник», Тифлис, 1867.

Великая, Виноградов...1990: Великая Н. И., Виноградов В.Б., Хасбулатова З. И., Чахкиев Д. Ю., Очерки этнографии чеченцев и ингушей (дореволюционный период), Чечено-Ингушский государственный университет, Грозный, 1990.

Воронов 1979: Воронов Ю. Н. 1979, Древности Сочи и его окрестностей, Краснодар, 1979.

Гаглойти 1989: Гаглойти Ю. С., Осетино-вайнахские нартские паралели, // Проблемы этнографии осетин, Орджоникидзе 1989.

Гамбашидзе 2003: Гамбашидзе Г. Г., Несколько ингушских фольклорных и этнографических парадигм, касающихся храма Ткобя-ерда (Ингушетия), Археология, этнология и фольклористика Кавказа, Материалы международной конференции, 17-18 ноября, Ереван, 2003.

Гинзбург 2000: Гинзбург К. Сыр и черви, Картина мира одного мельника жившего в XVI в., Издательство РОССПЭН, Москва, 2000.

Гутнов 2004: Гутнов Ф. Х., Века и люди (Из истории осетинских сел и фамилий), выпуск 2, Владикавказ.2004. http://www.iriston.com/nogbon/news.php?newsid=181

Далгат 1901: Далгат Б. К., Страничка из северо-кавказского багатырского эпоса // Этнографическое обозрение, №1, Москва, 1901.

Далгат 1972: Далгат У. Б., Героический эпос чеченцев и ингушей, издательство «Наука», Москва, 1972.

Далгат 2015: Далгат У. Б., Нартский эпос народов кавказа, издательство АО «ИПК Грозенский рабочий», Грозный, 2015.

Дахкильгов 2012: Дахкильгов И. А., Ингушский нартский эпос, Тексты и исследование, ООО «Тетраграф», Нальчик, 2012.

Дестунис 1883: Дестунис Г., Разыскания о греческих багатырских былинах средневекового периода, Имп. Акад. наук, Санкт-Петербург, 1883.

Джапуа 2017: Джапуа З. Д., Семантика камня в абхазском нартском эпосе, Нартоведеные в XXI веке: современные парадигмы и интерпретации, вып. 4. Сборник научных трудов, Северо-осетинский институт гуманитарных и социальных исследований им. В. И. Абаева, филиал Владикавказского научного центра, Владикавказ, 2017.

Дзидзигури 1971: Дзидзигури Ш. В., Грузинские варианты нартского эпоса (Иследование, тексты), издательство «Мерани», Тбилиси, 1971.

Дюмезиль 1976: Дюмезиль Ж., Осетинский эпос и мифология, издательство «Наука», Москва, 1976.

Дьячков-Тарасов 1902: Дьячков-Тарасов А. Н., Абадзехи (Историко-етнографический очерк), ЗКОИРГО (Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества), Книжка 22. Выпуск 4.,Тифлис, 1902.

Ипполитов 1868: Ипполитов А. П., Этнографические очерки аргунского округа, Сборник сведений о кавказских горцах, выпуск 1, Тифлис, 1868.

Калоев 1989: Калоев Б. А., Осетино-вайнахские этнокультурные связи, Кавказский этнографический сборник, IX, Москва, 1989.

Крупнов 1971: Крупнов Е. И., Средневековая Ингушетия, издательство «Наука», Москва, 1971.

Лаудаев 1872: Лаудаев У., Чеченское племя, Сборник сведений о кавказских горцах, выпуск VI (I), Тифлис, 1872.

Магамаев 1897: Магамаев И., Сказки и легенды чеченцев в русском пересказе, СМОМПК, вып. XXII, Тифлис, 1897.

Мамаев... 2016: Мамаев Р. Х., Мамаева Р. А., Мамаев Х., О новых находках сосудов с надписями из склепового могильника «Цой-Пхеде» (Малхиста), Всероссийская научно-практическая конференция студентов, молодых ученых и аспирантов «Наука и молодёжь», Чеченский государственный университет, Грозный, 27-28 октября, 2016.

Мамиев 2010: Мамиев М., Святой Георгий в осетинской религиозной традиции, 2010. http://www.rushill. ru

Мамисимедишвили 2014: Мамисимедишвили Х. И., Ритуальное восстановление архетипной модели в осетинской песне "Есть зерно" (ес хуар), Журнал - Известия СОИГСИ (учреждение российской академии наук северо-осетинский институт гуманитарных и социальных исследованний им. В. И. Абаева ВНЦ РАН и правительства РСА-А), выпуск 11 (50), Владикавказ, 2014. http://izvestia-soigsi.ru/archive/vipusk-11

Мамисимедишвили 2014: Мамисимедишвили Х. И., Грузинский *Джвари* и осетинский *Дзуар* (генезис, функция, типология), Кавказоведческие разискания, №6, Тбилиский госудпрственный университет им. Иванэ Джавахишвили, факултет гуманитарных наук, Институт кавказоведения. Тбилиси, 2014.

Миллер 1888: Миллер В. Ф., Археологические наблюдение в области чеченцев, в книге: Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Императорского Московского археологического общества, снаряженными на высочайше дарованыя средство, под ред. и с предисл. гр. Уваровой, Вып. 1 : Терская область : археологические экскурсии Всев. Миллера, Москва, 1888.

Миллер 1891: Миллер В. Ф., Кавказо-русские параллели, ЭО, №3, Москва, 1891.

Мифы и легенды 2004: Мифы и легенды народов мира, Народы России: Чеченские мифы, Сборник, Мир книги, Москва, 2004.
http://skazanie.info/chechenskie-mify

Нарты 1994: Нарты, Героический эпос балкарцев и карачаевцев, Восточная литература, М., 1994.

Нохчийн фольклор, т. III 2015: Нохчийн фольклор, том III, *Халхара переиздани, тIетоьхна,* Нохчийн республикин Iилманийн академи, АО «ИПК «Грозненский рабочий», Сольжа-ГIала, 2015.

Осетинские сказания 1948: Осетинские нартские сказания, Государственное Издательство Северо-Осетинской АССР, Дзауджикау, 1948.

Посвытский 1849: Посвытский, Церковъ въ деревне Хули, у кистовъ, газет «Кавказъ», 1849, 15 января, №3.

Пропп 1955: Пропп В. Я., Русский героический эпос, издательство Ленинградского университета, Москва, 1955.

Пропп 1986: Пропп В. Я., Исторические корни волшебной сказки, Изд-во ЛГУ, Ленинград, 1986.

Рак 1998: Рак И. В., Зороастрийская мифология (Мифы древнего и раннесредневекового Ирана), Санкт-Петербург, 1998.

Самойлов 1855: Самойлов К., Заметки о Чечне // Пантеон, т. XXIII, Санкт-Петербург, 1855.

Семенов 1895: Семенов Н., Туземцы Северо-восточного Кавказа, Санкт-Петербург, 1895.

Сасунские удальцы 2004: Сасунские удальцы, Армянский народный эпос, избранные варианты, перевод текстов, составление и словарь-комментарии академика НАН РА Карапета Мелик-Оганджаняна, Национальная академия наук Республики Армения, «Ван Арьян», Ереван, 2004.

ССКГ 1875: Сборник сведенииий о кавказских горцах, Вып. VIII, Тифлис, 1875.

Сулейманов 1978: Сулейманов А. С., Топонимия чечено-ингушетии, II часть, горная Ингушетия, чечено-ингушское книжное издательство, Грозный, 1978.

Сулейманов 1997: Сулейманов А. С., Топонимия Чечни, издательский центр «Эль-фа», Нальчик, 1997.

Халидова 1985: Халидова М. Р., Общее и особенное в нартских сюжетах народов дагестана и северного кавказа, в книге «Дагестанский фольклор во взаимосвязах с иноэтническим фольклором», Махачкала, 1985.

Халухаев... 2013: Халухаев Г., Кузнецова А., Ингушский нартский эпос: структура и место в мировом фольклоре, Москва, 2013.

Цароева а 2016: Цароева М. Г., Следы христианства у ингушей, Матерялы международной научной конференции, Ингушетия в контексте научных проблем и перспектив изучения кавказа, г. Магас, 14-16 ноября 2016.

Цароева б 2016: Цароева М. Г., Древнейшие мотивы ингушской мифологии, Материалы международной научно-практической конференции: «Нартоведение в 21 веке: проблемы, поиски, решения, Ингушский научно-исследовательский институт гуманитарных наук имени Чаха Ахриева, Магас, 2016.

Цароева 2017: Цароева М. Г., Об ингушских полубожествах нартах, электронная библиотека музея антропологии и этнографии им. Петра Великого (кунсткамера) РАН, http://www.kunstkamera.ru/lib/rubrikator/03/03_05/978-5-88431-299-9/

Чибиров 2008: Чибиров Л. А., Традиционная духовная культура осетин, Российская политическая энциклопедия, Москва, 2008.

საძიებლები

პერსონჭთა საკუთარი სახელები

ალბიგა - 378
ალბიქა - 90, 312-315, 423
ამირა - 386-387, 440
აჩამა - 323-324, 333-335, 426
ახლო - 260-264
ბეთარი - 113-114, 191-196, 198-200, 202-203, 212-213, 248-250, 406, 408
ბათიგა - 184
ბათიგა შირთყა - 366
ბათიგ შერთყა - 8, 204, 207-208, 406-407
ბათიგათ შითყა - 183-186
ბარათი - 216
ბარახოი კანთი - 32, 74, 99-101, 341-344, 430-431
ბარქუმ კანთი - 340-341, 429
ბარქჩაფო - 216-217
ბეთა ლირა - 60, 82-83, 87, 89, 112, 131, 274, 278
ბელში - 378, 381
ბიიდოლგ-ბერე - 319-320, 425
ბოთაყი შირთყა - 221
ბოთოყო შერთუყო - 8, 227, 254
ბოთოყოთ შირთყა - 60, 303-304, 420
ბოთყა - 292-294, 297, 419
ბოთყი შირთყა - 15, 39-40, 104, 206-207, 222-224, 274-275, 278, 281-283, 300, 303, 407, 432
ბოლათი - 267-268, 417
ბორა აბაევი - 61, 338, 429
გეპაქი - 386-387, 440
გერმანჩა - 325-328, 427
გორჟაი - 28, 71, 227-230, 410
გუი - 315-316, 423
დარძა-ნენი - 172-176, 441, 445
დურსი - 290
ეჟი - 377-378
ერთე-ემილი - 169, 172-173, 176, 400-402, 444-445
ეშქი - 32, 70-71, 226-227, 410
ვადალი - 386
ვენაგი - 387
ზაიზო - 323-324
ზაგქა - 216
თახშაყო -32, 221, 228-229
თეზი - 377-378
თეჩა - 388, 440
თინინ ვისუ - 32, 77, 373-374, 376, 438
თუოლამ-ოლო - 75, 382-385, 439
თუოხი - 43-44, 73, 90-91, 100, 103, 278-288, 418
თური - 320-321
ინქარი - 73, 91, 100, 280-286
იურთუსი - 395
კინდა - 222
კინდათ შოა 74, 222-225, 409-410
ლოამან ხა - 75, 76, 230-234, 411
ლორსა - 72, 236-242, 411, 424
მაირა - 267-268, 417, 419
მელხათ აზა - 43-44, 73, 82, 84, 90-91, 96-100, 131, 279-288, 418
მეხქა ასთბი - 69, 76, 335-338, 428
მირზა - 99, 379, 381
მოახაზი - 43-44, 287-289, 418
ნაურაზი - 117, 390-391, 441-442

ნერთბი - 40, 44, 60, 178, 275-278, 287-289
ნესარგი - 74, 329-333, 428
ნესარი - 129, 230, 323-326, 333-335, 426-428
ნოური - 99, 378-381, 440
ორზმი - 32, 221, 255, 257-258
ორზმით ორშმა - 87, 96-98, 264-267, 415
ორუზბი - 229
ორშამარათ ერში - 54-55, 259, 415
ოხლო - 42, 251-252
ოხქარ კანთი - 99, 312, 422-423
ოხქარხოი კანთი - 312-315
ჟოვ-ბეთარი - 34, 179
სათაი-ხანი - 378-379, 381
სეთალი - 289-292, 419
საი - 323-326
სელი პირა - 15, 40, 186-187, 405, 437
სიელა - 181-183, 229-230, 405, 411, 422, 434
სიელა სათა - 33-34, 178-183, 269, 273, 275, 278, 324, 358, 404
სიქსოლსა - 8, 315-316, 423-424
სოალოი - 232-233
ურუზმანი - 255, 415
ფეთარზა - 130, 251-252, 270
ფჰაგალ-ბერე - 72-74, 99-100, 316-318, 424-425
ქოლოი კანთი - 32, 142-149, 162, 303-311, 318, 420-422, 440
ქუსქუზი - 123, 386, 439
ღეზამათ ალი - 32, 75, 382-384, 439
ღეზამი - 382
ღელა - 117, 391
ღერა - 390-391
ღოლგი - 37, 344-345
ღოჟაყი - 100, 378, 438, 440
ჩოფა - 74, 216-219
წაზიქი - 349-354, 432
წაი - 388-389, 440
ხამჩით ფათარაზი - 13, 40-43, 130-131, 221, 253-257, 354, 415, 433
ხამჩით ფათრიჟი - 357-358, 434
ჯენთელგი - 128, 200-201, 406

ადგილის სახელები

აზამთ-იურთი - 393
აიგას ველი - 17, 123
აითი-მუოხქი - 388
ალარო - 17, 388, 440
ალბიგ-აული - 378
ამარის წვერი - 17, 386
ამირ-ქუორთოშ - 17
ამზინ-ქაჟე - 386
არმხი - 17, 135, 222, 225, 308, 339, 429
არღუნი - 17, 21-22, 25, 68, 117, 125, 158, 370, 440-441
არშთუს ხეობა - 218-219
არხსი - 124, 386
ასის ხეობა - 28, 113, 151, 155, 216, 264, 317, 343, 416, 426
აყთაში - 395, 443
აჩამაზის ყორღანი - 323, 329
ბალთა - 17, 135, 339, 429
ბაშლამი - 130, 173, 176, 389, 441, 444
ბელშაი-ბარზ - 381
ბეხნა-ბერდი - 391

გალანჭოჟი - 108, 389
გარმის ველი - 325-326
გელ-ქორთი - 365
გერმაჩიგი - 393-395, 442
გერმენჩი - 393, 442
გილნა - 387
გური - 377, 438
დარიალი - 124, 143, 306, 420
დარღი - 386
დოარჰე - 341, 430
დოლახ-იურთი - 327, 427
დოქოი-ქორთი - 390
დოშხაკლე - 335, 428
ეგი-ჴალა - 222, 226, 318, 404, 409-410, 424, 430
ეკაჟევო - 230, 428
ენგანი - 377
ენგელ-აული - 393
ენგენოი - 395, 438, 442, 443
ერსანოი - 377, 438
ერში - 214, 408
ეჴქი - 17, 387, 410
ვარანდოი - 389
ვედენო - 133, 400
ზამან-იურთი - 386
ზანდაკ-აული - 386
ზონახ-აული - 389
თეზ-ყალა - 378, 438
თერგი - 117, 143, 149, 194, 261, 306, 308, 310-311, 325, 341, 380, 415, 422, 429
თეჩა-ქორთი - 388
თუმსოი-ლამი - 108, 110, 389, 440
იალხოი მოხქი - 117, 392, 397, 399, 442
იაშართი - 393
იჩქერია - 396, 400, 438, 443-444
კირა - 373, 438
კინდი ემარაში - 222
ლარსი - 136, 339
ლელახი - 315, 423
მდინარე ასა - 28, 102, 112-114, 216, 248, 250, 317, 340, 386-387, 413-414, 426, 430
მეცხალი - 24, 339, 346, 429
მითხო - 21, 27, 133, 141, 159-160, 221, 251, 267-268, 395, 409, 417, 443
მცღეთა - 207, 407
ნაზრანი - 184-185, 218, 335, 412, 415
ნაქისტი - 246, 412
ნაშხოი - 117, 391-392, 438, 441
ნესარ-ქორთი - 329
ნოჟაი-იურთი - 386, 390-391, 338, 440
ნოღაელების ქვეყანა - 216
ნოღა-მირზა-იურთი - 378
ოვ-მუოხქი - 124
ოხქარო - 100, 312-314
რაგნიი ურგაშ - 388
სათაი-თე - 381
სალგი - 316, 423
სანაბა - 151, 307, 420
საქართველო - 249, 267, 268, 308, 312, 315, 335, 339, 341-345
სესანა - 388
სუნჯა - 28, 128, 325, 402
ტო-იურთი - 327
ტყობა-ერდი - 26, 162, 341, 345-346, 430-431
ფალხანი - 173, 404, 429, 437, 445
ფორტანა - 216
ქურჩალოი - 393
ღალაითე - 386
ღილღველთა ქვეყანა - 313, 315

ღილღო - 246, 249-250, 267, 317-318, 321, 327, 340, 344-346, 365
ყოზაშქა - 325
შამსი - 386
შატოი - 389-390
შირ-იურთი - 386-387
ჩულხოი - 346, 423
ცხოროი - 346
წაჲ-კერაგი - 388
წაჲ-ლამი - 109, 219, 221, 409, 417
წაჲ-ფჴედა - 27, 268, 417
წეჲ-ლამი - 17, 27, 114, 148, 320, 425
წელი-ლამი - 37, 84, 91, 250
წელი-ქორთი - 207
წონტარო - 373, 378, 438
წორის ხეობა - 224-225
ხორაჩოი - 400
ხოშქელდი - 395, 442
ჯამბი-ირზეში - 388
ჯეირახი - 27, 124, 143, 148, 151, 306, 308, 409, 422, 429

მითოლოგიური და საკულტო-რელიგიური საგნები და არსებები

ალმასი - 370, 437
ალმაზი - 371, 438
გამოქვაბული - 189, 219-221, 270-271, 301-310, 317, 322, 362-368, 371-372, 379, 389, 421-422
განძი - 218, 278, 291-292, 392
გარბაში - 259, 416
გველეშაპი - 180, 269, 277, 282, 363, 401-402, 417, 411
გოლიათი - 187-191, 293-302, 371-373, 419
გორბოჟი - 209-212, 407
გრძნეული - 264, 324, 364, 371, 417, 436
დევი - 249, 409, 413
დელა - 207, 244, 422, 434
ეკლესია - 340-341, 346, 430-431
ელდა - 193, 196, 198-199, 405
ერდა - 23, 38, 132-134, 151, 155, 423
ეშაპი - 42, 127-128, 194-196, 199-202, 414
ეშპორი - 254, 414
ვამპალი - 212-216, 269, 275, 292-293, 298-302
ვეშაპი - 61, 127, 129, 183, 368, 414
თასი - 225-226, 266, 356, 358, 365, 367, 399, 435
ჟერ-ბაბა - 279-280, 289-292, 355, 360-361, 373-374, 418
ჟოჟაღათი - 40, 196, 406
იალსამალი - 40, 196, 406
კუდიანი - 72, 170-171, 209-210, 265, 347, 372, 407, 417
მკითხავი - 41, 216, 251
მტრედი - 220, 246-248, 356-359, 362-368, 413, 435
მფრინავი რაში - 275, 278
მჭედელი - 33-34, 44, 67, 84, 89, 159-160, 170, 179-180, 250
ნადირთპატრონი - 370, 437-438
ოქროს კიბე - 287, 418
ოქროს ჯაჭვი - 273
საიქიო - 186, 191, 194-196, 199-200, 203-204, 207-209, 222, 248, 254, 273, 275, 313-314, 321, 366, 405-406
სარმაქი - 180, 275-278, 282, 363

ფხეგათი - 186, 205, 208, 407
ფხოარინგი - 269
ქადაგი - 251, 420
ქელეხი - 41, 203-204, 209, 406
ქრისტიანი მეფე - 340-341, 429
წეთი - 251-253, 414
ხევისბერი - 224, 331, 404, 410, 426, 434, 445
ხი-ნანა - 178, 250
ჰუნ საგი - 408, 437

წარმომავლობა, საგვარეულო

ბარხანოი - 317, 320-321, 424-426
გერმაჩიგელი - 393-395, 442
ენგენოელი - 395, 442
ეხქიელები - 224, 410, 440
იალხოიმოხქელი - 123, 397, 400, 443-444
იჩქერიელები - 400
ლეჩახოები - 339
მაისტელები - 133, 251
მითხოელი - 76, 133, 160, 221, 251, 267, 409, 443
ნართ-ერსთხოელი - 369, 373-377, 385-392, 400, 437, 439
ნაშხოელი - 59, 373
ნოღაელი - 216-218, 230-235, 262-263, 273, 336, 379-381, 408
ორშთხოელი - 356-357,404, 434
ორხუსთოელი - 203-205, 208-212, 227-230, 253-254, 303-307, 349-356, 414, 432
ორსთხოელი - 184-185, 202, 236-237, 248-249, 252, 312, 317-318, 355, 358, 360-361, 390, 411, 425, 434-435
საქართველოს მეფე - 341-342, 429-430
ქართველი - 268, 313-315, 331, 335, 406, 408, 429-430
ღილღველი - 207, 219, 230-234, 248, 254, 313-315, 318, 329, 334, 336, 345, 408-412, 415, 430-440
ყაბარდოელი - 218, 230, 241, 378, 422-427
ჩერქეზი - 230, 329, 336, 338, 422, 427

ცხოველები და ფრინველები

გველი - 43, 54-55, 61, 68-69, 127, 138-139, 171, 258-259, 276, 338-339, 385, 439, 444
თევზი - 269, 293, 298
ირემი - 56-57, 101, 240, 266, 283-284, 294
კურდღელი - 252, 255, 258, 322, 357-358, 424, 426

მამალი - 163, 169-176, 204, 296-297, 334, 401-402, 445
მგელი - 34, 68, 77, 101, 168, 206, 242-245, 256-257, 275, 277, 344, 356, 358, 367-368, 373-374, 411-412, 435,438
მტრედი - 220, 246-248, 356-359, 362-368, 413, 435
ტახი - 289-292, 419
ქათამი - 172, 204
ღორი - 289, 395, 443
ყვავი - 75, 235, 294, 356
შევარდენი - 37, 139, 244-245
ცხვარი - 191, 204, 206, 222, 229, 242, 250, 260, 295, 300, 301, 303-317, 339-341, 352-355, 360, 382-384, 396, 401-402, 445
ძაღლი - 205-206, 216, 243, 250-251, 256-257, 299, 415
ხარი - 115, 129, 170, 211-212, 321, 350, 426
ჯიქი - 44, 235, 288, 436

საბრძოლო და თავდაცვითი იარაღი

აბჯარი - 60-64,275,339
ალმასის დანა - 259
ბიდასის თაყა - 62-63
გველისპირული - 68
გორდა - 58,68,285
დავითფერული - 68
ესკალიბური - 65
ზილბუხარის ხმალი - 376, 438
ისარი - 56, 61-63, 183, 240, 252, 289, 321-322, 331, 383
ლახტი - 66, 108, 115, 119, 122, 409
მახვილი - 30, 42, 65, 109, 221, 277
მუზარადი - 62-63
მშვილდი - 56, 68-69, 207, 240, 263, 276, 286, 330, 337-338, 367, 383
ორლესული - 56, 63
სამანქანურო ჯაჭვი - 62
ფარი - 59
ცერექის ჯაჭვი - 63
წუოყბოლათი - 363, 436
ხანჯალი - 44, 58, 243, 283, 288, 294, 316, 334-335
ხმალი - 186, 195, 201, 208, 213-216, 235, 238, 243, 270-272, 275, 278, 288
ჯაჭვის პერანგი - 59, 61-62, 243



KHVTISO MAMISIMEDISHVILI

CHECHEN AND INGUSH NART LEGENDS

This is the first attempt to publish the Georgian translation of the Chechen and Ingush legends about the Nart heroes. The work consist of several sections: It begins with a monografhic study, in particular, with the discussion about the elements of Georgian culture and Christian symbols in Chechen and Ingush legends. The worc is followed by the Chechen and Ingush legends translated into Georgian language. The final section of the book is dedicated to notes, comments and index.

The epos of the Narts is the most important monument of the folklore of the peoples of the Northern Caucasus. Apkhaz, Circassian, Karachay-Balkar, Ossetian, Ingush and Chechen versions of the epos are available. The main heroes of the epos, named as Narts, are mythic heroes. Historical sources are not familiar with the peoples called Narts. The epos of the Narts mythifies the traditional life of military societies and past historical events.

The book is destined for the students of the higher educational establishments, different branch specialist of humanitarian sciences and folklore enthusiasts.

Sacral symbols and elements of Christian culture in Chechen and Ingush versions of the Nart epos.

Georgian and Chechen-Ingush legends give the heroic episodes based on similar topics. If heroic episodes have sacral function and are thoroughly mythologized in Georgian andrezes, similar episodes in Chechen or Ingush legends lack sacral elements altogether. However, comparing them to Georgian andrezes allows understanding the mythological figures and symbols in a new way. The original sacral-religious meaning of some heroic episodes in Chechen and Ingush legends is without a doubt.

The Chechen and Ingush legends were formed in the period when Christian religion and Christian tradition influenced the everyday lives of the Chechen

and Ingush peoples. The national versions of the Nart epos in the mountainous regions of Chechnya and Ingushetia must have originated before the spread of Islam. The Chechen and Ingush legends hardly give any Moslem names and they are almost totally unfamiliar with Islamic motifs or topics. Rather, their trace in Vainakh epos is somewhat superficial. The presence of individual Islamic elements in the Chechen and Ingush folk texts can be explained only by the fact that at the time of writing the legends down, Islam was gradually becoming dominant in the Chechen and Ingush peoples' belief.

A number of mythological topics, sacral motifs and figures and symbols in the Nart epos can be explained by the features of the Georgian culture. The Christian elements, vocabulary, terms and mythological symbols revised on the traditional background and adapted to the local surroundings, are attributable to almost all archaic layers of the Chechen and Ingush legends.

Secret signs on the body and problem of predestination in the folklore.

Chechen-Ingush folklore gives extremely mystic forms to demonstrate a supernatural appearance of a hero. They tell us about the presence of secret signs on a human body. According to Khevsurian, Chechen and Ingush mythological narratives, the secret signs, which emit the light on a human body, are a sign of prosperity and predestination by the god. The signs on a body were given to the elect from heavenly inhabitants.

In a folk tradition, the sign of the Sun on one's forehead and the sign of the Moon between one's shoulders and astral images on one's body generally, were considered a divine event and chosenness of a hero. Depicting astral symbols on a royal robe was a demonstration of a heavenly origin of the royalty. People thought that the Bagrationi family had so called "predestination" on their bodies, the sign of distinction and divine luckiness, as evidenced, among other sources, by the piece of information of Cristoforo Castelli.

Khevsurian tradition knows great many stories about perishing a person with the sign of predestination on his body by a jinx. Even Torghva Dzagani, as per one version, was a descendent of the Bagrationi family, while another version claims that the voevode of Pankisi perished after the secret about the divine signs on his body were disclosed.

A person with secret signs on his body was called *predestinated* by the Khevsurians. The elected had the sign of predestination mostly on their chests and shoulders and it shone, as the legends say.

Sign of predestination, or a divine sign on one's body, like any other kind of chosenness, implied special responsibility on the one hand and great peril and danger on the other hand. As the legends say, both, a boy and a girl could have a sign. The only person, who could know about the secret sign on their body

before they got married, was their mother. In the tradition where people believed in the presence of people with signs on their bodies, people thought that the sign was taken away by its owner after his death by a snake, which appropriated it. Parallelism between the Chechen-Ingush legends and Pshavi-Khevsurian imaginations regarding the people with divine signs on their bodies is evident.

Typology of a magic weapon in the legends of the peoples of the Caucasus.

The heroic epos of the peoples of the Caucasus, alongside with the military and defense weapons, tells the stories of a magic weapon, which has its guard: a snake, Devi, monster or a mythic ancestor.

The magic weapon, as the valuable treasure of a guarding saint and sacred image, was necessarily kept in a mysterious place to protect it against an incidental touch and thus, its desecration or profanation. A magic weapon, like the Sangraal, was waiting for the elect to take possession of it. The weapon of war was given particular quality and power by the geographical location, where it was kept. A cave, snake hole or the other world could be such a place, as all these three places are mutually relevant in the legends.

One must assume that a deep room of the Narts' palace described in the Ossetian epos where the weapon of war was kept, is the sign of a mysterious designation of the depository, as the chest full of weapons opened only when Batraz addressed to it in the mysterious, Hatiag language. Such a weapon, after mentioning the war, would fit its owner's body and head on its own and it could not be penetrated by arrows, or cut by a sword.

Owning a mysterious and sacral weapon by a hero in the eposes of the Caucasian and world peoples is often motivated as a necessary precondition to gain the victory over the evil forces. Such weapon is the magic sword of King Arthur, Excalibur, which can be obtained only by an elect knight. As the legends suggest, it is Excalibur, the hero with which the hero must defeat the Antichrist. In the Georgian epos, Amiran's diamond knife has supernatural powers, which the hero inherited from his mother womb and with which Amiran ripped open the black monster. The Bearwolf in Anglo-Saxon heroic epos too, kills the demonic creature, mother of monster Grendel, with the sword, which was "owned by the giants in the past".

The motif of the magic weapon suggested by the legends of the peoples of the Caucasus is in full compliance with the mythic traditions of other peoples. Such a weapon, which is waiting for the elect only, is used by the hero in the battles mostly against demonic mythological creatures, such as demons, giants, monsters and other invincible enemies, and as a rule, always brings victory to the warriors fighting with it.

Mythic interpretation of the imagery of the beauty in the legends of the peoples of the Caucasus.

"Beauty", the common name of a fiancée of the central character in Georgian fairy tales and legends, is based on a folk mythic world-view. In the ancient folkloristic works, the "Sun" must have been a metaphor of the central character as he had a sunny nature expressed with astral signs on his body. We must assume that the mythic-metaphoric name of the protagonist's fiancée, "the beauty", comes from the sunny nature of the central character. The fiancée of the central character was a beauty as long as she did not see the "sun", i.e. unless she met his "sun" and became the wife of the central character.

The fiancée of the central character in the Georgian and world folk fairy tales is a daughter of a king (princess, *Princesa, царевна*) and is a daughter of an Aldar in Ossetian fairy tales. In the epic legends of the Caucasian peoples, a fiancée of the central character is a daughter of supernatural creatures rather than a king's daughter.

The beauty in the epos of the Caucasian people, whom the central character marries, is distinguished for thorough archaism and rich mythological biography. She is of a supernatural origin and lives in a sacral place.

The top of a high mountain, tower hanging down from the sky with chains or tongues of flame reaching up the sky are a symbol of the link between the sky and the land on the one hand and of the heavenly origin of the fiancée of the central character and her mysterious union with the divine world on the other hand.

The characters of the given type have similar properties: they are distinguished for brilliant appearance, with sunny signs on their bodies, irradiate beauty, have special abilities and mysterious wisdom and live in isolation. The maid helps the young man, who shows extraordinary heroism to steal her. The beauty marries the hero and they live happily for a while. The woman with supernatural abilities helps the principal character to reach success and win the victory, but unlike a fairy tale, their relationship in the heroic epos has no happy end.

ХВТИСО МАМИСИМЕДИШВИЛИ

НОХЧИЙН А, ГІАЛГІАЙН А НАЬРТХОЙХ ЛАЬЦНА ДИЙЦАРШ

Къилбседа Кавказерчу къаьмнийн халкъан барта кхолларалли уггар коьрта эсалла ю наьртех лаьцна эпос. Нохчийн а, гІалгІайн а, хІирийн а, кхарачойн а, балкхаройн а, чергазийн а, абхазхойн а тайп-тайпана дийцарш ду оцу эпосах лаьцна. Нарт цІе йолу адамаш хьахош дац исторически хьостанашкахь. Фольклорни персонажаш а, нуьцкъала мифически бІаьхой а бу оцу эпосан коьрта турпалхой.

Гуьржийн маттахь нохчийн а, гІалгІайн а дийцарийн академически хьалхара арахецар ю хІара киншка. Боцца хаамаш, комментареш, нохчийн а, гІалгІайн а дийцарех лаьцна монографи, наьртхойх лаьцна бІе сов текст а чулоцу киншко.

Фольклор езархошна а, тайп-тайпана гуманитарни дисциплинаш йоьшуш болчу говзанчашна а, дешаран лакхарчу заведенийн студенташна а лерина ю киншка.

საჩევი

წინათქმა ---------- 5
ჩეჩნური და ინგუშური თქმულებების სტრუქტურა, თემატიკა და ქრონოტოპი ---------- 12
ჩეჩნები, ინგუშები და ქართველი მთიელები ---------- 19
ჩეჩნური და ინგუშური ნართული თქმულებების პერსონაჟები ---------- 32
ადგილობრივი გმირები და ნართ-ორსთხოელები ---------- 32
სესქათ სოლსა ---------- 33
ბათიგ შირთყა ---------- 39
ხამჩით ფათარაზი ---------- 42
მოახაზი ---------- 43
საიდუმლო ნიშნები სხეულზე და ნაწილიანი პერსონაჟები ---------- 47
ჯადოსნური საბრძოლო აღჭურვილობა და მისი ტიპოლოგია ---------- 48
საოჯახო და საზოგადოებრივი ეტიკეტი ---------- 70
მითიური მზეთუნახავი ---------- 81
მზეთუნახავის საიდუმლო ადგილსამყოფელი ---------- 82
ზებუნებრივი ნიშნები მზეთუნახავის სხეულზე ---------- 88
განმარტოების მიზეზები ---------- 92
შურისმაძიებელი ასული ---------- 94
ადამიანთა საზოგადოებასთან შეუთავსებლობა ---------- 96
ცოლის წართმევის მოტივი ---------- 99
საკრალური სიმბოლოები და ქრისტიანული კულტურის ელემენტები ---------- 105
საგმირო მოტივების საკრალიზაცია: შუაზე გაპობილი ლოდი ------ 108
ანდრეზული დევი ღილღურ თქმულებებში ---------- 111
დევები, ნართები და ქვები ---------- 115
ასპარეზობა ქვების სროლაში ---------- 118
ბრძოლა წმინდა ქვების დაუფლების მიზნით ---------- 121
მითოლოგიური ქვების საკრალური საზრისი ---------- 122
გველეშაპი სარმაძი, ეშაპი, ეშაპოსი ---------- 127

წმინდა გიორგი, ჯერდა და სამოცდასამი მეომარი ––––––––– 132
მტრედის სიმბოლიკა და მისი საზრისი ინგუშურ
თქმულებებში ––– 135
სამებასთან დაკავშირებული ფოლკლორული მოტივები –––– 142
სამების კულტის დაარსების ელემენტები ინგუშურ მითოსში ––––––– 142
წმინდა მხედარი სამი ჯვრის უღელტეხილზე ––––––––––––––––––– 148
ნართ-ორსთხოელები „სანიბაში“ ––––––––––––––––––––––––––––––– 151
ცროლის სანების ჯვარი და ღილღველები ––––––––––––––––––––––– 154
ესქატოლოგიური მოტივები ––––––––––––––––––––––––––––––––– 163
გამოქვაბული და თასი ––––––––––––––––––––––––––––––––––––––– 163
მთა, დაულეველი პური და მამალი ესქატოლოგიურ კონტექსტში ––– 169

ტექსტები ––– 177
ინგუშური თქმულებები ნართებზე ––––––––––––––––––––––––––– 177
1. სესქათ სოლსას შობა ––––––––––––––––––––––––––––––––––––– 178
2. როგორ გაიმარჯვა სოსქათ სოლსამ სართალზე ––––––––––––––– 178
3. სოსქათ სოლსა და ბათიგა შითყა ––––––––––––––––––––––––––– 183
4. სესქათ სოლსა და სელი პირა ––––––––––––––––––––––––––––––– 186
5. გაცოცხლებული გოლიათი ––––––––––––––––––––––––––––––––– 187
6. სესქათ სოლსა და ადამიანის თავის ქალა ––––––––––––––––––– 189
7. საიქიოში გადაწყვეტილი კამათი ––––––––––––––––––––––––––– 191
8. ჯენთელგი ––– 200
9. ბეთარი და სასაფლაოს ღამის სტუმარი ––––––––––––––––––––– 202
10. როგორ გაჩნდა ქელეხის გადახდის წესი ––––––––––––––––––– 203
11. ბათიგ შერთყა საიქიოში ––––––––––––––––––––––––––––––––– 204
12. სესქათ სოლსას ფასი ––––––––––––––––––––––––––––––––––––– 205
13. ბოთყი შირთყას წინასწარმეტყველება ––––––––––––––––––––– 206
14. სოსქათ სოლსა და ბათიგ შერთყა ––––––––––––––––––––––––– 207
15. ორხუსთოელები და ბოთოყო შირთყა ––––––––––––––––––––––– 208
16. ბეთარი და ვამპალი ––––––––––––––––––––––––––––––––––––– 212
17. სესქათ სოლსა და ვამპალი ––––––––––––––––––––––––––––––– 214
18. სოსქათ სოლსა და ყაჩაღები ––––––––––––––––––––––––––––––– 216
19. ორშთხოელები (ყარაბულაკები) ––––––––––––––––––––––––––– 216
20. განრისხებული სესქათ სოლსა ––––––––––––––––––––––––––––– 219
21. როგორ მოიტაცა სესქათ სოლსამ მზეთუნახავი ––––––––––––– 221

22. სესქათ სოლსა და კინდათ შოა ---------- 222
23. როგორ მოიტაცა კინდათ შოამ სოლსას ქალიშვილი ----------224
24. ეშქი და სესქათ სოლსა ---------- 226
25. სოსქათ სოლსა და გორჟაი ---------- 227
26. აჩამაზის ბორცვი (ლოამან ხას ვაჟი) ---------- 230
27. ლორსა და სოლსა ---------- 236
28. მგელი მწყემსად ---------- 242
29. სესქათ სოლსა და მგელი ---------- 242
30. რატომ ამბობენ სიტყვა „გოვრაბერს“? ---------- 244
31. სესქათ სოლსა და ნაქისტელები ---------- 246
32. მტრედად გადაიქცა ---------- 246
33. როგორ გახდა სესქათ სოლსა ცალთვალა ---------- 247
34. სესქათ სოლსა და მტრედი ---------- 248
35. როგორ გაჭრა ბეთარმა მდინარე ასის კალაპოტი ---------- 248
36. მარჯვენა მკლავის მოკვეთის წეს-ჩვეულება „წეთი“ ---------- 251
37. ფათარაზი და ბარაქის გაქრობის საიდუმლო ---------- 253
38. ხამჩით ფათარაზი ---------- 255
39. ურუზმანი, ორზმი, სოლსა და ხამჩით ფათარაზი ---------- 255
40. ორშამარათ ერში და აკლდამის ჭრელი გველი ---------- 259
41. შვიდი ძმის და ---------- 260
42. ორშმის ვაჟი ---------- 264
43. მითხოელი გმირები - მაირა და ბოლათი ---------- 267
44. ჯადოსნური ბეჭედი ---------- 269
45. სესქათ სოლსა და მთვარის ასული ლირა ---------- 273
46. ნართი თუოხი და მზის ასული აზა ---------- 278
47. სეთალი და ტყის ტახი ---------- 289
48. ბოთყას მოგზაურობა ვამპალების ქვეყანაში ---------- 292
49. თქმულება გოლიათ ვამპოლოჟებზე ---------- 297
50. კოჭლი მგზავრის საოცარი თავგადასავალი ---------- 300
51. ქოლოი კანთი და სამი ქვის აღმართვა ---------- 303
52. სესქათ სოლსა და ქოლოი კანთი ---------- 307
53. ქოლოელი მწყემსი და წმინდა მხედარი ---------- 308
54. სოსქათ სოლსა და ოხქარ კანთის ცოლი ---------- 312
55. მშვენიერი ალბიქა ---------- 312
56. სიქსოლსა და გუი ---------- 315

57. ფჰაგალ-ბერე და სესქათ სოლსა ––––––––––––––––––––––––––––– 316
58. ფჰაგალ-ბერეს ცოლი და ნართ-ორსთხოელი ––––––––––––––––––– 317
59. ბიიდოლგ ბერე და სესქათ სოლსა ––––––––––––––––––––––––––– 319
60. ბარხანოელი ფჰაგალ-ბერი ––––––––––––––––––––––––––––––––– 320
61. ნესარი, მისი ვაჟი საი და აჩამა ––––––––––––––––––––––––––– 323
62. ნესარი და ყოზაში ––––––––––––––––––––––––––––––––––––––– 325
63. ყოზაშის შვილიშვილი და გერმანჩა ––––––––––––––––––––––– 327
64. პირველად ვინ დასახლდა ნესარ-ქორთში ––––––––––––––––––– 329
65. ნესარი ––– 333
66. მეხქა ასთბი ––– 335
67. ბორა აბაევი ––– 338
68. დოვლათის ფრინველი ––––––––––––––––––––––––––––––––––– 339
69. ქრისტიანი მეფე და ბარქუმ კანთი ––––––––––––––––––––––– 340
70. საქართველოს მეფე და ბარახოი კანთის ცოლი ––––––––––––––– 341
71. ტყობა-ერდის უცხო მთავარი და ღილღველი მზეთუნახავი ––––– 345
72. რჯულის კაცები ტყობა-ერდის სალოცავში ––––––––––––––––– 346
73. კუდიანი და მისი სიძე ––––––––––––––––––––––––––––––––––– 347
74. სამოცი ორხუსთოელი და წაზიქი ––––––––––––––––––––––––– 349
75. ხამჩით ფათარაზი, სესქათ სოლსა და ბათყათ შირთყა ––––––––– 354
76. სესქათ სოლსა და ჟერბაბა ––––––––––––––––––––––––––––––– 355
77. ნართების აღსასრული ––––––––––––––––––––––––––––––––––– 356
78. ორშთხოელების აღსასრული ––––––––––––––––––––––––––––– 356
79. რის გამო ამოწყვიტა ღმერთმა ორშთხოელები ––––––––––––––– 357
80. როგორ ამოწყდა ნართ-ორსთხოელთა მოდგმა ––––––––––––––– 358
81. როგორ გაქრნენ ამ ქვეყნიდან ნართ-ორსთხოელები ––––––––––– 359
82. სპილენძის შესმა ––––––––––––––––––––––––––––––––––––––– 361
83. სამოცდასამი ნართის აღსასრული ––––––––––––––––––––––––– 361
84. რატომ იქნა მოვლენილი გადამდები სენი ––––––––––––––––––– 362
85. აღსასრული გამოქვაბულში ––––––––––––––––––––––––––––––– 364
86. სესქათ სოლსას ლოცვა ––––––––––––––––––––––––––––––––––– 365
87. როდის აღდგებიან ნართები ––––––––––––––––––––––––––––––– 366

ჩეჩნური თქმულებები ნართ-ერსთხოელებზე ––––––––––––––– 369
88. ალმასი ––370
89. ნადირთპატრონი - მკერდზე ცულით ––––––––––––––––––––––– 370

90. გოლიათი გრძნეული ქალები ––––––––––––––––––––––––––––––––––– 371
91. მამაცი თინინ ვისუ ––– 373
92. ნოური და ღოჟაყი ––– 378
93. ღეზამათ ალი და თუოლამ-ოღო ––––––––––––––––––––––––––––––– 382
94. ნართ-ერსთხოელი და დევნილი მოსისხლე ––––––––––––––––––––– 385
95. ნართ-ერსთხოელი ქუსქუზი ––––––––––––––––––––––––––––––––––– 386
96. ნართ-ერსთხოელების წისქვილის ქვები ––––––––––––––––––––––– 386
97. გეპაქისა და ამირას მტრობა ––––––––––––––––––––––––––––––––– 386
98. ნართ-ერსთხოელების კოშკები ––––––––––––––––––––––––––––––– 387
99. თეჩა და მისი სატრფო წაი ––––––––––––––––––––––––––––––––––– 388
100. სესქათ სოლსა და შუაზე გაპობილი ლოდი ––––––––––––––––––– 389
101. ორი ქალიშვილი, მათი დედა და სესქათ სოლსა ––––––––––––––– 390
102. ნართ-ერსთხოელი ნაურაზი ––––––––––––––––––––––––––––––––– 390
103. ნაურაზის კოშკი ––– 391
104. შვიდი ნართ-ერსთხოელი ძმის ქედი ––––––––––––––––––––––––– 392
105. ნართების განადგურება ––––––––––––––––––––––––––––––––––––– 393
106. გერმაჩიგელი ნართები ––––––––––––––––––––––––––––––––––––– 393
107. ენგენოელი ნართები ––––––––––––––––––––––––––––––––––––––– 395
108. მარტოხელა ქვრივი დედაკაცი და ნართები ––––––––––––––––––– 396
109. იალხოიმოხქელი დევგმირები ––––––––––––––––––––––––––––––– 397
110. სად გადაიკარგნენ ნართ-ერსთხოელები ––––––––––––––––––––– 400
111. შვიდი ხორაჩოელი ძმა და მათი დედა ერთე-ემილი ––––––––––– 400
კომენტარები ––– 403
შემოკლებანი ––– 446
ლიტერატურა ––– 447
საძიებლები ––– 456
CHECHEN AND INGUSH NART LEGENDS ––––––––––––––––––––––––– 462
НОХЧИЙН А, ГІАЛГІАЙН А НАЬРТХОЙХ ЛАЬЦНА ДИЙЦАРШ ––––– 466

ხვთისო მამისიმედიშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი; კვლევის ინტერესებია: ფოლკლორი, მითოლოგია, ლიტერატურა. ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის შემდეგი მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორი: „ვაინახები და ქართველი მთიელები“ (1997); „პანკისი, წარსული და თანამედროვეობა“ (2008); „ჯვარხატები საკულტო ტექსტებში“ (2009); „ოსური ფოლკლორი“ (2015); „საკრალური ისტორიები“ (2017). მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და კონგრესის მონაწილე; ათეულობით საველე ფოლკლორული ექსპედიციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი; თსუ-ში მუშაობს 1992 წლიდან; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კითხულობს შემდეგ სალექციო კურსებს: ქართული ფოლკლორი, ქართული მითოლოგია, კავკასიის ხალხთა ფოლკლორი, აფხაზური ფოლკლორი, ოსური ფოლკლორი, ოსური ლიტერატურის ისტორია, ფოლკლორი და ისტორიული სინამდვილე, ხალხური დრამა, ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია.

KHVTISO MAMISIMEDISHVILI – Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor of Philology; interests of study: folklore, mythology and literature; an author of more than one hundred scientific works, including the following monographs and text-books: “The Vainakhs and the Georgian Mountain-Dwellers” (1997); “Pankisi, the Past and the Present” (2008); “Jvaris and Khatis in Cult Texts” (2009); “Ossetian Folklore” (2015); “Sacral Histories” (2017); a participant of a number of international conferences and congresses; an organizer and manager of tens of field folklore expeditions; an expert of educational programs of higher institutions; a TSU employee since 1992; delivers the following lecture courses at the Faculty of Humanitarian Sciences: Georgian folklore, Georgian mythology, folklore of the Caucasian peoples, Apkhazian folklore, Ossetian folklore, History of ossetian literature, folklore and historical truth, folk drama, history of Georgian study of folklore.